საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ა. გ უ ნ ი ა

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი

1983

~~33(ᲒᲠ 41)~~
~~65(2 Ს)~~
338(47.922)
~~Გ 955~~

ნაშრომში მდიდარი ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე განხილულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე. ნაჩვენებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა, მეცნიერების წარმოებასთან ორგანული შერწყმა, საქართველოს მეცნიერული პოტენციალი და მისი ეფექტიანობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ზოგიერთი საკითხი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა, კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულება, ხარისხი და ეფექტიანობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და შიდარესპუბლიკური სახალხომეურნეობრივი პროპორციების სრულყოფა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე.

ზოგიერთი საკითხის განხილვის შეზღუდვა ციფრობრივი მონაცემებით 1975 წლამდე განპირობებულია იმით, რომ წიგნზე მუშაობისა და მის გამოსაცემად გადაცემის პერიოდში არ მოგვეპოვებოდა შესაბამისი ახალი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ამის მიუხედავად ეკონომიკური კანონზომიერებანი, ჩვენი აზრით, დარღვეული არ არის.

წიგნი გამიზნულია ეკონომისტთა, ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტთა და ამ საკითხებით დაინტერესებულ სხვა სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

განვითარებული სოციალიზმი — ეკონომიკური სიმწიფის კანონზომიერი საფეხური

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ეკონომიკური განვითარების ის ეტაპია, როდესაც საკუთარ, სოციალისტურ საფუძველზე სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი, კომუნისტური წყობილების შემოქმედებითი ძალა, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი. ამიტომ, როგორც აღნიშნული იყო სკკპ ივნისის (1983 წ.) პლენუმზე „საჭიროა უწინარეს ყოვლისა ნათლად წარმოვიდგინოთ საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპის ხასიათი, რომელზეც ახლა ვიმყოფებით. პარტიამ განსაზღვრა იგი როგორც განვითარებული სოციალიზმის ეტაპი"[1].

სწორედ ამ ეტაპზე მწარმოებლურ ძალთა განვითარება იმ დონეზეა მისული, როდესაც პრაქტიკულად ხორციელდება სოციალიზმის გადასვლა მის მეორე, უმაღლეს ფაზაზე—კომუნიზმზე. მარქსიზმის კლასიკოსებმა შექმნეს მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმის შესახებ. ჩვენ დღეს მოწმენი ვართ თუ როგორ განხორციელდა იგი რეალურ სოციალიზმად, როგორ შეიქმნა მომწიფებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორ განვითარდა შესაბამისი წარმოებრივი ურთიერთობანი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შეიმუშავეს თეორიული დებულებები, რომელთა მიხედვით კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოიცავს და სიმწიფის რამდენიმე საფეხურს გაივლის.

თანამედროვე კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების შედეგად შეიქმნა პირობები კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული განხორციელებისათვის, მისი შემდგომი თეორიული განზოგადებისათვის.

ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებული სოციალისტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც შექმნილია მძლავრი

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1983 წელი, 14—15 ივნისი, თბ., 1983, გვ. 10.

შწარმოებლური ძალები, ჩამოყალიბებულია სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ეს ის საზოგადოებაა, რომელმაც საკუთარ საფუძველზე განვლო სოციალიზმის გარკვეული ეტაპები მძლავრი ინდუსტრიისა და მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის სახით. ამის შედეგად დიდად ამაღლდა ქვეყნის არა მარტო ეკონომიკური, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, შეიქმნა ეკონომიკის ისეთი ახალი დარგები, როგორიცაა ატომური ენერგეტიკა, ელექტროხიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ინდუსტრიული შრომის სხვა ახალი სახეობის საწარმონი.

ვ. ი. ლენინი 1919 წ. აღნიშნავდა, რომ სოციალიზმი ის საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც აღმოცენდება უშუალოდ კაპიტალიზმისაგან. სოციალიზმი იყენებს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც შექმნილია კაპიტალიზმის პირობებში, ხოლო კომუნიზმი უფრო მაღალი საფეხურია, რომლის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულად განმტკიცდება სოციალიზმი.

რუსეთში, მართალია, კაპიტალიზმის განვითარება XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში შედარებით ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა 1913 წ. რუსეთის ეკონომიკური განვითარების დონე, მისი ეკონომიკური პოტენციალი სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან' შედარებით ბნიშვნელოვნად დაბალი იყო. ამასთან, ჯერ პირველ იმპერიალისტურ, შემდგომ კი სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პერიოდში ეკონომიკურად ისედაც ჩამორჩენილი ქვეყნის პოტენციალი კიდევ უფრო მეტად შემცირდა. მაგ., 1920 წელს, ანუ ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლის თავზე, თუჯის წარმოება 2-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1862 წელს; ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება თითქმის იმდენი, რამდენიც XIX საუკუნის 90-იან წლებში, ხოლო ბამბეულის ქსოვილების წარმოება იმდენი, რამდენიც 1857 წელს, ანუ ბატონყმური რუსეთის დროს. ამიტომ ჯერ კიდევ 20-იანი წლების დამლევისათვის სსრ კავშირი 50—100 წლით ჩამორჩებოდა ეკონომიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მხოლოდ 10—12 წლის განმავლობაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ეკონომიკის საკუთარ საფუძველზე აგება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მხოლოდ ერთ ათწლეულში, 1966—1975 წლებში, ეკონომიკური პოტენციალი გაორკეცდა. ამჟამად შექმნილია ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც შესაძლებლობას ქმნის 1990 წელს არანაკლებ ორჯერ მაინც განვაახლოთ ძირითადი წარმოებრივი ფონდები. ახლა ყოველ ათწლეულში ხდება წარმოებული პროდუქციის ძირეული განახლება.

ეკონომიკის მასშტაბები დღეს იმდენად დიდია, რომ გვიხდება ჭეშმარიტად ასტრონომიული ციფრებით ოპერირება. ამაშია სწორედ სოციალიზმის დამახასიათებელი დინამიზმი, რომელსაც არასოდეს ჰქონია ისეთი ძალა, როგორც ახლა. ამან განაპირობა თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პრაქტიკული განხორციელება, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა, მათი კომუნისტურ ურთიერთობებში გადაზრდის კონკრეტული პირობები, მშრომელთა ცხოვრების მრავალფეროვანი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილების ამოცანის გადაჭრა.

„კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი საზოგადოების სახეს საბოლოო ანგარიშით მისი საწარმოო ძალების განვითარების დონე, წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი და მდგომარეობა განსაზღვრავს"[2].

ამავე დროს ყველა გეგმა თუ კანონი, ესა თუ ის ღონისძიება პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში, საბოლოოდ მასების შემოქმედების, პარტიის კოლექტიური გონებისა და ნებისყოფის შედეგია.

საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობაში წინა პლანზეა წამოწეული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები. სწორედ მოღვაწეობის ამ სფერომ მიიღო განსაზღვრული მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან საბჭოთა ხალხის ბრძოლაში სოციალიზმისათვის. ამან განსაზღვრა ისტორიული გზის მთავარი შედეგიც, რომელიც გამოიხატა უდიდესი ნახტომით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე—განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებით. ამჟამად ეკონომიკა ერთ-ერთი გადამწყვეტი უბანია კომუნიზმისათვის ბრძოლაში, სწორედ ეკონომიკის დარგში, ეყრება საფუძველი სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტას"[3], ამიტომ ძირითადი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დინამიკურობისა და პროპორციულობის უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების გამომუშავებასა და განხორციელებას,

---

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წ. 14—15 ივნისი, გვ. 10.

[3] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 48.

რომელიც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვანი იარაღია.

ეკონომიკის განუხრელი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, ობიექტურ-ეკონომიკური კანონებისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობის გამოყენების პრაქტიკული შედეგია, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება. ეს ეკონომიკის გეგმაზომიერი მართვის შედეგია.

საბჭოთა სახელმწიფოს ყველა აუცილებელი პირობა აქვს სახალხო მეურნეობის შემდგომი განუხრელი ზრდისათვის, წარმოების მასშტაბების მუდმივი, წლიდან წლამდე გადიდებისათვის. ესაა მძლავრი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. ბუნებრივი რესურსების მიხედვით სსრ კავშირი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში. ამიტომ ამჟამად ყველაზე მთავარია, უზრუნველვყოთ არსებული რესურსების სწორი, ყაირათიანი გამოყენება. ეს მოითხოვს სახელმწიფოებრივი გეგმების სტაბილურობისა და დაბალანსების აუცილებლობას, სახალხო მეურნეობის განვითარებაში პროპორციულობის გაუმჯობესებას, სოციალისტური წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, მომჭირნეობის (ეკონომიის) რეჟიმის გაძლიერებას. საბჭოთა მთავრობა სწორად წარმართავს ეკონომიკის განვითარებას, როგორც ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს. ამასთან დაკავშირებით უფრო სრულყოფილი ხდება მეურნეობრივი მექანიზმი და ეკონომიკური ბერკეტები, საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციები შრომისა და ხელფასის, ფინანსების, კრედიტებისა და ფასების, გარემოს დაცვის საკითხებში.

საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა შორის უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ მსხვილი საერთო სახელმწიფოებრივი, დარგთაშორისი და ტერიტორიული კომპლექსური პროგრამები—რსფსრ-ის არაშავნიადაგიანი ზონის, დასავლეთ ციმბირის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება და მძლავრი საწარმოო კომპლექსის შექმნა, ბაიკალ-ამურის მაგისტრალური რკინიგზის მშენებლობა. ხმგვარი პროგრამების განხორციელება მოწმობს ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდას, საბჭოთა სახელმწიფოს დიდ შესაძლებლობებს. ყველა სახის ეკონომიკურ პრობლემას საბჭოთა მთავრობა, მინისტრთა საბჭო განიხილავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების თვალთახედვით. ეს პირველ რიგში წყდება მატერიალური წარმოების ყველა დარგში ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონის ამაღლებისა და მართვის ორგანიზაციული

სტრუქტურის სრულყოფისათვის სათანადო ღონისძიებების გატარებით.

ამჟამად ძირითადად დამთავრებულია სამუშაოები საწარმოთა გამსხვილებისათვის მრეწველობაში, საწარმოო გაერთიანებების შექმნისათვის, მრავალსაფეხურიანობის აღმოფხვრისა და მეურნეობრივი მმართველობის ორგანოების წარმოებასთან დაახლოებისათვის. უკვე 70-იან წლებში გაერთიანებებში თავმოყრილი იყო მაგისტრალური თბომავლების მთელი წარმოება, ქვანახშირის მოპოვების თითქმის მთელი მოცულობა, ავტომობილების წარმოება, ტრაქტორების, მარცვლეულის ამღები კომბაინების, სართავი დაზგების, ელექტროტექნიკური წარმოების მრავალი სახის პროდუქციის, ავეჯის, ფეხსაცმლის, სამკერვალო და სხვა ნაწარმის გამოშვების უმეტესი ნაწილი. მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია ღონისძიებები გარემოს დაცვისა თუ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ეკონომიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახულია საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების „კანონში მინისტრთა საბჭოს შესახებ", რომელიც მიღებული იყო სსრკ უმაღლეს საბჭოს სესიაზე 1978 წ. 5 ივლისს[4].

სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესების საქმეში სკკპ XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გახსაკუთრებული ადგილი უკავია სკკპ ცკ დადგენილებას მეურნეობრივი მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა, და სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 12 ივლისის ერთობლივ დადგენილებას „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ"[5]. ამ დადგენილების მიღება განპირობებული იყო იმ თვისებრივი ცვლილებებით, რაც მოხდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე. მერვე, მეცხრე და მეათე ხუთწლედებში ეკონომიკა არსებითად გაიზარდა. შეიქმნა მძლავრი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მრავალი საწარმოს აშენებასთან ერთად მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე.

ყოველივე ეს შედეგია პარტიის მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკისა, რომელიც შემუშავდა და თანმიმდევრუ-

---

[4] იხ. გაზ. «Правда». 06. 07. 1978. გვ. 1—3. «Закон о Совете Министров СССР».

[5] იხ. გაზ. „კომუნისტი", 29. 07. 1979 წ., გვ. 1—2.

ლად ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქ-ტომბრის პლენუმის შემდეგ.

ამჟამად, როდესაც საბჭოთა ეკონომიკამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომ გაუმჯობესებას. ამას მოითხოვს წარმოების გაზრდილი მასშტაბები, რთული ეკონომიკური ურთიერთობანი, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. ამასთან დაკავშირებით, სისტემატურად, ლოგიკური თანმიმდევრობით ტარდება ღონისძიებები მეურნეობრივი მექანიზმის სრულყოფის მიზნით. სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა ამ მექანიზმის ძირითადი მიმართულებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე, პარტიის XXVI ყრილობის მასალებში ხაზგასმითაა აღნიშნული მართვისა და დაგეგმვის საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერების მნიშვნელობა. ამჟამად პარტიის მიერ შემუშავებულ დებულებათა შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ მინისტრთა საბჭო საჭიროდ მიიჩნევენ, კიდევ უფრო ზუსტად წარმართონ მთელი მმართველობითი და საგეგმო საქმიანობა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მზარდი საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით. ქვეყნის ის დიდი სიმდიდრე, ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც შექმნილია წლების განმავლობაში, გამოვიყენოთ უფრო რაციონალურად, რისთვისაც უმთავრესად ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს უნდა დავეყრდნოთ, ამისათვის უფრო ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

როგორც ნათქვამია ზემოაღნიშნულ დადგენილებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო გეგმის, უწინარეს ყოვლისა, ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობის შემდგომ ამაღლებას, გეგმების შეწონასწორების უზრუნველყოფას, მათ მეტ ორიენტაციას სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად; რესურსების კონცენტრაციის გაძლიერებას საერთო-სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესასრულებლად, საგეგმო მაჩვენებლების სისტემათა გაუმჯობესებას, რათა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ერთმანეთს პერსპექტიული და მიმდინარე პრობლემების გადაჭრა, დარგობრივი და ტერიტორიული განვითარების ამოცანების გადაწყვეტა.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ამოცანები მოითხოვეს, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების ქმედითობა, მატერიალური წახალისების უშუალოდ დამოკიდებულება მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის

ამაღლებაზე, საგეგმო დავალებების შესრულებასა და საწარმოო საქმიანობის შედეგებზე. აღნიშნულ საკითხებზე განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება სკკპ XXVI ყრილობამ.

თანამედროვე ეტაპზე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობების შესაბამისად, უნდა ამაღლდეს დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის დონე. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს წარმოადგენს საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევის ყველაზე მაღალი ეფექტიანი გზების შერჩევა, დარგობრივი და ტერიტორიული განვითარების, პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების რაციონალური შეხამება, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი პროპორციების სრულყოფა, ეკონომიკის შეწონასწორებული გზის უზრუნველყოფა.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაჭრა, რისთვისაც ძალები და რესურსები უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების შესასრულებლად უნდა გაერთიანდეს, დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების რეალიზაცია, უფრო რაციონალურად იქნეს გამოყენებული საწარმოო ფონდები, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, სწორად განისაზღვროს დარგებისა და ეკონომიკური რაიონების განვითარების პრიორიტეტი და პროპორციები, შეიქმნას მატერიალური და ფინანსური რეზერვები ეკონომიკის პროპორციული და შეწონასწორებული განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საჭიროა შემუშავდეს ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების განვითარების პროგრამები. საქართველოსათვის, უპირველეს ყოვლისა, 1. სათბობ-ენერგეტიკული ბაზის განვითარებისა (სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაძლებელი ენერგეტიკული წყაროს —ქვანახშირის, ნავთობის ,გაზის, ატომგულის, მზის, თერმული წყლების, ქარის ენერგიის გამოყენება) და მათი ეკონომიის ღონისძიებანი; 2. წარმოების მექანიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლების, ხელით შრომის გამოყენების მაქსიმალური შემცირების გათვალისწინებით; 3. სასურსათო და სახალხო მოხმარების სხვა საგნების წარმოების განვითარების ამოცანიდან საქონლის ხარისხის, ასორტიმენტის, ესთეტიკური, გარეგნული სახის მიხედვით და მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური მოხმარების ნორმათა შესაბამისად.

სახალხო მეურნეობაში საგეგმო მუშაობის დონის ამაღლების ღონისძიებათა შორის გათვალისწინებულია მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის როლის მნიშვნელოვანი ამაღლება მეც-

ნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელიც საფუძვლად ედება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიან და ხუთწლიან გეგმებს. ეს განვითარებული სოციალიზმის არსებითი ფაქტორია, როდესაც ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში წამყვანი ადგილი უკავია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და მისი შედეგების დანერგვას საზოგადოებრივ წარმოებაში.

1979 წ. 12 ივლისის დადგენილებაში მეურნეობრივი მექანიზმის შესახებ განსაზღვრულია მაჩვენებლებისა და ეკონომიკური ნორმატივების სისტემა. მათ შორის: წმინდა პროდუქცია (ნორმატიულის), ძირითად სახეობათა პროდუქცია ნატურალურ გამოხატულებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მანეთის პროდუქციაზე ხელფასის ნორმატივი, მუშა-მოსამსახურეთა ლიმიტი და ხელით შრომის გამოყენების შემცირების დავალება, მოგების საერთო თანხა, ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედება, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისა და საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ლიმიტი, ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებები და სამეცნიერო-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი, უმნიშვნელოვანეს სახეობათა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიწოდების მოცულობა.

ამის გარდა საგეგმო მუშაობის ამაღლების ღონისძიებათა შორის კონკრეტულადაა მითითებული, თუ რა უნდა გაკეთდეს წარმოების, შრომისა და სოციალური განვითარების, ფინანსების, კაპიტალური მშენებლობის, ახალი ტექნიკის დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში. გათვალისწინებულია მათი სპეციფიკურობა საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში და კონკრეტული როლი როგორც სახალხო მეურნეობის პროპორციულობასა და შეწონასწორებაში, ისე განვითარების ტემპების დაჩქარებაში.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებზე, სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და ეკონომიკური ბერკეტების როლის გაძლიერებაზე. გათვალისწინებულია, რომ უახლეს დროში დამთავრდეს გაერთიანებათა ჩამოყალიბება მრეწველობის ძირითად სამეურნეოანგარიშიან რგოლად, ანუ ამ ხნის განმავლობაში ბოლოდეს მრეწველური წარმოების შიდადარგობრივი კონცენტრაციის დონის ამაღლება და უფრო მეტად განვითარდეს დარგთაშორისი კონცენტრაცია შესაბამისად განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის თანამედროვე ეტაპისადმი.

საბჭოთა ეკონომიკა განვითარების ისეთ ეტაპზეა, როდესაც დი-

დი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარებისათვის სულ უფრო მეტად ხდება საჭირო დარგთაშორისი კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დონის ამაღლება. ღონისძიებათა შორის, რომელიც ამ მიმართულებით გატარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, ყურადღებას იპყრობს სოფლის მეურნეობაში ერთიანი სპეციალიზებული აგროქიმიური სამსახურის შექმნა (საკავშირო საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „სასოფლო-სამეურნეო ქიმია"), რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მინერალური და ორგანული სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების, ნიადაგის მელიორანტების, საკვების დანამატების, ზრდის ნივთიერებათა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სხვა საშუალებების გამოყენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში[6]. ამრიგად, ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დონის ამაღლების ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა აღნიშნული გაერთიანების საპით.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე უშუალოდ ასახავს განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს, იგი ფართო სარბიელს ქმნის ობიექტურ-ეკონომიკური კანონების მოქმედებისათვის, ხოლო ეკონომიკური მეცნიერების განვითარება განაპირობებს ამ კანონების მოქმედების უფრო ღრმად შეცნობას და მათ გამოყენებას სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსი, წარმოადგენს რა სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის განსახიერებას, მოიცავს როგორც საზოგადოებრივი წარმოების ყველა ფაზას, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დარგს როგორც წარმოებრივ, ისე არაწარმოებრივ სფეროში, აგრეთვე ქვეყნის ყველა ეკონომიკურ რაიონს და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობრივ კომპლექსებს.

ამგვარი კომპლექსი შესაძლებელი იყო შექმნილიყო მხოლოდ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, როდესაც წამყვანი როლი ენიჭება საერთო-სახალხო (სახელმწიფოებრივ) საკუთრებას[7].

საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ფუნქციონირებაში, მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის სრულყოფას, მათი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. სწორედ ამაზეა გამახვილებული

---

[6] იხ. გაზ. «Правда», 30. 08. 79.

[7] იხ. В. Черковец. Экономика СССР — единный народнохозяйственный комплекс, газ. «Правда», 20. 10. 78, გვ. 2—3.

ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წ. 22 ივნისის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ. განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე აღარაა საკმარისი ფაქტიური ეკონომიკური თანაბრობა, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურ დონეთა გამოთანაბრება, ახლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს წინაშეც დგას უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა — არსებული მწარმოებლური ძალების უფრო ეფექტური გამოყენება. საქართველომ, განსხვავებით მერვე და მეცხრე ხუთწლედებისა, მეათე ხუთწლედში მიაღწია იმას, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპები უფრო სწრაფი ყოფილიყო, ვიდრე შესაბამისი საშუალო საკავშირო მაჩვენებლები.

ამჟამად საქართველოში, ისე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომლის ხანგრძლივი მოქმედება ეკონომიკურად არ იქნება გამართლებული. საკითხი ეხება იმას, რომ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდა წინ უსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ტემპების ზრდის მიხედვით საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო შრომის მწარმოებლურობის მხრივ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება მას.

1913 წ. რუსეთის მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის დონე ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის დონის 11%-ს შეადგენდა, ხოლო 1979 წ. საბჭოთა კავშირის მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობა გადიდდა 55%-მდე. მიუხედავად დიდი პროგრესისა, ეს სრულებით არაა საკმარისი, მით უმეტეს, ეს დონე სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში უფრო დაბალია. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას, რომ როგორც საბჭოთა კავშირში მთლიანად, ისე მოკავშირე რესპუბლიკების ან ცალკეული ეკონომიკური რეგიონების მიხედვით უახლოეს პერიოდში საგრძნობლად ამაღლდეს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა. ეს კი კომუნიზმზე გადასვლის გადამწყვეტი პირობაა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს, როდესაც ამბობდა, რომ „ეკონომიკის სფეროში საკვანძო ამოცანაა შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს კ ა რ დ ი ნ ა ლ უ რ ი ზ რ დ ა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ მხრივ უმაღლეს მსოფლიო დონეს მივაღწიოთ“[8].

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციის მიღწევათა შო-

---

[8] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წ. 14—15 ივნისი.

რის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ეროვნულ საკითხს. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ეკონომიკურ საფუძველს სოციალისტური საკუთრება, აგრეთვე ეროვნული მეურნეობების განვითარების დონეთა გამოთანაბრების ობიექტური ეკონომიკური კანონის მოთხოვნილებები, საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ჩამოყალიბება წარმოადგენს. სწორედ ამან განაპირობა ერების ფაქტიური ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფა მათი ინტერესების მთლიანი გათვალისწინებით.

რესპუბლიკების ეკონომიკის ყოველმხრივმა განვითარებამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა მწარმოებლურ ძალთა რაციონალურ გაადგილებაში, ბუნებრივი სიმდიდრის გეგმაზომიერ გამოყენებაში, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შრომის სოციალისტური დანაწილების შემდგომ სრულყოფაში.

ყველა ერის შრომითი საქმიანობა გაერთიანებული და შეთანაწყობილია როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების სწორ შეხამებაში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა საქართველო და ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ცალკე აღებული. განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დონის გამოთანაბრების პრობლემა ძირითადად გადაწყვეტილია, ამასთანავე საჭიროა განვითარების ამ ეტაპზე შექმნილი სოციალიზმის შესაძლებლობათა სრული რეალიზაცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გზით უნდა წარიმართოს.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი წარმოების ინტერნაციონალიზაციის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაღრმავებას, ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, საბჭოთა კავშირის ყველა ერის შემდგომ განვითარებასა და დაახლოებას, ამის საფუძველზე ხორციელდება საბჭოთა კავშირში ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკის ერთიანი ხელმძღვანელობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების შემუშავება და განხორციელება, გრძელდება სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესიც, მხოლოდ ახალ თვისებრივ ვითარებაში. ეს უკანასკნელი გამოიხატება არა მარტო მატერიალური სფეროს დარგების საერთო ინდუსტრიალიზაციით და წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლებით, არამედ არამატერიალური წარმოების სფეროს

დარგთა ინდუსტრიული ბაზის შექმნითაც. ამ მხრივ თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურის ინდუსტრიული დონის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის ხვედრი წონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე (1960—1975 წწ.) თითქმის არ შეცვლილა (1960 წ. =8,9%, 1975 წ. =8,3%), არსებითად არ შეცვლილა მისი ხვედრი წონა ძირითად წარმოებრივ ფონდებშიც (1960 წ.=24, 0; 1975 წ.=23,8). მისი გაძლიერება კი შექმნის მატერიალურ პირობებს იმისათვის, რომ არასამუშაო დროის დიდი ნაწილი გადაიქცეს თავისუფალ დროდ, რათა იგი გამოყენებულ იქნეს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

აღსანიშნავია განვითარებული სოციალიზმის აგრარული პოლიტიკა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 50 წლის წინათ, პარტიის XV ყრილობაზე, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის ისტორიაში შევიდა როგორც კოლექტივიზაციის ყრილობა, შემუშავებული იყო სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნის გეგმა მისი წარმოების სოციალისტური კოოპერირების გზით. სწორედ ამ ყრილობაზე პირველად იყო წამოყენებული იდეა სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ შესაძლებლობები ამის განხორციელებისათვის იმჟამად ფრიად შეზღუდული იყო. ამიტომ სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ყველაზე ეფექტურ გზას, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, წარმოადგენდა ე. წ. ტრაქტორიზაცია და შანქანიზაცია.

მართლაც, XV ყრილობის პერიოდისათვის სოფლის მეურნეობაში იყო 25 ათასამდე ტრაქტორი, ძირითად გამწევ ძალას ისევ ცხენი წარმოადგენდა, შრომის ძირითად იარაღს კი მილიონზე მეტი ისეთი პრიმიტიული იარაღი, როგორიც კავი იყო. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ეს იდეა რეალურადაა ხორცშესხმული. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მიმდინარეობს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებით იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს განკარგულებაშია განვითარებული ეკონომიკური და ტექნიკური ბაზა, ძლიერი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1979 წ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყო 2 მლნ. 540 ათასი ტრაქტორი, I მლნ. 568 ათასი სატვირთო ავტომობილი და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. მხოლოდ 1966—1979 წწ.-ში, ანუ 14 წლის განმავლობაში, სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობაში შეადგინა 314,8 მლრდ. მან., ანუ 3,1-ჯერ მეტი ვიდრე 1918—1965 წწ.-ში, ე. ი. 48 წლის განმავლობაში. პირ-

დაპირი მემკვიდრეობა თანამედროვე აგრარული პოლიტიკისა და პარტიის მიერ XV ყრილობაზე აღებული კურსისა ნათლად გამოიხატება ყველა ეკონომიკურ ღონისძიებაში, რომელიც ტარდება სოფლად თანამედროვე ეტაპზე.

ამჟამად ეს კურსი კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემის გადაწყვეტაში, რადგან ეს უკანასკნელი საჭიროა საგრძნობლად ამაღლდეს. სოფლის მეურნეობის ფონდშეიარაღება მრეწველობის დონის 45% შეადგენს, ხოლო თუ ავიღებთ ფონდების აქტიურ ნაწილს, ის არ აღემატება 25%-ს.

განვითარებულ სოციალიზმს არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები შეაქვს მოხმარებისა და დაგროვების ფონდების თანაფარდობაში. მნიშვნელოვნად ამაღლდა ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდების საერთოდ, კერძოდ კი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხვედრი წონა. ეს ორგანულადაა დაკავშირებული სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ, გეგმაზომიერ, პროპორციული განვითარებისა და წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის ობიექტურ-ეკონომიკური კანონების მოქმედებასთან.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1917 წ. თავის კრიტიკულ შენიშვნებში წიგნზე, „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა", მიუთითებდა, რომ მარქსის მიერ გაფართოებული კვლავწარმოების პირობები და დაგროვება წმინდა კომუნიზმის დროსაც რჩება.

როგორც ჩანს, ამ დასკვნამდე ვ. ი. ლენინი მივიდა არა მარტო იმ შრომების შედეგად, რომლებიც მან მიუძღვნა მარქსის კვლავწარმოების თეორიას XIX საუკუნის დამლევს, არამედ მანამდე ჩვენთვის უცნობ ნაშრომში, რომელიც ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა და რომელიც ეხებოდა 1913 წ. გამოქვეყნებულ რ. ლუქსემბურგის წიგნის „კაპიტალის დაგროვების" კრიტიკას.

აღნიშნულ ნაშრომში ვ. ი. ლენინი, იხილავს რა რ. ლუქსემბურგის მიერ წამოყენებულ დებულებას სოციალისტურ საზოგადოებაში მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების შეუდარებლად სწრაფად ზრდის თაობაზე, იძლევა საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციებისათვის დამახასიათებელ მონაცემთა ანალიზს და აკეთებს დასკვნას არა მარტო იმის შესახებ, რომ ლუქსემბურგის ეს დებულება მცდარია, არამედ გვიჩვენებს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წარმოების ამ ორი ქვედანაყოფის განვითარების ტემპები უახლოვდებიან ერთმანეთს და შეთანაწყობილად ქმნიან პირობებს საერთო აღმავლობისათ-

ვის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ზრდისათვის. ვ. ი. ლენინის ამ დებულების ნათელი დადასტურებაა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა, სადაც საზოგადოებრივი წარმოებების ორი ქვედანაყოფის განვითარება ორგანულადაა შერწყმული ერთმანეთთან. მათი აღმავლობა ექვემდებარება ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებას და ხასიათდება დინამიკურობითა და პროპორციულობით.

განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ორგანული შერწყმა. ამის გარეშე შეუძლებელია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მისი მშენებლობის დაჩქარება. ეს განვითარების ისეთი რეალური ფაქტორია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სოციალიზმის მწარმოებლური ძალები თანამედროვე ეტაპზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მხოლოდ 10 წლის განმავლობაში, 1965—1976 წწ.-ში, მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა თითქმის 2-ჯერ, ყოველწლიურად საშუალოდ იქმნებოდა 4 ათასზე მეტი მანქანების, გაწყობილობის, აპარატებისა და ხელსაწყოების ახალი ნიმუშები, მხოლოდ ერთი ხუთწლედის განმავლობაში, 1971—1975 წწ.-ში, წარმოებაში სერიული გამოშვებისათვის ათვისებული იყო 16,5 ათასი დასახელების ახალი სამრეწველო პროდუქცია, მოდერნიზებული იყო 730 ათასზე მეტი საწარმოო გაწყობილობა; 1976—1979 წწ-ში საშუალოდ წელიწადში წარმოებიდან მოხსნილი იყო 1814 მოძველებული კონსტრუქციის მანქანა, გაწყობილობა, ხელსაწყოები და ნაწარმი; 1980 წ. დასაწყისისათვის 75, 3 ათასი დასახელების ნაწარმს მინიჭებული ჰქონდა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. საწარმოთა და დარგობრივი მართვის 4400 ავტომატიზებულ სისტემასთან ერთად მოქმედებდა რამდენიმე საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ავტომატიზებული სისტემა.

მართალია, ჩვენი მასშტაბებისათვის ეს ჯერ კიდევ ბევრი არ არის, ძაგრამ იგი რეალური ბაზაა ამ პროცესის უფრო სწრაფი და ფართოდ წარმართვისათვის. ჩვენ არასოდეს გვქონია მეცნიერებისა და ეკონომიკის ორგანული შერწყმის ამგვარი მონაცემები, რომლებიც ასე მკაფიოდ მეტყველებდნენ საზოგადოებრივი წარმოების რაოდენობრივ და თვისებრივ დინამიზმზე.

განვითარებული სოციალიზმის მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებას წარმოადგენს მიღწეული ეკონომიკური დონე. წარსულში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განპირობებული იყო მწარმოებლური ძალების განვითარების დაბალი დონით. საკმარისია აღინიშნოს, რომ მრეწველობის მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქ-

ციის საგრძნობი ნაწილი, 20—100%, რუსეთს შემოჰქონდა საზღვარ-
გარეთიდან. საერთოდ კი მრეწველური პროდუქციის წარმოების
მხრივ მსოფლიოში მე-5, ხოლო ევროპაში მე-4 ადგილზე ვიყავით.
აქედან საგრძნობი დაახლოება განვითარებული კაპიტალისტური
ქვეყნების მრეწველობის დონესთან, შესაბამისი მატერიალური და
ტექნიკური პირობების შექმნა მათი დონის გადამეტებისათვის უაღ-
რესად აქტუალურ პრობლემად დაისახა ჯერ კიდევ 30-იან წლებში.
აღნიშნული პრობლემის წინ წამოწევა განპირობებული იყო სახალხო
მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციით, მრეწველობის, სოფლის
მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგების
ტექნიკური აღჭურვილობის, წარმოების საშუალებათა წარმოების
უფრო სწრაფი ზრდის აუცილებლობით.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის პრაქტიკულად დასრულებულია
მრეწველობის ძალოვანი აპარატების ელექტროფიკაცია. მრეწველო-
ბის საერთო ენერგოსიმძლავრეში ელექტროძრავებისა და ელექტრო-
აპარატების ხვედრი წონა 90%-მდე გაიზარდა. ახლა ჩვენს ქვეყანაში
ელექტროენერგიის გამომუშავება საგრძნობლად გადიდდა. მისი წინ-
ამსწრები კოეფიციენტი ეროვნული შემოსავლის ზრდასთან შედარებით
1928—1950 წწ-ში შეადგენდა 1,38; 1950—1975 წწ. — 1,28; ხოლო
1970—1980 წწ. —1,2. საბჭოთა კავშირს ამჟამად მსოფლიოში მეორე
ადგილი უკავია ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ.

წარმოებლური ძალების განვითარებაში ამგვარი ცვლილებების
შედეგად შეიქმნა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამან
განაპირობა ის, რომ 40-იანი წლების დასაწყისისათვის საბჭოთა კავ-
შირი მრეწველური პროდუქციის ზოგიერთი სახეობის წარმოების
მხრივ მნიშვნელოვნად დაუახლოვდა, ზოგიერთ სახეობაში გადააჭარბა
კიდეც, მრეწველურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მრეწველობის ეკონომიკური პოტენციალი არა მარტო აღწევს
ევროპის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების დონეს, არამედ
შესამჩნევად აჭარბებს მას. იგი კიდევ უფრო დაუახლოვდება ამერი-
კის შეერთებული შტატების მრეწველობის დონეს. უკვე 1957 წ. საბ-
ჭოთა კავშირს მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის
მხრივ პირველი ადგილი ეკავა ევროპაში და მეორე მსოფლიოში[9];
ხოლო 1978 წ. 23 მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოები-
დან 18 სახეობაში პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში, 5 სახეობაში
კი მეორეზე[10].

---

[9] СССР в цифрах, стат. сб., М., 1958, с. 25.

[10] Народное хозяйство СССР в 1978 г., стат. еже

თუ 20-იან წლებში საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი იყო გაფართოებული კვლავწარმოებისათვის წარმოების საშუალებათა შემოზიდვა საზღვარგარეთიდან, უკვე 30-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, დამახასიათებელი გახდა გაფართოებული კვლავწარმოება საკუთარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების განვითარების ისტორიული და ლოგიკური პროცესი იმას მოწმობს, რომ უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უფრო მაღალი დონეც. მაგრამ, როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების წესი, ე. ი. მწარმოებლური ძალები და წარმოებრივი ურთიერთობანი, ისახება ფეოდალიზმის წიაღში, წინამორბედ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში. ბურჟუაზიული რევოლუცია მთავრდება ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების ხელში აღებით. სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობანი არ შეიძლება აღმოცენდნენ კაპიტალიზმის პირობებში, კაპიტალიზმი მხოლოდ ამზადებს მატერიალურ წანამძღვრებს სოციალიზმზე გადასვლისათვის, მის მთავარ მწარმოებლურ ძალას, ამიტომ სოციალისტური რევოლუცია არ მთავრდება სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში აღებით, ის განაგრძობს ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, ახორციელებს კულტურულ რევოლუციას.

მაშასადამე, კაპიტალიზმს თავიდანვე შეუძლია დაეყრდნოს როგორც ტექნიკურად, ისე სოციალურად უფრო მაღალგანვითარებულ მწარმოებლურ ძალებს, ვიდრე ფეოდალიზმს, ხოლო სოციალისტური რევოლუციის შედეგად გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში, კომუნისტური წარმოების წესის პირველ ფაზაზე, მწარმოებლური ძალები მათი ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების მიხედვით შეიძლება იყოს შედარებით უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ სოციალურად ისინი მაინც შეუდარებლად მაღალ დონეზე არიან. ამიტომაა საჭირო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად, ეკონომიკურად სუსტად, საშუალოდ თუ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ხდება სოციალისტური რევოლუცია. რასაკვირველია, თანამედროვე პირობებში, როდესაც არსებობს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებშიც მაღალგანვითარებული სოციალისტური ქვეყნის დახმარებით ჩქარდება ეს პროცესი, რითაც მცირდება გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე ეს განსხვავება განვითარების ეკონომიკურ დონეში საგრძნობლად მცირდება და იქმნება ეკონომიკური და მატერიალური წინაპირობები ყველაზე მოწინავე მიჯნაზე გადასასვლელად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ისტორიულმა და ლოგიკურმა პროცესმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკურად და ტექნიკურად შედარებით ჩამორჩენილ, მაგრამ დიდი პოტენციის მქონე ქვეყანას გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, მისი განვითარების ადრინდელ ეტაპზე, დროებით შეიძლება ჰქონდეს ტექნიკური ბაზის უფრო დაბალი დონე, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. საერთოდ, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა იყოს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დონეზე. სწორედ ეს ქმნის ობიექტურ პირობებს იმისათვის, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პროცესში შეიქმნას რეალური შესაძლებლობა მწარმოებლური ძალების ისეთი განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ საზოგადოებრივ შრომის მწარმოებლურობას, რომელზედაც მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი და რომლის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება კაპიტალიზმზე. ამ პრობლემის გადაწყვეტაც გამოვიდა უკვე თეორიული ჩარჩოებიდან და ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის პრაქტიკულ ამოცანად გადაიქცა.

„უკანასკნელმა ორმა ათწლეულმა გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა სოციალიზმის სამყაროს შესახებ, უფრო ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და რთულია იგი. ცალკეულ სოციალისტურ ქვეყნებს შორის არის დიდი განსხვავება ეკონომიკაში, კულტურაში, სოციალისტურ ამოცანების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებში“[11].

ამასთანავე ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს გზა უნდა განვლოს ყველა ქვეყანამ, რომელიც დგება სოციალისტური განვითარების გზაზე და რომელიც ეკონომიკური განვითარების დაბალ ან საშუალო დონეზეა. ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის. კი, რომლებიც აგრეთვე დგებიან სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, რასაკვირველია, გარკვეული სპეციფიკურობა იქნება დამახასიათებელი. იქაც წამოიჭრება განვითარებული სოციალიზმის ზოგიერთი რთული ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებული იქნება საზოგადოებრივი წარმოების სოციალიზმის პრინციპებით მართვასთან.

---

[11] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წ., 14—15 ივნისი. გვ. 24.

ამჟამად მრეწველური პროდუქციის წარმოების მხრივ მოსახლეობის ერთ სულზე საბჭოთა კავშირი საგრძნობლად დაუახლოვდა, ზოგიერთი სახეობის მხრივ კი გადააჭარბა კიდეც, ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამის მატერიალური საფუძველი სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდაა, რომელიც 1975 წ. დასაწყისისათვის შეადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი კაპიტალის 70%. ეს ტენდენცია დამახასიათებელი გახდა ეროვნული შემოსავლის წარმოებისთვისაც. ჩვენს ქვეყანაში იქმნება მყარი ეკონომიკური საფუძველი იმისათვის, რომ უახლოეს ისტორიულ პერიოდში გადაწყდეს ისეთი ეკონომიკური პრობლემა, როგორიცაა მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის ყველაზე მაღალი დონის მიღწევა.

ამგვარად, განვითარებული სოციალიზმის აშენებით მნიშვნელოვნად მიეუახლოვდით საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს მიზანს. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი სტადიაა კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანია საზოგადოების თითოეული წევრის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება. სოციალისტური სახელმწიფო მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობაზე, სოციალისტურ შეჯიბრებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ამ პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა განპირობებულია საბჭოთა კავშირის ეკონომიკით. ამასთანავე, მთელი ქვეყნის ფარგლებში ჩამოყალიბებული ერთიანი მეურნეობრივი ორგანიზმი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე მატერიალურ საფუძვლად გადაიქცა. სწორედ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის, ხალხთა მეგობრობის მტკიცე მატერიალური საფუძვლის შექმნის შედეგად უზრუნველყოფილი იქნა ქვეყნის ყველა ერისა და ხალხების ფაქტიური ეკონომიკური უთანაბრობიდან ფაქტიურ ეკონომიკურ თანაბრობაზე გადასვლა.

როდესაც ფაქტიურ ეკონომიკურ უთანაბრობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მწარმოებლურ ძალთა მდგომარეობა, მათი განვითარების არსებული პოტენციური რესურსები და შესაძლებლობანი. 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მრეწველობა როგორც ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურით, ტექნიკუ-

რი აღშურვილობით, ასევე სამუშაო ძალის მდგომარეობით არ წარმოადგენდა საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკის მწარმოებლურ ძალთა არსებითი განვითარების განხორციელება. იმ დროს არსებული მრეწველობის დარგებისა და ცალკეულ საწარმოთა ხასიათი, მრეწველური წარმოების ჩამოყალიბების სისტემა, მისი გეოგრაფიული გადგილება ნათლად მეტყველებდნენ იმაზე, რომ კაპიტალისტურ მეწარმეთა ძირითად საზრუნავს რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება შეადგენდა. გაწყობილობა ტექნიკურად ჩამორჩენილი იყო, ხოლო პროდუქცია უმთავრესად ადგილობრივი ბაზრისათვის იყო განკუთვნილი. მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენილობა, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებებით მხიშვნელოვანწილად მისი შეზღუდულობა განპირობებული იყო ადგილობრივი ბურჟუაზიის სისუსტით, წარსულში კაპიტალისტური წარმოების განუვითარებლობით, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკით. საქართველო უპირატესად გლეხურ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის თითქმის 80% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, ეკონომიკა ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობის მდგომარეობით განისაზღვრებოდა.

ამავე დროს საქართველოს გააჩნდა ყველა საჭირო მატერიალური პირობა მწარმოებლურ ძალთა განვითარებისათვის, ეკონომიკის აღორძინებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ფაქტიური ეკონომიკური უთანაბრობიდან ფაქტიურ ეკონომიკურ თანაბრობაზე გადასვლა ხორციელდებოდა სოციალისტური მეურნეობის განვითარების, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ე. ი. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, და პირველ რიგში მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა რეკონსტრუქციის გზით. ამის შედეგად სოციალიზმის ძირითადად აშენების პერიოდისათვის, 30-იანი წლების შუახანისათვის, საქართველო საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში ერთ-ერთ მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკად გადაიქცა განვითარებული მრეწველობითა და მრავალდარგოვანი ინტენსიური სოფლის მეურნეობით.

განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელია ძირეული ძვრები მწარმოებლურ ძალთა სტრუქტურასა და გაადგილებაში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან შეერთება, ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ფაქტორებისაკენ გადაჭრით შემობრუნება, წარმოების თვისებრივად ახალი დონე და მასშტაბე-

ბი. სწორედ ეს ფაქტორები საშუალებას იძლევა, თანამედროვე ეტაპზე უშუალოდ გადაიჭრას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფის ამოცანები.

ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება სოციალიზმის ობიექტური კანონზომიერებაა. სოციალიზმის მშენებლობის ეტაპზე, ე. ი. 30-იან წლებში, ამ კანონზომიერების მოქმედება უფრო აშკარა ხდება, რაც განპირობებული იყო მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკის დონეთა მნიშვნელოვანი დისპროპორციულობით. მრეწველური პროდუქციის საერთო მოცულობა 1940 წელს 1913 წელთან შედარებით საქართველოში 10-ჯერ გაიზარდა, ხოლო საბჭოთა კავშირში—7,7-ჯერ, 50-იან წლებშიც იყო გარკვეული დისპროპორციულობა, რომელიც თავის სპეციფიკურობით ხასიათდებოდა, ხოლო 60—70-იან წლებში ეს განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდა. ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1913—1940 წწ.

	(1913)[12]
სსრკ	7,7
რსფსრ	8,7
უკრაინის სსრ	7,3
ბელორუსიის სსრ	8,1
უზბეკეთის სსრ	4,7
ყაზახეთის სსრ	7,8
საქართველოს სსრ	10,0
აზერბაიჯანის სსრ	5,9
ყირგიზეთის სსრ	9,9
ტაჯიკეთის სსრ	8,8
სომხეთის სსრ	6,7
თურქმენეთის სსრ	6,7

ამრიგად, თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან (დანარჩენები სსრ კავშირს შემოუერთდნენ 1940 წ). შვიდში (რსფსრ, ბელორუსია, ყაზახეთი, საქართველო, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი) მრეწველური პროდუქციის წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად სჭარბობდა შესაბამის საშუალო მაჩვენებლებს, ხოლო ოთხში (უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი) საშუალოზე უფრო დაბალი იყო.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, სოციალიზმის ძირი-

[12] Народное хозяйство СССР в 1974 г. Стат. ежегодн., 1975, с. 176.

თადად გამარჯვების ეტაპისათვის, 30-იან წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გადადგმული მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დისპროპორციულობის აღმოსაფხვრელად, მათი ეკონომიკური დონის გამოთანაბრებისათვის. ეს პროცესი 60-იან წლებამდე გაგრძელდა. მაგრამ მას (40—60-იან წლებში) თავისი სპეციფიკურობაც ახასიათებდა, რასაც გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით[13]

	1940—1960 წწ. (1940 წ.=1)	1960—1970 წწ. (1960 წ.=1)	1970—1979 წწ. (1970 წ.=1)
სსრკ	5.2	2,3	1,72
რსფსრ	4,9	2,15	1,69
უკრაინის სსრ	3,6	2,3	1,68
ბელორუსიის სსრ	4,2	2,95	2,19
უზბეკეთის სსრ	4,2	2,0	1,80
ყაზახეთის სსრ	7,3	2,6	1,63
საქართველოს სსრ	3,9	2,2	1,80
აზერბაიჯანის სსრ	2,8	1,9	2,04
ლიტვის სსრ	10,3	3,0	1,81
მოლდავეთის სსრ	9,0	2.8	1,94
ლატვიის სსრ	11,0	2,5	1,57
ყირგიზეთის სსრ	6,2	3.1	1,84
ტაჯიკეთის სსრ	4,3	2.3	1,71
სომხეთის სსრ	7,9	2,7	1,96
თურქმენეთის სსრ	3,4	2,0	1,65
ესტონეთის სსრ	11,5	2,4	1,66

თუ 1913—1940 წწ.-ში საშუალო საკავშირო მონაცემებთან შედარებით მრეწველური პროდუქციის წარმოების ზრდაში მაქსიმალური განსხვავება შეადგენდა 2,3, ხოლო ჩამორჩენაში 3,0 პუნქტს, 1940—1960 წწ.-ში ეს განსხვავება იმავე რესპუბლიკების მიმართ შეადგენდა შესაბამისად 2, 7 (თუ 1913—1940 წწ. მაჩვენებლებში წინ უსწრებდა შვიდი რესპუბლიკა, 1970—1979 წწ. საშუალო საკავშირო მაჩვენებელს წინ უსწრებდა რვა—ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ლიტვა, მოლდავეთი, სომხეთი) და 2,4; ამავე დროს 1940—1960 წწ-ში ბალტიისპირეთისა და მოლდავეთის რესპუბლიკებში მრეწველური პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს კანონზომიერი იყო, რადგან აღნიშნული რეს-

---

[13] Народное хозяйство СССР в 1965 г., стат. ежегодн., с. 127; Народное хозяйство СССР в 1972 г., 1972, с. 169; Народное хозяйство СССР за 60 лет, Юбилейный стат. ежегод., 1977, с. 178—180; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 143—144.

პუბლიკები მანამდე არ იყვნენ სოციალისტური წყობილების პირობებში. შემდგომ განვითარებული სოციალიზმის ნიადაგზე ეს განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდა — 1960—1970 წწ-ში მან შეადგინა ზრდაში 0,8, ხოლო ჩამორჩენაში—0,4, 1970—1979 წწ-ში კი შესაბამისად — 0,47 და 0,15. გარკვეული განსხვავება მრეწველობის ზრდის ტემპებში ყოველთვის იქნება. ეს განპირობებულია მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველური განვითარების სპეციფიკურობით. ამასთანავე ცხადია, რომ ყველა რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე შექმნილია მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც საერთო-საკავშირო სამრეწველო ბაზასთან ერთად უზრუნველყოფს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის ყოველმხრივ განვითარებას განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და ფაქტიური ეკონომიკური თანაბრობის მოთხოვნილებების შესაბამისად.

მომწიფებული სოციალიზმი, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, იმით ხასიათდება, რომ გამოთანაბრდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დონე, ანუ იგი მნიშვნელოვნად უახლოვდება ოპტიმალურ მაჩვენებლებს. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ნიშნავს იმას, რომ თითოეულ რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, შრომის რაციონალურ-ტერიტორიული დანაწილების შესაბამისად შექმნილია მრავალდარგოვანი ინდუსტრია, მექანიზებული სოფლის მეურნეობა და მატერიალური წარმოების სხვა დარგები, უზრუნველყოფილია რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარება.

საქართველოს თანამედროვე ინდუსტრია, რომელიც წამყვან როლს ასრულებს რესპუბლიკის მეურნეობაში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკის შესაბამისი დარგები, ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ თანაბარი დონით ხასიათდება. ყველა რესპუბლიკაში ფაქტიურად თანაბარი პირობებია განაწილების პრინციპის სრული რეალიზაციისათვის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. გამოთანაბრების შედეგები კონკრეტულ ასახვას პოულობენ იმ მაჩვენებლებში, რომელნიც გამოხატავენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

საქართველოში ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, თანაბარი ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური პირობებია შექმნილი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობისა და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. რამდენად მაღალი იქნება ეს დონე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული

ყველა არსებული შესაძლებლობა. ამ მხრივ მეათე ხუთწლედში განსაკუთრებით დადებითი შედეგები დაჰყვა ღონისძიებათა იმ სისტემის გატარებას, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით საერთო-საკავშირო დონისაგან მაღალი ჩამორჩენის დასაძლევად.

ეს ღონისძიებები ითვალისწინებდნენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, არსებული ეკონომიკური და მეცნიერული პოტენციალის უფრო რაციონალურ გამოყენებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და წარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერებას, ძირითადი საწარმოო ფონდების, წარმოების სიმძლავრეებისა და ახალ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ნედლეულის კომპლექსურად დამუშავებას. ყოველივე ეს ეხმარებოდა შრომითი რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას[14].

ჩვენი აზრით, განვითარებული სოციალიზმისათვის ეკონომიკურად ძირითადს წარმოადგენს წარმოების კონცენტრაციის, შიგადარგობრივი და დარგთაშორისი ცენტრალიზაციის მაღალი დონე, მსხვილი საწარმოო, რესპუბლიკური და საკავშირო სამრეწველო გაერთიანებათა და აგრარულ-მრეწველური კომპლექსების შექმნა, მათი ეკონომიკის ძირითად რგოლად გადაქცევა. სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური თავისებურებები, მისი ძირითადი ეკონომიკური ნიშნები, ისევე როგორც სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოებისა, შესაძლებელია განვსაზღვროთ შემდეგნაირად: 1. წარმოების კონცენტრაციისა და შიგადარგობრივი და დარგთაშორისი ცენტრალიზაციის მაღალი დონე, წარმოების სრულიად ახალი მასშტაბები; 2. საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მაღალი დონე, ეკონომიკის ყველა რგოლის ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება; 3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი ტემპები, განვითარებული სოციალიზმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ორგანული ერთიანობა, რომელიც სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოებისა და მისი კომუნისტურში გადაზრდის კანონზომიერებად იქცა; 4. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გაფართოება და გაღრმავება; 5. ორ მსოფლიო სისტემას შორის—სოციალიზმსა და კაპიტა-

---

[14] იხ. საქართველოს კომპარტიის ცკ VIII პლენუმის მასალები, გაზ. „კომუნისტი", 28. 12. 77.

ლიზმს—ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრების შემდგომი გაძლიერება.

ვფიქრობთ, რომ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის სწორედ ამ თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა ვახასიათებდეთ საქართველოს ეკონომიკას, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ორგანულ შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებდა. საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ამიერკავკასიის სხვა მოძმე რესპუბლიკებიც—აზერბაიჯანი და სომხეთი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივმა და მეურნეობრივმა გაერთიანებამ ამიერკავკასიის ფედერაციაში, რომელიც 1922 წელს განხორციელდა. შეიქმნა სამი რესპუბლიკის ერთიანი მეურნეობრივი ორგანიზმი. ერთობლივი ძალებით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში 30-იანი წლების შუახანებში მათ ძირითადად ააგეს სოციალისტური საზოგადოება.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანსა და სომხეთში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად შეიქმნა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელმაც განაპირობა ჩამორჩენილი აგრარული საქართველოს განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული, მრავალდარგოვანი კოლექტივიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად გადაქცევა. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საწყის ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა ამიერკავკასიის ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამგვარმა გაერთიანებამ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის ჩამოყალიბებაში, მათ შორის ეკონომიკური კავშირების განვითარებაში, სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთკავშირების გაფართოება-გაღრმავებაში. ამით მომწიფდა შესაძლებლობა და აუცილებლობა შემდგომ ეტაპზე ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის, რამდენადაც მან შეასრულა თავისი ისტორიული როლი.

საქართველო განვითარებული სოციალისტური რესპუბლიკაა. მისი ეკონომიკა 60—70-იან და 80-იან წლებში ვითარდებოდა და ვითარდება რეალური სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის პირობებში. ამასთანავე, დებულება იმის შესახებ, რომ განვითარებული

სოციალიზმის ეკონომიკა საკუთარ საფუძველზე ვითარდება, განსაკუთრებით დამახასიათებელია საქართველოსათვის. ჯერ კიდევ საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რომელიც 1936 წელს იქნა მიღებული, რესპუბლიკის მეურნეობის სოციალისტური სისტემის ეკონომიკური საფუძვლის დახასიათებისას აღნიშნული იყო, რომ იგი ეყრდნობა წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებას მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციის პირობებში. მაგრამ საქართველოს მიერ წინანდელი წყობილებიდან მიღებული მატერიალურ-ტექნიკური მემკვიდრეობა იმდენად სუსტი იყო, რომ უკვე 1940 წლისათვის მრეწველური პროდუქციის 90—100% იწარმოებოდა ახლად აგებულ ან მთლიანად რეკონსტრუირებულ მრეწველურ საწარმოებში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა საქართველოს, ისე როგორც რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას ახასიათებდა ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა—პატრიარქალური, წვრილსაქონლური, კაპიტალისტური, სახელმწიფო კაპიტალისტური და სოციალისტური. 1927/28 სამეურნეო წლისათვის სახელმწიფო სექტორის ხვედრი წონა სამრეწველო პროდუქციაში შეადგენდა—86, 0%-ს, კოოპერაციის—10,0%, კერძო სექტორის—1,0, საკონცესიო—3,0, სოციალისტური სექტორის მთლიანად 96, 0%.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკასა და, პირველ რიგში, მრეწველობაში სოციალისტური სექტორი ამ დროისათვის წარმოადგენდა წამყვანს, მრეწველობის ეკონომიკური ბაზა ჯერ კიდევ საგრძნობლად გამაგრებული არ იყო. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხასიათდებოდა ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობით. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ერთობლივ პროდუქციაში მრეწველური პროდუქცია შეადგენდა მხოლოდ 10, 0%, ხოლო სოფლის მეურნეობის — 90,0%; ამჟამად კი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ერთობლივ პროდუქციაში მრეწველური პროდუქცია შეადგენს 81,0%, ხოლო სოფლის მეურნეობის — 19, 0% (1980 წ.)[15].

მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარება მთლიანად იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ეს იყო რესპუბლიკის ეკონომიკაში მომხდარი სე-

---

[15] გაანგარიშებულია: Грузия в цифрах, 1981, გვ. 42, 62. ციფრები დამრგვალებულია. სოციალიზმის ძირითადად გამარჯვების პერიოდისათვის (1937 წ.) ეს შეფარდება შეადგენდა შესაბამისად 75,0% და 25%.

რიოზული თვისებრივი ძვრები. საქართველოს მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ თუ კაპიტალიზმი ქმნის სოციალიზმის მატერიალურ წინაპირობებს, რომლის ბაზაზე გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ვითარდება სოციალიზმის წარმოებრივი ურთიერთობანი, სოციალისტური საზოგადოება თვით ქმნის საკუთარ ადექვატურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელზეც დაყრდნობითა და განვითარებით იქმნება კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად 56 წლის (1921—1977 წწ.) განმავლობაში აშენდა 1200-ზე მეტი დიდი მრეწველური საწარმო, შეიქმნა 30-ზე მეტი ახალი დარგი და წარმოება.

საქართველოს ეკონომიკას, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიკას, უდავოდ გაცილებით უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლები ექნებოდა, რომ მას არ განეცადა გერმანიის ფაშიზმთან ომის წლებში უდიდესი ზარალი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1945 წელს სსრ კავშირში მრეწველური პროდუქციის მოცულობა 1940 წ. დონის 92%-ს შეადგენდა, ხოლო საქართველოში — 80%, ე. ი. ომის წლებში საქართველოს მრეწველობა მთლიანად შევიწროებული კვლავწარმოებით ხასიათდებოდა[16]. არსებითი დანაკლისი განიცადა შრომითმა რესურსებმა. მაგ., 1939 წლის აღწერით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მამაკაცები შეადგენდნენ 49,9%-ს, ქალები კი—50,1%-ს, ანუ მათ შორის თანაფარდობა თითქმის ტოლი იყო, 1959 წლის მოსახლეობის აღწერით კი მამაკაცები უკვე 46,1%-ს შეადგენდნენ, ქალები — 53,9%-ს, 1979 წელს შესაბამისად 47,1% და 52,9%-ს.

როგორც ვხედავთ, ომის წლებში მამაკაცების რიცხოვნობა საგრძნობლად შემცირდა, შემცირდა აგრეთვე მოსახლეობის ბუნებრივი მატებაც. თუ 1940 წელს ყოველ 1000 კაცზე მატება 18,6-ს შეადგენდა, 1979 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 9,6-მდე იკლო[17].

მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდეგ თითქმის ოთხმა ათეულმა წელმა განვლო, ამ დანაკლისის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური კანონზომიერებანი

---

[16] გერმანულ ფაშიზმთან ომის შედეგად სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 1945 წ. 1940 წ. შედარებით შეადგენდა: სსრკ 92,0; უკრაინის სსრ 26,0; ბელორუსიის სსრ 20,0; ლიტვის სსრ 40,0; ლატვიის სსრ 47,0; მოლდავეთის სსრ 44,0; ესტონეთის სსრ 73,0; საქართველოს სსრ 80,0; აზერბაიჯანის სსრ 78,0; სომხეთის სსრ 93,0; ტაჯიკეთის სსრ 74,0; თურქმენეთის სსრ 87,0%;

დანარჩენ რესპუბლიკებში კი იყო: რსფსრ 110; უზბეკეთის სსრ 110; ყაზახეთის სსრ 140; ყირგიზეთის სსრ 120; (იხ. Народное хозяйство СССР в 1973 г., с. 213. «Известия» 1975, 30. 04, с. 1)

[17] Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 38—39.

რესპუბლიკაში განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა უკანასკნელ წლებში, როდესაც საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი გახდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგების სწრაფი განვითარება.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა ასახულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებული იყო 1977 წ. 7 ოქტომბერს.

გრძელდებოდა რა აღმშენებლობითი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნა ქვეყნის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, სოციალისტური წყობილების სრულყოფა, რის შედეგად სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. „ამ ეტაპზე, — ნათქვამია კონსტიტუციაში,—როცა სოციალიზმი უკვე საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წესწყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით“.[18]

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნილია მძლავრ მწარმოებლურ ძალებთან ერთად მოწინავე მეცნიერება და კულტურა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ეს არის მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელშიც დაახლოებულია ყველა კლასი და სოციალური ფენა, არსებობს ყველა ერის ფაქტიური სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თანასწორობა. ეს მიღწევები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ნიშანდობლივი თვისებებია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სსრ კავშირის მეორე კონსტიტუცია მიღებული იყო სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების პირობებში. იმ დროს საბჭოთა კავშირი იმყოფებოდა კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვაში. განვითარებული სოციალიზმის ახალი კონსტიტუცია კი მიღებულია მაშინ, როდესაც არამცთუ ჩამოყალიბდა, არამედ მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, როდესაც საბჭოთა კავშირის მაგალითით, საკუთარი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით, მრავალი ქვეყანა აშენებს არა მარტო სოციალისტურს, არამედ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას.

ქვეყნის ამ ახალმა თვისებრივმა მდგომარეობამ სერიოზული გავ-

---

[18] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1977, თბ., გვ. 4.

ლენა იქონია მოკავშირე რესპუბლიკების განვითარებაზე. ისინი ორგანულად არიან ჩართულნი სოციალისტური თანამეგობრობის მსოფლიო სისტემის ქვეყნებთან ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა ურთიერთობებში, რამაც მნიშვნელოვანწილად აამაღლა როგორც მათი პასუხისმგებლობა, ისე მათი ავტორიტეტი. ამაში მდგომარეობს საქართველოს ეკონომიკის კიდევ ერთი თავისებურება განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკურ და სხვა სახის ურთიერთობებში საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვება დაემთხვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს, ხოლო განვითარებული სოციალიზმის აშენება 60—70-იან წლებს. არსებითად ეს ერთი თაობის ცხოვრების პერიოდია. ჩვენთვის იგი შედარებით ხანგრძლივი იყო, მაგრამ ისტორიისთვის ეს მეტად მოკლე ვადაა. არც ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო ესოდენ მოკლე, მაგრამ მოვლენებით მდიდარ დროში ძირეული თვისებრივი გარდაქმნები, რომლებმაც მომავლისათვის განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის ყველა ერის შემდგომი განვითარების გზა. ამაშიც მდგომარეობს სოციალისტური წყობილების უპირატესობა.

საქართველოს სსრ ეკონომიკური სისტემა ორგანულადაა შერწყმული და უშუალოდ გამომდინარეობს სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემიდან. მის ეკონომიკურ საფუძველს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება წარმოადგენს. განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა, რომელიც ასახულია ახალ კონსტიტუციაში, ამავე დროს გამომხატველია თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური საკუთრების ფორმების სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარების უმაღლესი საფეხურისა, როდესაც შექმნილია რეალური სოციალურ-ეკონომიკური პირობები სოციალისტური საკუთრების კომუნისტურ საკუთრებად თანდათანობით გადაზრდისათვის.

ამ პროცესმა საქართველოში, ისევე როგორც სსრ კავშირში, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი მოიცვა, დაწყებული საქართველოს პირველი კონსტიტუციიდან (1922 წ.), როდესაც გაუქმდა კერძო საკუთრება მიწაზე, წარმოების ყველა ძირითად საშუალებაზე და ყოველივე ეს მშრომელი მოსახლეობის ქონებად, ანუ საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. ეს დამახასიათებელი იყო საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველი წლების და მთლიანად გარდამავალი პერიოდისათვის, ვინაიდან საქართველოს მეორე კონსტიტუციამ

(1927 წ.) განმტკიცა პირველი კონსტიტუციით დაკანონებული ეკონომიკური საფუძვლები.

უკვე 30-იან წლებში, საქართველოს მესამე კონსტიტუციის მიღებისას (1937 წ.), საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, სოციალიზმის ძირითად გამარჯვებასთან ერთად შეიქმნა მეურნეობის სოციალისტური სისტემა. საზოგადოებრივი წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში გაიმარჯვა სოციალიზმმა, სამუდამოდ იქნა ლიკვიდირებული კაპიტალისტური სისტემა, გაუქმდა საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება, მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები აისახა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში. ახალი (1977 წ.) კონსტიტუციის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ მასში საგანგებოდაა გამოყოფილი მეორე თავი, რომელშიც მოცემულია საქართველოს ეკონომიკის მწყობრი სისტემა, განზოგადოებულია ის სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის მშენებლობის პროცესში. ამგვარი ეკონომიკური სისტემა არ იყო და ვერც იქნებოდა ჩამოყალიბებული ვერც სსრ კავშირის (1936 წ.) და ვერც საქართველოს (1937 წ.) კონსტიტუციებში, ვინაიდან მწარმოებლური ძალების განვითარების იმდროინდელი დონე შედარებით უფრო დაბალი იყო, არ იძლეოდა საშუალებას სახალხო მეურნეობის ეკონომიკური პროცესების კომპლექსურად ასახვისათვის.

ახალი კონსტიტუციის სხვა მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ კონსტიტუციურად განმტკიცებულია ეკონომიკური სისტემის ისეთი არსებითი მხარე, როგორიცაა სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნა, რომლის ორგანულ შემადგენელ ნაწილს საქართველოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსი წარმოადგენს. ამიტომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის, კომპლექსურ განვითარებასა და სრულყოფას.

სსრ კავშირის ეკონომიკის ერთიანი კომპლექსური განვითარების კონსტიტუციური განმტკიცება განპირობებულია იმით, რომ განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე ძირითადად გადაწყვეტილია მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დონის გამოთანაბრების პრობლემა.

რაც შეეხება დებულებას იმის შესახებ, რომ განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელია თავის საკუთარ საფუძველზე განვითარება, ჯერ კიდევ კ. მარქსი ნაშრომში—„გოთას პროგრამის

კრიტიკა“, ახასიათებდა რა სოციალიზმს, ამბობდა, რომ „აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე განვითარდა, არამედ, პირიქით, ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან: ამიტომ, მას ყოველმხრივ, ეკონომიურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა“[19].

რასაკვირველია კ. მარქსი ამას მიაკუთვნებს სოციალიზმის საწყის ეტაპს, როდესაც იგი უშუალოდ გამოდის კაპიტალიზმიდან, როდესაც იგი გაივლის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს. ხოლო სოციალიზმის გამარჯვებისას, განსაკუთრებით მისი საბოლოო გამარჯვებისას და განვითარებული სოციალიზმის აშენებისას იგი ვითარდება თავის საკუთარ საფუძველზე. საკუთარ საფუძველზე განვითარება გამოიხატება როგორც სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებასა და სრულ გამარჯვებაში, ისე შესაბამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში. საკუთარი საფუძველი ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემაა, რომელიც ეყრდნობა: ა. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას, ბ. სოციალისტურ (კომუნისტური) წარმოებრივ ურთიერთობებს და გ. წარმოებისა და შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მართვის სოციალისტურ ფორმებს.

საკუთარ საფუძველზე განვითარება, პირველ რიგში, ნიშნავს სოციალისტურ (კომუნისტური) წარმოებრივ ურთიერთობათა დამყარებას. მაგ., 30-იან წლებში სოციალისტურმა წარმოებრივმა ურთიერთობებმა, რომელნიც ადრე ემყარებოდნენ თითქმის მხოლოდ სოციალისტურ მრეწველობას, დაიწყეს დაყრდნობა სოფლის მეურნეობის სწრაფად მზარდ სოციალისტურ სექტორზე[20]. ხოლო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა, წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებამ საკუთარი ბაზა შექმნა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის[21]. პირველი ხუთწლედის ძირითადი ამოცანის წარმატებით შესრულებამ განაპირობა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის საკუთარი მოწინავე ტექნიკური ბაზის შექმნა[22].

---

[19] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ. 1950, გვ. 16.

[20] КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, ч. II, 1953, с. 594.

[21] იქვე, გვ. 692.

[22] იქვე, გვ. 717.

სოციალიზმის დროს, ჩვენი აზრით, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების არსებობის პირობებში, არ არის თვისებრივად ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც მკვეთრად იყოს განსხვავებული კაპიტალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისაგან, როგორც ეს იყო დამახასიათებელი კაპიტალიზმისათვის ფეოდალიზმთან შედარებით. სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემათა თანაარსებობის პირობებში როგორც სოციალისტურ ქვეყნებში, ისე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მართალია, სხვადასხვა ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა. მაგრამ სოციალისტური საზოგადოება კაპიტალიზმთან შედარებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაცილებით უფრო რაციონალური გამოყენებით ხასიათდება. თუ კაპიტალიზმის პირობებში ტექნიკური ბაზა ანტაგონისტური წინააღმდეგობების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, პირადსა და საზოგადოებრივს შორის დაპირისპირების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს, სოციალიზმის, განსაკუთრებით კი, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ტექნიკური ბაზა სოციალისტური საზოგადოების მთავარ მიზანს, პირადისა და საზოგადოებრივის ერთიანობის, მისი ძირითადი წარმოებრივი ურთიერთობების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ სოციალიზმი ქმნის ეკონომიკურ პირობებს საზოგადოებრივი შრომის ყველაზე უფრო მაღალი დონის მისაღწევად. განვითარებული სოციალიზმის ეს უპირატესობა არსებითია იმითაც, რომ იგი ქმნის პირობებს მომავალში, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პროცესში შეიქმნას თვისებრივად ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ადექვატური იქნება მხოლოდ ამ ახალი საზოგადოებისათვის—კომუნიზმისათვის.

სსრ კავშირის ერთიანი მეურნეობრივი კომპლექსის, მთლიანად მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების გარეშე თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია ისეთი გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოს დაცვა. ეს აუცილებელია, როგორც აღნიშნულია საქართველოს ახალი კონსტიტუციის მე-18 მუხლში, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის.

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე განსაკუთრებული გავლენა მოახ-

დინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა საქართველოს შესახებ.

1972—1981 წლებში პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ექვსი მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლებმაც კეთილსასურველი ზემოქმედება მოახდინეს და ახდენენ როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მის ავტონომიურ რეგიონებში, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწეობის ყველა სფეროში. 1972 წ. 22 თებერვლის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ აღნიშნული იყო სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები რესპუბლიკის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გამოიტანეს რა სწორი პრინციპული დასკვნები აღნიშნული დადგენილებიდან, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო ორგანიზაციებმა და უწყებებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს და განახორციელეს ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელმაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის მკვეთრი აღმავლობა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენა-განმტკიცება, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება. ამის დამადასტურებელია ის მიღწევები ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში, რომელიც აქვს რესპუბლიკას უკანასკნელ წლებში.

მეორე დადგენილება, რომელიც მიღებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1974 წ. 11 იანვარს საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, წარმოადგენს საპროგრამო დოკუმენტს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებისათვის. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ეკონომიკურ პრობლემათა უდიდესმა ნაწილმა გამოხატულება ჰპოვა სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებაში 1976—1980 წლებში, რომელიც მიიღო სკკპ XXV ყრილობამ და რომელიც წარმატებით შეასრულეს საქართველოს მშრომელებმა.

განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის სსრკ მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 29 სექტემბრის დადგენილებას სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების შემდგომი განვითარებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ. მიღებულ ექვს დადგენილებას შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წ. 22 ივნისის დადგენილებას „პარტიის თბი-

ლისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ".

განსხვავებით 1972 წ. 22 თებერვლის დადგენილებისა, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ, აღნიშნულ დადგენილებაში მეცნიერული სიღრმით განზოგადოებულია და მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის 1972—1976 წწ. საქმიანობას, ამავე დროს იგი არა მარტო ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან, არამედ ყველა მშრომელისაგანაც მოითხოვს თვითკრიტიკით, პარტიული და მოქალაქეობრივი დაინტერესებით შეაფასოს მიღწეული დადებითი ძვრები, მიიჩნიოს იმინი დასაწყისად, პირველ ნაბიჯებად რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების გაღრმავებისა და გაფართოების გზაზე.

ამ დადგენილების ძირითადი მიზანი იყო განემტკიცებინა რესპუბლიკური პარტორგანიზაციის პოზიციები ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, მთავარი ყურადღება გადატანილი ყოფილიყო ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების გადასაწყვეტად.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ეკონომიკურ პრობლემებზე. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და შრომითმა კოლექტივებმა ძირითადად დაძლიეს სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც 1971—1972 წლებში იყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. რესპუბლიკის ხელმძღვანელ, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება მიექცა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დონის ჩამორჩენას შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით, რაც კონკრეტულად გამოიხატებოდა მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით ჩამორჩენაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების ისტორიულ მნიშვნელობას საქართველოსათვის წარმოადგენს ის, რომ მასში ნათლად აისახა საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების პროცესები, რომლითაც ხასიათდებოდა რესპუბლიკა 60—70-იან წლებში. ამას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ პირველ ეტაპზე, რომელიც, ჩვენი აზრით, მოიცავს საკმაოდ დიდ პერიოდს, კერძოდ 50-იანი წლების დამლევს, 60-იან წლებს მთლიანად და 70-იან წლების დასაწყისს, ახუ დაახლოებით 15 წელიწადს (1959—1972 წწ.) და რომლის მიჯნას

წარმოადგენს სკკპ თებერვლის დადგენილება (1972 წ.) პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება ეკონომიკური ზრდის ტემპების ჩამორჩენით, ეკონომიკური ზრდის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით რესპუბლიკის შესაბამისი ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირების მყარი ტენდენციით, ეკონომიკის განვითარების თვისებრივი მაჩვენებლების გაუარესებით, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტებით მეურნეობრივი მშენებლობის ხელმძღვანელობაში, შრომის საშემსრულებლო და საგეგმო დისციპლინის დარღვევის მასობრივი მოვლენებით და სხვა ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებით.

მეორე ეტაპზე, რომელიც დაიწყო 70-იან წლებში (1972—1973 წწ). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის, რესპუბლიკის მთელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ გაშლილი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ პირველი ეტაპებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ჩამორჩენილობის საწინააღმდეგოდ მოქმედი ფაქტორები. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებში გამოიკვეთა ზრდის მყარი ტენდენცია. აღნიშნული დადგენილებები, ღონისძიებები და ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისა საქართველოსადმი მოწმობენ იმას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის მთავრობას სრული მხარდაჭერა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საკავშირო მთავრობისაგან მათ მიერ აღებული პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიული ხაზის გატარებაში.

როგორც დასახულ ღონისძიებათა სისტემის ცხოვრებაში გატარება გვიჩვენებს, ეკონომიკის დარგში საქართველოს ეკონომიკური დონის ამაღლება შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი მიმართულებაა. მისი განხორციელების ძირითად გზებს წარმოადგენდა კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენება, მშენებლობის ვადების შემცირება, ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა, ამის საფუძველზე რაიონების (რეგიონების) ეკონომიკური განვითარების დონის გამთანაბრება, ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი მატერიალური წარმოების სფეროში ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ამის საფუძველზე საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლება.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში განსაზოგადოებული მეურნეობის როგორც აბსოლუტურ, ისე ხვედრიწონის ზრდას, საზოგადოებრივი მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას.

აღნიშნული პრობლემების კვლევა უშუალოდ იყო დაკავშირებული მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანასთან, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრულ განხორციელებას.

სწორედ ამისათვის სისტემატურად ტარდება ღონისძიებები საზოგადოებრივი წარმოების მყარი ზრდისა და მისი სტრუქტურის სრულყოფისათვის ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად, ძლიერდება მომჭირნეობის რეჟიმი სახალხო მეურნეობაში, მაღლდება შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ძირითადი ფონდების გამოყენების დონე, ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სრულყოფილ ხდება სახალხო მეურნეობის მართვა და დაგეგმვა და მეურნეობის გაძღოლისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვ. ამასთან, მუშავდება და ხორციელდება გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის ღონისძიებანი.

მეათე ხუთწლედის ამოცანებიდან გამომდინარე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების წინაშე ძირითადი ამოცანები იყო დასმული. მაგ., მრეწველობის განვითარების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება მაღალხარისხოვანი პროდუქციით, წარმოების ყველა დარგში ტექნიკური განახლების და ინტენსიფიკაციის უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის განვითარებაში ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა და უფრო მაღალი რენტაბელობის უზრუნველყოფა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობის ამაღლება, სურსათ-სანოვაგეზე მოსახლეობის და ნედლეულზე მრეწველობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საჭირო სახელმწიფო რეზერვების შექმნა. ძირითადი ამოცანა, რომელიც ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების წინაშე იყო დასმული, მოითხოვდა სახალხო მეურნეობის ტვირთზიდ-

ვასა და მოსახლეობის გადაყვანაზე მოთხოვნილების კიდევ უფრო სრულად და დროულად დაკმაყოფილებას. კაპიტალურ მშენებლობაში ძირითად ამოცანას წარმოადგენდა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების შემდგომი ზრდა და ხარისხობრივი სრულყოფა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი წარმოებრივი სიმძლავრეების რაც შეიძლება მალე ამოქმედებისა და ათვისების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ძირითადი ამოცანების განხორციელება სახალხო მეურნეობის მთავარ დარგებში მიმართული იყო ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამის პრაქტიკულად გადაწყვეტისაკენ.

ამ პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა შრომის სოციალურ-ეკონომიკური და საწარმოო პირობები, ამაღლდა მისი შემოქმედებითი ხასიათი, შემცირდა ხელის, ნაკლებ კვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის შემოსავალი, ამაღლდა მოხმარების დონე და უფრო სრულყოფილი გახდა მისი სტრუქტურა, მეტად დაკმაყოფილდა მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე, უფრო დიდი მასშტაბით ხორციელდება საბინაო მშენებლობა და უმჯობესდება ბინების ხარისხი.

მნიშვნელოვანი საკითხები წყდება მშრომელთა შემოსავლების წყაროების სრულყოფის მიზნით. იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობიდან, დიდდება მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათების გაცემა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე. მნიშვნელოვნად უმჯობესდება სოციალური უზრუნველყოფა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვა. კიდევ უფრო ვითარდება სახალხო განათლება, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის განუხრელი ამაღლებისათვის; დიდი ყურადღება ექცევა თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით მშრომელთა აქტიური დასვენების ორგანიზაციის სრულყოფას.

საერთო-საკავშირო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრა მეათე ხუთწლედში, ისე როგორც მეცხრე ხუთწლედში, ორგანულად იყო შერწყმული მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის განვითარებასა და მწარმოებლური ძალების პროპორციულ და მიზანშეწონილ გაადგილებასთან. მიმდინარეობდა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკასა და ეკონომიკურ რაიონში. აღსანიშნავია, რომ მეათე ხუთწლედის დამლე-

ვისათვის მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი.

როგორც აღნიშნული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე (1978 წ. 19 დეკემბერი), უკანასკნელ წლებში „საქართველოს სსრ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ახასიათებს საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის მყარი, დინამიკური ზრდა, სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, რესპუბლიკის მშრომელთა კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა[23]". ამან განაპირობა ის, რომ შესაძლებელი გახდა კონკრეტულად დასახულიყო ამოცანა, ძირითადად დაძლეულიყო ეკონომიკური ჩამორჩენა შესაბამისი საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან მეთერთმეტე ხუთწლედში, ხოლო საბოლოოდ მეთორმეტე ხუთწლედში[24].

ეს დებულება განმტკიცებული იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ითქვა, რომ „მომავალი ათწლეული (მხედველობაშია 80-იანი წლები.— ა. გ.) უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით საქართველოს სს რესპუბლიკის გარკვეული ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი"[25].

* * *

საქართველოს ეკონომიკური დონის ამაღლებაში, მისი ეკონომიკური პოტენციალის გადიდებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქ. თბილისი—რესპუბლიკის დედაქალაქი, მისი კულტურული და ად-

---

[23] „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი ს მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვებში ჩამოყალიბებული მითითებების შესასრულებლად". სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე 1978 წლის 19 დეკემბერს, გაზ. „კომუნისტი", 21. 12. 78, გვ. 2.

[24] იხ. გაზ. „კომუნისტი" 29. 06. 79, № 149, გვ. 2. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1979 წლის 26 ივნისს.

[25] ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს, თბ., 1981, გვ. 9—10.

მინისტრაციული ცენტრი, რესპუბლიკის ეკონომიკისა და, კერძოდ, მრეწველობის ძირითადი კერა.

ახლა თბილისი ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია საბჭოთა კავშირში, დიდი პერსპექტივები იყო დასმული და განხორციელებული მისი განვითარებისათვის 1976—1980 წლებში. ფრიად აქტუალური გახდა თბილისის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის, განაშენიანების, კერძოდ, სამრეწველო და საბინაო-კომუნალური მშენებლობის, მომსახურე დარგების საწარმოთა პროპორციული ტერიტორიული გაადგილების, ტრანსპორტის ქსელის განვითარების და სხვა პრობლემათა ეკონომიკური ანალიზი და მეცნიერული დასაბუთება. აქტუალური გახდა აგრეთვე თბილისის ბუნებრივი გარემოს, კერძოდ ჰაერის სიწმინდის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, მათი დასვენებისა და გართობის ინდუსტრიის ეკონომიკური პრობლემების შესწავლა.

ამრიგად, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის, როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, დამახასიათებელია მისი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განუხრელი ზრდა. ყოველივე ამის არსებით მხარეს კი წარმოადგენს რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების შემდგომი დაჩქარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება გამომდინარე იქიდან, რომ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკაში ორგანულ ერთიანობაშია.

1982 წ. მაისში საქართველოს კომპარტიის ცკ პლენუმმა განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. პლენუმმა, დაახასიათა რა მდგომარეობა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, აღნიშნა არსებული მიღწევები, აგრეთვე ისიც, რომ რესპუბლიკის მაღალი სამეცნიერო პოტენციალი ჯერ კიდევ მთლიანად არაა გამოყენებული, არასაკმარისია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპები. პლენუმზე ღრმა ანალიზი მიეცა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა განვითარების პრობლემებს, მათ ერთიანობას, ურთიერთკავშირს და წარმოებისა და მეცნიერების ურთიერთზემოქმედებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლს და მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტაში, ხალხის კეთილდღეობის

შემდგომ ზრდაში. ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები იყო დასმული ეკონომიკურ მეცნიერებათა წინაშე რესპუბლიკაში: კერძოდ, მითითებული იყო იმაზე, რომ აუცილებელია მეცნიერულად შემუშავებული იყოს დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის რეგიონალური შეთანაწყობის, ინტენსიფიკაციისა და წარმოების ეფექტიანობის ეკონომიკური ბერკეტების სრულყოფის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები, აგრეთვე მართვის ეკონომიკური პრობლემებისა სახალხო მეურნეობის ყველა დონეზე. პლენუმმა მნიშვნელოვანი ამოცანები დასვა მეცნიერ-ორგანიზატორთა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების სრულყოფისათვის.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრაქტიკასთან კავშირის გაძლიერების აუცილებლობას, მათ მობრუნებას სახალხო მეურნეობის განვითარების საარსებო პრობლემებისადმი.

პლენუმმა არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა მეცნიერებისა და მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფას, განსაკუთრებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც რესპუბლიკის მეცნიერების მთავარი ცენტრის, ავტორიტეტის ამაღლების აუცილებლობას. მთავარი მიზნის მეცნიერულ-კვლევითი, გამოყენებითი, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საპროექტო გადაწყვეტილებების, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში, ცხოვრებაში, სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში დანერგვის საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. გასაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექხიკური პროგრესის მიმართულებით მუშაობის კოორდინაციის სისტემის შემუშავებას. ამ მიზნით შექმნილია მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი. პლენუმმა ამასთანავე განსაზღვრა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები საქართველოს სახალხო მეურნეობაში XI ხუთწლედში[26].

---

[26] ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება VI პლენუმზე. 1982 წლის 14—15 მაისი. გაზ. „კომუნისტი“, 05. 06. 82.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სოციალისტური კვლავწარმოების ინტენსიფიკაციის გადამწყვეტი ფაქტორია როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე რეგიონალური მასშტაბით.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარებაში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ტექნიკური პროგრესის სტადია განვლო, რაც განპირობებული იყო მწარმოებლური ძალების განვითარების მიღწეული დონით.

საბჭოთა მთავრობა, ახორციელებდა რა ტექნიკურ პროგრესს, სულ უფრო ფართო ღონისძიებებს ატარებდა მრეწველობაში, მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების დანერგვისათვის. უფრო სწრაფად და ფართოდ მიმდინარეობდა მოძველებული მანქანა-დანადგარების შეცვლა-განახლება. ამ პროცესს წინ უძღოდა მძიმე და მსუბუქი მრეწველობისათვის ახალი მანქანა-დანადგარების უფრო მეტი რაოდენობით წარმოება, მანქანათმშენებლობის დარგებისათვის ავტომატური ხაზებისა და ავტომატური აგრეგატების შექმნა. იქმნებოდა სათანადო ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებები. წარმოებაში ფართოდ ინერგებოდა მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესები. ერთდროულად ეარსებითი ღონისძიებები ტარდებოდა მშენებლობის ტექნიკისა და ორგანიზაციის სრულყოფისათვის, რომელიც პირობებს ქმნიდა სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის გაღრმავებისათვის, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირებისათვის; იქმნებოდა რეალური პირობები, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობასა და მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უფრო ჩქარი დანერგვისათვის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების დონის მნიშვნელოვნად ამაღლებისათვის.

წარმოების კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელი

ზრდა, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ყველაზე უახლესი, თანამედროვე პირობების გათვალისწინება და ამის ბაზაზე საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ყოველმხრივი ამაღლება ტექნიკური პროგრესის კონკრეტულ შედეგებს წარმოადგენენ. საბჭოთა მთავრობა სოციალისტური მშენებლობის ყოველ ეტაპზე შეუნელებელ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განუწყვეტლივ ზრდას, მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნას, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ტექნიკურ სრულყოფას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას.

მრეწველობაში და მშენებლობაზე ინერგებოდა ათასობით ახალი, უფრო თანამედროვე სახეობის მანქანები, მექანიზმები, აპარატები და სხვა დანადგარები, ახალი ტექნოლოგიური პროცესები, ე. წ. მეცნიერებატევადი, ე. ი. ყველაზე თანამედროვე, ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის მომთხოვნელი პროდუქციის წარმოების ხვედრი წონა[1].

მნიშვნელოვნად ამაღლდა მექანიზაციის დონე განსაკუთრებით მძიმე და შრომატევად სამუშაოებზე. ეს პროცესები კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდნენ სამთო, ქიმიურ, ნავთობის, ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკულ, მანქანათმშენებლობის, ხე-ტყის და სხვ. მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებში, ამაღლდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე და გაუმჯობესდა მისი ტექნოლოგია. განხორციელდა ტრანსპორტის ძირითადი სახეების ტექნიკური რეკონსტრუქცია.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ღონისძიებებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოების ზრდას, გაწყობილობის მასობრივ მოდერნიზაციას, ნაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოების განვითარებას, ტექნიკური ინფორმაციის გაუმჯობესებასა და წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ტექნიკური პროგრესის მიღწეული წარმატებების შედეგად 50-იან წლებში სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა პირველად საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და პირველი კოსმოსური რა-

---

[1] ასეთ პროდუქციას მიეკუთვნება: ზოგიერთი ქიმიკატი, განსაკუთრებით პლასტიკური მასა და სინთეზური ბოჭკო, მანქანათმშენებლობის ბევრი ნაწარმი, კერძოდ ავტომობილების, ელექტრონული ტექნიკის, რადიომიმღებების, მაგნიტოფონების, ელექტროენერგიის (განსაკუთრებით ატომურ სადგურზე), ქაღალდისა და სხვა მაღალტექნიკური პროდუქციის წარმოება.

კეტების გაშვებისათვის, აგრეთვე ბირთვული ატომური ენერგიისა და რეაქტიული ტექნიკის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს წარმოების ორგანული შედგენილობის ზრდა. ეს გამოხატულებას პოულობს მატერიალური წარმოების ყველა დარგის შუშამოსამსახურეების რიცხობრივ ზრდასთან შედარებით წარმოებრივი ფონდების უფრო სწრაფი ზრდით. თუ ამას კ. მარქსის ფორმულის მიხედვით (C:V) გამოვხატავთ, მივიღებთ შემდეგ შეფარდებებს[2].

	სსრკ	საქართველოს სსრ
1959 წ.	1 0.54	
1966 წ.	1 0.44	
1972 წ.	1 0,39	1 0,54
1977 წ.	—	1 0,49

ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოვხატოთ აგრეთვე შეფარდებებით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მატერიალურ დანახარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს შორის:

C (V + m)[3]

	სსრკ	საქართველოს სსრ
1960 წ.	1 0.91	1 0.98
1965 წ.	1 0.85	1 0,97
1970 წ.	1 0,82	1 0,85
1975 წ.	1 0.72	1 0.82
1979 წ.	1 0,74	1 0,81*

* 1980 წ.

[2] გაანგარიშებულია შემდეგი წყაროების მიხედვით: Народное хозяйство СССР в 1960 г., М., 1961, с. 144; Народное хозяйство СССР в 1967 году, М. 1968, с. 112; Народное хозяйство СССР в 1973 г. М., 1974, с. 57; Межотраслевой баланс производства и распределения продукции в народном хозяйстве Грузинской ССР за 1977 год, с. 5,8.

[3] გაანგარიშებულია შემდეგი წყაროების მიხედვით: Народное хозяйство СССР в 1970 г., М., 1971, გვ. 60, 533; საქართველოს სახალხო მეურნეობა 1967 წ. თბ., 1968, გვ. 20. Грузинская ССР в цифрах в 1975 году, Тб., 1976, გვ. 207—208; Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный стат. сб., М., 1977, с. 80, 485;

«Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября». Юбилейный стат. сб., Тб., 1977, с. 26, 149; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 51, 405.

მოტანილი სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში მატერიალური დანახარჯების ყოველ მანეთზე ეროვნული შემოსავალი მოდიოდა (მანეთობით):

	სსრკ	საქართველოს სსრ
1960 წ.	0,91	0,98
1965 წ.	0,85	0,97
1970 წ.	0.82	0.85
1975 წ.	0.72	0,82
1979 წ.	0,74	0,81

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მატერიალური დანახარჯების ხვედრი წონის ზრდა, რაც აგრეთვე მოწმობს წარმოების ორგანული შედგენილობის ზრდას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ეს მონაცემები განსხვავებულია. ამის მიზეზია საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის შედარებით უფრო დაბალი დონე, რაც იწვევს შრომის დანახარჯების ზრდას. საერთოდ კი აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა ტექნიკური აღჭურვილობა მთელს საზოგადოებრივ წარმოებაში როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე მის ეკონომიკურ რეგიონებში, კერძოდ საქართველოში. მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივ წარმოებაში (მატერიალური დანახარჯებისა და ეროვნული შემოსავლის შეფარდებებიდან) წარმოების ორგანული შედგენილობა თავისი დონით, განსაკუთრებით 60—70-იან წლებში, რამდენადმე ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებს, რასაც განსაკუთრებული ობიექტური მიზეზები განაპირობებდნენ. ამაზე მსჯელობა გვექნება შემდგომ[4].

აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოების ორგანული შედგენილობის ზრდა არაა თვითმიზანი. იგი რაციონალური (ოპტიმალური) უნდა იყოს. მატერიალური და შრომითი დანახარჯები წარმოებული ეროვნული შემოსავლის ერთეულზე კი არ უნდა იზრდებოდეს, არამედ უნდა მცირდებოდეს. ამაშია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არსი.

სკკპ XXVI ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ „საუკეთესო

---

[4] საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აქციონერული საზოგადოების მრეწველობაში, რომელიც წარმოადგენს მრეწველობაში ფუნქციონირებული კაპიტალის 75—80%, კაპიტალის ორგანული შედგენილობა იყო: 1960 წ. 3,0 1; 1970 წ. 4,2 : 1. ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალის ორგანული შედგენილობა გადამუშავებულ მრეწველობაში უდრიდა 1947 წ. 7,9 : 1; 1969—13,1: :1 (იხ. 197, გვ. 126).

მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით ეროვნული შემოსავლის ერთეულზე ჩვენ მეტ ნედლეულსა და ენერგიას ვხარჯავთ. მაშასადამე, არის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გავზარდოთ საბოლოო პროდუქციის წარმოება უკვე არსებული რესურსების ხარჯზე"[5]. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო განვითარების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით კი ძომწიფებული სოციალიზმის სტადიაზე, დიდ მზრუნველობას იჩენს და ყურადღებას აქცევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმდინარეობას.

50-იანი წლების პირველ ნახევარში მატერიალური წარმოების ძთავარ დარგებში ძირითადი წარმოებრივი პროცესების მექანიზაციის დონის არსებით ზრდასთან ერთად ტექნიკური პროგრესი მეტწილად გამოხატულებას პოულობდა წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებაში. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ამას თავისი სპეციფიკურობაც ახასიათებდა. მაგ., რკინიგზის ტრანსპორტზე ეს პროცესი დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონის ზრდასთან ერთად გამოიხატებოდა საერთო ტვირთბრუნვაში ორთქლმავლის ელექტრონული წევის თბომავლური წევით მნიშვნელოვანი შეცვლით.

50-იან წლებში შექმნილი იყო აუცილებელი წანამძღვრები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტემპების საგრძნობი ზრდისათვის, ტექნიკური პროგრესის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში გადაზრდისათვის, მეცნიერებისა და წარმოების ორგანულად შეერთებისათვის, მეცნიერების სოციალისტური (კომუნისტური) საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევისათვის.

ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ეს პროცესი კონკრეტულად გამოიხატებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ტექნიკური სრულყოფით. მატერიალური წარმოების სფეროს მთავარ დარგებში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სხვ. ხორციელდებოდა ღონისძიებები წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციის საფუძველზე მძიმე შრომის ლიკვიდაციისათვის. მასობრივად იცვლებოდა მოძველებული დანადგარები. ხდებოდა მათი მოდერნიზაცია, ინერგებოდა მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესები. უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობით და უფრო მოკლე ვადებში ინერგებოდა წარმოებაში და ჩქარდებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და აღმოჩენების ათვისება.

---

[5] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 62—63.

ელექტროფიკაციის განვითარებამ განაპირობა წარმოების სპეციალიზაციისა და ავტომატიზაციის დაჩქარება. რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტზე ძირითადად მთავრდებოდა გადასვლა ნაკლებად ეკონომიური ორთქლმავლის ძრავებიდან ელექტრულ, დიზელურ და გაზოტურბინულ, ხოლო საჰაერო ფლოტში ტურბოხრახნულ, და ტურბორეაქტიულ ძრავებზე.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ქიმიური მრეწველობის განვითარებამ. იმ პერიოდში მიმდინარე არსებითმა თვისებრივმა ცვლილებებმა მწარმოებლური ძალების განვითარებაში მნიშვნელოვნად დააჩქარეს ტექნიკური პროგრესის ტემპები. ტექნიკური პროგრესი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა სოციალისტური აღწარმოების ტემპების დაჩქარებისა და მისი თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის.

მაგრამ ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში განსაკუთრებულ სირთულესაც ვხვდებით. ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, მისმა გადაზრდამ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში[6] მოითხოვა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოთა ორგანიზაციის ძირფესვიანი გაუმჯობესება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უფრო რაციონალური გამოყენება მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, ახალი მანქანა-დანადგარების შექმნის ვადების მნიშვნელოვანი შემცირება, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება, ახალი, უფრო ეფექტური მასალების მოპოვება და მათი წარმოებაში შემჭიდროებულ ვადებში დანერგვა.

უკვე 60-იანი წლების პირველ ნახევარში ახალი ტექნიკის შექმნისა და მისი წარმოებაში დანერგვისას აღარ იყო საკმარისი მიღწევები მიმართული მხოლოდ წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდისაკენ, არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა შრომის მწარმოებლურობის ზრდას, მუშაკთა შრომითი პირობების გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და მისი თვითღირებულების შემცირებას.

მექანიზაციის ფართო დანერგვა გადაიქცა აუცილებელ პირობად როგორც წარმოებისა და მშენებლობის გეგმების დროულად და წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც მოითხოვდნენ დიდი მოცულო-

---

[6] მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დახასიათებისას გამოვდიგართ იმ დებულებიდან, რომ ცნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიდრე ტექნიკური პროგრესი. ტექნიკური პროგრესი წინაპირობაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა, ხოლო შემდგომ ორგანულად ერწყმის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ბის ტვირთზიდვას, ისე მძიმე და მავნე სამუშაოებზე ხელით შრომის მანქანური შრომით შეცვლისათვის. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიების გატარებით ცდილობდა სამეცნიერო და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის გადაელახა ტექნიკური კონსერვატიზმი, რომლის აღმოცენებას ხელს უწყობდა წარმოების ძველი მეთოდებისადმი შემგუებლური დამოკიდებულება, ახალი ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებული სიძნელეები, არასახელმწიფოებრივი, არასაერთო სახალხომეურნეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე და სხვ. ეს წინააღმდეგობები არ წარმოადგენენ გადაულახავ შეფერხებებს სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზაზე.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მრეწველური საწარმოებისა და მშენებლობის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების სპეციალისტთა მატერიალური სტიმულირება.

ეს ფაქტორი ჯერ კიდევ სუსტად იყო გამოყენებული ახალი ტექნიკის შექმნისა და მისი წარმოებაში დანერგვისათვის. ნაკლოვანებებს ამ საქმეში შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მოეყენებინა საზოგადოებრივი კვლავწარმოების მთელი პროცესისათვის. ამასთანავე 60-იან წლებამდე მოქმედი წესი, საწარმოებში ეკონომიკური სტიმულირებისა და წარმოების განვითარების ფონდის შექმნის თაობაზე, არ ითვალისწინებდა რაიმე უპირატესობას იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ამზადებდნენ უფრო სრულყოფილ პროდუქციას. პირიქით, ყველა დამატებითი დანახარჯი, დაკავშირებული ახალი მანქანებისა და დანადგარების წარმოებასთან, შედიოდა ამ მანქანებისა და დანადგარების თვითღირებულებაში, ეს კი იმ დროს არსებულ ფასქმნადობის პირობებში, არაიშვიათად, ამცირებდა ახალი ტექნიკის მწარმოებელ საწარმოთა რენტაბელობას. გარდა ამისა, მაღალ ფასებს აღნიშნულ პროდუქციაზე შეეძლო დაბრკოლება შეექმნა ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ამ ტექნიკის მომხმარებელ საწარმოებში.

ახალი ტექნიკის განვითარებისათვის საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირებისა და მუშაკთა მატერიალური დაინტერესების მიზნით საბჭოთა მთავრობამ შესაბამისი ცვლილებები შეიტანა საწარმოს განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების საქმეში. კერძოდ, შეიცვალა ახალი ტექნიკის ათვისებაზე დანახარჯების ანაზღაურებისა და მასზე ფასების დადგენის წესები. ახალი ტექნიკის შექმნასთან დაკავშირებით დავალებათა შესრულებისათვის შემოღებულ იქნა მრე-

წველურ საწარმოთა, მშენებლობის, ტრანსპორტის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკებისათვის პრემირების სისტემა.

მრეწველობის ყველა დარგში ზეგეგმური მოგებიდან დგინდებოდა ახალი, უფრო გაზრდილი მოცულობის ანარიცხები საწარმოო ფონდში. გარდა ამ ზომებისა, გატარდა გარკვეული ცვლილებები ახალ პროდუქციაზე ფასქმნადობის ხაზითაც. ახალი პროდუქციის მომხმარებელმა საწარმოებმაც მიიღეს გარკვეული ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა, კერძოდ, შემცირდა საწარმოო დანახარჯები, გაუმჯობესდა გამოშვებული ნაწარმის ხარისხი, შემსუბუქდა შრომის პირობები.

პრემირება ახალი ტექნიკის სამუშაოთა შესრულებისათვის მათი სახალხო მეურნეობაში მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით ხდებოდა: ა. ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი და ეკონომიკურად ეფექტური მანქანების, მექანიზმების, აპარატების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაწარმის, ახალი სახის ნედლეულისა და მასალების შექმნისა და დანერგვისათვის, აგრეთვე ახალი მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესებისა და სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდების დამუშავებისა და დანერგვისათვის; ბ. კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრობლემათა გადაწყვეტისა და დანერგვისათვის, წარმოების ელექტროფიკაციისა და მოქმედი გაწყობილობის მოდერნიზაციისათვის; გ. შენობებისა და ნაგებობების აწყობისა და მონტაჟის, მექანიზებული ნაკადური პროცესების დამუშავებისა და დანერგვისათვის, ახალი, ეკონომიკურად ეფექტიანი სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების დანერგვისათვის, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფით ახალი მშენებლობისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის პროექტების შექმნისათვის; დ. გადაზიდვებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციის მაღალმწარმოებლური მეთოდების დამუშავებისა და დანერგვისათვის; ე. სხვა სახის სამუშაოებისათვის ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის, თეორიული და ძიებითი სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის.

ცენტრალიზებული საპრემიო ფონდიდან ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის გატარებულ სამუშაოებზე სახსრები იხარჯებოდა იმ მუშაკთა წახალისებისათვის, რომლებიც ახორციელებდნენ მნიშვნელოვან დავალებებს ახალი ტექნიკის სფეროში, გათვალისწინებულს შესაბამისი სამეურნეო ორგანოებისა და უწყებების სახალხომეურნეობრივი და წლიური გეგმებით, ხოლო საწარმოთა (ორგანიზაციების) სახსრები იმ სამუშაოთა შესრულების წახალისებისათვის,

რომელიც გათვალისწინებულია ახალ ტექნიკაზე საწარმოს წლიური გეგმებით, შესაბამისად იმ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან, რომელიც მიიღება აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების შედეგად ამა თუ იმ საწარმოებში (ორგანიზაციაში). პრემია ეძლეოდათ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშებს, ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკებს და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ახალი ტექნიკის შექმნასა და დანერგვაში.

ამრიგად, 60-იანი წლების დასაწყისში არსებითი ღონისძიებები ტარდებოდა ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაში.

ამასთან ერთად ხდებოდა ისეთი ცალკეული მოვლენების დაგმობა, როდესაც ახალი ტექნიკის ათვისებაზე აქტიურად მომუშავე საწარმოს კოლექტივი მატერიალური ანაზღაურების მხრივ აღმოჩნდებოდა უფრო უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის საწარმოები, რომელთა კოლექტივი აწარმოებდა მოძველებულ ტექნიკას, აგრეთვე ისეთი მოვლენებისა, როდესაც სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით წყვეტდნენ ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის დიდ პრობლემებს, პრაქტიკულად შრომის ანაზღაურებაში არავითარი მატერიალური უპირატესობა არ ჰქონდათ.

ტექნიკური პროგრესის ტემპებს აფერხებდა იმ დროს არსებული მრეწველობის მართვისა და დაგეგმვის არასრულყოფილი ორგანიზაციული ფორმებიც. სახალხომეურნეობრივ გეგმებში არ იყო გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის საქმეში, რომელთაც საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს აძნელებდა სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებას, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებას, ახალი მანქანების შექმნისას დარგთაშორისი კოოპერირებული მიწოდების ორგანიზაციას, აგრეთვე შესრულების შემოწმებასა და კონტროლს. სუსტად იყო კოორდინირებული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და საწარმოთა მუშაობა უმნიშვნელოვანესი ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოწესრიგებას და მოწინავე გამოცდილების გაზიარებას. გამომდინარე აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და ტექნიკუ-

რი პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების აუცილებლობიდან, საბჭოთა მთავრობამ გაატარა მრავალი ღონისძიება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისა და დაგეგმვის სრულყოფის, ქვეყნის მწარმოებლური ძალების განვითარების თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის. წარმოების ტექნიკური სრულყოფა, წარმოებული პროდუქციის სწრაფი ზრდა, მისი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება, მშენებლობის დაჩქარება და გაიაფება გადაიქცნენ სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებად, ხოლო ტექნიკის შექმნაზე უმნიშვნელოვანეს სამუშაოებზე დავალებები, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, სახალხომეურნეობრივი გეგმების ორგანულად შემადგენელი ნაწილი გახდა.

ახალი ტექნოლოგიური პროცესების, მანქანების, მექანიზმების, სამშენებლო კონსტრუქციების დამუშავებისას საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, შესაბამისი უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, პირველ ყოვლისა გამოდიოდნენ საზოგადოებრივი შრომის, მატერიალური და ფინანსური სახსრების უფრო რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების აუცილებლობიდან, პროდუქციის წარმოების ზრდის, მისი ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების უზრუნველყოფის, შრომის მწარმოებლურობის ზრდის, მუშაკთა შრომის შემსუბუქებისა და გაჯანსაღების, ტექნიკური უშიშროების დაცვის, მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფების, კაპიტალური დაბანდებების გამოსყიდვის ვადების შემცირებიდან.

შესამჩნევად გაუმჯობესდა ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე წარმოების სპეციალიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ღონისძიებათა დაფინანსება. ამავე მიზნით, მაღლდებოდა როგორც საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების, ისე აღნიშნული დარგებისა და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკების მატერიალური დაინტერესება.

ერთდროულად, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მის მორალურ მხარეს. კერძოდ, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, რომლის მთავარი შინაარსი იმ დროისათვის გახდა პროდუქციის გამოშვებაში სახალხომეურნეობრივი გეგმის გადაჭარბება, მისი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდა,

დაძველებული გაწყობილობის მოდერნიზაცია, ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა. საწარმოთა და მშენებლობათა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი გახდა ახალი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის გეგმური დავალებების შესრულება.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების განსაკუთრებულ პირობას წარმოადგენდა სამშენებლო ორგანიზაციების ისეთი რეკონსტრუქცია, გაფართოება და ტექნიკური აღჭურვა, რომელიც უზრუნველყოფდა მრეწველური საწარმოსა და მატერიალური სფეროს დარგთა სხვა ობიექტების დაჩქარებულ მშენებლობას. მოქმედი ქარხნების, მაღაროების, ფაბრიკებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა რეკონსტრუქციისას ინერგებოდა ახალი ტექნოლოგური პროცესები, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები. ხდებოდა ძველი გაწყობილობის მოდერნიზაცია და შეცვლა. გამოიყენებოდა ნედლეულის ახალი, უფრო ეფექტური სახეები, უმჯობესდებოდა მათი კომპლექსური გადამუშავება.

განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ტექნოლოგიური პროცესები შავ და ფერად მეტალურგიაში, ქიმიურ, ნავთობისა და გაზის, ქვანახშირის და სამთამადნო მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, საშენ მასალათა, მსუბუქ, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგებში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებით, საერთო ღონისძიებების გატარებასთან ერთად, პირველ რიგში ყველაზე სრულყოფილი მანქანა-დანადგარებით აღიჭურვებოდნენ მრეწველობის მანქანათსამშენებლო და ქიმიური დარგები, რომლებიც სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენენ.

ტექნიკური პროგრესის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში გადაზრდის ტექნიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო ბაზის შექმნაში უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული ბაზის გაძლიერება, წვრილი და ერთმანეთის შემცვლელი სპეციალური, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური და საპროექტო ბიუროების გაერთიანება და მძლავრი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნა. უკანასკნელნი ძირითადად იქმნებოდნენ იმ საწარმოებში, რომლებსაც წამყვანი ადგილი ეკავა ახალი, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი გაწყობილობის შემუშავებაში და რომლებსაც არსებითად პასუხისმგებლობაც ეკისრებათ სათანადო დარგის ტექნიკური დონის ამაღლებაში.

საბჭოთა სახელმწიფო ტექნიკური პროგრესის ძირითად საშუალებად მიიჩნევს საწარმოო პროცესების კ ო მ პ ლ ე ქ ს ურ მ ე ქ ა-

ნიზაციას და ავტომატიზაციას, როგორც საზოგადოებრივი შრომის ზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს.

წარმოების მექანიზაციას, კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას სოციალიზმის (კომუნიზმის) პირობებში აქვს არა მარტო ეკონომიკური, არამედ უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც. იგი პასუხობს მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ამსუბუქებს და ძირფესვიანად ცვლის შრომის ხასიათს, ამაღლებს მის მწარმოებლურობას, ქმნის პირობებს სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებისა და ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობისათვის.

წარმოების ავტომატიზაციის თვისებრივ თავისებურებას 60-იან წლებში წარმოადგენდა ის, რომ თუ წინათ ამოცანა წყდებოდა ცალკეული აგრეგატების, ოპერაციებისა და საამქროების ავტომატიზაციის მიხედვით, ახლა სამუშაოები ძირითადად თავმოყრილია წარმოების კონტროლის ავტომატიზაციის განხორციელების მიმართულებით, ხოლო წარმოების პროცესების ავტომატურმა რეგულირებამ და მართვამ ჯერ კიდევ არ მიიღო ფართო გამოყენება. სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციები სუსტად მუშაობდნენ ავტომატიზაციის კომპლექსური სქემებისა და მისი საშუალებების შექმნაზე.

აღნიშნულმა სამუშაოებმა ვერ მიიღეს სათანადო გაქანება როგორც ცალკეული ინსტიტუტებისა და საწარმოთა მოქმედების დაქსაქვის, ისე იმ სერიოზული ნაკლოვანებების გამო, რომლებიც არსებობდა წარმოების ავტომატიზაციის სამუშაოთა შესრულების კოორდინაციასა და დაგეგმვაში. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოები მნიშვნელოვნად ფერხდებოდა ხელსაწყოების, ელექტროტექნიკური განწყობის, მექანიზაციის, ავტომატიზაციის, შიდასაქარხნო ტრანსპორტის საშუალებების, წარმოების მოცულობათა სიმცირის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი[1] და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების (რომელნიც მოწოდებულნი იყვნენ მათი შემუშავებისათვის) სუსტი განვითარების გამო[7].

გამომდინარე აქედან საბჭოთა მთავრობა, სამეურნეო ორგანიზაციები, მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის ცალკეული საწარმოები ახორციელებდნენ აუცილებელ ღონისძიებებს ხელით

---

[7] ავტომატიზაციას. როგორც წმინდა ტექნიკურ მოვლენას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცნება (ტერმინი) „ავტომატიზაცია" პირველად ჩაისახა აშშ-ში XIX საუკუნის 40—50-იან წლებში, როდესაც საავტომობილო მრეწველობაში ფართოდ გადაიდნენ დეტალების მექანიკური დამუშავებისას ავტომატურ დაზგათა ხაზზე.

შრომის ლიკვიდაციისათვის წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ბაზაზე, ეს ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, ტარდებოდა ყველაზე მძიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის შავ და ფერად მეტალურგიაში, ქიმიურ, ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, საშენ მასალათა, მსუბუქ და კვების მრეწველობაში, აგრეთვე მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას სოფლის მეურნეობაში, როგორც მისი შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას. გაძლიერდა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ახალი ტექნიკით აღჭურვის ტემპები წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის. ამის საფუძველზე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების ვადების მნიშვნელოვანი შემცირება, სოფლის მეურნეობრივი წარმოების კულტურის, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და ამ დარგის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

სოფლისმეურნეობრივი წარმოების მექანიზაციის განვითარებაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა ტრაქტორებისა და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამუშაო სიჩქარეების ამაღლება. იქმნებოდა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ახალი სახეობანი. ამან კი მოითხოვა სატრაქტორო და სოფლისმეურნეობრივ მანქანათმშენებლობაში საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული ბაზის განვითარება. იქმნებოდა რეალური პირობები იმისათვის, რომ წარმოებულიყო და სოფლის მეურნეობას სულ უფრო მეტი ოდენობით მიეღო ტრაქტორები, მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სოფლის მეურნეობის ყველა სახის სამუშაოების კომპლექსურ მექანიზაციას მეცხიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიური პროცესების საფუძველზე.

წარმოების ავტომატიზაციის დარგში ძირითადი ყურადღება გამანვილებული იყო ცალკეული საწარმოო ოპერაციების ავტომატიზაციიდან მთლიანად ავტომატიზებული ტექნოლოგიური პროცესების საამქროებისა და საწარმოების შექმნის ამოცანის გადაწყვეტაზე. აღნიშნული პროცესი, პირველ ყოვლისა, ხდებოდა იმ დარგებში, სადაც ავტომატიზაცია უზრუნველყოფდა მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტს[8].

---

[8] მიუხედავად იმისა, რომ ავტომატიზაცია პირველად წარმოიშვა მანქანათმშენებლობაში, მისი დონე თანამედროვე პირობებში უფრო დაბალია, ვიდრე მრეწველობის

ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ავტომატიზაციის საშუალებათა და ხელსაწყოების წარმოება, განსაკუთრებით საწარმოების სპეციალიზაციის, დასამზადებელი გაწყობილობის, კვანძებისა და დეტალების ნორმალიზაციისა და უნიფიკაციის ხარჯზე. გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების ქსელი, რომლებიც ამუშავებდნენ წარმოებრივი პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის პრობლემებს. მათთვის იქმნებოდა საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა, ტარდებოდა ყველა სახის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფდა ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებას და ავტომატიზაციის საშუალებათა და ხელსაწყოების შექმნის სამუშაოთა კოორდინაციის გაძლიერებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში რადიოელექტრონული ტექნიკის დანერგვას, რასაც დიდი შესაძლებლობანი აქვს წარმოებრივი პროცესების ავტომატიზაციისათვის.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, კერძოდ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების მიზნით 60—70-იან წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებათა რაოდენობა, შეიცვალა მათი სტრუქტურა, ხოლო 70-იანი წლების დამლევისათვის ჩამოყალიბდა აღნიშნული დაწესებულებების შემდეგი სტრუქტურა:

სამეცნიერო დაწესებულებები მათი სახეების მიხედვით (სულ —100%)

	1967 წ.	1977 წ.
1. სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები	72,9	62,5
2. საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები	1,1	16,5
3. საკონსტრუქტორო ბიუროები	1,1	9,9
4. საპრობლემო ლაბორატორიები	24,7	11,1

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული კვლევითი და საპროექტო-საკონს-

---

სხვა დარგებში. ეს განპირობებულია აღნიშნული დარგის სირთულით (იხ. «Мировая экономика и международные отношения», № 3, 1977, გვ. 82).

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ავტომატიზაციის ნებისმიერ სტადიაზე უნდა გათვალისწინოს შრომის პროცესების ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროს მათში შენარჩუნებული იქნება ხელით შრომის ოპერაციები, რომელნიც შესაძლებლობას შექმნიან შეუხამონ ნერვო-ფსიქიკური დატვირთვა ფიზიკური ენერგიის დანახარჯებს, აგრეთვე თანაბარზომიერად გაანაწილებენ ინფორმაციის ნაკადს ძირითად ანალიზატორებს—მხედველობის, სმენის, ყნოსვისა და ა. შ. შორის (იხ. ჟურნ. «Социалистический труд», № 5, 1977, გვ. 12).

ტრუქტორო ორგანიზაციების ძირითადი სახეები. ეს მოწმობს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაშლის საკმაოდ მაღალ დონეს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები არსებობენ სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, როგორც მატერიალური წარმოების დარგთა სფეროს უწყებებში, ისე არაწარმოებრივ სფეროში.

სამეცნიერო, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებათა სტრუქტურა დაქვემდებარების ფორმების მიხედვით

	(სულ = 100%)[9]
1. მეცნიერებათა აკადემია	19,9
2. უმაღლესი სასწავლებლები (საპრობლემო ლაბორატორიები)	8,0
3. ჯანმრთელობის სამინისტრო	12,7
4. სოფლის მეურნეობა, მელიორაცია და წყლის მეურნეობა, დამზადება, „სასოფლტექნიკა“	16,3
5. მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობა	5,8
6. მანქანათმშენებლობა (მათ შორის ჩარხმშენებლობა და ინსტრუმენტალური მრეწველობა), სატრანსპორტო მშენებლობა	4,7
7. ხელსაწყოთმშენებლობა, მართვის სისტემები, ავტომატიკა	3,4
8. ენერგეტიკა, ელექტროფიკაცია, ელექტროტექნიკური მრეწველობა	4,7
9. ადგილობრივი მრეწველობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა. საყოფაცხოვრებო მომსახურება	1,8
10. ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა	3,4
11. მეტალურგიული, ქიმიური, ნავთობისა და ქვანახშირის მრეწველობა	2,8
12. მშენებლობა და არქიტექტურა, სამშენებლო მასალები	4,7
13. გეოლოგია	1,4
14. კავშირგაბმულობა	0,4
15. თევზის მეურნეობა	0,9
16. ვაჭრობა	0,9
17. სხვა ორგანიზაციები	8,0

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რაოდენობა რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად სჭარბობს სხვა სახის სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს. გარდა ამისა, ყველა ჩამოთვლილ უწყებას შორის მაღალი ხვედრი წონა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტებს უკავია, ე. ი. მეცნიერულ-ტექ-

[9] გაანგარიშებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ცნობარის მიხედვით. თბ., 1977.

ნიკური პროგრესის ძირითად, წამყვან ბირთვს წარმოადგენენ აკადემიის სისტემის ინსტიტუტები. ამასთანავე ტექნიკურ პროგრესში ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარგობრივ ინსტიტუტებს, საპრობლემო ლაბორატორიებს, რომლებიც შექმნილია უმაღლესი განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლო დაწესებულებებსა და საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან[10].

1964 წ. შედარებით არსებითი ცვლილებები მოხდა როგორც სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობრივ ზრდაში, ისე მის სტრუქტურაში როგორც სახეების, აგრეთვე დაქვემდებარების მიხედვით. სახეების მხრივ მნიშვნელოვნად გაიზარდა საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, ხოლო შემცირდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საპრობლემო ლაბორატორიების ხვედრი წონა. დაქვემდებარების მხრივ კი საგრძნობლად გაფართოვდა იმ დარგთა რაოდენობა, სადაც შექმნილია შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულება ან კვლევითი ინსტიტუტი, ანდა საპროექტო-საკონსტრუქტორო, საპროექტო ბიურო და საპრობლემო ლაბორატორიები. კიდევ უფრო გაიშალა მათი ტერიტორიული გადანაწილება მაგ., ყველა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და საპრობლემო ლაბორატორიების საერთო რაოდენობაში 1964 წ. თითქმის 16,0% გადანაწილებული იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, ხოლო დანარჩენი — 84,0% თბილისში, 1977 წ. შესაბამისად 15 და 85%[11].

---

[10] აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო დაწესებულებების საერთო რაოდენობიდან 86, საკავშირო-სამეცნიერო დაწესებულება ან მათი ფილიალებია, მათი დაფინანსება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან არ ხდება.

1964 წ. დამლევისათვის დაქვემდებარების ფორმების მიხედვით სტრუქტურა შემდეგნაირი იყო: მეცნიერებათა აკადემია—38,8%, წყლის მეურნეობის სამინისტრო — 2,3% სახალხო მეურნეობის საბჭო — 3,5%, განათლების სამინისტრო — 2,5%, მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტი — 2,3%, სოფლის მეურნეობის სამინისტრო— 8,3, სპორტული საზოგადოებები—1,2%, მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისია — 1,2%, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი — 16,4%, ჯანმრთელობის სამინისტრო —24,8% (გაანგარიშებულია: Просвещение и культура Грузинской ССР, с. 232—246).

[11] ეს დაწესებულებები იყო გადანაწილებული 1964 წლისათვის: აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, აბასთუმანში, მცხეთაში, გარდაბნის, სიღნაღის რაიონებში, წყალტუბოში (აქ სულ გადანაწილებული იყო 14 დაწესებულება). აღნიშნულს 1977წ. მოემატა მახარაძე, ფოთი, ლაგოდეხი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, ბორჯომი (სულ თბილისის გარეთ გადანაწილებული იყო 31 დაწესებულება). თბილისის შემდგომ, ყველაზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება იყო აფხაზეთში (11), აჭარაში (4), მახარაძეში (3) ქუთაისსა (2), და რუსთავში (2). მიუხედავად იმისა, რომ თბილისის გარეთ მათი რაოდენობა 2,2-ჯერ გაი-

ჩვენი აზრით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო დაწესებულებები უფრო მეტად დაუკავშირდნენ წარმოებას, გაიზარდა მათი მნიშვნელობა წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლებაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამჟამად უშუალოდ ვლინდება რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალის კონცენტრაციის შედარებით დაბალი დონე, რომლის ამაღლებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი ეფექტიანობის შემდგომ ზრდაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, წარმოადგენს რა შრომის მწარმოებლურობის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, თავის მხრივ მოითხოვს შრომის მწარმოებლურობის მაღალ დონეს, სამუშაოთა მექანიზაციის ტემპების მკვეთრ დაჩქარებას, მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წარმოების ავტომატიზაციის ფართო მასშტაბებით დანერგვას. ამიტომ მრეწველობის ყველა დარგში დიდი ზომით ხორციელდებოდა ძირითადი და დამხმარე სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო განვითარების ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მაღლდებოდა წარმოების განუწყვეტელი და ნაკადური მეთოდების გამოყენების ხვედრი წონა სამამულო და საზღვარგარეთის ტექნიკის საუკეთესო მიღწევების დონემდე, მცირდებოდა სამუშაოთა შრომატევადობა. მრეწველობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები სულ უფრო მეტად უზრუნველყოფილი ხდებოდნენ მექანიზაციის, ავტომატიზაციის საშუალებებითა და ხელსაწყოებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა არსებული გაწყობილობისა და მექანიზმების გამოყენება.

წარმოებრივი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ხორციელდებოდა როგორც მრეწველობის, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მათ სპეციფიკურობასთან დაკავშირებით. ამ დარგებში სამუშაოთა ჩატარების გეგმაზომიერების მიზნით და საწარმოთა აუცილებელი ხელსაწყოებითა და გაწყობილობით უზრუნველყოფისათვის მუშავდებოდა წარმოებრივი პროცესების ავტომატიზაციის პერსპექტიული გეგმები.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის შემდგომი უზრუნველყოფის მთავარი, გადამწყვეტი

ზარდა, მათი ხვედრი წონა შედარებით უფრო ნაკლები იყო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჯერჯერობით აღნიშნულ დაწესებულებათა კონცენტრირება მიმდინარეობს რესპუბლიკის დედაქალაქში.

საშუალებებია, მრეწველობის ყველა დარგში და ტრანსპორტზე მიმდინარეობდა მუშაობა წარმოებრივი პროცესების ავტომატიზაციისათვის. ამის შედეგად 60-იანი წლების დასაწყისში ამ მიმართულებით მოპოვებული იქნა გარკვეული მიღწევები. ავტომატური მართვის ცალკეული სისტემები დაინერგა ქიმიურ, ნავთობგადამამუშავებელ, ქვანახშირის, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგში. ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ მანქანათმშენებლობაშიც კი 50-იანი წლების დამდეგს ხელით შრომის დანახარჯები წარმოადგენდნენ მთელი სამუშაო დროის თითქმის ნახევარს[12].

[წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დამთავრებისა და ცალკეული აგრეგატების, დანადგარებისა და კომპლექსური ავტომატიზაციის მთლიანად ავტომატიზებულ საამქროებზე, ტექნოლოგიურ პროცესებსა და საწარმოებზე გადასვლის გეზი განმტკიცებული იყო მიღწევებით გამოთვლითი ტექნიკის დარგში, რომლის გამოყენებამ საწარმოო პროცესების მართვისათვის განაპირობა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია და მათი წარმართვა ყველაზე სასარგებლო და ეკონომიურ რეჟიმზე.]

[წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, წარმოადგენს რა ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ ძირითად

---

[12] უკანასკნელ წლებში, ავტომატებით ხელით შრომის შესაცვლელად, დაიწყეს რობოტების შექმნა და გამოყენება. მაგ., იაპონიაში მათი რაოდენობა აღწევდა 3,5 ათასს, აშშ-ში კი 3 ათასამდე ცალს. აღსანიშნავია, რომ მთლიანად რობოტების მსოფლიო კაპიტალისტური პარკი 1973 წ. შეადგენდა მხოლოდ 2,6 ათას ცალს, 1975 წ.—8 ათასს, ხოლო 1979 წ. ვარაუდობდნენ 10 ათას ცალამდე. ამ პარკის დიდი ნაწილი (3/4) გამოყენებული იყო ჭრით დამუშავების ოპერაციებზე (იხ. ჟურნ. «Мировая экономика и международные отношения», № 3. 1977, გვ. 85.)

სსრ კავშირში სამამულო წარმოების რობოტების პარკი 1977 წ. არ აღემატებოდა 300—400 ერთეულს. მათ უნდა შეცვალონ ადამიანის შრომა მძიმე, ერთგვაროვანი, არასაინტერესო ანდა მავნე ოპერაციებზე. რობოტების გამოყენების მიზანი ჩვენში, თანამედროვე პირობებში, ის არის რომ, უპირველეს ყოვლისა, გადაიჭრას ადამიანის გამოთავისუფლების პრობლემა ყველა სახის არაინტელექტუალური, არასაინტერესო და მძიმე ფიზიკური შრომისაგან. ამისათვის კი საჭიროა სამრეწველო რობოტების მასობრივი წარმოება და გამოყენება. რასაკვირველია, ამასთანავე ერთად წუდება ინტელექტუალური „რობოტების ე. წ. ხელოვნური ინტელექტის“ შექმნის პრობლემაც (იხ. გაზ. «Правда», 5,05 1977, გვ. 3).

როგორც აღნიშნული იყო სკკპ XXVI ყრილობაზე, XI ხუთწლედში და მის შემდგომ მრეწველობა გამოუშვებს „მეტ ავტომატურ მანიპულატორს (სამრეწველო რობოტს). „იხ. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის მოხსენება 1981 წლის 27 თებერვალს, გაზ. „კომუნისტი“, 28. 02. 81, გვ. 3.

მიმართულებას, მტკიცე საფუძველს ქმნის წარმოებული პროდუქციის მოცულობის, შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი ზრდის მაღალი და მყარი ტემპების მისაღწევად, ე. ი. სოციალისტური კვლავწარმოების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის. ამიტომ ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის გადაიქცა. საერთო სახალხო საქმედ და მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების გაძლიერებამ ტექნიკური პროგრესისადმი შესამჩნევად დაჩქარა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა წარმოებაში. გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტულ სამუშაოთა მოცულობა. უფრო სრულყოფილი გახდა ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის საერთო საქმიანობის ორგანიზაცია, უფრო თამამად ვითარდება ახალი, პროგრესულის შემუშავება საწარმოებში, საკონსტრუქტორო, საპროექტო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, რაც ხელს უწყობს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისა და წარმოებრივი სიმძლავრეების დროულად მოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მანქანათმშენებლობის განვითარებას, მანქანების, აპარატების, ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებებისა და სხვა გაწყობილობის წარმოების გაშლას და მათი ტექნიკური დონის ამაღლებას.

ტექნიკური პროგრესისადმი მაქსიმალურად ხელის შეწყობის ძიზხით, მისი ტემპების დაჩქარებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების უფრო სწრაფი გავრცელების გზით იქმნებოდა საცდელ-საჩვენებელი, კომპლექსურად ავტომატიზებული საწარმოები, რომლებიც იყენებდნენ ახალ ტექნიკას. მათი დადებითი გამოცდილება კი უმოკლეს ვადებში ხდებოდა მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა საკუთრება, ერთდროულად შესამჩნევად დაჩქარდა ახალი მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის სხვა საშუალებების შექმნა და მათი წარმოების ათვისება.

მანქანათმშენებლობის განვითარების, მისი ტექნიკური დონის ამაღლების საფუძველზე,[13] ~~განვითარებული~~ სოციალიზმის პირობებ-

---

[13] მანქანათმშენებლობის განვითარებაში, თანამედროვე პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ძრავების წარმოება. ამჟამად სახალხო მეურნეობაში მოქმედი ძრავების საერთო პარკის სიმძლავრეთა ჯამი რამდენჯერმე აღემატება ქვეყნის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეს. ამ სიმძლავ-

ში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კომუნალურ და სხვა მეურნეობებში თანმიმდევრულად ხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია. იგი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ძირითადი და დამხმარე საწარმოო ოპერაციების შესრულებისას ხელით დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სხვა სახის მძიმე შრომის გაუქმებისაკენ.

შემდგომ ეტაპს წარმოადგენს წარმოების კომპლექსური მექანიზაციის შასობრივ, სულ უფრო მეტად კომპლექსურად მექანიზებულ საამქროებსა და საწარმოებზე-ავტომატებზე გადასვლა, რომელნიც უზრუნველყოფენ წარმოების მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას. ჩქარდება მართვის ავტომატიზებულ სრულყოფილ სისტემათა დანერგვა. საწარმოო პროცესში, მრეწველობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში და ტრანსპორტზე, სამეცნიერო კვლევაში, საგეგმო და საპროექტო-საკონსტრუქტორო გაანგარიშებებში, აღრიცხვისა და შართვის სფეროებში ფართოდ გამოიყენება კიბერნეტიკა, ელექტრონული საანგარიშო-გადამწყვეტი და მართვადი გაწყობილობა. ახალ, ტექნიკურად უფრო სრულყოფილ საწარმოთა მშენებლობა სულ უფრო მეტად შეეხამება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას, მათი გაწყობილობის განახლებასა და მოდერნიზაციას. მიმდინარეობს არსებითი თვისებრივი ძვრები პრინციპულად ახალი შრომის იარაღის წარმოების უმნიშვნელოვანესი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის მანქანათა სისტემის შექმნისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო მუდმივად წარმართავს სამეურნეო ორგანოების საქმიანობას იმ მიმართულებით, რომ ახალ სიმძლავრეთა მოქმედებაში შეყვანის დროს გამოყენებული იყოს მხოლოდ თანამედროვე, ყველაზე სრულყოფილი დანადგარები და წარმოების ტექნოლოგია.

რეთა თითქმის მეხუთედი (20%-მდე) სოფლის მეურნეობაში, 60%-ზე მეტი საავტომობილო ტრანსპორტში, ; დანარჩენი კი რკინიგზაზე, წყლის ტრანსპორტზე, შენებლობაზე, კომუნალურ მეურნეობაში და სხვადასხვა სტაციონალურ ენერგოდანადგარებში. ძრავების ექსპლუატაციაზე მოხმარებული საწვავისა და სხვადასხვა ზეთოვანი მასალის საერთო რაოდენობა უდრიდა 1962 წ. ჩვენს ქვეყანაში ნავთობის ყველა პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობას.

ამიტომ საწვავის შემცირება საათში მხოლოდ ერთი გრამით ძრავის ერთი ცხენის ძალაზე გაანგარიშებით მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით ნიშნავს მოქმედი ძრავების საერთო პარკში თითქმის ერთი მილიონი ტონა საწვავის ეკონომიას წელიწადში (იხ. «Важнейший фактор повышения эффективности экономики», ჟურნ. «Коммунист», №7, 1978, 24—28) აქედან გამომდინარეობს ის, რომ ძრავების წარმოების სრულყოფას უაღრესად დიდი როლი ენიჭება საბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში.

საქართველოში, ისე როგორც საერთოდ სსრ კავშირში, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე შესამჩნევი ძვრები მოხდა მრეწველურ, სოფლისმეურნეობრივ, სამშენებლო და სხვა სახის წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში.

/მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში წამყვანი როლი ენიჭება ელექტროფიკაციას. ელექტროფიკაცია ის საფუძველია, რომელზედაც ვითარდება ავტომატიკა, რადიოტექნიკა, კიბერნეტიკა, ყველა ის თანამედროვე, ყველაზე სრულყოფილი საშუალებები, რომელნიც განსაზღვრავენ წარმოების ტექნიკურ დონეს. ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის განხორციელებამ, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ შექმნეს პირობა იმისათვის, რომ პარალელურად გადაწყვეტილიყო სხვა სახალხომეურნეობრივი პრობლემები[14].

ელექტროფიკაცია კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის ღერძია. მის საფუძველზე ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო, გამოდის რა ობიექტურ-ეკონომიკური კანონის—წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის მოქმედებიდან, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ანუ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის ეტაპზე, უზრუნველყოფს ელექტროენერგიის წარმოების წინგამსწრებ ტემპებს. ამასთან დაკავშირებით მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობასა და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებში მუდმივად და მნიშვნელოვნად იზრდება ზრომის ელექტროაღჭურვილობა.

გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებასთან ერთად ძირითადად დამთავრებული იქნება მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, ფართოვდება ელექტრომეტად წარმოებათა მშენებლობა, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების მასობრივი ელექტროფიკაცია.

---

[14] საინტერესოა, რომ საუკუნის დასაწყისში ენერგეტიკული რესურსების მოხმარების სტრუქტურა მსოფლიოში შეეფარდებოდა ენერგეტიკული მარაგების სტრუქტურას. 70-იან წლებში კი მკვეთრად გამოიხატა წინააღმდეგობა მოხმარებასა და მარაგებს შორის. 1900 წ. ქვანახშირის მოხმარების ხვედრი წილი შეადგენდა 94,9%, ნავთობის—3,9%, გაზის — 1,2%, 70-იანი წლების დასაწყისისათვის ქვანახშირის მოხმარების ხვედრი წონა შემცირდა 23,3%-მდე, ხოლო ნავთობისა და გაზის გაიზარდა 73,8%-მდე. ამავე დროს ქვანახშირი ისევე შეადგენს სათბობის მსოფლიო აღუდგენელი მარაგის 90%-ზე მეტს, ნავთობი 6,0%, გაზი 1,85% (იხ. ჟურნ. «Проблемы Мира и социализма», № 2, 1978, გვ. 48).

ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ამგვარი განვითარება მოითხოვს ელექტროსიმძლავრეთა შესაბამის ზრდას ქვეყნის ყველა რაიონში, მაღალი ძაბვისა და გამანაწილებელი ქსელის ასიათასობით კილომეტრით მშენებლობას, სსრკ ერთიანი ენერგოსისტემის შექმნას, რომელსაც ექნება სიმძლავრეთა აუცილებელი რეზერვები. მუდმივად სრულყოფილი ხდება წარმოების ენერგეტიკული ბაზა, მაღლდება მისი ელექტროფიკაციის დონე, უფრო ფართოდ ინერგება ელექტროტექნოლოგიური პროცესები, თანდათან უქმდება მცირე ელექტროძალიანი დანადგარები და სხვ. გაძლიერდა ყურადღება როგორც ელექტროსადგურების მშენებლობის, ისე თანამედროვე ტურბინების, ქვაბების, ელექტრომანქანების, ახალი სახის გაწყობილობის შესაქმნელად და მათი წარმოების ორგანიზაციის დასაჩქარებლად. მნიშვნელოვნად დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები მატერიალური წარმოების სფეროს ამ უმნიშვნელოვანეს დარგში.

როგორც ჩანს, არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც წარმოების პროცესში ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენება არა მარტო შრომის მექანიკური ზემოქმედებისათვის, არამედ თვით ელექტროენერგიის საშუალებით ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის, ე. ი. როდესაც მექანიკური ზემოქმედების ტექნოლოგია გადაიქცევა ელექტრონულ ტექნოლოგიად, ანუ წარმოიშობა პრინციპულად ახალი ტექნოლოგია. ამჟამად კი სისტემატურად იზრდება ელექტროენერგიის წარმოებისა და მისი გამოყენების მაჩვენებლები.

ელექტროენერგიის წარმოების დინამიკა (მლნ კვტსთ)[15]

	სსრკ	საქართველოს სსრ	საქართველოს სსრ სსრ კავშირთან (%-ით)
1940 წ.	48562	742	1,53
1950 წ.	91226	1385	1,52
1960 წ.	292274	3702	1,27
1965 წ.	506672	6042	1,19
1970 წ.	740926	8964	1,21
1975 წ.	1038607	11603	1,11
1979 წ.	1238196	13800	1,11

როგორც ვხედავთ, ელექტროენერგიის წარმოება ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ, და, კერძოდ, საქართველოში სისტემატურად იზრდება. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების ხვედრი წონა საერთო წარმოებაში აღნიშნულ

[15] Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 201; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 168.

პერიოდში მცირდებოდა. ამის მიზეზია ის, რომ ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპები საქართველოში შედარებით უფრო ნელია, ვიდრე შესაბამისი საკავშირო მაჩვენებელი. მაგ., ელექტროენერგიის წარმოება კავშირში 1950 წ. 1940 წ. შედარებით გაიზარდა 1.87-ჯერ, საქართველოში — 1,87-ჯერ; 1960 წ. 1950 წ. შედარებით შესაბამისად — 3,2 — 2,6-ჯერ; 1965 წ. 1960 წ. შედარებით 1,7— 1.6-ჯერ; 1970 წ. 1965 წ. შედარებით — 1, 46 — 1,48-ჯერ; 1975 წ. 1970 წ. შედარებით—1,40—1,29-ჯერ. საერთოდ, 1980 წ. 1940 წ. შედარებით ელექტროენერგიის წარმოება სსრ კავშირში გაიზარდა 26,4-ჯერ; ხოლო საქართველოში 21-ჯერ[16]. სწორედ ამგვარმა ტემპებმა განაპირობა საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების ხვედრი წონა სსრ კავშირში.

ელექტროფიკაციას, როგორც ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებას, მაშინ შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მატერიალური წარმოების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაზე, როდესაც მისი წარმოება მნიშვნელოვნად წინ უსწრებს როგორც მატერიალური სფეროს ცალკეული დარგების პროდუქციის, ისე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას. ამ მხრივ საინტერესოა განვიხილოთ შეფარდებები მრეწველობის პროდუქციის, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპებს შორის.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, მრეწველობის პროდუქციისა და ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპების დინამიკა (1960 წ.-100)[17].

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	1,38	1,34	2,10	2,06	2,84	2,76
მრეწველობის პროდუქცია	1,51	1,41	2,27	2,16	3,25	2,99
ელექტროენერგიის წარმოება	1,76	1,63	2,53	2,42	3,55	3,13

---

[16] Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 154.

[17] Народное хозяйство СССР в 1972 г. Стат. ежег. М., 1973, с. 59, 169; Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 80; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., с. 26, 45; Народное хозяйство СССР в 1975 г. Стат. ежегодн., М., 1976, с. 191.

როგორც ვხედავთ, 15 წლის განმავლობაში (1960—1975 წწ.) ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში, ისე როგორც სსრ კავშირში, წინ უსწრებდა როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ისე მრეწველური პროდუქციის წარმოებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ განსხვავება ზრდაში მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ელექტროენერგიის წარმოების წინასწრები კოეფიციენტი შეადგენდა:

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1960 წ. 1975 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
ერთობლივ-საზოგადოებრივი პროდუქტის მიმართ	1,27	1,22	1,20	1,17	1,25	1,13	1,25	1,08
მრეწველობის პროდუქციის მიმართ	1,17	1,16	1,11	1,12	1,09	1,05	1,09	1,05

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, ელექტროენერგიის წარმოების წინგასწრები კოეფიციენტი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოებასთან შედარებით 1960—1975 წწ-ში უფრო მცირდებოდა, ვიდრე იზრდებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, განსაკუთრებით, როდესაც მიმდინარეობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამოცანის პრაქტიკული განხორციელება, ელექტროენერგიის წარმოება მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს როგორც ერთობლივ-საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის, ისე მატერიალური წარმოების სფეროს ცალკეულ დარგებში შექმნილი პროდუქციის ზრდის ტემპებს. ეს აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ შედარებით უფრო ნაკლები იწარმოება ელექტროენერგია როგორც მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ისე, საერთოდ[18], ტრადიციული მოხმარებისათვის (წარმოებაში შრომის საგანზე მექანიკური ზემოქმედებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებრივ მაჩვენებელს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო

---

[18] 1979 წ. სსრ კავშირში ელექტროენერგიის მთლიანი გამომუშავება აშშ-თან შედარებით შეადგენდა 50%. შესაბამისი მონაცემები შეადგენდა: 1940 წ. — 26%, 1950 წ. — 22 %, 1960 წ. — 33%, 1965 წ. — 41%, 1970 წ. — 43%, ხოლო (1976 წ.) დიდი ბრიტანეთის მიმართ — 401%, ფედერაციულ გერმანიის — 339%, საფრანგეთის — 546% (Народное хозяйство СССР за 60 лет, გვ. 112; Народное хозяйство СССР в 1979 г., გვ. 67).

მეურნეობის ელექტრობალანსში წარმოადგენს პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები.

ხახალხო მეურნეობის ელექტრობალანსის სტრუქტურის დინამიკა (მლრდ. კილოვატ საათებში)[19]

	1940 წ.		1950 წ.		1960 წ.		1965 წ.		1970 წ.		1975 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
წარმოებულია ელექტროენერგია *	48,6	0,7	91,2	1,4	292,3	3,9	506,7	6,3	740,9	9,3	1038,6	12,1
მოხმარებულია ელექტროენერგია:												
მრეწველობაში **	34,8	0,5	65,2	0,8	207,5	—	349,4	3,5	488,4	٥,1	656,8	6,3
ტრანსპორტზე	2,6	0,07	3,7	0,1	17,6	0,4	37,1	0,5	54,4	0,6	74,2	0,6
სხვა დარგებში	7,7	0,1	16,0	0,3	49,4	0,8	83,6	1,3	134,6	1,9	214,1	2,7
დანაკარგები საერთო მოხმარების ქსელში	3,5	0,07	6,3	0,2	17,8	0,35	35,1	0,9	58,3	1,3	82,2	1,8
ექსპორტი***	—	—	—	—	0,03	0,01	1,5	0,1	5,2	0,4	11,3	0,5

* საქართველოში—წარმოებულია და მიღებულია სხვა რესპუბლიკებიდან.

** საქართველოში—მრეწველობასა და მშენებლობაზე.

*** საქართველოში—გაცემულია სხვა რესპუბლიკებზე.

მოტანილი ცხრილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დახასიათებისათვის ფრიად საყურადღებოა. უპირველეს ყოვლისა, შესამჩნევია, რომ ელექტროენერგიის წარმოების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მისი გამოყენების სტრუქტურაში. თუ 1940 წ. მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის ხვედრი წონა ელექტროენერგიის წარმოებაში შეადგენდა 71.8%, 1950 წ. მან შეადგინა 71,5 %, 1960 წ.—71,0 %, 1965 წ.—68,9 %, 1970 წ. 65,9%, 1975 წ.—63,2%[20]. საქართველოში შესაბამისად (მრეწველობაში და მშენებლობაზე)—71,4%, 57,1%, 61,5%, 55,5%, 54,8%, 52,0%.

[19] Народное хозяйство СССР за 60 лет, გვ. 194; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 56.

[20] ელექტროენერგიის მრეწველობაში მოხმარების მხრივ საბჭოთა კავშირი აშშ შედარებით 1940 წ. 35%, 1951 წ. 31%, 1960 წ. 46%, 1968 წ. 68%, ხოლო 1978 წ. 86% შეადგენდა (Народное хозяйство СССР за 60 лет, გვ. 112; Народное хозяйство СССР в 1979 г., გვ. 67).

აღნიშნულ შეფარდებებში ორი ტენდენციაა დამახასიათებელი: პირველი—მრეწველობაში ელექტროენერგიის მოხმარების ხვედრი წონა მისი წარმოების მიმართ, მიუხედავად აბსოლუტური ზრდისა, როგორც კავშირში, ისე საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც თანამედროვე პირობებში (როდესაც ელექტროენერგიის გამოყენება სახალხო მეურნეობის, კერძოდ კი მატერიალური წარმოების სხვა დარგებში ჯერ კიდევ დაბალია), ჩვენი აზრით, კანონზომიერი მოვლენაა. მეორე ის, რომ საქართველოში ეს უფრო მკვეთრად გამოიხატება.

ელექტროენერგიის გამოყენების ხვედრი წონა იცვლებოდა სხვა დარგებშიც. მაგ., საერთოდ სხვა დარგებში გამოყენებული ელექტროენერგიის ხვედრი წონა სსრ კავშირში 1940 წ. შეადგენდა 15,8%, 1950 წ. — 17,5%, 1960 წ. — 16,9%, 1965 წ. — 16,5%, 1970 წ. — 18,1%, 1975 წ. — 20, 6%, საქართველოში შესაბამისად 17,5%, 21, 6% 19, 7%, 20, 8%, 20,6% და 22,1%

ცხადია, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ელექტროენერგია გამოიყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, როგორც მატერიალური წარმოების სფეროში, ისე არაწარმოებრივ დარგებშიც. ელექტროენერგია გზას იკაფავს ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო მისი გამოყენება სახალხო მეურნეობის დარგებში სხვადასხვა ტემპებით იზრდება.

ელექტროენერგიის წარმოებისა და გამოყენების ზრდის ტემპების დინამიკა (1940 წ. — *100*)[21]

	1950 წ.		1960 წ.		1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1976 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
წარმოება												
გამოყენება:	1,8	1,9	6,0	5,2	10,4	8,5	15,2	12,6	21,4	16,0	22,8	17,3
მრეწველობაში*	1,9	1,7	5,9	5,0	10,0	7,5	14,0	10,9	18,8	13,6	19,9	14,2
ტრანსპორტზე	1,4	1,7	6,8	5,8	14,2	6,3	20,9	8,0	28,5	10,3	31.8	10,6
სხვა დარგებში	2,0	2,3	6,4	5,9	10,8	10,1	17,5	14,7	27,8	20,6	30,3	21,8

* საქართველოში—მრეწველობასა და მშენებლობაზე.

როგორც ჩანს, ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება მისი მოხმარების ზრდის ტემპები ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ეს დამახასიათებელი იყო როგორც სსრ კავშირისათვის, ისე საქართველოსათ-

[21] გაანგარიშებულია შემდეგი წყაროების მიხედვით: Народное хозяйство СССР за 60 лет, გვ. 194; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию... გვ. 56.

ვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ კავშირში 50-იან წლებში ელექტროენერგიის გამოყენების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდა მისი წარმოების ზრდის ტემპებს, შემდგომ კი, 60—70-იან წლებში, ისინი მნიშვნელოვნად უსწრებდნენ ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპებს. საქართველოში 60-იანი წლების პირველ ნახევარში ტრანსპორტზე გამოყენებული ელექტროენერგიის ზრდის ტემპები უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მისი რაოდენობრივი ზრდის ტემპები, ხოლო დანარჩენ პერიოდებში როგორც 50-იანი, ისე 60-იანი წლების მეორე ნახევარში და 70-იან წლებში ელექტროენერგიის ტრანსპორტზე მოხმარების ზრდის ტემპები საკმაოდ ჩამორჩებოდნენ მისი რაოდენობრივი ზრდის ტემპებს. რაც შეეხება ელექტროენერგიის გამოყენების ტემპებს საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, შესაბამისი მონაცემები საგრძნობლად სჭარბობდნენ არა მარტო ელექტროენერგიის რაოდენობრივ ზრდის ტემპებს, არამედ შესაბამის დარგებში ელექტროენერგიის გამოყენების ზრდის ტემპებს კავშირშიც.

ტრანსპორტზე ელექტროენერგიის გამოყენების ზრდის შედარებით ნელი ტემპები საქართველოში, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 60-იან წლებში რკინიგზის მთელი საექსპლოატაციო ხაზის სიგრძე ელექტროფიცირებული იყო[22], ხოლო სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მისი მაღალი ტემპები შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ დარგებში ელექტროფიკაციის დონე საშუალო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით უფრო დაბალი იყო. რაც შეეხება ელექტროენერგიის გამოყენების ზრდის ტემპებს მრეწველობაში, აქ როგორც კავშირში, ისე საქართველოში შეიმჩნევა ერთი, ამ წლებისათვის დამახასიათებელი, ტენდენცია, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

მრეწველობაში გამოყენებული და წარმოებული ელექტროენერგიის ზრდის ტემპებში განსხვავების დინამიკა (პუნქტებში, მრეწველობის მიმართ)

	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
სსრ კავშირში	+0,1	—0,1	—0,4	—1,2	—2,6	—2,9
საქართველოს სსრ-ში*	—0,2	—0,2	—1,0	—1,7	—2,4	—3,1

* მრეწველობასა და მშენებლობაზე.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, განსხვავება წარმოებულ და მრეწველობაში გამოყენებული ელექტროენერგიის ზრდის ტემპებში

[22] სსრ კავშირში შესაბამისი პერიოდისათვის (1970 წლისათვის) ელექტროფიცირებული იყო რკინიგზების მთელი საექსპლოატაციო ხაზის სიგრძის 25,0% (Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 391)

იზრდებოდა, ანუ მრეწველობაში გამოყენებული ელექტროენერგიის ზრდის ტემპები, შედარებით მის წარმოების ზრდასთან, შესამჩნევად მცირდება, ეს ტენდენცია საქართველოში უფრო მკვეთრად გამოიხატება.

ჩვენი აზრით, ამგვარი ტენდენცია არ უნდა ახასიათებდეს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ელექტროფიკაციაც უნდა მიმდინარეობდეს სწრაფი ტემპით. ეს გარკვეულ გაელენას ახდენს როგორც მრეწველობაში შრომის ელექტროშეიარაღებაზე, ისე საერთოდ ეკონომიკის და მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების ელექტროუზრუნველყოფაზე. მაგალითად, 1976 წ. 1960 წ. შედარებით ერთი მუშის შრომის ელექტროშეიარაღება მთელს მრეწველობაში გაიზარდა 1, 7-ჯერ, ზრდა სხვადასხვა ზომით ახასიათებდა მრეწველობის ცალკეულ დარგს, კერძოდ, სათბობის მრეწველობას (2,6), შავ მეტალურგიას (2,1), ქიმიურ და ნავთობქიმიურს (1,8), მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების (1. 6), ხე-ტყის, ხის გადამამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის (2, 2), საშენ მასალათა (1, 3), მსუბუქ (1, 5) და კვების მრეწველობას (2, 1).

საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის გამოყენება სოფლად. თუ 1940 წ. სოფლად მოხმარებული იყო ელექტროენერგია 12, 7 მლნ. კვტ საათის ოდენობით, 1976 წ. მან მიაღწია 658, 5 მლნ კვტ საათს, ანუ გაიზარდა 51, 8-ჯერ, 1960 წ. შედარებით კი (174, 5 მლნ კვტს) 3, 7-ჯერ.

ელექტროენერგიის საერთო მოხმარებასთან ერთად სოფლად გაიზარდა მისი მოხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგ., 1976 წელს 1960 წელთან შედარებით ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა კოლმეურნეობებში — 1, 09-ჯერ, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 7,1-ჯერ. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის საერთო მოხმარებასთან ერთად გაიზარდა მისი მოხმარება საწარმოო მიზნებისათვის.

ელექტროენერგიის საწარმოო მიზნებისათვის გამოყენების ხვედრი წილის დინამიკა მის საერთო მოხმარებაში (%-ით)[23]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
კოლმეურნეობებში	30,0	31,3	64,0	94,8	93,2
საბჭოთა მეურნეობებში	68,2	44,4	70,0	89,6	89,2

[23] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 57.

როგორც ჩანს, ელექტროენერგიის გამოყენების ხვედრი წონა საწარმოო დანიშნულებისათვის როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა, გაიზარდა მისი აბსოლუტური რაოდენობაც. მაგ., 1976 წელს 1960 წელთან შედარებით საწარმოო დანიშნულებისათვის ელექტროენერგიის გამოყენება გაიზარდა კოლმეურნეობებში 3,4-ჯერ, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 9,3-ჯერ, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი ფაქტორია, გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოებისა და, საერთოდ, სახალხო მეურნეობის ელექტროუზრუნველყოფაც. მაგ., მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის წარმოება 1940 წელს 1976 წლამდე გაიზარდა 203 კვტ. საათიდან 2430 კვტ საათამდე. ანუ 11,9-ჯერ[24].

როგორც ვხედავთ, საქართველოში განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე არსებითი ცვლილებები მოხდა ელექტროენერგიის წარმოებასა და გამოყენებაში, რაც უეჭველად მიუთითებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდ გავლენაზე მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში. აღნიშნულ დარგში ამ ეტაპზე მოხდა მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებებიც. კერძოდ, საგრძნობლად შეიცვალა ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურა ელექტროსადგურების კატეგორიების მიხედვით, აძაღლდა ელექტროენერგიის წარმოების ცენტრალიზაციის კოეფიციენტი.

ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურის დინამიკა ელექტროსადგურების კატეგორიების მიხედვით (წარმოება სულ-100%)[25]

ელექტროსადგურების კატეგორიები	1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
საერთო მოხმარების	86,0	84,9	76,7	84,8	92,1	92,8	93,2
სამრეწველო	5,9	10,9	18,7	14,8	7,6	6,9	6,6
კომუნალური	5,4	0,7	0,2	—	—	—	—
სატრანსპორტო	0,09	0,01	0,001	0,02	—	—	—
სოფლის	0,8	3,0	4,0	0,3	0,1	0,06	0,06
დანარჩენი	1,8	3,2	0,4	0,1	0,2	0,2	0,1

---

[24] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 35. 1980 წ. ელექტროენერგიის წარმოებამ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 2901 კვტ სთ (იხ. Грузия в цифрах), Краткий стат. сб. Тб., 1981, გვ. 48).

[25] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 58.

როგორც ჩანს, ელექტროენერგიის წარმოებაში საერთო მოხმარების ელექტროსადგურების ხვედრი წონა 1950—1965 წწ-ში რამდენადმე შემცირდა, მაგრამ 1976 წ. საერთო წარმოების 93,0% მიაღწია. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა (ზოგში საერთოდ შეწყდა) ელექტროენერგიის წარმოება სხვა კატეგორიის ელექტროსადგურებში. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებაა ამ დარგში, რაც მოხდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. სწორედ ამის შედეგია, რომ ელექტროენერგიის წარმოების (საერთო მოხმარების ელექტროსადგურებსა და ბლოკსადგურებში) ცენტრალიზაციის კოეფიციენტი ამაღლდა 92,0%-იდან 1940 წ. 99,8%-მდე 1976 წ.[26].

აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკა ძოითხოვს ელექტროენერგიის წარმოების უფრო ჩქარ ზრდას. ეს აუცილებელი მოთხოვნაა, რომელიც გამომდინარეობს როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ისე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მისი მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა შემდგომი განვითარების აუცილებლობიდან. თანაძედროვე ეტაპზე კი საქართველოს სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის დონე შესაბამის საშუალო-საკავშირო ძონაცემებში შემდეგია:

ელექტროენერგიის წარმოებისა და გამოყენების დონე დასაქმებულთა ერთ სულზე გაანგარიშებით საქართველოში შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებთან შედარებით (1970 წ. სსრ კავშირი—100%)[27]

მრეწველობაში*	76,6
სოფლის მეურნეობაში	36,1
ტრანსპორტზე**	71,5
სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში	64,3
მოსახლეობის ერთ სულზე	56,1

* საქართველოში მონაცემები აღებულია მრეწველობასა და მშენებლობაზე.
** დასაქმებულთა რაოდენობა აღებულია ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში.

---

[26] Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 58.

[27] ელექტროენერგიის წარმოების დონე მოსახლეობის ერთ სულზე საბჭოთა კავშირში (4330 კვტს) აშშ-თან შედარებით (10229 კვტს) 1976 წ. შეადგენდა 42,3%. აღსანიშნავია, რომ 1940 წ. მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ საქართველოს (203 კვტს) ხვედრი წილი შესაბამის საშუალო საკავშირო მონა-

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების, მისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად ჯერ არ არის გადაწყვეტილი. გამოყენებული ელექტროენერგიის საერთო ჯამში გარკვეული ხვედრითი წონით წარმოდგენილია ელექტროენერგიის მიღება და გაცემა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

(ელექტროენერგიის მიღებისა და გაცემის ხვედრი წონის დინამიკა ელექტროენერგიის საერთო რაოდენობა —100%)[28]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
მიღებულია სხვა რესპუბლიკებიდან	5,8	4,2	3.9	4,1	5,9
გაცემულია სხვა რესპუბლიკებში	0.3	2,2	4,4	4,3	5,6

მიუხედავად იმისა, რომ სხვა რესპუბლიკებიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობა 1976 წელს (770,6 მლნ. კვტ სთ) 1960 წელთან (228,1 კვტ სთ) შედარებით 3,4-ჯერ გაიზარდა, მისი ხვედრი წონა 15 წლის (1960—1975 წწ.) განმავლობაში მცირდებოდა. ელექტროენერგიის სხვა რესპუბლიკებში გაცემა, მისი რაოდენობა 1976 წელს (730, 7 მლნ. კვტ სთ) 1960 წელთან (13, 7 მლნ. კვტ სთ) შედარებით 53,3-ჯერ გაიზარდა, გაიზარდა მისი ხვედრი წონაც ელექტროენერგიის საერთო რაოდენობაში.

ეკონომიკური კავშირები, რასაკვირველია, მოითხოვენ ელექტროენერგიის როგორც მიღებას, ისე გაცემას. ეს კანონზომიერი მოვლენაა, მით უმეტეს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემა ჩართულია ამიერკავკასიის, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში. მაგრამ ელექტროენერგიის ამგვარმა ზრდამ, რომელიც გამიზნულია სხვა რესპუბლიკებზე გასაცემად და რომელიც თითქმის უდრის სხვა რესპუბლიკებიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას, შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ელექტროენერგიის ბალანსზე მისი რესპუბლიკაში

ცემებში (249კვტს) შეადგენდა 81,5% (გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 110—194, 376, 465; Народное хозяйство Груз. ССР к 60-летию Великого Октября, с. 56.

[28] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60 -летию Великого Октября, с. 56.

გამოყენების თვალსაზრისით. ეს კიდევ მოწმობს იმას, რომ ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში მკვეთრად უნდა გაიზარდოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ელექტროენერგიის საერთო მოცულობაში საკმაოდ დიდი ხვედრი წონა მოდის ელექტროენერგიის დანაკარგებზე საერთო მოხმარების ქსელში.

ელექტროენერგიის საერთო მოხმარების ქსელში დანაკარგების ხვედრი წონის დინამიკა (სულ ელექტროენერგია —100%)[23]

	1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
სსრ კავშირი	7,1	6,8	6,0	6,9	7,9	7,9	8,1
საქართველოს სსრ	9,8	11,6	8.0	14,3	14,2	14,9	14,4

ეს მონაცემები ფრიად დამაფიქრებელია და, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებენ იმაზე, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს თვით ამ დარგის ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის სრულყოფაში. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს, ვინაიდან აქ უაღრესად დიდი დანაკარგებია ელექტროენერგიის საერთო მოხმარების ქსელში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1950 წლიდან დაწყებული თითქმის ყოველ წელს, გარდა 1960 წლისა, ელექტროენერგიის დანაკარგები საერთო მოხმარების ქსელში მნიშვნელოვნად ჭარბობდა ელექტროენერგიის გამოყენების ოდენობას ტრანსპორტზე, ანდა სოფლის მეურნეობაში. საერთოდ, თუ ელექტროენერგიის წარმოება 1976 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 17,3-ჯერ, დანაკარგები საერთო მოხმარების ქსელში გაიზარდა 25,5-ჯერ, ხოლო 1960 წ. შედარებით 3,3-ჯერ და 5,3-ჯერ. 1976 წ. საერთო მოხმარების ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების რაოდენობა 2.5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ელექტროენერგიის საერთო რაოდენობა 1940 წ. და შეადგენდა 1960 წ. ელექტროენერგიის საერთო რაოდენობის 47,2%, ანუ თითქმის ნახევარს.

ამგვარად, ელექტროენერგიის წარმოების მკვეთრი ზრდა, მისი გამოყენების ეკონომიურობა საერთოდ ელექტროენერგეტიკული მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარება საქართველოში ისე, როგორც სსრ კავშირში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

---

[23] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 194.

როგორც ჩანს, ელექტროენერგიის წარმოებამ და მისმა გამოყენებამ პირველ ეტაპზე, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში, მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილოს მატერიალური წარმოების სფეროს მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, როგორც მექანიკური ზემოქმედების ძალა, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს მოთხოვნილება როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სხვა არასაწარმოო დანიშნულებისათვის. შემდგომ კი, მეორე ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ელექტროენერგიის როგორც შრომის იარაღის გამოყენებას, როდესაც შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენება უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესში.

ამიტომაა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ელექტროენერგეტიკაში, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში, ელექტროენერგიის წარმოების აბსოლუტურ ზრდასთან ერთად ხასიათდება არსებითი თვისებრივი ცვლილებებით.

წარმოების ქიმიზაცია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მრავალი ტექნოლოგიური პროცესის ორგანულად შემადგენელი ნაწილი გახდა.

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა შესამჩნევად გაიზარდა საქართველოშიც. ჩვენში ყველა პირობაა ამ დარგის, როგორც ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდისათვის. არსებითი ძვრები ამ დარგის მატერიალური ბაზის გაძლიერებისათვის მოხდა ჯერ კიდევ სოციალიზმის ძირითადად გამარჯვების ეტაპზე. მაგ., 30-იან წლებში აშენდა თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტული, ბათუმის კოფეინისა და ქუთაისის ლითოპონის ქარხნები. ეს პროცესი, ე. ი. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მატერიალური ბაზის განვითარება გაგრძელდა შემდგომშიც, 50-იან წლებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ექსპლოატაციაში გადაცემის, რუსთავის აზოტოტუკის, ქიმიური ბოჭკოს, კაპროლაქტამის ქარხნების მშენებლობის, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გაფართოების (რომელიც ჯერ კიდევ ომამდე იყო აშენებული) საშუალებით.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე რესპუბლიკაში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა გარკვეული სახით ჩამოყალიბდა და მტკიცე ინდუსტრიულ ბაზაზე დადგა. ამას მოწმობს ზოგიერთი მონაცემი აღნიშნული დარგის განვითარების შესახებ. ახლა რესპუბლიკაში არა მარტო მნიშვნელოვანი რაოდენობით იწარმოება ქიმიური მრეწველობის ისეთი პროდუქცია, როგორიცაა მინერალური სასუქები, სხვადასხვა სახის საღებავები, საფუარები, ქიმიური ბოჭკო და

სხვ., არამედ ინერგება ქიმია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში (მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები. სოფლის მეურნეობა და სხვ.). იგი სულ უფრო აქტიურად ინერგება აგრეთვე ტექნოლოგიურ პროცესში, ნატურალური მასალების ხელოვნური მასალებით შეცვლისათვის როგორც ქიმიური ზემოქმედების მეთოდებით, ისე ქიმიური ტექნოლოგიით დამზადებული მასალებით. ქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებასა და ტექნოლოგიურ პროცესებში ქიმიური ზემოქმედების მეთოდების დანერგვას დიდი პერსპექტიეები აქვს.

ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა (ათასი ტონა)[30]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
მინერალური სასუქები (პირობით ერთეულებში):					
სსრ კავშირი	13867	31253	55400	90202	92244
საქართველოს სსრ	247	436	467	696	713
საქართველოს სსრ-% სსრ კავშირის მიმართ	1,7	1,4	0,8	0,7	0,7
ქიმიური ბოჭკო:					
სსრ კავშირი	95	165	234	309	326
საქართველოს სსრ	—	0,7	8,8	14,9	14,8
საქართველოს სსრ % სსრ კავშირის მიმართ	—	0,4	3,7	4,8	4,5

ქიმიური მრეწველობის ამ ორი სახის პროდუქციის წარმოება უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგ., მინერალური სასუქების წარმოება, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის, 1976 წელს 1960 წელთან შედარებით გაიზარდა სსრ კავშირში — 6,6-ჯერ, საქართველოში — 2,9-ჯერ, ქიმიური ბოჭკოსი კი შესაბამისად — 3,4—21-ჯერ (1965 წ. შედარებით). ქიმიური ბოჭკოს ასეთი ზრდა საქართველოში გაპირობებულია იმით, რომ მისი წარმოება აქ დაიწყო 60-იან წლებში, სსრ კავშირში კი 30-იანი წლებიდან.

მოტანილი მონაცემებიდან ყურადღებას იქცევს მინერალური სასუქების წარმოების ზრდის შედარებით ნელი ტემპები საქართვე-

---

[30] Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 214; 216; Народное хозяйство СССР в 1975, г., с. 252; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 60.

ლოში და ამ პროდუქციის საერთო მოცულობის ხვედრი წონის შემცირების ტენდენცია შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობა, გამომდინარე სოფლის მეურნეობის კულტურათა სპეციფიკურობიდან, მოითხოვს მინერალური სასუქების გამოყენების მკვეთრ ზრდას, ვინაიდან ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა სოფლის მეურნეობაში. იმის შესახებ, თუ როგორია შეფარდებები სოფლის მეურნეობისადმი მინერალური სასუქების მიწოდებასა და მათ წარმოებას შორის, წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

მინერალური სასუქების სოფლის მეურნეობისადმი მიწოდებასა და მათ წარმოებას შორის შეფარდებების დინამიკა (ათასი ტონა)[31]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1976 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
მიწოდება	26906	365	45379	563	73537	810	75010	805
წარმოება	31253	436	55400	467	90202	696	92244	713
მიწოდება წარმოებასთან	86,0	83,7	81,9	120,5	81,5	116,4	81,3	112,9

როგორც ვნახეთ, 1965—1976 წწ-ში მინერალური სასუქების წარმოება სსრ კავშირში გაიზარდა 2,9-ჯერ, სოფლის მეურნეობისადმი მიწოდება კი 2,7-ჯერ, საქართველოში შესაბამისად—1,6-ჯერ და 2,2-ჯერ.

სსრ კავშირში აღნიშნულ პერიოდში სოფლის მეურნეობისადმი მიწოდებული მინერალური სასუქების ხვედრი წონა მცირე იყო მათი წარმოების საერთო მოცულობაში (პირობით ერთეულში), ხოლო საქართველოში, დაწყებული 70-იანი წლებიდან, მინერალური სასუქების მიწოდება სოფლის მეურნეობისადმი საგრძნობლად სჭარბობდა მათ წარმოებას რესპუბლიკაში. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ 70-იან წლებში რესპუბლიკის გარედან შემოტანილი მინერალური სასუქების ხვედრი წონა სოფლის მეურნეობისადმი მიწოდების საერთო მოცულობაში შემცირებული იყო.

საერთოდ, მინერალური სასუქების (ქიმიური საკვების დამატებების გარეშე) მიწოდება სოფლის მეურნეობისადმი (100% ან საკვებ ნივთიერებაზე გადაყვანით) გაიზარდა: სსრ კავშირში 1976 წელს 1965 წელთან შედარებით 2,8-ჯერ, საქართველოში—2,2-ჯერ, ხოლო

---

31 Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 326, 214; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 85, 60.

მათი ხვედრი წონა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებში შეადგენდა 1965 წ. 1,29%, 1970 წ. — 1,17%, 1975 წ. — 1,02%, 1976 წ. კი 0,99%, ე. ი. აღნიშნულ წლებში სისტემატურად მცირდებოდა[32].

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ხვედრ წონაში შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებში ძობდა შეძდეგი ცვლილება. ის შეადგენდა: 1961—1975 წწ-ში (საშუალო წლიური) — 1,23%, 1966—1970 წწ. — 1,24%, 1971 — 1975 წწ. — 1,30%, 1976 წ. — 1,40%, ანუ იზრდებოდა. საერთოდ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1960—1976 წწ-ში სსრ კავშირში გაიზარდა 1,49-ჯერ, საქართველოში — 1,76-ჯერ[33].

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის როგორც საერთო ძოცულობის, ისე ძისი ხვედრი წონის ზრდა უფრო მეტად მოითხოვდა ძეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას, მისი ძედეგებისა და ღობისძიებების გატარების სრულყოფას. ამასთან დაკავშირებით იზრდებოდა გამოყენებულ სასუქებზე დანახარჯების ხვედრი წონა სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში როგორც საერთოდ, ისე ცალკეული კულტურების მიხედვით (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების სტრუქტურაში სასუქებზე დანახარჯების ხვედრი წილი (%-ით)

	1976—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.
მთლიან პროდუქციაზე	2.6	2,9	2,8
მათ შორის:			
მიწათმოქმედების პროდუქციაზე	3,9	4,3	3,9

როგორც ვხედავთ, სასუქებზე დანახარჯების ხვედრი წონა როგორც ძთლიანად, ისე ძიწათმოქმედების პროდუქციის წარმოებაზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ძართალია, აღნიშნულ პერიოდში ზრდა მკვეთრი არ არის, რაც დაკავშირებულია ძიხერალური სასუქების როგორც აბსოლუტური მიწოდების, ისე ხვედრი წონის შემცირებით, მაგრამ დანახარჯები ძაიხც იზრდება. ამას ნათლად დავინახავდით თუ აღნიშნულ დანახარჯებს ცალკეული კულტურების მიხედვით განვიხილავთ (იხ. ცხრილი).

---

[32] გაანგარიშებულია Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 327.

[33] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 272—273, 278—279; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 77.

ხოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურების პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების სტრუქტურაში სასუქებზე დანახარჯების ხვედრი წონა (%-ით)[34]

	1966—1970 წწ.		1971—1975 წწ.		1976 წ.	
	1 ტონაზე	1 ჰა აღებული მოსავლის ფართობზე	1 ტონაზე	1 ჰა აღებული მოსავლის ფართობზე	1 ტონაზე	1 ჰა აღებული მოსავლის ფართობზე
მარცვლეული (სიმინდის გარეშე)	6,4	—	12,6	12,5	13,3	13,3
სიმინდის	7,4	—	9,8	9,8	9,7	9,6
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	7,6	—	6,8	6,8	6,2	6,1
მზესუმზირა	1,7	—	7,8	7,8	10,8	10,7
თამბაქო	2,5	—	1,9	1,8	1,7	1,7
კარტოფილი	3,5	—	5,1	5,0	4,6	4,6
ბოსტნეული	3,8	—	3,9	3,8	3,2	3,1
ყურძენი (ვენახის)	2,3	—	2,9	2,9	2,9	2,9
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	3,8	—	3,1	3,1	2,5	2,5

როგორც ჩანს, იშვიათი გამონაკლისის გარდა (შაქრის ჭარხალი, თამბაქო, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი), სასუქებზე დანახარჯები თითქმის ყველა კულტურის მიხედვით გაიზარდა.

ამრიგად, შეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ მნიშვნელოვანი მიმართულების მიხედვით განვითარებული სოციალიზმის დროს საქართველოში გარკვეული ნაბიჯია გადადგმული. შექმნილია პირობები მისი უფრო სწრაფი ტემპით წარმართვისათვის.

საქართველოში, ისე როგორც სსრ კავშირში, განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებებია: ა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროფიკაცია; ბ. მატერიალური წარმოების სფეროს გადამწყვეტ დარგებში წარმოებრივი პროცესის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; გ. წარმოების ქიმიზაცია, ქიმიის მიღწევების ყოველმხრივი გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მოტანილი მონაცემები მოწმობენ აგრეთვე, რომ აღნიშნულ სამ ძირითად მიმართულებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სახალხო

---

[34] გაანგარიშებულია: ЦСУ ГССР, Основные экономические показатели сельскохозяйственного производства в колхозах и междухозяйственных предприятиях Грузинской ССР за 1976 г., с. 21—21, 23—31, 41—45 მიხედვით.

ძეურხეობისა და, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა ელექტროფიკაციას. ელექტროფიკაციის ტემპების საგრძნობლად დაჩქარების გარეშე შეუძლებელი იქნება როგორც კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ისე წარმოების ქიმიზაციის ტემპების დაჩქარება. საერთოდ სახალხო მეურნეობის ძკვეთრი აღმავლობა, ამიტომ ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარება, საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების ძაქსიმალური დაჩქარება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანა გახდა.

ძეცხიერებისა და წარმოების ორგანული შეერთება, მეცნიერების სულ უფრო ძეტად საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევა განაპირობებს ტექნიკური პროგრესის გადაზრდას ძეცხიერულ-ტექნიკურ პროგრესში. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს წარმოების ყველა დარგსა და სახეობაში ტექნიკისა და ტექნოლოგიის ძუდმივ სრულყოფას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამსუბუქებს ადამიანის ძრომას, მნიშვნელოვნად ამაღლებს და აჩქარებს წარმოების იხტეხსიფიკაციას, ამასთან მიიღწევა მისი მაღალი სიზუსტე, მასობრივი წარმოების სტანდარტიზაცია, ნაკადური, კონვეიერული და ავტომატიზებული წარმოების მაქსიმალური დანერგვა. არსებითი თვისებრივი ცვლილებები ხდება წარმოებრივ, კერძოდ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში. მექანიკურ დამუშავებას ემატება (აუცილებელ პირობებში კი მთლიანად იცვლება) ქიმიური, ელექტროეხერგიისა და სხვა ტექნოლოგიური გამოყენების მეთოდები, ტექნოლოგიურ პროცესში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს რადიოელექტროხიკა, ნახევარგამტარები, ულტრაბგერა.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში, კერძოდ ძოძწიფებული სოციალიზძის დროს, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ბუხების სიძდიდრე, აღმოვაჩიხოთ ენერგიის ახალი სახეები, ახალი ძასალები, გამოვიძუშაოთ ბუნების პირობებზე მოქმედი უფრო პროგრესული ძეთოდები, ავითვისოთ კოსმოსური სივრცე.

ძეცხიერების გამოყენება საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა ძძლავრი ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ამიტომ მეცნიერების განვითარება და მისი მიღწევების დანერგვა სახალხო მეურნეობაში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის საგანია. საბჭოთა სახელმწიფო მეცნიერების დარგში წყვეტს შემდგომ ორ უმნიშვნელოვანეს პრობლემას: 1. თეორიული ხასიათის კვლევათა განვითარებას და 2. მეცნიერების შეერთებას წარმოებასთან.

პირველი გაპირობებულია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში პროგრესის პერსპექტივებით და, უპირველეს ყოვლისა, საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევებით, კერძოდ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის განვითარების მაღალი დონით, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერების სხვა დარგების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სამეცნიერო გამოკვლევები გახდნენ უფრო ეფექტიანი. მეცნიერთა ძალები და ყურადღება კონცენტრირებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პერსპექტიულ მიმართულებებზე. სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მისი უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე ხორციელდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი შეიარაღება, მცირდება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების ვადები, აგრეთვე წარმოებისა და მიმოქცევის ციკლი; სულ უფრო მეტად უახლოვდება წარმოების დრო სამუშაო პერიოდს, უფრო აქტიურად გამოიყენება საშამულო და საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილება, თეორიული გამოკვლევები ღებულობს ყველაზე ფართო განვითარებას პროგრესის ისეთ განმსაზღვრელ მიმართულებებში, როგორიცაა ელექტროფიკაცია, მრეწველური და სოფლის მეურნეობის წარმოება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების ქიმიზაცია, პრინციპულად ახალი მრეწველობის იარაღებისა და ტექნოლოგიის შექმნა, ატომური ენერგიის საწარმოო გამოყენება, წარმოებისა და მართვის, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სრულყოფა.

საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგებში მიღწევებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მეცნიერებათა გახვითარებას. იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური გახვითარების თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა მეცხიერების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევების შემდგომი გაღრმავება, კიდევ უფრო იზრდება მისი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა შესწავლაში, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების, მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირების თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

✓ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დიდად ზრუნავენ მეცნიერების ამ დარგების შემდგომი

ალმავლობისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მოღვაწე მეცნიერთაგან პარტია მოითხოვს, მათი ცოდნა და გამოცდილება წარმართონ კომუნისტური მშენებლობის, თეორიისა და პრაქტიკის განზოგადების, მომწიფებული სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ძირითადი კანონზომიერების შესასწავლად და მეცნიერული კვლევის გასაღრმავებლად. ამ ასპექტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურ მეცნიერებას. იგი სულ უფრო მეტად მიმართავს ექსპერიმენტს და გახაზოგადებს იმ ახალ მოვლენებს, რომლებიც დამახასიათებელია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებისათვის. ამუშავებს სახალხომეურნეობრივ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა ხელს უწყობს კომუნისტური წარმოების წესის წარმატებით განვითარებას.

საბჭოთა სახელმწიფო მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღებას წარმართავს იმ გზების გამოსანახავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობაში მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის წარმოების, მთელი სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას. მუშავდება მწარმოებლურ ძალთა უფრო რაციონალური გაადგილებისა და კომუნიზმის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემათა პრინციპები.

ეკონომიკური მეცნიერება, სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების ღრმა შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე, განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მისი ხარისხის ამაღლების გზებსა და მეთოდებს, შეიმუშავებს მისი განვითარების ეკონომიკურ მეთოდებს და სტიმულირების ფორმებს.

ამრიგად, საზოგადოებრივი მეცნიერების მწარმოებლურ ძალად გადაქცევას, მის ეკონომიკურ ეფექტიანობას დიდი მნიშვნელობა ეხიჭება. ეს გამოიხატება როგორც კონკრეტულ, ისე ზოგად ფორმებში. მაგ., კონკრეტულ სახეებში ეკონომიკური მეცნიერება წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე გავლენას ახდენს: შრომის იარაღებისა და შრომის საგნების გამოყენების ნორმების დადგენის, წარმოების ციკლის შემცირებისა და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების ღონისძიებების გატარებით, სოციალისტურ შეჯიბრებაში კონკრეტული ვალდებულების აღებით და მათი განხორციელებით, ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგები შესაძლებელია მივიღოთ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური გამოხატულებით.

ეკონომიკურ მეცნიერებას ძალუძს ისეთი პრობლემების გადა-

წყვეტა, როგორიცაა ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების შეცნობა და მისი გამოყენება სამეურნეო პრაქტიკაში, ფასქმნადობის სრულყოფა, სახალხო მეურნეობის მთლიანად და მისი ცალკეული დარგების დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის, დაგეგმვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების რაციონალური შეთანაწყობა, მწარმოებლური ძალების რაციონალური გადანაწილება, კვლავწარმოების ტემპების დაჩქარება და მისი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა და სხვ. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას დიდი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია.

ავიღოთ ისეთი ზოგადი პრობლემები, როგორიცაა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ფორმირება, სოციალისტური შეჯიბრების მეთოდების, მეთოდოლოგიისა და ფორმების სრულყოფა, ესენი ხომ საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა დარგს ეხება, მათ დიდი სოციალური შედეგები მოსდევთ, მათ გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, ადამიანის მიერ შრომის იარაღებისა და შრომის საგნებისადმი, ბუნებისა და მისი რესურსების გამოყენებისადმი დამოკიდებულების კომუნისტური პრინციპების აღზრდა და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ყოველგვარი ეფექტი, ისე როგორც ადამიანის შეგნებაში კომუნისტური პრიხციპების აღზრდა, საბოლოოდ მაინც სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით ეკონომიკური ეფექტის გარეშე არ არსებობს[35].

საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში მსხვილ სამეცნიერო-თეორიულ პრობლემათა გადაწყვეტას და მათ დანერგვას სახალხო მეურნეობაში არსებითი თვისებრივი ცვლილებანი შეაქვთ სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმო-

---

[35] ეკონომიკური მეცნიერების ზემოქმედების სფეროს გაშლა-განვითარებაზე მოწმობს ამ ხასიათის სამსახურის ქსელის გაფართოება. საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის მონაცემების მიხედვით რესპუბლიკაში 55 ტექნიკურ., პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან 33-ში შექმნილია ეკონომიკური ანალიზისა და ეკონომიკურ გამოკვლევათა სამსახური. ამასთან ზოგ ინსტიტუტში აღნიშნულ სამსახურში ჩაბმულია საკმაოდ დიდი ჯგუფი ეკონომისტებისა. ანალიტიკური ხელსაწყოების მშენებელ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში—5 სექტორი, 43 ეკონომისტი, მცირეძალოვანი ელექტრომანქანების საპროექტო-საკონსტრუქტორო საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში—4 სექტორი, 40 ეკონომისტი, რუსთავის ინსტიტუტში „ავტომატპრომი“ —4 სექტორი, 38 ეკონომისტი და ა. შ. (იხ. გაზ. «Экономика научного поиска», გაზ. «Заря Востока», 1976, 15 მაისი, გვ. 2).

ებისა და მის კომუნისტურ კვლავწარმოებაში გადაზრდის პროცესში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ სკკპ საპროგრამო მითითებათა განხორციელების შედეგად, უკვე 60-იანი წლების პირველ ხახევარში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მრავალი ახალი საწარმო წარმოშვა. განხორციელდა სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის ტექნიკური შეიარაღება, შეიქმნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სახის მანქანები, გაწყობილობა, ხელსაწყოები, მათ შორის ბევრი პირველადაა შექმნილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1951—1975 წწ-ში, ე. ი. 25 წლის განმავლობაში, მიღებული იყო 81,7 ათასზე მეტი ახალი ტიპის მანქანა, გაწყობილობა, აპარატები და ხელსაწყოები. აქედან 78,8% შექმნილია 1961—1975 წწ-ში, ანუ გახვითარებული სოციალიზმის სტადიაზე. 1966—1970 წწ-ში, საშუალოდ წელიწადში წარმოებული იყო 4254 ახალი სახის მანქანა, გაწყობილობა, აპარატი და ხელსაწყო, ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც იწარმოებოდა 1961—1965 წწ-ში, ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად[36].

აღსანიშნავია, რომ 1965—1976 წწ-ში ეს პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოში. აქ შექმნილი იყო ახალი სახის მანქანის, გაწყობილობის, აპარატის, ხელსაწყოსა და ავტომატიზაციის საშუალების 712 ნიმუში, რაც შეადგენდა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებთან შედარებით (ავტომატიზაციის საშუალებების ჩათვლით) დაახლოებით 1,7%[37].

თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის მრეწველობის ხვედრ წონას საკავშირო მრეწველობაში, ეს ერთობლივი მაჩვენებელი მოწმობს იმას, რომ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს ტექნიკური პროგრესი. მხოლოდ 60-იანი წლების მეორე ნახევარში, 1966—1970 წწ-ში, ათვისებული და დაწყებული იყო სერიული გამოშვება 8,4 ათასი დასახელების მრეწველური პროდუქციის ახალი სახეებისა, 1971—1975 წწ-ში კი 16,5 ათასი.

როგორც ვხედავთ, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ახალი სახის პროდუქციის წარმოების მზარდი ტენდენცია. თუ 1966—1975 წწ-ში საერთოდ ათვისებული იყო და იწარმოებოდა 24,9 ათასი დასახელების ახალი პროდუქცია, აქე-

---

[36] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., гр. 171.
[37] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в цифрах в 1976 г., с. 31.

დან 1971—1975 წწ-ში მოდიოდა აღნიშნულ დასახელებათა 66,2%. ამ ტენდენციას ადგილი ჰქონდა საქართველოს მრეწველობაშიც. აქ 1965—1980 წწ-ში ათვისებული და ასორტიმენტის გაფართოებია სახით გამოშვებული იყო 1474 დასახელების ახალი მრეწველური პროდუქცია. შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებთან შედარებით მისი ხვედრი წონა შეადგენდა დაახლოებით 11, 0%[38].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კავშირის მრეწველობაში ახალი სახის პროდუქციაში მაღალი ხვედრი წონა ეკავა მანქანებს, გაწყობილობას და აპარატებს, როგორც მთლიანად, ისე ცალკეული სახეების მიხედვით—ლითონსაჭრელ ჩარხებს, საწნეხ-სამჭედლო გაწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, გაწყობილობას მსუბუქ და კვების მრეწველობისათვის, აგრეთვე ხელსაწყოებს და ავტომატიზაციისა და გამოთვლითი საშუალებების ტექნიკას.

მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ახალი პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებასთან ერთად დამახასიათებელია მოძველებული კონსტრუქციების მანქანების, გაწყობილობის, აპარატებისა და ხელსაწყოების წარმოებიდან მოხსნა და საწარმოო დანადგარების (ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის) მოდერნიზაცია.

მოძველებული მანქანა-დანადგარების წარმოებიდან მოხსნის დინამიკა[39]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1979 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
წარმოებიდან მოიხსნა	345	13	804	13	1746	8	1814	19

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სსრ კავშირის მრეწველობაში მოძველებული მანქანა-დანადგარების წარმოებიდან მოხსნა საკმაოდ ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, რაც, რასაკვირველია, ფრიად დადებითი მოვლენაა და მოწმობს ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის განახლების ვადების ინტენსიურ შემცირებას. ეს არ შეიძლება ითქვას საქართველოს მრეწველობაზე, სადაც ეს პროცესი მეტად ხელა მიმდინარეობს (მართალია, 1980 წ. საშუალოდ წარმოებიდან მოხსნილი იყო 19 დასახელების მოძველებული მანქანა-დანადგარი, მაგრამ მაინც მათი განახლების ტემპები მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს). ამას ადასტურებს მოხსნილი მანქანა-დანადგარების დაბალი ხვედრი წონა შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებლებში.

---

[38] გაანგარიშებულია: Грузия в цифрах, 1981, с. 36.

[39] Народное хозяйство СССР в 1975 г., с. 172; Грузинская ССР в цифрах в 1976 г., с. 31; Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 149; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию, с. 34; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 114; Грузия в цифрах, 1981, с. 36.

ძაგ., საქართველოს მრეწველობაში მოხსნილი მოძველებული მანქანა-დანადგარების ხვედრი წონა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებში შეადგენდა 1965 წ. — 3,7, 1970 წ. — 1,6%, 1975 წ. — — 0,5%, 1976 წ. — 1,1%, 1980 წ. დაახლოებით 1%.

რაც შეეხება მოდერნიზაციას, სსრ კავშირში 1966—1979 წწ-ში მოდერნიზებული იყო სულ 2053 ათასი ერთეული საწარმოო გაწყობილობა. გაწყობილობის მოდერნიზაციის საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა (1966—1970 წწ-ში—135, 1971—1975 წწ-ში—146, ხოლო 1976—1979 წწ-ში 162 ათას ერთეულს. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი რაოდენობით გაწყობილობის მოდერნიზაცია მიმდინარეობდა მსუბუქ მრეწველობაში (1966—1970 წწ-ში მოდერნიზებული საწარმოო გაწყობილობის საერთო რაოდენობის 55%, 1971—1975 წწ-ში —50,8%) და მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში (შესაბამისად —24,4%—22,6%).

საწარმოო გაწყობილობის მოდერნიზებული საერთო რაოდენობიდან ამ ორ დარგზე 1966—1970 წწ-ში მოდიოდა თითქმის 80%, ხოლო 1971—1975 წწ-ში — 73%-ზე მეტი[40]. რაც შეეხება მრეწველობის სხვა დარგებს, კვების, ქიმიურ და ნავთობქიმიურ, შავ მეტალურგიასა და საშენ მასალათა მრეწველობას, აქ გაწყობილობის მოდერნიზაცია მიმდინარეობდა უფრო ნელი ტემპით.

მანქანათმშენებლობაში საწარმოო გაწყობილობის მოდერნიზაციის პროცესის უფრო სწრაფი ტემპი უშუალოდ დამოკიდებულია ძეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებასთან. ეს განპირობებულია არა მარტო იმით, რომ აქ იქმნება ახალი სახის შრომის იარაღები, არამედ იმითაც, რომ ამ დარგის განვითარებაზე, ძირი ტექნიკური დონის ამაღლებაზე დამოკიდებულია როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოდერნიზაციის პროცესი, ისე მათი ტექნიკური აღჭურვილობა.

საქართველოს მრეწველობაში 1965—1980 წწ-ში მოდერნიზებული იყო 11334 ერთეული გაწყობილობა. ეს შეადგენდა საკავშირო მრეწველობაში მოდერნიზებული საწარმოო გაწყობილობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 0,6%[41]. საწარმოო გაწყობილობის მოდერ-

---

[40] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., с. 172; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 114.

[41] Грузинская ССР в цифрах в 1976 г., с. 31; Грузия в цифрах, 1981, გვ. 36.

ნიზაციის ტემპით საქართველოს მრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

საწარმოო გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივი სტრუქტურა მრეწველობაში

(სულ მოდერნიზებული იყო ყველა დარგში—100%)[42]

	1966—1970 წწ.		1971—1975 წწ.		1976 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
მათ შორის:						
შავი მეტალურგია	1,8	0,4	1,6	0,7	1,5	0,4
ქიმიური და ნავთობქიმიური	2,8	6,4	4,7	4,9	4,6	1,2
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	24,4	47,6	22,6	27,7	22,7	41,3
საშენ მასალათა	1,4	1,7	2,5	0,8	2,7	4,2
მსუბუქი	54,6	32,9	50,8	40,9	51,3	5,7
კვების	3,1	6,8	4,9	12,9	5,2	19,0
სხვა დარგები	—	5,2	—	13,1	—	28,2

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საწარმოო გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრიწონა უკავია მსუბუქ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობას. საერთოდ მოდერნიზებული გაწყობილობის ხვედრი წონის ამაღლება დადებითი მოვლენაა, პასუხობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანას, განსაკუთრებით როდესაც ეს ხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთ განმსაზღვრელ დარგში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა. ამიტომ მოდერნიზაციის დარგობრივ სტრუქტურაში, ჩვენი აზრით, გარკვეული დარგის ხვედრი წონა საგრძნობლად არ უნდა ჩამორჩებოდეს მრეწველობის ძირითადი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის მაჩვენებელს.

თუ ჩვენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ ორ მნიშვნელოვან მაჩვენებელს შევადარებთ, გამოიკვეთება საყურადღებო ტენდენციები.

---

[42] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 149; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 33.

მრეწველობის ძირითადი ფონდების დარგობრივი სტრუქტურა (მთელი მრეწველობა—100%)[43]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1976 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
მათ შორის:								
შავი მეტალურგია	10,6	14,9	10,4	12,2	—	10,6	—	10,8
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	8,3	7,8	8,9	8,2	9,4	9,4	9,4	8,2
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	19,0	11,3	20,0	12,4	21,5	13,4	22,0	12,9
საშენ მასალათა	6,4	6,7	5,7	7,2	5,7	7,7	5,7	8,1
მსუბუქი	4,4	5,8	4,6	6,6	4,4	7,1	4,4	7,3
კვების	9,2	14,4	8,0	15,5	7,9	16,5	7,9	15,8

მართალია, აღნიშნული მონაცემები არაერთგვაროვანია და მათი პირდაპირი შედარება შეუძლებელია, მაგრამ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონა მათ დარგობრივ სტრუქტურაში და წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ხვედრი წონა უკავია აღნიშნულ დარგებს საწარმოო გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივ სტრუქტურაში, გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ ღონისძიებების განხორციელების ტენდენციებზე მრეწველობაში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ შავ მეტალურგიას, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობას, აგრეთვე საშენ მასალათა და კვების მრეწველობას ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში შედარებით მაღალი ხვედრი წონა უკავია, მათი ხვედრი წონა საწარმოო გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივ სტრუქტურაში უფრო მცირეა. ყველაზე მაღალი ხვედრი წონა ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში აქვს მანქანათმშენებლობას და ლითონდამუშავებას. ეს დარგი მაღალი ხვედრი წონით ხასიათდება გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივ სტრუქტურაშიც, ხოლო მსუბუქ მრეწველობას, რომელსაც შედარებით დაბალი ხვედრი წონა უკავია ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში, ყველაზე მაღალი ხვედრი წონა გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივ სტრუქტურაში აქვს.

რაც შეეხება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მაღალ ხვედრ წონას გაწყობილობის მოდერნიზაციის დარგობრივ

---

[43] Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 188; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 55—56; Народное хозяйство СССР в 1970 г., с. 166—167 (1970 წ. მოცემულია 1971 წ. 1 იანვრისათვის); Народное хозяйство СССР в 1960 г., с. 150—151 (1965 წ. მოცემულია 1966 წ. 1 იანვრისათვის).

სტრუქტურაში, ეს მთლიანად შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებას, რადგან სწორედ ამ დარგში, როგორც შრომის იარაღების მწარმოებელ დარგში, უნდა ხდებოდეს წარმოების პროცესის სრულყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა უფრო სწრაფად. ამ დარგის ტექნიკური დონის ამაღლებაზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის სხვა, განსაკუთრებით მატერიალური წარმოების სფეროს დარგების ტექნიკური დონის სრულყოფა[44]. მსუბუქ მრეწველობაში კი გაწყობილობის მოდერნიზაციის მაღალი ხვედრი წონა, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით, რომ ამ დარგში ბევრი სახეობის, შედარებით მცირე გაბარიტებისა და მასობრივი ხასიათის მანქანა-დანადგარებიც გამოიყენება, რომელთა სისტემატური და შედარებით მოკლე ვადებში მოდერნიზაცია გაპირობებულია თვით წარმოების ტექნოლოგიისა და მასში წარმოებული პროდუქციის სპეციფიკურობით.

საქართველოში ამ პროცესს აღნიშნულ პერიოდში გარკვეული თავისებურება ჰქონდა. ეს გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, იმით, რომ ზოგიერთ დარგში მოდერნიზაცია უფრო მაღალი ხვედრი წონით ხასიათდებოდა ვიდრე სსრ კავშირში (მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, კვების მრეწველობა), მეორე მხრივ, ზრდის არამყარი ტენდენციით. პირველ შემთხვევაში, ეს განპირობებული იყო მანქანა-დანადგარების ასაკობრივი მდგომარეობით, ხოლო მეორეში—აღ-

---

[44] საინტერესოა ზოგიერთი მონაცემი აშშ მანქანათმშენებლობაში დასაქმებულთა ფუნქციონალური სტრუქტურის ცვლილებების შესახებ (% აღნიშნულ დარგში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში):

დასაქმებულთა კატეგორიები:	1950 წ.	1960 წ.	1970 წ.
მუშები	69,1	60,0	57,3
საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი	10,0	14,2	17,1
მოსამსახურეები	18,9	21,0	23,2

მანქანათმშენებლობაში ფიზიკური შრომით დასაქმებულთა საკვალიფიკაციო სტრუქტურის ცვლილებები (%-ით ფიზიკური შრომით დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში):

დასაქმებულთა კვალიფიკაცია:	1950 წ.	1960 წ.	1970 წ.
უმაღლესი კვალიფიკაციის მუშები	36,8	37,4	38,2
საშუალო კვალიფიკაციის მუშები	56,7	57,9	57,1
არაკვალიფიცირებული და ნახევრად კვალიფიცირებული მუშები	6,5	4,7	4,7

(იხ ჟურნ. «Мировая экономика и международные отношения», № 3, 1977, გვ. 82).

ნიშნული ლონისძიების გატარების არათანმიმდევრობით, რაც იწვევდა გაწყობილობის მოდერნიზაციის ჩატარების დიდ მერყეობას წლების მიხედვით, ამან გამოიწვია მრეწველობაში გაწყობილობის მოდერნიზაციის დაბალი ხვედრი წონა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებამ მოითხოვა მეცნიერულ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა ძალების, მატერიალური და ფულადი რესურსების თავმოყრა მეცნიერების და ტექნიკის განვითარების ახალ პერსპექტიულ მიმართულებებზე. მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები სულ უფრო მეტად და განუწყვეტლივ უკავშირდებოდა წარმოების შემმდგომი განვითარების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები სულ უფრო ზუსტად სპეციალიზდებოდნენ, მათ მუშაობაში ისპობოდა გაუპიროვნებლობა და პარალელიზმი. წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება ახალი ტექნიკისა და პროგრესულ-ტექნოლოგიური პროცესების განვითარებისა და დანერგვის, სპეციალიზაციისა და საწარმოო კოოპერირების გაუმჯობესების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უფრო ფართო გამოყენების საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის მთავარი წყარო ხდება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზოგიერთი კომპლექსური მაჩვენებლის დინამიკა (1 ივლისისათვის)[45]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
მექანიზებული ნაკადური ხაზები	42947	628	89481	1439	114108	1879
ავტომატური ხაზები	5981	62	10917	91	17072	208
კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული:						
ა. უბნები, საამქროები და წარმოებები	22386	420	44248	673	66229	1311
ბ. საწარმოები	1906	97	4984	201	5383	142

როგორც ამ მონაცემებიდან ვხედავთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა წარმოებაში, ისე როგორც სსრ კავშირში და ცალკეულ რეგიონებში, საქართველოს მრეწველობაშიც

---

[45] Народное хозяйство СССР в 1975 г., с. 173—174; Грузинская ССР в цифрах в 1975 г., с. 46.

საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. მაგ., მექანიზებული ნაკადური ხაზების რაოდენობა 1975 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 2,99-ჯერ, ავტომატური ხაზებისა—3,35-ჯერ, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროებისა და საწარმოების—3,1-ჯერ, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოების 1, 48-ჯერ. მაგრამ ამ პროცესს საქართველოში გარკვეული ტენდენციებიც აქვს, რომლებიც მის თვისებრივ ხასიათს გამოხატავენ. ამისათვის საკმარისია აღნიშნულ საკავშირო მაჩვენებლებში გამოვხატოთ საქართველოს ხვედრი წონა დინამიკაში.

საქართველოს ხვედრი წონა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზოგიერთ კომპლექსურ მაჩვენებელში (%-ით)

	1965 წ.	1971 წ.	1975 წ.
მექანიზებული ნაკადური ხაზები	1,5	1,6	1,6
ავტომატური ხაზები	1,0	0,8	1,2
კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული:			
ა. უბნები, საამქროები და წარმოებები	1,9	1,5	1,9
ბ. საწარმოები	5,0	4,0	2,6

✓ საქართველოს მრეწველობაში 10 წლის მანძილზე (1965—1975 წწ.) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებაში, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებაში, შესამჩნევი ცვლილებები მოხდა. გაიზარდა მექანიზებული და ავტომატიზებული ნაკადური ხაზების, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროების, საწარმოთა რაოდენობა. გარკვეული ცვლილებები მოხდა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგობრივ სტრუქტურაში. ამასთანავე ყურადღებას იქცევს ის, რომ არსებულ მექანიზებულ, კომპლექსურად მექანიზებულ და ავტომატიზებულ უბნებს, საამქროებსა და საწარმოთა შორის, ყველაზე მაღალი ხვედრი წონა უკავია მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებს, იმ დარგებს, რომლებიც წარმოებული პროდუქციის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილის გამოყენების მხრივ მრეწველობის „ბ“ ჯგუფს მიეკუთვნებიან. მრეწველობის ისეთ დარგებში კი, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური, შავი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა, ანუ დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და რომლებიც მეტწილად მიეკუთვნებიან წარმოების საშუალებების მწარმოებელ დარგებს, ანუ „ა“ ჯგუფს, მექანი-

ცხრილი 1

მრეწველობაში მექანიზებული, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზების დარგობრივი სტრუქტურა (ხულ—100%)[46]

მრეწველობის დარგები	მექანიზებული ხაზები		ავტომატიზებული ხაზები		კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული უბნები, საამქროები და წარმოებები		კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოები	
	1965 წ.	1975 წ.	1965 წ.	1975 წ.	1965 წ.	1975 წ.	1965 წ.	1975 წ.
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	6,6	11,1	3,2	11,5	1,3	8,2	—	0,7
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	2,5	3,1	20,9	11,1	5,3	5,8	2,1	2,1
ქიმიური	1,2	2,2	—	1,4	5,7*	5,5*	1,1*	3,5*
შავი მეტალურგია	1,4	0,6	1,6	1,9	5,4	2,8	1,1	2,1
საშენ მასალათა	11,1	14,6	3,2	5,7	13,8	11,8	8,3	16,9
შუშის და ფაიფურის	2,2	0,5	6,4	8,1	0,4	0,6	—	2,1
მსუბუქი	18,1	11,3	—	0,5	0,7	0,9	1,1	0,7
კვების	56,3	54,2	64,5	56,2	52,4	59,4	73,9	52,2
ელექტროენერგეტიკა	—	—	—	—	10,4	1,8	9,3	12,7
სათბობის	—	—	—	—	1,4	1,9	—	2,1
მრეწველობის სხვა დარგები	—	—	—	—	3,2	1,2	3,1	4,9

* ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა.

[46] Грузинская ССР в цифрах, краткий стат. сб., Тб., 1976, с. 46.

ზებული, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროებისა და საწარმოთა რაოდენობა შედარებით ნაკლებია. აქ სხვა ფაქტორიც მოქმედებს, კერძოდ, წარმოების კონცენტრაციის დონე, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას.

როგორც წესი, ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, მახქახათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმიური და შავი მეტალურგია, წარმოების კონცენტრაციის დონე უფრო მაღალია ვიდრე მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში. ეს, რასაკვირველია, გახპირობებულია აღნიშნული დარგების სპეციფიკურობით, ტექნოლოგიური პროცესების სირთულით და წარმოების კონცენტრაციის დონით. მაგრამ ხელით შრომის მაღალი ხვედრი წონა ამ დარგებში როგორც დამხმარე (განსაკუთრებით), ისე ძირითად სამუშაოებზე დაჟინებით მოითხოვს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ხელით შრომა წარმოების ყველა სტადიაზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოების მექანიზაციის დონე ამაღლდა მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებშიც, კერძოდ მშენებლობაზე.

მშენებლობაზე მექანიზაციის კოეფიციენტის დინამიკა[47]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1976 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
მიწის სამუშაოები	0,977	0,951	0,939	0,971	0,993	0,988	0,995	0,958
ქვის, ქვიშის, ხრეშის, ღორღის და წიდას დატვირთვა-გადმოტვირთვა	0,928	0,919	0,967	0,923	0,982	0,936	0,988	0,958
ხე-ტყის, ლითონის, ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დატვირთვა-გადმოტვირთვა	0,940	0,891	0,971	0,944	0,979	0,977	0,984	0,981
ცემენტის დატვირთვა-გადმოტვირთვა	0,646	0,548	0,768	0,788	0,872	0,800	0,911	0,870
საბათქაშო სამუშაოები	0,595	0,170	0,672	0,410	0,711	0,553	0,750	0,635
სამღებრო სამუშაოები	0,670	0,587	0,723	0,719	0,756	0,801	0,776	0,796

განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელი გახდა სამშენებლო ინდუსტრიის მძლავრი განვითარება. ახლა უკვე შეუძ-

---

[47] Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 164; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 37; Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, с. 45.

ლებელია სამშენებლო სამუშაოთა სწრაფი ტემპებით განხორციელება და სამშენებლო პროდუქციის ხარისხის ამაღლება მექანიზაციისა და კომპლექსურ-მექანიზაციის დონის ამაღლების გარეშე.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მშენებლობაზე მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის კოეფიციენტი, ანუ აღნიშნული სამუშაოების საერთო მოცულობაში მექანიზებული შრომის დონე, უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ მაღალია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ შედარებით დაბალია ცემენტის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, სამღებრო და საბათქაშო სამუშაოებზე. ამ უკანასკნელ სამუშაოებს მშენებლობაზე მასობრივი ხასიათი აქვს, მაგრამ აქაც აღინიშნება მექანიზაციის ზრდის ტენდენცია. სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციასთან ერთად საგრძნობლად ამაღლდა მათი კომპლექსური მექანიზაციაც.

სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის კოეფიციენტის დინამიკა[48]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1979 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
მიწის სამუშაოები	0,942	0,916	0,972	0,945	0,980	0,944	0,985	0,949
ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი	0,946	0,950	0,977	0,988	0,976	0,983	0,966	0,970
ბეტონის მომზადება	0,797	0,747	0,822	0,667	0,875	0,813	0,877	0,828
დუღაბის მომზადება	0,628	0,483	0,670	0,466	0,743	0,682	0,738	0,796
ბეტონის და რკინაბეტონის დუღაბები	0,821	0,824	0,884	0,911	0,922	0,911	0,926	0,924

როგორც ვხედავთ, სამშენებლო სამუშაოებზე კომპლექსური მექანიზაცია როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში საკმაოდ მაღალია და შემდგომი ამაღლების ტენდენციით ხასიათდება. განვითარებული სოციალიზმისათვის, როდესაც პრაქტიკულად ხორციელდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, მშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაცია, რომელსაც უფრო ფართო შინაარსი აქვს, ვიდ-

---

[48] Народное хозяйство СССР за 60 лет, с. 164; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 37; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 129; Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, с. 45.

რე სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციას.

აღნიშნულ პროცესს, ე. ი. მექანიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დონის ამაღლებას, ადგილი აქვს სოფლის მეურნეობაშიც. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, თუ ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით შევადარებთ ორ ეტაპს ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ გახვითარებაში, სოციალიზმის ძირითადად გამარჯვებისა და განვითარებული სოციალიზმის აშენების ეტაპებს.

ენერგეტიკულ სიმძლავრეთა (მექანიკური ძრავების) ხვედრი წონის დინამიკა საქართველოს სოფლის მეურნეობაში (ყველა ენერგეტიკული სიმძლავრე—100%)[49]

1934 წ.	1961 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
8	94	98	99	99

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე საქართველოს სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში ენერგეტიკული სიმძლავრეები თითქმის მთლიანად გამოიხატებოდა მექანიკურ ძრავებში. 30-იან წლებში კი ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მთავარ მაჩვენებელს (92%) წარმოადგენდა მუშა პირუტყვი[50], დანარჩენი 8% შედგებოდა ტრაქტორების ძრავების სიმძლავრეების (5%), კომბაინების მოტორების (1%), ავტომობილების (1%), ელექტროდანადგარებისა და სხვა მექანიკური ძრავებისაგან (1%). 1976 წ. აღნიშნული მექანიკური სიმძლავრეები შეადგენდნენ შესაბამისად: 37%, 3%, 43 და 16%, ხოლო მუშა პირუტყვი მხოლოდ 1%. რაც შეეხება ენერგეტიკულ სიმძლავრეებს, რომელიც მოდის როგორც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე, ისე ერთ ჰექტარ ნათეს ფართობზე, აქ საშუალო საკავშირო და რესპუბლიკურ მონაცემებს შორის შემდეგი შეფარდებებია:

---

[49] Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, с. 92; Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет. Юбилейный стат. ежегод., 1980, с. 44.

[50] საბჭოთა კავშირში 1940 წ. საერთო ენერგეტიკულ სიმძლავრეებში მექანიკურ ძრავებზე მოდიოდა — 77,6%, ხოლო მუშა პირუტყვზე — 22,4%, 1965 წ. — 98,4%, 1976 წ. — 99,5%.

ენერგეტიკული სიმძლავრეები სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ 1 მუშაკზე, 1979 წ. მოდიოდა (ცხენის ძალა)[51]

	სსრ კავშირში	საქ. სსრ	აზერბ. სსრ	სომხ. სსრ
კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში	22,9	5,7	8,8	10,3
კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში	18.4	4,8	7,9	9,2
საბჭოთა მეურნეობებში	28,9	6,9	9,7	12,2

როგორც მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით საქართველოში შედარებით უფრო დაბალია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებულთა ენერგეტიკული სიმძლავრეებით აღჭურვილობა. ეს კი აიხსნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე დასაქმებულთა შედარებით უფრო მაღალი დონით. ამას ადასტურებს შესაბამისი მონაცემები, გაანგარიშებული სათესი ფართობის მოცულობაზე.

სათესი ფართობების ყოველ 100 ჰექტარზე 1979 წ. მოდიოდა ენერგეტიკული სიმძლავრეები[52]

	სსრ კავშირში	საქ. სსრ	აზერბ. სსრ	სომხ. სსრ
კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო სოფლის მეურნეობრივ საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში	248	504	398	545
კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო სოფლის მეურნეობრივ საწარმოებში	247	466	295	477
საბჭოთა მეურნეობებში	249	543	565	589

აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს როგორც სსრ კავშირში, ისე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. მოტანილი მონაცემები სოფლისმეურნეობრივი წარმოების ტექნიკური აღჭურვის შესახებ ნათლად მეტყველებენ მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმდინარეობის ამ აქტიურ პროცესზე, რომელიც დამახასიათებელი გახდა განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე და რომელიც იწვევს არსებით თვისებრივ ცვლილებებს სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში.

---

[51] Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 122.

[52] იქვე, გვ. 122.

საერთოდ, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას. ეს თანაფარდობა კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც პერსპექტივაში ძირითადად დაკმაყოფილებული იქნება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე როგორც წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში (შრომის იარაღის სახით და როგორც მამოძრავებელი ძალა), ისე საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების მიზნით მომოყენებისათვის. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ელექტროენერგიის წარმოება. ამისათვის საჭიროა ბუნებისერმა სადგურებმა დააკმაყოფილონ რესპუბლიკის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, რადგან ენერგოსისტემის განვითარება როგორც ამიერკავკასიის, ისე საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილშიც და მთლიანად ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემაც კი თანამედროვე პირობებში ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, რადგან ეს სისტემები ძირითადად გამიზნულია კრიზისულ პერიოდებში (ავარია და სხვ.) ელექტროენერგიის განუწყვეტლივი მომარაგებით უზრუნველსაყოფად. ამიტომ ამჟამად და მომავალში (გარკვეულ პერიოდში) არსებული დეფიციტი ელექტროენერგიაზე რესპუბლიკაში უნდა დაიფაროს ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ხარჯზე. ეს პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკურ პრობლემასთან. ელექტროენერგიის მწარმოებელ საწარმოთა სტრუქტურა ხელს უნდა უწყობდეს ბუნების გარემოს გაუმჯობესებას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით უკანასკნელ წლებში მდგომარეობა გაუმჯობესდა, რესპუბლიკის მრეწველობა, აგრეთვე მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა-გამოყენების მხრივ. კერძოდ, მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ისეთი სახეების დანერგვაში, როგორიცაა ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზები. ეს დამახასიათებელია სსრ კავშირისათვისაც.

1975 წ. კავშირში ბალანსზე მყოფ მრეწველურ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან (46793 საწარმო) კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული იყო 5383 საწარმო, ანუ 11,5%, საქართველოში შესაბამისად 14,2% (1000 საწარმოდან—142).

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები მნიშვნელოვნად დაჩქარდა, მეცნიერება საგრძნობლად დაუახლოვდა წარმოებას, იგი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უშუალო მწარმოებლური ძალა, ჯერ კიდევ, როგორც

ამას მოტანილი მონაცემები მეტყველებენ, არ არის მიღწეული წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სასურველი დონე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე ცალკე ეკონომიკურ რაიონებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში.

ამიტომაა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა აღნიშნული პრობლემის გადაჭრას 70—80-იან წლებში. ეს გაპირობებულია იმ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობით, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მშრომელთა საქმიანობისა და მათი გაჯანსაღების ღონისძიებების განხორციელებასთან, ხელით შრომის მანჭანური შრომით შეცვლასთან.

ცნობილია, რომ თანამედროვე მანქანა მნიშვნელოვნად ამსუბუქებს არა მარტო ფიზიკურ, არამედ ადამიანის გონებრივ შრომასაც, ხდის მას უფრო ეფექტიანს. სწორედ ამასთან დაკავშირებით მუშავდება სამეცნიერო პრობლემები, მიმართული ენერგეტიკის განვითარებისაკენ[53], ახალი კონსტრუქციების, სამშენებლო და სხვა მასალების, მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის, წარმოების მართვის ავტომატიზაციის სისტემების შექმნისაკენ. (მ ე ც ნ ი ე რ უ ლ-ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი პ რ ო გ რ ე ს ი ს ჩ ქ ა რ ი ტ ე მ პ ე ბ ი დ ა ა მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ-

---

[53] ზოგიერთი ავტორის აზრით, ადამიანი (ხალხი, მოსახლეობა) არსებობს დედამიწაზე 500 ათასი წელი. მაგრამ მხოლოდ 150 წლის წინათ დაიწყო ტექნიკის საუკუნე და მხოლოდ მიმდინარე საუკუნეში დაიწყო ხალხმა წიაღისეული სიმდიდრის დიდი მასშტაბებით ექსპლუატაცია. უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში კაცობრიობამ მოიხმარა უფრო მეტი ნავთობი, ვიდრე მისი არსებობის მთელ ისტორიაში მანამდე, ხოლო მომავალ 12 წელში ნავთობის მოხმარება ორჯერ გაიზრდება.

70-იანი წლების შუახანებში ნავთობის საშუალო წლიური მოპოვება ერთ ჭაბურღილზე (დღე-ღამეში) შეადგენდა (ტონობით): კუვეიტში—548, ლიბიაში—480, ირანში—2876, საუდის არაბეთში—1407, ვენესუელაში—47, სსრ კავშირში (საორიენტაციოდ)—50, ჩრდილოეთ ამერიკაში—1,8, დასავლეთ ევროპაში (ხმელეთზე)—8,2, ნიგერიაში—400, ინდონეზიაში—65, ერაყში—2112, ალჟირში—129, ეკვადორში—137.

პირველადი ენერგორესურსების გადაანგარიშების კოეფიციენტი პირობით სათბობზე

	კილო-კალორია	კგ. პირობითი სათბობი
1 კგ ქვანახშირი	7000	1,00
1 კგ მურა ნახშირი	1900	0,27
1 კგ ნავთობი	10000	1,44
1 კუბ. მეტრი ბუნებრივი გაზი	7600	1,09
1 კ ვოლტი ჰიდროელექტროენერგია	2800	0,34

როგორც ვხედავთ, დიდი პერსპექტივაა ქვანახშირის გამოყენებისათვის, მითუმეტეს, რომ მისი დიდი სამადოები არსებობს. გაიზრდება ატომის (ურანის) ენერგია. (იხ. журн. Глюхауф, Техника и экономика горной промышленности, ФРГ, 18 июля, 1974. с. 27, 2ъ)

ზე საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში მწარმოებლურ ძალთა განვითარების, სოციალისტური კვლავწარმოების კანონზომიერება გახდა.

აჭასთან დაკავშირებით არსებითად ამაღლდა მეცნიერულ-კვლევითი ეფექტიანობა, დაჩქარდა მათი შედეგების დანერგვა წარმოებაში. ამას ხელი შეუწყო სამეცნიერო ძალებისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაციამ მეცნიერებისა და ტექნიკის იმ ძირითად პრობლემათა გადასაწყვეტად, რომლებიც მაქსიმალურ ეფექტს იძლევიან, აგრეთვე მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საწარმოთა საცდელ-საწარმოო ბაზის გაძლიერებამ, მათმა აღჭურვამ უახლესი სამეცნიერო და ლაბორატორიული გაწყობილობით განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წარსულში გვიჩვენა მეცნიერების, როგორც საზოგადოების უშუალო მწარმოებლური ძალის როლი.

თანამედროვე პირობებში მთავარი ხდება არა მარტო მეცნიერების ცალკეული მიღწევები, არამედ მთელი საზოგადოებრივი წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე, ახალი მაღალტექნიკური და მაღალხარისხოვანი პროდუქციის სახეების მასობრივი დანერგვა და წარმოება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მოითხოვს ინდუსტრიის ორგანიზაციის ფორმათა სრულყოფას, ისეთი წარმოებების შექმნას, რომელნიც პასუხობენ თანამედროვეობის მოთხოვნებს. აუცილებელი ხდება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს კვლევითი სამუშაოები თვით მრეწველობაში, შეიქმნას მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები, ძლიერი ექსპერიმენტული ბაზები საწარმოებში, მიზიდული იქნას მრეწველობაში მეცნიერთა კადრების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ამგვარი შესაძლებლობები განსაკუთრებით ფართოვდება მსხვილი საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და კომბინატების, სამეცნიერო მრეწველური კომპლექსების შექმნის პარალელურად. აღსანიშნავია, რომ 1979 წ. ბოლოსათვის სსრ კავშირის მრეწველობაში შექმნილი იყო 3947 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (მათში შედიოდა 7366 დამოუკიდებელი საწარმო ანუ ყველა საწარმოს 16, 7% და 10150 საწარმო ერთეული). აღნიშნული დროისათვის საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოთა გაერთიანების ხვედრი წონა მრეწველურ-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის მიხედვით

შეადგენდა 48,4%, მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობის მიხედვით 47, 1%[54]. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამგვარი მაღალი ხვედრი წონა საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობაში, შედარებით მათ მიერ გაერთიანებულ საწარმოთა ხვედრ წონასთან მრეწველურ-საწარმოთა საერთო რაოდენობაში, გაპირობებულია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სპეციფიკურობით, სადაც როგორც საწარმოო, ისე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების რაოდენობა მნიშვნელოვნად უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებში.

რასაკვირველია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონე უფრო მაღალი იქნებოდა თუკი მრეწველობის წამყვან დარგებში, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობაში, წარმოების კონცენტრაციისა და შიგადარგობრივი ცენტრალიზაციის დონე უფრო მაღალი იქნებოდა ვიდრე ახლაა. მაგ., მსუბუქ მრეწველობაში, სადაც 1976 წ. 1 იანვრისათვის ითვლებოდა 8224 დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საწარმო, იყო 419 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში კი შესაბამისად 8474 საწარმო და 201 გაერთიანება. მართალია, ეს დამოკიდებულია საწარმოების სპეციფიკურობაზე, იმაზე, რომ მძიმე მრეწველობის დარგებში საერთოდ უფრო მაღალია წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის დონე, მაგრამ მაინც საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო და მრეწველურ-საწარმოო კომპლექსების ხვედრი წონა მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს.

საქართველოშიც მიმდინარეობს საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნა, ე. ი. მრეწველური წარმოების კონცენტრაციისა და შიგადარგობრივი ცენტრალიზაციის პროცესი.

1979 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში იყო 1084 დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საწარმო. საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება კი შეადგენდა 118 (11,0 %), მათში შედიოდა 150 დამოუკიდებელი საწარმო (საწარმოთა საერთო რაოდენობის 13,8% და 333 საწარმოო ერთეული). აღნიშნული გაერთიანებების ხვედრი წონა 1978 წ. მრეწველურ-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის მიხედვით შეადგენდა — 37,6, წარმოებული პროდუქციის მიხედვით კი 40,2%[55]. ის ტენდენციები, რომლებიც მეღავნდება საკავშირო

---

[54] Народное хозяйство СССР в 1979 г., გვ. 133.

[55] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР, გვ. 35—36 в 1978 г. 1980 წ. საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების რაოდენობა შეადგენდა 120 (იანვრისათვის), ხოლო დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ მრეწველურ საწარმოთა რაოდენობა — 1103 (1979 წ.), Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет.

ძრეწველობაში, დამახასიათებელია საქართველოს მრეწველობისათვისაც, ე. ი. გაერთიანებებში მაღალი ხვედრი წონა უკავია მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოთა რაოდენობის მიხედვით საქართველოს მრეწველობის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელში შეადგენდა (1979 წ.) 2,5%, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების მიხედვით 3,0%, წარმოებული მრეწველური პროდუქციის მიხედვით კი 1,3%[56]. როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკის მრეწველურ წარმოებაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია.

საბჭოთა სახელმწიფო, ახორციელებს რა ქვეყნის მწარმოებლური ძალების შემდგომ განვითარებას, გამოდის იმ დებულებიდან, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მთავარი ბერკეტია. მეცნიერებისა და მისი აღმოჩენების გავლენით დაწყებული გადატრიალება მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში სულ უფრო ღრმავდება და მნიშვნელოვანი ხდება. ამასთან დაკავშირებით სოციალისტური საზოგადოების წინაშე, მის მომწიფებულ სტადიაზე, დადგა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა—ორგანულად შეერთდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან; ფართოდ განავითაროს თავისი, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი მეცნიერებისა და წარმოების შეერთების ფორმები.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში ტარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთიანი პოლიტიკა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეერთებისა სოციალისტური მეურნეობის სისტემის უპირატესობებთან, რაც კონკრეტულად გამოიხატება იმით, რომ ყოველივე მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგის დანერგვა და გამოყენება ხდება არა ვიწრო უწყებრივ, ანდა რეგიონალურ ჩარჩოებში, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მისი საჭიროებისა და მნიშვნელობის კვალობაზე. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ქსელი არ არის შეზღუდული გარკვეული ტერიტორიით, იგი ფართოდ იშლება იქ, სადაც კონცენტრირებულია წიაღისეულის დიდი საბადოები, რომელთა სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა

---

[56] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 133, 135; Грузинская ССР в цифрах в 1976 году, с. 35; Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 51—52.

საგრძნობლად ავითარებს ქვეყნის მწარმოებლურ ძალებს, ამაღლებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთიანი პოლიტიკა კი არ ზღუდავს, არამედ ქმნის რეალურ პირობებს ეროვნული მეცნიერების განვითარებისათვის, არსებული მეცნიერული კადრების, ბუნებრივი სიმდიდრისა და შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების მიზნით. ამასთანავე, საერთო სახალხო მეურნეობის მიღწევები მეცნიერებასა და ტექნიკაში, მიღწევები ცალკეული ეროვნული სამეცნიერო მიმართულებებისა საბჭოთა სახელმწიფოს სიმდიდრეა და გამოიყენება საზოგადოების საკეთილდღეოდ.

თანამედროვე პირობებში დიდი ძვრებია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა რეალიზაციის დაჩქარების საქმეში, რაც სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ წარმოებაზე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია შესაძლებლობას გვაძლევს რადიკალურად გარდავქმნათ წარმოების მეთოდები, პრინციპულად ახალი მაღალმწარმოებლური შრომის იარაღების, პროგრესული მასალების შექმნისა და გამოყენებისათვის.

სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა უსაზღვრო შესაძლებლობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის. ამის შედეგად სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ჩარჩოებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მთლიანად და ყოველმხრივ პოულობს განვითარებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკურ, მატერიალურ შესაძლებლობებზე. ცნობილია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაძლებლობების რეალიზაცია მოითხოვს დიდ დანახარჯებს. მაგრამ, სახელმწიფოს მისი განვითარების ყოველ ეტაპზე აქვს საკმარისი რესურსები, რომლის გამოყენება მას ყოველთვის შეუძლია ამ მიზნისათვის. აქედან წარმოიშობა არჩევის აუცილებლობა და პირველრიგი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებისა ერთიანი სახელმწიფო ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებისა და თანმიმდევრული გატარების საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში ამ პოლიტიკის ძირითადი ამოცანები მოიცავს: 1. თვისებრივად, პრინციპულად ახალი შრომის იარაღების, ახალი მასალების თანამედროვე ტექნოლოგიის შექმნასა და დანერგვას, ე. ი. ცნობილი გადაწყვეტილებების გამეორებას კი არა, არამედ ორიენტაციას მსოფლიო ნიმუშებზე, უფრო მაღალი დონის მიღწევაზე. სწორედ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი ტექნიკის შექმნას, რომელიც პასუხობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბა-

ზის მოთხოვნას, კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებას; 2. მოძველებული ტექნიკის განახლებისა და შეცვლის ტემპების დაჩქარებას, ე. ი. მოქმედებაში მყოფი ახალი საწარმოო ფონდების ხვედრი წონის გადიდებას, რაც არსებითად ამაღლებს წარმოების ტექნიკურ დონეს; 3. ხელით შრომის მანქანური შრომით მაქსიმალური შეცვლის შესაძლებლობის მიზნით შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაციას; 4. სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის მასშტაბების ყოველშხრივ გაფართოებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებში ქიმიური პროდუქციისა და მასალების უფრო ფართო გამოყენებას, ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას; 5. როგორც ძირითადი, ისე მისი უზრუნველმყოფი მომიჯნავე წარმოების კომპლექსურ განვითარებას, აგრეთვე სასაწყობო და ტარის მეურნეობის განვითარებას, რომელთა მდგომარეობაზე დამოკიდებულია ნედლეულის, მასალების, მზა პროდუქციის შენახვა და ეკონომია. 6. მეურნეობრივი ანგარიშიანობის მთელი სისტემის სრულყოფას, კერძოდ, პროდუქციაზე ეკონომიკურად დასაბუთებული ფასების, ფინანსებისა და საწარმოთა დაკრედიტების შესაფერი ფორმების დადგენას; 7. მეცნიერების როლის გაძლიერებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა მთელი კომპლექსის განხორციელება დაწყებული სამეცნიერო კვლევიდან და ტექნიკური გადაწყვეტილებებიდან მათი შედეგების წარმოებაში დანერგვამდე.

როგორც ვხედავთ, სოციალისტური (კომუნისტური) წარმოების წესის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი ორგანული კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკასთან. ეს განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიერ შექმნილი შესაძლებლობების ფართო გამოყენებით მწარმოებლურ ძალთა განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების დაჩქარებისათვის[57].

---

[57] მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე საშუალებას გვაძლევს უფრო სწრაფად წარვმართოთ მწარმოებლურ ძალთა განვითარება. ახლა სრულებით არ არის აუცილებელი, რომ ყველგან თანმიმდევრულად გავიაროთ განვითარების კლასიკური საფეხურები. შესაძლებელი გახდა ზოგიერთ მათგანს აეუაროთ გვერდი და მის უფრო პროგრესულ სახეებზე გადავიდეთ, მით უმეტეს თუ ეს ზოგიერთ ტექნიკურად განვითარებულ ქვეყანაში უკვე ხორციელდება. მაგ., ცნობილია, რომ თბილისში აპირებენ სხვადასხვა საოჯახო ნარჩენების ქალაქგარეთ გატანისა და გადაყრის მაგიერ (რაც იწვევს გარემოს დანაგვიანებას, აუტანელი პირობების შექმნას ახლო მდებარე საცხოვრებელი უბნებისათვის), მათი დასაწვავი ქარხნის აშენებას. ჩვენი აზრით ეს, თანამედროვე პირობებში, არ არის ამ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალება. განა უფრო მიზანშეწონილი არ იქნება ის, რომ ახლავე ვიზრუნოთ ამ ნარჩენების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, შევქმნათ ისეთი საწარმოები, რომლებიც გადამუშავებენ ამ ნარჩენებს. ამის შედეგად მივიღებთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათ-

პრინციპულად ახალი შრომის იარაღები, მასალები და ტექნოლოგიური პროცესები თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით უნდა ჭარბობდნენ საუკეთესო სამამულო და მსოფლიო მიღწევებს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში. საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით, გამომდინარე დარგობრივი სპეციფიკურობიდან, უნდა მაღლდებოდეს ტექნიკური გაწყობილობის პარკის ტექნიკური დონე, ჩქარდებოდეს მორალურად მოძველებული მანქანებისა და აგრეგატების გამოცვლა და მოდერნიზაცია, გეგმაზომიერად მუშავდებოდეს და ინერგებოდეს საწარმოო გაწყობილობის ამორტიზაციის ახალი, უფრო მოკლე ვადები, მცირდებოდეს პროდუქციის მასალატევადობა, იზრდებოდეს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის გეგმაზომიერი სრულყოფა, ხდებოდეს მანქანების, აპარატების, ხელსაწყოებისა და სხვა ნამზადის კონსტრუქციების გაუმჯობესება, პროგრესული (მათ შორის მცირეოპერაციული) ტექნოლოგიის გამოყენება, საწყისი ნედლეულისა და მასალების თვისებრივი გაუმჯობესება, პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მატერიალური წანამძღვრების შექმნა, ეკონომიკის მომავლის განმსაზღვრელ პრობლემათა სამეცნიერო და საკონსტრუქტორო დამუშავება და სხვა, რომლებიც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

(საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური ან საწარმოო ეკონომიკური პრობლემაა, არამედ იგი არის დიდი სოციალური ამოცანაც. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება უშუალოდ შეესაბამება ბუნების რესურსებისადმი ყაირათიან დამოკიდებულებას, ხელს უწყობს გარემოს გაჯანსაღებას, მიწისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურად გამოყენებას, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო საგეგმო, სამეურნეო და სხვა ორგანოების საშუალებით მაღალ მოთხოვნებს უყე-

---

ეის ძვირფას ნედლეულს (როგორც ეს მნიშვნელოვან წილად ხდება ბევრ ტექნიკურად განვითარებულ ქვეყანაში).

ამავე დროს ეს დიდ გაელენას მოახდენს წიაღისეულის უფრო რაციონალურად გამოყენებაზე, დაიცავს ბუნებრივ რესურსებს ზედმეტი ხარჯებისაგან და აამაღლებს ეკონომიკურ პოტენციალს. აგრეთვე, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება გარემოს დაცვისათვის. ჩვენ არა ერთი მაგალითი გვაქვს რესპუბლიკაში; მოწინავე თაოსნობისა სახალხო მეურნეობრივი ღონისძიების გატარებაში და წამყვანი ადგილიც გვაქვს სსრ კავშირში, კერძოდ, საბაგირო გზების მშენებლობაში, პნევმოტრანსპორტის აგებაში და სხვ.

ნებს ახალი საწარმოების პროექტირებას და მოქმედი საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ბუნების დაცვის თვალთახედვით ქვეყნის ბუნებრივი რესურსების საზოგადოების ინტერესებისათვის გამოყენებას ფრიად დიდი მხიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წარმოების თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებაში, ბუნებრივ სიკეთეთა რაციონალური გამოყენება სოციალისტური კვლავწარმოების ეფექტიანობის ამაღლების არა დროებითი, არამედ მუდმივი მოქმედი ფაქტორია.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლის პროცესში ეკონომიკასა და შრომის ხასიათში ღრმა ცვლილებებთან ერთად ხდება სოციალური ცვლილებებიც, რაც გამოიხატება: ა. მუშებისა და გლეხების პროფესიული მომზადების, მათი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებით; ბ. სოფლად და ქალაქად შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების თანდათანობით დაახლოებით; გ. ინტელიგენციის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის, რიცხობრივი ზრდით.

ფართოდ ვითარდება მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში, ყოველმხრივ უმჯობესდება სამუშაოები რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ხაზით. მაღლდება ინჟინრებისა და ტექნიკოსების როლი როგორც წარმოების ორგანიზატორებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამტარებლებისა.

ამაშია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალი, უფრო მაღალი თვისებრივი საფეხურები და დამახასიათებელი თავისებურება საბჭოთა კავშირში, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში გაფართოებული კვლავწარმოების თავისებურებებს.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელი თვისებრივი ძვრები წარმოების სრულყოფაში განპირობებულია განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკით, ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარების მიღწეული დონით და მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდით.

სოციალისტური კვლავწარმოების მატერიალური-ტექნიკური ბაზა თავისი რაოდენობრივი, განსაკუთრებით თვისებრივი მაჩვენებლებით სულ უფრო მეტად უახლოვდება კომუნისტური კვლავწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეცნიერების წარმოებასთან, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკასთან შეერთებას.

თავი მესამე

წარმოებასთან მეცნიერების ორგანული შეერთების საკითხისათვის

წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გაძლიერების პროცესს თავისი ისტორია აქვს. სოციალისტურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების, სოციალისტური კვლავწარმოების ადრინდელ სტადიაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საწარმოო და სახელმწიფო სამეურნეო აპარატის რაციონალიზაციას. განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა მრეწველურ-საწარმოო, სავაჭრო და სახელმწიფოებრივი აპარატის რაციონალიზაციისათვის 20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. მაგრამ ფართო რაციონალიზატორულ სამუშაოთა გაშლა როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობაში ისე, განსაკუთრებით, მატერიალური წარმოების სფეროში განპირობებული იყო მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელობის, მისი როლის შესაბამისი ამაღლებით. ამასთან დაკავშირებით იქმნებოდა ტექნიკური მიმართულების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების, საფაბრიკო-საქარხნო ლაბორატორიების გაშლილი ქსელი. სამეცნიერო საქმიანობა უახლოვდება მრეწველურ და სოფლისმეურნეობრივ წარმოებას. დაიწყო საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება, გულდასმით შეისწავლებოდა ყველა უახლესი აღმოჩენა და გამოგონება, ინდუსტრიის ახალი დარგები, ნედლეულის, ლითონებისა და სხვა მასალათა ახალი სახეები, მრეწველური და სოფლისმეურნეობრივი წარმოების, მთელი სახალხო მეურნეობის გაძღოლის ახალი ორგანიზაციული ფორმები.

საწარმოო და სახელმწიფო სამეურნეო აპარატის სოციალისტური რაციონალიზაციის თავისებურებას იმჟამად წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმა ამ მუშაობაში. ეს განპირობებული იყო არა მარტო მშრომელთა დაინტერესებით სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში უშუალოდ მონაწილეობით, არამედ არამწარმოებლური დანახარჯების, შრომისადმი გულგრილი და დაუდევარი, წარმოების საშუალებებისადმი და პირადი შრომისადმი უყაირათო დამოკიდებულების, მეურნეობის ჩამორჩენილი ტექნიკური ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით. იგი აუცილებელი იყო აგრეთვე სამეურნეო და სახელმწიფოებრივ აპარატში არაჯანსაღი გან-

წყობილებისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის. ბრძოლა მიმდინარეობდა ტექნიკური და მეურნეობრივი (ეკონომიკური) ჩამორჩენილობის წინააღმდეგ.

საბჭოთა სახელმწიფო გადამწყვეტ ღონისძიებებს ანხორციელებდა ეკონომიკის ინდუსტრიული დონის ამაღლებისათვის, სოციალისტურ წარმოებაში სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველმხრივ დანერგვისათვის. ეს მოითხოვდა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მჭიდრო კავშირს, მეცნიერული შრომის გაბედულად დაახლოებას მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტასთან. ამ დარგში, ისე როგორც მთლიანად ეკონომიკაში, 30-იანი წლების დასაწყისში არსებითი ცვლილებები მოხდა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელი ქსელი, დაწყებული საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებიდან დარგობრივ ინსტიტუტებამდე, მკვეთრად შემობრუნდა წარმოებისაკენ სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადასაწყვეტად. გაძლიერდა სამეცნიერო ინსტიტუტების კავშირი მრეწველობასთან და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებთან.

ამ დროისათვის აღინიშნებოდა მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევა, რომელიც რეალიზებული იყო სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის პროცესში, კერძოდ, ფეროშენადნობების, სპეციალური ფოლადების, მსუბუქი ლითონების, პლასტიკური მასების, ახალი სამშენებლო მასალების, ახალი სახეობის ნედლეულის გამოყენების, კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების, მრავალი ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისა და სხვა სახით.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის პროცესები, დაწყებული 30-იანი წლების მეორე ნახევარში, რომლებიც მიმდინარეობდნენ სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ექსტენსიურ პირობებში, მოითხოვდნენ მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების მრეწველობასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ტექნიკის შემდგომ ათვისებას. ეს მიმდინარეობდა ახალ დიდ მშენებლობებზე, უპირველეს ყოვლისა, საფაბრიკო-საქარხნო ლაბორატორიების გაძლიერებისა და მათი შექმნით. ამასთანავე, სამეცხიერო-კვლევითი ინსტიტუტები არ იფარგლებოდნენ მხოლოდ ლაბორატორიების მუშაობით, ისინი სამუშაოს ატარებდნენ უშუალოდ ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ახალი ტექნიკის, მისი სრულყოფის, მასალებისა და ნაკეთობათა

წარმოების ათვისების საკითხები საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო. შეიქმნა ყველა აუცილებელი პირობა სოციალისტური წყობილების უდიდეს შესაძლებლობათა სრულად გამოყენებისათვის, ტექნიკური აზრის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების წარმოებაში უფრო სწრაფი დანერგვის მიზნებისათვის. ფართო მასშტაბით გაიშალა მეცნიერულ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები მაღალ მწარმოებლური მანქანებისა და გაწყობილობის შესაქმნელად. ამის შედეგად სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ ახალ თვისებრივ საფეხურზე იწყო ასვლა. ეს გაპირობებული იყო თვით ახალი ტექნიკის წარმოებით და საწარმოებისა და მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების მიერ ახალი ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების ფინანსირებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესაძლებელ ღონისძიებათა განხორციელებით.

კერძოდ, მუშავდებოდა და ხორციელდებოდა ღონისძიებანი მოქმედი ფაბრიკებისა და ქარხნების ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის, ძოძველებული მანქანების ახლით, უფრო წარმადი მანქანა-გაწყობილობით შეცვლისათვის, არსებული გაწყობილობის მოდერნიზაციისათვის და სხვ.

საგრძნობლად ამაღლდა მანქანა-გაწყობილობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, უფრო რაციონალურად გამოიყენებოდა საწარმოო სიმძლავრეები. მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ერთობლივი ძალებით, წარმოების ხასიათის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, შშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების სპეციფიკურობის გათვალისწინებით ხორციელდებოდა ღონისძიებები წარმოების თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის. სულ უფრო მეტად უახლოვდებოდნენ მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებები საწარმოო ბაზას. უმჯობესდებოდა მათი აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო გაწყობილობითა და მასალებით. იქმნებოდა აუცილებელი პირობები მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევებისა და ახალი დიდი აღმოჩენების განხორციელებისათვის. სამეცნიერო ძალები და სახსრები სულ უფრო მეტად იყო კონცენტრირებული უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებზე.

სისტემატურად ტარდებოდა ღონისძიებები წარმოებასთან სამეცნიერო დაწესებულებების კავშირის გაძლიერებისათვის.

წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გაძლიერება სულ უფრო მეტად ხდებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების, სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების, ტექნიკური პროგრესის ტემ-

პების დაჩქარების შესაბამისად. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ 50-იანი წლების პირველ ნახევარში მრეწველობის ზოგიერთ დარგში ნელა ინერგებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ცუდად იყენებდნენ შიგასამრეწველო რეზერვებს; ჯერ კიდევ არასაკმაო იყო წარმოების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში; ზოგიერთ დარგში ადგილი ჰქონდა ჩამორჩენას წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის დამუშავებასა და ათვისებაში.

მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ყურადღება მიმართული იყო მანქანების და გაწყობილობის. წარმადობის ეკონომიურობის, საექსპლუატაციო იმედიანობის მაჩვენებლების ამაღლებაზე. მათი ყურადღება მიპყრობილი იყო ისეთი ამოცანების გადაწყვეტაზე, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ტექნიკური პროგრესის განხორციელებისათვის, ფართოვდებოდა ექსპერიმენტული ბაზა. საწარმოებში, მეცნიერულ-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობა; შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებთან. ტარდებოდა ღონისძიებები მათი წინადადებების დროულად დანერგვისათვის, სულ უფრო ძლიერდებოდა სხვადასხვა ფორმის, როგორც დარგობრივ, ისე უწყებრივი მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების და ლაბორატორიების ორგანული კავშირი წარმოებასთან, აგრეთვე გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივ მოძრაობასთან. მეცნიერების კავშირმა წარმოებასთან დააჩქარა ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, სოციალისტური კვლავწარმოების სრულყოფის—მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის განვითარების, საწარმოო პროცესების ნაწილობრივ ავტომატიზაციიდან კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადასვლის ტემპები.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების წარმოება, განვითარდა მრეწველობის შესაბამისი დარგები, ამავე მიზნისათვის საჭირო გახდა მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკურ დაწესებულებებთან კავშირების გაფართოება, საინფორმაციო მონაცემების გაცვლა-გამოცვლა.

მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების მუშაობა სულ უფრო მეტად წარიმართებოდა სახალხო მეურნეობის კონკრეტულ პრობლემათა გადასაჭრელად. წარმოებასთან მეცნიერების თანამეგობრობის

გაძლიერებით, მუშებთან, ინჟინრებსა და ტექნიკოსებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით მათ შეძლეს დაუფლებოდნენ ატომური ენერგიის საიდუმლოებას, მსოფლიოში პირველებმა გამოიყენეს იგი მშვიდობიანი მიზნებისათვის.

მრეწველურ წარმოებაში სულ უფრო მეტად დაიწყეს ავტომატიკის, ტელემექანიკის, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის გამოყენება, სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვნად მოკლე ვადებში დაინერგა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, ჩატარდა საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული სამუშაოები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში წარმატებები მნიშვნელოვანწილად გაპირობებული იყო მეცნიერებისა და ტექნიკის, კერძოდ მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ელექტრონიკის, ავტომატიკის, ბიოლოგიისა და სხვათა უმნიშვნელოვანესი მიღწევებით. ამან განაპირობა ურთულეს სახალხომეურნეობრივ პრობლემათა გადაწყვეტა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წარმოებასთან მეცნიერების კავშირს სოფლის მეურნეობაში. საქმე ის არის, რომ 50-იან წლებში, მიუხედავად მიღწევებისა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჩამორჩებოდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების მოთხოვნებს. ბევრი მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი და საცდელი სადგური სამუშაოებს ატარებდა პრაქტიკისაგან მოწყვეტით, არ ამდიდრებდა მეცნიერებასა და პრაქტიკას ახალი აღმოჩენებითა და დასკვნებით, ხაკლებად ეხმარებოდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებაში.

საბჭოთა სახელმწიფო არსებით ღონისძიებებს ატარებდა მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად. მეცნიერთა ძალები გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ისე, რომ იგი აღჭურვილი ყოფილიყო პროდუქციის წარმოების ზრდის ახალი მეთოდებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების სწორ გაძღოლას, ნიადაგის დამუშავების სისტემას, მეთესლეობაში სელექციის გაუჯობესებას, სასუქების გამოყენების უფრო ეფექტური ხერხების დანერგვას, მეცხოველეობაში ჯიშიანობის გაუმჯობესებას.

ამუშავებდა რა უმნიშვნელოვანეს თეორიულ საკითხებს, საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება დიდ დახმარებას უწევდა პრაქტიკას, გამოიყვანეს მარცვლეულის, ეთერზეთოვანი, ბოსტნეული კულტურის, მაღალპროდუქციული მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის,

ღორებისა და ფრინველების ჯიშები, შეიქმნა ბევრი ახალი უფრო სრულყოფილი მანქანები. დაინერგა რიგი მოწინავე აგროტექნიკური და ზოოტექნიკური მეთოდი. მეცნიერულ-კვლევითმა დაწესებულებებმა შეიმუშავეს ახალი რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობის ამაღლების, სოფლისმეურნეობრივი წარმოების მექანიზაციის, ნორმირების, აღრიცხვისა და შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად.

სოფლის მეურნეობის მართვაში სამეცნიერო დაწესებულებები, საცდელი სადგურები მნიშვნელოვან რგოლებად, ხოლო მეცნიერები და სპეციალისტები — სოფლის მეურნეობრივი წარმოების უშუალო ორგანიზატორად იქცნენ. საწარმოო კოლექტივების, მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და უწყებების ყურადღება გამახვილებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ტექნიკურ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტა ყველაზე მეტ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემდა, დააჩქარებდა ხელით მძიმე შრომის ლიკვიდაციას, ახალი მასალების შექმნას და მათ ფართოდ გამოყენებას.

მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებები უფრო ფართოდ იყენებდნენ ინჟინერ-ტექნოლოგების, დამპროექტებლების, კონსტრუქტორებისა და წარმოების მუშაკების ერთობლივ შემოქმედებითს თანამშრომლობას. სისტემატურად დაიწყეს მათ მეცადინეობა მიღწევათა დანერგვისათვის სახალხო მეურნეობაში. ამაღლდა კვლევითი ინსტიტუტების, საწარმოთა კოლექტივების, საკონსტრუქტორო ბიუროების, საპროექტო ორგანიზაციების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პასუხისმგებლობა პროექტის, მანქანებისა და გაწყობილობის კონსტრუქციების, ტექნოლოგიური პროცესების თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ზრუნვა მათ უპირველეს საქმედ იქცა.

საბჭოთა მეცნიერებას დიდი ღვაწლი აქვს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების. აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში. ფუნდამენტურ მეცნიერებათა მიღწევებმა შექმნეს პირობები მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის გადაჭრისათვის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

შეიქმნა და დაინერგა წარმოებაში მაღალმწარმოებლურ მანქანათა კოპლექსები, ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წარმოების დანახარჯების შემცირებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ზოგიერთ დარგში ამოქმედდა რთული ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით.

სოციალისტური კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებამ და მწარმოებლურ ძალთა შემდგომი ამაღლების აუცილებლობამ, რასაც, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობები მოითხოვენ, 70-იან წლებში ახალი თვისებრივი ძვრები გამოიწვია მეცნიერების განვითარებაში, წარმოებასთან მისი ორგანული კავშირის გაძლიერებაში. ეს კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებაში ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით. კერძოდ, მუშავდება საკითხები სახალხო მეურნეობაში მათემატიკური შეთოდებისა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების, წარმოების პროცესების ავტომატიზაციისა და მართვის სრულყოფისათვის.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოებასთან მისი კავშირისათვის დამახასიათებელია სამეცნიერო დაწესებულების ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლება, სამეცნიერო ძალების მატერიალური და ფინანსური რესურსების კონცენტრაცია.

სამეცნიერო დაწესებულებები, უპირველეს ყოვლისა, უნდა მუშაობდნენ მეცნიერების წამყვან და უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაზე, გამოკვლევათა ექსპერიმენტული და საცდელ-საწარმოო ბაზის შემდგომ გაძლიერებაზე, მეურნეობრივი ანგარიშიანობის მეთოდების გამოყენებაზე, რომელნიც განაპირობებენ საწარმოო პროცესებისა და მართვის სრულყოფას; ამასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაგეგმვა, ახალი იდეის ჩანასახიდან მისი წარმოებაში დანერგვამდე. მეცნიერების განვითარების ორგანიზაციული მხარე მაღლდება უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო პრობლემათა და მიმართულებათა მოთხოვნის დონემდე, რაც ხელს უწყობს მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას.

საწარმოო კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამეურნეო უწყებების ამგვარმა ორგანულმა შერწყმამ და ერთობლივმა საქმიანობამ ხელი შეუწყო მოქმედი გაწყობილობის მოდერნიზაციას და საწარმოების რეკონსტრუქციის ტემპების დაჩქარებას. სულ უფრო რეალური პირობები იქმნებოდა იმისათვის, რომ მოკლე ვადებში და ნაკლები კაპიტალური დაბანდებებით ამაღლებულიყო შრომის მწარმოებლურობა და გაზრდილიყო პროდუქციის გამოშვება.

საბჭოთა სახელმწიფო განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პირობებში ყოველმხრივ ხელს უწყობს მეცნიერების

როლის გაძლიერებას, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმოებასთან ორგანულ შეერთებას, მეცნიერების საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევას.

ამის განხორციელების კონკრეტულ გზებს კი წარმოადგენდნენ: ა. მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების ქსელის გაფართოება და სრულყოფა, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების შექმნა; ბ. მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა განვითარება, მათი სწორი ორგანიზაცია უმაღლეს სასწავლებლებში; გ. მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ტერიტორიული გაადგილების სრულყოფა; დ. მეცნიერების განვითარების უზრუნველყოფა ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და მსხვილ ეკონომიკურ რაიონში; ე. მეცნიერულ-კვლევითი რეგიონალური და საერთო სახელმწიფოებრივი კომპლექსური, მიზნობრივი პროგრამების შედგენა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაცია გამოკვლევათა უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა მიხედვით, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად; ვ. სამეცნიერო საზოგადოების როლის ამაღლება სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობაში; ზ. მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაძლიერება და სრულყოფა; თ. მაღალი კვალიფიკაციური სამეცნიერო კადრების მიზიდვა სამეცნიერო საქმიანობაში; ი. საბჭოთა მეცნიერების ძიერ მოპოვებული მოწინავე პოზიციების განმტკიცება ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში და მსოფლიო მეცნიერებაში ყველაზე ძირითად მიმართულებათა მიხედვით წამყვანი მდგომარეობის დაკავება.

წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ასეთი პრაქტიკა განაპირობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ორგანულ შეერთებას მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან.

მეცნიერების სწრაფი განვითარება, მისი სულ უფრო მზარდი გავლენა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეზე თანამედროვე პირობებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამახასიათებელი თავისებურება გახდა. მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლისა და მისი შედეგების წარმოებაში დროულად დანერგვის გარეშე შეუძლებელია მწარმოებლური ძალების შემდგომი განვითარება, მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გარდაქცევა ძირეულად ცვლის ადამიანის შრომითი მოღვაწეობის ხასიათს.

საბჭოთა მეცნიერებას დიდ მიღწევებთან ერთად ჰქონდა ნაკლოვანებებიც, დამთავრებული კვლევითი სამუშაოების წარმოებაში დანერგვისას არსებობდა დისპროპორცია თეორიულ გამოკვლევებსა და მათ ტექნიკურ, საკონსტრუქტორო დამუშავებას შორის. არც ისე იშვიათად, გამოგონების დანერგვის ვადები წლების განმავლობაში ჭი-

ანურდებოდა, რასაც ზიანი მოჰქონდა როგორც სახალხო მეურნეობის, ისე თვით მეცნიერებისათვის. ამის მაგალითს წარმოადგენდა ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის ნაკლებად გამოყენება, ეს იმ დროს, როდესაც მას ნამდვილ რევოლუციამდე მივყევართ არა მარტო წარმოებაში, ტექნოლოგიაში, არამედ ეკონომიკაში, დაგეგმვაში, აღრიცხვაში, საპროექტო-საკონსტრუქტორო დამუშავებებსა და თვით მეცნიერულ კვლევაში. მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, საერთოდ, და, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში საზოგადოებრივი შრომის ყველაზე მწარმოებლური სფერო გახდა.

სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის ტემპები ორგანულადაა დაკავშირებული იმ ნაყოფიერებასთან, რომლითაც მეცნიერება ასაზრდოებს პრაქტიკას ახალი იდეებით, ახალი ტექნიკითა და ტექნოლოგიით. საბჭოთა სახელმწიფო მეცნიერების განვითარების მიზნით ცდილობს ამრავლოს ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებები. ეს თავის მხრივ მოითხოვს უდიდეს სამეცნიერო პოტენციალს როგორც მწარმოებლურ ძალთა განვითარების, ისე ზოგადი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა სწრაფი დანერგვა წარმოებაში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ამის გარეშე შეუძლებელია კომუნიზმის მატერიალური ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა.

სოციალიზმის დროს მეცნიერების განვითარების დონეზე, წარმოებაში მეცნიერულ-კვლევით მასშტაბებზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალი მაჩვენებლები კაპიტალიზმთან შედარებით.

მეცნიერების გადაქცევა საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებასთან, ეკონომიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ისტორიისა და სამართლის აქტუალური პრობლემების დამუშავებასთან.

საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების უზრუნველსაყოფად, ძლიერდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემათა შესწავლა.

საზოგადოებრივი მეცნიერება სულ უფრო გაბედულად შემოგრუნდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემათა შესასწავლად; სამეცნიერო

დაწესებულებათა ქსელის, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში სამეცნიერო საქმიანობის გაფართოება, მათი კავშირის გაძლიერება წარმოებასთან განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურება გახდა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური მეცნიერების წარმოებასთან კავშირის გაძლიერებას.

ფუნდამენტურ შრომებთან ერთად, რომელნიც განაზოგადებენ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ეკონომიკური მეცნიერება უშუალოდ იხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგთა გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების განვითარების, მშრომელთა მასების შრომითი აქტიურობის, მათი შემოქმედების ეკონომიკურ პრობლემებს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და სხვა ეკონომიკურ პროცესებთან, რომელთაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი წარმოების პროცესში.

ეკონომიკური მეცნიერების წარმოებასთან კავშირის ფორმები მრავალფეროვანია. მათ მიეკუთვნება: წარმოებაში ეკონომიკური ექსპერიმენტების ჩატარება და მათი განზოგადება; წარმოების ზრდის სტიმულირების მეთოდების გამომუშავება; მეცნიერ ეკონომისტთა თანამეგობრობა წარმოების მუშაკებთან და მათთან ერთად სამეცნიერო-საწარმოო პრობლემების დამუშავება; საწარმოს (დარგის) ეკონომიკურ მაჩვენებელთა სრულყოფისადმი შესაბამისი რეკომენდაციების ერთობლივი გამომუშავება; სამეცნიერო პრობლემების ერთობლივი განხილვა; წარმოებისადმი დახმარების გაწევა მუშაკთა კვალიფიკაციის, მათი ეკონომიკური ცოდნის ამაღლების უზრუნველსაყოფად და სხვ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები და, კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერება სულ უფრო მეტად მიდის ინტეგრაციაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებთან. ეს აუცილებელია გლობალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ყოველივე ამასთან ერთად, ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვან ამოცანას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმების, მაჩვენებლების დადგენა. ამისათვის, როგორც ჩანს, საკმარისი არაა მაჩვენებელთა ტრადიციული სახეების გამოყენება, საჭიროა მოინახოს ახალი, უფრო სიღრმისეული მაჩვენებლები, ხერხები და კრიტერიუმები. სწორედ ამ ეტაპზე, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და წარმოების განვითარების ეკონომიკური

სტიმულირების გაძლიერებით შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ამაღლება დაიწყო.

წარმოებასთან მეცნიერების შეერთების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცნიერების მიღწევების რეალიზაციას, ამ მიღწევების წარმოებაში მასობრივ დანერგვას. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა სამეცნიერო დაწესებულებების უფრო აქტიური მოქმედება წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად, პირობების შექმნა წარმოების მიერ პროდუქციის ახალი ნიმუშების გამოშვების უზრუნველსაყოფად, ეს კი განაპირობებს სამეცნიერო დაწესებულებების იმ კოლექტივების პრივილეგიურ მდგომარეობას, რომლებიც აქტიურად იბრძვიან ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელიც პასუხობს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ამჟამად მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს. მათში თავს იყრის გამოყენებითი მეცნიერული კვლევის საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული სამუშაოები, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფს მეცნიერული მიღწევების პრაქტიკულად გამოყენებას.

ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული პრობლემები, რომელნიც თანამედროვე პირობებში ერთობლივად მუშავდება, მოწმობს იმას, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა მეცნიერების როლი სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში და მის გადაზრდაში კომუნისტურ კვლავწარმოებად.

მეცნიერება არასოდეს ისე ახლოს არ ყოფილა წარმოების პროცესებთან, როგორც განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში. საბჭოთა მეცნიერება ყველა მისი მიმართულებით ჭეშმარიტად სოციალისტური (კომუნისტური) წარმოების წესის უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაიქცა, იგი გახდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გადამწყვეტი ფაქტორი. ეს განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფითა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებით.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში სოციალისტური კვლავწარმოების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი სამეცნიერო ბაზის განვითარების აქტიური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს წარმოების, მეცნიერულ-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების ორგანული შეერთებით ერთიანი მეურნეობრივი კომპლექსების შექმნის საფუძველზე. არსებობს რეალური პირობები წარმო-

ებასთან მეცნიერების ორგანულად შეერთებისათვის ერთიანი კვლავ-წარმოების პროცესში.

ყველა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანა, რომელიც ხორციელ-დება თანამედროვე პირობებში, ანდა გამიზნული არის მწარმოებლუ-რი ძალების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივებით, განსაზღვრავს თანამედროვე ეტაპის თავისებურე-ბებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს უახლოეს წლებში საზოგადო-ებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. უპირატესად ინტენსი-ური, თვისებრივი ფაქტორების გამოყენებაზე გადასვლის დამთავრება.

წარმოებასთან მეცნიერების ორგანული შეერთების პროცესი, ისე როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნებში, გარკვეული თავისებურებებით მ ი მ დ ი ნ ა-რ ე ო ბ ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი. ამგვარი ორგანული კავშირის ერ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალი ტექნიკის დანერგვა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა.

განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორის ზოგიერთი მონაცემი საქართ-ველოს მრეწველობაში, კერძოდ ახალ ტექნიკაზე დანახარჯების ეკო-ნომიკური მაჩვენებლების დინამიკა (იხ. ცხრილი 2).

ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნიკის დანერგვა საქართველოს მრეწველობაში საკმაოდ მრავალსახოვანია. ის მიმდინარეობს მოწინა-ვე ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, გა-მოთვლითი ტექნიკის, ახალი პროდუქციის ათვისების, მოქმედი გაწყო-ბილობის მოდერნიზაციისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებით. ტექნიკური პროგრესის მხრივ დანერგილ ღონისძიებათა სტრუქტურა-ში თითქმის ათი წლის განმავლობაში მაღალი ხვედრი წონა ეკავა მო-წინავე ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა დანერგვას. მაგ., დანერგილ ღონისძიებათა საერთო რა-ოდენობაში მათი ხვედრი წონა 1968 წ. შეადგენდა 68,7%, 1970 წ. — 57,2%, 1975 წ. — 64,0 და 1976 წ. — 61,7%. დანერგილ ღო-ნისძიებათა შორის ყველაზე დაბალი ხვედრი წონა ეკავა გამოთვლით ტექნიკას. ყველა ღონისძიების დანერგვისათვის დანახარჯების სტრუქ-ტურაში ზემოთ მოტანილ ღონისძიებებზე დანახარჯების ხვედრი წო-ნა შეადგენდა: 1968 წ. — 64,0%, 1970 წ. — 89,3%, 1975 წ.71,6% და 1976 წ. — 67,4%.

როგორც ვხედავთ, ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა დანერგ-ვაზე დანახარჯების სტრუქტურაში აღნიშნულ ღონისძიებებზე და-ნახარჯების ხვედრი წონა, როგორც წესი, განსაკუთრებით 1970 წ., 1975—76 წწ. მნიშვნელოვნად სჭარბობს თვით დანერგილ ღონისძიე-ბათა ხვედრ წონას დანერგილ ღონისძიებათა საერთო სტრუქტურაში.

ცხრილი 2

ახალ ტექნიკაზე დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სტრუქტურა და დინამიკა (1968—1976 წწ.)[1]

№№	დანერგილ ღონისძიებათა დასახელება	ღონისძიებათა სტრუქტურა				ღონისძიებებზე დანახარჯთა სტრუქტურა				დანერგვის შედეგად მიღებული და. მატებითი მოგების სტრუქტურა		თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული დამატებითი მოგების სტრუქტურა			
		1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1975 წ.	1976 წ.	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
	დანერგილი ღონისძიებები, სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
	მათ შორის:														
1	მოწინავე ტექნოლოგიის მხრივ	30,3	37,1	27,7	23.2	30,3	33,4	24,7	26.7	40.0	47,2	37,2	44,4	40.0	47,0
2	წარმოების მექანიზაციის მხრივ	31,3	26,1	32,1	34.3	19,3	21,2	37,6	28,5	27,2	23,4	24,9	33,4	25,1	24,6
3	წარმოების ავტომატიზაციის მხრივ	7,1	4,0	4,2	4.2	14,4	34,7	9,3	12,2	7,9	6,1	20,1	7,0	8,4	4,8
4	მრეწველობის ახალი სახის პროდუქციის ათვისების მხრივ	8,5	8,1	12,9	5.5	19,1	6,0	6,5	7,7	4.0	4,4	—	5,2	4,3	4,5
5	გამოთვლითი ტექნიკის მხრივ	0,4	0,04	0,4	0,4	0,2	0,006	0,7	0,3	2,3	1,3	0,04	0,01	1,8	1,5
6	მოქმედი გაწყობილობის მოდერნიზაციის მხრივ	—	20,2	11,9	17,7	—	1,5	15,3	8,4	9,1	1,7	—	6,1	9,9	1,6
7	სხვა ღონისძიებათა მხრივ	22,4	14,4	10,8	14,7	16,7	3,2	5,9	16,2	9,5	15,9	17,9	4,3	10,3	16,0

[1] აქ და სხვაგან გაანგარიშებულია სკს სამმართველოს მონაცემების საფუძველზე, ფორმა № 10 Научно-исследовательские работы и внедрение достижений науки и техники в народное хозяйство Грузинской ССР в 1966—1968 годах, с. 159—160. 1978 წ. დანერგილი იყო 4387 ღონისძიება, ფაქტიურმა დანახარჯებმა მათ დანერგვაზე შეადგინა 62170 მან., შეფარდებით გამოთავისუფლებულმა მუშაკთა რაოდენობამ 4241, დანერგვის შედეგად მიღებულმა დამატებითმა მოგებამ 32602 ათასი მან., წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 44200 ათასი მან. (Народное хозяйство Грузинской ССР в 1978 году, с. 27).

ცხრილი 2 (გაგრძელება)

მუშაკთა შეფარდებითი გამოთავისუფლების სტრუქტურა				წლიური ეკონომიკური ეფექტის სტრუქტურა				დანახარჯები დანერგილი ღონისძიების ერთეულზე (მან.)				წლიური ეკონომიკური ეფექტი ერთ დანერგილ ღონისძიებაზე (მან.)				ერთ მანეთ დანახარჯზე მიღებული ეკონომიკური ეფექტი (მან.)		
1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
100	100	100	100	100	100	100	100	8605	6390	10682	7247	5846	5084	5926	4674	0,80	0,55	0,64
35,8	33,3	37,6	31,6	36,7	44,6	41,8	36,2	8626	7872	9541	8332	7076	8354	8953	7309	1,06	0.94	0,87
42,5	49,6	44,7	45,0	20,2	29,2	24,3	28,9	5303	5180	12518	6018	3774	5679	4491	3949	1,10	0,36	0,65
5,2	7,8	6,6	5,3	11,8	9,2	5,3	10,5	17336	54850	23689	20748	9654	11615	7434	11443	0,21	0,31	0,55
—	—	2,1	1,5	16,5	8,7	11,9	4,2	19271	4706	5360	10104	1131	5487	5465	3617	1,17	1,02	0,35
0,1	0,04	1,1	1,6	0,5	0,007	2,6	1,3	5367	1,0	18739	5568	8133	1,0	37067	15516	1,00	1,98	2,8
—	2,2	1,8	1,2	—	4,7	6,5	7,4	—	473	13712	3452	—	1194	3253	1975	2,53	0,24	0,57
16,4	7,0	6,2	14,8	14,3	3,5	7,5	11,5	6358	1410	5848	8023	3715	1232	4128	3696	0,87	0,71	0,46

იმაზე, თუ რა შედეგია მიღებული აღნიშნული ღონისძიებების დანერგვის შემდეგ, მეტყველებენ მონაცემები დამატებითი მოგების, თვითღირებულების შემცირების, მუშაკთა გამოთავისუფლების შესახებ. აღნიშნული მონაცემების მიხედვით მოწინავე ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა დანერგვის შემდეგ მათი საერთო შედეგიანობა შესაბამისი მონაცემის სტრუქტურაში შეადგენდა (%-ით):

	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
დამატებით მიღებულ მოგებაში	—	—	75,1	76,7
თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულ დამატებით მოგებაში	82,2	84,8	73,5	76,4
მუშაკთა შეფარდებით გამოთავისუფლებაში	83,5	90,7	88,9	81,9

როგორც ვხედავთ, ყველა ღონისძიებას შორის, რომელიც ხორციელდება საქართველოს მრეწველობაში, უფრო შედეგიანი აღმოჩნდა ზემოთ აღნიშნული სამი ღონისძიება. აღნიშნულ ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის ხვედრი წონა ყველა დანერგილი ღონისძიების წლიური ეკონომიკური ეფექტიანობის სტრუქტურაში შეადგენდა: 1958 წ. — 68,7%, 1970 წ. — 83%, 1975 წ. — 71,4% და 1976 წ. — 75,6%.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვას უფრო უკეთესი შედეგი აქვს, არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სხვა ღონისძიებებიდან თავი შევიკავოთ. ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნიკის ყველა ღონისძიება, რომლის დანერგვა შესაძლებელია, გამომდინარე საქართველოს მრეწველობის სპეციფიკურობიდან, რასაკვირველია, უნდა დაინერგოს.

მწარმოებლურ ძალთა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებების დანერგვასაც სხვადასხვა ეკონომიკური ეფექტიანობა ექნება, ეს დინამიკური და ამავე დროს ცვალებადი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია როგორც მრეწველობის, ისე საზოგადოებრივი წარმოების სხვა დარგების ტექნიკურ აღჭურვილობაზე, ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფაზე. აღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვისათვის დანახარჯებისა და მათ მიერ მიღებულ ეკონომიკურ ეფექტიანობაშიცაა განსხვავება, იგრძნობა ეფექტიანობის ზრდის არასტაბილურობა. მაგ., აღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვაზე დანახარჯებისა და მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის ხვედრი

წოხის შეფარდებები დანახარჯებისა და წლიური ეფექტიანობის მთლიან სტრუქტურაში შეადგენდა (%-ით):

	1968 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
დანახარჯების	64,0	89,3	71,6	67,4
წლიური ეკონომიკური ეფექტის	68,7	83,0	71,4	75,6

საერთოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა ჯერ კიდევ მაღალი არ არის. ღონისძიებების დანერგვაზე გაღებულ ყოველ ერთ მანეთზე დანახარჯების უკუგება ჯერჯერობით ნაკლებია და ცვალებადი ტენდენცია ახასიათებს. მაგ., თუ 1968 წ. ერთ მანეთ დანახარჯზე ეფექტიანობა უდრიდა 0, 61 მან., 1970 წ. იგი უდრიდა 0, 80, 1975 წ.—0, 55, ხოლო 1976 წ. — 0, 64 მან.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1970 წ. ისეთი ხასიათის ღონისძიების დანერგვაზე, როგორიცაა მოწინავე ტექნოლოგია, წარმოების მექანიზაცია, გამოთვლითი ტექნიკა, მრეწველობის ახალი სახია პროდუქციის ათვისება — კოეფიციენტი საშუალოზე მაღალი იყო. ძაგრამ ეს მაჩვენებლები ერთ მანეთ დანახარჯზე უკუგებისა შემდგომ (1975 წ.) შენარჩუნდა მხოლოდ მრეწველობის ახალი პროდუქციის ათვისებისა და გამოთვლითი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვაზე. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახალი ტექნიკის დანერგვის სხვადასხვა სახის ღონისძიებათა განხორციელება ყოველთვის და ყველა შემთხვევაში სტაბილურ ან მუდმივ მზარდ მაჩვენებელს არ გვაძლევს, იგი დაძოკიდებულია ღონისძიებების კონკრეტულ ხასიათსა და წარმოების ტექნიკურ დონეზე.

რასაკვირველია, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონის პირობებში გამოთვლითი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვას შეუძლია მაღალი ეკონომიკური ეფექტი მოგვცეს. არსებულ შედარებით ხანდაზმული, აგრეთვე მორალურად მოძველებული ტექნიკის მოდერნიზაციის დროულ ჩატარებასაც შეუძლია დანახარჯებზე მაღალი უკუგება ჰქონდეს.

როგორც ჩანს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებისას შეუძლებელია რომელიმე ცალკეულ ღონისძიებას სხვა ღონისძიებებთან შედარებით რაიმე უპირატესობა მიეცეს. ყველა ღონისძიების ჩატარება საჭიროა, მხოლოდ საქმე ისაა, რომ ყოველ ღონისძიებას აქვს თავისი სპეციფიკურობა, რაც მოითხოვს მისი ჩატარებისათვის გარკვეული წინაპირობების. განხორციელებას.

დანერგილ ღონისძიებათა რაოდენობის დინამიკა

1968 წ.	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
1531	2792	2445	3436	3936	3561	4342	4809

ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა რაოდენობა 9 წლის განმავლობაში (1968—1976 წწ.) 3,1-ჯერ გაიზარდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დანერგილ ღონისძიებათა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო მათგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი ჯერ კიდევ არ არის მაღალი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დანერგილ ღონისძიებათა სტრუქტურაში, ერთი მხრივ, შედარებით ცოტაა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მომცემი ღონისძიებანი, მეორე მხრივ, ის გვიჩვენებს იმას, რომ ზოგიერთი ღონისძიების დანერგვა (მოწინავე ტექნოლოგია, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ახალი სახის პროდუქციის ათვისება, მოქმედი ტექნიკის მოდერნიზაცია და სხვ.) დიდ დანახარჯებს მოითხოვს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ-ჯერობით ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვის შედეგად გამოთავისუფლებულ მუშაკთა სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრი წონა ისეთ ღონისძიებათა დანერგვას უკავია, რომელიც დაკავშირებულია მოწინავე ტექნოლოგიის განხორციელებისა და წარმოების მექანიზაციის ამაღლებასთან. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან როგორც პროდუქციის ხარისხი, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან, ისე წარმოების მექანიზაციის დონე რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერ კიდევ შედარებით დაბალია.

ყოველწლიურად, აღნიშნულ პერიოდში, ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვა ხორციელდება მხოლოდ საწარმოთა გარკვეულ რაოდენობაში. მაგ., ახალი ტექნიკის ღონისძიებები 1968 წელს დაინერგა 413 საწარმოში, 1970 წ. — 297, 1971 წ. — 290, 1972 წ. — 256, 1973 წ. — 309, 1974 წ.—408, 1975 წ. — 321, 1976 წ. — 265 საწარმოში. ეჭვს გარეშეა, რომ რიგ საწარმოში დანერგვა ხდება სისტემატურად, შესაძლებელია ყოველ წელიწადს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ზოგიერთ საწარმოში ახალი ტექნიკის ღონისძიებები ან სრულებით არ ინერგება, ან შედარებით ნაკლებად ინერგება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1975 წ. რესპუბლიკაში 1000 მრეწველური საწარმო (დამოუკიდებელ ბალანსზე) ითვლებოდა, აქედან მხოლოდ 321 საწარმოში იყო დანერგილი ახალი ტექნიკის ღონისძიებანი, ხოლო 1976 წ. შესაბამისად — 893[2] და 265. აქედან საწარმოთა აბსოლუტუ-

---

[2] Грузинская ССР в цифрах в 1975 году, с. 51; Грузинская ССР в цифрах в 1976 году, с. 35.

რად უდიდეს ნაწილში დანერგილია ახალი ტექნიკის ღონისძიებები მოწინავე ტექნოლოგიისა და წარმოების მექანიზაციის ხაზით.

ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება დანახარჯები ახალი ტექნიკის დანერგვაზე, დინამიკურია მისი სტრუქტურაც წყაროების მიხედვით.

ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ფაქტიური დანახარჯების ხვედრი წილი წლების მიხედვით (1974—1976 წწ. საერთო დანახარჯები—100%)

	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
დანახარჯები ახალი ტექნიკის ყველა ღონისძიების დანერგვაზე (დაუმთავრებელი დანერგვის ჩათვლით)	30,9	43,2	25,9
მათ შორის:			
ცენტრალიზებული კაპადაბანდებანი	44,3	20,7	35,0
წარმოების განვითარების ფონდი	31,2	39,2	29,6
ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი	21,8	57,2	21,0
მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი	40,8	30,2	29,0
სახბანკის სესხი	34,7	41,3	24,0
ბიუჯეტი	1,8	93,2	5,0
სხვა წყაროები	25,4	50,4	24,2

1974—1976 წწ. ახალი ტექნიკის ყველა ღონისძიების დანერგვაზე დანახარჯები საკმაო დიდ თანხას (ათეულ მლნ მანეთს) უდრიდა. ამ წლების საერთო დანახარჯებში მაღალი იყო მათი ხვედრი წონაც, თუმცა დანახარჯები წლების მიხედვით არ იყო პროპორციული. ყველაზე მაღალი ხვედრი წონა მოდიოდა 1975 წელს. ამ წელს მაღალი ხვედრი წონა მოდიოდა დანახარჯებზე ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა: წარმოების განვითარების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდები, სახელმწიფო ბანკის სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვა.

ასეთი მაღალი ხვედრი წონა როგორც საერთო დანახარჯებში, ისე ცალკეული წყაროების მიხედვით მეტყველებს იმაზე, რომ 1975 წელს ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვა ინტენსიურად მიმდინარეობდა, და ეს პროცესი ამ წელს უფრო აქტიური იყო, ვიდრე 1974—1976 წლებში. ეს, ჩვენი აზრით, კანონზომიერია, რადგან არის ცალკეული პერიოდები, როდესაც უფრო ფართოდ ხორციელდებოდა ღონისძიებები ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა ამ მხრივ გადასაწყვეტი, ამიტომ ამ პროცესის შენელება მიზანშეწონილი არ არის.

საინტერესოა აღინიშნოს ის ცვლილებები, რომლებიც დანახარჯების უზრუნველყოფის წყაროების სტრუქტურაში მოხდა.

ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ფაქტიური დანახარჯების უზრუნველყოფის წყაროების სტრუქტურა (%-ით)

	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.	1974—1976 წწ. (მთლიანად) 100,0
დანახარჯები ახალი ტექნიკის ყველა ღონისძიების დანერგვაზე (დაუმთავრებელი დანერგვის ჩათვლით)	100,0	100,0	100,0	100,0
მათ შორის:				
ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებანი	21,6	7,7	22,8	15,5
წარმოების განვითარების ფონდი	26,9	21,4	23,9	23,7
ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი	19,7	32,4	17,3	24,5
მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი	3,2	2,5	5,8	3,8
სახბანკის სესხი	15,7	16,2	18,9	16,8
ბიუჯეტი	0,4	4,2	0,1	1,9
სხვა წყაროები	12,5	15,6	11,2	13,4

როგორც ჩანს, ახალი ტექნიკის ყველა ღონისძიების დანერგვის ერთობლივ დანახარჯებში 1974—1976 წწ. ყველაზე მაღალი ხვედრი წონა ეკავა წარმოების განვითარებისა და ახალი ტექნიკის ათვისების ფონდებს, ხოლო ყველაზე დაბალი — მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიან ფონდს და სახელმწიფო ბიუჯეტს.

აღსანიშნავია აგრეთვე დანახარჯებში სახელმწიფო ბანკის სესხის ხვედრი წონის ზრდის ტენდენცია. ჩვენი აზრით, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებთან ერთად წარმოების განვითარების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდებისა და საბანკო სესხის ხვედრი წონის ზრდა, მათი ახალი ტექნიკის დანერგვაზე დანახარჯებში გადამწყვეტ წყაროებად გადაქცევა კანონზომიერია და გამოხატავს წარმოების რენტაბელობის ამაღლებას, მისი საერთო ეფექტიანობის ზრდას.

გარკვეული პროპორციები ყალიბდება დანახარჯებში ჩატარებულ მეცნიერულ-კვლევითი, საცდელი, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომელნიც განხორციელებულია საწარმოთა საკუთარი ძალებით, აგრეთვე ორგანიზაციების მიერ.

დანახარჯების შეფარდებები სამეცნიერო-კვლევით, საცდელ, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე შესრულებული საკუთარი ძალებით და გარე ორგანიზაციების მიერ (%-ით, მათი ერთობლივი დანახარჯები—100%)

	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
ფაქტიური დანახარჯები საკუთარი ძალებით შესრულებულ სამუშაოებზე	36,1	35,7	46,9
გარე ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება	63,9	64,3	53,1

საკუთარი ძალებით შესრულებული მეცნიერულ-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯებს ზრდის ტენდენცია ემჩნევა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შვქმნამ დააჩქარა აღნიშნული ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წარმოშობა უშუალოდ საწარმოო გაერთიანებებში, ამით თანდათან უმჯობესდება წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, შედარებით უფრო მოკლე ვადებში მასობრივად ინერგება ახალი ტექნიკა, იზრდება ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვის მატერიალური სტიმულირება.

ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვისათვის მატერიალური სტიმულირების მაჩვენებელთა დინამიკა

	1968 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვისათვის დარიცხული პრემია (ათასი მან.)	937,5	862,3	1064,3	1559,3	2149,9	9164,3
მუშაკთა რიცხვი, ვისზედაც დარიცხული იყო პრემია	8901	14429	20278	15135	21906	20259
ღონისძიებათა რიცხვი, რომელზედაც დარიცხული იყო პრემია	489	742	865	1047	1035	1063
საწარმოთა რაოდენობა, სადაც გაცემული იყო პრემია	109	78	104	—	143	138

როგორც ვნახეთ, საწარმოთა იმ რაოდენობაში, სადაც ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვისათვის გაცემული იყო პრემია, აღნიშნულ პერიოდში მაინცდამაინც მკვეთრი ცვლილებები არ მომხდარა. მაგრამ, როგორც დარიცხული პრემიის მოცულობა, ისე მუშაკთა რიცხვი ვისზედაც პრემია დაირიცხა და ღონისძიებათა რიცხვი, რისთვისაც პრემია დაირიცხა, საგრძნობლად ცვალებადი იყო. მაგ., 1976 წელს 1968 წელთან შედარებით ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვისათვის დარიცხული პრემიის მოცულობა გაიზარდა 17, 5-ჯერ, 1972 წ. თან შედარებით—1, 9-ჯერ, ხოლო 1973 წ. — 15, 4-ჯერ. მუშათა რიცხვი, ვისზედაც დარიცხული იყო პრემია, შესაბამისად გაიზარდა

1976 წ. 1968 წ-თან შედარებით — 2, 2-ჯერ, 1972 წ. შედარებით — 1, 4-ჯერ, ღონისძიებათა რიცხვი, რისთვისაც დარიცხული იყო პრემია, შესაბამისად—2,1 და 1,4-ჯერ, ხოლო საწარმოთა რიცხვი — 1, 3 და 1, 7-ჯერ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იმ საწარმოების რაოდენობა, რომელთაც აღნიშნულ ღონისძიებათა დანერგვისათვის მიეცათ პრემია, წარმოადგენდა რესპუბლიკაში არსებულ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ მრეწველურ საწარმოთა ●უმცირესობას.

თუ რამდენად ეფექტიანი იყო ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვისათვის მატერიალური სტიმულირების აღნიშნული ფორმა, ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან:

	1968 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
ერთ მუშაზე დარიცხული პრემიის საშუალო მოცულობა (მანეთი)	105,3	597,6	52,4	103,0	98,1	811,0
ერთ ღონისძიებაზე დარიცხული პრემიის საშუალო მოცულობა (მანეთი)	1917,1	11621,2	1230,2	1489,3	2077,1	15457,8
ერთ საწარმოზე საშუალოდ გაცემული პრემიის მოცულობა (მანეთი)	8600,9	110551,3	10233,6	—	15034,2	119070,2
ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა ახალი ტექნიკის დახერგვის ღონისძიება	4,4	9,5	8,3	—	7,2	7,7

აღნიშნული მონაცემები ფრიად საგულისხმოა. ისინი გვიჩვენებენ, რომ: ა. იქმნება პირობები ახალი ტექნიკის დანერგვაზე მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის; ბ. ახალი ტექნიკის დახერგვის ყოველი ღონისძიება უფრო არსებითი, მაღალეფექტიანი უნდა იყოს; გ. პრემიის მოცულობა ერთ საწარმოზე შეადგენს მნიშვნელოვან თანხას და მის განაწილებას შეუძლია საგრძნობლად გააძლიეროს დაინტერესება საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებაში; დ. ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვას ცალკეულ საწარმოებში ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

მოტანილი მონაცემები საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმოებასთან ორგანული შეერთების პროცესის გაძლიერების კონკრეტული მაჩვენებელია.

ახალი ტექნიკის დანერგვას უაღრესად დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება. აქ არ შეიძლება არ გავიზიაროთ აკადემიკოს ლ. კონტოროვიჩის აზრი იმის შესახებ, რომ ახალი ტექნიკის

ათვისების ეფექტიანობა არ ამოიწურება მხოლოდ მისი მატერიალური შედეგებით, რომელიც განსახიერდება იმ პროდუქციაში, რომელსაც პირველი საწარმო პირველ წელიწადში გამოუშვებს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ წვლილს ქვეყნის ტექნიკურ პროგრესში, მისი ტექნიკური პოტენციალის ზრდაში, რომელიც მისი ათვისებით მიიღწევა, იმავე პროდუქციის წარმოებისათვის უფრო დიდი მასშტაბებით იმავე, ანდა კიდევ მრავალ სხვა საწარმოში.

ამასთან დაკავშირებით ხდება მოწინავე ტექნოლოგიის მასობრივი ათვისება, დანახარჯების შემცირება, წარმოებული პროდუქციისა და შესაბამისი შრომის ობიექტის კონსტრუქციის სრულყოფა, ახალი ანალოგიური სახის პროდუქციის წარმოების შექმნის შესაძლებლობა, მისი გავლენით მომიჯნავე წარმოების განვითარება და სხვა[3].

სწორედ ამით გამოიხატება მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების დანერგვის ეკონომიკური და სოციალური გავლენა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. ეს კი თავის მხრივ განპირობებულია სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ერთიანი სამეცნიერო და ტექნიკური პოლიტიკის გატარებით, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის პროცესისათვის, ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის „მეცნიერება—წარმოება“ შექმნისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სწორედ ამით გამოიხატება განვითარებული სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ერთიანობა.

---

[3] Л. Конторович, журн. «Политическое самообразование», № 6, 1977, зз. 118.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

საქართველოს მეცნიერული პოტენციალის შესახებ

მეცნიერული პოტენციალი ეკონომიკური პოტენციალის ორგანული შემადგენელი ნაწილია, ამიტომ კვლავწარმოების პროცესში მის ეფექტიანობას უაღრესად დიდი ეკონომიკური და სოციალური როლი ენიჭება. ამავე დროს ერის მეცნიერული პოტენციალის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, მისი მოსახლეობის განათლებისა და სამეცნიერო კადრების რაოდენობრივი და თვისებრივი მომზადების დონე განსაზღვრავს.

როგორც ცნობილია, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხოვნობით მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში.

მოსახლეობის განათლების დონის დინამიკა (მოსახლეობის 1000 სულზე უმაღლესი და საშუალო, სრული და არასრული განათლების, 10 წლისა და მეტი ასაკის პირთა მიხედვით)[1]

	1939 წ.	1959 წ.	1970 წ.	1976 წ.
სსრკ	108	361	483	570
საქართველოს სსრ	165	448	554	622
აზერბაიჯანის სსრ	113	400	471	564
სომხეთის სსრ	128	445	516	574

ამ მონაცემების მიხედვით საქართველო 1939—1976 წლებში პირველ ადგილზე გამოდიოდა არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, არამედ სსრ კავშირშიც. 1939—1976 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაგალითზე ნათლად გამოიკვეთა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მოსახლეობის განათლების დონეთა გამოთანაბრების პროცესი, რაც ნიშანდობლივია სოციალისტური საზოგადოებ-

[1] Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный стат. сб., М., 1977, გვ. 57—58.

ისათვის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი გატარებისა საბჭოთა კავშირში.

მოსახლეობის განათლების სწრაფ ზრდას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალის ზრდაზე, რომელიც პირველ რიგში გამოიხატება მეცნიერ მუშაკთა რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებში.

ცხრილი 3

მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის ზრდის დინამიკა (ათასი კაცი)[2]

	1940 წ.	1950 წ.	1956 წ.	1970 წ.	1975 წ.	სულ მეცნიერ მუშაკი	1976	
							მათ შორის ხარისხის მქონე	
							მეცნიერებათა დოქტორი	მეცნიერებათა კანდიდატი
სსრ კავშირი	98,3	162,5	664,6	927,7	1223,4	1253,5	34,6	345,4
საქართველოს სსრ	3,5	4,9	14,2	20,2	25,0	24,3	1,3	8,1
	3,6%*	3,0%	2,1%	2,1%	2,0%	1,9%	3,7%	2,3%
აზერბაიჯანის სსრ	1,9	3,4	12,4	17,1	21,3	21,4	0,9	7,6
	1,9%	2,0%	1,8%	1,8%	1,7%	1,7%	0,2	2,2%
სომხეთის სსრ	1,1	2,0	7,8	12,8	17,1	17,6	0,7	5,1
	1,1%	1,2%	1,2%	1,3%	1,3%	1,4%	0,2%	1,5%

* მნიშვნელში მოტანილია რესპუბლიკის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში %-ით.

მონაცემებიდან ჩანს, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მკვეთრად გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა[3]. 1950 წელთან

[2] Народное хозяйство СССР за 60 лет, 1980, გვ. 143. 1978 წ. მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში საქართველოს ხვედრი წონა შეადგენდა 1,9%, მეცნიერებათა დოქტორებს შორის — 3,5%, მეცნიერებათა კანდიდატებს შორის — 2,3% (გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР з 1978 г., стат. ежегодник, 1979, გვ. 90).

[3] 1917 წ. მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 580 კაცს (Народное образование, наука и культура в Грузинской ССР, გვ. 128).

შედარებით 1965 წელს მათი რაოდენობა სსრ კავშირში გაიზარდა 4-ჯერ, 1975 წ. — 7, 5-ჯერ, ხოლო 1975 წელს 1965 წელთან შედარებით, ანუ განვითარებული სოციალიზმის სტადიის მხოლოდ ერთ ათწლეულში — 1, 8-ჯერ.

საქართველოში მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა შესაბამისად — 2,9%-ჯერ, 5, 1-ჯერ და 1, 8-ჯერ; აზერბაიჯანში — 3, 6-ჯერ, 6, 2-ჯერ და 1, 7-ჯერ; სომხეთში 3, 9-ჯერ, 8, 5-ჯერ და 2,2-ჯერ. ეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერი მოვლენაა განვითარების თანამედროვე პირობებში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის ზრდა 1950—1965 წწ-ში საქართველოში ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებს, რამაც განაპირობა მისი ხვედრი წონის შემცირება. ამის გამოსწორება ნაწილობრივ დაიწყო 1965—1975 წლებში და, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია მომავალში გაგრძელდება. რაც შეეხება მეცნიერ მუშაკთა თვისებრივ მხარეს, რომელიც მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერთა ხვედრი წონის ზრდით გამოიხატება, აქ საქართველოს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია. ამიტომ, როგორც მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობა, ისე, მათ შორის იმ მეცნიერთა მაღალი ხვედრი წონა, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი აქვთ, მეცნიერული პოტენციალის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

საქართველოს მეცნიერული პოტენციალის ძირითად ბირთვს წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (დაარსდა 1941 წ.), მისი კვლევითი ინსტიტუტები და მათი სამეცნიერო კოლექტივები. რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო დაწესებულებების 19,8 % კონცენტრირებულია აკადემიის სისტემაში. აქ დასაქმებულია რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობის 22, 0% (1976 წ.), მათ შორის მეცნიერებათა დოქტორების — 26,5%, მეცნიერებათა კანდიდატების — 21, 9%.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსების ძირითად წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე დანახარჯებში აკადემიის ხვედრი წონა მნიშვნელოვანია.

კაპიტალურ დაბანდებათა გარეშე იგი შეადგენდა (%-ით)[4]: 1971 წ. — 54, 2, 1972 წ. — 61, 2, 1973 წ. — 60, 9, 1974 წ. — 61, 2, 1975 წ. — 62, 8.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე გაწეულ დანახარჯებში აბსოლუტურად დიდი ნაწილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაზე მოდის. მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი აბსოლუტური მოცულობაც. ასე, თუ 1971 წ. იგი კაპიტალურ დაბანდებათა გარეშე შეადგენდა 23, 6 მლნ. მანეთს, 1976 წ. მან შეადგინა 28, 5 მლნ. მანეთი, ანუ გაიზარდა 20, 8%.

აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე იზრდება აკადემიის სისტემაში დაფინანსების ისეთი წყაროს მნიშვნელობა, როგორიცაა სახელშეკრულებო სამუშაოები. ამ წყაროს აბსოლუტური ოდენობა 1561 ათასი მანეთიდან 1971 წ. გაიზარდა 4066 ათას მანეთამდე 1976 წელს, ანუ 2, 6-ჯერ, ხოლო მისი ხვედრი წონა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელშეკრულებო სამუშაოებზე გამოყოფილი თანხების საერთო მოცულობაში შეადგენდა (%-ით): 1971 წ. — 6, 2, 1972 წ. — 7, 2, 1973 წ. — 10, 0, 1974 წ. — 10, 3, 1975 წ. — 10, 5, 1976 წ. — 12, 4.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში აკადემიის სისტემაში სახელშეკრულებო სამუშაოების დაფინანსების ხვედრი წონა სისტემატურად იზრდება. ეს ამავე დროს იმის მაჩვენებელიცაა, რომ აკადემიაში, მის ინსტიტუტებში წარმოებული მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა უფრო მეტადაა დაკავშირებული პრაქტიკასთან, რაც შემდეგში უფრო უნდა გაძლიერდეს.

უკანასკნელ პერიოდში აკადემიის სისტემაში საგრძნობლად გა-

---

[4] გაანგარიშებულია შემდეგი წყაროების მიხედვით Грузинская ССР в цифрах, გვ. 41 და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური ანგარიშგებები.

საერთოდ დანახარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან აკადემიაზე სისტემატურად იზრდება. მაგ., მან შეადგინა:

	ჯამი	%-ით 1945 წ.
1945 წ.	1,9 მლნ. მ.	100,0
1950 წ.	4,7 „	247,3
1955 წ.	6.4 „	336,8
1960 წ.	11,9 „	626,3
1965 წ.	17,3 „	910,5
1967 წ.	20,6 „	1084,2
1968 წ.	21,1 „	1111,0

(იხ. И. Е. Окропиридзе. Государственный бюджет Грузинской ССР на службе науки, изд. «Мецниереба», Тб., 1970, გვ. 88).

იზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, როგორც მათი საერთო რიცხოვნობის, ისე მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობის მხრივ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა ზრდის დინამიკა[5]

	დასაქმებულთა რაოდენობა (მომავალი წლის დასაწყისისათვის)	მათ შორის მეცნიერ თანამშრომლები	მეცნიერ თანამშრომელთა ხვედრი წონა (%-ით)
1971 წ.	8053	4452	55,2
1972 წ.	8792	4564	51,9
1973 წ.	9403	4901	52,1
1974 წ.	9823	5172	52,6
1975 წ.	10397	5538	53,2
1976 წ.	10707	5437	50,7

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო დაწესებულებებში უკანასკნელ ხანებში დასაქმებულთა შორის ერთ მეცნიერ თანამშრომელზე მოდის დაახლოებით ორი არამეცნიერ თანამშრომელი (1976 წ. შეფარდება მათ შორის 1:2 უდრიდა). დასაქმებულთა რაოდენობა საერთოდ 1976 წ. 1971 წ. შედარებით გაიზარდა 1, 33-ჯერ, მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა — 1, 22-ჯერ.

ჩვენი აზრით, დასაქმებულთა უფრო სწრაფი ზრდა მეცნიერ თანამშრომელთა ზრდასთან შედარებით კანონზომიერია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ თანდათანობით იზრდება მეცნიერების მომსახურების საშუალებები, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც იწვევს ტექნიკური და დამხმარე პერსონალის რაოდენობის შედარებით სწრაფ ზრდას. ამის შესაბამისად, რასაკვირველია, იცვლება მეცნიერ თანამშრომელთა ხვედრი წონა დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში.

მეცნიერებაში საერთოდ დასაქმებულთა, კერძოდ კი, მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინსტიტუტებში თანამშრომელთა რაოდენობის ზრდაში. ასე, თუ 1971 წ. საშუალოდ აკადემიის ერთ სამეცნიერო დაწესებულებაზე მოდიოდა 196, 4 დასაქმებული და 108, 6 მეცნიერ თანამშრომელი, 1976 წ. ეს მონაცემები შესაბამისად შეადგენდა 254, 9 და 129, 5, ე. ი. დასაქმებულთა საშუალო რიცხვი თითოეულ დაწესებულებაში გაიზარდა 1, 29-ჯერ, ხოლო მეცნიერ თანამშრომელთა — 1, 19-ჯერ.

რაც შეეხება ზრდას დასაქმებულთა კატეგორიების მიხედვით, ანუ ვის ხარჯზე ხდება თანამშრომელთა საერთო რაოდენობის, კერ-

---

[5] 1980 წ. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 11893 კაცს, მათ შორის მეცნიერ-თანამშრომელი — 5870, მეცნიერ-თანამშრომელთა ხვედრი წონა კი 49,4%.

ძოდ კი, მეცნიერ თანამშრომელთა ზრდა, ეს ჩანს ერთ დასაქმებულზე საერთოდ და ერთ მეცნიერ თანამშრომელზე გაანგარიშებული საშუალო ხელფასის (ფაქტობრივად გამოყენებული ფონდის) ოდენობიდან.

თუ 1971 წ. ერთი დასაქმებულის საშუალო ხელფასის ფონდი თვეში შეადგენდა 133, 9 მან., ხოლო ერთი მეცნიერ თანამშრომლისა 238,4 მან., 1976 წ. ეს მონაცემები შესაბამისად უდრიდა — 135, 9 და 267, 6 მან. საშუალო ხელფასის ფონდი 1971—1976 წწ-ში გაიზარდა ერთი დასაქმებულზე — 1, 014-ჯერ, ხოლო ერთ მეცნიერ მუშაკზე —1, 122-ჯერ.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პერიოდში როგორც დასაქმებულთა, ისე მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე საშუალო თვიური ხელფასის ფონდი. როგორც ჩანს, დასაქმებულთა ზრდა მეტწილად ხდებოდა დაბალხელფასიანი, ე. ი. შედარებით დაბალი კვალიფიკაციის თანამშრომელთა ხარჯზე.

დაფინანსების ძირითად წყაროდან (სახელმწიფო ბიუჯეტი) დანახარჯები შეადგენდა:

	ერთ დასაქმებულზე (მანეთი)	%	ერთ მეცნიერ თანამშრომელზე (მანეთი)	%
1971 წ.	2932,3	100,0	5303,9	100,0
1972 წ.	2793,3	95,2	5379,0	101,4
1973 წ.	2769,5	94,4	5313,1	100,1
1974 წ.	2795,3	95,3	5309,1	100,1
1975 წ.	2798,7	95,4	5254,2	99,0
1976 წ.	2658,3	90,6	5238,7	98,7

საერთო დანახარჯებს, კაპიტალური დაბანდებათა გარეშე, როგორც ერთ დასაქმებულზე, ისე ერთ მეცნიერ თანამშრომელზე გაანგარიშებით, 1971—1976 წწ-ში შემცირების ტენდენცია ჰქონდა.

რაც შეეხება კაპიტალური დაბანდებების ფაქტობრივ მოცულობას, იგი უდრიდა:

	ერთ დასაქმებულზე (მანეთი)	%	ერთ მეცნიერ მუშაკზე (მანეთი)	%
1971 წ.	461,8	100,0	835,3	100,0
1972 წ.	350,7	75,9	675,7	81,1
1973 წ.	348,2	75,4	668,2	80,2
1974 წ.	371,2	80,3	705,1	84,6
1975 წ.	458,5	99,2	860,9	10,9
1976 წ.	390,3	84,5	768,6	92,0

ამდენად, აღნიშნულ წლებში კაპიტალური დაბანდებების მოცულობასაც როგორც ერთ დასაქმებულზე, ისე ერთ მეცნიერ მუშაკზე

შემცირების ტენდენცია ახასიათებდა. ეს მოწმობს, რომ აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდის ტემპები რამდენადმე ჩამორჩება მეცნიერ მუშაკთა ზრდის ტემპებს. მაგ., წინა წელთან შედარებით ცვალებადობა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ჯამში და იმ ხაწილში, რომელიც გათვალისწინებული იყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, შემდეგი იყო (%-ით):

	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
კაპიტალური დაბანდებები, სულ	100,8	106,7	108,1	94,9	100,3
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	97,0	104,9	110,2	88,1	98,4

თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც მთლიანად, ისე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმური მონაცემები აღნიშნულ წლებში მთლიანად არ იყო ათვისებული, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდა გაცილებით ნელი ტემპით ხორციელდება.

კაპიტალური დაბანდებების ათვისების მაჩვენებლები (%-ით)

	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
კაპიტალური დაბანდებები მთლიანად	85,0	70,0	70,0	71,6	93,6	86,2
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე	87,0	89,4	78,8	82,7	96,5	73,4

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 1971—1975 წწ-ში საერთო კაპიტალური დაბანდებებიდან მეტი თანხები იყო ათვისებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, ხოლო ნაკლები : გაწყობილობისა და სხვადასხვა ხელსაწყოების შეძენაზე, ეს მაშინ, როდესაც საერთო კაპიტალდაბანდებებში მათი ხვედრი წონა, ე. ი. დანახარჯები გაწყობილობაზე, სხვადასხვა დანადგარებზე, ხელსაწყოებზე და სხვ. შეადგენდა (%-ით):

1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
31,6	16,7	27,5	24,6	39,7	49,3

როგორც ვხედავთ, ბოლო წლებში (1975—1976 წწ-ში) დანახარჯები სხვადასხვა სახის გაწყობილობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეტი ყურადღება დაეთმო აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ტექნიკურ აღჭურვილობას.

ჩვენი აზრით, როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ისე აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვი-

ლობის ზრდის ტენდენცია მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ეს პროცესი ახლა და, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კიდევ გაგრძელდება, ვინაიდან ჯერჯერობით უფრო მეტად ექსტენსიური, ვიდრე ინტენსიური ფაქტორები მოქმედებენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე საერთო დანახარჯებში მეცნიერებათა აკადემიის ხვედრი წონა საკმაოდ მაღალია. ამასთანავე, საყურადღებოა მეცნიერებაზე საერთო დანახარჯების მონაცემების ზოგიერთი მხარის გახხილვა. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის, რომ განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დანახარჯები მეცნიერებაზე. მაგ., საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დანახარჯები მეცნიერებაზე შეადგენდა (ძლხ. მანეთებში): 1965 წ. — 24, 2, 1970 წ. — 43, 3, 1975 წ. —47,0.

ათი წლის განმავლობაში (1966—1975 წწ.) დანახარჯები მეცნიერებაზე გაიზარდა 1,9-ჯერ, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა (უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად) — 189-იდან 196-მდე, ანუ 1, 04-ჯერ, მათ შორის კვლევითი ინსტიტუტებისა და მათი ფილიალებისა და განყოფილებების რაოდენობა 94-იდან 104-მდე, ანუ 1,1-ჯერ.

თუ 1965 წ. საშუალოდ ერთ სამეცნიერო დაწესებულებაზე (სასწავლო დაწესებულებებთან ერთად) დანახარჯები მეცნიერებაზე ძოდიოდა 128 ათასი მანეთი (მონაცემები დამრგვალებულია), 1975 წ. იგი შეადგენდა თითქმის 240 ათას მანეთს.

როგორც ვხედავთ, საშუალოდ (გამომდინარე საბიუჯეტო დანახარჯებიდან) დანახარჯების მიხედვით სამეცნიერო დაწესებულებები არ წარმოადგენდნენ მსხვილ სამეცნიერო ერთეულებს, ისინი შედარებით მცირე მოცულობისა იყვნენ, ე. ი. როგორც სახსრები, აგრეთვე სამეცნიერო კადრები არ იყო კონცენტრირებული წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებში მსხვილ სამეცნიერო პრობლემათა დამუშავებაზე. ამას მოწმობს მონაცემებიც სამეცნიერო კადრების კონცენტრაციის შესახებ.

1965 წ. რესპუბლიკაში ითვლებოდა სულ 14225 მეცნიერ მუშაკი, 1975 წ. 24960, ანუ მათი რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 1, 8-ჯერ, ხოლო ერთ სამეცნიერო დაწესებულებაზე (სასწავლო დაწესებულებებთან ერთად) 1965 წ. საშუალოდ მოდიოდა 75,2 მეცნიერ მუშაკი, 1975 წ. კი 127, 3. მართალია, მათი საშუალო რაოდენობა ერთ სამეცნიერო დაწესებულებაზე გაანგარიშებით გაიზარდა თითქმის 1, 7-ჯერ, მაგრამ ისინი სამეცნიერო კადრების კონ-

ცენტრაციის თვალსაზრისით მაინც ვერ წარმოადგენდნენ ისეთ მსხვილ სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელთაც საშუალება ჰქონდეთ ერთდროულად რამდენიმე არსებითი ფუნდამენტური პრობლემები დაამუშაონ[6].

აღსანიშნავია, ისიც, რომ მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის ხვედრ წონას მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მცირე, მაგრამ მაინც ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობის ხვედრი წონის დინამიკა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში (%-ით)[7]

	1965 წ.	1970 წ.	1976 წ.
სსრ კავშირი	0,3	0,4	0,49
საქართველო	0,4	0,4	0,49

როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში მეცნიერ მუშაკთა ხვედრი წონა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შეადგენდა 0, 5%.

აღნიშნულ პერიოდში გარკვეული ცვლილებები მოხდა სამეცნიერო კადრების თვისებრივ სტრუქტურაშიც.

ცვლილებები სამეცნიერო კადრების თვისებრივ სტრუქტურაში 1965—1975 წწ. (სულ მეცნიერ მუშაკები 100%)[8]

	1965 წ.	1975 წ.
მეცნიერებათა დოქტორები	4,5	5,2
მეცნიერებათა კანდიდატები	29,0	31,2
მეცნიერ მუშაკები, რომელთაც არა აქვთ სამეცნიერო ხარისხი	66,5	63,6

---

[6] საყურადღებოა შემდეგი მონაცემები: 1979 წ. ბელორუსიის მოსახლეობა შეადგენდა 9559 ათას კაცს, იქ მოქმედებდა 160 სამეცნიერო დაწესებულება — საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საპროექტო ორგანიზაციების, უმაღლეს სასწავლებლებისა და საქარხნო სამეცნიერო განაყოფების ჩათვლით. მეცნიერების სფეროში დასაქმებული იყო 176 ათას კაცზე მეტი, ანუ საშუალოდ ერთ დაწესებულებაზე დასაქმებულთა რაოდენობა უდრიდა 1100 კაცს (იხ. გაზ. «Правда», 15.09.79, გვ. 2).

საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა შესაბამისად შეადგენდა 5016 ათას კაცს, დასახელებული და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა შეადგენდა 212, მათში დასაქმებული იყო 55 ათასზე მეტი კაცი, ერთ სამეცნიერო დაწესებულებაზე საშუალოდ მოდიოდა 260 კაცი.

[7] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1970 г., გვ. 8; Народное хозяйство СССР в 1978 г., გვ. 7, 90; Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 г., გვ. 9—10; Грузинская ССР в цифрах в 1978 г., გვ. 6.

[8] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975. г., გვ. 10, 165; Грузинская ССР в цифрах в 1975 г., გვ. 42.

როგორც ვხედავთ, მეცნიერ. თანამშრომელთა საერთო რაოდენობაში მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები 1965 წ. შეადგენდნენ 33,5%, ხოლო 1975 წ. — 36,4%. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობა გაიზარდა 2-ჯერ, მეცნიერებათა კანდიდატების — 1,9 ჯერ, მეცნიერ მუშაკებისა, რომელთაც არა აქვთ სამეცნიერო ხარისხი, თითქმის 1,7-ჯერ. რაოდენობრივ ზრდაში მნიშვნელოვანი დისპროპორციები არ შეიმჩნევა, რაც შეეხება თვისებრივ შედგენილობას (წოდების მიხედვით), ამის დახასიათებას იძლევა ქვემოთ მოტანილი მონაცემები.

მეცნიერ თანამშრომელთა სტრუქტურა სამეცნიერო წოდებების მიხედვით (ყველა მეცნიერ თანამშრომელი—100%)

	1965 წ.	1975 წ.
აკადემიკოსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი	3,9	3,9
დოცენტი	10,0	10,1
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	8,7	7,8
უმცროსი ეცნიერ თანამ.ირომელი	16,9	9,1
წოდების არმქონე	60,5	69,1

მეცნიერ თანამშრომელთა სტრუქტურა ათი წლის განმავლობაში თვისებრივად შესამჩნევად შეიცვალა. გარკვეული ცვლილებები მოხდა საშუალოდ ერთ მეცნიერ თანამშრომელზე გაანგარიშებული ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე გაწეულ დანახარჯებში. მაგ., საშუალოდ ერთ მეცნიერ თანამშრომელზე დანახარჯები მოდიოდა (მანეთობით): 1965 წ. — 1701,2, 1970 წ. — 2148,0, 1975 წ. — 1883,4.

თუ 1970 წ. 1965 წელთან შედარებით ბიუჯეტიდან დანახარჯები მეცნიერებაზე ერთ მეცნიერ თანამშრომელზე 26,2%-ით გაიზარდა, 1975 წ. 1965 წელთან შედარებით მან შეადგინა — 10, 1%, ხოლო 1970 წ. შედარებით შემცირდა — 12,4%-ით[9].

საინტერესოა ზოგიერთი შედარებითი მონაცემის განხილვაც. საქართველოს მეცნიერ თანამშრომელთა ხვედრი წონა შესაბამის საკავშირო მონაცემებში შეადგენდა (%-ით):

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მეცნიერ თანამშრომელთა საერთო რაოდენობის მიხედვით	2,6	2,1	2,1	2,0
მეცნიერებათა დოქტორების მიხედვით	3,9	4,4	4,1	3,7
მეცნიერებათა კანდიდატების მიხედვით	3,3	3,0	2,6	2,3

[9] ყველა მონაცემი აღებულია და გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 57—58.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს მეცნიერ თანამშრომელთა ხვედრ წონას სსრ კავშირის მეცნიერ თანამშრომელთა საერთო რაოდენობაში როგორც მთლიანად, ისე ცალკეული კატეგორიების მიხედვით (დოქტორები, კანდიდატები) 15 წლის (1960—1975 წწ) განმავლობაში აბსოლუტურ ზრდასთან ერთად შემცირების ტენდენცია ახასიათებს.

ეს ტენდენცია გარკვეული ზომით დამახასიათებელია მეცნიერებაზე დანახარჯების ხვედრი წონისთვისაც. რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მაგ., სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე საკავშირო დახახარჯებში ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი დანახარჯების ხვედრი წონა შეადგენდა 1965 წ. 0,71%, 1970 წ. — 0,67%, ხოლო 1975 წ. — 0,58%[10].

თუ ამ ორ მონაცემს შევადარებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ პირველ შემთხვევაში, ე. ი. მეცნიერ თანამშრომელთა და მათი კატეგორიების მიხედვით, სსრ კავშირის შესაბამის მეცნიერ თანამშრომელთა საერთო რაოდენობაში საქართველოს (მიუხედავად შემცირების ტენდენციისა) საკმაოდ მაღალი ხვედრი წონა უკავია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დანახარჯებს მეცნიერებაზე საკმაოდ დაბალი. ეს კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს ერთ მეცნიერ მუშაკზე გაანგარიშებულ დანახარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების დინამიკა საშუალოდ ერთ მეცნიერ მუშაკზე (მანეთობით)[11]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირი	6208,2	6925,7	6451,6
საქართველო	1701,2	2148,0	1883,4
საქართველო %-ით	—	—	—
სსრ კავშირთან	27,4	31,0	29,2

როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში 1975 წ. 1970 წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ მეცნიერ მუშაკზე გაანგარიშებით მეცნიერებაზე დანახარჯები შემცირდა, თუმცა დანახარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე არ წარმოადგენს ერთადერთ წყაროს ამ მიზნებისათვის. გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, მეცნიერების დაფინანსების სხვა სახის წყაროებიც არსებობს: მაგალითად, სახელმწიფო, კოოპერატიული, პროფკავშირული, აგრეთვე კოლმეურნეობების სახსრები, მაგრამ, მიუხედავად მეცნიერებაზე სა-

---

[10] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г. გვ. 745; Народное образование, наука и культура в СССР, გვ. 246, 249;

[11] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 165, 745.

ხელმწიფო ბიუჯეტიდან დანახარჯების ხვედრი წონის შემცირების (იგი აბსოლუტურად იზრდება. ასე, 1965 წ. შეადგენდა სსრ კავშირში — 4126 მლნ. მან., 1970 წ. — 6425 მლნ. მან., 1975 წ. — 7893 მლნ. მან.) ტენდენციისა, მას მაინც მაღალი ხვედრი წონა უკავია, მაგ., დანახარჯები მეცნიერებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან საერთო დანახარჯებში მეცნიერებაზე შეადგენდა 1965 წ. — 58, 8%, 1970 წ.—54, 9%, 1975 წ. — 45, 3%.

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში მეცნიერებაზე საერთო დახახარჯებში მნიშვნელოვნად მაღლდება სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე წყაროების როლი. ეს ჩანს მეცნიერებაზე დანახარჯების ხვედრი წონის დინამიკიდანაც, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე საერთო დანახარჯებში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებსა და მეცნიერებაზე.

მეცნიერებაზე დანახარჯების ხვედრი წონა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთო დანახარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებსა და მეცნიერებაზე (სულ დანახარჯები—100%)[12]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.	
	სსრკ	სსრ	სსრკ	სსრ	სსრკ	სსრ
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	6.8	2,4	7,6	2,9	8,1	2,4
საერთო დანახარჯებიდან	15,2	5,8[13]	16,8	6,0	17,8	4,9

აქრიგად, 70-იან წლებში სსრ კავშირში ნათლად მჟღავნდება მეცნიერებაზე დანახარჯების სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე წყაროების ხვედრი წონის, მათი მნიშვნელობის ამაღლება. მეცნიერების განვითარებისათვის აღნიშნული თანხების რაციონალურ გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს აგრეთვე ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია იმისა, რომ მეცხიერება ნამდვილად გადაიქცა საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად[14].

რაც შეეხება მეცნიერების განვითარებას საქართველოში, მოტანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ არსებული სამეცნიერო პოტენციალის, გამოხატული სამეცნიერო კადრების ხვედრ წონაში, ეკონომიკური უზრუნველყოფა ჯერ კიდევ მოითხოვს არსე-

---

[12] გაანგარიშებულია: Народное хояйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 227—228; Народное хозяйство СССР в 1977 г., გვ. 559—561.

[13] საქართველოში ეს დანახარჯები სახელმწიფო ფარგლებშია, ხოლო სსრ კავშირში სხვა წყაროებიც შედის.

[14] 1976 წ. დანახარჯებმა ახალი ტექნიკის ღონისძიებათა დანერგვასთან დაკავშირებით საქართველოს მრეწველობაში შეადგინა 44,7 მლნ. მანეთი და 1970 წ-თან შედარებით თითქმის 1,4-ჯერ გაიზარდა (გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 32).

ბით სრულყოფას, რათა დაძლეული იქნას ის განსხვავება, რომელიც არის ამ უზრუნველყოფის საშუალო-საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებელთა შორის. ჯერჯერობით რესპუბლიკური სამეცნიერო პოტენციალი მეტწილად სამეცნიერო კადრებში, მხოლოდ მათი ეკონომიკური უზრუნველყოფა უფრო მეტად ხელფასის დანახარჯებში გამოიხატება ვიდრე დანახარჯებზე სამეცნიერო დაწესებულებების, მეცნიერული შრომის ტექნიკურ აღჭურვილობაზე[15].

მეცნიერების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტების კოლექტივების მეცხიერულ-კვლევითი შედეგების პრაქტიკული დანერგვით, მათი გამოყენებით მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესებისა და მეურნეობრივი მართვის სრულყოფის, ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებისათვის, სააზოგადოებრივი წრმოების განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირებისათვის.

ამიტომ, მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების შედეგების დანერგვა პრაქტიკაში, მათი გამოყენება საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი. აღმავლობისათვის, კვლევითი შედეგების თავისებურებებიდან გამოშდინარე, ფრიად მრავალფეროვანია. ზოგი, უფრო მეტად გამოყენებითი პრობლემატიკის კვლევის შედეგები, შესაძლებელია უშუალოდ დაინერგოს ამა თუ იმ წარმოებაში და ეს თავის გამოხატულებას პოვებს კონკრეტულ ეკონომიკურ მონაცემებში, კერძოდ, ფულად მაჩვენებლებში. ზოგს უფრო ხანგრძლივი ზემოქმედების ძალა აქვს და მან გარკვეული დროის განვლის შემდეგ შეიძლება მოგვცეს მნიშვნელოვანი შედეგი, ზოგი კი საერთოდ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექ-

---

[15] მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კოლექტივების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არსებული ტექნიკური საშუალებების უფრო რაციონალურ გამოყენებას. ამჟამად ვრცელდება და სათანადო ეფექტს იძლევა როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ისე ეკონომიკური სამეცნიერო დაწესებულებებისადმი საბითუმო ვაჭრობა, მათი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ლაბორატორიულ მოწყობილობათა გაქირავება (უკანასკნელი ამცირებს სამეცნიერო დაწესებულებებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების საერთო რაოდენობას, ამცირებს აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას).

ზოგ ქალაქში არსებობს სპეციალური მაღაზიები, სადაც სამეცნიერო დაწესებულებები ე. წ. ექსპრეს-განცხადებით ღებულობენ აუცილებელ ხელსაწყოებსა და მასალებს.

ამრიგად, გეზი მიმართულია იქითკენ, რომ კვლევითმა დაწესებულებამ დროულად და ოპერატიულად შეძლოს იმ არსებული ტექნიკური საშუალებებისა და მასალების გამოყენება, რომლებიც გარკვეული ცდებისა და ექსპერიმენტების დაუყოვნებლივი ჩატარებისათვის ესაჭიროება.

ტიანობის ამაღლებაზე, მაგრამ შესაძლებელია სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში პირდაპირი ეკონომიკური მაჩვენებლებით ვერ გამოიხატოს.

სწორედ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ყველა აღნიშნული და სხვა თავისებურებათა ხასიათი, მათი ერთობლიობა წარმოადგენს იმ მეცნიერულ-ტექნიკურ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერების რეალურ პოტენციალს და მის წვლილს მწარმოებლური ძალების განვითარებაში, მის საზოგადოებრივი წარმოების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევაში.

მეცნიერული პოტენციალის ზრდის მნიშვნელოვან მხარეს ასპირანტურის საშუალებით ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადება წარმოადგენს. ამჟამად არ შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობა აკმაყოფილებდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს.

1978 წ. საბჭოთა კავშირში ირიცხებოდა 1314,0 ათასი მეცნიერი მუშაკი, ანუ მთელი მოსახლეობის 0, 5%. რასაკვირველია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება მოითხოვს მეცნიერ მუშაკთა ხვედრი წონის ამაღლებას, როგორც საერთოდ მოსახლეობის, ისე დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში.

მეცნიერ მუშაკთა ხვედრი წონა ეროვნებების მიხედვით (1976 წ. ბოლოსათვის %-ით)[16]

	მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში		იმავე ეროვნების მოსახლეობის საერთო რაოდენობაში
რუსები	66,9	(1955 წ.—64,4)[17]	0,63
უკრაინელები	10,9	(9,7)	0,32
ბელორუსები	2,1	(1,8)	0,29
უზბეკები	1,3	(0,7)	0,17
ყაზახები	0,93	(0,5)	0,21
ქართველები	1,9	(2,3)	0,69
აზერბაიჯანელები	1,4	(1,2)	0,38
სომხები	2,1	(2,2)	0,75
ებრაელები	5,7	—	3,2
ლიტველები	0,9	(0,7)	0,42
ლატვიელები	0,6	(0,7)	0,52
ესტონელები	0,47	(0,7)	0,57

1975 წ. დამლევისათვის ჩამოყალიბდა შეფარდებები მეცნიერ მუშაკთა ხვედრ წონებს შორის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით,

---

[16] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет, გვ. 40—42. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა აღებულია 1970 წ. აღწერის მიხედვით.

[17] გაანგარიშებულია: Культурное строительство в СССР, გვ. 254.

რაც, ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ არის, რადგან წარმოდგენას გვაძლევს მეცნიერების, საერთოდ, და, კერძოდ, მეცნიერული კადრების ზრდის შესახებ ეროვნებების მიხედვით.

თუ როგორი იყო საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სტრუქტურა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით 60-იან წლებში, ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან.

ცხრილი 4

მეცნიერ მუშაკთა ეროვნული შემადგენლობა საქართველოში (სულ — 100%)[18]

	სულ მეცნიერ მუშაკები	1960 წ.		1964 წ.		
		მათ შორის			მათ შორის	
		მეცნიერებათა დოქტორები	მეცნიერებათა კანდიდატები	სულ მეცნიერ მუშაკები	მეცნიერებათა დოქტორები	მეცნიერებათა კანდიდატები
ქართველები	83.8	91.2	88,6	83,8	91,0	88,9
რუსები	6.3	2,5	3,5	6,1	3,0	3,8
უკრაინელები	0.5	—	0,3	0,5	0,3	0,2
სომხები	4.4	3.5	3,7	4,4	3,6	2,6
აზერბაიჯანელები	0.1	—	0,2	0,2	—	0,1
აფხაზები	0,8	0.5	0,7	0,7	0,7	0,8
ოსები	1,1	0,2	1,1	1,0	0,3	1,1
ებრაელები	1.9	1.4	1,2	2,4	0,8	1,7
დანარჩენი ეროვნების	1,1	0.7	0,7	0,9	0,3	0,8

1976 წ. ბოლოსათვის ასპირანტთა საერთო რიცხვში საქართველოს კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ასპირანტთა ხვედრი წონა შეადგენდა მხოლოდ 1,24%, მათ შორის საშეცხიერო დაწესებულებებში მყოფ ასპირანტთა საერთო რაოდენობაში საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლების ხვედრი წონა 1,58%, ხო-

---

[18] Просвещение и культура Грузинской ССР, გვ. 250—251. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეროვნების მიხედვით მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში 1960 წელს ქართველებს შორის მეცნიერებათა დოქტორების ხვედრი წილი შეადგნდა 5,1%, კანდიდატებისა 37,1% რუსების 1,9 (19,6), უკრაინელების (20,0); სომხების — 3,7 (29,2), აზერბაიჯანელების (63,6), აფხაზების—2,8 (29,9), ოსების 1,0(36,5). ებრაელების 3,4 (22,0). დანარჩენ ეროვნებათა შორის 2,9 (23,3). რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში დოქტორები შეადგენდნენ 4,7%, კანდიდატები — 35,1%.1964 წ. შესაბამისად: 4,9 (30,1), 2,2 (17,8), 3,0 (11,9), 3,8 (16,7), 19,0 (4,3), 34,0 (1,4), 30,4 (1,4), 30,4 (1,6), 20,1 (1,6), 24,8, 4,5% და 28, 4%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1960—1964 წწ -ში არაქართველ ეროვნებათა შორის მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში მეცნიერებათა დოქტორებისა და მეცნიერებათა კანდიდატების ხვედრ წილს ამაღლების ტენდენცია ჰქონდა.

ლო უმაღლეს სასწავლებლებში — 1,0%. რაც შეეხება ასპირანტთა საერთო რაოდენობას, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის შეფარდებები საქართველოში იყო 1: 0, 89, ხოლო სსრ კავშირში 1:1 ,40.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ასპირანტთა საერთო რაოდენობაში სამეცნიერო დაწესებულებების ხვედრი წონა უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი საკავშირო მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ 1976 წლის მონაცემებით თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკიდან ასპირანტების მომზადების საერთო რიცხვში სამეცნიერო დაწესებულებების ხვედრი წონა უფრო მაღალი იყო ექვს რესპუბლიკაში (საქართველო, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი), ხოლო დანარჩენებში ჭარბობდნენ უმაღლესი სასწავლებლები.

რაც შეეხება ასპირანტების გამოშვებას, იმავე წლის მონაცემების მიხედვით: გამოშვებულ ასპირანტთა საერთო რიცხვში საქართველოს ხვედრი წონა შეადგენდა 1, 21%, შესაბამისად სამეცნიერო დაწესებულებებიდან გამოშვებულთა შორის — 1, 49%, უმაღლეს სასწავლებლებიდან — 1, 02. შეფარდებები კი იყო სსრ კავშირში 1:1, 42, ხოლო საქართველოში — 1:0,99.

სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ასპირანტურის საშუალებით ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ და გამოშვებულ ასპირანტთა შეფარდებების დინამიკა (%-ით)[19]

	1950 წ.	1966 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
ასპირანტია საერთო რაოდენობა (100%):						
ა. სამეცნიერო დაწესებულებებში	41,1	47,5	48,2	52,3	53,3	52,8
ბ. უმაღლეს სასწავლებლებში	58,9	52,5	51,8	47,7	46,7	47,2
გამოშვებულ ასპირანტთა რაოდენობა (100%):						
ა. სამეცნიერო დაწესებულებებიდან	43,7	55,2	44,5	52,9	49,1	50,3
ბ. უმაღლესი სასწავლებლებიდან	56,3	44,8	55,5	47,1	50,9	49,7

[19] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию, 33-32.

გაანგარიშებებიდან ჩანს, რომ 70-იან წლებში ახალგაზრდა მეცხიერთა კადრების მომზადებაში ასპირანტურის საშუალებით სამეცნიერო დაწესებულებების როლი შესამჩნევად გაიზარდა. ეს, ჩვენი აზრით, რესპუბლიკისთვის კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ამ პერიოდში საერთოდ მნიშვნელოვნად ამაღლდა მეცნიერული კვლევის ხარისხი, გაფართოვდა კვლევის საშუალებები.

ეს ტენდენცია შემდგომშიც უნდა გაძლიერდეს, ვინაიდან მომავალ ახალგაზრდა მეცნიერს საშუალება აქვს ასპირანტურაში შესვლისთანავე უშუალოდ ჩაებას სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში გარკვეული პრობლემის დამუშავებისათვის, რომელიც ამავე დროს შეიძლება მის საკვალიფიკაციო თემად იქცეს.

საერთოდ, ასპირანტთა ხვედრი წონა მეცნიერთა საერთო რაოდენობაში 1976 წ. შეადგენდა სსრ კავშირში — 7,6%, საქართველოში — 4,9%[20]. აქედან ჩანს, რომ საჭიროა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ასპირანტთა როგორც მომზადების ხარისხობრივი ამაღლების, ისე მათი რაოდენობრივი ზრდისათვის.

აქაზე მეტყველებს აგრეთვე ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის, გარკვეული წლების (1960—1976 წწ.) მანძილზე.

ასპირანტთა ხვედრი წონის დინამიკა მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში (%-ით)[21]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
სულ ირიცხებოდა ასპირანტურაში მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობასთან შედარებით	8,7	10,5	7,0	4,1	4,9
გამოშვებული იყო წელიწადში მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობასთან შედარებით	1,56	2,32	1,19	1,37	1,18

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 70-იან წლებში ასპირანტთა რიცხვი მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც ხვედრი წონის, ასევე აბსოლუტური რაოდენობის მხრივაც. მაგ., თუ 1960 წ. 1950 წ-თან შედარებით მათი რაოდენობა გაიზარდა 1,41-ჯერ, ხოლო 1965 წ. შედარებით 1,86-ჯერ, 1970 წ. 1965 წ. შედარებით მათ რიცხოვნობამ შეადგინა 95,3%, 1975 წ. 1970 წ. შედარებით — 82,4%, ხოლო 1976 წ. 1975 წ. შედარებით

[20] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет, გვ. 143—146.

[21] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию, გვ. 31—32.

101,6%[22]. საერთოდ, თუ 1960 წ. ერთი ასპირანტი მოდიოდა 11,4 მეცნიერ მუშაკზე, 1965 წ. მოდიოდა 9,5 მეცნიერ მუშაკზე, 1970 წ.— 14,1-ზე, 1975 წ. — 21,2-ზე, ხოლო 1976 წ. — 20,3-ზე[23].

როგორც მონაცემები გვიჩვენებენ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ასპირანტთა მომზადებას, რათა უფრო მყარი საფუძველი ქონდეს რესპუბლიკაში სამეცნიერო პოტენციალის ზრდას.

ასპირანტების მომზადებისას დაცული უნდა იქნას გარკვეული პროპორციებიც მეცნიერების დარგების მოთხოვნილებათა შესაბამისად. 1950—1975 წწ. მონაცემების მიხედვით მეცნიერ მუშაკები მეცნიერების დარგების მიხედვით განაწილებული უნდა იყვნენ შემდეგი შეფარდებებით (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი ფრიად საინტერესოა. აქ ნათლადაა ასახული ის თვისებრივი ტენდენცია, რაც დამახასიათებელია მეცნიერ მუშაკთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდისათვის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის პირობებში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ საბჭოთა კავშირში 1950—1970 წწ-ში მნიშვნელოვნად ამაღლდა იმ მეცნიერ მუშაკთა ხვედრი წონა, რომლებიც დასაქმებულნი არიან ფიზიკა-მათემატიკურ, ტექნიკურ, ეკონომიკურ დარგებში, და შემცირდა სოფლის მეურნეობის, ისტორიულ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, პედაგოგიურ, სამედიცინო დარგებში.

ჩვენს მიერ ცხრილში მოტანილი მეცნიერების ცხრა დარგიდან[24], რომელთაც დასაქმებულ მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში ორ მესამედზე მეტი უკავია, ყველაზე მაღალი ხვედრი წონა აქვთ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებს.

---

[22] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию, გვ. 32. 1950 წ. ასპირანტთა ხვედრი წილი მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში შეადგენდა 11,7% (გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР, стат. сб. 1975, გვ. 128—133; Народное образование, наука и культура в Грузинской ССР, გვ. 207—208).

[23] 1976 წ. 1975 წ. შედარებით შემცირდა მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაც და იგი შეადგენდა 97,2 (გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию... გვ. 31—32). 1940 წ. საქართველოში ასპირანტთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 524 კაცს. აქედან სამეცნიერო დაწესებულებებში — 80 (15,2%), უმაღლეს სასწავლებლებში — 444 (84,8%), მიღებული იყო სულ 97 ასპირანტი. აქედან სამეცნიერო დაწესებულებებში 20 (20,6%), უმაღლეს სასწავლებლებში 77 (79,4%), გამოშვებული იყო სულ 79 ასპირანტი, სამეცნიერო დაწესებულებებიდან—11 (13,8%), უმაღლესი სასწავლებლებიდან 68(86,2%).

როგორც ეხედავთ, ამ დროისათვის მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა მომზადების ძირითადი კერა უმაღლესი სასწავლებელია.

[24] სტატისტიკურ კრებულებში მოცემულია მეცნიერების 18 დარგის მონაცემი, ხოლო 1968 წ-დან მათ ემატებათ ფსიქოლოგიური მეცნიერება.

მეცნიერების დარგები	1950 წ.			1960 წ.		
		მათ შორის			მათ შორის	
	მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა	მეცნიერებათა დოქტორები	მეცნიერებათა კანდიდატები	მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა	მეცნიერებათა დოქტორები	მეცნიერებათა კანდიდატები
ფიზიკა-მათემატიკური	6,3	7,3	5,4	8,5	9,0	6,9
				4,6	6,7	5,8
ტექნიკური	25,5	18,8	27,7	36,6	21,0	26,8
				22,8	8,8	15,9
სოფლის მეურნეობის	7,3	5,0	7,7	5,0	4,9	6,1
				8,9	8,6	12,7
ეკონომიკური	2,8	1,6	3,9	3,9	2,5	5,0
				3,0	2,0	4,1
ფილოსოფიური	1,6	0,4	1,2	0,9	0,8	1,8
				1.3	1,1	2,5
ფილოლოგიური	8,4	2,7	4,1	5,9	2,9	5,3
				10,4	8,6	10,1
პედაგოგიური	5,4	1,0	2,3	3,9	1,2	2,3
				4,9	2,3	4,0
სამედიცინო	12,9	32,2	18,5	9,1	25.9	15,6
				14,4	31,8	17,3
ისტორიული	5,2	2,9	4,8	4,6	2,9	7,0
				6,6	8,1	9,1
დანარჩენ დარგებში	24,6	28,1	24,4	21,6	28,9	23,2
				23,1	12,1	18,5

[23] გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в СССР, მონაცემები, ხოლო

დარგების მიხედვით (სულ — 100%)[25]

1965 წ.			1970 წ.		
	მათ შორის			მათ შორის	
მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა	მეცნიერებათა დოქტორები	მეცნიერებათა კანდიდატები	მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა	მეცნიერებათა დოქტორები	მეცნიერებათა კანდიდატები
9,6 / 10,8	11,0 / 8,0	9,0 / 7,6	10,3 / 12,1	11,4 / 7,9	9,9 / 8,9
44,9 / 26,5	20,6 / 9,1	25,9 / 15,4	44,1 / 26,9	20,0 / 10,2	28,2 / 18,8
4,0 / 7,7	4,8 / 6,6	5,7 / 10,1	3,3 / 7,1	4,2 / 6,9	5,4 / 9,0
4,6 / 3,5	3,2 / 2,9	5,8 / 4,4	6,2 / 3,8	3,9 / 3,8	6,6 / 4.5
1,1 / 1,4	1,3 / 2,9	2,4 / 3,0	1,2 / 1,5	1,9 / 3,1	2,3 / 2,8
5,5 / 8,8	3,2 / 9,7	5,0 / 8,5	5,2 / 9,4	3,7 / 10,9	4.1 / 8,1
3,3 / 4,7	0,8 / 1,7	2,3 / 3,5	3,3 / 4,6	0,6 / 1,3	2,0 / 2,7
5,3 / 10,4	21,5 / 29,6	13.4 / 17,3	5,2 / 9,0	21,1 / 26,5	12,5 / 16,4
3,1 / 6,2	4,3 / 8,6	5,7 / 8,6	2,7 / 4,8	5,2 / 9,5	4,3 / 6,9
18,6 / 20,0	29,3 / 20,9	24,8 / 21,6	18,5 / 20,8	28.0 / 19,9	24,7 / 21,9

1971, გვ. 252 — 253, 258 — 259. მრიცხველში მოტანილია სსრ კავშირის მნიშვნელში—საქართველოსი.

მონაცემები გვიჩვენებენ, რომ სსრ კავშირში მეცნიერ მუშაკთა უდიდესი ნაწილი დაკავებულია საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში. ისინი 1950 წ. შეადგენდნენ ყველა დარგში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 52%, 1960 წ. — 59,2%, 1965 წ. — 63,8%, 1970 წ. — 62,9%.

მეცნიერ მუშაკთა შეფარდებები მეცნიერების ძირითადი ჯგუფების მიხედვით (სულ — 100%)[28]

	1960 წ.		1965 წ.		1970 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
საბუნებისმეტყველო	22,6	27,9	18,9	28,9	18,8	28,2
ტექნიკური	36,6	22,8	44,9	26,5	44,1	26,9
საზოგადოებრივი (ჰუმანიტარული)	19,2	26,2	17,6	24,6	18,6	24,1
დანარჩენი დარგები	21,6	23.1	18,6	20,0	18,5	20,8

აქაც დამახასიათებელია ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც გამოიხატება ტექნიკურ მეცნიერებაში დასაქმებულ მეცნიერ მუშაკთა ხვედრი წონის სწრაფ ზრდაში, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში დასაქმებულთა ხვედრი წონის შემცირებაში.

საქართველოში ეს მონაცემები შეადგენდნენ შესაბამისად: 1960 წ. — 50,7 %, 1965 წ. — 55,4 %, 1970 წ. — 55,1 %. ამასთანავე, საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო ტექნიკურ მეცნიერებაში დასაქმებულ მეცნიერ მუშაკთა ხვედრი წონის გარკვეულ ზრდასთან ერთად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში დასაქმებულ მეცნიერ მუშაკების ხვედრი წონის ზრდის ტენდენციაც. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივ (ჰუმანიტარულ) მეცნიერებათა დარგებში დასაქმებულთა ხვედრი წონა როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში მცირდებოდა, იმ გამონაკლისებით, რომ საქართველოში მათი ხვედრი წონა უფრო მაღალია ვიდრე შესაბამისი საშუალო საკავშირო მონაცემები.

---

[28] ჩვენ ცხრილში საბუნებისმეტყველო დარგთა მეცნიერებას მივაკუთვნეთ: ფიზიკა-მათემატიკური, სოფლის მეურნეობის, სამედიცინო, ხოლო საზოგადოებრივს (ჰუმანიტარულს): ისტორიული, ეკონომიკური, ფილოსოფიური, ფილოლოგიური, პედაგოგიური. რაც შეეხება დანარჩენებს, აქ შედიან დარგები, რომლებიც მიეკუთვნებიან როგორც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ, ისე ჰუმანიტარულს, კერძოდ: ქიმიური, ბიოლოგიური, გეოლოგიურ-მინერალოგიური, გეოგრაფიული, იურიდიული, ფარმაცევტიული, ვეტერინარული, ხელოვნებათმცოდნეობა, არქიტექტურული და ფსიქოლოგიური (1968 წ.) (იხ. Народное образование, наука и культура в СССР, 1971, გვ. 222—253).

მეცნიერ მუშაკთა დასაქმებულობის დარგობრივი სტრუქტურა განპირობებულია მეცნიერების დარგების მიხედვით მეცნიერ მუშაკთა რაოდენობრივი ზრდის ტემპებით.

მეცნიერ მუშაკთა რაოდენობრივი ზრდის ტემპები მეცნიერების დარგების მიხედვით 1960—1970 წწ. (1960 წ. — 1)[27]

	1970 წ.	
	სსრკ	სსსრ.
მთლიანად	2,6	2,2
ფიზიკა-მათემატიკური	3,2	3,1
ტექნიკური	3,1	2,6
სოფლის მეურნეობის	1,7	1,7
ისტორიული	1,5	1,6
ეკონომიკური	4,1	2,4
ფილოსოფიური	3,5	2,5
ფილოლოგიური	2,3	2,0
პედაგოგიური	2,2	2,0
სამედიცინო	1,6	1,4

მეცნიერ მუშაკთა შეფარდებები მეცნიერების ძირითად ჯგუფებს შორის მათი კვალიფიკაციის მიხედვით (მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები სულ — 100%)[28]

	1950 წ.		1960 წ.		1965 წ.		1970 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
საბუნებისმეტყველო	44,5		39,8	47,1	37,3	44,2	36,7	41,3
	31,6		28,6	35,8	28.1	35,0	27,8	34,1
ტექნიკური	18,8		21,0	8,8	20,6	9,1	20,0	10,2
	27,7		26,8	15,9	25,9	15,4	28,2	18,8
საზოგადოებრივი (ჰუმანიტარული)	8,6		10,3	22,1	12,8	25,8	15,3	28,6
	16,3		21,4	29,8	21,2	28,0	19,3	25,0
დანარჩენი დარგები	28,1		28,9	12,1	29,3	20,9	28,0	19,9
	24,4		23,2	18,5	24,8	21,6	24,7	21,9

---

[27] გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в СССР, 1971, გვ. 252—253, 258—259.

[28] მრიცხველში მოტანილია მონაცემები მეცნიერებათა დოქტორების, ხოლო მნიშვნელში კანდიდატების შესახებ.

როგორც ვხედავთ, სსრ კავშირში საშუალოზე უფრო სწრაფად იზრდებოდა მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა ფიზიკა-მათემატიკურ, ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგებში. საქართველოში დამახასიათებელი იყო იგივე ტენდენციები, იმ განსხვავებით, რომ აქ, როგორც საერთოდ, ისე აღნიშნული მეცნიერების დარგების მიხედვით ზრდის ტემპები უფრო ნელი იყო. მთლიანად კი აღნიშნულ მეცნიერებათა დარგებში ისე, როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, მეცნიერ მუშაკთა ამგვარი სწრაფი რაოდენობრივი ზრდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა და ასახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თავისებურებას.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე შესამჩნევად იცვლება მეცნიერ მუშაკთა დასაქმების სტრუქტურა მეცნიერების დარგების მიხედვით. მაგ., მეცნიერებათა დოქტორების საერთო რიცხვში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორების ხვედრი წონა სსრ კავშირში შეადგენდა: 1950 წ. — 63,3%, 1960 წ. — 60,8%, 1965 წ. — 57,9%, 1970 წ. — 56,7%.

აღსანიშნავია, რომ როგორც 1960 წ. 1950 წ. შედარებით, ისე 60-იან წლებში მათ ხვედრ წონას შემცირების ტენდენცია დაეტყო. რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებს, აქ 1950—1970 წწ. მათ ხვედრი წონის ზრდას მყარი ტენდენცია ახასიათებს. მეცნიერებათა კანდიდატების ხვედრი წონა შესაბამისად შეადგენდა: 59, 3%, 55, 4%, 54, 0%, 56, 0%.

საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების დარგებში მეცნიერების დოქტორების ხვედრი წონა მათ საერთო რაოდენობაში 1960 წ. შეადგენდა 55, 9%, 1965 წ. — 53, 3%, 1970 წ. — 51, 5%. აღსანიშნავია, რომ 1960—1970 წწ-ში საბუნებისმეტყველო დარგებში დასაქმებულ მეცნიერებათა დოქტორების ხვედრი წონა შემცირების, ხოლო ტექნიკურ მეცნიერებაში დასაქმებულთა ხვედრი წონის ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამავე დროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში დასაქმებული მეცნიერებათა დოქტორების ხვედრი წონა შესამჩნევად გაიზარდა. რაც შეეხება მეცნიერებათა კანდიდატებს, მათი ხვედრი წონა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში შესაბამისად შეადგენდა: 51, 7%, 50, 4%, 52, 9%, მათ შორის ტექნიკურ მეცნიერებაში დასაქმებულთა ხვედრი წონა ზრდის, ხოლო საბუნებისმეტყველო დარგებში დასაქმებულთა ხვედრი წონის შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამავე დროს შესამჩნევად

შემცირდა მათი ხვედრი წონა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში.

მეცნიერ მუშაკთა რაოდენობრივი ზრდის ტემპები მათი კვალიფიკაციის მიხედვით (1960 წ. — 1)[29]

	1970 წ.	
	სსრკ	სსსრ
მთლიანად	2,2	2,3
	2,3	1,8
ფიზიკა-მათემატიკური	2,7	2,7
	3,2	2,8
ტექნიკური	2,1	2,6
	2,4	2,1
სოფლის მეურნეობის	1,9	1,8
	2,0	1,3
ისტორიული	3,8	2,6
	1,4	1,7
ეკონომიკური	3,3	4,2
	3,0	1,9
ფილოსოფიური	5,2	6,2
	2,8	1,9
ფილოლოგიური	2,7	2,9
	1,8	1,5
პედაგოგიური	1,2	1,3
	1,9	1,3
სამედიცინო	1,8	1,9
	1,8	1,7

1960—1970 წწ-ში განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ზრდა მეცნიერებათა დოქტორებისა სსრ კავშირში — ფიზიკა-მათემატიკურ, ისტორიულ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, ხოლო საქართველოში ყველა ამ აღნიშნულ და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში. რაც შეეხება მეცნიერებათა კანდიდატებს, მათი რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდებოდა როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში ფიზიკა-მათემატიკურ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგებში.

---

[29] მრიცხველში მოტანილია მონაცემები მეცნიერებათა დოქტორების, ხოლო მნიშვნელში კანდიდატების შესახებ. გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в СССР, გვ. 252—253, 258—259.

აღნიშნულ პერიოდში მეცნიერებათა დოქტორების საერთო ზრდის ძიხედვით საქართველოში შეიმჩნეოდა უფრო სწრაფი ტემპები[30].

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნერებათა დოქტორების რეზერვის, მეცნიერებათა კანდიდატების საერთო ზრდის ტემპები საქართველოში შესამჩნევად ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ფიზიკა-მათემატიკურ, ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, პედაგოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა დარგებში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფიზიკა-მათემატიკურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგებში დასაქმებულ მეცნიერებათა კანდიდატების ხვედრი წონა 1960—1970 წწ-ში უფრო დაბალი იყო ვიდრე შესაბამისი საშუალო საკავშირო მონაცემები, მაშინ ჩვენს წინაშე წამოიჭრება ფრიად პასუხსაგები ამოცანა მომავლისათვის აღნიშნულ დარგებში ახალგაზრდა მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა მომზადების შესახებ, მით უმეტეს, რომ აღნიშნული დარგები უშუალოდაა დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან.

საქართველოში ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, ისტორიულ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა დარგებში მეცნიერებათა დოქტორების ზრდის ტემპები უფრო სწრაფია ვიდრე მეცნიერებათა კანდიდატებისა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგებში.

აქედან გამომდინარე რესპუბლიკაში ფრიად სერიოზულ ხასიათს ღებულობს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი ასპირანტურის საშუალებით.

1970 წ. ბოლოსათვის ასპირანტთა საერთო რაოდენობაში მეც-

---

[30] თბილისის ხვედრი წონა მეცნიერ მუშაკთა საერთოდ, მათ შორის მეცნიერებათა დოქტორების და კანდიდატების საერთო რაოდენობაში

	1965 წ.	1970 წ.	1972 წ.
მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობაში	80,9	80,0	81,5
მათ შორის:			
მეცნიერებათა დოქტორებს შორის	93,3	87,1	86,9
მეცნიერებათა კანდიდატებს შორის	81,8	79,1	81,1

(გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в Грузинской ССР, 1974, გვ. 128, 132.

ნიერების დარგების მიხედვით მათი სტრუქტურა შემდეგნაირად ხასიათდებოდა[31]:

	სსრკ	საქართველოს სსრ.
ფიზიკა-მათემატიკური	11,8	15,9
ტექნიკური	40,2	28,4
სოფლის მეურნეობის	5,6	8,6
ისტორიული	2,9	3,4
ეკონომიკური	10,0	5,9
ფილოსოფიური	2,3	1,4
ფილოლოგიური	2,6	4,4
პედაგოგიური	2,1	2,5
სამედიცინო	4,8	6,1
დანარჩენი დარგები	17,7	23,4

საბუალო-საკავშირო მონაცემებთან შედარებით საქართველო ასპირანტების საერთო რიცხვში უფრო ნაკლები ხვედრი წონით იყო წარმოდგენილი ასპირანტები მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ტექნიკური, ეკონომიკური, ფილოსოფიური, ხოლო უფრო მაღალი ხვედრი წონით ფიზიკა-მათემატიკური, სოფლის მეურნეობის, ისტორიული, ფილოლოგიური, პედაგოგიური და სამედიცინო.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მომავლისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული ცვლილებები ასპირანტთა მომზადების შეფარდებებში მეცნიერების დარგების მიხედვით, მათი ოპტიმიზაციის მიზნით გამომდინარე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარების აუცილებლობიდან. ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს უფრო მიზანშეწონილი პროპორციების დადგენა ასპირანტთა მომზადებაში წარმოები-

---

[31] გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в СССР, 1971, გვ. 275, 276—277.

აღსანიშნავია, რომ ეს სტრუქტურა საქართველოში 1965 წ. I იანვრისათვის წარმოადგენდა: ფიზიკა-მათემატიკური—10,3% (1960 წ. ბოლოსათვის—9,0%), ტექნიკური—28,9% (13,3%), სოფლის მეურნეობის და ვეტერინალური — 8,5%, სოფლის მეურნეობის — 11,8%, ისტორიული — 4,5% (4,4%), ეკონომიკური — 6,6% (5,3%), ფილოსოფიური— 1,6, ფილოლოგიური—9,4% (10,4%), პედაგოგიური — 2,8% (6,2%), სამედიცინო—6,7% (8,9%) (Народное образование, наука и культура в Грузинской ССР, 1974, გვ. 135).

დან მოწყვეტით და წარმოებიდან მოუწყვეტლად. 1960—1970 წწ-ში აღნიშნული შეფარდებები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად[32].

	1960 წ.				1965 წ.				1970 წ.			
	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები		უმაღლესი სასწავლებლები		სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები		უმაღლესი სასწავლებლები		სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები		უმაღლესი სასწავლებლები	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
წარმოებიდან მოწყვეტილი	58,2	78,2	65,9	60,4	48,1	63,5	62,4	55,4	44,0	64,0	63,7	72,3
წარმოებიდან მოუწყვეტლივ	41,8	21,8	34,1	39,6	51,9	36,5	37,6	44,6	56,0	36,0	36,3	27,7

როგორც ვხედავთ, 60-იან წლებში სამეცნიერო დაწესებულებებში როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა ასპირანტების მომზადების ხვედრი წონა მათ საერთო რიცხვში წარმოებიდან მოწყვეტილად. ეს ტენდენცია მოქმედებდა უმაღლეს სასწავლებლებშიც, ხოლო იმ განსხვავებით, რომ საქართველოში 1970 წლისათვის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ წარმოებიდან მოწყვეტით ასპირანტთა ხვედრი წონა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მეცნიერებათა დარგებში წარმოებიდან მოუწყვეტლად ასპირანტთა მომზადების ხვედრი წონის მნიშვნელოვანი ზრდა ნაკლებად ამართლებს აღნიშნულ დარგებში მაღალკვალიფიცირებულ მეცნიერთა კადრების მომზადების ამოცანის განხორციელებას. ეს იწვევს ასპირანტურის კურსის გახანგრძლივებას, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ ასპირანტურის დაუმთავრებლობას, რაც არაეფექტიანს ხდის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების როგორც ამ ფორმას, ისე მასზე გაწეული დროისა და სახსრების დანახარჯებს. მაგ., 1965 წ. საქართველოში ასპირანტურა დამთავრებულთა რაოდენობა ასპირანტურაში მყოფთა საერთო რაოდენობის 22,2% შეადგენდა, ხოლო საშუალო წლიურ რაოდენობის 66,6%-ს. 1970 წ. შესაბამისად — 28,1% და 84,5%[33].

[32] გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в СССР, 1971, გვ. 272—273.

[33] გაანგარიშებულია: Народное образование, наука и культура в СССР, გვ. 273, 280 (აქ ასპირანტთა საერთო რაოდენობა 1965 წ. გაყოფილია სამზე, ასპირანტურაში ყოფნის ვადის მიხედვით და აღებულია საშუალო წლიური რაოდენობა).

ამრიგად, ასპირანტურაგავლილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ამთავრებს მას. გარდა ამისა გასული წლების მონაცემებიც მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ასპირანტურაში მყოფ წარმოებიდან მოუწყვეტლად შორის შედარებით მცირე რაოდენობა ამთავრებს ასპირანტურას[34].

ასპირანტთა რიცხოვნობა და მათი გამოშვება სწავლების სახეების მიხედვით 1960—1966 წწ. [35]

	1960 წ.	1965 წ.	1966 წ.
სულ ასპირანტთა რაოდენობა (წლის ბოლოსათვის)	804	1494	1519
მათ შორის			
ა. წარმოებიდან მოწყვეტით	554	901	960
ბ. წარმოებიდან მოუწყვეტლივ	250	593	559
წლის განმავლობაში გამოშვებული:			
ა. წარმოებიდან მოწყვეტით	125	236	257
ბ. წარმოებიდან მოუწყვეტლივ	18	99	137
გამოშვებულთა შეფარდება მათ საერთო რაოდენობასთან (%-ით)			
ა. წარმოებიდან მოწყვეტით	22,6	26,1	26,7
ბ. წარმოებიდან მოუწყვეტლივ	7,2	16,7	24,5

საკმაოდ დიდი რაოდენობით მზადდება ახალი მეცნიერული კადრები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში. მაგ., 1978 წ. დამლევისათვის სსრ კავშირში ასპირანტების საერთო რაოდენობაში საქართველოს ხვედრი წილი შეადგენდა 1,36%, ხოლო ასპირანტების იმ რიცხვში, რომელთაც ამზადებენ სამეცნიერო დაწესებულებები (უმაღლეს სასწავლებლების გარეშე) — 1, 68%, უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტთა საერთო რაოდენობაში „ი 1,1%. ასპირანტების რაოდენობა სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის განაწილებული იყო შემდეგი პროპორციით[36]:

	სამეცნიერო დაწესებულებებში	უმაღლეს სასწავლებლებში
სსრ კავშირში	40,2	59,8
საქართველოში	49,9	50,1

---

[34] ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს რჩევა მიეცა გაითვალისწინოს უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში დასწრებული ასპირანტურის უპირატესი განვითარება (იხ. სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება: „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარების და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 13.07. 79, გვ. 3).

[35] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической революции, Тб., 1967, გვ. 241.

[36] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1978 г., გვ. 93.

როგორც ჩანს, საქართველოში ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების ნახევარი მზადდება სამეცნიერო დაწესებულებებში, ხოლო კავშირში — უფრო მეტი უმაღლეს სასწავლებლებში[37].

შეცნიერული პოტენციალი უშუალო გამოხატულებას ღებულობს სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის განვითარებაში და უმაღლეს და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ზრდაში. საქართველოში, და საერთოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სამი ათეული წლის განმავლობაში (1940 — 1970 წწ.) სამეცნიერო დაწესებულებათა[38] ქსელის განვითარებაში შემდეგი ცვლილებები მოხდა (იხ. ცხრილი 6).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი განსაკუთრებით გაიზარდა და, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბდა 60-იანი წლების დასაწყისისათვის. მაგ., თუ 1960 წ. 1940 წ. შედარებით სამეცნიერო დაწესებულებათა საერთო რაოდენობა გაიზარდა 2,1-ჯერ, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მათი ფილიალების და განყოფილებების რაოდენობა — 2,7-ჯერ, 1970 წ. 1960 წ. შედარებით ზრდა შესაბამისად შეადგენდა 1,04 და 1,15. 1940—1960 წლებში, საერთოდ, სამეცნიერო დაწესებულებებისა და,

---

[37] რასაკვირველია, ყოველთვის არ იყო ასეთი მდგომარეობა. მაგალითად, 1940 წ. ასპირანტთა საერთო რაოდენობიდან (524 კაცი) უმაღლეს სასწავლებლებზე მოდიოდა (444 კაცი) 84, 7%, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებებზე (80 კაცი) 15,3%, 1950 წ. შესაბამისად (569 კაცი) უმაღლეს სასწავლებლებზე (335 კაცი) — 58,8%, სამეცნიერო დაწესებულებებზე (234 კაცი) — 41,2%.

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო დაწესებულებების ხვედრი წილი მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებაში თანდათან იზრდებოდა (გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1964 году, стат. ежегодн. Тб., 1965, გვ. 367).

[38] სამეცნიერო დაწესებულებებს მიეკუთვნებიან ის დაწესებულებები, რომლებიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგში სისტემატურად ატარებენ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას გარკვეული წესით დადგენილ გეგმის მიხედვით, რომელთაც აღნიშნული სამუშაოთა ჩატარებისათვის აქვთ სათანადო სახსრები და ყავთ შესაბამისი სამეცნიერო კადრები. კერძოდ: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები და განყოფილებები, უმაღლესი სასწავლებლები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, სამეცნიერო და საცდელი სადგურები, ზოგიერთი მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი, რომელიც სისტემატურად ატარებს მეცნიერულ სამუშაოს (იხ. Народное образование, наука и культура в СССР, стат. сб. ЦСУ СССР, М., გვ. 393).

1920 წ. სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 28 (აქედან 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათი ფილიალები და განყოფილებები) და 3 სამეცნიერო და საცდელი სადგური, 1940 წ.—74, 1950 წ.—118 (Грузинская ССР, стат. сб., 1959, გვ. 142—143), 1913 წ. საქართველოში იყო 10 სამეცნირო დაწესებულება, მათ შორის ერთი უმაღლესი სასწავლებელი (Народное образование, наука и кульгура в Грузинской ССР, стат. сб., Тб., 1974, გვ. 127).

ცხრილი 6

სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის დინამიკა[39]

რესპუბლიკები	1940 წ.		1950 წ.		1960 წ.		1965 წ.		1970 წ.	
	სამეცნიერო დაწესებულებები ერთეულებად სასწავლებლების ჩათვლით	ა. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები და გაბუოფლებები	სამეცნიერო დაწესებულებები ერთეულებად სასწავლებლების ჩათვლით	ა. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები და გაბუოფლებები	სამეცნიერო დაწესებულებები ერთეულებად სასწავლებლების ჩათვლით	ა. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები და გაბუოფლებები	სამეცნიერო დაწესებულებები ერთეულებად სასწავლებლების ჩათვლით	ა. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები და გაბუოფლებები	სამეცნიერო დაწესებულებები ერთეულებად სასწავლებლების ჩათვლით	ა. შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები და გაბუოფლებები
საქართველოს სსრ	89	33	134	60	188	90	189	94	195	104
აზერბაიჯანის სსრ	70	23	104	41	107	48	130	65	140	73
სომხეთის სსრ	43	113	74	27	87	42	109	48	97	61

[39] შედგენილია: Народное образование, наука и культура в СССР, стат. сб., 1971, გვ. 244 მიხედვით.

კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მათი ფილიალების და განყოფილებების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას (1941 წ.)[40]. თითქმის ამგვარი ტენდენციებით ხასიათდებოდა აზერბაიჯანი და სომხეთიც, ხოლო იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ რესპუბლიკებში 60-იან წლებში სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობრივი ზრდის ტემპები უფრო ჩქარი იყო ვიდრე საქართველოში.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შეფარდება (სულ სპეციალისტები — 100%)[41]

	1941 წ. 1/I	1955 წ. 1/VII	1960 წ. 1/XII	1965 წ. 15/XI	1970 წ. 16/XI
უმაღლესი განათლებით	50,5	55,6	55,8	55,5	57,3
საშუალო სპეციალური განათლებით	49,5	44,4	44,2	44,5	42,7

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შორის სჭარბობენ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები. მათი შეფარდება იყო: 1941 წ. — 1:0,98; 1955 წ. — 1:0,80: 1960 წ.—1:0,79; 1965 წ.—1:80; 1970 წ.—1:0, 75. ჩვენი აზრით, შეფარდებები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა შორის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სახალხო მეურნეობაში, უფრო სრულყოფილი უნდა იყოს, ე. ი. საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების ხვედრი წონა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს უმაღლესი განათლების სპეციალისტების ხვედრ წონას. სპეციალისტების ეს ფენა არის ის რეალური რეზერვი, რომელზედაც დაყრდნობით, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარეობს გონებ-

---

[40] აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, რომელიც დაარსდა 1725 წ., უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიისა (1919 წ.) და ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის (1928 წ.) შემდეგ დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (1941 წ.) და ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემია (1941 წ.), ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში შესაბამისი აკადემიები დაარსდა 1943-1961 წწ.-ში (იხ. Народное образование, наука и культура в СССР, გვ. 245).

საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართო განვითარება დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ. აკადემიის ორგანიზაციის პირველ წელს მის სისტემაში შედიოდა მხოლოდ 26 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ხოლო მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობა რესპუბლიკაში 1940 წ. ბოლოსათვის შეადგენდა 3,5 ათას კაცს (Советская Грузия по Ленинскому пути, стат. сб., გვ. 158—159).

[41] გაანგარიშებულია: 50 лет Советской Грузии, краткий стат. сб. 1971, გვ. 88.

რივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პროცესი, რომელსაც განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღნიშნული შეფარდების სრულყოფისათვის საჭიროა კვალიფიციური კადრების მომზადების ტემპების სრულყოფა მათი განათლების მიხედვით.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა რაოდენობის ზრდის დინამიკა საერთოდ და მათი განათლების მიხედვით (1941 წ. I/I — I)[42]

	1955 წ. I/VII	1960 წ. I/XII	1965 წ. 15/XI	1970 წ. 16/XI
სულ უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტები	1,91	2,85	3,70	4,80
მათ შორის:				
უმაღლესი განათლებით	2,10	3,15	4,07	5,44
საშუალო სპეციალური განათლებით	1,71	2,54	3,32	4,14

როგორც ვხედავთ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა შორის საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ზრდის ტემპებს. თუ მათი ზრდის ტემპებში განსხვავებამ შეადგინა 1941 წ. — 0,39, 1960 წ. უკვე განსხვავება შეადგენდა — 0,61, 1965 წ. — 0,75, 1970 წ. — 1,30.

რასაკვირველია, ამგვარი ჩამორჩენა საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობაში გამართლებული არ არის. თუ როგორი პროპორციები ჩამოყალიბდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შორის, რომელნიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სახალხო მეურნეობაში მათი სპეციალობების მიხედვით, ეს ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან (გვ. 160).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრი წონა უკავია პედაგოგებს და საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებს, შემდგომ მოდიან ინჟინრები.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც დასახელებული სპეციალობების მქონე, აგრეთვე აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარებისა და ეკონომისტების ხვედრი წონა იზრდებოდა, ხოლო ექიმებისა

---

[42] გაანგარიშებულია: 50 Лет Советской Грузии, გვ. 88.

მცირდებოდა. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა სტრუქტურა განპირობებულია ამ სპეციალისტთა რაოდენობრივი ზრდის ტემპებით.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა სტრუქტურა სპეციალობების მიხედვით (მთლიანად — 100%)[43]

	1941 წ. 1/I	1960 წ. 1/XII	1965 წ. 15/XI	1970 წ. 16/XI	1970 წ. შედარებით მათი რაოდენობა გაიზარდა (რამდენჯერ)	1941 წ.
მათ შორის იმ სპეციალობების მიხედვით, რომლებიც მიღებულია სასწავლო დაწესებულებებში						
აქედან:						
ინჟინრები	23,6	24,8	25,0	25,2	5,8	
აგრონომები, ზოოტექნიკოსები და ვეტერინარული ექიმები	8,3	9,3	9,5	9,9	6,5	
ეკონომისტები	—	5,9	6,0	6,3	1,8*	
ექიმები (გარდა კბილის ექიმებისა საშუალო სამედიცინო განათლებით)	13,8	12,4	11,2	8,8	3,5	
პედაგოგები, უნივერსიტეტდამთავრებული საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკები	37,2	39,7	41,1	42,4	6,2	

* ეკონომისტები შედარებულია 1960 წ.

1941—1970 წწ-ში აღნიშნულ სპეციალისტებს შორის რაოდენობრივი ზრდის ყველაზე მაღალი ტემპებით გამოირჩეოდნენ აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარული ექიმები, პედაგოგები, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკები. სპეციალისტთა საერთო ზრდასთან შედარებით (5, 4-ჯერ), რამდენადმე უფრო სწრაფად იზრდებოდნენ ინჟინრები (5, 5-ჯერ), გარკვეული რაოდენობით ეკონომისტებიც.

აღსანიშნავია, რომ 1960—70-იან წლებში სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა რაოდენობრივ ზრდას გარკვეული თავისებურება ახასიათებდა. მაგ., ამ ხნის განმავლობაში ინჟინერთა რაოდენობა გაიზარდა — 1,75-ჯერ, აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა

---

[43] გაანგარიშებულია: 50 лет Советской Грузии, გვ. 89.

და ვეტერინარული ექიმების — 1,84-ჯერ, ეკონომისტების — 1,81-ჯერ, ექიმების — 123-ჯერ, პედაგოგების, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკების — 1, 85-ჯერ. სულ კი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რაოდენობა გაიზარდა 1,72-ჯერ.

ამრიგად, ნელი ტემპით იზრდებოდა ექიმების რაოდენობა. საშუალო ზრდის დონეზე იყო ინჟინრების, ხოლო დანარჩენი სპეციალობის მუშაკთა ზრდის ტემპები აღემატებოდა სპეციალისტთა ზრდის საშუალო ტემპებს. ამ მხრივ გარკვეული ტენდენციები დამახასიათებელი იყო საშუალო სპეციალური განათლების მუშაკთათვისაც.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა სტრუქტურა სპეციალობების მიხედვით (მთლიანად 100%)[44]

	1941 წ. 1/I	1960 წ. 1/XII	1965 წ. 15/XI	1970 წ. 16/XI	1970 წ. 1941 წ. შედარებით მათი რაოდენობა გაიზარდა (რამდენჯერ)
მათ შორის იმ სპეციალობის მიხედვით, რომელიც მიღებულია სასწავლო დაწესებულებებში					
აქედან ტექნიკოსები	16,6	21,9	22,0	24,7	6,2
აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარული ფერშლები და ვეტერინარული ტექნიკოსები	6,0	10,0	8,9	8,0	5,5
მგეგმავები და სტატისტიკოსები	—	6,5	8,3	10,7	2,7*
სამედიცინო (კბილის ექიმების ჩათვლით)	27,7	31,9	30,6	28,6	4,3
პედაგოგები, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკები	38,2	22,0	21,0	16,4	1,8

* შედარებულია 1960 წ.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შორის სამი ათეული წლის განმავლობაში სისტემატურად იზრდებოდა ტექნიკოსების, მგეგმავებისა და სტატისტიკოსების ხვედრი წონა, მერყეობდა, მაგრამ მაინც ზრდის ტენდენცია ემჩნეოდა აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარული ფერშლებისა და ტექნიკოსების, მედიცინის, ხოლო შემცირება პედაგოგების, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკების

[44] გაანგარიშებულია: 50 лет Советской Грузии, გვ. 89.

ხვედრ წონას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1941—1970 წწ-ში საშუალოზე (4,1-ჯერ) უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა ისეთი სპეციალობების მუშაკთა რაოდენობა, როგორიცაა: ტექნიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტფერშლები და ვეტტექნიკოსები.

1960—1970 წწ-ში აღნიშნული სპეციალისტების რაოდენობრივი ზრდის ტემპები შემდეგნაირი იყო: ტექნიკოსების რაოდენობა გაიზარდა 1,84-ჯერ, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტფერშლებისა და ვეტტექნიკოსების—1,29-ჯერ, მგეგმავების და სტატისტიკოსების — 2,69-ჯერ, მედიცინის მუშაკების — 1,46-ჯერ, პედაგოგების, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკების — 1,22-ჯერ.

როგორც ვხედავთ, სპეციალისტთა საერთო ზრდასთან შედარებით (1,63) უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდნენ მგეგმავები, სტატისტიკოსები და ტექნიკოსები.

შეფარდებები სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა შორის (უმაღლესი განათლების სპეციალისტები — I)[45]

	1941 წ. 1/I	1960 წ. 1/XII	1965 წ. 1/XI	1970 წ. 16/XI
ინჟინრები და ტექნიკოსები	1 : 0,68	1 : 0,69	1 : 0,70	1 : 0,73
აგრონომები, ზოოტექნიკოსები და ვეტერინარები	1 : 0,71	1 : 0,85	1 : 0,75	1 : 0,59
ეკონომისტები, მგეგმავები და სტატისტიკოსები	—	1 : 0,86	1 : 1,10	1 : 1,27
მედიცინის მუშაკები	1 : 1,95	1 : 2,01	1 : 2,18	1 : 2,38
პედაგოგები, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკები	1 : 1,00	1 ; 0,43	1 : 0,41	1 : 0,28

როგორც ვხედავთ, სახალხო მეურნეობისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების საქმეში მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა დგას. საჭიროა არსებითად სრულყოფილვყოთ დასაქმებულ სპეციალისტთა სტრუქტურა, რისთვისაც უნდა გადაისინჯოს ცალკეულ სპეციალობებში სპეციალისტთა ძომზადების ტემპები. ყოველივე ეს უნდა შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებიც განისაზღვრებიან განვითარებული სოციალიზმის, როგორც კომუნიზმში გადაზრდის უშუალო სტადიის, თავისებურებებით.

---

[45] გაანგარიშებულია: 50 лет Советской Грузии, გვ. 89.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორ, რაციონალურ შეფარდებებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც აღნიშნული სპეციალისტების გამოყენების, ისე, საერთოდ, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. შეფარდება უმაღლეს და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის სახალხო მეურნეობაში, საერთოდ, ჩვენი აზრით უნდა იყოს არა ნაკლები 1:2.

თუ ცალკეული დარგების სპეციფიკურობის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც მატერიალური წარმოების, ისე არამატერიალური სფეროს დარგებში ეს შეფარდებები სხვადასხვა იქნება. ამჟამად კი მათ შორის არსებული შეფარდებები ვერ პასუხობენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე.

ეს ფრიად რთული პრობლემაა, მისი გადაწყვეტა მოითხოვს გარკვეულ ვადებს, რადგან წლების განმავლობაში უმაღლესი და საშუა-

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვების შეფარდებები 1928—1960 წწ. (უმაღლესი განათლების მქონე–1)[46]

	1928—1940 წწ.	1941—1950 წწ.	1951—1960 წწ.	1928—1960 წწ.
სულ გამოშვებულთა შორის	1 : 2,14	1 : 1,48	1 : 1,07	1 : 1,42
მათ შორის				
მრეწველობისა და მშენებლობისათვის ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის	1 : 1,42	1 : 1,12	1 : 1,47	—
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შორის	1 : 1,57	1 : 0,86	1 : 0,88	—
სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს (აგრონომები, აგროტექნიკოსები, მეტყევეები, სოფლის და ტყის მეურნეობის ინჟინრები, ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები, ვეტფერშლები) შორის	1 : 2,25	1 : 3,48	1 : 1,72	—
ეკონომისტების, იურისტების, ბუღალტრების, სტატისტიკოსებსა და მგეგმავებს შორის	1 : 1,30	1 : 3,33	1 : 2,88	—
განათლებისა და კულტსაგანმანათლებლო მუშაკებს შორის	1 : 2,73	1 : 0,75	1 : 0,37	—
მედიცინის მუშაკებს შორის	1 : 3,23	1 : 2,41	1 : 3,49	—

[46] გაანგარიშებულია: Краткий стат. справочник, Тб., 1964, გვ. 86—87.

ლო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვების შეფარდებებში საგრძნობლად მყარი ტენდენცია ჩამოყალიბდა.

სულ 1928—1960 წწ-ში მომზადდა უმაღლეს სასწავლებლებში 130,7 ათასი სპეციალისტი, მათ შორის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობისათვის — 48,1 ათასი კაცი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კი შესაბამისად — 185,7 ათასი და 78,3 ათასი კაცი. თუ მათი შეფარდებები პირველ შემთხვევაში იყო 1:1,42, მეორე შემთხვევაში (ე. ი. ჩამოთვლილი დარგების მიხედვით) შეადგენდა 1:1,62[47].

დაახლოებით ამგვარივე მაჩვენებლებით ხასიათდება ქ. თბილისის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები.

თბილისის ხვედრი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებს შორის (%-ით)[48]

	1965 წ. 15/XI	1970 წ. 16/XI
უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების	40,6	40,6
საშუალო სპეციალური ვანათლების მქონე სპეციალისტების	23,6	27,3
ყველა (ზემოაღნიშნულ) სპეციალისტს შორის	33,0	38,7

როგორც მონაცემებიდან ჩანს, თბილისის ხვედრი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მიხედვით მაღალია. ის აღემატება ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის (მოსახლეობის, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის, მრეწველობის ძთლიანი პროდუქციის და სხვ.) ხვედრ წონას. ეს კანონზომიერია, რადგან თბილისში, როგორც საქართველოს დედაქალაქში, კონცენტრირებულია როგორც მრეწველობის, ისე კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების კერები. ამგვარმა მდგომარეობამ ისიც განაპირობა, რომ თბილისში რესპუბლიკის შესაბამის საშუალო მონაცემებთან შედარებით ათწლეულში (1960—1970 წწ.) როგორც უმაღლესი, ისე საშუალო სპეციალური განათლების

---

[47] გაანგარიშებულია: საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატ. კრებული, თბ., 1961, გვ. 158—161.

[48] გაანგარიშებულია: 50 лет Советской Грузии, გვ. 230; Город Тбилиси в цифрах, крат. стат. сб., 1972, გვ. 56.

ᲛᲪᲝნე სპეციალისტთა რაოდენობრივი ზრდა უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

თბილისის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ზრდა 1965—1970 წწ. (1965 წ. — 1)[49]

	უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები	საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები
ინჟინრები	1,44	1,59
ტექნიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინალური ექიმები, ვეტფერშლები და ვეტტექნიკოსები	1,00	1,40
ეკონომისტები, მგეგმავები და სტატისტიკოსები	1,36	1,69
ექიმები, მედმუშაკები	1,14	1,24
პედაგოგები, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო მუშაკები	1,38	1,16
სხვა სპეციალობის სპეციალისტები	1,33	1,70
სულ (ზემოაღნიშნული) სპეციალისტები	1,34	1,44

თბილისის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტების ამგვარი ზრდა, მისი ზრდის ტემპების რამდენადმე ჩამორჩენა შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებთან როგორც მთლიანად, ისე ცალკეული სპეციალობების მიხედვით, ჩვენᲗ აზრით, საერთოდ კანონზომიერია, რადგან განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე ეს ადრე იყო. მწარმოებლური ძალების უფრო რაციონალური, სრულყოფილი ტერიტორიული გაადგილება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მხიშვნელოვანი მაჩვენებელია განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

რაც შეეხება შეფარდებებს თბილისის მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებს შორის, თბილისშიც, ისე როგორც რესპუბლიკაში მთლიანად, სრულყოფას მოითხოვს.

---

[49] გაანგარიშებულია: Город Тбилиси в цифрах, 1972 г. გვ. 57.

თბილისის მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა შეფარდებები სპეციალობების მიხედვით (უმაღლესი განათლებით — 1)[50]

	1965 წ.	1970 წ.
ინჟინრები და ტექნიკოსები	1 : 0,47	1 : 0,52
აგრონომები ზოოტექნიკოსები, ვეტერინარული ექიმები, ვეტფერშლები და ვეტტექნიკოსები	1 : 0,01	1 : 0,02
ეკონომისტები, მგეგმავები და სტატისტიკოსები	1 : 0,44	1 : 0,55
ექიმები, მედიცინის სხვა მუშაკები	1 : 1,19	1 : 1,29
პედაგოგები, საბიბლიოთეკო, კულტსაგანმანათლებლო მუშაკები	1 : 0,14	1 : 0,12
სხვა სპეციალობის სპეციალისტები	1 : 0,64	1 : 0,84

როგორც ვხედავთ, ამ მონაცემების მიხედვითაც თბილისს უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვს. აღნიშნული მონაცემები სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა შესახებ საინტერესოა არა მარტო სათანადო სპეციალისტების მომზადების სრულყოფისათვის, არამედ მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადების მხრივაც, რადგან არ შეიძლება დასაქმებულ სპეციალისტთა მდგომარეობამ მათი განათლების, სპეციალობების მიხედვით სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე გარკვეული გავლენა არ მოახდინოს ,მეცნიერ-მუშაკთა კადრების მომზადებაზე, შესაბამისი დარგების აღნიშნული კადრებით უზრუნველყოფაზე, საერთოდ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებაზე.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის გარეშე შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვისა და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულების დასაქმების გასაუმჯობესებლად, სახალხო მეურნეობის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. სპეციალისტთა მომზადებაში, განაწილებასა და გამოყენებაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია. ეს ხარვეზები და ნაკლოვანებები იმაში გამოიხატება, რომ კადრების მომზადების დაგეგმვისას სათანადო ყურადღება

---

[50] გაანგარიშებულია: Город Тбилиси в цифрах, 1972, г. гл. 57.

არ ექცეოდა სახალხო მეურნეობის დარგების, მეცნიერების, ტექნიკისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ მიმართულებათა განვითარების თავისებურებებს. ამასთანავე სპეციალისტთა ტერიტორიული გაადგილებაც მოითხოვს სრულყოფას მწარმოებლურ ძალთა დაჩქარებულ განვითარებასთან შესაბამისად ტერიტორიული რეგიონების ბიხედვით, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მათი განვითარების ეკონომიკური დონის გამოთანაბრებასთან.

გახსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალისტთა მომზადების, დაგეგმვის ნორმატიულ ბაზას, შესაბამისობას სპეციალისტთა ნუსხასა და თანამდებობათა ტიპობრივ ნომენკლატურათა შორის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა და კვალიფიციური მუშების მომზადების გეგმებსა და მათ შორის შეფარდებებს, დაკავებული (საშტატო განრიგით გათვალისწინებული) თანამდებობისა და მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობას.

ამიტომ სათანადო სახელმწიფოებრივ ორგანოებს (საგეგმო კომიტეტებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებები) დავალებული აქვთ სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის სრულყოფის უზრუნველყოფა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის პერსპექტივების შესაბამისად. ამისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების როგორც წლიური და ხუთწლიანი, ისე გრძელვადიანი სახელმწიფო გეგმების შემუშავება, სპეციალისტთა და კვალიფიციური მუშების მომზადების კომპლექსური დაგეგმვა ხდება შრომითი რესურსების ბალანსის გათვალისწინებით.

გახსაკუთრებული ყურადღება ექცევა უმნიშვნელოვანესი დარგების, ინტენსიურად განვითარებადი რაიონებისა და სამრეწველო ცენტრების, მეცნიერებისა და წარმოების ახალი მიმართულებების კადრებით უზრუნველყოფას. ამისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში სახალხო მეურნეობის დარგების და ეკონომიკური რაიონების, განსაკუთრებით ახლად დაარსებული საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსების განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ინერგება რესპუბლიკებს, ეკონომიკურ რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის სპეციალისტთა მომზადების კოოპერირება, ხდება სტუდენტთა სწავლების კონცენტრირება ისეთ უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთაც ჰყავთ შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები და სასწავლო-მატერიალური ბაზა. იქმნება სახალხო მე-

ურნეობის დარგების სპეციალისტებით შევსების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები, თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ინჟინერთა და ტექნიკოსთა უფრო რაციონალური შესაბამისობა, თანამედროვე ტიპური ნომენკლატურები, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირთა მიერ დაკავებას. მუშავდება თითოეული სპეციალობის საკვალიფიკაციო დახასიათებანი. ძლიერდება მეთოდური ხელმძღვანელობა სპეციალისტების მეცნიერულად დასაბუთებული საჭიროებისა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის დამუშავებისათვის წარმოებულ სამუშაოებზე.

არსებითი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სპეციალისტთა სარეს-პუბლიკათაშორისო, საუწყებათაშორისო და პერსონალურ განაწილებას, უფრო სრულყოფილი ხდება მათი განაწილების სისტემა და პრაქტიკა, ძლიერდება სასწავლო და სხვა დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ახალგაზრდა სპეციალისტების გახაწილების გეგმის დამუშავებასა და რეალიზაციაში, მათთვის კუთვნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში. სრულყოფილი ხდება აგრეთვე სპეციალისტების რაციონალური გამოყენება, ხელმძღვახელი, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეთა შემადგენლობა კვალიფიკაციისა და სპეციალური განათლების დონის მიხედვით. ძლიერდება კონტროლი საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სპეციალისტების შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა დამუშავებასა და დანერგვაზე. უმჯობესდება სპეციალისტების, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მომზადება, რისთვისაც წესრიგდება სასწავლო-საკონსულტაციო და სასწავლო დაწესებულების ფილიალების ქსელი, უფრო ქმედითი ხდება საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დახმარება.

უმჯობესდება სპეციალისტების სახალხო მეურნეობაში გამოყენების ეფექტიანობის აღრიცხვის მაჩვენებლების სისტემა. ამას მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს მათი მომზადების დაგეგმვის სრულყოფა, გამომდინარე სახალხო მეურნეობისა და თვით მეცნიერების განვითარების პერსპექტივებიდან.

სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის დამუშავებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების განსაზღვრის ორგანული ნაწილი გახდა.

აქედან გამომდინარე მეცნიერების, საერთოდ, კერძოდ კი ეკონომიკური მეცნიერების წინაშე ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული შესაბამისი პრობლემების დამუშავების მხრივ.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უაღრესად დიდ ამოცანებს აყენებს სპეციალისტების მომზადების წინაშე. ეს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი მოვლენაა, რადგან მწარმოებლურ ძალთა როგორც რაოდენობრივი, ისე განსაკუთრებით თვისებრივი ზრდა, ახალი უფრო პროგრესული დარგების აღმოცენება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განუხრელი ამაღლება სულ უფრო მეტად მოითხოვს ე. წ. მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც უშუალოდაა დაკავშირებული დასაქმებული სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, კვალიფიციური მუშების, როგორც საერთო, ისე სპეციალური განათლების დონის ამაღლებასთან.

საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა მომზადების დონის შემდგომი ამაღლება, მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ორგანულ კავშირშია მეცნიერების შემდგომ განვითარებასთან, სამეცნიერო ძალების შემდგომ სრულყოფასთან, მათი მეცნიერული დონის ამაღლებასთან, მეცნიერების პოტენციალის ზრდასთან.

თუ უმაღლესმა სკოლამ, როგორც ეს ნათქვამია სკკპ ცკ და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში (1979 წ. ივლისი): „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარების და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ"[51], გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფაში და იგი მათი მომზადების მასშტაბით ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი სკოლის საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია. ეს გამოიხატება იმით, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის ვერ პოულობს ასახვას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უმაღლესი მიღწევები, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მოწინავე გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილს არა აქვთ შეძენილი ღრმა ცოდნა ზოგად შეცნიერულ დისციპლინებში, სუსტადაა მომზადებული პროფესიულად, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სტუდენტთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზაციას, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ჩვევების ჩამოყალიბებას.

ნელა ხორციელდება ღონისძიებანი უმაღლესი სკოლების თანამედროვე სასწავლო-ლაბორატორიული და სამეცნიერო მოწყობილობით აღჭურვისათვის. ჯერ არ არის მიღწეული, რომ სავსებით უზრუნ-

---

[51] იხ. გაზ. „კომუნისტი", 13.07.79.

ველყოფილი იყოს ყველა საჭირო სპეციალობის კადრებით: სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები, მეტალურგია, სამთო მომპოვებელი და ნავთობმომპოვებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს უმაღლესი სკოლის საქმიანობა, ამაღლდეს მისი როლი სოციალურ-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, უფრო სრულად უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები მაღალკვალიფიციური კადრებით. კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს უმაღლესი სკოლის, როგორც განათლების, კომუნისტური აღზრდის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ცენტრების როლი. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც უმაღლესი სკოლის მთავარი ყურადღება გადატანილი იქნება სპეციალისტთა პროფესიული მომზადებისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებაზე, წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცებაზე.

სისტემატურად სრულყოფილი უნდა იქნეს სასწავლო გეგმები და პროგრამები ფართო პროფილის სპეციალისტთა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში ფუნდამენტურ მეცნიერებათა მნიშვნელობის ამაღლების, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევათა უფრო სრული ასახვის საფუძველზე.

დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს უმაღლესი სასწავლებლების კავშირი სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებთან, გაუმჯობესდეს სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვა. მათი განაწილება მოეწყოს უფრო ადრეულ ვადაში (სასწავლებლის დამთავრებამდე 1—3 წლით). ამასთანავე საჭიროა შემუშავდეს სპეციალისტთა განაწილების სუთწლიანი გეგმები და გეგმის მაჩვენებლები დაეგზავნოს საწარმოებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ამ საფუძველზე კი გააქტიურდეს უმაღლესი სკოლის და სახალხო მეურნეობის დარგების ერთობლივი საქმიანობა კადრების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მეცნიერული კვლევის განვითარებისათვის. ეს უშუალოდაა დაკავშირებული დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობის გაძლიერებასთან სასწავლებლების მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისა და სტაჟირების სრულყოფასთან. სამინისტროებისა და უწყებების კონკრეტული მონაწილეობა უმაღლესი განათლების განვითარებაში, სასწავლებელთა მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, მიჩნეულია დარგის მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად. ამავე მიზნით მეცნიერებათა აკადე-

ძიის სისტემასა და სახალხო მეურნეობაში მყოფ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა გამოყენების საკითხი ორგანულად უკავშირდება უმაღლესი სკოლის მუშაობას, ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის უზრუნველყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის, მოწინაკე საბჭოური და საზღვარგარეთული საწარმოო გამოცდილების ფართო პროპაგანდას სტუდენტობაში.

სახალხო მეურნეობის გარკვეულ დარგთა (მეტალურგიული, ნავთობმომპოვებელი, გაზის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვ.) სპეციალისტთა მიხედვით, დადგენილების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს დეფიციტურ სპეციალისტთა ხუსხა და იმ სტუდენტთა მორალურ-მატერიალური სტიმულირებისა და შეღავათების მაჩვენებლები, რომლებიც აღნიშნულ სპეციალობებს ეუფლებიან.

დადგენილებაში მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს რჩევა ეძლევა გაითვალისწინოს უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში დასწრებული ასპირანტურის უპირატესი განვითარება.

გახსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური კადრების მომზადების ხარისხისა და სტრუქტურის გაუმჯობესებას. სკკპ ცკ მოითხოვს გაძლიერდეს ამ სპეციალობის მიხედვით სტუდენტთა სწავლა-გახათლებისა და აღზრდის კავშირი თანამედროვე წარმოების, მეურნეობრიობის მთელი მექანიზმის გეგმიანი მართვის, ორგანიზაციის სრულყოფის პრაქტიკასთან, ამაღლდეს ეკონომიკური ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სტუდენტთა თეორიული მომზადების დონე.

როგორც დადგენილებაშია მითითებული, უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაუმჯობესდეს სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და მეთოდები, განვითარდეს შემოქმედებითი თანამეგობრობა მრეწველურ საწარმოებთან, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებებთან და სხვ. ამასთანავე უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული რექტორთა საბჭოები საწარმოო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის განმტკიცებაში. აღნიშნული დადგენილება სკკპ და საბჭოთა მთავრობის საპროგრამო დოკუმენტია, მიმართული უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების სრულყოფისაკენ, გამომდინარე განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და მისი კომუნისტურ საზოგადოებაში გადაზრდის მოთხოვნილებებიდან.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უფრო მეტად უნდა უჭერდეს ფუნდამენტური, კომპლექსური გამოკვლევების გაფართოებით, მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორიისა და

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრობლემების ფართო გამოკვლევების გზით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების დამუშავებისას აშკარად იგრძნობა ის ნაკლოვანება, რომელიც გამოწვეულია მეცნიერების ეკონომიკის, მეცნიერულ-კვლევითი შედეგების ეკონომიკური ეფექტიანობის სუსტი შესწავლით. უკვე დადგა დრო იმისათვის, რომ ფართოდ გაიშალოს ამ პრობლემების მეცნიერული ანალიზი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში კი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთკავშირის სრულყოფის მიზნით უნდა შევისწავლოთ ტრანსპორტის ეკონომიკის, მწარმოებლურ ძალთა, აგრეთვე საწარმოთა (როგორც მრეწველური და სოფლისმეურნეობრივი, ისე მატერიალური სფეროს სხვა დარგთა საწარმოების) ოპტიმალური გაადგილების, ბუნების რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკის, კერძოდ, მიწის ფონდის, ზღვის მეურნეობის, უნარჩენო წარმოების ტექნოლოგიური დამუშავებისა და ეკონომიკის სხვა საკითხები. აღნიშნულ და სხვა ეკონომიკურ პრობლემათა შესწავლა მოითხოვს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებას, ამისათვის რესპუბლიკაში საკმაოდ ძლიერი მეცნიერული ბაზაა შექმნილი.

უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ის უდიდესი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები, რომელიც მოხდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში ამ სამოცი წლის მანძილზე. ამასთანავე, უფრო ნათლად უნდა გავერკვეთ იმ ეკონომიკურ მოვლენებში, რომლებიც განაპირობებენ ჩვენს განვითარებას მომავალში. უნდა გავანალიზით განვითარებული სოციალიზმის, მისი კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიკური პრობლემები, როგორც საერთოდ, ისე მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის სექტემბრის (1976 წ.) პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცკ 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ პირდაპირაა შითითებული, რომ საქართველოს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტსა და სხვა უწყებებთან ერთად ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და კათედრებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ მიზეზები და პირობები, რომლებიც მრეწველობაში შრომის ხაყოფიერების ზრდის შედარებით ნელ ტემპს განაპირობებს, უნდა შეიმუშაონ ყოველი დარგისა და თითოეული საწარმოს კონკრეტუ-

ლი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური ღონისძიებანი, რათა გამოძებნონ და მაქსიმალურად გამოიყენონ შრომის ნაყოფიერების ზრდის შინაგანი რეზერვები.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ფართოდ დაისახა ამოცანები საზოგადოებრივ მეცნიერებათა, კერძოდ ეკონომიკური მეცნიერების, წინაშე. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ჩვენ ვუსაყვედურეთ საზოგადოებათმცოდნეებს, რომ ზშირად სპეციალისტთა შრომები მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს, რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ამოცანებს, ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს. და თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ დარგშიც უდავოდ მოხდა სასიკეთო ძვრები, უკეთ მუშაობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტების და სხვა ჰუმანიტარული სამეცნიერო ცენტრების მუშაკები, ბევრი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერი თავის მეცადინეობას მაინც ახმარს არააქტუალური თემების დამუშავებას. მათს ნაშრომებში არ იგრძნობა საქართველოს კომპარტიის თანამედროვე საქმიანობის ყველა მხარის, იმ სილრმისეული და რთული პროცესების ანალიზის, განზოგადოებისა და კომპლექსური შესწავლის ცდები, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს“[52].

ამრიგად, მეცნიერ ეკონომისტების წინაშე ფრიად პასუხსაგები და დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასმული როგორც სკკპ XXVI, ისე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მიერ. ეკონომიკური თეორიის, მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მეცნიერულად შესწავლა-განზოგადოებისათვის.

როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე იყო აღნიშნული, ცხოვრების მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს თეორიის, ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას, მის დაახლოებას სამეურნეო პრაქტიკის საჭიროებებთან. ბევრი გადასაჭრელი პრობლემა დაგროვდა სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში. „ამოცანები, რომლებსაც ცხოვრება სახავს,

---

[52] ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, 1981 წ. 22 იანვარი, გვ. 101—102.

მოითხოვს თეორიის, ეკონომიკის მეცნიერების განვითარებას, მის დაახლოებას სამეურნეო პრაქტიკის საჭიროებებთან"[53].

სკკპ XXVI ყრილობის მითითება საკმაოდ ნათელია, რადგან ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ისე როგორც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, თეორიულ საფუძველს პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს.

პოლიტიკურმა ეკონომიამ, განსაკუთრებით სოციალიზმის პოლიტეკონომიამ, 65 წლის მანძილზე განვითარების დიდი გზა განვლო.

30-იანი წლებისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა ძირითადად გაიმარჯვა, გაიშალა კვლევითი მუშაობა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მარქსისტულ-ლენინური პოლიტეკონომიის ორგანული ნაწილის შექმნისათვის. თანდათანობით წყდებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: სოციალიზმის ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათი, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის, გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის შინაარსი და როლი, ღირებულების კანონის მოქმედების სფერო და სხვა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში წინა პლანზეა წამოწეული პოლიტიკური ეკონომიის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომუნიზმის ეკონომიკის ფორმირებასთან. გაღრმავდა დასაბუთება იმისა, რომ სოციალიზმის დროს ძირითად წარმოებრივ ურთიერთობათა არსს წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება, აგრეთვე ეკონომიკური ინტეგრაციის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ობიექტური ხასიათის შესახებ და სხვ.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარება გვიჩვენებს, რომ პრაქტიკასთან კავშირი კი არ ამცირებს, არამედ ამაღლებს ფუნდამენტურ პოლიტეკონომიკურ პრობლემათა კვლევის როლს.

ამგვარად, უაღრესად დიდი როლი ენიჭება ახლა პოლიტიკური ეკონომიის განვითარებას, უდიდესი თეორიული და ფაქტობრივი მასალების შემდგომ განზოგადებას. ამიტომ ფუნდამენტური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება თვით პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერული ისტორიის პრობლემათა დამუშავებაა. ამასთანავე, თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერული კვლევის პერსპექტული მიმარ-

---

[53] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 78,

თულება საწარმოო ძალთა და წარმოებრივ ურთიერთობათა რეგიონალური პრობლემების კვლევაა.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, გამარჯვებულმა სოციალიზმმა გარკვეული საფეხურები უნდა გაიაროს და მხოლოდ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება იძლევა კომუნისტური მშენებლობის დაწყების შესაძლებლობას. ეს სტადია ნაკლებად რთული როდია სოციალიზმის საფუძვლების შექმნის, მისი ძირითადად გამარჯვების ეტაპთან შედარებით.

აქედან წარმოსდგება ის აქტუალური, ამასთანავე რთული თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საჭიროება, რომლის წინაშე დგას ეკონომიკური მეცნიერება. ამჟამად სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდება ეკონომისტ მეცნიერთა ძალების კონცენტრაცია, მათი ორგანული დაკავშირება მეცნიერების როგორც მომიჯნავე, აგრეთვე საბუნებისმეტყველო დარგებთან ერთობლივი კომპლექსური სახალხომეურნეობრივი პრობლემების გადაწყვეტად როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური მასშტაბით.

თანამედროვე ეტაპზე, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, ფრიად აძაღლდა მეცნიერების, კერძოდ კი ეკონომიკური მეცნიერების, ზემოქმედების ძალა. ამაშია მეცნიერების ამ დარგის, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთ-ერთი წამყვანი დარგის, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი წყაროსა და შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა, როგორც საზოგადოების უშუალო მწარმოებლური ძალისა. საჭიროა პრობლემათა კომპლექსური დამუშავება, სადაც აისახება საქართველოს მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების ყველა ძირითადი საკითხი. ნაკლებად შეიცნობა ეკონომიკური პრობლემები სათბობ-ენერგეტიკულ, მეტალურგიულ, სამთო მრეწველობაში, მთლიანად არაა მოცული კვებისა და მსუბუქი მრეწველობა მათი ქვედარგების მიხედვით, ჯერჯერობით თითქმის სრულებით წარმოდგენა არა გვაქვს კულტურისა და ჯანმრთელობის, საერთოდ მომსახურების სფეროს ინდუსტრიის ეკონომიკაზე (პოლიგრაფიული, სამედიცინო, კინოს მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა და სხვა).

რასაკვირველია, სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგის ეკონომიკაზე ვერ გვექნება ნათელი წარმოდგენა, თუ ღრმად არ შევისწავლეთ კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკური ეფექტიანობა. ეს აუცილებელია კიდევ სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა როგორც დარგთაშორისი, აგრეთვე შიდადარგობრივი სტრუქტურის გასაანალიზებლად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთკავშირის სრულყოფის მიზნით

აუცილებელია შევისწავლოთ სხვადასხვა სახის ტრანსპორტის (რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო, მილგამტარი, საბაგირო, პნევმო) ურთიერთკავშირის ეკონომიკის საკითხები, გაძლიერდეს მწარმოებლურ ძალთა, აგრეთვე საწარმოთა (როგორც მრეწველური და სოფლისმეურნეობრივი, ისე მატერიალური სფეროს სხვა დარგთა საწარმოების) ოპტიმალური ზომისა და გაადგილების ეკონომიკის საკითხები, შემუშავდეს შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკური რაიონების ეკონომიკური დონის გამოთანაბრებისა და მათი პროპორციული განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ფუძემდებლურ დოკუმენტებში, განსაკუთრებით სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების დადგენილებებში, დიდი ადგილი აქვს დათმობილი საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებებს და მათი შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს.

აღხიშნული მიმართულებებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ისტორიულ, ფილოსოფიურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა პრობლემებს, როგორიცაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილების განზოგადება, განვითარებული სოციალიზმის თეორიული პრობლემების, მისი კომუნიზმში გადაზრდის კანონზომიერებების კვლევა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის და ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის ფორმირება და სხვ.

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაზე მისი, ფუნდამენტური პრობლემების, ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაზე დიდ გავლენას ახდენენ სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები, 60—70—80-იან წლებში მიღებული პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები, ამბანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლები იდეოლოგიურ და სამეურნეო საკითხებზე.

სწორედ იმ ფუძემდებლური მეცნიერული მიმართულებებიდან, რომლებიც შემუშავებულია სკკპ ცკ და საბჭოთა მთავრობის მიერ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, გამომდინარეობს და მათზე ემყარება სკკპ ეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე. პარტიის ეკონომიკური სტრატეგია შეიცავს იმ საშუალებებისა და გზების ზუსტ გახსაზღვრას, რომელსაც მივყავართ დასახული მიზნებისაკენ — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისაკენ. ამ საშუალებებს მიეკუთვნება საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი

ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდა, მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში და სხვ.

აქედან გამომდინარე,- ჩვენს რესპუბლიკასაც აქვს თავისი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც ნათელი და მიზანდასახულია. ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში, თანამედროვე ეტაპზე, იგი გამოხატულებას პოულობს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში.

ყველა პირობაში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფუნდამენტური კვლევა ეკონომიკის დარგში წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვას. კვლევის შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს პერსპექტიული გეგმების შედგენას. არსებითად ამაზე მიგვითითეს ჩვენ საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობებმა. ,

ეკოხომიკურ სტრატეგიაში, საქართველოში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკური ზრდის წინმსწრებ ტემპებს. ეს პრინციპული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს გარკვეული წლების განმავლობაში, მანამ სანამ საქართველო არ დაიკავებს სათანადო, მის მიერ დამსახურებულ ადგილს საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში.

ამასთანავე, საჭიროა დაჩქარდეს მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგების — სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და სხვ. განვითარებაც. საქართველოს ეკონომიკა უაღრესად კომპლექსურია, ამიტომ თანამედროვე პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია, ჩვენ არ შეგვიძლია დაეუშვათ დისპროპორცია სახალხო მეურხეობის ცალკეულ რგოლებში, მისი რომელიმე დარგის განვითარებაში ზედმეტად წინგასწრება ან ჩამორჩენა. ამაშია დინამიკურობის, შეწონასწორობისა და პროპორციულობის არსი ეკონომიკის განვითარებისა თანამედროვე ეტაპზე. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებაში.

ამავე დროს, ეს ფრიად პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებს სწავლულ ეკონომისტებს, რაც პირველ რიგში გამოიხატება ეკონომიკური პროცესების კვლევის სიღრმისეული მხარეების გაძლიერებით. ეს მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ეკონომიკურ კვლევას, ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას რესპუბლიკაში.

თანამედროვე ეტაპზე ნათლად აღინიშნება საერთოდ ეკონომიკური მეცნიერების გააქტიურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის გამომხატველია როგორც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, ისე მო-

კავშირე რესპუბლიკების აკადემიების სისტემაში მყოფი ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტების მუშაობის მნიშვნელოვანი ,გამოცოცხლება, აგრეთვე მრავალი დარგობრივი ეკონომიკური ინსტიტუტის მუშაობა.

ეკონომიკური მეცნიერების გააქტიურება თანამედროვე ეტაპზე უშუალოდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი წარმოების აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებასთან. ეკონომიკური მეცნიერება უფრო ღრმად იჭრება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროებში, მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მის მიერ ფუნდამენტური პრობლემების გამოკვლევების მეცნიერული დონე და მნიშვნელობა.

მნიშვნელოვნად გაიშალა კვლევა კომპლექსური ეკონომიკური პრობლემებისა, რომლის დამუშავებაში კონცენტრირებულია ძირითადი და წამყვანი სამეცნიერო ძალები. ამრიგად, ეკონომიკური მეცნიერება აქტიურად წამოიწია საზოგადოებრივი მეცნიერების მოწინავე მიჯნაზე. ეს პროცესი ეკონომიკური მეცნიერებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სკკ პარტიის XXV ყრილობის შემდგომ პერიოდში, როგორც ეს აღნიშნული იყო სწავლულ ეკონომისტთა საკავშირო თათბირებზე[54]. მთავრობის საგეგმო, სამეურნეო და სხვა ორგანოებში მხოლოდ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილებაში შემავალმა ინსტიტუტებმა 1977 წ. შეიტანეს 300-ზე მეტი მოხსენებითი ბარათი ეკონომიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

ეკონომიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამჟამად ფუნდამენტურ პრობლემათა დამუშავებას. არ არის გამართლებული ზოგიერთი ავტორის შეხედულება, თითქოს ფუნდამენტური პრობლემის კვლევა იწვევს საკითხებიდან მოწყვეტას. პირიქით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არც ერთი პრაქტიკული საკითხის არსებითად გადაჭრა არ შეიძლება თუ მას წინ არ უძღვის თეორიული კვლევა. ამიტომ კვლევითი მუშაობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის უნდა იყოს თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევა, ე. ი. უნდა შეიქმნას მყარი თეორიული სამეცნიერო ბაზა, რომელიც მტკიცე საფუძველს უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

---

[54] პირველი თათბირი ჩატარდა სკკპ ცკ მეცნიერებისა და უმაღლეს სასწავლებლების განყოფილებაში 1978 წ. 12 აპრილს, მეორე — 30 ივნისს და 1 ივლისს (1982 წ.). სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სწავლულ ეკონომისტების მონაწილეობით (იხ. გაზ. «Правда», 02. 07. 82, გვ. 2).

ფართოდ უხდა გაიშალოს მუშაობა თეორიული ეკონომიკური აზრის განვითარებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა სსრკ აკადემიის მოთავე ინსტიტუტთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების ეკონომიკური ინსტიტუტების კოლექტივების ჩაბმას სოციალიზმის პოლიტეკონომიის, კერძოდ, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების ერთობლივ დამუშავებაში, აღნიშნულ მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების შესაბამისი სამეცნიერო კოლექტივები. ამჟამად შეუძლებელია ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის ჩატარება ამგვარი კოორდინაციის გარეშე. ამავე დროს ეს დიდად ამაღლებს სამეცნიერო კოლექტივების, სწავლულ-ეკონომისტების პასუხისმგებლობას კვლევითი სამუშაოს ხარისხისადმი, მისი შედეგების ეფექტიანობისათვის.

კვლევის თეორიული დონის ამაღლება მყარ პირობას შექმნის სახალხო მეურნეობრივი პრობლემების დამუშავებისათვის, შესაბამისი წიხადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენისათვის ხელმძღვანელ ორგანოებში. იგი გამომდინარეობს იმ პრინციპებიდან, რომ საზოგადოებრივი კვლავწარმოების ანალიზის დროს წინა. პლანზე იყოს წამოწეული მისი ინტენსიური ფაქტორები.

ყოველივე ეს მიმართულია წარმოების ზრდის მყარი ტენდენციების დადგენისათვის, რისთვისაც საჭიროა გაძლიერდეს ეკონომიკური მეცნიერების კავშირი სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან. თანამედროვე პირობებში მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაწყდეს დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემები.

ამჟამად, ეკონომიკური მეცნიერებისათვის, ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგებისათვის, დამახასიათებელი გახდა როგორც მეცნიერული კვლევის დიფერენციაცია, ისე მეცნიერების სხვა დარგებთან იხტეგრაცია. ამაში გარკვეული წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ექსპერიმენტებს. ყოველივე ეს უშუალოდაა დაკავშირებული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობასთან, კომუნისტური საზოგადოებისათვის ადეკვატური ეკონომიკური და მატერიალური ბაზის შექმნასთან. ამიტომ, ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად უაღრესად დიდი როლი ენიჭება ისეთი საკითხების მეცნიერულ ანალიზს, როგორიცაა სახალხო მეურნეობაში არსებული დანაკარგების ეკონომიკური მხიშვნელობა, ახალი ტექნიკის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობაც, საკუთრების სოციალისტური ფორმების განვითარება, სოციალისტური შეჯიბრების როლის გაძლიერება თანამედროვე ეტაპზე, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრება, მშრომელთა როლის გაძლიერება სახალხო მეურნეობის მართვაში, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლე-

ვა, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო და სამრეწველო გაერთიანებების ფორმების სრულყოფა, ძირითადი ფონდების დაგროვებისა და ანაზღაურების პრობლემები, ეკონომიკური მეცნიერების ახალი დარგის არასაწარმოო სფეროს ეკონომიკის პრობლემათა კვლევა და სხვ.

ყველა აღნიშნული და სხვა პრობლემა განვითარებული სოციალიზმისა და მისი კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიკურ პრობლემათა ერთიან კომპლექსურ პროგრამაში შედის. არის სხვა კომპლექსური ეკონომიკური პროგრამებიც, რომელნიც უფრო ვიწრო და კონკრეტული საკითხების სფეროს მოიცავენ.

ამჟამად, ეკონომიკური მეცნიერების წინაშე სახალხო მეურნეობისათვის ფრიად მხიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების გამონახვის, ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ერთობლივად შემუშავებული შეხედულებებისა და დასკვნების მიღების ამოცანაც აქტუალურად ყღერს, რადგან ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შეფასებასა და გამონახვაში, როგორიცაა განვითარების ტემპების ზრდის ფაქტორების დადგენა, ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის გამონახვა, ეფექტიანობის კრიტერიუმების ჩამოყალიბება და სხვა ფრიად განსხვავებული შეხედულებებია. განსხვავებული შეხედულებებია ისეთ საკითხებზეც როგორიცაა; საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების, მრეწველობაში „ა" და „ბ" ჯგუფების შეფარდებების ოპტიმალური მაჩვენებლები, შრომის ანაზღაურებისა და შრომის მწარმოებლურობის, განივთებულ და ცოცხალ შრომას შორის შეფარდებების შესახებ და სხვა.

ყოველივე ეს აუცილებელს ხდის აღნიშნული და სხვა სადავო საკითხების კოლექტიურად დამუშავებას, რაც უფრო მეტად მოგვცემს საშუალებას ჭეშმარიტების დასადგენად, ამიტომ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის კოორდინაციას ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. კვლევითი მუშაობის კოორდინაცია, კერძოდ თეორიული პრობლემატიკის დამუშავებისას, ითვალისწინებს მეცნიერული შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასაც. მაგ., გარკვეული პრობლემის დამუშავებაში მოკავშირე რესპუბლიკის სამეცნიერო კოლექტივები შეიძლება იყოს საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივის სრულუფლებიანი კოლეგებიც; ხოლო ცალკეული პრობლემის დამუშავებისას, თუკი მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერთა კოლექტივს წამყვანი ადგილი უკავია, მას შეუძლია მოთავეც იყოს.

ვიხაიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა საკავშირო სახალხო მეურნეობის ერთიანი ორგანული ნაწილია, როგორც ჩანს, ეს საფუძვლად უნდა დაედოს მეცნიერულ კვლევასაც ეკონომიკის ბაზით. რესპუბლიკის სამეცნიერო ძალები მათი შესაძლებლობის მიხედვით

უნდა ჩაებან თეორიული პრობლემების დამუშავებაში, რათა დაუკავშირონ იგი რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებას, ამასთანავე დაამუშაონ ორიგინალური ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობენ რესპუბლიკის ეკონომიკის სპეციფიკურობიდან. ჩვენი აზრით, ეს კოორდინაციის ყველაზე სასურველი და მიზანშეწონილი ფორმაა.

ეკონომიკური მეცნიერების მიმართ გაზრდილი მოთხოვნილებანი აყენებენ საკითხს სამეცნიერო კადრების მომზადების მხრიდაც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თეორიული კადრების მომზადებას მიზნობრივი ასპირანტურის ხაზით. ასპირანტურაში მიღებისას მეტი ყურადღება ეთმობა საბაზისო ეკონომიკურ განათლებას. ამ საკითხის თვითდინებამდე მიშვებას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ეკონომიკის დარგში თეორიული კადრების მომზადების თვალსაზრისით.

როგორც მეცნიერულ-ეკონომისტთა თეორიული კადრების მომზადების, ისე სოციალიზმის პოლიტეკონომიის, კერძოდ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური პრობლემის დამუშავებას უაღრესად დიდი როლი ენიჭება მთელს იდეოლოგიურ მუშაობაში, მშრომელთა სწორ, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის აღზრდაში, ბურჟუაზიული ანტისოციალისტური თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ უკანასკნელ პერიოდში გააქტიურდნენ სხვადასხვა სახის ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც ცდილობენ დაამცირონ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მთელი მსოფლიოს სოციალისტური სისტემის მიღწევები, სახელი გაუტეხონ რეალური სოციალიზმის წარმატებებს.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების კვლევა, სახალხო მეურნეობის ოპტიმალური განვითარების მოდელირება, რეგიონალური ეკონომიკის პრობლემათა ახალიზი, მწარმოებლურ ძალთა გადგილების გენერალური სქემების შედგენა 1990—2010 წლებისათვის საბჭოთა მეცნიერ-ეკონომისტების კვლევის ყურადღების ცენტრშია.

რასაკვირველია, ყოველივე ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერული კვლევის თეორიული დონის ამაღლებას, სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების ხარისხსა და ეფექტიანობას. ამჟამად შეუძლებელია კვლავწარმოების პრობლემათა კვლევა, თუ წინა პლანზე წამოწეული არ იქნება მისი ინტენსიური ფაქტორები, არ შეიძლება ვიმსჯელოთ მანქანათმშენებლობის განვითარებაზე, თუ მას, უპირველეს ყოვლისა, არ განვიხილავთ ისე, როგორც

პრინციპულად ახალი თვისების შრომის იარაღების მწარმოებელ დარგს. ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემის კვლევა მოითხოვს ეკონომიკური მეცნიერების უფრო მეტად დაახლოებას ტექნიკურ მეცნიერებასთან, ეს კომპლექსური კვლევის მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა[55].

მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემათა კვლევა მეცნიერების დიფერენციაციასთან ერთად მოითხოვს სხვადასხვა დარგის მეცნიერების ინტეგრაციასაც[56]. ამიტომაა, რომ ამჟამად ყურადღება გამახვილებულია ფუნდამენტურ პრობლემათა კვლევაზე, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია პრაქტიკული საკითხების სწორი გადაწყვეტა.

ჩვენ. მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ სწორად (ოპტიმალურად) განვსაზღვროთ რესპუბლიკის მწარმოებლურ ძალთა განვითარების

---

[55] მეცნიერებისა და წარმოების ორგანულ შეერთებაში, როგორც აღნიშნავს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ბ. პ ა ტ ო ნ ი, უაღრესად დიდი პერსპექტივა ენიჭება მსხვილ სამეცნიერო კომპლექსებს, სადაც ხდება ფუნდამენტურ გამოკვლევათა შეერთება საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და წარმოებასთან, ანუ ციკლი—ინსტიტუტი—საკონსტრუქტორო ბიურო—ექსპერიმენტული წარმოება—საცდელი ქარხანა. ასეთი შეერთება საშუალებას იძლევა შედარებით მოკლე ვადებში დამთავრდეს მთლიანი ციკლი დაწყებული კვლევითი ინსტიტუტებიდან დამთავრებული სახალხო მეურნეობაში ახლის ათვისებით.

გამომდინარე აქედან აკად. პატონი საკითხს აყენებს, როგორც ის თვლის, ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმის აკადემიური სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანების შექმნის შესახებ. ეს გაერთიანება მისი აზრით წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ და საწარმოო-სამეურნეო კომპლექსს, რომლის სათავეშია ისეთი ინსტიტუტი, რომელსაც ძალუძს განახორციელოს პროცესი კვლევა—საცდელი წარმოება—დანერგვა გამკოლი გეგმით (იხ. გაზ. «Правда», 3. 8. 76, № 216).

[56] მაგ., ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ეკონომისტებისა და გეოგრაფების ერთობლივი თანამშრომლობა სამრეწველო, სოფლის მეურნეობის და მატერიალური წარმოების და არამატერიალური დარგების საწარმოთა სწორი, რაციონალური გადგილებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის და სხვა სახის წარმოების, მომსახურების სფეროს საწარმოთა გადგილების, კურორტებისა და ტურიზმის ტრანსპორტის განვითარების, გარემოს დაცვისა და სხვა პრობლემების ერთობლივი დამუშავებისათვის.

ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განვითარებისათვის მიზანშეწონილია მეცნიერული კავშირები არქიტექტორებთან, რათა გამონახული იყოს საერთო აზრი ქალაქებისა და ახალდასახლებული ადგილების მშენებლობის, სამრეწველო კვანძების შექმნისა და ქალაქის არქიტექტურული სახის, აღნიშნულ დასახლებებსა და ქალაქებში ბუნების გარემოს დაცვის, მიწის ფონდის უფრო ეკონომიურად გამოყენების, მცირე და საშუალო ზომის ქალაქების დიდ ქალაქებთან უფრო ჰარმონიული და შეთანაწყობილი განვითარების და სხვა საკითხების ერთობლივი დამუშავებისათვის. ამგვარი და მრავალი სხვა საკითხი მოითხოვს შემოქმედებით, მეცნიერულ კავშირებს და ურთიერთ შეთანხმებას სხვა დარგის სპეციალისტებთანაც.

პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტილი იქნება როგორც 1990—2010 წწ-ში, ისე უფრო შორეული დროის განმავლობაში. ფუნდამენტურ, თეორიულ პრობლემათა კვლევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკური მეცნიერების წარმოებასთან კავშირი, კვლევის ახალი მეთოდების და ხერხების გამოყენება, რომლებიც საშუალებას ქმნიან ეკონომიკური პროცესების უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის სწორ, ოპტიმალურ შეფარდებას[57]. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს თეორიულ პრობლემათა, საწარმოო ძალთა და წარმოებრივ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა კვლევისა და მათი პრაქტიკული გამოყენების ორგანული შერწყმა[58]. სწორედ ესაა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აუცილებელი პირობა, ამან გაძოიყვანა ეკონომიკური მეცნიერება საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოწინავე პოზიციებზე, განსაკუთრებით სკკპ XXV ყრილობის შემდეგ. სწორედ ამან, ეკონომიკური მეცნიერების მკვეთრად მობრუნებამ წარმოებისაკენ განაპირობა ამჟამად როგორც ეკონომიკური მეცნიერების, ისე მეცნიერების სხვა დარგების გადაქცევა საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად.

როგორც ზოგიერთი სწავლული ეკონომისტი აღნიშნავს, ეს კონკრეტულად გამოიხატება სამეცნიერო-კვლევითი აქტუალური პრობლემების ფორმირებაში, ამ პრობლემებზე მთავარი სამეცნიერო ძალების კონცენტრაციაში, კვლევის საბოლოო დასკვნამდე მიყვანის მისწრაფებაში, ყოველივე ამან არამც თუ შეასუსტა, არამედ მოითხოვა ყურადღების გაძლიერება ფუნდამენტური პრობლემების კვლევისადმი და გააძლიერა კიდევაც სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების მთელი სისტემის მეთოდოლოგიური საფუძვლის როლი. ამიტომ პრაქტიკასთან კავშირის გაძლიერებამ მოითხოვა სწავლული ეკონომისტებისაგან მათი მეცნიერული დონის ამაღლება, პოლიტიკური ეკონომიის, დარგობრივი ეკონომიკის ღრმა ცოდნა, ეკონომიკური კვლევის ახალი მეთოდებისა და ხერხების დაუფლება[59].

---

[57] უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეფარდება ფუნდამენტურ და გამოყენებით თემატიკას შორის შეადგენს 2 : 1, ე. ი. ფუნდამენტურ გამოკვლევათა თემატიკა ორჯერ სჭარბობს გამოყენებით გამოკვლევათა თემატიკას (იხ. ჟურნ. «Наука и техника», № 4, 1977, გვ. 191).

[58] აქ მიზანშეწონილია მოვიყვანოთ კ. მარქსის შეხედულება მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთობაზე. იგი ამბობდა: თუ წარმოების პროცესი ხდება მეცნიერების გამოყენებით, მაშინ მეცნიერება, პირიქით, ხდება ფაქტორად, ეგრეთ წოდებულ წარმოების პროცესების ფუნქციად (იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 47, გვ. 553)

[59] «Экономическая газета», № 18, 1978, გვ. 10.

დღეისათვის ეკონომიკური კვლევის სიღრმისეული მხარეების გაძლიერებისათვის აღარაა საკმარისი ის.. სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც ვღებულობთ სტატისტიკური ორგანოებიდან, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის შესახებ, არა გვაქვს ძირითადი ეკონომიკური მონაცემები ღირებულებით ფორმაში რაიონის მიხედვით.

ეკონომიკური მეცნიერება სისტემატურად უნდა ღებულობდეს მოხაცემებს, ინფორმაციას იმ შედეგების შესახებ, რომლითაც ხასიათდება მეცნიერება და ტექნიკა რესპუბლიკაში. კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ, რა მიღწევები ინერგება და რა დაინერგება პერსპექტივაში. დემოგრაფიული პროცესების შესწავლაც წინ უნდა უსწრებდეს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ანალიზს. ამის გარეშე ძნელია, თითქმის შეუძლებელია ეკონომიკური პროგნოზირება. ფუნდამენტური კვლევა ეკონომიკის დარგში იმით განირჩევა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებიდან, რომ ის უნდა ეყრდნობოდეს ამ დარგების მიღწევებს და ამის საფუძველზე აძლევდეს მათი სახალხო მეურნეობაში დანერგვის ეკონომიკურ შეფასებას. ამგვარი მონაცემები ეკონომიკური კვლევისათვის აუცილებელია.

ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგების, ეკონომიკური მეცნიერებისათვისაც საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სწორი, რაციონალური შეფარდება ფუნდამენტურ და გამოყენებით პრობლემათა კვლევაში. ეკონომიკური მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება მის წინაშე მწვავედ აყენებს მოთხოვნებს ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების გამომუშავებისათვის გადაუდებელ სახალხომეურნეობრივ პრობლემებზე. მეცნიერ ეკონომისტებმა დროულად, შედარებით უფრო მოკლე ვადებში უნდა წამოაყენონ ხოლმე მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები საქართველოს სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგების, საერთოდ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ.

ფუნდამენტური კვლევის თავისებურებას ეკონომიკურ მეცნიერებაში, განსხვავებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან, წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური კვლევა ცალკეული პრობლემების მიხედვით და ამ პრობლემების გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს უფრო შემჭიდროებულ ვადებში სხვა და, უპირველეს ყოვლისა, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში მიღწეული შედეგების საფუძველზე, რადგან ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებისათვის აუ-

ცილებელია ვიცოდეთ რომელი მეცნიერული პრობლემაა მომწიფებული წარმოებაში დანერგვისათვის, აგრეთვე, რომელი პრობლემების გადაწყვეტაა შესაძლებელი უახლოეს ან უფრო შორეულ მომავალში. ამაში, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორ და დროულ ინფორმაციას იმ პრობლემათა დამუშავების შედეგების შესახებ, რომელზედაც მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა მეცნიერების საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში. ამის გარეშე შეუძლებელია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცნიერული პროგნოზირება.

უხდა ვიცოდეთ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში დამთავრებული კვლევითი შედეგების დანერგვის მომავალი, მათი რეალური შესაძლებლობანი. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ მეცნიერებაში ზოგიერთი ფუნდამენტური პრობლემის დამუშავებას ხანგრძლივი დრო ესაჭიროება და ამიტომ შესაძლებელია ახლო მომავალში მისგან ვერ მივიღოთ სათანადო ეფექტი. ეს ფუნდამენტური კვლევის თავისებურებაა. სამაგიეროდ მის გადაჭრას პერსპექტივაში შეიძლება დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ეს კი უფრო აძლიერებს პრობლემის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას.

ზემოთ დასახელებული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერ ეკონომისტების, აგრეთვე პრაქტიკოსებისა და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებთან კავშირში, მათი ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად, რაშიც ჯერჯერობით არსებით ნაკლოვანებებს განვიცდით.

ამასთანავე ეკონომიკურ პრობლემათა კვლევაში უნდა მივაღწიოთ მეცნიერ ეკონომისტთა და ეკონომისტ პრაქტიკოსთა უფრო მტკიცე კავშირს.

ეჭვს გარეშეა ის, რომ თუ რესპუბლიკის ეკონომისტები, მეცნიერები და პრაქტიკოსები ერთობლივ. შეთანხმებულად იმოქმედებენ ეკოხომიკური მეცნიერების დონის ამაღლებისათვის, რაც აუცილებელი პირობაა რესპუბლიკის სახალხომეურნეობრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის, შესაძლებელი იქნება ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემა გადაწყვეტილი იქნეს უფრო სწრაფად, სახალხო მეურნეობისათვის უფრო ეფექტიანად, რაც მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, არსებული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.

ეკონომისტთა ერთიანობა და ერთობლივი მიზანდასახულობა ფრიად ნაყოფიერ შედეგს მოიტანს, თუ რესპუბლიკაში ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური სამსახურის განვითარების საკითხებს,

ბის მდგომარეობას და პერსპექტივებს განვიხილავთ ისტორიული და დღევანდელობის თვალთახედვით.

ისტორიული მიდგომა გვიჩვენებს, რომ ამ საკითხებში გარკვეული წარმატებები გვაქვს. გაიზარდა ეკონომისტთა კადრები, მეცნიერული კვლევა მოიცავს საკითხების ფართო წრეს, შესამჩნევი რაოდენობით ისტამბება წიგნები (მონოგრაფიები), წარმოება უზრუნველყოფილია სათანადო სპეციალისტებით ეკონომიკის დარგში და სხვ. რაც შეეხება მეორე მხარეს, ანუ რამდენად პასუხობენ ეკონომიკური მეცხიერება და ეკონომიკური სამსახური რესპუბლიკაში სახალხო მეურხეობის წინაშე დასმულ თანამედროვე ამოცანებს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური სამსახურის დონე კიდევ უფრო მეტად უნდა ამაღლდეს სკკ პარტიის XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მოთხოვნების შესაბამისად. ეს აუცილებლობა გამოწვეულია იმ ნაკლოვანი მხარეებით, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი საქართველოს ეკონომიკაში. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, ეკონომისტთა მეცადინეობის საერთო ძალის გარდა, საჭიროა არსებითად გაუმჯობესდეს ეკონომიკური ინფორმაციაც ნებისმიერ ასპექტში, რომელიც საშუალებას მისცემს მეცნიერ ეკონომისტებს უფრო ღრმად გააანალიზონ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები როგორც დარგების, ისე ტერიტორიის მიხედვით. ეს ეხება როგორც მატერიალური წარმოების სფეროს დარგებს, ისე არაწარმოებრივ დარგებსაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეფექტურობისა და ხარისხის მაჩვენებლებს, ამასთანავე ეკონომიკური ინფორმაცია უნდა იყოს სწორი, ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული.

ეკონომიკური პროცესების ობიექტური მონაცემები მეცნიერული ანალიზის, მისი სწორი შედეგების საფუძველია. მეცნიერების პოტენციალი, ისე როგორც მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგიანობა, განპირობებულია მეცნიერების მაღალკვალიფიციური ძალებით, მაგრამ ეს პოტენციალი უშუალო კავშირშია ამ ძალების ეკონომიკურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან.

ამიტომაა, რომ საბჭოთა სახელმწიფო ასე დიდ ყურადღებას აქცევს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებას და მათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას.

რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ახალი, უფრო სრულყოფილი პროდუქციის სახეების, წარმოების ახალი ტექნოლოგიური მეთოდების, ანდა პროცესების ხვედრი წონა, რომლებიც ეყრდნობიან ქართველი მეცნიერების აღმოჩენებს.

მეცნიერების პოტენციალის უმნიშვნელოვანესი მხარე მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგიანობაა. ამისათვის კი უნდა შევისწავლოთ მისი, ე. ი. მეცნიერების ეკონომიკა. ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს, როგორც არსებული სამეცნიერო დაწესებულებების კატეგორიების, მათი მეცნიერული მიმართულებების (საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ჰუმანიტარული) შესახებ, ისე დანახარჯებზე, რომლებიც მოდის მეცნიერებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უკუგების, ანუ ეფექტიანობის ეკონომიკურ კრიტერიუმებს, კვლევითი მუშაობის სამეცნიერო, ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობას და კვლევითი შუშაობის ხარისხის მაჩვენებლებს ინსტიტუტების მიხედვით. საერთოდ, ეფექტიანობისა და ხარისხის კრიტერიუმების დადგენა როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობისათვის, ისე მეცნიერების, მისი კვლევითი შედეგების განსაზღვრისა და შეფასებისათვის თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს.

სამეცნიერო სფეროში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება შრომითი აქტიურობისათვის, შემოქმედებითი თაოსნობისათვის, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ლენინურმა პრინციპებმა თანამედროვე ეტაპზე ასახვა ჰპოვეს პარტიის მრავალ ისტორიულ დოკუმენტში. მათ შორის გახსაკუთრებული ადგილი უკავია სკკპ ცკ, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წ. დადგენილებას მეათე ხუთწლედში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების წარმატებით შესრულებისათვის, რომელიც მიმართული იყო საიუბილეო წლის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი.

ამ დოკუმენტებში — სკკპ XXVI ყრილობის მითითებებსა და სკკპ ცკ, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1981 წ. დადგენილებაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ XI ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის — კიდევ უფრო მეტად არის შეფასებული სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მნიშვნელობა მთელი სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. ამ რთული ამოცანის განხორციელებას პარტია უშუალოდ უკავშირებს მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას.

პარტიის, მთავრობის, პროფკავშირებისა და კომკავშირის უმაღლესი ორგანოები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს სამეცნიერო სფეროში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების, მეცნიერული გამოკვლევების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლებისა და მეცნიერული შედეგების წარმოებაში სწრაფი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა შეუძლებელია თვით ამ საზოგადოების მშენებლის — ადამიანის ყოველმხრივი მზადყოფნის გარეშე. ამიტომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სტადიაზე იდეოლოგიურ დარგში, ისე როგორც სოციალურ-ეკონომიკურ გახვითარებაში, ერთ-ერთ უპირველეს ადგილზეა ადამიანებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა. ამ საკითხში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის ხელმძღვანელობს ლენინური დებულებით, რომ შრომის ახალი დისციპლინის შექმნა, ადამიანის შრომისადმი მიზიდვის ახალი ფორმებისა და ხერხების გამონახვა დაუღალავ, სისტემატურ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს.

საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის სრულყოფა სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლის გზით, მიმართული ყველა არსებული საშუალების გამოყენების, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმოადგენს მუდმივ მოქმედ ფაქტორს. თუ წარსულში, ისტორიული პირობების გამო, საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის პროცესში და სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე წამოწეული იყო მოღვაწეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, თანამედროვე პირობებში, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით მუშაობის შეფასების აუცილებლობასთან ერთად, ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის შეფასებას თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით, ე. ი. რაოდენობრივ მაჩვენებლებს უფრო თანმიმდევრულად და სრულად ავსებენ პროდუქციის წარმოების, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სოციალისტური შეჯიბრების როლისა და მნიშვნელობის ამაღლება თანამედროვე ეტაპზე განპირობებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით, კერძოდ: წარმოების უდიდესი მასშტაბებით, რომლის საფუძველს შრავალდარგოვანი ინდუსტრია და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა წარმოადგენს; სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის სწრაფი გაშლით, კვალიფიციური კადრების, სპეციალისტთა, ხელმძღვანელ სამეურნეო, საბჭოთა და პარტიულ მუშაკთა შომზადების მაღალი დონით და სხვ.

გახვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის აღნიშნული თავისებურებანი მოითხოვენ მთელი სამეცნიერო და სამეურნეო მუშაობის, საერთოდ ეკონომიკისა და მეცნიერების ეფექტიანობის დონის ამაღლებას. აქედან გამომდინარე, სოციალისტური შეჯიბრების მთავარ შინაარსს წარმოადგენს მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება, სოციალიზმის უპირატესობათა უფრო სრული გამოყენება.

სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელოვანი თვისებრივი თავისებურებაა თანამედროვე პირობებში ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეცნიერთა აქტიური მონაწილეობა. ეს განპირობებულია იმით, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტისა და მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარების ამოცანების განხორციელების მთავარ წყაროს წარმოადგენენ საზოგადოებრივი კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. ამიტომ თანამედროვე პირობებში სოციალისტური შეჯიბრება მეცნიერების, ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტების უშუალო მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

მეცნიერების მიღწევები ხელს უწყობენ წარმოების შემდგომ სრულყოფას, მის ინტენსიფიკაციას, გამოავლენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალ გზებსა და შესაძლებლობებს, ემსახურებიან მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

აქედან გამომდინარე სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: სახალხომეურნეობრივი გეგმების დავალებების წარმატებით შესრულებას უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების მიზედვით; ეფექტური მეცნიერული ნამუშევრების შექმნას და მათ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში სწრაფად დანერგვას; წარმოების მუშაკებთან, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან თანამეგობრობის განვითარებას და განმტკიცებას; მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გავრცელებას და პრაქტიკაში დანერგვას.

ამჟამად სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მთავარი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება, სამეცნიერო კვლევათა შედეგიანობის ამაღლება, ისეთი ახალი ნაკეთობების შექმნა, რომლებიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით აჭარბებენ საუკეთესო სამამულო და მსოფლიო მიღწევებს, სახალხო მეურნეობაში ახალი სა-

მეცნიერო შედეგების ფართო დანერგვა და სხვ. ხოლო სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფა მიმდინარეობს პირადი და კოლექტიური შემოქმედებითი გეგმების, შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ამასთანავე მაღლდება ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეცნიერების როლი მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში.

ვინაიდან ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სამეცნიერო დაწესებულებების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება, მათი ყურადღება მიპყრობილია მეცნიერულ-ტექნიკური კადრებისა და არსებული მატერიალური რესურსების მაქსიმალურ კონცენტრაციაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის გადამწყვეტ მიმართულებებზე, ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე.

სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა პრაქტიკასთან მეცნიერების მჭიდრო კავშირის განმტკიცება.

მეცნიერული ნამუშევრები სულ უფრო მეტად უახლოვდებიან წარმოების იხტეხსიფიკაციის პრობლემებს, დიდმწარმოებლური მანქანების, უახლესი ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების დასრულებული სისტემების შექმნას.

სამეცნიერო დაწესებულებებში შეჯიბრების ორგანიზაციის თავისებურება განპირობებულია სამეცნიერო საქმიანობის სფეროში შრომის თავისებურებით, სადაც იგი მიმართულია ახლის, ადრე უცნობი გადაწყვეტილებების გამონახვისადმი და აქვს შემოქმედებითი, ძიებითი, გახუმეორებადი ხასიათი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს თავისებურებები განსაზღვრავენ შეჯიბრებაში მონაწილეთა მეცნიერული შრომის შედეგებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ერთიანი მეთოდოლოგიური შეფასების სიძნელეს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სოციალისტური შეჯიბრება სამეცხიერო დაწესებულებებში ემყარება იმავე ორგანიზაციულ პრიხციპებს, რომლებიც დამახასიათებელია საერთოდ სოციალისტური შეჯიბრებისათვის. ამასთანავე სრულიად გაუმართლებელია წარმოების სფეროდან შეჯიბრების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების მექანიკური გადატანა მეცნიერებაში.

ერთ-ერთ შთავარ სიძნელეს სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას წარმოადგენს შედეგების შესადარისობის პრიხციპის განხორციელება. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესადარისობის პრინციპი მოითხოვს, პირ-

ველ რიგში, შეჯიბრებაში მონაწილეთა საფუძვლიან შერჩევას, პირობებისა და მაჩვენებლების კონკრეტულობას. შედეგების შედარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული ვალდებულებები კონკრეტულად დასაბუთებულია და გამოხატული განსაზღვრული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით. შესადარისობა მოითხოვს, რომ შეჯიბრების მონაწილეთა მაჩვენებლები ობიექტურად ასახავდეს მათი შუშაობის შედეგებს.

შედეგების შეჯამების დროს როგორც შეჯიბრების ინდივიდუალურ მონაწილეებს, ისე სამეცნიერო კოლექტივებს შორის მიზანშეწონილია შეჯიბრების მაჩვენებელთა რაოდენობის განსაზღვრა, რადგან მაჩვენებელთა სიმრავლის დროს რთულდება შედეგების შეჯამება, ძნელდება შეჯიბრების მსვლელობისადმი ოპერატიული კონტროლის გაწევა.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შედარებისას გაითვალისწინება: მეცნიერულ ნაშრომთა მაღალი დონე, მათი დროულად და ვადაზე ადრე შესრულება, ახალი მეცნიერული შედეგების მიღწევა, კვლევითი თემების კომპლექსურობა, მეცნიერული გამოკვლევების შედეგების წარმოებაში დანერგვა და მათი ეფექტიანობა, შემოქმედებითი თანამეგობრობა, წარმოებისადმი დახმარების გაწევა, კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენება, ფულადი და მატერიალური რესურსების მოძჭირნეობა, კოლექტივის წევრების მიერ საზოგადოებრივი ქცევის წესების დაცვა კომუნისტური მორალის მოთხოვნათა შესაბამისად და სხვ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულებები, როგორც წესი, ითვალისწინებენ იმ მაჩვენებლებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამეცნიერო-კვლევითი შუშაობის დონის ამაღლებას. ეს მოითხოვს ღრმად გარკვევას თვით მაჩვენებელთა სისტემაში, მათი შესრულების მეთოდებში. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ისე შორეულ წარსულში ხაკლები ყურადღება ექცეოდა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას სამეცნიერო დაწესებულებებში, უფრო მეტიც, გავრცელებული იყო ისეთი შეხედულება თითქოს შეუძლებელი იყო სოციალისტური შეჯიბრების გახორციელება მეცნიერულ მოღვაწეობაში.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე არსებითი გარდატეხა მოხდა ამგვარ შეხედულებებში. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელიც თანამედროვე განვითარების ნიშანდობლივი მაჩვენებელი გახდა, არსებითად შეცვალა შეხედულება მეცნიერებისადმი. მეცნიერება ნამდვილად გადაიქცა საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად, გაძლიერდა მისი კავშირი ცხოვრებასთან.

საგრძნობლად გაიზარდა, და ეს ტენდენცია შემდგომშიც გაგრ-

ძელდება, სამეცნიერო კადრების რაოდენობა. ამასთანავე, მეცნიერება გახდა მრავალშედეგიანი. ახლა არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც არ იყოს კონკრეტულად წარმოდგენილი მეცხიერული კვლევის შედეგების დადებითი გავლენა. მეცნიერების როლის ამგვარმა ამაღლებამ, მისი გავლენის გაძლიერებამ სახალხო მეურნეობის განვითარებაზე და ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო შრომის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობამ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პრაქტიკულად დააყენა საკითხი სამეცნიერო დაწესებულებებში, მეცნიერ მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის აუცილებლობის შესახებ.

სამეცნიერო დაწესებულებებში, საერთოდ მეცნიერებაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში დიდი როლი ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას (1968 წ.) სამეცნიერო ორგანიზაციებში მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, სსრ კავშირის მეცხიერებათა აკადემია და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები სამ წელიწადში ერთხელ ახდენენ დაქვემდებარებული სამეცხიერო ორგანიზაციების მოღვაწეობის შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში განსაზღვრულია უმხიშვხელოვახესი მაჩვენებლები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამეცნიერო ორგანიზაციების მოღვაწეობის შეფასებისას. ამ მაჩვეხებლებში შედის: წამოყენებული და რეალიზებული მეცნიერული წინადადებების სიახლე, პერსპექტიულობა და რაოდენობა, სახალხო მეურნეობაში დამთავრებულ და რეალიზებულ სამუშაოთა გამოყენების შედეგად მიღებული საერთო ეკონომიკური ეფექტი, წარმოებაში ათვისებული ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ახალი სახის გაწყობილობის, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური, ეკონომიკური მაჩვენებლები საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთის მაჩვენებლებთან შედარებით, კვლევითი ახალი მეთოდების გამოყენება და პროგრესული ხელსაწყოებისა და აპარატურის შექმნა, საწარმოთა ტექხიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა ამაღლებაში პრაქტიკული წვლილის შეტანა, ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ეკონომია, სამეცნიერო კადრების შომზადება და სხვ.

აღნიშხულ მაჩვენებელთა საფუძველზე სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობის პერიოდულმა შეფასებამ ხელი შეუწყო სამეცნი-

ერო მოღვაწეობის სფეროში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის—შედეგების შესადარისობის განვითარება-განმტკიცებას.

შეჯიბრების შედეგების შესადარისობის პრინციპის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ადრე არსებული სოციალისტური შეჯიბრების კომპლექსური პრობლემების სამეცნიერო საბჭომ შეიმუშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც დახმარებას უწევენ სამეცნიერო დაწესებულებებში შექმნილი სოციალისტური შეჯიბრების კომისიებს შეჯიბრების შეჯამების დროს.

აღნიშნული მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც შედგენილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე დადგენილებებისა და სხვა პარტიული დოკუმენტების, პროფკავშირების, საუწყებო ოფიციალური მასალებისა და ცალკეული სამეცნიერო დაწესებულებების მონაცემების საფუძველზე, მიზნად ისახავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების პრინციპის — შეჯიბრების შედეგების შესადარისობის სრულყოფასა და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

მეთოდური რეკომენდაციების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი მოიცავს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში წარმოებული მეცნიერული კვლევის მთელ სისტემას და უზრუნველყოფს სოციალისტური შეჯიბრების შეჯამების ერთიან მეთოდიკას ყველა დონეზე, დაწყებული იხდივიდუალურ შეჯიბრებაში მონაწილე მეცნიერ-მუშაკებს შორის შეჯიბრების გაშლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობის დონის საერთო ამაღლებამდე.

განვლილი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა მიზანშეწონილობა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა როგორც ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მონაწილე მეცნიერ თანამშრომლებს შორის, ისე მეცნიერულ დანაყოფებსა (განყოფილებებს, სექტორებსა და პრობლემურ ჯგუფებს) და მეცნიერების გარკვეული პროფილის (საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა) ინსტიტუტების კოლექტივებს შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მიღწეული უნდა იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული მოღვაწეობის საერთო დონის ამაღლება, მისი მეცნიერული პოტენციალის ზრდა.

ეს კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს იმ წვლილში, რომელიც შეაქვს ჩვენს აკადემიას სამამულო და მსოფლიო მეცნიერებაში, სამამულო მეცნიერების პრიორიტეტის უზრუნველყოფაში, მეცნიერების ახალი მიმართულების აღმოცენებაში, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ფართო მონაწილეობით და სხვა სახის სამეცნიერო მოღვაწეობის გაშლა-განვითარებით.

სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი თავისებურებაა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძიღწევათა დაჩქარებული გამოყენების აუცილებლობა და ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობას შეუქმნის იმ სამეცნიერო კოლექტივებს, რომლებიც ნამდვილად იბრძვიან ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, ისეთი პროდუქციის წარმოებისათვის, რომელიც ნამდვილად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

აშიტომაა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეთა ორიენტაცია მიმართულია ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დამუშავებისა და დახერგვის ვადების შემცირებაზე, არსებული საწარმოების ეფექტურ რეკონსტრუქციაზე, პროექტირებისა და ახალი სიმძლავრეების გამოყენების დაჩქარებაზე.

სოციალისტური შეჯიბრების თავისებურება სამეცნიერო დაწესებულებებში ამჟამად გამოიხატება იმით, რომ ყველა პროფილის ინსტიტუტი, მიეკუთვნება ის საბუნებისმეტყველო, ტექნიკურს თუ საზოგადოებრივ მეცნიერების დარგს, ორგანულად უკავშირდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სახის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტას, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების განხორციელებას.

სოციალისტური შეჯიბრება მეცნიერ მუშაკებსა და სამეცნიერო კოლექტივებს შორის ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის, მეცნიერული და კულტურული დონის ამაღლებას.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცხიერო დაწესებულებებში ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც ცალკეული სამეცნიერო კოლექტივების, ისე მთელი აკადემიის საქმიანობის თვისებრივი მხარისა და თითოეული მეცნიერ მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებაზე. უფრო კონკრეტული გახდა ღონისძიებები, მიმართული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების დროულად და მაღალ მეცხიერულ დონეზე შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცხიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საწარმოების მიერ ერთობლივი

საძუშაოების ჩატარებას და მათ შემოქმედებით თანამეგობრობას, მოკავშირე რესპუბლიკებთან მეცნიერული კონტაქტების გაძლიერებას, კვლევის ახალი მეთოდების დანერგვას, უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო სპეციალური სკოლებისადმი დახმარების გაწევას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სხვ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კოლექტივები ყველა ღონისძიებას იყენებენ, რათა რაც შეიძლება მეტი გავლენა მოახდინონ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე.

კოძუხისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში, კერძოდ გახვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, სოციალისტური ძეჯიბრების ფორმები და მეთოდები მუდმივ სრულყოფაში იმყოფებიახ. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის წინაშე დასმული ეკონომიკური და ძეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტას. ამან კონკრეტული ასახვა ჰპოვა მშრომელთა მასების შემოქმედებითი დონის ზრდასა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადოებაგავრცელებაში.

ეს შნიშვნელოვნად ამაღლებს საზოგადოებრივი წარმოების, კერძოდ კაპიტალური დაბანდებების, ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტიახობას, პროდუქციის ხარისხს, ამტკიცებს სახელმწიფოებრივ დისციპლიხას, ზრდის ძშრომელთა მასებში საქმისადმი მაღალ პასუხისმგებლობას.

თახაშედროვე პირობებში საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის ყველა ფორმა მიმართულია იმისაკენ, რათა უფრო მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ის საშუალებები, რომელიც აქვს სახალხო მეურნეობას, სოციალისტურ საზოგადოებას. მით უმეტეს, ჯერ კიდევ მრავალი გამოუყენებული რეზერვი არსებობს. ასეთი რეზერვებია მეცნიერულ-ტექხიკურ პროგრესში, სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფაში არსებული ძირითადი ფონდების რაციონალურ გამოყენებაში, წარმოების მართვის სრულყოფაში და სხვ. ამგვარი რეზერვებია როგორც ცალკეულ საწარმოებში, ისე საზოგადოებრივ წარმოებაში ძთლიახად. ამიტომ ახლა წინა პლანზეა წამოწეული საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციისა და მართვის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაში უალრესად დიდი როლი ენიჭება მეცნიერებას, ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტების სამეცნიერო დანაყოფებში სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი ამოცანაა: მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, კავშირის „მეცნიერება-წარმოება" გაძლიერება, მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა შედეგების წარმოებაში უსწრაფესი დანერგვა, შრომის კულტურისა და

მწარმოებლურობის ამაღლება, შემოქმედებითი ვითარების შექმნა და სხვ. ამ მიზნით ინსტიტუტების სამეცნიერო დანაყოფებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად, აკადემიის მიერ მიღებული მეთოდური რეკომენდაციების საფუძველზე, დგება საინსტიტუტო დეპულებები, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამისი ინსტიტუტების მიერ წარმოებული კვლევითი სამუშაოების სპეციფიკურობას, დანაყოფების საქმიანობის ხასიათს და მათ მიერ წარმოებულ სამეცნიერო პროდუქციას.

როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით პრობლემებზე მომუშავე ინსტიტუტებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებელი მაჩვენებლები მოიცავენ მონაცემებთა იმ ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების ხარისხს, სიახლესა და დონეს. ყოველი მაჩვენებლისათვის დამუშავებულია შესაბამისი შკალა, რომელიც დიფერენცირებულად აფასებს კვლევის შედეგებს ექსპერიმენტების ჩატარების სხვადასხვა პირობებში. დამუშავებულია აგრეთვე კოეფიციენტთა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერულ-კვლევით ხანგრძლივობას და სხვა. საბალო სისტემის შკალა სისტემატურად (ყოველწლიურად) ზუსტდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1975—1980 წწ-ში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მეთოდური რეკომენდაციების გამოყენებამ ხელი შეუწყო მისი ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, უზრუნველყო შედეგების შეფასების ერთგვაროვნება, გააძლიერა შეჯიბრებაში მონაწილეთა ყურადღება სამეცნიერო გამოკვლევების ეფექტიანობის ამაღლებაზე, ეფექტურ მეცნიერულ დამუშავებათა წარმოებაში უფრო სწრაფ დანერგვაზე.

რესპუბლიკის აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ სამრეწველო საწარმოთა, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებთან ხანგრძლივი თანამშრომლობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფორმების სრულყოფის საფუძველზე განხორციელებულია მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამის კონკრეტული მაგალითია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, მეტალურგიის, მანქანათა მექანიკის და სხვა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ინსტიტუტები, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს წარმოებაში სამეცნიერო კვლევის შედეგების დანერგვის ხაზით, სამეცნიერო კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე.

გარკვეული წარმატებები აქვთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის ინსტიტუტებსაც. აკადემიის საზოგადოებრივ (ჰუმანიტარულ)

ძეცხიერებათა დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის პრაქტიკამ დაადასტურა შესედულება იმის შესახებ, რომ მათი მუშაობის სპეციფიკა გამოიხატება იმით, რომ კვლევის მნიშვნელოვანი შედეგები შეუძლებელია ყოველთვის ერთბაშად შეამოწმოს და დაამტკიცოს პრაქტიკამ. ამიტომ გამოსაკვლევ სამეცნიერო პრობლემათა ძაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წარმოდგენილ ხაშრომთა განხილვის სათანადო ორგანიზაცია მეცნიერთა ფართო წრის მონაწილეობით.

აღხიშნული დარგის ინსტიტუტების მიერ აღებული სოციალისტური ვალდებულებანი შეიცავენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მეცნიერული რეკომენდაციებისა და წიხადადების დამუშავება და წარდგენა, უმაღლესი სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეურნეო ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციებისადმი საძეცხიერო მეთოდური დახმარების გაწევა, სამეცნიერო კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სამეცნიერო მონოგრაფიების, შრომების, კრებულების, სტატიების, დამხმარე სახელმძღვანელოების ძომზადება, სამეცნიერო სესიების, კონფერენციების ჩატარება, სოციალურ-ეკოხომიკური და კულტურული განვითარების გეგმების შედგენაში რაიონებისა და ქალაქებისადმი დახმარების გაწევა და სხვ.

საწარმოებისადმი, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი სამეცნიერო-მეთოდური დახმარების გაწევის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა მეცნიერული ლექციებისა და ძოხსენებების ჩატარება ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე. სამეცნიერო ძალების კოხცენტრაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კავშირს პრაქტიკასთან. ეს კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ ძეცნიერებათა ინსტიტუტების სამეცნიერო კოლექტივების ძიერ აღებული სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებსა და მათი შესრულების შედეგებში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა სამეცნიერო კოლექტივში შემოქმედებითი ვითარების შექმნისათვის, ურთიერთნდობისათვის, ყურადღებისა და პრინციპულობის განმტკიცებისათვის, ყველა იმ მაჩვენებელისათვის, რომელიც ამაღლებს სამეცნიერო კოლექტივის მთლიანად, და ცალკე თითოეული მეცნიერ თანამშრომლის შრომის ეფექტიანობასა და მორალურ თვისებებს.

როგორც სკკპ XXV და XXVI ყრილობებზე აღინიშნა, სამეცნი-

ერო მუშაობაში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ამასთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების უშუალო ამოცანას სამეცნიერო კოლექტივებში წარმოადგენს ყოველივე სამეცნიერო კოლექტივში შემოქმედებითი ძიების სტიმულირება, კონსერვატიზმსა და ერთ წერტილზე გაყინვის მიმართ შეურიგებლობა.

იმისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრება მეცნიერული შრომის ეფექტურობის ამაღლებისათვის ზემოქმედების ქმედითი ფაქტორი გახდეს, აუცილებელია, ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნეს კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლების დამუშავებაზე. მეცნიერულ კვლევაზე შრომითი დანახარჯების ნორმატივების არარსებობას ზოგიერთ შემთხვევაში მივყევართ კვლევით სამუშაოთა დაუსაბუთებელ დაგეგმვამდე, იგი ხელს არ უწყობს თაოსნობისა და შემოქმედებითი გამომგონებლობის განვითარებას. აქედან სამეცხიერო-კვლევითი გეგმების შესრულებისათვის ზოგიერთი ვალდებულების აღებისას ადგილი აქვს ფორმალიზმის ელემენტებს, რაც აფერხებს მათ შესრულებასა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საუკეთესო თანამშრომელთა გაშოვლენას.

შეჯიბრების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა ინსტიტუტებში მეცნიერულ კვლევათა ხარისხის შეფასების ობიექტური მეთოდების განსაზღვრა და მეცნიერ-თანამშრომელთა შრომის სტიმულირება. ამისათვის საჭიროა შეშუშავდეს მეცნიერული შრომის ეფექტიანობის მაჩვენებლები და კრიტერიუმები.

შეფასების კრიტერიუმების მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება, რომელნიც შედარებით ადვილად განისაზღვრებიან, არ არის საკმარისი. საჭიროა მეცნიერული შრომის შედეგების შეფასების სისტემის გამომუშავება თვისებრივ მაჩვენებელთა კომპლექსის დახმარებით. ამასთანავე ამგვარი კრიტერიუმები დიფერენცირებული უნდა იქნას თანამშრომელთა ყველა კატეგორიის მიხედვით: საძეცხიერო-ხელმძღვანელი პერსონალისათვის, უფროსი და უმცროსი მეცნიერ თანამშრომლებისათვის. თვისებრივი მაჩვენებლების საფუძველზე ნამუშევართა შედეგების შეფასებისას ფრიად მნიშვნელოვანია ორგანიზაციული მხარეც, ე. ი. თვით შეფასების ფორმაც. ალბათ ამ მხრივ ყველაზე პერსპექტიულია საექსპერტო შეფასების მეთოდი.

მეცნიერული შრომის ეფექტიანობის შეფასებისას გასათვალისწინებელია სამეცნიერო დაწესებულებებში შრომის ორგანიზაციის თავისებურება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო კვლევა ხანდახან გრძელდება რამდენიმე წელს. ამიტომ ზუსტი დადგენა კვლე-

ვითი შედეგებისა და მათ განხორციელებაზე გაწეული დანახარჯებისა ყოველთვის არაა შესაძლებელი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ‘ძეჯამების მეთოდების შემდგომი სრულყოფის დროს საჭიროა მხედველობაში იყოს მიღებული ცალკეული მეცნიერული დანაყოფების (კვლევითი ჯგუფების) სპეციფიკურობა, მუშაობის ფორმები და მათ შიერ მოცემული მეცნიერული პროდუქციის ხასიათი.

სრულყოფილი უნდა იქნას მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური ეფექტის შეფასებისა და, განსაკუთრებით, მეცნიერული კვლევების მეთოდები. ამრიგად, მეცნიერებაში სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადაჭრა მოითხოვს სამეცნიერო დანაყოფების სხვადასხვა მაჩვენებელთა სინთეზური მეთოდების დამუშავებას საერთო შეფასების მისაღებად.

სოციალისტური ‘შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მატერიალური სტიმულირების ორგანიზაცია. სამეცნიერო მოღვაწეობის მატერიალური სტიმულირების მნიშვნელობა ძლიერდება იმითაც, რომ მეცნიერების სფეროში შრომის შედეგებისა და ანაზღაურების ოდენობას შორის უშუალო კავშირი წყდება ‘შედარებით უფრო რთულად ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მატერიალური სტიმულირების ორგანიზაციის აუცილებელი პირობაა გათანაბრების გადალახვა და წახალისება, დიფერენციაციის გაძლიერება კვლევით სამუშაოთა მოცულობისა და მათი ჩატარების ვადებთან დაკავშირებით. ამ დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეხიჭება მატერიალური და მორალური სტიმულირების შეთახაწყობის ლენინური პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას.

აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სოციალისტური შეჯიბრების როლის გაძლიერებას მეცნიერ მუშაკთა შრომის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაში.

როგორც აღნიშნული იყო, სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელოვანი მხარე თანამედროვე ეტაპზე მეცნიერებისა და წარმოების ორგანული კავშირის გაძლიერებაა. ამაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ‘მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება, რომელიც თავის ‘მხრივ განაპირობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამავე მიმართულებით კავშირი მყარდება აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებსა და დარგობრივ ინსტიტუტებს, საწარმოებს, გაერთიანებებსა და სამინისტროებს შორის. ‘ჩქარდება სამეცნიერო-კვლევითი შედეგების პრაქტიკული გამოყენება. დგება გამოკვლევათა კომპლექსური პროგრამები, იქმნება ‘ძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები,

კომპლექსური მიდგომა გამოკვლევებისადმი საშუალებას იძლევა შეხაებული იყოს სხვადასხვა პროფილის ინსტიტუტების ერთობლივი მუშაობა მსხვილი სამეცნიერო პრობლემის, ამოცანის გადასაწყვეტად. დიდმასშტაბიანი პრობლემები და ძიებითი თემატიკა სწორად უნდა შეეფარდოს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, მუდმივი უნდა იყოს სამეცნიერო ნამუშევართა გარკვეული მარაგი. ყოველივე ეს ასახვას პოებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, მეცნიერების წარმოებასთან დაახლოებაში.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეცნიერების პოტენციალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რაოდენობრივი, განსაკუთრებით კი თვისებრივი ზრდა. საქართველოში, ისე როგორც საბჭოთა კავშირში, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობას თავისი ისტორია აქვს.

სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის წლებში, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლედის განხორციელებისას, გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის, ქვეყნის მწარმოებლური ძალების განვითარების პროცესში უშუალო ჩაბმის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენდა.

საქართველოში აღნიშნული მოძრაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, ხოლო მისი მასობრივი განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მშენებლობასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სოციალიზმის განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ ფორმის განვითარებასა და სრულყოფას.

ჯერ კიდევ 1932 წ., ე. ი. პირველი ხუთწლედის დამლევისათვის, საქართველოში ირიცხებოდა 3000 გამომგონებელი. შემდგომ, როგორც მათი რაოდენობა, ისე, განსაკუთრებით, მათი მოღვაწეობის თვისებრივი მაჩვენებლები სისტემატურად იზრდებოდა. მუშათა, კოლმეურხეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობის განვითარება სოციალისტური ეკონომიკის დამახასიათებელი თავისებურება გახდა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობა განსაკუთრებით ნაყოფიერი შეიქმნა განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე, როდესაც მნიშვნელოვნად დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-

რესის ტემპები. ამაზე მეტყველებს ზოგიერთი ქვემოთ მოტანილი მონაცემი.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედების მაჩვენებელთა დინამიკა საქართველოს სახალხო მეურნეობაში[60]

	1957 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1979 წ.
გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რაოდენობა, რომელთაც შეიტანეს წინადადება	7070	11600	17000	22000	25900	29400
შეტანილ წინადადებათა რაოდენობა	13232	20000	21800	27400	31300	32300
წარმოებაში დანერგილ გამოგონებათა და რაციონალიზატორთა წინადადებათა რაოდენობა	7421	11800	18700	21400	24200	25000
ეკონომია გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისაგან (მილიონ მანეთობით)	4,9	11,0	18,6	27,2	47,6	71,8

როგორც ჩანს, საქართველოში განვითარებული სოციალიზმის დროს მნიშვნელოვნად იზრდება და ვრცელდება გამომგონებლების, რაციონალიზატორებისა და წარმოების ნოვატორების მასობრივი მოძრაობა, მაღლდება მათი დახელოვნებისა და კვალიფიკაციის დონე. მაგ., უკანასკნელი 20 წლის მანძილზე (1960—1979 წწ.) იმ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რაოდენობა, რომელთაც შესაბამისი წინადადება წარადგიხეს, გაიზარდა 2, 5-ჯერ, მათ მიერ წარდგენილ წინადადებათა რაოდენობა — 1, 6-ჯერ, წარმოებაში დანერგილ გამოგონებათა და წინადადებათა რაოდენობა — 2,1-ჯერ, ხოლო წლიური ეკონომია გამომგონებელთა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად გაიზარდა 12 მლნ. მანეთიდან 72 მლნ. მანეთამდე, ანუ 6-ჯერ.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ წლებში გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე გაიზარდა დანახარჯებიც, თუ 1960 წელს ეს დახარჯები შეადგენდნენ 0,8 მლნ. მანეთს, 1965 წ. მათ შეადგინეს

---

[60] საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტ. კრებული, თბ., 1961, გვ. 29; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე, სტ. წელიწდეული, თბ., 1972, გვ. 45; საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტ. კრებ., თბ., 1971, გვ. 61; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября. Юбилейный стат. ежегод., Тб. 1977, გვ. 32; Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, 1980, გვ. 38.

1,2 მლნ. მანეთი, 1970 წ.—2,0 მლნ. მან, 1975 წ. 3,3 მლნ., 1978 წ. —4,2 მლნ. მანეთი[61]. ეს გვიჩვენებს იმას, რომ საგრძნობლად გაძლიერდა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა, ე. ი. თანამედროვე ეტაპზე გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის თვისებრივი მხარის ასამაღლებლად საჭირო გახდა შესაბამისი, ძაღალგანვითარებული ტექნიკური და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბაზის აუცილებლობა. იმის შესახებ თუ როგორი თვისებრივი ძვრები მოხდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებით შრომაში, რამდენად გაიზარდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადების ქმედითობა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა, გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედების თვისებრივ მაჩვენებელთა დინამიკა

	1957 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
წარმოებაში დანერგილი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების ხვედრი წილი შეტანილ წინადადებათა საერთო რაოდენობაში (%-ით)	56.0	59,0	85,8	78,1	77,3	78,8
წარმოებაში დანერგილ ერთ წინადადებაზე მიღებული (საშუალოდ) ეკონომია (მანეთი, ციფრი დამრგვალებულია)	660	932	995	1290	1966	2120
ერთ გამომგონებელზე და რაციონალიზატორზე მოდიოდა (საშუალოდ) წინადადება						
ა. შეტანილი	1,9	1,7	1,3	1,2	1,2	1,1
ბ. დანერგილი	1.0	1,0	1,1	0,9	0,9	0,9

განვითარებული სოციალიზმის დროს დამახასიათებელი გახდა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლება, რაც, როგორც მონაცემებიდან ჩანს, გამოიხატება იმაში, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა დანერგილი წინადადებების ხვედრი წონა წარდგენილი წინადადებების საერთო რაოდენობაში, ხოლო შემდგომ, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, საგრძნობლად ამაღლდა ცალკეული წინადადების ეკონომიკური ეფექტიანობა. მაგ., 1976 წ.

---

[61] Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 32; Народное хозяйство Грузинской ССР в 1978 году, გვ. 27.

1960 წ. შედარებით საშუალოდ ერთი წინადადების ეკონომიკური ეფექტი, გამოხატული მანეთებში, გაიზარდა 2,2-ჯერ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ დიდია იმ წინადადების ხვედრი წონა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა დანერგილი წარმოებაში (1960 წ. — 41%, 1976 წ. — 21,2%). ამიტომაა, რომ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ერთეულზე საშუალოდ 70-იან წლებში ერთი დანერგილი წინადადებაც კი არ მოდის.

საქართველოს ხვედრი წონის დინამიკა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში (%-ით)[62]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
გამომგონებელ-რაციონალიზატორთა რაოდენობის მხრივ	0,6	0,6	0,5	0,6
შეტანილ წინადადებათა რაოდენობის მიხედვით	0,53	0,59	0,61	0,60
წარმოებაში დანერგილ გამომგონებელთა და რაციონალიზატორულ წინადადებათა მიხედვით	0,66	0,62	0,60	0,61
გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით	0,81	0,87	1,0	0,93
დანერგილ წინადადებათა მიერ მიღებული ეკონომიის მიხედვით	0,97	0,90	0,99	1,0

აღნიშნული გაანგარიშებები ,გვიჩვენებენ, რომ საქართველოში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედების დონე რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით ჯერ კიდევ თანამედროვე მოთხოვნილების სიმაღლეზე არ დგას და საჭიროებს გაფართოებასა და გაღრმავებას.

რაც შეეხება მის თვისებრივ მაჩვენებლებს, აქ რამდენადმე უფრო ეფექტური მაჩვენებელია ვიდრე შესაბამისი საშუალო-საკავშირო. სსრ კავშირში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიერ შემოტანილ წინადადებათა საერთო რაოდენობაში დანერგილი წინადადებების ხვედრი წონა შეადგენდა: 1965 წ.—69,7%, 1970 წ.—74,3%, 1975 წ. — 77,7%, 1976 წ. — 77,6%, ხოლო წარმოებაში დანერგილ ერთ წინადადებაზე საშუალოდ მიღებული ეკონომიკური ეფექტი მანეთებში — შესაბამისად: 672, 879, 1208 და 1218 მანეთს.

საყურადღებოა ის, რომ 1975 წ. 1965 წ. შედარებით გაიზარდა შეშოსული, მხოლოდ წარმოებაში არდანერგილ გამოგონებათა და რა-

---

[62] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 60 лет. გვ. 147 და ზევით მოტანილი საქართველოს ცსს სტატისტიკური კრებულების მონაცემების მიხედვით.

ციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა. ასე, თუ 1965 წ. მათი რაოდენობა შეადგენდა 3,1 ათას ერთეულს, 1975 წ. იყო 7,8 ათასი ერთეული. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ როგორც შეიძლებოდა, ისე დანერგილ გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ზრდასთან ერთად არ იგრძნობოდა სათანადო ოპერატიულობა მათი წარმოებაში დანერგვისათვის, ჭიანურდებოდა დანერგვის ვადები, ანდა ნაწილობრივ წარმოდგენილი წინადადებები მათი ხარისხის მიხედვით ვერ იდგნენ სათანადო დონეზე. საშუალოდ ერთ დანერგილ გამოგონებაზე ან რაციონალიზატორულ წინადადებაზე ეკონომიკური ეფექტი 1965 წ. შეადგენდა — 994,6 მანეთს, ხოლო 1975 წ. — 1408,7 მანეთს, ე. ი. საშუალოდ ყოველი გამომგონებლის ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის ეფექტიანობა გაიზარდა 1,4 ჯერ[63].

ამრიგად, გახვითარებული სოციალიზმის პერიოდში დამახასიათებელია შემოქმედებითი შრომის მასობრივი ფორმის სისტემატური ზრდა. ეს სოციალიზმის კანონზომიერი პროცესია, იზრდება არა მარტო შრომის ტექნიკური შეიარაღება, წარმოების აღჭურვილობა შრომის თანამედროვე იარაღით, არამედ სისტემატურად მაღლდება თვით მუშაკთა კულტურული და ტექნიკური დონე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველი ახალი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების დანერგვა, განსაკუთრებით თუ მას მასობრივი ხასიათი აქვს, ერთდროულად ეკონომიკურ ეფექტს კი არ იძლევა, არამედ ხანგრძლივი ზემოქმედების ძალა აქვს, გავლენას ახდენს წარმოების ტექნიკური დონისა და საბოლოოდ მისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე.

როგორც ვხედავთ, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივ მოძრაობაში ჩაბმულია მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც თავისი ხოვატორული შრომით ყოველმხრივ ხელს უწყობენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას, მისი შწარმოებლური ძალების გაძლიერებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. ეს სოციალიზმის ფრიად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა, განსაკუთრებით მის მომწიფებულ სტადიაზე, როდესაც შექმნილია ეკონომიკური და სოციალური პირობები იმისათვის, რომ საბოლოოდ გაიმარჯვოს შრომისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ, რომ შრომა ადამიანის პირველ საარსებო მოთხოვნილებად, მის ზნეობრივ ნორმად გახდეს.

---

[63] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 59.

ამის გარანტიას საქართველოს საკონსტიტუციო დებულება წარმოადგენს, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ფართოდ გაშლა. სახელმწიფო ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, მხარს უჭერს ნებაყოფლობითს საზოგადოებებსა და შემოქმედებით კავშირებს, ორგანიზაციას უწევს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში. საბჭოთა სახელმწიფო იცავს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს[64].

ამრიგად, მშრომელთა მასობრივი ტექნიკური შემოქმედებითი გახვითარება საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფის, მისი ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია. ამიტომ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობისაგან სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო მოითხოვს მთელი ძალები მოხმარდეს რეზერვების სრულად გაშოყენებას, ტექნიკის უკუგების გადიდებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდის დაჩქარებას, ხელით სამუშაოთა შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, ლითონისა და სხვა მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოშჭირხეობას, შრომის უკეთესი პირობების შექმნას, გარემოს დაცვას.

როგორც სკკპ ცკ მიუთითებს, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასვლის პროცესში სულ უფრო მეტი შნიშვნელობა ეძლევა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ძალების თავმოყრას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქციულობის ასამაღლებლად, შრომატევად საშუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად, წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს პროდუქციისა და ნედლეულის დანაკარგების შესამცირებლად. ამიტომ საჭიროა გამომგონებლები და რაციონალიზატორები უფრო მეტად დაეუფლონ მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ ცოდნას, მოწინავე გამოცდილებას. საამისოდ ყოველმხრივი მხარდაჭერა აქვთ კომპლექსურ ბრიგადებს, საზოგადოებრივ საკონსტრუქტორო და საპროექტო ბიუროებს, ნოვატორთა საბჭოებს, რომლებიც აერთიანებენ

---

64 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თავი მე-6, მუხლი 45-ე.

მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად[65].

ამგვარი და სხვა კოლექტიური შემოქმედებითი ფორმების განვითარება, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის დონის შემდგომი ამაღლება სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის დაჩქარების შნიშვნელოვანი ფაქტორია.

---

[65] სკკპ ცკ წერილიდან: „საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების V ყრილობას“, გაზ. „კომუნისტი“ 5.04.78.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ზოგიერთი საკითხი

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია სოფლისმეურნეობრივი წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, მისი ინტენსიფიკაციის ამაღლების ობიექტური ეკონომიკური კანონზომიერებაა.

აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების, ისე როგორც სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების—საკოლმეურნეობათაშორისოს, საბჭოთამეურნეობათაშორისოს, საკოლმეურნეო-საბჭოთამეურნეობათაშორისოს, საბჭოთა მეურნეობა-საკოლმეურნეობათაშორისოს—შექმნა მოწმობს მრეწველობის განვითარების შედარებით მაღალ დონეს, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდას. განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე თანმიმდევრული გადაყვანის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა.

სოციალისტური საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარება, საერთოდ, და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის მსხვილ გაერთიანებათა შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოების უმაღლეს საფეხურს გამოხატავს.

სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციის პროცესს თავისი ისტორია აქვს. პირველი სანიმუშო მეურნეობები—საბჭოთა მეურნეობები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე შეიქმნენ. სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წ. ივლისის დეკრეტებით ორგანიზებული იყო ჭარხლისა და საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები. მსხვილი სპეციალიზებული მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების შექმნა შემდგომაც გრძელდებოდა.

ამგვარი საბჭოთა მეურნეობები 20-იან წლებში საქართველოშიც შეიქმნა. ხორციელდებოდა ღონისძიებები ცალკეული ზონების სპეციალიზაციისათვის, მათი ბუნებრივი თავისებურების გათვალის-

წიხებით. უპირატესად ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი, ციტრუსები, ჩაი, ყურძენი და სხვ.) წარმოებისათვის. მაგრამ იმ დროს უმეტეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო შეუძლებელი იყო ღრმა სპეციალიზაციის გატარება.

ამჟამად განვითარებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში მწარმოებლურ ძალთა შემდგომი აღმავლობა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს სოფლისმეურნეობრივი წარმოების კონცენტრაციის და სპეციალიზაციის განვითარების შესაფერ ფორმებს — აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციას და სხვ.

აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციასაც სხვადასხვა საფეხური აქვს განვლილი, ადრე განცალკევებული ტექნოლოგიურად დაკავშირებული, შედარებით მცირე საწარმოებიდან სახალხო-სამეურნეო აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნამდე. ადრინდელ საფეხურზე ეს იძლეოდა: წარმოების მართვის სტრუქტურის სრულყოფის, მაღალი შრომის მწარმოებლურობის მიღწევის, პროდუქციის ერთეულზე ცოცხალი და განვითარებული შრომის მნიძვნელოვანი შემცირების საშუალებას.

გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკურობიდან, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. მაგ., ლატვიის რესპუბლიკაში ეს პროცესი ხასიათდება სამი ეტაპის გავლით.

პირველი—საწარმოო პროცესების მოდელირება უშუალოდ სოფლის მეურნეობაში. ეს ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, საკოლმეურნეო—საბჭოთამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა შექმნას ტექნოლოგიური პროცესების ერთგვაროვანი — ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, საკვების, მებაღეობა-მებოსტნეობისა და სხვ. პროდუქტების მიხედვით, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ჰორიზონტალური ინტეგრაციის“ გზით;

მეორე — სოფლის მეურნეობაში დარგთაშორისი საწარმოო კავშირების მოდელირება, ამგვარივე გაერთიანებების შექმნა მხოლოდ შერეული ხასიათის, ურთიერთდაკავშირებული წარმოების სფეროებისა და მომსახურების საწარმოთა საქმიანობის მიხედვით, ანუ „ვერტიკალური ინტეგრაცია“.

მესამე—აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის გაადგილება ეკონომიკური რაიონების, ანდა რესპუბლიკის ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით.

როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შექმნის ამგვარი ეტაპები დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, შიდა რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციისათვის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს პერსპექტივაში რესპუბლიკათაშორისო გაერთიანებების შექმნის შესაძლებლობასაც (მაგ., ამიერკავკასიის რესპუბლიკებში — მევენახეობის, მეცხოველეობის, შებაღეობა-მებოსტნეობის და სხვა დარგების პროდუქციის წარმოებისათვის).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში, მსხვილ სპეციალიზებულ საწარმოთა და გაერთიანებათა ორგანიზაცია ხელსაყრელ პირობებს ქმნის აგროსამრეწველო ინტეგრაციის შემდგომი განვითარებისათვის, მრეწველობასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანული შერწყმისა და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნისათვის; ესენი კი, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, სოფლის მეურნეობრივი და მრეწველური წარმოების განსაზოგადოების უმაღლეს ფორმას წარმოადგენენ.

თანამედროვე პირობებში აგრარულ-სამრეწველო კომპლექსებში გამოყოფენ სამ ძირითად სფეროს:

პირველს მიეკუთვნება მრეწველობის ყველა დარგი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობას აუცილებელი წარმოების საშუალებებით.

მეორე მოიცავს მთელ სოფლის მეურნეობას, შემცენარეობასა და მეცხოველეობას, აგრეთვე საკვების წარმოებას.

მესამე შოიცავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობის დარგებს, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციას, რომლებიც ახორციელებენ პროდუქციის დამზადებას, შენახვას, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას, აგრეთვე ორგანიზაციებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას მომსახურეობას უწევენ ტექნიკური საშუალებების, შეკეთების, მათი მოვლის, მშენებლობის და სხვ. სახით.

ამგვარად, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსებმა უნდა მოიცვან სამი სფერო: მრეწველობის დარგები, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელ საწარმოო მომსახურებას ეწევიან[1], საკუთრივ

---

[1] მრეწველობის დარგები, რომელთაც წამყვანი როლი აქვთ სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობაში: ა. სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა (ტრაქტორები, კომბაინები და სოფლის მეურნეობის სხვა მანქანები და იარაღები); ბ. სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა (სატრანსპორტო საშუალებები); გ. მრეწველობის სხვა დარგები (ყველა დანარჩენი დარგი, რომლებიც არ შედიან ზემოთ აღნიშნულ ორ ჯგუფში, მაგრამ აწარმოებენ სოფლის მეურნეობისათვის სხვადასხვა სახის იარაღებსა და მანქანებს) (იხ. «Экономические проблемы развитого социализма». Рефераты научных докладов, 2, 1976, გვ. 46).

სოფლის მეურნეობა და სახალხო მეურნეობის დარგები, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის პროცესს.

ამჟამად აღნიშნულ სფეროში დასაქმებულთა თანაფარდობა ხასიათდება მნიშვნელოვანი დისპროპორციებით. მაგ., სსრ კავშირში აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში საშუალოდ დასაქმებული 40 მლნ. კაციდან პირველ სფეროში დასაქმებულია 5%, მეორეში—75%, ხოლო მესამეში—20%.

ეჭვს გარეშეა, რომ აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების სრულყოფა შემდგომში წარიმართება დასაქმებულთა ხვედრი წონის მკვეთრი ზრდით I და III სფეროში და მათი ხვედრი წონის შემცირებით II სფეროში[2]. ამას განაპირობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შედეგად აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის შემცირება, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ანგარიშში.

როგორც ვხედავთ, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი უნდა მოიცავდეს დარგებსა და მეურნეობებს, რომლებიც ამა თუ იმ სახით დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან, ხოლო აგროსამრეწველო გაერთიანება იქმნება სასოფლო-სამეურნეო და სოფლის მეურ-

[2] ზოგიერთი ევროპული ქვეყნის მონაცემები მიწათმოქმედების მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალების შეფარდებების შესახებ.

1950—1974 წწ. (ც. ძ. 1000 ჰა სოფლისმეურნეობრივ საკარგულებზე)

ქვეყნები	1950 წ.		1960 წ.		1970 წ.		1974 წ.	
	ცოცხალი გამწევი ძალა	მექანიკური გამწევი ძალა	ცოცხალი გამწევი ძალა	მექანიკური გამწევი ძალა	ცოცხალი გამწევი ძალა	მექანიკური გამწევი ძალა	ცოცხალი გამწევი ძალა	მექანიკური გამწევი ძალა
საფრანგეთი	84	111	56	556	18	1328	12	1650
გერ	121	231	57	1185	15	2533	12	3440
იტალია	79	84	58	394	31	1285	22	1910
ნიდერლანდები	90	224	66	760	22	2179	11	2820
ბელგია	110	114	78	687	37	2136	24	2360
დანია	—	—	—	—	7	2280	4	2740

(ჟურნ. „Известия" Академии наук СССР, серия экономическая, 1978, № 1, გვ. 136).

ნეობის გადამმუშავებელ სამრეწველო საწარმოთა გაერთიანების საფუძველზე.

ცნება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი უფრო ფართო და ღრმაა, ვიდრე აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსები, ჩვენი აზრით, შეიძლება იყვნენ როგორც შიდარესპუბლიკური და რესპუბლიკათაშორისი, ისე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მასშტაბის[3]. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ ამგვარ კომპლექსში გაერთიანდება არა მარტო სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოები, არამედ სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტები, საპროექტო ორგანიზაციები და საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებიც შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ სხვადასხვა მოძმე ქვეყანაში იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი რომელ ქვეყანაში, კომპლექსში შემავალი რომლის საქმიანობის სფერო უფრო მეტადაა განვითარებული. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის შიგნით სრულყოფილი ხდება არა მარტო სოციალისტური წარმოების განსაზოგადოების პროცესი, არამედ სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობანიც.

აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია ორგანულადაა დაკავშირებული სამრეწველო კომპლექსების შექმნასთან. ისინი ხელს უწყობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დაჩქარებას, წარმოებისა და შრომის სოციალისტური განსაზოგადოებიდან კომუნისტურ განსაზოგადოებაზე გადასვლას, სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურ ურთიერთობებში გადაზრდას.

აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების განვითარებასთან ერთად უფრო სრულყოფილი ხდება რეგიონალური (უფრო მცირე) კომპლექსებისა და გაერთიანებების სტრუქტურა და მათი ინტეგრაციის ფორმები. შესაძლებელია აგრარულ-სამრეწველო საწარმოთა შექმნა ცალკეულ მსხვილ მეურნეობათა ბაზაზე, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების განვითარება საბჭოთა მეურნეობის, სახელმწიფო გადამმუშავებელ საწარმოთა, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების, გამსაღებელ და სხვა ორგანიზაციათა გაერთიანების გზით (საბჭოთა მეურნეობა—ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა—ტექნიკუმი და სხვ.), რომლებიც თავისებურ კომბინატებს წარმოადგენენ. სახელმწიფო (გადამმუშავებელ და სხვა) საწარმოთა საფუძველზე შესაძლებელია ორგანიზებულ იქნეს შერეული საბჭოთა მეურნეობა-კოლმეურნეობების გაერთიანებები (მათ მეპაიეთა სამეურნეო და იურიდიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით), განვითარდ-

[3] საკოორდინაციო მართვის პრინციპის საფუძველზე.

ნენ რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები და გაერთიანებები.

გაერთიანებებისა და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების მართვა, როგორც ჩანს, უნდა განახორციელოს შესაბამისმა საბჭოებმა. მაგ., საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს გაერთიანებებში შემავალ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების საბჭომ, საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა საბჭომ, საკოლმეურნეო-საბჭოთამეურნეობრივ-კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა შერეულმა საბჭომ, აგრარულ-სამრეწველო (რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული) გაერთიანებების—სოფლისმეურნეობრივ და მრეწველურ საწარმოთა ხელმძღვანელობის შერეულმა საბჭომ, ხოლო რესპუბლიკათაშორისო გაერთიანებების—შესაბამისმა, ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელთა საბჭომ. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელ საბჭოში, როგორც ჩანს, უნდა შევიდნენ კომპლექსში შემავალი ქვეყნების როგორც სოფლისმეურნეობრივ და სამრეწველო საწარმოთა, ისე სამეცნიერო, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, შესაბამისად აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის პროფილისა. ამგვარი საბჭო, როგორც ჩანს, უნდა არსებობდეს ურთიერთდახმარების ეკონომიკურ საბჭოსთან.

ყველა დონეზე შექმნილი აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები და კომპლექსები ხელს უნდა უწყობდეს შიდარესპუბლიკური ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეგიონების, რაიონებისა და ქალაქების ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრებას. შიდარესპუბლიკური რეგიონების ეკონომიკურ დონეთა გამოთანაბრება კანონზომიერი, ობიექტურად აუცილებელი პროცესია რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის, მისი მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის. მეცნიერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამჟამად საქართველოში არსებითი დისპროპორციებია როგორც შიდარესპუბლიკური ეკონომიკური რაიონების, ისე ადმინისტრაციული რეგიონების (რაიონების და ქალაქების) განვითარებაში. მათი გამოთანაბრება ეკონომიკური ზრდის არსებითი რეზერვია. იგი ორგანულად უნდა დაუკავშირდეს აგრარულ-სამრეწველო და სამრეწველო გაერთიანებებისა და კომპლექსების შექმნას.

შიდარესპუბლიკური რეგიონების განვითარების ეკონომიკურ დონეთა გამოთანაბრება, მათი სპეციფიკურობისა და ბუნებრივი, შა-

ტერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების საშუალებების გათვალისწინებით, წარმოადგენს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირების, საწარმოთა და სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსების შექმნის მყარ, რეალურ ეკონომიკურ ბაზას.

სოფლის მეურნეობის ინტეგრაცია მრეწველურ წარმოებასთან ცალკეული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ანდა რამდენიმე ამგვარი მეურნეობის ბაზაზე წარმოადგენს აგრარულ-სამრეწველო კოოპერირების ერთ-ერთ საწყის ფორმას. იგი განპირობებულია მრეწველობის მომსახურების დარგების და თვით სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის უკმარისობით, ამ დარგების განვითარების შედარებით დაბალი დონით. ამგვარი გაერთიანებები პირობებს უქმნიან შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მეურნეობათა მთელი ჯგუფის, რაიონებისა და სოფლის მეურნეობის დარგთა უფრო განვითარებულ ფორმებზე გადასვლისათვის.

თანამედროვე პირობებში მრეწველური კომპლექსებისა და გაერთიანებების განვითარება საშუალებას იძლევა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, შესაბამისი სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ერთობლივი ძალებით შეიქმნას სრულყოფილი, განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი, საწარმოები ღორის ხორცის, კვერცხისა და პირუტყვის საკვების მწარმოებელი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და მისი შენახვისათვის საჭირო საწარმოები, სათბურები, სარემონტო სახელოსნოები, სამშენებლო და სხვა სახის საწარმოები და გაერთიანებები.

ამის შედეგად იქმნება პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდის, მისი თვითღირებულების შემცირების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა, რომლებიც თავისუფალნი არიან სოფლისმეურნეობრივი შრომიდან, დასაქმების ამაღლების, აგრეთვე თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოთა შემდგომი განვითარებისათვის, დამატებითი მოგების მიღების რეალური ეკონომიკური ბაზა. აშიტომაა, რომ სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში კონკრეტულად იყო დასმული ამოცანა, რომელიც ითვალისწინებდა საკოლმეურნეობათაშორისო, კოლმეურნეობრივი—საბჭოთამეურნეობრივი და სახელმწიფო—კოოპერაციული გაერთიანებების, აგრეთვე აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების განვითარებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის.

როგორც აღნიშნულია სკკპ ცკ-ის დადგენილებაში, სამეურნეობათაშორისო აგრარული სამრეწველო სპეციალიზებული საწარმოო გაერთიანებები იქმნებიან ტერიტორიული და დარგობრივი ნიშნების გათვალისწინებით.

ისინი შედგებიან კოლმეურნეობებ-მეპაიეებისაგან და იყოფიან სამეურნეო საქმიანობის ხასიათის მიხედვით: ა. რომელთაც ერთსახოვანი საქმიანობა აქვთ და ბ. რომელთაც შერეული სახეობის საქმიანობა აქვთ. საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების რიცხვს, რომელთაც ერთსახოვანი საქმიანობა აქვთ, მიეკუთვნებიან: სამშენებლო ორგანიზაციები, საშენ მასალათა მწარმოებელი საწარმოები, ელექტროსადგურები, სარემონტო სახელოსნოები, სატყეო მეურნეობები და სატყეო უბნები, საკვების მწარმოებელი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამშუშავებელი ქარხნები, მეცხოველეობის საკვები პუნქტები, მეფრინველეობის ფაბრიკები და ფერმები, ცხოველთა ხელოვნური დაგრილების სადგურები (პუნქტები) და სხვ. საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების (ორგანიზაციების) ეს ფორმა ამჟამად ძირითადს წარმოადგენს.

შერეული ფორმის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება, ელექტროენერგიის, სარემონტო სამუშაოების, საშენ მასალათა წარმოება, ტვირთების ავტოტრანსპორტით გადატანა, პირუტყვის კვება, ფრინველების ინკუბაცია და გამოზრდა და სხვ. ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობები ერთდროულად შეიძლება იყვნენ ორი ანდა მეტი საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებისა და ორგანიზაციის მეპაიეები.

სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური წარმოების ორგანული შერწყმის ახალი ფორმები მნიშვნელოვნად ამაღლებენ წარმოების ეფექტიანობას, აძლიერებენ მათ ინტენსიურობას, კონცენტრირებას უკეთებენ კოლმეურნეობების ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს სოფლის მეურნეობის წარმოებისა და სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის მრეწველური გადამუშავების მხრივ ეკონომიკური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტისათვის, რაც არ ძალუძთ ცალკეულ კოლმეურნეობებს.

საქართველოში, განსაკუთრებით 70-იან წლებში, დამახასიათებელი გახდა მეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების შექმნისა და განვითარების პროცესი. ამ საქმეში გარკვეული წარმატებები არის მოპოვებული. ეს ღებულობს გამოხატულებას საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების დონის ამაღლებაში, ხორცის, რძის, ბატულის და სხვა პროდუქციის წარმოებაში.

1975 წ. მონაცემების მიხედვით საქართველოში 170 სამეურნეობათაშორისო საწარმო და გაერთიანება იყო. მათ შორის ერთი სახეობის საქმიანობის 139 საწარმო და გაერთიანება, ხოლო შერეული სახის — 31. აღნიშნულ სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და გაერთიანებების ეფექტიანობის შესახებ წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით: რესპუბლიკაში არსებული სამეურნე-

ობათაშორისო საწარმოები, ორგანიზაციები და გაერთიანებები სსრ კავშირში არსებული ამგვარი საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საერთო რიცხვში 1975 წ. შეადგენდნენ 2,7%, ამასთან, ერთსახოვანი საქმიანობის მიხედვით შესაბამისად — 2,2%, ხოლო შერეული სახეების მიხედვით — 12,8%. მათი საწესდებო ფონდი შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში შეადგენდა 2,6%, ძირითადი წარმოებრივი ფონდები — 3,1%, მუშაკთა საშუალო სიობრივი რაოდენობა —3,8%, მათ შორის დასაქმებულნი სოფლის მეურნეობის წარმოებაში 6,3%, ხოლო მოგებამ 1975 წ. შეადგინა მხოლოდ 1,0%, ე. ი. მათი ეფექტიანობა შედარებით უფრო დაბალი იყო.

აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის პროცესი ორგანულადაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შემდგომ სრულყოფასთან. ამას მოითხოვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარება. მისი სისტემატური სრულყოფა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად განვითარების კანონზომიერი პროცესია. ამასთან საჭიროა პრინციპულად ახალი მიდგომა წარმოების მართვის ფორმებისა და ორგანიზაციისადმი, რაც გამოიხატება წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კომბინირების არსებით სრულყოფაში. ამ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მიიღწევა მხოლოდ სპეციალიზაციის ძირითადი მოთხოვნის რეალიზაციით — მაქსიმალური შედეგების მიღება მინიმალური დანახარჯებით.

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საკითხების გადაჭრისათვის მოითხოვს დარგებისა და კულტურების გაადგილებას არა მარტო ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების, არამედ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (მთლიანი პროდუქციის, შრომის მწარმოებლურობის, თვითღირებულების, რენტაბელობის, ფონდუკუგების, სპეციალიზაციის, კოოპერირების, მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის შესაძლებლობების), აგრეთვე სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების (მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის და მელიორაციის), შრომითი რესურსების კვლავწარმოებისა და მათი გამოყენების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული საკითხების თანმიმდევრული შესწავლა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკურ კანონზომიერებათა შესაბამისად, სათანადო კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება და განხორციელება ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების ეფექტიანობის აშაღლებას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ჩვენი აზრით, აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის პროცესი

ყველა მისი სახეობისა და ფორმის მიხედვით, რომელნიც ასახავენ სოფლისმეურნეობრივი და მრეწველური წარმოების სპეციფიკურობას, უნდა მიმდინარეობდეს სოფლისმეურნეობრივი წარმოების ყველა კატეგორიის — კოლმეურნეობრივი, საბჭოთა მეურნეობრივი და პირადი დამხმარე მეურნეობების[4] დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის პარალელურად. აღნიშნული სახეების მეურნეობათა მიხედვით წარმოების, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილ იქნეს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სტრუქტურა რესპუბლიკაში. სწორედ სოფლისმეურნეობრივი წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ყველაზე უფრო რაციონალური სქემის შედეგად შესაძლებელია აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია, რომელიც ორგანულად შეესაბამება რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საწარმოო და მეცნიერულ პრობლემებს.

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის IX პლენუმის (1978 წ.) შემდგომ, არსებითი ნაბიჯებია გადადგმული რესპუბლიკაში. შემუშავებულია და ხორციელდება აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე საქართველოს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის განვითარების კომპლექსური პროგრამა[5].

ამ პროგრამაში გათვალისწინებულია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ისეთი საკითხები, როგორიცაა: სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის განვითარების ეფექტიანი გზებისა და

---

[4] სსრ კავშირში პირადი დამხმარე მეურნეობის ხვედრი წონის დინამიკა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაში (%-ით)

	1940 წ.	1965 წ.	1975 წ.
მარცვლეული	12	2	1
კარტოფილი	65	63	59
ბოსტნეული	48	41	34
ხორცი	72	40	31
რძე	77	39	31
კვერცხი	92	67	39
მატყლი	39	20	32
ხილ-კენკროვანი (ყურძნის ჩათვლით)			40

(Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 311, 321, 381, 396; ჟურნ. «Экономические науки», 1977, № 5, გვ. 47.

[5] Государственный Комитет Грузинской ССР по науке и технике; Академия наук Грузинской ССР. Программа работ на 1979—1985 годы по решениям научно-технической проблемы (р—0. 51. 04) по разработке научных основ специализации и концентрации сельскохозяйственного производства на базе межхозяйственной кооперации и агропромышленной интеграции, 1979. январь.

ორგანიზაციული ფორმების გამონახვა-დამუშავება სოფლის მეურნეობის საწარმოთა საწარმოო მიმართულების მიხედვით, გაადგილებისა და სპეციალიზაციის ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრა, მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების განვითარებისა და გაადგილების სქემის დამუშავებისათვის კვლევითი სამუშაოების ჩატარება, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დასაბუთება, აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის შესახებ, საქართველოს სსრ რაიონული დაგეგმვის სრულყოფის პირობებში გამოცდილების განზოგადებისა და წინადადებების დანერგვა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ინდუსტრიულ საფუძველზე წარმოების, მართვის ეკონომიკური მექანიზმის, აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმართვის სისტემის სრულყოფის რეკომენდაციების დამუშავება და სხვ. საქართველოში მიმდინარეობს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ეტაპობრივი განვითარების აქტიური პროცესი, რაც რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მყარი საფუძველია.

აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის გატარების პრინციპული და მიზანდასახული გზა, რომელსაც დაადგა საქართველოს სოფლის მეურნეობაც, მოითხოვდა, უპირველეს ყოვლისა, დაძლეული ყოფილიყო ის სერიოზული ჩამორჩენა ეკონომიკაში, კერძოდ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში, რომელიც წლების განმავლობაში დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის და რომელმაც სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებულად იჩინა თავი მეცხრე ხუთწლედის დასაწყისს. სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა მისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონის ამაღლება, აგრეთვე ცალკეული კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდა.

სოფლისმეურნეობრივი წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პრობლემას საქართველოს პირობებში თავისი სპეციფიკური თავისებურებაც ახასიათებს. ამიტომ მისი გატარებისას დაუშვებელი იყო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების გამოცდილების მექანიკური გადმოტანა საქართველოს სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. ეს სპეციფიკურობა პირველ რიგში იმით გამოიხატება, როგორც ეს არაერთხელ იყო აღნიშნული საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI

ყრილობებზე და მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რომ საქართველო იყო და არის მრავალდარგოვანი, სოფლის მეურნეობის მრავალი სახის უნიკალური კულტურების პროდუქციის მწარმოებელი, ამიტომ კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის გატარებისას ეს სპეციფიკურობა გათვალისწინებული უნდა იქნეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველო წარმოადგენს მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მაღალი ხარისხის მეთამბაქოეობის, შეაბრეშუმეობის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების რესპუბლიკას, რომელთაც არამარტო შიდარესპუბლიკური, არამედ საკავშირო მნიშვნელობა აქვთ და ექვემდებარებიან სოფლისმეურნეობრივი წარმოების საკავშირო სპეციალიზაციის პრინციპებს. ამასთანავე საქართველოს კომპარტიის მიერ დასმულია ამოცანა, რომ საქართველო გახდეს მაღალგანვითარებული შეცხოველეობის რესპუბლიკაც[6].

სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა 1976—1980 წწ-ში მიიღო საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ (1976 წ. იანვარი). ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ წლებში გარკვეული თვისებრივი ცვლილებები მოხდა სოფლის შეურნეობაში. გაიზარდა მისი მთლიანი პროდუქცია, ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, შემცირდა სოფლის შეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის თვითღირებულება.

აღნიშნულ დადებით თვისებრივ ძვრებში გარკვეული როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებათა თანმიმდევრულად განხორციელებამ, აღნიშნული დარგისადმი ხელმძღვანელობის სტრუქტურის გაუმჯობესებამ. თუ რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობის

---

[6] ინტენსიური მეცხოველეობის განვითარებაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ფართო განხორციელებას, მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებისათვის სამრეწველო მეთოდების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის XVIII პლენუმმა (1975 წ. სექტემბერი). ამავე პლენუმზე აღინიშნა ის ახალი ღონისძიებათა სისტემა, რომელიც შემუშავდა და დაინერგა 1974 წ. გურჯაანის რაიონში. ამ მიმართულებით თანმიმდევრული, ღრმად გააზრებული ღონისძიებები ტარდებოდა წოთელწყაროს რაიონში.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ამ მიმართულებით, გარდა ამ რაიონებისა, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ატარებდნენ პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტი, გარდაბნის, აბაშის, მარნეულის, ახალქალაქის, ცხაკაიას, გორის, სიღნაღის, ზუგდიდის, ბოლნისის, ბოგდანოვკისა და ზოგიერთი სხვა რაიონი. პლენუმმა, რომელიც სპეციალურად იყო მიძღვნილი საქართველოს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევისადმი, მიიღო ამ დარგის განვითარების გაშლილი პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებდა ამ დიდი სახალხმეურნეობრივი საკითხის გადაწყვეტისადმი პრინციპულად ახალ მიდგომას. მასში გათვალისწინებულია ფართო მასშტაბის ამოცანები, რომელნიც განსაზღვრავენ და უზრუნველყოფენ მეცხოველეობის ამაღლების განხორციელებას უფრო შორს, სულ ცოტა 10 წლის პერსპექტივით.

სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზები დასახული იყო საქართველოს კომპარტიის XVIII პლენუმზე (1975 წ.), მემცენარეობაში სპეციალიზაციასა და კონცენტრაციაზე დიდი ყურადღება იყო გამახვილებული ამ ყრილობაზე. აქ პირდაპირ იყო აღნიშნული ის სპეციფიკურობა, რაც დამახასიათებელია საქართველოს სოფლის მეურნეობაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის. ამასთანავე, როგორც აღინიშნა ყრილობაზე, საქართველოს მებაღეობა და მევენახეობა, განსაკუთრებით მებაღეობა, ვითარდებოდა არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური გზით, ბაღ-ვენახების გაშენებისას არ ითვალისწინებდნენ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას. ეს მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარების მაგისტრალური ხაზია. მასთან დაკავშირებით ყრილობაზე მითითებული იყო, რომ მიუხედავად ამ ღონისძიების გატარების სირთულისა და რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური თავისებურებებისა, რომელიც კიდევ უფრო მეტად ართულებს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელებას სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში, საჭიროდ იქნა ცნობილი გამომუშავებული ყოფილიყო თანმიმდევრული ეტაპები სოფლისმეურნეობრივი წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამ ფორმებზე გადასვლისათვის.

როგორც აღინიშნა ყრილობაზე, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა, მისი გაღრმავებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მოითხოვს სოფლის მეურნეობის მართვის ფორმების სათანადო შეცვლასაც, რათა განხორციელდეს ერთიანი საერთო სახელმწიფო პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში. ამის გარეშე სოფლის მეურნეობაში შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

ამიტომ უკვე 70-იანი წლების შუა ხანებში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხაზით. მაგრამ მიუხედავად გარკვეული, ლოკალური წარმატებისა, მას ფართო, საერთორესპუბლიკური ხასიათი არ ჰქონდა, ვინაიდან რესპუბლიკაში, როგორც ეს აღნიშნულია სკკ პარტიის ცკ-ის 1976 წ. 22 ივნისის დადგენილებაში, ჯერ კიდევ არსებობდა ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნულ დადგენილებაში სკკპ ცკ მოითხოვდა ყველა მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფას, რაც უნდა წარმართულიყო სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების ბაზაზე. მხოლოდ ამის საფუძველზეა შესაძლებელ

მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა დარგების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრი წონის ამაღლება.

სკკპ ცკ-ის ეს მითითება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულების შესახებ საფუძვლად დაედო სოფლისმეურნეობრივი წარმოების შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში. სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარების მაგისტრალური გზა თანამედროვე ეტაპზე საქართველოში, ისე როგორც სსრ კავშირში, განსაზღვრული იყო სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ, ხოლო ყრილობის დადგენილების განხორციელებაში უაღრესად დიდი როლი ითამაშა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების, სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებისადმი მიძღვნილი იყო საქართველოს კომპარტიის IX (მარტი 1978 წ.) პლენუმი, რომელსაც, როგორც XVIII (1975 წ. სექტემბერი) პლენუმს — მიძღვნილს მეცხოველეობის განვითარებისადმი, საქართველოში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებაში.

პლენუმმა დასახა საქართველოს სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, აგროსამრეწველო ინტეგრაციის გზები. სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციის თავისებურებას საქართველოში, როგორც ეს პლენუმზე იყო აღნიშნული, წარმოადგენს ის, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ხასიათდება მრავალდარგოვნობით, რომელიც განპირობებულია მისი სოფლისმეურნეობრივი კულტურების არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობით, არამედ ზოგიერთი მათგანისათვის უნიკალური პირობებით. სწორედ ეს სპეციფიკურობა ქმნის პირობებს იმისათვის, რათა რესპუბლიკაში, განსხვავებით ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკისაგან, განხორციელდეს სოფლისმეურნეობრივი წარმოების შიდასამეურნეო, შიდარაიონული და საარაიონთაშორისო სპეციალიზაცია, როგორც სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარების ძირითადი გზა საქართველოს პირობებში, გამომდინარე სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ფორმებიდან.

პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ დიდი აღიარება ჰპოვა ორმა ძირითადმა ფორმამ: I. სამეურნეობათაშორისო კოოპერაციამ და 2. აგრო-სამრეწველო ინტეგრაციამ. პირველი ფორმის ყველაზე ჩამოყალიბებული ტიპებია: ა. სამეურნეობათაშორისო საწარმოები ან ორგანიზაციები და ბ. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებანი. როგორც ნათქვამი იყო პლენუმზე, საქართველოში გავრცელებულია ყველაზე მეტად პირველი ტიპის სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია — სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია), რომელიც იქმნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობის პრინციპით.

სპეციალიზაცია და კონცენტრაცია უნდა ემსახურებოდეს კოოპერაციის გაძლიერებას. კოოპერირება უზრუნველყოფს არსებული საშუალებების უფრო რაციონალურად გამოყენებას. აქ ხდება სოფლისმეურნეობრივი წარმოების პროცესში სხვადასხვა დარგის, უწყებების საწარმოთა ჩაბმა. კოოპერირება არ უნდა იზღუდებოდეს დარგობრივი ფარგლებით, კოოპერირების პროცესში იქმნება შესაძლებლობები, ზოგჯერ ერთი კოლმეურნეობის პირობებში არსებულ კულტურათა არარენტაბელურიდან რენტაბელურად გადაქცევისათვის, ანდა დანახარჯების ერთობლივი დაფარვისათვის. კოოპერაციის ძალა სოციალისტური საზოგადოებრიობის ძალაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერაცია სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში არსებითად განსხვავდება კოოპერაციისაგან მრეწველობაში. ამასთანავე რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოება საკმაოდ არის მომზადებული მეორე ტიპის კოოპერაციის გამოყენებისათვისაც. ეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების ინტეგრაციის უფრო მაღალი საფეხურია. გაერთიანებაში შემავალი მეურნეობები არ კარგავენ იურიდიულ და სამეურნეო დამოუკიდებლობას. აქ არ ხდება მათი ორგანული შერწყმა, ხორციელდება ნაყოფიერი თანამშრომლობა. ამავე დროს, ეკონომიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე გაერთიანებას შეუძლია განახორციელოს მონაწილე მეურნეობათა ფუნქციების მთლიანი ან ნაწილობრივი ცენტრალიზაცია[7]. სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მეორე ფორმას — აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციას, აგრეთვე, ორი ტიპი აქვს: ა. აგრარულ-სამრეწველო საწარმოები და ბ. აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები. საქართველოში პირველ ტიპს აქვს ადგილი. მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო პლენუმზე, ამისათ-

---

[7] კერძოდ, ისეთი ფუნქციების, როგორიცაა: პირუტყვის სუქების, რძის, კვერცხის, საკვების წარმოების, სარემონტო, მოზარდეულის ზრდის, ჯიშთსანაშენე საქმის, მეთესლეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, ტრანსპორტირების შენახვისა და გადამუშავების და სხვ.

ვის საჭირო იყო უფრო სერიოზული მომზადება, ვიდრე ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი აღნიშნული პერიოდისათვის.

ამიტომ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო მეურნეობის მაღალ საფეხურზე გადასვლისათვის — ფართო ექსპერიმენტის ჩატარება. ამის განსორციელებისათვის უკვე მომზადებული იყო პირობები მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების ან მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა და პირველადი მეღვინეობის ქარხნების ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიება სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ეტაპობრივი განხორციელებისათვის, რესპუბლიკის თითოეული რეგიონისათვის ადგილობრივი პირობებისა და შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთანავე, პლენუმზე ითქვა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მრეწველობის ის დარგები, რომლებიც უმსახურებენ სოფლის მეურნეობას, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა საერთოდ ჯერ კიდევ არ არის მომზადებული იმისათვის, რომ რესპუბლიკაში ფართოდ განხორციელდეს აგრო-სამრეწველო საწარმოების მასობრივი შექმნა. ამ პროცესს წინ უნდა უძღოდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრეწველური გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და შენახვის აუცილებელი, წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის განვითარება სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ბაზაზე აღმავალი სოფლის მეურნეობის წარმოებიდან მიღებული პროდუქცია გამოყენებული იქნეს მაქსიმალურად ეკონომიურად, უდანაკარგოდ. ამასთანავე, სოფლისმეურნეობრივი წარმოება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ტექნიკითა და სხვა საშუალებებით მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონცენტრირებული და სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის მასივების სწორი, აგრო-მეცნიერული დამუშავება, ყოველივე ამის გარეშე შეიძლება შემცირდეს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, საერთოდ აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა.

საქართველო, როგორც აღინიშნა პლენუმზე, წარმოადგენს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსს, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ისეთ დარგებს, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის საჭირო წარმოების საშუალებათა წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარება თანამედროვე ეტაპზე, როგორც მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ისე მართვის ფორმების სრულყოფა მთლიანად შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შინაარსს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების შესახებ, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე[8].

აღნიშნულ დადგენილებაში ნათლადაა ასახული, რომ განვითარების თანამედროვე პირობებში სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ფართო კოოპერირების ბაზაზე, მისი გადაყვანა თანამედროვე ინდუსტრიულ ბაზაზე წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას, ლენინური კოოპერაციული გეგმის პრაქტიკული განხორციელების ახალ ეტაპს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ეს მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ობიექტური პროცესია, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელია.

როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, სამეურნეობათაშორისო, აგრო-სამრეწველო სპეციალიზებული საწარმოო გაერთიანებები (საკოლმეურნეობათაშორისო, საბჭოთამეურნეობათაშორისო, საკოლმეურნეო-სახელმწიფოებრივი და სახელმწიფო-კოლმეურნეობრივი) იქმნებიან ტერიტორიული და დარგობრივი ნიშნების მიხედვით.

ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ-დ ა რ გ ო ბ რ ი ვ ი[9] ნიშნებით საწარმოო გაერთიანებები, როგორც წესი, იქმნება ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებში, ხოლო დ ა რ გ ო ბ რ ი ვ ი ნიშნების მიხედვით მოცემული პროდუქციის მოცულობისა და სპეციალიზებული მეურნეობის ადგილმდებარეობის მიხედვით, როგორც ერთი, ისე რამდენიმე ადმინისტრაციული რაიონის, ანდა მთელი ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ფარგლებში.

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის (1978 წ. სექტემბერი) ღონისძიებანი, მიმართული საქართ-

---

[8] გაზ. «Правда» от 2 июня 1976 г. «Постановление ЦК КПСС «О дальнейшем развитии специализации и концентрации сельскохозяйственного производства на базе межхозяйственной кооперации и агропромышленной интеграции».

[9] ესტონეთის სოფლის მეურნეობაში ჩატარდა ე. წ. ვილიანდის ექსპერიმენტი (რაიონის სახელწოდება), სადაც საწარმოო გაერთიანება შექმნილი იყო ტერიტორიული პრინციპით. აქ ძირითად რგოლს წარმოადგენს ადმინისტრაციული რაიონი. გაერთიანებები თვით რაიონში აგებულია დარგობრივი პრინციპის მიხედვით. მაგალითად, „პტიცეპრომი", „ესტკოლხოზსტროი" და სხვ. მათ პერსპექტივად მიაჩნიათ უფრო მაღალი დონე—რესპუბლიკური აგროსამრეწველო კომპლექსი. განვითარება მიდის დიფერენციულად, ეტაპობრივად, რაიონულ გაერთიანებებს ხელმძღვანელობენ გაერთიანებების საბჭოები (იხ. გაზ. «Известия», 08. 02. 1978, «Опыт Вильянди»).

ველოს სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გატარებისათვის სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, სათანადო თანმიმდევრობით, ითვალისწინებდა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური წანამძღვრების მომზადებასა და გატარებას, აგრეთვე არსებული გაერთიანებების სრულყოფასა და აგროსამრეწველო ინტეგრაციისათვის ფართო ექსპერიმენტის ჩატარებას სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგების მიხედვით. ყოველივე ეს მთლიანად შეესაბამება იმ კურსს, რომელიც აიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ეკონომიკის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სექტორის შემდგომი განვითარებისათვის როგორც თანამედროვე პერიოდში, ისე უახლოეს მომავალში.

აღნიშნულ პროცესში სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული გეზის განხორციელების შედეგების შესახებ საქართველოში, კერძოდ, აბაშისა და სხვა რაიონის მაგალითზე ნათლად იყო აღნიშნული საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე. „ცხოვრებამ ცხადყო, — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, — რომ სოფლის მეურნეობის მართვის საორგანიზაციო ფორმების სრულყოფის ხაზი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს, სწორია. აბაშის რაიონის გამოცდილება, რომელშიც, თავის მხრივ, აისახა უკრაინის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, სტავროპოლის მხარისა და სხვა რესპუბლიკებისა და რეგიონების პრაქტიკა და მიღწევები, წარმატებით დაინერგა 14 რაიონში, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში დაინერგება მთელ რესპუბლიკაში. სოფლის მეურნეობის მართვაში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა საშუალება მისცა პარტიის აბაშის რაიკომს, მნიშვნელოვანწილად გაეუმჯობესებინა რაიონის პარტიულ ორგანიზაციათა სტრუქტურაც. აბაშის გამოცდილებით მთელი ქვეყანა დაინტერესდა. ეს საკითხი ორჯერ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე, ამ საკითხით დაინტერესდა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია“[10].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლების ობიექტურ ეკონომიკურ კანონზომიერებას. აგრარულ-სამ-

---

[10] ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, 1981, გვ. 36.

რეწველო კომპლექსების ისე, როგორც სხვადასხვა სოფლისმეურნეობრივი გაერთიანებების, შექმნა მოწმობს მრეწველობის განვითარების მაღალ დონეს, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდას. განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში რეალური შესაძლებლობა შეიქმნა სოფლის მეურნეობის თანმიმდევრულად გადასაყვანად ინდუსტრირებულ საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ფრიად ფართო ცნებაა. იგი მოიცავს ინტენსიფიკაციის თითქმის ყველა მხარეს. სწორედ მის საფუძველზე ხდება აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარება. ეს ნათლადაა აღნიშნული სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების დადგენილებებში და გათვალისწინებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

80-იან წლებს ამ პროცესისათვის სოფლის მეურნეობაში, და არა მარტო სოფლის მეურნეობაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

თანამედროვე ეტაპზე სკკპ აგრარული პოლიტიკის გატარებასთან, აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციასთან, სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციასთან უშუალოდაა დაკავშირებული ყამირი მიწების ათვისება.

ყამირი მიწების მასობრივად ათვისების წლები უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, არამედ ქვეყნის მთელს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ისტორიულ ეპოპეაში, შრომის ნამდვილი გმირები გახდნენ. ყამირი და ნასვენი მიწების სამეურნეო ათვისების შედეგად წარმატებით იქნა გადაწყვეტილი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემა — მარცვლეულის პრობლემა. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პრობლემა მუდმივად იყო პარტიის ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ პარტიის XV ყრილობაზე პირველად დაისვა საკითხი სოფლისმეურნეობრივი წარმოების ფართო ინტენსიფიკაციის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სოფლად ახალი, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მის ელექტროფიკაციასა და ქიმიზაციას, ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევების უფრო ფართო გამოყენებას. სოფლის მეურნეობისათვის, კოლექტიური და სახელმწიფოებრივი წარმოებისათვის უნდა შექმნილიყო მისი შესატყვისი ინდუსტრიული ბაზა.

ამის გარეშე შეუძლებელი იყო მსხვილი სოციალისტური სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარება, საერთოდ, და, კერძოდ, ახალი, ყამირი და ნასვენი მიწების მასობრივი ათვისება. სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, და, როგორც ყრილობაზე იყო აღნიშნული, „მაშინიზაცია“ მიჩნეულ იქნა საერთოდ მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის და, პირველ რიგში, მიწათმოქმედების გახვითარების საფუძვლად, რაც ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობით იყო განპირობებული. ამიტომ, მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის პროცესს ორგანულად ერწყმოდა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაც. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია ეს იყო მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც სოფლისმეურნეობრივი წარმოების საერთო ზრდას, ასევე მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებასა და სათესი ფართობების გადიდებას.

მართლაც, 30-იანი წლების დასაწყისისათვის სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იდგა, აუცილებელი იყო არსებულ ტექნიკურ საშუალებებთან ერთად ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალურად გამოყენება. კოლმეურნეობებში, როგორც გარდამავალი ღონისძიება, იქმნებოდა ე. წ. საცხენო-სამანქანო და შერეული ტიპის სატრაქტორო-საცხენო ბაზები, სადაც შეთანაწყობილი იყო ტრაქტორისა და ცხენის გამწევი ძალა. მართალია, ამ პერიოდისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენდა საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებით დამთავრება და საბჭოთა მეურნეობების შექმნა-განვითარება, საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანის წარმატებით დამთავრება, მაგრამ საკმაოდ გამახვილებული იყო ყურადღება სოფლისმეურნეობრივი, ისევე, როგორც მრეწველური, წარმოების სწორ და მიზანშეწონილ (პროპორციულ) გაადგილებაზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია 30-იან წლებში შემუშავებულმა სსრ კავშირის ეკონომიკურმა დარაიონებამ, სოფლის მეურნეობის „მანქანიზაციამ“ და „ტრაქტორიზაციამ“ (პარტიის XVI ყრილობა, 1930 წ.), სრული კოლექტივიზაციის განსახორციელებლად მტკიცე სამანქანო-სატრაქტორო ბაზის შექმნამ.

საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებასთან ერთად სულ უფრო მეტად იქმნებოდა საშუალებები ე. წ. „თავმინებებული“ და ყამირი მიწების ასათვისებლად. მაგრამ ყამირი და ნასვენი მიწების მასობრივი ათვისების პრაქტიკული განხორციელება ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის გარეშე, სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონის გამო, 30-იან წლებში შეუძლებელი იყო. იგი შეუძლებელი იყო 40-იან წლებშიც, როდესაც საბჭოთა

კავშირს თავს დაესხნენ გერმანელი დამპყრობლები. კაცობრიობის ისტორიაში არნახულმა ამ ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას. ცნობილია, რომ ომის პერიოდში გერმანელი ფაშისტების მიერ გაძარცული და განადგურებული იყო 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა, 2890 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, დაკლული, ანდა გერმანიაში გარეკილი იყო 70 მილიონზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მხოლოდ კოლმეურნეობებისადმი მიყენებულმა საერთო ზარალმა 180 მლნ. მანეთზე მეტი შეადგინა.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში ომის შემდგომ პერიოდში პირველ რიგში საჭირო იყო გაძარცული და დანგრეული მეურნეობების აღდგენა. სწორედ ამ მიზნით ჯერ კიდევ 1943 წ. 21 აგვისტოს, ე. ი. ომის დამთავრებამდე, საბჭოთა მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება გერმანელ ფაშისტთა მიერ დროებით ოკუპირებული რაიონების მეურნეობის აღდგენის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების გატარების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები ითვალისწინებდა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ევაკუირებული პირუტყვის განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებში დაბრუნებას. დადგენილება ითვალისწინებდა აგრეთვე ომით დაზარალებული ოლქების კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდის, მეფრინველეობის აღდგენის, კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებაში გარკვეული შეღავათების დადგენის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი სათესლე მასალით დახმარების აღმოჩენის, სამანქანო სატრაქტორო სადგურებისა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოების აღდგენის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრებით უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო პირობების (კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა ბინების აღდგენისა და მშენებლობის) გაუმჯობესების, რკინიგზის ნაგებობათა აღდგენის, საკარმიდამო ნაკვეთებით უზრუნველყოფის, ბავშვებისათვის სათანადო სასწავლებლების მოწყობისა და სხვა მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებებს. სსრ კავშირის მთავრობასთან შექმნილი იყო სპეციალური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მეურნეობის აღდგენით სამუშაოებს.

ამრიგად, 40-იანი წლების როგორც შუახანებში, ასევე მომდევნო პერიოდში ტარდებოდა უაღრესად დიდი ღონისძიებები ომით გამოწვეული ზარალის დასაფარავად. რასაკვირველია, ომმა დროებით შეაფერხა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება, მის

მსვლელობაში სოფლის მეურნეობის წინაშე სერიოზული სიძნელეები წარმოიშვა. კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეულ იქნა კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი, სამხედრო საჭიროებისათვის გამოყენებული იყო მრავალი ტრაქტორი, ცხენი და ავტომანქანა. ომრეწველობა, მისი ომის ყაიდაზე გადასვლასთან დაკავშირებით, იძულებული გახდა შეეწყვიტა სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების მიწოდება, მნიშვნელოვნად შეემცირებინა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათთვის სათადარიგო ნაწილების, სასუქებისა და საწვავის წარმოება. ომის წლებში შემცირდა სათესი ფართობები, სოფლისმეურნეობრივი სამუშაოები და სხვ. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის, მეცხოველეობის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემცირება.

სოფლის მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე ძლიერმა გვალვებმა 1946 წ., რომელმაც სსრ კავშირის ევროპული ნაწილის დიდი ტერიტორია მოიცვა (მან თავისი გამანადგურებელი ძალით 1921 წ. გვალვას გადააჭარბა). ამის შემდეგ მარცვლეულის როგორც ნეტალიახი, ისე საქონლური პროდუქცია, მართალია, რამდენადმე ნაკლები მივიღეთ, ვიდრე 1945 წ., მაგრამ გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე 1921 წ. ეს განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების არსებობითა და კოლმეურნეობრივი წყობილების სიმტკიცით.

მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად 1946 წელს უზრუნველყოფილი იყო განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებსა და გლეხურ მეურნეობებში სათესი ფართობების ომამდელი მოცულობის 3/4 და კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მფლობელობაში მყოფი პირუტყვის სულადობის ნახევრის[11] აღდგენა. აღნიშნული პერიოდისათვის აღადგინეს და აამუშავეს სტალინგრადისა და ხარკოვის, ააშენეს ალტაისა და ვლადიმირის სატრაქტორო ქარხნები, დამთავრდა ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა, განაახლეს ტრაქტორების წარმოება ჩელიაბინსკის ქარხანაში. მიმდინარეობდა ოკუპაციის დროს დანგრეული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნების აღდგენა. მრავალი ქარხანა, რომელიც ომის დროს სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა, უკვე 1947 წ. გადაყვანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაზე. საბჭოთა კავშირის

---

[11] КПСС в резолюциях и решениях съездов конференции и пленумов ЦК, ч. II, изд. седьмое. М., 1953, зз. 1046.

მრეწველობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა სორტული მარცვლეულისა და ბალახის ნათესი ფართობები, აღდგენილ იქნა და ინერგებოდა ახალი თესლბრუნვა.

ამრიგად, 40-იანი წლების მეორე ნახევარში გადაუდებელ ამოცანად დაისახა სოფლის მეურნეობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფდა მოსახლეობისათვის სურსათის სიუხვის შექმნას, სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფოებრივი რეზერვების დაგროვებას. სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მაღლდებოდა მისი დონე იმ დიდი ამოცანების შესაბამისად, რომელიც იდგა სოფლის მეურნეობის წინაშე განვითარების იმ ეტაპზე. სოფლის მეურნეობა სულ უფრო მეტად მარაგდებოდა ახალი ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სატვირთო და სხვა სახის ავტომანქანებით, სასუქითა და საწვავით. კონკრეტულად იყო დასმული საკითხი, რომ სამი წლის განმავლობაში (1947, 1948 და 1949 წწ.) მიგვეღწია მარცვლეულის წარმოების ომამდელი დონისთვის, ხოლო 1950 წლისათვის მნიშვნელოვნად გადაგვეჭარბებინა იგი.

სათესი ფართობების გადიდებასთან ერთად ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლება, ამასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1947 წ. თებერვლის პლენუმმა[12], რომელიც ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებებს მიეძღვნა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მარცვლეულის წარმოების განვითარებას ქვეყნის აღმოსავლეთ და სხვა რაიონებში. დადგენილებაში პირდაპირ იყო მითითებული ციმბირის, ურალისა და ყაზახეთის ჩრდილო აღმოსავლეთის ოლქებში ყამირი და ნასვენი მიწების გამოყენების აუცილებლობაზე.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რითაც სოციალისტური სოფლისმეურნეობრივი წარმოება ხასიათდებოდა 50-იანი წლების დასაწყისში, მდგომარეობა მაინც არ იყო დამაკმაყოფილებელი. იმჟამად ქვეყნის ძირითადი სახსრები და ძალები მძიმე ინდუსტრიის სწრაფად განვითარებისაკენ იყო მიმართული, ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას ემსახურებოდა ქვეყნის საუკეთესო კადრები. ამიტომ სახელმწიფოს არ შეეძლო უზრუნველეყო მძიმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის ერთდროული

---

[12] КПСС в резолюциях..., ч. II, გვ. 1045—1093.

მაღალი ტემპებით განვითარება, ამისათვის საჭირო იყო აუცილებელი წინაპირობები. 50-იანი წლების პირველ ნახევარში ეს პირობები უკვე შეიქმნა, საბჭოთა ქვეყანას უკვე გააჩნდა მტკიცე ინდუსტრიული ბაზა, ,მოშძლავრებული კოლმეურნეობები და სამეურნეო შშენებლობის ყველა დარგის სათანადოდ მომზადებული კადრები.

იყო სხვა მიზეზებიც, რომლებიც განაპირობებდნენ სოფლის შეურნეობის ზოგიერთი ძირითადი დარგის ჩამორჩენას, უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატებოდა ამ დარგისადმი სუსტი ხელმძღვანელობით, ირღვეოდა მატერიალური სტიმულირების პრინციპები. მრავალ კოლმეურნეობრივ წარმოებაში ირღვეოდა არტელური ფორმის, ანუ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორი წეხამება — პირად ინტერესებს მეტ უპირატესობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივთან შედარებით. არადამაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა მძლავრი მანქანური ტექნიკა, რომლითაც აღჭურვილი იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობა, იგრძნობოდა არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობისადმი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ და, ბოლოს, იყო სხვა მიზეზებიც, რომლებიც დამოკიდებული იყო თვით კოლმეურნეობებზე, მათ თავმჯდომარეებსა და გამგეობებზე.

ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში ჯერ კიდევ დაბალი იყო შრომის დისციპლინა, ყველა კოლმეურნე სრულად არ ღებულობდა მონაწილეობას კოლმეურნეობრივ წარმოებაში. ყველგან კარგად არ იყო ორგანიზებული კოლმეურნეთა შრომა. ხშირი იყო საზოგადოებრივი დოვლათისადმი შეუგნებელი, დაუდევარი დამოკიდებულების შემთხვევები. 50-იან წლებში ყოველივე ამან განაპირობა სოფლისმეურნეობრივი წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებათა გატარება.

ამ ღონისძიებათა შორის მარცვლეულის კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად უაღრესად დიდი ადგილი დაიკავა ახალი მიწების, ახალი სათესი ფართობების ათვისებამ. მოკლე ვადებში ახალი ფართობების ათვისების, მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების მნიშვნელოვან და რეალურ წყაროს წარმოადგენდა ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. აღნიშნულ რაიონებში ნოყიერი მიწების უდიდესი აუთვისებელი ფართობები მოგვეპოვებოდა. აქედან შედარებით მცირე კაპიტალური დაბანდებების პირობებში შესაძლებელი იყო ქვეყანას დიდი მოსავალი მიეღო.

ყაზირი და ნასვენი მიწების ათვისების ფართო პროგრამა მიღებული იყო სკკპ ცკ-ის 1954 წ. (თებერვალი-მარტი)[13] პლენუმზე, რომელმაც განიხილა ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საკითხი.

ეს აღნიშნული ეტაპის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობაში და განპირობებული იყო იმითაც, რომ 50-იანი წლების შუახანებში მარცვლეულის წარმოების დონე როგორც მთლიანი მოსავლის, ისე საქონლური პროდუქციის მხრივ ვერ ფარავდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. წარმოიშვა გარკვეული დისპროპორცია სახელმწიფოს ვანკარგულებაში ჩაღებული მარცვლეულის რაოდენობასა და მისი დანახარჯების ზრდას შორის. კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების შემდეგ კოლმეურნეობებში დარჩენილი მარცვლეულის რაოდენობასა და კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობათა ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო მარცვლეულის რაოდენობას შორის. ეს დისპროპორციები განპირობებული იყო რიგი მიზეზით, რომელთა შორის ძირითადს წარმოადგენდა: ა. მარცვლეული კულტურების სათესი ფართობების შედარებითი შემცირება, ბ. იმ აგროტექნიკურ ღონისძიებათა არასაკმარისი გამოყენება, რომელთაც შეეძლოთ ყველა ფართობზე მარცვლეულის მაღალი მოსავლიანობის მიღება; გ. სათესი ფართობების დაგეგმვაში დაშვებული შეცდომები (განსაკუთრებით მარცვლეული კულტურებისა და ბალახების ნათესების დაგეგმვაში).

მაგ., 1953 წ. 1940 წ. შედარებით, სათესი ფართობების 6, 8 მლნ. ჰექტარის საერთო ზრდის პირობებში, მარცვლეული კულტურების ფართობი შემცირდა 3, 8 მლნ ჰექტარით.

არსებულ პირობებში სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო და არსებითი ღონისძიებებიც გატარდა ,ბისი ექსტენსიური განვითარების მიმართულებით. მით უმეტეს, რომ 50-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობამ პურის წარმოების მხრივ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 9 ცენტნერს არ აღემატებოდა. 1953 წ. დამზადებული იყო 31, 1 მლნ. ტონა მარცვლეული, ხოლო მოსახლეობის სასურსათო მომარაგებისა და სხვა სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებებისათვის დახარჯული იყო 32,4 მლნ ტონა. დეფიციტის (1, 3 მლნ. ტონა მარცვლეულის) დასაფარავად საჭირო გახდა სახელმწიფო რეზერვების ნაწილის გამოყენება.

---

[13] КПСС в резолюциях..., ч. II, зд. 654—686.

50-იან წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ აღებული კურსის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან ერთად ქვეყნის ყველა რაიონში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მარცვლეულის წარმოებისათვის ახალი მიწების ათვისებას. ამის მნიშვნელოვან და რეალურ წყაროს კი, როგორც აღვნიშნეთ, ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიის რაიონები წარმოადგენდა. სწორედ ამ რაიონებში შედარებით მოკლე ვადებში შესაძლებელი გახდა აუთვისებელი ნაყოფიერი მიწების დიდი მასივების გამოყენება მაღალი მოსავლის მისაღებად, დიდი დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე. იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი ღონისძიებები იქნა გატარებული ამ მიმართულებით და რა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება 50-იან წლებში, წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი მონაცემები (იხ. ცხრილი 7).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძირითადი სამუშაოები ყამირისა და ნასვენი მიწების ათვისებაში ჩატარებული იყო 1954—1955 წწ-ში. ამ ორი წლის განმავლობაში ათვისებული იყო მთელი ათვისებული მიწების 78, 5%. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წლებში ათვისებული მთელი ყამირი და ნასვენი მიწებიდან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 58, 7%, ხოლო საბჭოთა მეურნეობებზე — 41, 3%; აქედან რსფსრ მოდიოდა შესაბამისად 69, 0% და 31, 0%, ხოლო ყაზახეთზე — 49,4 და 50, 6%. საერთოდ კი რსფსრ-სა და ყაზახეთში ამ პერიოდში ათვისებული იყო მთელი ათვისებული მიწების 76, 1% (პირველში — 33, 3%, მეორეში — 42, 8%, დანარჩენ რესპუბლიკებში კი 2, 4%). ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ტერიტორიულ სტრუქტურაში რუსეთის ფედერაციაში ყველაზე მაღალი ხვედრი წონა როგორც საერთოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (34,8%), ისე, ცალკეული კოლმეურნეობების (31, 4%) მიხედვით მოდიოდა დასავლეთ ციმბირისა და ურალის რაიონებზე.

ათვისების ტემპებიც თანაბარი არ იყო. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში 1954 წ. რსფსრ-ს ხვედრი წონა შეადგენდა 52, 7%, ყაზახეთის — 44, 8%, დანარჩენი რესპუბლიკების — 2, 5%. 1955 წ. კი შესაბამისად 29, 5%, 67, 4% და 3, 1%. მთლიანად ორი წლის განმავლობაში ყაზახეთში ათვისებული იყო მთელი ათვისებული მიწების 54, 4%, რსფსრ — 42, 9%, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებში — 2, 7%. როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ტემპები 1955 წ. მნიშვნელოვნად ჭარბობდა სხვა რაიონების ტემპებს. ფრიად საყურადღებოა ის, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პრობლე-

ცხრილი 7

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მაჩვენებლები 1954—1955 წწ.
(საერთო მოცულობა, ათასი ჰექტ. და ტერიტორიული სტრუქტურა %-ით)[14]

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფები	კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები						მათ შორის კოლმეურნეობები					
	1954 წ.		1955 წ.		სულ 2 წელიწადში		1954 წ.		1955 წ.		სულ 2 წელიწადში	
	სულ	%	სულ		სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%
სსრ კავშირი	18993	100	14012	100	33005	100	12074	100	7287	100	19361	100
ყაზახეთის სსრ	8531	44.8	9436	67.4	17967	54.4	4847	40.5	4007	55.0	8854	45.7
რ ს ფ ს რ	10035	52,7	4136	29 5	14167	42.9	6866	56.8	2862	39.3	9728	50.2
აქედან: დას. ციმბირის რაიონები	4624	24.2	1214	8.9	5838	17.6	3825	37.8	984	13.7	4809	24.2
აღმ. ციმბირის რაიონები	966	5.1	513	3.6	1479	4.4	740	6.1	367	5.0	1107	5.7
შორეული აღმ. რაიონები	203	1 6	82	0.6	285	0.8	166	1.4	55	0.75	221	1.1
ურალის რაიონები	2018	10.6	694	4.9	2712	8.2	1016	8.4	393	5.3	1409	7.2
ვოლგისპირეთის რაიონები	974	5.1	664	4.6	1618	5.0	316	2.6	322	4.3	638	3.3
ჩრდილოეთ კავკასიის რაიონები	470	2.4	361	2.6	831	2.5	142	1.1	174	2.3	316	1.6
რსფსრ სხვა ოლქები და ავტ. რესპუბლიკები	780	4.1	624	4.4	1404	4.2	661	5.5	568	7.7	282	4.2
სხვა რესპუბლიკები	427	2.5	444	3.1	371	2.7	361	2.7	418	5.7	787	4.1

[14] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР. Стат. сб., М., 1956, გვ. 117.

მა ძირითადად გადაწყვეტილი იყო სწორედ აღნიშნულ პერიოდში (1954—1955 წწ)., როდესაც ათვისებული ყამირი და ნასვენი მიწების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ჩართული იყო სოფლისმეურნეობრივ წარმოების ბრუნვაში. სწორედ ამ პერიოდისათვისაც დამახასიათებელი მარცვლეულის მთლიანი მოსავლის მკვეთრი ზრდაც. თუ 1953 წელს, ე. ი. ყამირის ათვისებამდე, მარცვლეულის მთლიანი მოსავალი შეადგენდა 82, 5 მლნ. ტონას, 1956 წელს თითქმის 125 მლნ. ტონა შეადგინა, ანუ გაიზარდა 1, 5-ჯერ.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად მარცვლეული კულტურების ფართობები 1955 წ., 1950 წ. შედარებით, გაიზარდა თითქმის 24 მლნ. ჰექტრით, უკვე 1959 წ. დასაწყისისათვის ათვისებული იყო ყამირი მიწები 36 მლნ. ჰექტარი, ხოლო 1974 წლისათვის სამეურნეო ბრუნვაში შეყვანილი იყო თითქმის 42 მლნ. ჰექტარი.

ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ყამირი და ნასვენი მიწების დიდი მასივების ათვისების შედეგად ბევრად გაფართოვდა მარცვლეული კულტურების საშეურნეო ბაზა, რამაც მოსავლიანობის ზრდასთან ერთად უზრუნველყო მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში (1954—1957 წწ.) მარცვლეულის მთლიანი მოსავლის გადიდება წინა ოთხ წელთან შედარებით (1950—1953 წწ.) 27, 0%-ით[15]. სულ 1954—1956 წწ-ში დამუშავდა 36 მლნ. ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, რაც მარცვლეული კულტურების სათესი ფართობების მიხედვით უფრო მეტია, ვიდრე საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ავსტრალიაში, ბელგიაში, დანიაში, ესპანეთსა და შვეიცარიაში ერთად აღებული[16].

სოფლისმეურნეობრივი ყველა კულტურის სათესი ფართობის ზრდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ძირითად რაიონებში (მლნ. ჰექტ.)[17]

	1953 წ.	1954 წ.	1955 წ.	1957 წ.	1957 წ. 1953 წ-მიმართ (რამდენჯერ)
სსრ კავშირი	157,1	166,1	185,8	193,7	1,2
აქედან:					
ყაზახეთის სსრ	9,7	11,5	20,6	28,0	2,9
ციმბირის რაიონები	18,9	22,3	26,7	27,5	1,45
ურალის რაიონები	14,0	14,9	17,0	16,6	1,2
ვოლგისპირეთის რაიონები	15,8	16,6	17,9	18,9	1,2

[15] СССР в цифрах. Стат. сб., М., 1958, გვ. 29.

[16] მთლიანად 1954—1956 წწ. ათვისებული იყო 35,9 მლნ. ჰა ყამირი და ნასვენი მიწები, ანუ ათვისებული მიწების 85,7%, აქედან ყაზახეთში — 55,4%, რსფსრ-ში 42,6%, სხვა რესპუბლიკებში — 3,0%.

[17] СССР в цифрах, 1958, გვ. 211.

საბჭოთა კავშირის აღნიშნულ რეგიონებში ხორბლეულის სათესი ფართობები 1957 წ. 1953 წ. შედარებით გაიზარდა ორჯერ. მათი ხვედრი წონა ხორბლის საერთო სათეს ფართობებში ამაღლდა 48,4%-იდან 1953 წ. 67,9%-მდე 1957 წ.[18]. ამის შედეგად ხორბლის წარმოების ძირითად ბაზად ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონები გახდა. 60—70-იან წლებში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და პირველ რიგში ეკონომიკის ამ სფეროში კაპიტალური დაბანდებების ზრდას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. მიუხედავად 50-იან წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის გაშლილი უზარმაზარი სამუშაოებისა, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები 1954—1958 წწ-ში სოფლის მეურნეობაში მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალური დაბანდებების 11,3%-ს შეადგენდა. ხოლო შვიდწლედის საკონტროლო ციფრების მიხედვით იგი არ აღემატებოდა 7, 5%. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირში აშენებული იყო გიგანტური ელექტროსადგურები, 60-იანი წლების შუახანამდე კოლმეურნეობების 12%-ს არ ჰქონდა ელექტროენერგია განათებისათვისაც კი.

სოფლის მეურნეობაში მოიხმარებოდა მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 4%, აქედან საწარმოო მიზნებისთვის მხოლოდ 2%. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს ყოველთვის, განსაკუთრებით კი ყამირი მიწების დიდი ფართობების გატეხვის შემდეგ, წარმოადგენდა და წარმოადგენს მისი ინდუსტრიალიზაცია. ამიტომ არის, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 70-იან წლებში ამ საკითხს უაღრესად დიდი ყურადღება დაეთმო. მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალდაბანდებების მოცულობა სოფლის მეურნეობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 59 წლის მანძილზე საერთო კაპიტალური დაბანდებებიდან სოფლის მეურნეობაში, რომელიც 385 მლრდ. მანეთს შეადგენდა, 212 მლრდ, ანუ 55,0%, მერვე და მეცხრე ხუთწლედებზე (1966—1975 წწ.) მოდიოდა. მეათე ხუთწლედში კი გამიზნული იყო სოფლის მეურნეობაში დასაბანდებლად 172 მლრდ. მანეთი, ანუ ათწლეულში დაბანდებულის 81,0-ზე მეტი[19].

---

[18] СССР в цифрах, 1958, გვ. 212.

[19] დაწყებული 1965 წ-დან დიდი ღონისძიებები იყო განხორციელებული სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამ დარგის განვითარებაზე კაპიტალურმა დაბანდებებმა განელილ პერიოდში შეადგინა 320 მლრდ-ზე მეტი, რაც 3,4-ჯერ აღემატება მანამდე დაბანდებულ თანხებს ყველა წლის განმავლობაში. ამის შედეგად სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიურმა მოცულობამ მეათე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში შეადგინა 125 მლრდ. მან., ანუ

სოციალისტური სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანას. ამრიგად, 60—70-იან წლებში როგორც ყამირი მიწების ათვისების, მათი ინტენსიფიკაციის ამაღლების, ისე საერთოდ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ყოველმხრივი და მასობრივი ინტენსიფიკაციის იდეა რეალურად იქნა ხორცშესხმული და მიმდინარეობს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენების საფუძველზე. ეს იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაშია ყოველმხრივად განვითარებული ეკონომიკური და ტექნიკური ბაზა, ძლიერი მატერიალური და ფინანსური რესურსები. ამან შესანიშნავი ეკონომიკური და სოციალური შედეგები მოგვცა. სათესი ფართობების საერთო მოცულობა 1975 წ. 1950 წ. შედარებით სსრ კავშირში გაიზარდა 71, 4 მლნ ჰექტრით, მათ შორის 42 მლნ. ჰექტარს, ანუ 58, 8%, შეადგენდა ყამირი და ნასვენი მიწები. ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგს მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების ზრდა წარმოადგენს.

მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (კილოგრამობით)[20]

	1950 წ.	1953 წ.	1965 წ.	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
წარმოება	455	439	528	876	759	912
დამზადება	181	165	158	361	264	369

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 60-იან და 70-იან წლებში მარცვლეულის წარმოება და დამზადება ყამირი მიწების ათვისებისა და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად მკვეთრად გაიზარდა. ამ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის მოსავლიანობაც.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ყაზახეთის სს რესპუბლიკამ. ჯერ კიდევ 1958 წელს 1950 წელთან შედარებით თუ სსრ კავშირში მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გაიზარდა 1, 7-ჯერ (81, 2 მლნ. ტონიდან 134, 7 მლნ. ტონამ-

---

ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე ამავე პერიოდში მარტის (1965 წ.) პლენუმამდე (იხ. А. И. Косыгин, Творческая сила Великих идей Октября, გაზ. «Правда», 05. II. 78, გვ. 2).

[20] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1965 г., გვ. 7, 262, 268.

დე), ყაზახეთში იგი 4, 6-ჯერ (4, 7 მლნ. ტონიდან 21, 9 მლნ. ტონამდე) გაიზარდა, ხოლო მისი ხვედრი წონა მარცვლეულის მთლიან მოსავალში ამაღლდა 5, 8%-იდან 1950 წ. 16, 3%-მდე 1958 წ.[22] უფრო მეტად გაიზარდა ყაზახეთში მარცვლეულის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ. მაგ., თუ 1950 წ. შესყიდული იყო 2, 1 მლნ. ტონა, 1958 წ. ყაზახეთმა სახელმწიფოს მიჰყიდა უკვე 14, 8 მლნ. ტონა, ანუ 6, 9-ჯერ მეტი[23].

მარცვლეულის მოსავლიანობის დინამიკა 1940—1978 წწ. (ცენტნერი I ჰექტარზე)[21]

	1940 წ.	1966—70 წწ. საშუალო წლიური	1971—75 წწ. საშუალო წლიური	1976—78 წწ. საშუალო წლიური	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
სსრკ	8.6	13,7	14,7	17,0	17,5	15,0	18,5
რსფსრ	7,9	13,5	13,7	16,0	15,5	13,9	17,7
უკრაინის სსრ	12,4	21,4	24,7	28,7	27,9	27,9	30,3
ყაზახეთის სსრ	4,3	7,4	9,5	9,9	11,7	7,0	11,0

საერთოდ კი ყაზახეთის სსრ ხვედრი წონა სახელმწიფოს მიერ მარცვლეულის საერთო შესყიდვაში ამაღლდა და იგი შეადგენდა 1940 წ. — 3, 5%, 1976 წ. — 21, 2%, 1977 წ. — 12, 0%, ხოლო 1978 წ. — 17, 4%-ს.

აღსანიშნავია, რომ 1976 წ. მარცვლეულის მთელი მოსავლიდან (223 755 ათასი ტონა) სახელმწიფოს მიერ შესყიდული იყო 92127 ათასი ტონა, ანუ 41,1%, ყაზახეთში კი 29826 ათასი ტონა საერთო მოსავლიდან შესყიდული იყო 19620 ათასი ტონა, ანუ 65, 8[24]. ამგვარი მნიშვნელოვანი განსხვავება საშუალო საკავშირო და ყაზახეთის სსრ მაჩვენებლებს შორის იმით აიხსნება, რომ ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში დიდი როლი შეასრულა ახალი საბჭოთა მეურნეობების მასობრივმა შექმნამ.

საგულისხმოა, რომ არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში ისეთი მაღალი ხვედრი წონა არ უკა-

[21] Народное хозяйство СССР в 1978г., გვ. 221. საქართველოში მარცვლეულის მოსავლიანობა 1 ჰექტარზე მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით შეადგენდა 1940 წ. 6,6 ცენტნერს; 1966—1970 წწ. საშუალოდ წლიურად —14,6; 1971—1975 წწ. 18,5; 1976 წ—1977 წ. 20,4; 1976 წ.—20,9; 1977 წ—19,8; 1978 წ.—20,1 ცენტნერს (იქვე).

[22] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1964 г., გვ. 296.

[23] Народное хозяйство СССР в 1964 г., გვ. 325.

[24] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1977 г., გვ. 229.

ვია საბჭოთა მეურნეობებს, როგორც ყაზახეთში. აქ სოფლის მეურნეობის სავარგულების საერთო ფართობებში საბჭოთა და სხვა სახელმწიფოებრივი მეურნეობების ხვედრი წონა თითქმის 92%-ს შეადგენს. სწორედ ამან განაპირობა ყაზახეთის ამგვარი მაღალი ხვედრი წონა როგორც მარცვლეულის წარმოებაში, ისე, განსაკუთრებით, მის სახელმწიფოებრივ შესყიდვაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 5,8 მლრდ. ფუთი მარცვლეულიდან. რომელიც სახელმწიფოს მიერ იქნა შესყიდული, 1976 წ. 1, 2 მლრდ. ფუთი, ანუ 20,0%-ზე მეტი ყაზახეთზე მოდიოდა. ეს მეტყველებს უაღრესად მნიშვნელოვან არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ცვლილებებზედაც, რომელიც ყაზახეთში მოხდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებასთან დაკავშირებით. ათვისებული ყამირი და ნასვენი მიწების საერთო რაოდენობის (42 მლნ. ჰექტარი) 51,9% (ანუ 25 მლნ. ჰექტარი) ყაზახეთზე მოდის[25]. 24 წლის განმავლობაში (1954—1977 წწ). ყაზახეთმა მისცა სახელმწიფოს 250 მლნ. ტონა, ანუ 15, 5 მლრდ. ფუთი ხორბალი, ე. ი. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ყამირის გატეხვის შედეგად მიღებული ხორბლის (31 მლრდ. ფუთი) ნახევარი ყაზახეთში იყო წარმოებული[26].

---

[25] 1979 წ. ყაზახეთმა მისცა სახელმწიფოს 20,5 მლნ. ტონა, ანუ 1 მლრდ. 250 მლნ. ფუთი პური (იხ. გაზ. «Правда», 05. II. 79, გვ. 2). მარტო ყაზახეთში ათვისებულია 250 ათასი კვადრატული კილომეტრი ყამირი მიწა. ეს საქართველოს საერთო ტერიტორიაზე 3,6-ჯერ მეტია.

[26] გაზეთი „Правда" 08. 12. 78 წ. სულ 1954—1979 წწ. ყახახეთში დამზადებული იყო 290 მლნ. ტონა, ანუ 18,1 მლრდ. ფუთი მარცვალი (იხ. გაზ. «Правда», 05. 11. 79. გვ. 2).

მარცვლეულის ჩაბარების რესპუბლიკური სტრუქტურა
(აბსოლუტური მონაცემები, მლნ ფუთი)

ოლქები:		
კუსტანაის	.229	18,3%
ცელინოგრადის	.203	16,2%
კოკჩეტავის	.142	11,4%
ტურგაის . .	.118	.9,4%
ჩრდილოეთ ყაზახეთის . . .	.100	.8,0%
დანარჩენ 11 ოლქში (რომლებიც აწარმოებენ მარცვლეულს) .	.458	. .36,7%
სულ	1250	100%

ამრიგად, მხოლოდ ხუთმა ოლქმა (ყაზახეთში სულ 19 ოლქია) მიჰყიდა სახელმწიფოს თითქმის 800 მლნ. ფუთი ხორბალი. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის 48 რაიონმა ჩააბარა თითოეულმა საშუალოდ 10 მლნ-ზე მეტი ფუთი მარცვლეული, ხოლო 20 მლნ. ფუთი და უფრო მეტი — 12 რაიონმა (იხ. გაზ. «Правда», 05. II. 79, გვ. 2).

ყამირი და ნასვენი მიწების საერთო ფართობების ათვისებაში დიდი ადგილი უკავია რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას. აქ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ათვისებული იყო 17 მლნ. ჰექტარი, ანუ მთელი ათვისებული ფართობების 38,1%. ყამირი ათვისებული იყო ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებში, ნოვოსიბირსკის, ორენბურგისა და ომსკის ოლქებში, ვოლგისპირეთში და ურალზე, შორეულ აღმოსავლეთში. ქვეყნის ამ ტერიტორიებზე ათვისებული ყამირი მიწები მთელი სათესი ფართობების ერთ მეოთხედს შეადგენს. მაგ., ორენბურგის ოლქში ყამირი მიწების ხვედრი წონა საერთო ფართობის 27,0%-ს შეადგენს, ხოლო ამ ფართობზე დამზადებულ ხორბლეულის — 25,0%. ყამირი და ნასვენი მიწების მეურნეობრივ ათვისებას მოჰყვა სახელმწიფოს მარცვლეულით უზრუნველყოფის ტერიტორიული სტრუქტურის შეცვლა.

სსრ კავშირის მარცვლეულით უზრუნველყოფის ტერიტორიული სტრუქტურა (სახელმწიფოს მიერ მარცვლეულის შესყიდვის საერთო მოცულობაში, %-ით)[27]

	1940 წ.	1976 წ.
რსფსრ	66,5	57,0
უკრაინის სსრ	25,7	16,2
ყაზახეთის სსრ	3,5	21,3
დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები	4,5	5,5

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, სახელმწიფო მარცვლეულით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ყაზახეთის როლი, შეიცვალა მარცვლეულის მთლიანი მოსავლის რესპუბლიკური სტრუქტურაც.

მარცვლეულის მთლიანი მოსავლის რესპუბლიკათაშორისო (ტერიტორიული) სტრუქტურა (%-ით)[28]

	1940 წ.	1976 წ.	1977 წ.
რსფსრ	58,3	56,7	55,6
უკრაინის სსრ	27,0	20,1	25,0
ყაზახეთის სსრ	3,0	13,3	9,4
დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები	11,7	9,9	10,0

1976 წ. მარცვლეულის საერთო მოსავალი შეადგენდა 223755 ათას ტონას, ანუ დაახლოებით 14 მლრდ. ფუთს, ყაზახეთში კი შესაბამისად 29826 ათას ტონას, ანუ დაახლოებით — 1,9 მლრდ. ფუთს.

---

[27] გაანგარიშებულია Народное хозяйство СССР за 1977 г. გვ. 229.

[28] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1977 г. გვ. 229.

1978 წ. კი სსრ კავშირში მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა 237,2 მლნ. ტონა, ანუ 14,8 მლრდ. ფუთი, ყაზახეთში კი თითქმის 27,9 მლნ. ტონა, ანუ 1,7 მლრდ. ფუთი.

როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ყაზახეთის სსრ უფრო მაღალი ხვედრი წონა უკავია სახელმწიფოს მიერ მარცვლეულის შესყიდვაში, ვიდრე მარცვლეულის მთლიან მოსავალში. ეს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აიხსნება იმით, რომ ყამირი მიწების ათვისებამ ამ მოკავშირე რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად აამაღლა საბჭოთა მეურნეობების როლი სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში.

გარკვეულმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია სოციალური ცვლილებებიც, რაც დამახასიათებელია სოციალისტური სისტემისათვის. ყამირი და ნასვენი მიწების ამგვარმა ათვისებამ აამაღლა სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრების დონე და მნიშვნელობაც. საბჭოთა მეურნეობებმა არა მარტო მეცხოველეობასა და ხარისხიანი სათესლე მასალის წარმოებაში, არამედ მარცვლეულის წარმოებაშიც წამყვანი ადგილი დაიკავეს. მაგ., თუ 1940 წ. მარცვლეულის საერთო წარმოებაში საბჭოთა მეურნეობების ხვედრი წონა მხოლოდ 8,0% შეადგენდა, 1965 წ. — 37,0%, ხოლო 1977 წ. 44,0 % მიაღწია.

ამრიგად, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად: ა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა მარცვლეულისა და მეცხოველეობის ახალი მძლავრი და გარანტირებული ბაზა; ბ. მნიშვნელოვნად გაძლიერდა საბჭოთა და სხვა სახელმწიფოებრივი მეურნეობების როლი სოფლის მეურნეობაში. გ. არსებითად შეიცვალა მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების ტერიტორიული სტრუქტურა.

შეიქმნა პირობა მყარი სოფლისმეურნეობრივი წარმოებისა და მარცვლეულის აუცილებელი რაოდენობით გარანტირებული წარმოების უზრუნველყოფისათვის მთელს ქვეყანაში.

მართალია, ჯერ კიდევ არ არის ყველა პრობლემა გადაწყვეტილი, ამიტომაც ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიწათმოქმედების კულტურის კიდევ უფრო ამაღლებას, მოსავლიანობის ზრდას, ნიადაგის დამცველი მიწათმოქმედების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც გვალვიანობის პირობებშიც უზრუნველყოფს მაღალ მოსავლიანობას. მიმდინარეობს ყამირი და ნასვენი მიწების რაიონების ინდუსტრიალიზაცია. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, უეჭველია, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ რაიონებიდან მარცვლეულის მოსავლის გარანტირებული მოცულობით მიღებას[29].

---

[29] სოფლის მეურნეობის სპეციალისტების აზრით, ათვისებული ყამირი და ნასვენი მიწების ფართობებზე არსებობს შესაძლებლობა უახლოეს წლებში ერთ ჰექტარზე მარ-

1979 წ. საბჭოთა ხალხმა აღნიშნა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების 25 წლისთავი. ეს მით უმეტეს ღირსშესანიშნავია, რომ ამ ისტორიულ ეპოპეასთან დაკავშირებულია პრინციპულად ახალი ტიპის მეურნეობრიობის შექმნა, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებს.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, მთელი მისი მუშაობის ორგანიზაცია კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ ხდება მეცნიერებისა და პრაქტიკის ორგანული შერწყმა, რას წარმოადგენს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. ყამირი მიწების ათვისებაში ფრიად მაღალი შეფისება დაიმსახურეს მეცნიერებმა, რომელნიც თავდაუზოგავად ჩაებნენ ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმეში, მხარში ამოუდგნენ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, უაღრესად დიდი საერთო სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გამოცდილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის, განსაკუთრებით კი მათი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. დიდი მუშაობაა გაშლილი რუსეთის არაშავნიადაგიანი მიწების ათვისებისათვის.

მართალია, საქართველოს არა აქვს ისეთი აუთვისებელი მიწის ფართობები, როგორიც იყო და ჯერ კიდევ არის ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რეგიონში, მაგრამ განა ყველა შესაძლებლობაა გამოყენებული რესპუბლიკაში უნიკალური სოფლისმეურნეობრივი კულტურების: ქართული ვაზის, ქართული ჩაისა და ციტრუსების, სურნელოვანი ქართული ხილის და სხვა სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის? მათ ხომ მუდმივი მზრუნველობა და ყურადღება ესაჭიროება, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს დიდ მეჩხერიანობას, დაბალ მოსავლიანობას და მცირე პროდუქტიულობას. ჯერ კიდევ საკმარისად არ ინერგება მოწინავე ტექნიკა, ნიადაგისა და მცენარეების დამუშავების ტექნოლოგია. ჯერ კიდევ მცირეა მრეწველობის დახმარება სოფლის მეურნეობისადმი. ამავე დროს, ამ კულტურებს არა მარტო შიდარესპუბლიკური, არამედ საერთო საკავშირო მნიშვნელობაც აქვთ.

უაღრესად დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება კოლხეთის დაბლობის მიწების სამეურნეო ათვისებას, სადაც უკა-

---

ცვლეულის მოსავლიანობა ამაღლდეს 20 ცენტნერამდე (1979 წ. ამ საზღვარს მიაღწია ყაზახეთის რესპუბლიკის ათეულმა რაიონმა და ასეულმა მეურნეობამ, ზოგმა შრომითმა კოლექტივმა იკი გადააჭარბა კიდეც. გაზ. «Правда», 05. 11. 79. გვ. 2), ხოლო ყველა გვალვიან წელსაც კი, რომელიც შეიძლება ხუთ წელიწადში ერთხელ მოგვეელინოს, სახელმწიფომ მაინც მიიღოს 500 მლნ. ფუთი პური.

ნასკნელ პერიოდში სამუშაოები საგრძნობლად გამოცოცხლდა, ეს ხომ საქართველოს ყამირია, რომელიც ათვისებული უნდა იქნეს უახლოეს პერიოდში.

მომწიფებული სოციალიზმის ეკონომიკის სტადიაზე სოფლის მეურნეობა ვითარდება სკკპ მიერ 60-იანი წლების მეორე და 70-იანი წლების პირველ ნახევარში შემუშავებული გრძელვადიანი კომპლექსური აგრარული პროგრამის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემას. ამის მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის ზრდის მთავარ გზას თანამედროვე ეტაპზე სოფლისმეურნეობრივი წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაცია წარმოადგენს. ეს კი კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს მეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის განვითარების იმ პროცესში, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში როგორც მთლიანად, ისე მოკავშირე რესპუბლიკებში.

თანამედროვე ეტაპზე სოფლისმეურნეობრივი წარმოების შემდგომ განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სკკპ ცკ-ის ივლისის (3—4, 1978 წ.) პლენუმს[30]. ცნობილია, რომ მარტის (1965 წ.) პლენუმის შემდგომ, რომელმაც დასაწყისი მისცა პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის განვითარების ახალ ეტაპს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობამ დიდი ნაბიჯი გადადგა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხრივ. მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩამოყალიბდა მზარდი ინდუსტრიული კომპლექსი, რომელიც გამიზნულია სოფლის მეურნეობის განუხრელი ზრდისათვის. ბევრად გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობა, ენერგეტიკული სიმძლავრეები. წარმატებით ვითარდება მიწების ქიმიზაცია და მელიორაცია. ფართო გასაქანი მოიპოვეს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციამ და კონცენტრაციამ. გატარებულია სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მისი წარმოების ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

როგორც აღნიშნულია სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებში, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო დონე ჯერ კიდევ არ პასუხობს საზოგადოების სწრაფად მზარდ მოთხოვნებს. საჭიროა

---

[30] იხ. გაზ. «Правда», 09. 07. 78, გვ. 1.

სათანადო ღონისძიებათა გატარება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რათა უახლოეს დროში უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებები სასურსათო პროდუქტებზე და მრეწველობისა ნედლეულზე. მთავარი ამოცანა, რომელიც დასმულია სოფლის მეურნეობის წინაშე, მოითხოვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ყოველმხრივ, დინამიკურ განვითარებას, სიმყარეს და საიმედობას ქვეყნის სურსათით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომარაგებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, ქალაქსა და სოფელს შორის მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების ამოცანის გადაწყვეტა.

გამომდინარე აქედან, დასმულია ამოცანა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში (1981—1985 წწ.) მიღებული იქნეს მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი 238—243 მლნ. ტონამდე, ხოლო 1990 წლისათვის — მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საშუალოდ ერთ ტონამდე. ამგვარი მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გეგმაზომიერად გადაყვანილ იქნეს იგი ინდუსტრიულ საფუძველზე.

ამიტომ თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაცია მისი ყოველმხრივი მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მიწების მელიორაციის საფუძველზე რჩება პარტიის აგრარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებად. ახალ ხუთწლედში უნდა დამთავრდეს ყველა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და მაქსიმალურად ამაღლდეს მექანიზაციის დონე მეცხოველეობაში.

ამჟამად პირველ პლანზეა წამოწეული მეცხოველეობის უფრო სწრაფი განვითარების ამოცანა. მარცვლეულის წარმოება წინანდებურად წამყვან უბნადაა მიჩნეული სოფლის მეურნეობაში, ხოლო მისი მოსავლიანობა აყვანილი უნდა იქნეს საშუალოდ 20 ცენტნერამდე ჰექტარზე. ამასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაუმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ კოლექტივთა მატერიალური დაინტერესების სისტემა, რომლებიც მიაღწევენ მაღალ საწარმოო და სახელმწიფოსადმი პროდუქტების მიყიდვის მაჩვენებლებს. ამასთანავე ეს მეტად დაუკავშირდება მათი შრომის შედეგიანობას, საწარმოო ფონდებისა და საწარმოო რეზერვების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ დარგში მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობას, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. სკკპ ცკ-მა 70-იან და 80-იან წლებში მიიღო რიგი დადგენილება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

აღნიშნული დადგენილებები ფრიად მნიშვნელოვანია და შეეხება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხს. კერძოდ, ისინი ეხებიან სოფლისმეურნეობრივი წარმოების კომპლექსური მექანიზაციის შემდგომ განვითარებას და მის მაღალ მწარმოებლურ, ახალი თვისებების მქონე ტექნიკით აღჭურვას, საკვების წარმოების გაზრდას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ამისათვის კი შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნას და მრეწველობის სათანადო დარგების განვითარებას, მეცხოველეობის საჯიშე მეურნეობებისა და ვეტერინარული მომსახურეობის გაუმჯობესებას, შაქრის ჭარხლის წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ქიმიზაციას, სიმინდის სელექციისა და სათესლე მეურნეობის სრულყოფას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სოფლად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განვითარებას და სხვ.

აღნიშნულ დადგენილებებში მოცემულია გაშლილი პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სათანადო დარგებში დასაქმებულთა ეკონომიკური და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საერთოდ რესპუბლიკის ეკონომიკური აღმავლობისათვის, როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკკპ და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 27 სექტემბრის დადგენილებას „საქართველოს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ"[31].

აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია დიდი კაპიტალური დაბანდებები, სერიოზულ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელება, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა; დასახულია დასაშრობ და სამელიორაციო სამუშაოთა და გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების, მეცხოველეობის დიდი კომპლექსების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საცავებისა

---

[31] Коммунистическая партия Грузии в резолюциях и решениях съездов конференций и пленумов в ЦК, т. 4, 1980, გვ. 42—52.

და მაცივრების, გზების მშენებლობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მაღალი ტემპები.

ამ პროგრამის განხორციელება, რომელიც გამიზნულია მეტწილად 1981—85 და 1990 წლებისათვის, ძირითადად გადაწყვეტს აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესის პრობლემებს რესპუბლიკაში. შეთანაწყობილად იქნება განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მისი ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის, განსაკუთრებით მისი ისეთი დარგების ეფექტიანობას, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან სოფლისმეურნეობრივ წარმოებას. საერთოდ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ამაღლდება რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა. ამაში კი, როგორც აღნიშნული იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, უპირველესი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ მისი ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე.

თავი მეექვსე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა

ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა გამოიხატება ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობაში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. მას უაღრესად დიდი როლი ენიჭება სოციალისტური კვლავწარმოების პროცესში, მისი ტემპების დაჩქარებაში. ამასთან ფონდუზრუნველყოფის დონე მოქმედებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონეზეც. რამდენადაც მაღალია ის, იმდენად მაღალია საზოგადოებრივი წარმოების ორგანული შედგენილობა. ეს კი ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ფონდუზრუნველყოფის დონეს განაპირობებს როგორც ძირითადი წარმოებრივი ფონდების კვლავწარმოების ტემპები, ისე ფონდათვისების დონე. აღსანიშნავია, რომ 10 წლის მანძილზე (1965—1975 წწ.) ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა საბჭოთა კავშირში გაიზარდა 360 მლრდ. მანეთიდან 806 მლრდ. მანეთამდე, ანუ 2, 25-ჯერ.

როგორც ვხედავთ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მხოლოდ ერთი ათეული წლის განმავლობაში ძირითადი წარმოებრივი ფონდები ჩვენს ქვეყანაში გაორკეცდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ წარმოების სფეროს დარგებში ძირითადი წარმოებრივი ფონდები გაიზარდა 1, 91-ჯერ. მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის, კერძოდ საქართველოსათვის, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში დამახასიათებელია ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის მაღალი დინამიზმი.

სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდა აღნიშნულ პერიოდში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა[1].

---

[1] Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 59; Грузинская ССР в цифрах в 1976 г., გვ. 25.

	სსრკ	საქართველოს სსრ
მრეწველობაში	2,30-ჯერ	1,87
სოფლის მეურნეობაში (პირუტყვის ჩათვლით)	2,27	1,79
პირუტყვის გარეშე	2,61	2,01
ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში	2,08	1,97
მშენებლობაზე	2,94	2,21
არასაწარმოო ძირითადი ფონდები	1,87	1,62

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მატერიალური სფეროს ცალკეულ დარგთა მიხედვით ძირითადი წარმოებრივი ფონდები სსრ კავშირში ერთი ათეული წლის განმავლობაში გაიზარდა 2—2, 9, ხოლო საქართველოში 1, 8—2, 2 ფარგლებში. აქედან შედარებით მცირე ზრდა დამახასიათებელი იყო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში. ჩვენს რესპუბლიკაში მიუხედავად ძირითადი წარმოებრივი ფონდების მნიშვნელოვანი ზრდისა მათი კვლავწარმოების ტემპები როგორც საერთოდ მატერიალური წარმოების სფეროში, ისე ამ სფეროს ძირითად დარგებში რამდენადმე ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებს. ეს ტენდენციები დამახასიათებელია მაშინაც, როდესაც აღნიშნულ მონაცემებს ვადარებთ 1970 წ.[2] ამ თვალთახედვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებიც რესპუბლიკაში რამდენადმე ჩამორჩება შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, თუ როგორი ტემპებია ძირითადი წარმოებრივი ფონდების კვლავწარმოებაში ამ პერიოდისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში მთლიანად და დარგების მიხედვით.

---

[2] ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდა 1975 წ. შედარებით 1970 წ.

	სსრკ	საქართველოს სსრ
ყველა ძირითადი ფონდი (პირუტყვის ჩათვლით)	1,46	1,34
ძირითადი წარმოებრივი ფონდები	1,52	1,40
მათ შორის:		
მრეწველობაში	1,51	1,37
სოფლის მეურნეობაში:		
ა. პირუტყვის ჩათვლით	1,62	1,38
ბ. პირუტყვის გარეშე	1,72	1,45
ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში	1,48	1,38
მშენებლობაზე	1,61	1,47
არასაწარმოო ძირითადი ფონდები	1,37	1,27

(Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 59; Грузинская ССР в цифрах в 1976 г., გვ. 24).

ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპების შეფარდებები საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1965—1975 წწ. (%-ით 1965 წ.)[3]

	1970 წ.	—K-*	K1**	1975 წ.	K	K1
ყველა ძირითადი ფონდი	33,4	1,0	—	78,8	1,0	—
მათ შორის:						
ძირითადი წარმოებრივი ფონდები	37,5	1,16	1,0	91,1	1,16	1,0
აქედან:						
მრეწველობის	36,7	1,10	0,97	86,9	1,1%	0,95
სოფლის მეურნეობის (პირუტყვის ჩათვლით)	29,4	0,91	0,78	78,8	1,09	0,86
ტრანსპორტის	41,5	1,25	1,09	99,0	1,26	1,08
კავშირგაბმულობის	57,1	1,72	1,50	1,70	2,25	1,93
მშენებლობის	49,5	1,48	1,32	120,6	1,53	1,32

* წინმსწრები კოეფიციენტი ყველა ძირითადი ფონდის მიმართ.

** იგივე ძირითადი წარმოებრივი ფონდების მიმართ.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ არასაწარმოო ფონდები იზრდებოდნენ შედარებით უფრო ნელა (მაგ., 1970 წ. 1965 წ. შედარებით ისინი გაიზარდნენ 27,7%, ხოლო 1975—61,6%), მაშინ ნათელია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ზრდა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე (1965—1975 წწ.) მიმდინარეობდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ხარჯზე, ანუ მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა უფრო სწრაფი განვითარებით. მაგრამ აღნიშნული სფეროს განვითარებაშიც, რომელიც უმეტესად ექსტენსიური პროცესით ხასიათდებოდა, იყო გარკვეული თავისებურებანი, რომელიც გამოიხატებოდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების უფრო სწრაფი განვითარებით ისეთ დარგებში, როგორიცაა: კავშირგაბმულობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, შედარებით ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდასთან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

აქედან აღსანიშნავია, რომ ამ დარგებს როგორც ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში (1975 წ. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას — 2,8%, მშენებლობას — 9,7%), ისე ეროვნულ შემოსავალში (შესაბამისად 3,6% და 10,0%) შედარებით დაბალი ხვედრი წონა უკავია.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში წარმოებრივი ფონდები 2,3-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე მრეწველობაში, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა — 3,4-ჯერ.

საქართველოში წარმოებრივი ფონდები სოფლის მეურნეობაში 1,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მრეწველობაში, დასაქმებულთა რა-

[3] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 32; Грузинская ССР в цифрах в 1976 г., გვ. 25.

ოდენობა კი 1,4-ჯერ. საერთოდ კი მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში ძირითადი ფონდების უფრო სწრაფი ზრდა დადებითი მოვლენაა, იგი დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის და ხელს უწყობს სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებას. ეს კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის ზრდაში.

საქართველოს ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები 1965—1975 წწ.[4]

	1965 წ.	1970 წ.	1975. წ.	1975—1965 წწ. მიმართ (რამდენჯერ)
სსრკ (მანეთი)	1568	2197	3182	2,03
საქართველოს სსრ (მანეთი)	1121	1468	2074	1,85
საქართველოს სსრ %-ით სსრ კავშირის მიმართ	71,4	66,8	65,2	—

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის ზრდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია როგორც საერთოდ[5], ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით როგორც მთლიანად ეკონომიკისათვის, ისე სანალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისათვისაც. მაგ., თუ გავიანგარიშებთ ფონდუზრუნველყოფას სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მთელი მოსახლეობის მიმართ, მივიღებთ სურათს, რომელიც შესადარისი იქნება საერთოდ ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფასთან.

საქართველოს ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები დარგების მიხედვით (გაანგარიშებული მთელი მოსახლეობის ერთ სულზე, მანეთობით)

	1970 წ.		1975 წ.		საქართველოს სსრ %-ით სსრ კავშირთან	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	1970 წ.	1975 წ.
მრეწველობის	1055	623	1512	823	59,0	54,4
სოფლის მეურნეობის	438	439	663	553	100,0	83,4

---

[4] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г. გვ. 7,58, 535; Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 10; Грузинская ССР в цифрах в 1975 году, გვ. 9; Грузинская ССР в цифрах в 1976 году, გვ. 104.

[5] საბჭოთა ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფისა და ფონდშეიარაღებულობის ზრდის ტემპების შეფარდებები (%-ით)

	1956—1965 წწ.	1966—1975 წწ.	1955—1975 წწ.
ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის ზრდა(ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე)	205	212	435

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის	484	257	679	494	53,1	72,7
მშენებლობის	91	58	138	89	63,7	64,4
ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მატერიალური სფეროს წარმოების სხვა დარგების	128	88	181	125	68,7	69,0
არასაწარმოო ძირითადი ფონდები	1361	1058	1784	1250	77,7	70,2

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ფონდუზრუნველყოფა იზრდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერი მოვლენაა. ამასთანავე, მისი ზრდა დარგების მიხედვით რამდენადმე არაპროპორციულია. მაგ., სსრკ მრეწველობაში 1975 წ. 1970 წ. შედარებით იგი გაიზარდა 1,43-ჯერ, სოფლის მეურნეობაში — 1,51-ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 1,40-ჯერ, მშენებლობაში — 1,51-ჯერ, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მატერიალური სფეროს წარმოების სხვა დარგებში — 1,41-ჯერ, ხოლო არაწარმოებრივი ძირითადი ფონდები — 1,31-ჯერ.

საქართველოში აღნიშნული მონაცემები შესაბამისად გაიზარდა — 1,32, 1,25, 1,92, 1,53, 1,42 და 1,18-ჯერ. მათი ხვედრი წონა სათანადო საკავშირო მონაცემებში, გარდა სოფლის მეურნეობისა, მერყეობდა 1970 წ. 53—69 %, ხოლო 1975 წ. 54—73 % ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ამ ეკონომიკური მონაცემების მიხედვით 1970 წ. ყველაზე დაბალ დონეზე იმყოფებოდა საქართველოს მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და მშენებლობა (53—64% ფარგლებში), ხოლო შედარებით უფრო მაღალ დონეზე (69%) ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, დამზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და მატერიალური სფეროს წარმოების სხვა დარგები. საერთოდ საქართველოს ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონა შესაბამის საკავშირო მონაცემებში შეადგენ-

---

შრომის ფონდშეირაღებულობის ზრდა (ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობა მატერიალურ წარმოებაში ერთ დასაქმებულზე)	200	195	390
ფონდუზრუნველყოფისა და ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპების შეფარდება.	1,03	1,09	1,12

(ჟურნ. «Плановое хозяйство», № 6, 1977, გვ. 53).

და 1970 წ. — 1,29%, 1975 წ. — 1,27%[6]. მატერიალური წარმოების სფეროს დარგებთან შედარებით როგორც მთლიანად, ისე ცალკეული დარგების მიხედვით არაწარმოებრივი ძირითადი ფონდების მაჩვენებელი უფრო მაღალი დონით (78%) ხასიათდებოდა.

ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის მონაცემების მიხედვით საერთო-საშუალო მაჩვენებელთან შედარებით უფრო დაბალი დონით ხასიათდებოდა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და მშენებლობა[7], ხოლო უფრო მაღალი ერთობლივი მაჩვენებლებით — მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგები.

ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა და მისი ზრდის ტემპები და პროპორციები, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, არსებით გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის, მთელი საზოგადოებრივი წარმოების, წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების დარგობრივ სტრუქტურაზე.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები მატერიალური წარმოების სფეროში, ისე როგორც მათი ზრდის ტემპები, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი წარმოების ორგანულ შედგენილობაზე. წარმოების ორგანული შედგენილობის ზრდა როგორც საერთოდ საზოგადოებრივ წარმოებაში, ისე მატერიალური სფეროს ცალკეული დარგის მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამიტომ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია როგორც საწარმოო სფეროში, ისე საერთოდ სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი პროგრესული ცვლილებები.

---

[6] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 58, Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 10.

[7] მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფონდუზრუნველყოფა, გაანგარიშებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე, შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა (მანეთობით):

	1970 წ. სსრკ	1970 წ. სსრ	1975 წ. სსრკ	1975 წ. სსრ	საქართველოს სსრ % სსრ კავშირთან 1970 წ.	1975 წ.
მრეწველობის (ქალაქის მოსახლეობის ერთ სულზე)	1882	1305	2515	1655	69,3	65,8
სოფლის მეურნეობის (სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე) .	1003	841	1677	1100	83,8	65,9

ძირითადი ფონდების დარგობრივი სტრუქტურა სახალხო მეურნეობაში (ყველა ძირითადი ფონდი — 100%)[8]

	1965 წ.		1970 წ.		1975 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
საწარმოო ძირითადი ფონდები	59,9	56,4	61,7	58,1	64,1	62,5
მრეწველობის	27,9	24,3	29,6	24,7	30,6	24,7
სოფლის მეურნეობის	12,9	17,4	12,4	17,4	13,4	16,6
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის	13,8	9,6	13,6	10,2	13,6	14,8
მშენებლობის	1,9	2,1	2,5	2,3	2,8	2,7
ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და მატერიალურ სფეროს წარმოების სხვა დარგების	3,4	3,0	3,6	3,5	3,7	3,7
არასაწარმოო ძირითადი ფონდები	40,1	43,6	38,3	41,9	35,9	37,5

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1965—1975 წწ. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონა მაღლდება ყველა ძირითადი ფონდის საერთო ღირებულებაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდებში, შესაბამის საკავშირო მონაცემებთან შედარებით, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონა უფრო დაბალია, ხოლო არაწარმოებრივი ძირითადი ფონდებისა უფრო მაღალი. საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელია ძირითადი წარმოებრივი ფონდების უფრო სწრაფი ზრდა არაწარმოებრივ ძირითად ფონდებთან შედარებით. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ არასაწარმოო დარგთა ზრდა და განვითარება მატერიალური წარმოების დარგთა ეფექტური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

რასაკვირველია, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება, განსაკუთრებით განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების პირობებში, ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან, ზემოქმედებენ

---

[8] ამგვარი გაანგარიშების მიხედვით მაჩვენებელი მრეწველობაში რამდენადმე მაღლდება, ხოლო სოფლის მეურნეობაში დაბლდება, აღსანიშნავია ისიც, რომ მრეწველობასთან შედარებით ფონდუზრუნველყოფა სოფლის მეურნეობაში შეადგენს სსრ კავშირში 66,2%, ხოლო საქართველოში — 66,4%. Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 58; საბჭოთა საქართველოს 50 წელი, გვ. 54; Народное хозяйство СССР за 60 лет, юбилейный стат. ежегод. 1977 г., გვ. 80; Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 г., გვ. 26. 1970 წ. საქართველოში ყველა ძირითადი ფონდის ღირებულება შეადგენდა 11.836 მლნ. მანეთს. აქედან ძირითადი საწარმოო ფონდები შეადგენდნენ— 6. 877 მლნ. მანეთს, ხოლო არასაწარმოო ძირითადი ფონდები—4. 959 მლნ. მანეთს. 1980 წ. დამლევისათვის ძირითადი საწარმოო ფონდები 1973 წ. ფასებში შეადგენდნენ 16600 მლნ. მანეთს (იხ. Грузия в цифрах, გვ. 33).

ერთმანეთზე, მაგრამ წამყვანი ადგილი საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში მატერიალური სფეროს დარგებს, მათ ძირითად წარმოებრივ ფონდებს უკავია. მაგ., 1965 წელთან შედარებით 1970 წ. საქართველოს ძირითადი წარმოებრივი ფონდები გაიზარდა 37,5%, ხოლო 1975 წ. — 91,1%, არაწარმოებრივი ძირითადი ფონდები კი შესაბამისად 27,7 და 61,6%. განსხვავება მათ შორის 1970 წ. იყო 9,8, ხოლო 1975 წ. — 29,5 პუნქტი[9]. ის, თუ რამდენად სწორადაა ჩამოყალიბებული პროპორციები მათ შორის ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში, დამოკიდებულია ობიექტური ეკონომიკური კანონების — სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის მოქმედების შეცნობაზე და მათ გამოყენებაზე შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში[10].

საჭიროა აღინიშნოს, რომ მხოლოდ რვა წლის (1971—1978 წწ.) მანძილზე ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა საქართველოში 1,6-ჯერ (165%), მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით კი ხუთი წლის მანძილზე (1970—1975 წწ.) 1,5-ჯერ (41 %-ით) გაიზარდა. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ამგვარი დინამიზმის შედეგად, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროსათვის მთლიანად, არამედ მისი ცალკეული დარგებისათვისაც, აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად (63%) გაიზარდა როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ისე ეროვნული შემოსავალის (61 %) წარმოებაც. რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ამგვარმა ზრდამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა იმით, რომ 1940 წელს შექმნილი მრეწველური პროდუქციის მთლიანი მოცულობა ახლა იწარმოება თვენახევარში, ხოლო პროდუქცია, რომელიც იქმნებოდა 1960 წელს — ექვს თვეში[11].

ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპები და პროპორციები საბოლოოდ აისახება საზოგადოებრივი წარმოების ორგანულ შედგენილობაში, მეცნიერული ტექნიკური პროგრესის მიღწევათა და, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ამ განმაზოგადებელ მაჩვენებლებში. დარგთაშორისო ბალანსის მონაცემებით 1977

---

[9] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году, გვ. 26.

[10] მაგ., უნგრეთში შეფარდებები ძირითად საწარმოო და არასაწარმოო ფონდებს შორის ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში შეადგენდნენ: 50-იან წლებში— 50%: 50%, 70-იან წლებში 60 40-მდე, ახალ ხუთწლედებში კი 65—66 : 34—35-მდე (იხ. ჟურნ. «Плановое хозяйство», № 1, 1977, გვ. 94).

[11] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1978 г., стат. ежегод., Тб., 1980, გვ. 19, 20, 155.

წელს წარმოების ორგანული შედგენილობა (c:v), ე. ი. მატერიალური და შრომითი დანახარჯების შეფარდება, საქართველოში შეადგენდა 1:0, 49 (სსრ კავშირში 1972 წ. — 1:0, 39).

ძირითადი წარმოებრივი და არაწარმოებრივი ფონდების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული სიმდიდრის ზრდაში[12]. მასში დიდ როლს ასრულებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, რამდენადაც ამ უკანასკნელზე დამოკიდებულია არა მარტო ძირითადი ფონდების რაოდენობრივი ზრდა სახალხო მეურნეობაში, არამედ მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ძირითადი წარმოებრივი ფონდების რაოდენობა და ხარისხი ხომ სსრ კავშირის, საერთოდ, და, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, სწორედ ძირითადი წარმოებრივი ფონდების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის შედეგად საქართველოში 1976 წ., 1965 წ. შედარებით, საშუალოდ ერთ დღეში იწარმოებოდა ელექტროენერგია — 2-ჯერ მეტი, შავი ლითონის ნაგლინი — 1, 3, ლითონის მილები — 1, 3, მინერალური სასუქები — 1, 6, სატვირთო ავტომობილები 2, კონსერვები (პირობითი ქილა) — 2, 5, ყურძნის ღვინო — 1, 7, პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაი — 2-ჯერ მეტი[13].

ამასთანავე ცნობილია, რომ ძირითადი ფონდების გამოყენებაზე გავლენას ახდენს პროდუქციის ფონდტევადობა. ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია. მისი ზრდა უარყოფითად მოქმედებს ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე. ამისათვის კი საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური დონე, როგორც მთლიანად მრეწველობაში, ისე მის ცალკეულ დარგებში. ეს უშუალო კავშირშია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. წარმოების სრულყოფილი ტექნოლოგია საზოგადოებრივი წარმოების, წარმოებრივი ფონდების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

---

[12] ეროვნული სიმდიდრის მოცულობის საერთო ჯამი 1973 წ. დამლევისათვის სსრ კავშირში შეადგენდა 1700 მლრდ. მანეთს, ხოლო ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურაში ძირითადი ნაწილი მოდიოდა საწარმო ძირითად ფონდებზე 58,3%. არაწარმოებრივი ძირითადი ფონდების ხვედრი წონა შეადგენდა 24,1%, მოსახლეობის პირადი ქონება კი 17,6%. რამდენადაც ცნობილია, ეროვნული სიმდიდრის ნივთობრივ შინაარსს წარმოადგენენ: ძირითადი და საბრუნავი წარმოებრივი ფონდები, ძირითადი არასაწარმო ფონდები და მოსახლეობის პირადი ქონება (იხ. «Известия Академии наук СССР» серия экономическая, 2, 1977, გვ. 19).

[13] Народное хозяйство Грузинской ССР в 60-летию Великого Октября, გვ. 49—50.

საერთოდ ძირითადი ფონდების და, კერძოდ, წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ძირითადი ფონდების ამორტიზაციის ნორმატიული ვადების შემცირებას. სსრ კავშირში 1975 წ. 1 იანვრიდან შესამჩნევად შეიცვალა ძირითადი ფონდების გამოყენების, ამორტიზაციის ნორმატიული ვადები, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში.

ძირითადი ფონდების სამსახურის ნორმატიული ვადების ცვლილებები (წლებში)[14]

სახალხო მეურნეობის დარგები	ფონდების სამსახურის ნორმატიული ვადები	
	ძველი 1975 წ I იანვრამდე მოქმედი ნორმებიდან	გამომდინარე 1975 წ. I იანვრიდან დაწესებული ნორმებიდან
ყველა ფონდი		
სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა მთლიანად	29,4	25,0
მრეწველობა	29,4	25,0
სამრეწველო-წარმოებრივი ძირითადი ფონდები მრეწველობის დარგების მიხედვით:		
მთელი მრეწველობა	25,6	21,3
ელექტროენერგეტიკა	37,0	32,2
სათბობი	18,5	16,1
მათ შორის:		
ნავთობის მოპოვების	18,2	17,2
ნავთობის გადამუშავების	19,6	16,1
გაზის	21,3	16,9
ნახშირის	17.5	15,1
შავი მეტალურგია	27,8	22,7
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	25,6	21,3
ქიმიური და ნავთობქიმიური	26,3	19,6
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	19,6	16,6
აქედან:		
ხე-ტყის	12,8	10,6
საშენ მასალათა მრეწველობა	23,8	19,2

[14] იხ. ჟურნ. «Плановое хозяйство», № 5, 1978, 67, М. Заволикин, А. Масальский, Новые нормы амортизации, итоги и проблемы.

შუშისა და ფაიფურ-ფაიანსის	26,3	20,4
მსუბუქი	27,8	23,3
კვების	28,6	23,3
აქედან:		
თევზის	27,8	22,2

როგორც მონაცემებიდან ჩანს (ეს ავტორისეული გაანგარიშებებია), თანამედროვე ეტაპზე საგრძნობლად მცირდება მრეწველობაში ძირითადი წარმოებრივი ფონდების საამორტიზაციო ვადები როგორც მთელს მრეწველობაში, ისე მისი ცალკეული დარგების მიხედვით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ელექტროენერგეტიკისათვის, გაზის, შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისათვის, ქიმიური და ნავთობქიმიური, შუშისა და ფაიფურ-ფაიანსის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე, მიუხედავად საამორტიზაციო ვადების ამგვარი შემცირებისა, განსაკუთრებით მრეწველობის ისეთი დარგებისათვის, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა, ძირითადი წარმოებრივი ფონდების, საერთოდ, და, კერძოდ, მისი აქტიური ნაწილის საამორტიზაციო ვადები ჯერ კიდევ ხანგრძლივია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს მათი საამორტიზაციო ვადების შემდგომ შემცირებას, განსაკუთრებით ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელ დარგებში. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ, ჩვენი აზრით, ამას გამოცდილებაც ადასტურებს, უახლოეს 10—20 წელიწადში, ე. ი. 1995—2000 წწ., არა ნაკლებ ორჯერ უნდა განახლდეს საწარმოო აპარატი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მანქანათმშენებლობის განვითარების ტემპების დაჩქარებას და არსებით თვისებრივ ცვლილებებს ამ დარგში. შრომის იარაღების წარმოება მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს წინ სახალხო მეურნეობის განვითარებას. ამის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდამ განაპირობა პროდუქციის წარმოების ზრდაც. მაგ., საქართველოში 1975 წ. 1965 წ. და 1970 წ. შედარებით პროდუქციის წარმოება გაიზარდა (%-ით)[15].

	1965 წ.	1970 წ.
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	111,9	38,5
აქედან:		
„ა“ ჯგუფი	111,0	40,4
„ბ“ ჯგუფი	113,8	35,7
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	45,0	12,8

[15] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 34—35.

თუ განვიხილავთ პროდუქციის წარმოების ზრდას ძირითად წარმოებრივ ფონდებთან შედარებით, ვნახავთ, რომ პროდუქციის წარმოების ზრდა მრეწველობაში უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ძირითადი ფონდების ზრდა. ზრდის წინმსწრები კოეფიციენტი („K") 1970 წ. შეადგენდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მიხედვით — 1, 38, „ა" ჯგუფის მიხედვით — 1, 37, „ბ" ჯგუფის მიხედვით — 1,41. სოფლის მეურნეობაში კი პროდუქციის წარმოების ზრდას წინ უსწრებდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდა, რის შედეგად პროდუქციის წარმოების ზრდის კოეფიციენტი ძირითადი ფონდების ზრდის მიმართ შეადგენდა 0, 56.

როგორც ვხედავთ, ათი წლის მანძილზე (1965—1975 წწ.) მრეწველობის პროდუქციის წარმოების წინგამსწრები კოეფიციენტი მრეწველობის ძირითად წარმოებრივ ფონდებთან შედარებით საგრძნობლად შესამჩნევია როგორც მთლიანად მრეწველობაში, ისე მისი ძირითადი ჯგუფების მიხედვით. მაგრამ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში (სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის სახსრებით მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდები 1975 წ. 1965 წ. შედარებით გაიზარდა 78, 4 %-ით, 1970 წ. შედარებით — 27, 7 %-ით. ხოლო მათი კოეფიციენტი საერთოდ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის მიმართ შეადგენდა 0, 65). პროდუქციის წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდას. როგორც ჩანს, ძირითადი ფონდების ათვისების ვადები გახანგრძლივდა, ამიტომ სათანადო ეფექტიანობაც არ ჩანს.

თუ როგორია ძირითადი ფონდების ათვისების თვისებრივი მაჩვენებლები, ანუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შედეგები, ეს ჩანს ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან.

ძირითადი ფონდების ზრდის (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის) თვისებრივი მაჩვენებლები (1975 წ. %-ით)[16]

	1965 წ.	„K" ძირითადი საწარმოო ფონდების მიმართ	1970 წ.	„K" ძირითადი საწარმოო ფონდების მიმართ
შრომის მწარმოებლურობა:				
ა. მრეწველობაში	73,4	0,91	30,9	0,84
ბ. სოფლის მეურნეობაში	47,2	0,56	19,6	0,66
გ. მშენებლობაში	48,5	0,40	23,9	0,48

[16] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 35—36; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию Великого Октября, გვ. 27.

ამრიგად, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მრეწველობაში, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაზე, ჩამორჩება აღნიშნული დარგების ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპებს, ე. ი. პროდუქციის წარმოების გადიდება ძირითადად მიმდინარეობს წარმოების ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ეს გამოხატულებას ღებულობს ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებლებით, როგორიცაა: ეროვნული შემოსავლის წარმოება და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა.

ეროვნული შემოსავლისა და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები (1075 წ. %-ით)[17]

	1965 წ.	„K" ძირითადი საწარმოო ფონდების მიმართ	1970 წ.	„K" ძირითადი საწარმოო ფონდების მიმართ
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	89,8	0,98	32,0	0,82
საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლერობა	129,6	1,48	31,8	0,82

როგორც ვხედავთ, 1966—1975 წწ-ში. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპები წინ უსწრებენ წარმოებული ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებს, ხოლო საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მთლიანად მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა მიხედვით წინ უსწრებენ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპებს. ეს შეიძლება აიხსნას შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ზრდით მატერიალური წარმოების სფეროს არაძირითად დარგებში, ხოლო ძირითად დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) — ახალი ძირითადი წარმოებრივი ფონდების ათვისების ვადების ხანგრძლივობით.

ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამგვარმა ზრდამ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და მშენებლობაზე შესამჩნევად აამაღლა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მატერიალური დანახარჯები და შეამცირა ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონა. ამასვე მოწმობენ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების შეფარდებები.

საყურადღებოა, რომ 1973—1975 წწ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ისე ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1970—1972 წწ-ში ეროვნული შემოსავალი მეტწილად იზრდე-

---

[17] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР в 60-летию..., 27; Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 35—36.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების დინამიკა (წინა წელთან, %-ით)[18]

	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	10,6	10,5	3,0	1,3	6,2	10,5	8,7
ეროვნული შემოსავალი	12,4	12,8	1,7	1,9	6,5	10,5	7,9
ეროვნული შემოსავლის ზრდის წინგამსწრები კოეფიციენტი	1,17	1,22	0,56	1,46	1,05	1,0	0,9

ბოდა არა მრეწველობის, არამედ მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და საგარეო ვაჭრობის ოპერაციების ხარჯზე. ეს არ წარმოადგენს ეკონომიკის დადებით მხარეს.

შემდეგში მრეწველობის წილი იზრდება ეროვნულ შემოსავალში, მაგრამ უფრო სწრაფად იზრდება მატერიალური წარმოების ზოგიერთი დარგის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საგარეო ვაჭრობის ოპერაციების წილი, რაც შეეხება მატერიალური დანახარჯებისა და ეროვნულ შემოსავლის ხვედრი წონის შეფარდებებს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, აქ შემდეგი ცვლილებები მოხდა.

მატერიალური დანახარჯებისა და ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონები ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში

(ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი=100%)

	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
ეროვნული შემოსავალი	49,4	46,0	46,4	45,8	45,9	46,0	45,5
მატერიალური დანახარჯები	50,6	54,0	53,6	54,2	54,1	54,0	54,5

ამგვარ პერიოდებს, როდესაც მატერიალური დანახარჯები შესამჩნევად სჭარბობენ ეროვნულ შემოსავალს, ადგილი აქვს ეკონომიკაში, განსაკუთრებით ძირითადი ფონდების ძასობრივი განახლების ან მათი მნიშვნელოვანი ზრდის დროს. მაგრამ ეს პერიოდი, ანუ ახალი ძირითადი ფონდების ათვისების პერიოდი, მაქსიმალურად დაახლოებული უნდა იქნეს შესაბამის ნორმატივებთან, ამაშია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი არსებითი მხარე. ამის გარეშე მნიშვნელოვნად მცირდება მათი ეკონომიკური ეფექტიანობა,

[18] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 193—195.

იზრდება წარმოების მატერიალური დანახარჯები როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებითაც და მცირდება ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონა, განსაკუთრებით მისი საზოგადოებრივი მოხმარების ნაწილი. მაგ., 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების მიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში შეადგენდა (%-ით):[19]

	მთლიანად	I ქვედანაყოფში	II ქვედანაყოფში
წარმოების დანახარჯები	54,2	56,5	51,5
ხელფასი და შრომის ანაზღაურების სხვა სახეები	27,5	30,3	24,2
პროდუქტი საზოგადოებისათვის	18,3	13,2	24,3
ეროვნული შემოსავალი მთლიანად	45,8	43,5	48,5

მოტანილი მონაცემებიდან კიდევ ერთი თავისებურება ჩანს. ეს გამოიხატება იმით, რომ მატერიალური დანახარჯები უფრო მეტადაა გაზრდილი საზოგადოებრივი წარმოების 1 ქვედანაყოფში და აქ შესაბამისად უფრო ნაკლებია ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებრივი ფონდების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია და დადებით ფაქტორს წარმოადგენს, მისი ეფექტიანობის შემცირების ტენდენციები ანელებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგებს. მათს შედარებით დაბალ ეფექტიანობაზე კი მეტყველებენ ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური სიდიდის და წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპების შეფარდებები; მაგ., 1975 წ. 1965 წ. შედარებით ძირითადი წარმოებ-

	1970 წ. შედარებით 1965 წ.	1975 წ. შედარებით 1965 წ.
ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა	37,2%	91,7%
ეროვნული შემოსავალი გაიზარდა	42,6%	86,7%

რივი ფონდების ზრდის კოეფიციენტი ეროვნულ შემოსავალთან შედარებით უდრიდა 1,06.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს გარკვეული ცვლილებები შეაქვს წარმოებული პროდუქციის მოხმარებაშიც. იმავე დარგთაშორისო ბალანსის მონაცემების მიხედვით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია გამოყენებული იყო სახალხო მეურნეობაში შემდეგი პროპორციებით (მთლიანად დარგების პროდუქცია-100%)[20].

[19] Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 43.

[20] Там же გვ. 41—43.

	მრეწველობის პროდუქცია	სოფლის მეურნეობის პროდუქცია
მატერიალური წარმოების დარგებში	38,8	58,9
აქედან:		
მრეწველობაში	30,7	48.9
მშენებლობაზე	5,5	—
სოფლის მეურნეობაში	1,4	9,8
სატვირთო ტრანსპორტზე და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში	1,3	0,2
არასაწარმოო მოხმარებაზე	29,3	31,5
დაგროვებაზე და სხვა დანახარჯებზე	5,5	4,1
რესპუბლიკის გარეთ გატანაზე	26,4	5,5

ის, რომ მრეწველობის პროდუქციისა და, პირველ რიგში, გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენება მატერიალური წარმოების დარგებში და რესპუბლიკის გარეთ (მათ შორის საგარეო ვაჭრობისათვისაც), აგრეთვე მოწმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი შედეგია როგორც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის, საერთოდ, ისე შრომის მწარმოებლურობის ზრდა მატერიალურ წარმოების გადამწყვეტ დარგებში.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მრეწველობის დარგების მიხედვით (%-ით)[21]

	1970 წ. 1965 წ. მიმართ	1975 წ. 1965 წ. მიმართ	1975 წ. მიმართ 1970 წ.
მრეწველობაში მთლიანად	32	73	31
ელექტროენერგეტიკა	2	36	35
ქვანახშირის	9	24	12
შავი მეტალურგია	22	50	19
ქიმიური და ნავთობქიმიური	53	145	50
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	34	102	44
აქედან:			
მანქანათმშენებლობა	36	111	49
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	25	76	36
საშენმასალათა	24	58	24
აქედან:			
ცემენტის	48	96	24
მსუბუქი მრეწველობა	52	107	27
კვების მრეწველობა	28	60	20

[21] Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 71, 83—84.

თუ ერთმანეთს შევადარებთ მრეწველობის პროდუქციის, შრომის მწარმოებლურობისა და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო წლიური რიცხვის ზრდას, დავინახავთ, რომ სამრეწველო-საწარმოო პერსონალი მთლიანად გაიზარდა 330 ათასი კაციდან 1965 წ. 405 ათას კაცამდე 1975 წ. ანუ 1,2-ჯერ (მათ შორის მუშების—შესაბამისად 267 ათასი კაციდან 330 ათას კაცამდე ანუ 1,2-ჯერ); შრომის მწარმოებლურობა ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გაიზარდა 1,73-ჯერ, სამრეწველო პროდუქცია კი 2,12-ჯერ, ე. ი. მრეწველობის პროდუქციის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, შრომის მწარმოებლურობის ხარჯზე ხდებოდა. ამასთან მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდის კოეფიციენტი („K") შრომის მწარმოებლურობის მიმართ მთელი მრეწველობისათვის შეადგენდა — 1,2.

ცალკეული დარგებისათვის ის იყო:[22]

ელექტროენერგეტიკისათვის	1,2
სათბობის მრეწველობისათვის	1,1
შავი მეტალურგიისათვის	0,86
ქიმიური და ნავთობქიმიურისათვის	1,2
მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისათვის	1,3
ხის, ხისდამმუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის	1,2
საშენმასალათა მრეწველობისათვის	1,4
მსუბუქი მრეწველობისათვის	1,2
კვების მრეწველობისათვის	1,2

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1966—1975 წწ-ში რესპუბლიკის მრეწველობის თითქმის ყველა ძირითად დარგში პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად წინ უსწრებდნენ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. ეს, რასაკვირველია, დადებითი მოვლენაა, რაც იმას მოწმობს, რომ მრეწველობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის მიმართულებით. მაგრამ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების დაჩქარება ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპებთან შედარებით წარმოადგენს ჯერ კიდევ მნიშვნელოვან რეზერვს სამრეწველო პროდუქციის კიდევ უფრო მეტი ზრდისათვის შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე.

შრომის ფონდო-და ელექტროშეიარაღება უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენენ შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის. ამავე დროს ფონდშეიარაღება ორგანულ კავშირშია ფონდათვისებასთან. ამიტომ ფონდათვისების ვადების შემცირება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და

[22] Грузинская ССР в IX пятилетке, зз. 71—72.

მისი ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ მრეწველობაში შრომის ელექტროშეიარაღება 1970 წ. 1965 წ. შედარებით გაიზარდა 21,0%, 1975 წ. კი 38,0%. ეს იმ დროს, როდესაც ელექტროენერგიის მოხმარება მრეწველობაში და მშენებლობაზე გაიზარდა 3493,8 მლნ. კვტ საათიდან 1965 წ. 5086,3 მლნ კვტ საათამდე 1970 წ. (ანუ 45,0%) და 6186,0 მლნ კვტ საათამდე 1975 წ. (ანუ 79%)[23], ე. ი., როგორც ჩანს, ელექტროენერგიის მოხმარების ტემპები არ შეესაბამებიან შრომის ელექტროშეიარაღების ტემპებს მრეწველობაში.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, რომელსაც ჩვენ ამჯერად გამოვხატავთ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდაში, მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა საზოგადოებრივი წარმოების როგორც ტექნიკურ, ისე ორგანულ შედგენილობაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის 1972 წ. დარგთაშორისო ბალანსის მონაცემების მიხედვით, საზოგადოებრივი წარმოების ორგანული შედგენილობა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება[24]:

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი=9341 მლნ. მანეთს;

ეროვნული შემოსავალი=4279,8 მლნ. მანეთს;

წარმოების მატერიალური დანახარჯებისა და ეროვნული შემოსავლის შეფარდება C:(v+m)=54,2:45,8, ანუ 1:0,83.

ორგანული შედგენილობა=65,1:34,9=1:0,54.

ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების ორგანული შედგენილობა 1972 წ. შეადგენდა 1:0,54 და უფრო დაბალ დონეზე იმყოფებოდა ვიდრე შესაბამისი საშუალო საკავშირო მაჩვენებელი. ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა ორგანულ კავშირშია ფონდაღჭურვილობასთან. ეს მწარმოებლურ ძალთა განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ფონდუზრუნველყოფისა და ფონდაღჭურვილობის შეფარდებები სსრ კავშირში და საქართველოს სსრ (ფონდუზრუნველყოფა — I)[25]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირში	1:3,93	1:3,58	1:3,36
საქართველოს სსრ	1:5,44	1:4,49	1:4,13

[23] Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 87.

[24] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 43, 193—194. C=5061,2 მლნ. მანეთს, V=2569,7 მლნ. მანეთს, C+V 7630,9 მლნ. მანეთს, m=1710,1 მლნ. მანეთს (ფაქტიურად მოქმედ ფასებში).

[25] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 58, 532—533, 535—536; Народное хозяйство СССР в 1970 г., გვ. 71, 514—515; Народное хозяйство СССРв 1965 г., გვ. 562—563; Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 г., გვ. 26.

აღსანიშნავია, რომ ფონდაღჭურვილობა როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში მნიშვნელოვნად ჭარბობს ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფას. ეს კანონზომიერია, რადგან ფონდაღჭურვილობა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობაზეა გაანგარიშებული, ხოლო მათი ხვედრი წონა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში მცირდება.

ამასთანავე, მოტანილი მონაცემები ყურადღებას იქცევენ იმ მხრივაც, რომ ამ მაჩვენებლებში, ანუ შეფარდებებში ფონდუზრუნველყოფასა და ფონდაღჭურვილობას შორის საქართველოში ფონდაღჭურვილობა უფრო მაღალია. ხოლო თუ სსრ კავშირში 1965—1975 წწ-ში ფონდაღჭურვილობას ფონდუზრუნველყოფასთან შედარებით უფრო მყარი შემცირების ტენდენცია ახასიათებდა (განსხვავება ფოხდაღჭურვილობაში 1965 წ. და 1970 წ. შორის შეადგენდა 0, 35 პუნქტს, ხოლო 1970 წ. და 1975 წ. შორის — 0, 22 პუნქტს), საქართველოში ეს განსხვავება უფრო მკვეთრი იყო (განსხვავება შესაბამისად შეადგენდა 0, 95 და 0, 36 პუნქტს) და განსხვავება 1970 წ. და 1975 წ. შორის არ იყო ისეთი მკვეთრი როგორც 1965 წ. და 1970 წ. შორის. შედარებით მაღალი მაჩვენებელი ფონდაღჭურვილობისა ფონდუზრუნველყოფასთან განპირობებული იყო ფონდუზრუნველყოფისა და ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპებს შორის უფრო მეტი განსხვავებით საქართველოში, ვიდრე სსრ კავშირში. მაგ., შეფარდება ფონდუზრუნველყოფისა და ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპებს შორის შეადგენდა (1965 წ. მიმართ):

	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირში	1,09	1,17
საქართველოში	1,20	1,32

ტემპები კი ფონდუზრუნველყოფის და ფონდაღჭურვილობის ზრდის იყო (1965 წ.=100%)

	1970 წ.	1975 წ.
ფ ო ნ დ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ს		
სსრ კავშირში	140,1	202,9
საქართველოს სსრ	130,1	185,0
ფ ო ნ დ ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ო ბ ი ს		
სსრ კავშირში	127,7	173,4
საქართველოს სსრ	108,1	140,6

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში 1965—1975 წწ-ში დამახასიათებელი იყო ფონდ-

უზრუნველყოფის და ფონდაღჭურვილობის ზრდა, გარდა ამისა ფონდუზრუნველყოფის ზრდის ტემპები სსრ კავშირში და საქართველოში წინ უსწრებდნენ ფონდაღჭურვილობის ზრდას, ხოლო განსხვავება მათ შორის, ე. ი. ფონდუზრუნველყოფის ზრდის ტემპებსა და ფონდაღჭურვილობის ზრდის ტემპებს შორის სსრ კავშირში შეადგენდა 1970 წ. 12,4 პუნქტს, 1975 წ. 29,5 პუნქტს, საქართველოში კი შესაბამისად 22,0 და 44,4 პუნქტს. ამან განაპირობა საქართველოს როგორც ფონდუზრუნველყოფის, ისე ფონდაღჭურვილობის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში.

საქართველოს მატერიალური წარმოების სფეროს ფონდაღჭურვილობის ხვედრი წილი შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში (%-ით)[26]

1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
98,9	83,5	80,2

მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა, ისე მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა ფონდაღჭურვილობა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გატარდეს მათი დონის ამაღლებისათვის. ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყვეტილია მეათე ხუთწლედში (1976—1980 წწ.), ხოლო მისი მთლიანი გადაწყვეტა, ანუ მისი ოპტიმალური დაახლოება შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებთან როგორც ჩანს მოხდება შემდგომ ხუთწლედებში (1981—1990 წწ.).

---

[26] რაც შეეხება ფონდაღჭურვილობას მატერიალური წარმოების სფეროს დარგების მიხედვით, იგი 1975 წ. მონაცემებით საშუალო-საკავშირო მონაცემებთან შედარებით იყო (%-ით): მრეწველობაში—89,1, სოფლის მეურნეობაში (სახელმწიფო სექტორი)—56,5, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში—85,8, მშენებლობაში—81,8, ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში—78,9. გაანგარიშებულია ზემოთ მოტანილი წყაროების მიხედვით.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1975 წ. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა (სახელმწიფო სექტორი) ხასიათდება უფრო მაღალი ფონდაღჭურვილობით ვიდრე მრეწველობა. მაგ., სსრ კავშირის მრეწველობის ფონდაღჭურვილობა სოფლის მეურნეობის ფონდაჭურვილობასთან შედარებით შეადგენდა 67,6%, ეს იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობის (სახელმწიფო სექტორი) ძირითადი წარმოებრივი ფონდები 2,3-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდები, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 3,4-ჯერ ნაკლები იყო, მრეწველობაში დასაქმებულთა შედარებით. საქართველოში სოფლის მეურნეობის (სახელმწიფო სექტორი) ფონდაღჭურვილობის დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე მრეწველობის და შეადგენდა მის 93,8%, ხოლო სოფლის მეურნეობაში არსებული ძირითადი წარმოებრივი ფონდები 1,5-ჯერ, დასაქმებულები კი 1,4-ჯერ უფრო ნაკლები იყო ვიდრე მრეწველობაში.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულება

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები შეაქვს კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულებებში. ეს უაღრესად დიდ როლს ასრულებს სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებაში, მის ეფექტიანობის ამაღლებაში, სახალხო მეურნეობის დარგთა სტრუქტურის ცვლილებაში, საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო შედეგების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია კაპიტალური დაბანდებების ზრდის მაღალი ტემპები. ეს კონკრეტულად გამოიხატება ძირითადი ფონდების გამოყენების დაჩქარებაში და კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ზრდაში.

ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის დინამიკა (შესადარ ფასებში, მლნ მანეთობით)[1]

	1940 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირი	5901	51404	76418	105577
საქართველოს სსრ	118	685	960	1252
საქართველოს სსრ %-ით სსრ კავშირთან	1,99	1,33	1 25	1,18

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის ტემპები მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში. მაგ., სსრ კავშირში 1965 წ. 1940 წ. შედარებით ძირითადი ფონდები გაიზარდა — 8-ჯერ, 1970 წ. 1965 წ. შედარებით 1, 5-ჯერ, ხოლო 1975 წ. 1965 წ. შედარებით 2-ჯერ. საქართველოში ზრდა შესაბამისად შეადგენდა 5,8—1,4 და 1, 8-ჯერ.

ათი წლის განმავლობაში (1965—975 წწ.) მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდები სსრ კავშირში გაორკეცდა. ამრიგად, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში მეცნიერულ-ტექნი-

[1] Народное хозяйство СССР в 1978 г., გვ. 334.

კური პროგრესის შედეგად მოქმედებაში შესული ძირითადი ფონ-დები განვითარებულ სოციალიზმის ეტაპზე მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში აღნიშნულ ეტაპზე (1940—1975 წწ.) მცირდება. ამას გარკვეული ღაღი დაასვა მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების უფრო დაბალმა ტემპებმა 1940—1965 წწ. (შემდგომ 1970 წ — 1965 წ. შედარებით აღნიშნული ფონდები სსრ კავშირში გაიზარდა 1, 5-ჯერ, 1975 წ. 1970 წ. შედარებით 1, 4-ჯერ, ხოლო საქართველოში შესაბამისად 1, 4-ჯერ და 1, 3-ჯერ, ანუ თითქმის საშუალო საკავშირო მაჩვენებლების დონეზე იყო).[2]

რაც შეეხება კაპიტალურ დაბანდებებს, რასაკვირველია, მათი ზრდაც მნიშვნელოვანი იყო.

სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდებების ზრდის დინამიკა (მლნ. მანეთობით)[3]

	1940 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირში	5600	50337	72744	102281
საქართველოს სსრ	102	660	983	1166
საქართველოს სსრ %-ით სსრ კავშირის მიმართ	1,82	1,31	1,35	1,13

ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის ტემპები დამოკიდებულია კაპიტალურ დაბანდებათა ზრდაზე. აღნიშნულ პერიოდში კაპიტალური დაბანდებები სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაიზარდა სსრ კავშირში — 1965 წ. 1940 წ. შედარებით — 8, 9-ჯერ, 1970 წ. 1965 წ. შედარებით — 1, 4-ჯერ, ხოლო 1975 წ. 1965 წ. შედარებით 2-ჯერ. საქართველოში შესაბამისად — 6, 4-ჯერ, 1, 5-ჯერ და 1, 8-ჯერ.

როგორც ვხედავთ, ათი წლის განმავლობაში (1965—1975 წწ.) კაპიტალური დაბანდებები როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკურ

---

[2] 1978 წ. 1975 წ. შედარებით სსრ კავშირში მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების მოცულობა გაიზარდა (შესადარ ფასებში) 105577 მლნ. მანეთიდან 120088 მლნ. მანეთამდე, ანუ 1,14-ჯერ, ხოლო საქართველოში შესაბამისად — 1252 მლნ. მანეთიდან 1836 მლნ. მანეთამდე, ანუ 1,45-ჯერ (Народное хозяйство СССР в 1978 г., გვ. 334).

[3] Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 514. 1978 წ. 1975 წ. შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა სსრ კავშირში გაიზარდა შესადარ ფასებში 112895 მლნ. მანეთიდან 129685 მლნ მანეთამდე, ანუ 1,14-ჯერ, საქართველოში შესაბამისად —1299 მლნ. მანეთიდან 1645 მლნ. მანეთამდე, ანუ 1,27-ჯერ (Народное хозяйство СССР в 1978 г., გვ. 349).

პროგრესისათვის დამახასიათებელია არა მარტო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ზრდა, არამედ მათი ტექნოლოგიური სტრუქტურის სრულყოფაც. განსაკუთრებით კი ის, თუ რა ხვედრი წონა უკავია კაპიტალურ დაბანდებებში დაბანდებებს, რომლებიც ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიურ, ყველაზე ცვალებად ნაწილზე—მანქანა-დანადგარებზე—მოდის.

კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიური სტრუქტურის დინამიკა (ხულ კაპიტალური დაბანდებები — 100%)[4]

	1940 წ.		1965 წ.		1970 წ.		1975 წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე	—	81,0	51,0	61,0	50,0	64,0	48,0	62,0
გაწყობილობაზე, ინვენტარზე და ინსტრუმენტებზე	—	11,0	41,0	29,0	41,0	25,0	42,0	27,0
სხვა კაპიტალურ სამუშაოებზე და დანახარჯებზე	—	8,0	8,0	10.0	9,0	11,0	10,0	11,0

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1940 წ. შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებებში დანახარჯები ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიურ ნაწილზე[5].

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და გაწყობილობაზე, ინვენტარსა და ინსტრუმენტებზე სსრ კავშირში ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათ შორის განსხვავებამ შეადგინა 1965 წ. 10 პუნქტი, 1970 წ. 9 პუნქტი, ხოლო 1975 წ. 6 პუნქტი, საქართველოში კი ეს განსხვავება ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია და შეადგენდა შესაბამისად 32 პუნქტს, 39 პუნქტს და 35 პუნქტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კაპიტალურ დაბანდებების უმეტესი ნაწილი წარიმართება კვლავწარმოების არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური გზით.

---

[4] Народное хозяйство СССР в 1975 г., 504; Грузинская ССР в цифрах в 1975 году, гз. 181.

[5] ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრი წონა სსრ კავშირის მრეწველობაში მთლიანად და დარგების მიხედვით (ძირითადი ფონდების 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემები %-ით)

მრეწველობა მთლიანად	40,1
მათ შორის, დარგებისა და დარგთა ჯგუფების მიხედვით:	
შავი და ფერადი მეტალურგია	43,4
ელექტროენერგეტიკა	38,6
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	67,4
ქიმიური და ნავთობქიმიური	40,4

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელია კაპიტალური დაბანდებების მაღალი ეფექტიანობა.

კაპიტალური დაბანდებების ერთეულზე (ერთ მანეთზე) მიღებული ეროვნული შემოსავალი (მანეთებში)[6]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირში	3,8	3,9	3,5
საქართველოს სსრ	4,3	4,1	4,6
საქართველოს სსრ %-ით სსრ კავშირთან	113	105	131

თუ ძირითადი ფონდების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელია, კაპიტალური დაბანდებების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე ფონდუზრუნველყოფის ფინანსურ მხარეს ახასიათებს, ე. ი. გვიჩვენებს, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კაპიტალური დაბანდებები ფონდუზრუნველყოფის ფინანსირებას.

კაპიტალური დაბანდებების მოცულობის დინამიკა მოსახლეობის ერთ სულზე (მანეთობით)[7]

	1940 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრ კავშირში	31,6	238,8	332,7	446,3
საქართველოს სსრ	34,8	159,6	225,1	255,1
საქართველოს სსრ %-ით სსრ კავშირთან	110,0	67,0	67,6	57,1

აქ მოტანილია სახელმწიფო, კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებები, ე. ი. დაბანდებები, რომლებიც ხორციელდება წარმოების სფეროში და რომლებიც წარმოადგენენ ფონდუზრუნველყოფის წყაროს.

როგორც ჩანს, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გაანგარი-

სათბობის	.26,0
ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	.41,9
საშენ მასალათა	.39,9
მსუბუქი	.47,6
კვების	.50,6
მრეწველობის სხვა დარგები . . .	.34,8

(Народное хозяйство СССР в 1978 г. გვ. 62—71).

[6] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., с. 514, 563; Грузинская ССР в цифрах в 1975 году, გვ. 27.

[7] გაანგარიშებულია, იქვე, გვ. 7, 10, 514—515.

შებული მოსახლეობის ერთ სულზე განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე ეკონომიკის პირობებში. მაგ., ისინი გაიზარდნენ სსრ კავშირში 1965 წ. 1940 წ. შედარებით — 7,5-ჯერ, 1970 წ. 1965 წ. შედარებით—1,35-ჯერ, ხოლო 1975 წ. 1965 წ. შედარებით—1,87-ჯერ. საქართველოში შესაბამისად — 4,5-ჯერ, 1,41-ჯერ და 1,13-ჯერ.

მართალია, სხვადასხვა ტემპებით, მაგრამ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში კაპიტალური დაბანდებები წარმოების სფეროში განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. რაც შეეხება აღნიშნულ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს შედარებით დაბალ დონეს, ეს, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო მრავალი წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალური დაბანდებების სისტემატური აუთვისებლობით. მიუხედავად ამისა, მშენებლობის ტემპები განვითარებულ სოციალიზმის ეტაპზე საგრძნობლად ჩქარია. მაგ., 1921—1976 წწ-ში მოქმედებაში ჩართული ზოგიერთი სახელმწიფო მრეწველური საწარმოს საერთო რაოდენობიდან. 1961—1976 წწ. ჩართული იყო მათი საერთო რაოდენობის 47,8%.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოქმედებაში შეყვანილ სამრეწველო საწარმოთა საერთო რაოდენობიდან 15% მოდიოდა თბილისზე, იმ დროს. როდესაც 1921—1976 წწ-ში ამ მაჩვენებლის მიხედვით თბილისის ხვედრი წონა შეადგენდა 21,0%[8]. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მრეწველურ საწარმოთა გაადგილებაშიც მოხდა მნიშვნელოვანი ტერიტორიული ცვლილებები, რაც მეტყველებს კაპიტალური დაბანდებების ტერიტორიულ სრულყოფის ტენდენციების გაძლიერებაზე. საერთოდ კი 1961—1976 წწ-ში აშენებულია და მოქმედებს 228 მსხვილი სახელმწიფო მრეწველური საწარმო, ანუ 1951—1976 წწ. აშენებული და მოქმედი მსხვილი სახელმწიფო საწარმოთა საერთო რაოდენობის 55,0%. ამან მნიშვნელოვნად გაადიდა საწარმოო სიმძლავრეები როგორც წარმოების საშუალებათა წარმოების დარგებში (ელექტროენერგიის, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, სატვირთო ავტომობილების, ლითონდამუშავებელი ჩარხების, ნაკრებ რკინაბეტონის, საშენ მასალათა და სხვა წარმოება), ისე მოხმარების საგნების წარმოების დარგებში (ტყავის, ფეხსაცმლის, წინდების, ზედა ტრიკოტაჟის, რძიანი პროდუქციის, კონსერვების, პურფუნთუშეულის, ჩაის, ღვინის და სხვა წარმოება).

---

[8] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, стат., сб., Тб., 1978, გვ. 12—19.

მშენებლობის ტემპებმა განაპირობეს ძირითადი ფონდების ზრდის ტემპებიც. მაგ., 1961—1976 წწ. მოქმედი ძირითადი ფონდების საერთო ღირებულება შეადგენდა 1946—1976 წწ., ე. ი. 30 წლის განმავლობაში მოქმედებაში მყოფი ძირითადი ფონდების 78,6%. აღსანიშნავია ისიც, რომ 1966—1970 წწ. მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების მოცულობა 1,47-ჯერ აღემატებოდა 1961—1965 წწ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი ფონდების მოცულობას, ხოლო 1971—1975 წწ. შესაბამისად 1961—1975 წწ. აღემატებოდა 2,06-ჯერ, 1966—1970 წწ. კი 1,39-ჯერ. მხოლოდ ერთ, 1976 წ. მოქმედებაში იყო ჩართული 1961—1965 წწ. ძირითადი ფონდების საერთო მოცულობის 48,0%. ეს 13,4-ჯერ უფრო მეტი იყო ვიდრე 1940 წ. მოქმედი ძირითადი ფონდების საერთო მოცულობა[9].

ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის დარგობრივი სტრუქტურა (სულ ძირითადი ფონდები — 100%)[10]

	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ	1966—1976 წწ.
მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	67,3	68,0	67,9	67,8
მათ შორის:				
მრეწველობა	30,9	30,7	28,1	30,5
სოფლის მეურნეობა	18,9	19,5	18,4	19,2
სატყეო მეურნეობა	0,3	0,3	0,3	0,3
სამშენებლო ინდუსტრია	2,8	3,2	2,8	3,0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	9,8	10,6	13,9	10,7
ვაჭრობა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება	4,2	3,4	4,1	3,8
დამზადება	0,4	0,3	0,3	0,3
არაწარმოებრივი დარგები	32,7	32,0	32,1	32,2
მათ შორის:				
საბინაო მშენებლობა	14,4	14,4	13,8	14,3
სახალხო მეურნეობის სხვა დარგები	18,3	17,6	18,3	17,9

როგორც მონაცემებიდან ჩანს, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის დარგობრივ სტრუქტურაში, მატერიალური წარმოების სფეროს დარგებსა და არაწარმოებრივ დარგთა შორის პროპორციებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში აღ-

---

[9] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 2.
[10] იქვე, გვ. 22—23.

სანიშნავია მათი ხვედრი წონის ზრდის ტენდენცია სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძირითადი ფონდების ფორმირება და მათი თანდათანობით გაძლიერება სამშენებლო ინდუსტრიაში, სატყეო მეურნეობაში და დამზადებაში.

ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნულ დარგებში უფრო გაძლიერდება და სათანადოდ ამაღლდება ძირითადი ფონდების ამოქმედების დონე. ეს პროცესი დამახასიათებელი იქნება სოფლის მეურნეობისათვისაც, სადაც ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს ძირითადი ფონდების ზრდა. რაც შეეხება ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის დინამიკის არაწარმოებრივ დარგებში, აქ განვითარებული სოციალიზმის პირობებში, მართალია, მყარი პროპორციები დადგინდა, მაგრამ ყველა დარგში ძირითადი ფონდების მოქმედებაში ჩართვის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად, მათ საერთო მოცულობაშიც უნდა ამაღლდეს არაწარმოებრივ დარგთა ხვედრი წონა. ეს პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებთან, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მუდმივ, მზარდ მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

გამომდინარე აქედან, ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის ტემპები პერსპექტივაში, გარკვეულ წლების მანძილზე არაწარმოებრივ დარგებში უფრო სწრაფი უნდა იყოს, ვიდრე საერთოდ მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში. ხოლო თვით მატერიალური წარმოების დარგთა შორის ძირითადი ფონდების მოქმედებაში ჩართვის ტემპები უფრო სწრაფი უნდა იყოს მათ საშუალო მაჩვენებელზე სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, სატყეო მეურნეობაში და დამზადებაში. საერთოდ კი, ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის ტემპები რესპუბლიკაში უფრო მაღალი მაჩვენებლით უნდა ხასიათდებოდეს.

ეს აუცილებლობა განპირობებულია ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის შედარებით დაბალი დონით საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში. მის ამაღლებაზე გავლენას მოახდენს აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების უფრო რაციონალური გამოყენებით, მშენებლობის ხანგრძლივობის, ხვედრი კაპიტალური დაბანდებების და დაუმთავრებელი მშენებლობის ხვედრის შემცირება. მაგ., 1976 წ. თერთმეტი სხვადასხვა სახის საწარმოს (ობიექტების) მშენებლობისას მხოლოდ ორი ობიექტის მშენებლობა იქნა დამთავრებული გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, დანარჩენ სამშენებლო ობიექტებზე კი ნორმატიული ვადები გადაჭარბებული იყო 1, 14—4, 7 = მდე.

რასაკვირველია, საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ვადების ამგვარი გადაჭარბება (როდესაც მშენებლობა ერთი წლისა და 8 თვის მაგივრ 7, 7 წელიწადს გრძელდება) იწვევს კვლავწარმოების ტემპების შენელებასაც, მით უმეტეს თუ ასეთ საწარმოებს მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ეკონომიკაში[11]. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობის მოცულობა, რასაც აგრეთვე გარკვეული ზომით შეუძლია შეაფერხოს კვლავწარმოების პროცესი.

სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციების დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შეფარდების დინამიკა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობასთან (%-ით)[12]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
სსრ კავშირი	69	73	75	80
საქართველოს სსრ	85	109	109	113

როგორც მონაცემებიდან ჩანს, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა შეფარდებული საერთო კაპიტალური დაბანდებების მოცულობასთან 1965 წ. შედარებით კი არ შემცირებულა, არამედ შესამჩნევად გაიზარდა. რასაკვირველია, ეს გარკვეულ გავლენას ახდენს კვლავწარმოების პროცესზე, ანელებს მის ტემპებს. საქართველოში ეს უფრო შესამჩნევია, რადგან მისი მოცულობა საერთოდ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობასთან შესაბამის საკავშირო მონაცემებთან შედარებით 1965 წ. უფრო მაღალი იყო 16 პუნქტით. 1970 წ.—36, 1975 წ.—34, ხოლო 1976 წ.—33 პუნქტით.

გამომდინარე აქედან, კაპიტალური დაბანდებების უფრო რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვანი რეზერვია როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის მიღებულ ნორმატივებამდე დაყვანა. ჯერ კიდევ მაღალია ხვედრი კაპიტალურ დაბანდებები სიმძლავრის ერთეულზე.

სოციალიზმის მშენებლობის მთელ ეტაპზე, დაწყებული მისი ეკონომიკური საფუძვლების შექმნიდან, ანუ 30-იანი წლებიდან კაპიტალურ დაბანდებებში აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მოდის სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და დაწესებულებების

---

[11] ფრიად ხანგრძლივია მსხვილი ობიექტების მშენებლობის ვადები. თუმცა სსრ კავშირში ერთდროულად შენდებოდა (1976 წ.) 260 ათასზე მეტი საწარმოო ობიექტი. თუ გავყოფთ ქვეყნის ყველა მშენებელს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საწარმოო დანიშნულების მშენებლობის ობიექტებთან, ობიექტების რაოდენობაზე მივიღებთ, რომ ერთ ობიექტზე საშუალოდ მოდის 15—16 მშენებელი (იხ. ჟურნ. «Плановое хозяйство» № 1, 1977, გვ. 93).

[12] Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 72.

კაპიტალურ დაბანდებებზე, მათი ხვედრი წონა განსაკუთრებით გაიზარდა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. მაგ., თუ 1976 წ. 1940 წ. მიმართ კაპიტალური დაბანდებები საქართველოში მთლიანად გაიზარდა 11, 1-ჯერ, სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოთა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდებები გაიზარდა თითქმის 13-ჯერ, კოლმეურნეობების 4, 5-ჯერ, ხოლო მოსახლეობის (საკუთარი ბინების მშენებლობაზე) 7-ჯერ. 1960 წ. შედარებით. შესაბამისად 2, 8-ჯერ, 3, 2-ჯერ, 1, 6-ჯერ და 1, 1-ჯერ; 1970 წ. 1, 3-ჯერ, 1, 4-ჯერ, 1, 5-ჯერ, ხოლო მოსახლეობის კაპიტალური დაბანდებები (იმავე მიზნისათვის) დარჩა იმავე დონეზე.

როგორც ვხედავთ, კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპებში წამყვანი ადგილი უკავია სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს. რაც შეეხება კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებების ტემპების უფრო სწრაფ ზრდას 1971—1976 წწ-ში. ეს განპირობებულია იმ აგრარული პოლიტიკით, რომელსაც სკკ პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ 1965 წლიდან.

კაპიტალური დაბანდებების აღნიშნულმა ტემპებმა და მათმა მოცულობამ საკუთრების ფორმების მიხედვით განაპირობეს შესაბამისი შეფარდებებიც. მაგ., საერთო კაპიტალურ დაბანდებებში განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე შეფარდებები სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას შორის შემდეგნაირი იყო (%-ით): [13]

	სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები	კოლმეურნეობები	მოსახლეობა (პირადი საცხოვრებელი ბინების მშენებლობაზე)
1961—1965 წწ.	84,0	9,0	7,0
1966—1970 წწ.	87,0	7,0	6,0
1971—1975 წწ.	88,0	7,0	5,0
1976—	89,0	9,0	4,0
1921—1976 წწ.	85,0	9,0	6,0

როგორც მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდებების ეკონომიკური მიმართულების, მისი რაციონალური გამოყენების განმსაზღვრელია სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული საწარმოები და დაწესებულებები. ეს ეკონომიკური პოლიტიკა ხორციელდება ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს (დაწყებული 1929 წლიდან) ხოლო მისი თვისებრივი მხარე მნიშვნელოვნად შეიცვალა განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე, როდესაც კაპიტალური დაბანდებების გამოყენება ორგანულ კავშირშია მეცნიერულ-ტექნიკურ

[13] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 36—37.

პროგრესთან, რომელიც განსაზღვრავს მის მიმართულებას თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების კანონების მოქმედების შესაბამისად.

ადრე (1921—1928 წწ.) კაპიტალური დაბანდებების ძირითადი ნაწილი (62,0%) მოდიოდა მოსახლეობაზე (პირადი ბინების მშენებლობა), ხოლო დანარჩენი (38,0%) სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებზე და ორგანიზაციებზე. ეს სურათი მკვეთრად შეიცვალა პირველ ხუთწლედში (1929—1932 წწ.), როდესაც სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხვედრმა წონამ შეადგინა 86,0%, კოლმეურნეობებისა — 10,0% და მოსახლეობის კი მხოლოდ 4,0%. აღსანიშნავია ისიც, რომ. სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციების მთელ კაპიტალურ დაბანდებებში საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე, ე. ი. უშუალოდ გაფართოებული კვლავწარმოებისათვის გამიზნული კაპიტალური დაბანდებები ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან ხვედრ წონას შეადგენენ. მაგ., მათი ხვედრი წონა იყო:

(%-ით):[14]

1921—1976 წწ.	67,7
1961—1965 წწ.	67,2
1966—1970 წწ.	67,3
1971—1975 წწ.	77,4
1976 წ.	70,4

როგორც ვხედავთ, გაფართოებული კვლავწარმოებისათვის განვითარების ამ ეტაპზე დამახასიათებელია საერთო კაპიტალურ დაბანდებებში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამიზნული კაპდაბანდებების მაღალი ხვედრი წონა, მისი შემდგომი ზრდის ტენდენციით.

გარკვეულად მყარი პროპორციები კაპიტალური დაბანდებებისა ჩამოყალიბდა მატერიალური წარმოების სფეროსა და არაწარმოებრივ დარგებს შორის.

სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდებების დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა (სულ კაპიტალური დაბანდებები — 100)[15]

	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.	1921—1976 წწ.
მატერიალური წარმოების დარგები	68,2	67,9	67,5	68,9	68,0
მათ შორის:					
მრეწველობა	38,0	33,3	29,9	30,6	35,2

[14] გაანგარიშებულია: Капитальное строительство Грузинской ССР, გვ. 35,39.

[15] გაანგარიშებულია: იქვე, გვ. 44,45.

სოფლის მეურნეობა	14,8	17,8	20,0	19,5	15,7
ხე-ტყის მეურნეობა	—	0,2	0,3	0,4	0,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	9,4	9,4	9,5	13,2	10,5
სამშენებლო ინდუსტრია	2,7	3,0	3,9	3,6	2,9
ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება	2,7	3,7	3,7	3,2	3,2
დამხადება	0,6	0,3	0,2	0,2	0,3
არაწარმოებრივი დარგები	31,8	32,1	32,5	31,1	32,0
მათ შორის:					
საბინაო მშენებლობა	14,7	13,1	13,9	12,2	13,6
მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, განათლების, ჯანმრთელობის დაწესებულებებისა და სხვა დარგების საწარმოების მშენებლობა	17,1	19,2	18,6	17,9	18,4

როგორც მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდში მკვეთრი ცვლილებები კაპიტალური დაბანდებების პროპორციებში მატერიალური წარმოების სფეროს დარგებსა და არაწარმოებრივ დარგებს შორის არ მომხდარა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მატერიალური წარმოების სფეროს დარგებისათვის . გამიზნული კაპიტალური დაბანდებები თითქმის ემთხვევა ამ დარგებში კაპიტალურ დაბანდებებს საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე, ე. ი. შედარებით მცირე თანხები იყო გამოყოფილი მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში არასაწარმოო დანიშნულების მშენებლობაზე. ჩვენი აზრით, პერსპექტივაში, კაპიტალური დაბანდებების აბსოლუტური მოცულობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად უნდა გაიზარდოს არასაწარმო დარგების ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა ხვედრი წონა საერთო კაპიტალურ დაბანდებებში. ეს არამცთუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, არამედ სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების კანონზომიერებასაც წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლავწარმოების ინტენსიურ მხარეს.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მატერიალური წარმოების სფეროს დარგებს შორის კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონა აღნიშნულ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, მიმოქცევის ისეთ სფეროში, როგორიცაა: ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება. ჯერ კიდევ მცირეა კაპიტალურ დაბანდებების

ხვედრი წონა ხე-ტყის მეურნეობაში და დამზადებაში. ყველა ჩამოთვლილ დარგში პერსპექტივაში კაპიტალური დაბანდებების აბსოლუტურ ზრდასთან ერთად უნდა ამაღლდეს მათი ხვედრი წონა. ეს განპირობებულია სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინდუსტრიული დონის ამაღლების, სამშენებლო ინდუსტრიის ტექნიკური ბაზის გაძლიერების, საწარმოო და არასაწარმოო მომსახურების დარგების სრულყოფის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომპლექსური ღონისძიებების გატარების აუცილებლობით.

ამჟამად განვითარების ისეთ სტადიაზე ვართ, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ხარისხის ამაღლების აუცილებლობა მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოებისა და მომსახურების სფეროების არა მარტო ორგანულ შერწყმასა და ერთიანობას, არამედ მათ შორის ოპტიმალურ, თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელ ყველაზე რაციონალურ შეფარდებას.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და დაწესებულებების კაპიტალური დაბანდებების ზრდის ტემპები ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით. ასე, თუ 1976 წ. 1940 წ. შედარებით კაპიტალური დაბანდებები სახალხო მეურნეობაში მთლიანად გაიზარდა 13-ჯერ, მრეწველობაში 12-ჯერ, სოფლის მეურნეობაში—65-ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 6, 5-ჯერ, სამშენებლო ინდუსტრიაში — 47-ჯერ, ვაჭრობაში და საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში და გასაღებაში—21-ჯერ, საბინაო მშენებლობაში—15-ჯერ, ხოლო დანარჩენ დარგებში 10-ჯერ, 1960 წ. შედარებით შესაბამისად 3, 2, 2, 3, 6, 3 5, 6, 3, 9, 2, 2, 2, 2 3, 3-ჯერ. 1965 წ. შედარებით 2, 0, 1, 7. 2, 2, 2, 6, 2, 6, 2, 6, 2, 6, 1, 9, 2, 1-ჯერ, 1970 წ. შედარებით კი 1, 4, 1, 2, 1, 5, 2, 0, 1, 7, 1, 3, 1, 2 და 1, 2-ჯერ.

1976 წ. 1940 წ. შედარებით სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, მიმოქცევის სფეროს დარგებში კაპიტალური დაბანდებების მნიშვნელოვნად უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული დარგების შედარებით ჩამორჩენილობით, აგრეთვე ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებით, როდესაც ძირითადი კაპიტალური დაბანდებები გამოიყენებოდა მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენა-განვითარებისათვის. მაგ., სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და დაწესებულებათა საერთო კაპიტალურ დაბანდებებში მრეწველობაზე, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე დაბანდებები შეადგენდა 1921—1928 წწ. 73, 5%, პირველ ხუთწლედში (1929—1932 წწ.) — 69, 0%, მეორე ხუთწლედში (1933—1937 წწ.) —53, 5%, მეოთხე ხუთწლედში (1946—1950 წწ) — 58, 0%.

სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და დაწესებულებათა კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიური სტრუქტურის დინამიკა (სულ კაპდაბანდებები — 100%)[16]

	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.	1921—1976 წწ.
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	65	63	61	56	66
გაწყობილობა, ინსტრუმენტები და ინვენტარი	25	26	27	31	24
სხვა კაპიტალური სამუშაოები და დანახარჯები	10	11	12	13	10

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საერთო კაპიტალურ დაბანდებებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დაბანდებების ხვედრი წონა გაწყობილობაზე, ინსტრუმენტებზე და ინვენტარზე, ე. ი. ძირითადი ფონდების აქტიურ ნაწილზე, რაც როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მნიშვნელოვან შედეგს, ისე მის პირობასაც წარმოადგენს. მაგ., პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე ხუთწლედებში მათი ხვედრი წონა შეადგენდა შესაბამისად —8%, 10, 20 და 19%. ჩვენი აზრით, აქტიური ნაწილის ხვედრი წონა პერსპექტივაში კიდევ უნდა გაიზარდოს.

კაპიტალური დაბანდებების ოპტიმალური შეფარდებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებსა და განწყობილობა-დანადგარებზე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს როგორც მშენებლობაში, ისე შრომის იარაღების წარმოებაში. ამასთანავე, მათ შეფარდებებს განსაზღვრავს აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგების და შიდადარგობრივი თავისებურება.

სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრი წილის დინამიკა სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით (სულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები — 100%)[17]

	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.	1921—1976 წწ.
მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	57,1	56,4	55,8	56,5	57,6
მათ შორის:					
მრეწველობა	35,1	31,7	28,1	30,3	33,1
სოფლის მეურნეობა	11,0	13,3	16,0	16,2	12,0
ხე-ტყის მეურნეობა	0,2	0,2	0,2	0,3	0,1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5,8	5,8	5,8	4,3	7,3
სამშენებლო ინდუსტრია	1,6	1,2	1,3	1,4	1,4

[16] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 53.

[17] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 56—57.

ეაკრობა დ, საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება	2,9	3,9	4,2	3,6	3,4
დამზადება	0,7	0,4	0.2	0,4	0,3
არაწარმოებრივი დარგები	42,9	43,6	44,2	43,5	42,4
მათ შორის:					
საბინაო მშენებლობა . . .	21,7	19,8	21,2	20,4	19,7
მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, განათლების, ჯანმრთელობის დაწესებულებების, კომუნალური და სხვა მეურნეობის საწარმოების მშენებლობა . . .	21,2	23,8	23,0	23,1	22,7

როგორც ვხედავთ, მატერიალური წარმოების სფეროს დარგებიდან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ძირითადი ნაწილი (45—46%) მოდიოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე. ამავე დროს, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მისი ხვედრი წონის შემცირების ტენდენცია საერთოდ მატერიალური წარმოების სფეროში დადებითი მოვლენაა და მეტყველებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენაზე. ამ უკანასკნელმა აამაღლა კაპიტალური დაბანდებების

კაპიტალური დაბანდებები გამიზნული ძირითადი ფონდების აღწარმოებაზე ხორციელდება სხვადასხვა სახით. ამიტომ განასხვავებენ ცნებებს „რეკონსტრუქცია“, „გაფართოება“, „ტექნიკურად ხელახლა შეიარაღება“ და „ახალი მშენებლობა“. ეს დაჯგუფებაა აღწარმოების ფორმათა ძირითადი ნიშნების მიხედვით. მისი სქემა ზოგიერთი ავტორის მიერ წარმოდგენილია შემდეგნაირად.

ნიშნები	ტექნიკურად ხელახლა შეიარაღება	რეკონსტრუქცია	გაფართოება	ახალი მშენებლობა შესაფერელი ან მეტად სიმძლავრის წარმოების ბაზაზე	ახალი მშენებლობა
ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის განახლება (შეყვანა)	+	+	+	+	+
ძირითადი საწარმოო ფონდების პასიური ნაწილის განახლება ძირითადი საწარმოო ფონდების გაუდიდებლად	—	+	—	+	—
ძირითადი საწარმოო ფონდების პასიური ნაწილის განახლება, ძირითადი საწარმოო ფართობის გადიდების ჩათვლით	—	—	+	+	—
ძირითადი საწარმოო ფონდების პასიური ნაწილის მთლიანი განახლება (შეყვანა)	—	—	—	—	+

(იხ. ჟურნ. „Экономические науки“, № 1, 1977, გვ. 36, 38).

ხვედრი წონა მანქანა-დანადგარებზე, ანუ ძირითადი ფონდების აქტიურ ნაწილზე, რითაც გააძლიერა გაფართოებული კვლავწარმოების ინტენსიური მხარე.

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ იმასაც, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობაში მაღალი ხვედრი წონა უკავია (43—44%) არაწარმოებრივ დარგებს, ე. ი. უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაწესებულებათა, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და საბინაომშენებლობა. ამგვარი შესაძლებლობა არაწარმოებრივ დარგთა ობიექტების მშენებლობისა არ იყო არც პირველ ხუთწლედში (შეადგენდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის 17,7%), არც მეორეში (40,6%) და არც მეოთხე ხუთწლედში (38,7%)[18]. ამ პერიოდში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობაში მრეწველობასთან ერთად მაღალი ხვედრი წონა ეკავა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას.

საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ხვედრი წონის დინამიკა შეხადამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში (სსრკ მთლიანად — 100%)[19]

1918—1928 წწ.	1929—1932 წწ.	1933—1937 წწ.	1946—1950 წწ.	1951—1955 წწ.	1956—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.
1,72	1,91	2,07	2,09	1,76	1,29	1,27	1,41	1,25

აღნიშნული დინამიკა მეტყველებს ორ მხარეზე. ჯერ ერთი იმაზე, რომ თუ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრი წონა მცირდება, მაშინ იზრდება კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონა ძირითადი ფონდების აქტიურ ნაწილზე, მეორე მხრივ, რესპუბლიკაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ხვედრი წონის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს სსრ კავშირის კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობაში რესპუბლიკის ხვედრი წონის შემცი-

---

[18] მხოლოდ 1965 წ. შემდგომ მიმდინარე მოხმარებაზე და არაწარმოებრივ მშენებლობაზე მიმართული რესურსები გაიზარდა 2-ჯერ, ამავე დროს მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 12%-ით. ამ ხნის განმავლობაში აშენებული იყო საცხოვრებელი ბინები თითქმის 1 მლრდ 400 მლნ. კვ. მეტრის საერთო მოცულობით. ყოველმა მეორე საბჭოთა მოქალაქემ გააუმჯობესა თავისი საბინაო პირობები (იხ. ა. ნ. ჯ ო ს ი გ ი ნ ი, ოქტომბრის დიადი იდეების შემოქმედებითი ძალა, გაზ. „კომუნისტი" 05. 20. 78).

[19] გაანგარიშებულია: Капитальное строительство Грузинской ССР, გვ. 70—71.

რება. ამისათვის განვიხილოთ როგორი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონა შესაბამის საკავშირო მონაცემებში.

საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და დაწესებულებების კაპიტალურ დაბანდებების ხვედრი წილი სსრ კავშირის შესაბამის მაჩვენებლებში (სსრ კავშირი — 100%)[20]

1918—1928 წწ.	1929—1932 წწ.	1933—1937 წწ.	1946—1950 წწ.	1951—1955 წწ.	1956—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976—	1918—1976 წწ.
1,71	1,86	2,00	2,02	1,68	1,16	1,24	1,39	1,21	1,25	1,33

როგორც მონაცემებიდან ჩანს, არსებითი განსხვავება კაპიტალური დაბანდებების ხვედრ წონასა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრ წონას შორის შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში არ ყოფილა, ე. ი. კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიური სტრუქტურა როგორც საქართველოში, ისე კავშირში დაახლოებით ერთგვაროვნულ პროპორციებით ხასიათდებოდა. ამაზე მეტყველებენ შეფარდებები საქართველოში და სსრ კავშირში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისა საერთო კაპიტალდაბანდებებში.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრიწილის დინამიკა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციების მთლიან კაპიტალურ დაბანდებებში (მთლიანი დაბანდებები — 100%)[21]

	1918—1928 წწ.	1929—1932 წწ.	1933—1937 წწ.	1946—1950 წწ.	1951—1955 წწ.	1956—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976—	1918—1976 წწ.
სსრკ	81,4	85,7	82,1	67.0	67,4	66.3	63,6	61,6	59,5	55,5	62,6
სსსრ	82,4	87,8	84,8	67,0	71,8	73,9	65.3	62,7	61,5	55,9	65,5

როგორც ვნახეთ, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიური სტრუქტურისათვის დამახასიათებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ხვედრი წონის შემცირება და ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრი წონის ზრდა. ეს დამახასიათებელია როგორც სსრ კავშირისათვის, ისე საქართველოსათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სა-

---

[20] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 66—67.

[21] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 70—71.

ქართველოში ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრი წონის ზრდა შედარებით უფრო ნელა მიმდინარეობდა. საერთოდ კი მთლიან კაპიტალურ დაბანდებებში როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში ჯერ კიდევ მაღალი ხვედრი წონა უკავია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. პერსპექტივაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერებასთან ერთად ამაღლდება ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრი წონა და კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიურ სტრუქტურაში ჩამოყალიბდება უფრო რაციონალური (ოპტიმალური) პროპორციები[22].

ამჟამად შეფარდებები სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდის ტემპებს შორის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდის ტემპების შეფარდებების დინამიკა (რამდენჯერ)[23]

	1971—1975 / 1929—1932	1971—1975 / 1933—1937	1971—1975 / 1946—1950	1971—1975 / 1951—1955	1971—1975 / 1956—1960	1971—1975 / 1961—1965	1971—1975 / 1966—1970
	მიმართ	მიმართ	მიმართ	მიმართ	მიმართ	მიმართ	მიმართ
სსრკ							
კაპიტალდაბანდებები	55	24,5	10,9	5,7	3,1	2	1,4
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	38,2	17,7	9,6	5	2,8	1,9	1,4
სსს რესპუბლიკა							
კაპიტალდაბანდებები	35.7	14,8	6,6	4,1	3,2	2	1,2
სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები	25,0	10,7	5,7	3,6	2,7	1,9	1,2

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობისა და სამშე-

[22] მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს მნიშვნელოვან თვისებრივ ცვლილებებს თანამედროვე როგორც სამრეწველო, ისე სხვა საწარმოო დანიშნულების შენობების კონსტრუქციულ გადაწყვეტაში.

[23] როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თანამედროვე სამრეწველო შენობების კონსტრუქციული გადაწყვეტა, როგორც წესი, გაანგარიშებულია ამ შენობების ხანგრძლივი (100 წლამდე) ექსპლუატაციისათვის. ამავე დროს აღნიშნულ შენო-

ნებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდის ტემპები როგორც საქართველოში, ისე საერთოდ სსრ კავშირში მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ. ესეც კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერების მაჩვენებელია. გარდა ამისა, მომწიფებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კაპიტალური დაბანდებების დიდ მასშტაბები. ეს ჩანს როგორც მოტანილი მონაცემებიდან, ისე 1976 წ. კაპიტალური დაბანდებების მოცულობის ოდენობიდან გასულ წელთან შედარებით. მაგ., სსრ კავშირში 1976 წ. კაპიტალური დაბანდებები აღემატებოდა პირველი ხუთწლედის (1929—1932 წწ.) მთელ კაპიტალურ დაბანდებებს 13,2-ჯერ, მეორე ხუთწლედისას (1933—1937 წწ.) — 5,9-ჯერ, მეოთხე ხუთწლედისას (1946—1950 წწ.) 2,6-ჯერ, მეხუთე ხუთწლედისას (1951—1955 წწ.) 1,4-ჯერ, შემდეგ კი შეადგენდა მეექვსე ხუთწლედის (1956—1960 წწ.) 75,2%, მეშვიდე ხუთწლედის (1961—1965 წწ.) 49,3%, მერვე ხუთწლედის (1966—1970 წწ.) 34,4%, ხოლო მეცხრე ხუთწლედის (1971—1975 წწ.) 24,1%.

საქართველოში შესაბამისად 8, 9, 3, 7, 1, 6, 1, 04, შემდეგ კი შეადგეხდა 81,1%, 49,9%, 31,1% და 24,9%.

როგორც ჩანს, საქართველოში სსრ კავშირთან შედარებით კაპიტალური დაბანდებების შეფარდებითი მოცულობა გაიზარდა უფრო მეტად, გაიზარდა აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების როგორც საშუალო წლიური მოცულობა, ისე მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

ბებში განლაგებული საინჟინრო გაწყობილობის ექსპლუატაციის ვადა არ აღემატება 50 წელს, ხოლო ტექნოლოგიური გაწყობილობა და დანადგარები მრეწველობის სხვადასხვა დარგში იცვლებიან 5—20 წელიწადში. გამომუშავებულ პროდუქციის ნომენკლატურისა და მისი ხარისხის სისტემატურმა ცვლილებამ, მათი წარმოების ტექნოლოგიის სრულ ყოფისა და შრომის საშუალებების შეცვლის დაჩქარების პირობებში, თუ შესაბამისად მოქნილი არ იქნება შექმნილი საწარმოო საამქროები, პერსპექტივაში შეიძლება მიგვიყვანოს დიდ ეკონომიკურ ზარალამდე იმის გამო, რომ ამენებული ობიექტების დაუსაბუთებლად გადიდებული პირველადი კაპიტალტევადობა, მათი გადახალისებისა და რეკონსტრუქციის სირთულე შესაბამის გაწყობილობის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის გატარებისას, მოითხოვს რეკონსტრუქციის ხანგრძლივ ვადებს (იხ. ჟურნ. Известия Академии наук СССР, серия экономическая № 3, 1978, Маркин Р. М., Корень Ю. К. Технический прогресс и эффективность обновления производственных фондов, გვ. 33—34).

საწარმოო დანიშნულების შენობათა მშენებლობისას, მათ კონსტრუქციულ გადაწყვეტაში, კაპიტალტევადობის მხრივ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბუნებრივი პირობები.

საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე კაპიტალური დაბანდებების მოცულობის ზრდის დინამიკა (1960 წ. — 1)[24]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
ყველა კაპიტალური დაბანდება	1,3	1,8	2,0	2,3
მათ შორის:				
სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციების	1,4	2,0	2,3	2,6

რაც შეეხება საერთო კაპიტალური დაბანდებების საშუალოწლიურ მოცულობას იგი საქართველოში მეცხრე ხუთწლედში (1971—1975 წწ.) პირველ ხუთწლედთან შედარებით 29,3-ჯერ გაიზარდა, მეორე ხუთწლედთან შედარებით — 14,3-ჯერ, მეოთხე ხუთწლედთან—6-ჯერ, მეხუთე ხუთწლედთან 3,9-ჯერ, მეექვსე ხუთწლედთან — 2,9-ჯერ, მეშვიდე ხუთწლედთან 1,9-ჯერ, მერვე ხუთწლედთან შედარებით კი — 1,2-ჯერ.

რასაკვირველია, კაპიტალური დაბანდებების ამგვარი სწრაფი ზრდა მწვავედ აყენებს მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკითხს.

საინტერესოა განვიხილოთ კაპიტალური მშენებლობის ზოგიერთი პროპორცია, რომელიც ჩამოყალიბდა განვითარების თანამედროვე ეტაპზე შიდარესპუბლიკურ მსხვილ ეკონომიკურ რეგიონებს შორის.

თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხვედრი წონა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების საერთო მოცულობაში (საქართველოს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და დაწესებულებების მიერ მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების მთელი მოცულობა — 100%)[25]

	1951—1955 წწ.	1956—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.
თბილისი	20,6	25,5	28,8	30,8	30,0	32,3
აფხაზეთის ასსრ	8,9	9,2	6,9	9,1	9,1	6,6
აჭარის ასსრ	2,3	3,0	3,7	3,6	3,7	8,7
სამხრეთ ოსეთის ა/ო,	1,1	0,7	0,7	0,7	1,1	0,8

[24] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 62.

[25] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 21, 27.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 25 წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციების მიერ მოქმედებაში ჩართული ძირითადი ფონდების ხვედრი წონა რესპუბლიკის ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში როგორიცაა თბილისი და აჭარის ასსრ შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებლებში შესამჩნევად გაიზარდა, ხოლო აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქებში შემცირდა. ეს ჩანს აღნიშნულ რეგიონებში ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის მოცულობის მაჩვენებლებიდანაც.

1976 წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემული ძირითადი ფონდების მოცულობა აღემატებოდა შესაბამის მაჩვენებელს მეხუთე ხუთწლედში — 1, 5-ჯერ, ხოლო მეექვსე ხუთწლედის მიმართ შეადგენდა — 95, 9%, მეშვიდე ხუთწლედის მიმართ — 53, 8%, მერვე ხუთწლედის — 34, 1%, ხოლო მეცხრე ხუთწლედის მიმართ 25, 3%. აფხაზეთის ასსრ შესაბამისად 74, 3% 54, 9%, 46, 5%, 23, 6%, 16, 8%, აჭარის ასსრ 3, 8-ჯერ, 2, 2-ჯერ, 1, 1-ჯერ, 78, 0% და 55, 3%, სამხრეთ ოსეთის ა/ო 76, 9%, 90, 9%, 52, 6%, 38, 4% და 16, 6%. ამავე დროს მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების მოცულობა თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად ჭარბობს წარსულში შეყვანილი ძირითადი ფონდების ამავე მაჩვენებლის მოცულობას როგორც რესპუბლიკაში საერთოდ, ისე მისი მსხვილი ეკონომიკური რეგიონების მიხედვით.

მართალია, ეს ტენდენცია ყველა რეგიონში ერთნაირი ტემპით არ გამოიხატება, რაც განპირობებულია იმ ეკონომიკური ამოცანებით, რომელიც დგას ცალკეული რეგიონების წინაშე, მაგრამ ყველა რეგიონისათვის 70-იან წლებში დამახასიათებელი იყო ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაში შეყვანის მოცულობის ზრდის ტენდენცია

საექსპლუატაციოდ გადაცემული ძირითადი ფონდების მოცულობა დამოკიდებულია როგორც კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის ზრდაზე, ისე მის ტექნოლოგიურ სტრუქტურაზე.

მსხვილი შიდარესპუბლიკური ეკონომიკური რეგიონების ხვედრი წონა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციების საერთო კაპიტალურ დაბანდებებში (%-ით)[28]

	1951—1955 წწ.	1956—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.
თბილისი	21,4	29,0	28,1	29,8	29,4	29,7
აფხაზეთის ასსრ	8,5	8,5	7.7	10,0	8,6	7,3
აჭარის ასსრ	2,2	3,5	3.8	3,1	3,9	7,1
სამხრეთ ოსეთის ა/ო	1,2	0,8	0.7	0,8	1,3	1,2

[28] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ.42, 60.

აღნიშნული მსხვილი ეკონომიკური რეგიონების ხვედრი წონა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და დაწესებულებათა საერთო კაპიტალურ დაბანდებებში განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე შესამჩნევად ამაღლდა მაგ., 1956—1960 წწ., ანუ მეექვსე ხუთწლედში მათი ხვედრი წონა ამ კატეგორიის საერთო დაბანდებებში შეადგენდა 41,8%, 1971—1975 წწ., ანუ მეცხრე ხუთწლედში შეადგინა 43,2%.

შეიცვალა შეფარდებებიც კაპიტალურ დაბანდებების ტექნოლოგიურ სტრუქტურაში. თუ 1970 წ. კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეადგენდნენ საქართველოში მთლიანად 64,3%, ხოლო დანარჩენი დანახარჯები 35,7%, თბილისში 63,6% და 36,4%, აფხაზეთში 87,2% და 12,8%, აჭარაში 72,7% და 27,3%, სამხრეთ ოსეთში 62,5% და 37,5%. 1975 წ. შესაბამისად 56,8% და 43,2%, 49,4% და 50,6%, 65,2% და 34,8%, 39,7% და 60,3%, 50,8% და 49,2%, 1976 წ. 55,9 და 44,1%, 49,7% და 50,3%, 68,7% და 31,3%, 30,5% და 69,5%, 81,2% და 18,8%.

როგორც ვხედავთ, ყველა აღნიშნულ ეკონომიკურ რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გავლენა მოახდინა კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიურ სტრუქტურაში ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრი წონის ამაღლებაზე, რაც მოწმობს სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერებაზე.

საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდების ეკონომიკური ეფექტიანობა ტერიტორიის მიხედვით[27].

ეკონომიკური რაიონები	ძირითადი ფონდების ტერიტორიული სტრუქტურა (%)		ფონდტევადობა (მანეთობით)		ფონდუკუგება (მანეთობით)	
	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
აღმოსავლეთის	4,5	4,7	0,42	0,58	2,39	1,72
აღმოსავლეთ ცენტრალური (თბილისის)	52,5	50,6	0,64	0,69	1,55	1,44
დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის)	22,0	22,4	0,65	0,80	1,53	1,25
დასავლეთის	7,3	7,5	0,49	0,55	2,02	1,81
სამხრეთის	1,3	1,1	1,27	1,07	0,79	1,07
აფხაზეთის ასსრ	6,9	8,5	0,7	0,92	1,43	1,09
აჭარის ასსრ	4,7	4,4	0,45	0,51	2,22	1,97
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	0,8	0,8	0,59	0,56	1,70	1,78

[27] ციფრობრივი მონაცემები გაიანგარიშა ეკ. მეც. კანდიდატმა ნ. არევაძემ.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მრეწველობის ძირითადი ფონდების უდიდესი ნაწილი (1975 წ — 73,0%) კონცენტრირებულია აღმოსავლეთ ცენტრალურ (თბილისის) და დასავლეთ ცენტრალურ (ქუთაისის) ეკონომიკურ რაიონებში, დანარჩენი კი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (13,7%) და სხვა ეკონომიკურ რაიონებში (13,3%). საერთოდ კი აღმოსავლეთ საქართველოზე 1970 წ. მოდიოდა მრეწველობის ძირითადი ფონდების 59,1%, ხოლო დასავლეთზე 40,9%. 1975 წ. კი შესაბამისად 57,2%, 42,8%.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1970 წ. შედარებით 1975 წ. მეღავნდება მრეწველობის ძირითადი ფონდების ტერიტორიული სტრუქტურის შესამჩნევი ცვლილებები. კერძოდ, შემცირდა აღმოსავლეთ ცენტრალური, სამხრეთის და აჭარის ასსრ და შესაბამისად გაიზარდა აღმოსავლეთის, დასავლეთ ცენტრალურის, აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური რაიონების ხვედრი წონა. საერთოდ მრეწველობის ძირითადი ფონდების ტერიტორიულ სტრუქტურაში შემცირდა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის და გაიზარდა მისი დასავლეთი ნაწილის ხვედრი წონა.

ამგვარი ცვლილებები მრეწველობის ძირითადი ფონდების გაადგილებაში განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე კანონზომიერი მოვლენაა და გაგრძელდება. ეს მეტყველებს საქართველოს მრეწველობაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ტერიტორიულ სრულყოფაზე, მისი განვითარების დინამიზმსა და პროპორციულობაზე. რაც შეეხება მრეწველობის ძირითადი ფონდების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას ტერიტორიის მიხედვით, ჯერ კიდევ არის ძირითადი ფონდების გამოყენების სრულყოფის რეზერვები. მაგ., 1970 წ. შედარებით 1975 წ. ძირითადი ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა ფონდტევადობა და ფონდუკუგება პირველი აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ ცენტრალურის, დასავლეთ ცენტრალურის, დასავლეთის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასს რესპუბლიკაში გაიზარდა, ხოლო მეორე შემცირდა. ეკონომიკური განვითარების ობიექტური პროცესი კი მოითხოვს პირველი მაჩვენებლის, ე. ი. ფონდტევადობის შემცირებას, ხოლო ფონდუკუგების გადიდებას.

ამ მაჩვენებლების უარყოფით ცვლილებებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ძირითადი ფონდების მასობრივი განახლება-შეცვლა, ანდა დიდი რაოდენობით ზრდა, მაგრამ ამ დროსაც ახალი ძირითადი ფონდე-

ბის ათვისების ვადები არ უნდა გაჭიანურდეს, რადგან ამას მოსდევს ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირება.

საინტერესოა გადავხედოთ მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების დარგობრივ სტრუქტურას ტერიტორიის ეკონომიკური რაიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 8).

მოტანილი მონაცემები ფრიად საინტერესოა. ისინი მეტყველებენ მრეწველობის ძირითადი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის დინამიკურობაზე ეკონომიკური რაიონის მიხედვით. მაგ., 1970—1975 წწ. აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონის მრეწველობის ძირითად ფონდებში ყველაზე მაღალი ხვედრი წონით იყო წარმოდგენილი კვების მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა (15—62%), შემდეგ მსუბუქი და საშენ მასალათა მრეწველობა (6—12%). დანარჩენი დარგები წარმოდგენილი იყო უფრო მცირე მოცულობით. აღმოსავლეთ ცენტრალურ (თბილისის) ეკონომიკურ რაიონში ყველაზე მაღალი ხვედრი წონა ეკავა ელექტროენერგეტიკასა და მანქანათმშენებლობას (20—15%), შემდეგ შავ მეტალურგიას, ქიმიურ და ნავთობქიმიურ და საშენ მასალათა მრეწველობას (11—14%). უფრო მცირე მოცულობით იყო წარმოდგენილი მსუბუქი და კვების მრეწველობა (8—9%).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ეკონომიკურ რაიონში ცხრილში მოტანილი მრეწველობის ყველა დარგია წარმოდგენილი, დანარჩენი დარგების ხვედრი წონა მრეწველობის ძირითადი ფონდების საერთო მოცულობაში შედარებით მცირეა. დასავლეთ ცენტრალურ (ქუთაისის) ეკონომიკურ რაიონში აღნიშნულ სტრუქტურაში მნიშვნელოვნად ჭარბობს ელექტროენერგეტიკის, შავი მეტალურგიის ხვედრი წილი (22—27%). შემდეგ მოდის ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მსუბუქი და კვების მრეწველობა (10—12%). დასავლეთის ეკონომიკურ რაიონში მაღალი ხვედრი წონა აქვს კვების მრეწველობას და ელექტროენერგეტიკას (18—44%), შემდეგ მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებას, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობას (11—12%). სამხრეთის ეკონომიკურ რაიონში ჭარბობს ელექტროენერგეტიკა, სათბობის, საშენმასალათა და კვების მრეწველობა (18 — 36%.)

მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურაში აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მაგ., აფხაზეთის ასსრ ელექტროენერგეტიკის, სათბობისა და კვების მრეწველობის ხვედრი წონა იყო 15—45%. განსაკუთრებით ამაღლდა ელექტროენერგეტიკის ხვედრი წონა (20,9%-იდან 1970 წ. 45,3-%-მდე 1975 წ.). აჭარის ასსრ-ში მაღალი იყო ელექტროენერ-

გეტიკის, სათბობის, კვების მრეწველობის ხვედრი წონა (15, 32%) საკმაოდ მაღალი ხვედრი წონა (7—9%) ეკავა ხე-ტყის, ხის დამმუშავებელ და საშენ მასალათა მრეწველობას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი ელექტროენერგეტიკას, ფერად მეტალურგიას, მანქანათმშენებლობას და კვების მრეწველობას (18—24%).

როგორც ვხედავთ, ყველა ეკონომიკურ რაიონში წარმოდგენილია მრეწველობის დარგები, ხოლო მათი ძირითადი ფონდების სტრუქტურის ამგვარი განხილვა საშუალებას გვაძლევს მიახლოებული წარმოდგენა მივიღოთ ეკონომიკური რაიონის სპეციალიზაციაზე მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მიხედვით.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურაში ყველა ეკონომიკურ რაიონში მაღალი ხვედრი წონა უკავია ელექტროენერგეტიკას. ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე მაღალი ხვედრი წონა, გარდა ელექტროენერგეტიკისა, უკავია აღმოსავლეთის ეკონომიკურ რაიონში კვების მრეწველობას, აღმოსავლეთ ცენტრალურში მანქანათმშენებლობას და ლითონდამუშავებას, დასავლეთ ცენტრალურში — შავ მეტალურგიას, დასავლეთისა და სამხრეთის ეკონომიკურ რაიონებში კვების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ-ში სათბობისა და კვების, სამხრეთ ოსეთში ფერად მეტალურგიას, მანქანათმშენებლობას და კვების მრეწველობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მრეწველობის დარგთა სპეციალიზაცია არ არის მოწყვეტილი ამა თუ იმ ეკონომიკურ რაიონში საერთოდ მრეწველობის განვითარების დონისაგან. ამიტომ შეიძლება ამა თუ იმ ეკონომიკურ რაიონში მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურაში რომელიმე დარგს შედარებით მაღალი ხვედრი წონა ეკავოს, მაგრამ საერთოდ ეკონომიკურ რაიონში მრეწველობის განვითარების დონე მაღალი არ იყოს. მაგ., ისეთ ეკონომიკურ რაიონებში, როგორიცაა აღმოსავლეთ ცენტრალური (თბილისის) და დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის) მრეწველობის ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურაში მანქანათმშენებლობის ხვედრი წონა უფრო დაბალია, ვიდრე სამხრეთ ოსეთის ეკონომიკურ რაიონში. მაგრამ ამ ეკონომიკურ რაიონებში საერთოდ მრეწველობის განვითარების დონე შედარებით უფრო მაღალია. სამაგიეროდ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკურ რაიონში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია ფერადი მეტალურგიის ხვედრი წონა, რაც მისი სპეციალიზაციის მაჩვენებელია.

ეკონომიკური რაიონების სპეციალიზაციაზე მრეწველობის ძირითადი ფონდების მიხედვით წარმოდგენას გვაძლევს მრეწველობის დარგების ტერიტორიული სტრუქტურაც (იხ. ცხრილი 8).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მრეწველობის ტერიტორიულ სტრუქ-

ეკონომიკური რაიონები	ელექტროენერგეტიკა		სათბობი		შავი მეტალურგია	
	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
აღმოსავლეთის	14,9	15,6	—	—	—	—
აღმოსავლეთ ცენტრალური (თბილისის)	20,3	15,6	1,0	1,55	13,3	12,1
დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის)	27,4	25,6	6,2	7,9	22,2	15,3
დასავლეთის	15,4	18,8	1,0	1,0	—	—
სამხრეთის	26,8	36,6	24,8	9,0	—	—
აფხაზეთის ასსრ	29,5	45,3	26,2	15,1	—	—
აჭარის ასსრ	20,9	31,6	20,7	15,9	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	18,8	25,2	—	—	—	—
სულ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში	20,0	—	1,4	—	11,8	—
სულ საქართველოს დასავლეთ ნაწილში	24,9	—	10,3	—	12,0	—
მთლიანად საქართველოს სსრ	22,0	—	5,0	—	11,9	—

ტურაში დარგების მიხედვით მაღალი ხვედრი წონა ელექტროენერგეტიკაში უკავია (1975 წ.) აღმოსავლეთ ცენტრალურ (თბილისის), დასავლეთ ცენტრალურ (ქუთაისის) და აფხაზეთის ასსრ ეკონომიკურ რაიონებს (70, 8%); მაღალი ხვედრი წონა უკავია მათ და აჭარის ასსრ ეკონომიკურ რაიონს სათბობის მრეწველობაში (96, 4%), მაღალია აღმოსავლეთ ცენტრალურ და დასავლეთ ცენტრალურ ეკონომიკური რაიონების ხვედრი წონა შავ მეტალურგიაში (100%), აღმოსავლეთ ცენტრალურისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკურ რაიონისა ფერად მეტალურგიაში (100%), აღმოსავლეთ ცენტრალურისა და დასავლეთ ცენტრალურისა ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში (92, 4%), მანქანათმშენებლობაში და ლითონდამუშავებაში (84, 1%).

ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში მაღალია აღმოსავლეთ ცენტრალური, დასავლეთ ცენტრალური, დასავლეთის და აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური რაიონების ხვედრი წილი (92, 3%), მსუბუქ მრეწველობაში — აღმოსავლეთ ცენტრალურის და დასავლეთ ცენტრალურის (84, 1%). ამ უკანასკნელი ორ რაიონისა და აღმოსავლეთის, დასავლეთის და აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური რაიონების ხვედრი წონა კვების მრეწველობაში შეადგენდა 91, 8%.

ცხრილი 8

სტრუქტურა ეკონომიკური რაიონების მიხედვით (%)[28]

	ფერადი მეტალურგია		ქიმიური და ნავთობქიმიური		მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება		ხე-ტყის და ხის დამამუშავებელი		საშენ მასალათა მრეწველობა		მსუბუქი		კვების		მრეწველობის სხვა დარგები	
	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
	—	—	4,1	2,6	1,1	5,9	2,3	0,9	8,4	12,0	6,0	5,1	62,0	55,7	1,2	2,5
	0.1	2,9	14,3	12,7	15,2	15,2	2,1	2,3	10,0	11,2	7,6	8,5	8,8	9,5	1,4	8,5
	—	—	4,3	5,7	12,5	11,9	1,9	1,6	5,2	4,7	6,3	10.1	10,5	11,2	3,5	2,0
	—	—	2,9	3,1	11,5	10,6	12,8	10,4	2,4	4,1	5,9	6.0	44,2	41,6	3,9	4,4
	—	—	2.0	4,7	2,0	4,9	1,4	1,4	18,0	8,6	5,4	4,3	16,5	25,7	3,1	4,5
	—	—	0,5	0,5	3.7	3,3	6,0	5.0	3,0	4,0	3.9	3.1	23,6	20,8	3,6	2,9
	—	—	4,2	3,6	9,4	9,5	3,8	3,3	7,4	8,4	4.8	4,4	24,8	20,1	4.0	3,2
	23.7	17,6	1,3	1.3	19.6	17,7	6,3	3,5	4,9	7.1	5.8	6,0	17,4	17,7	2,2	3,3
	0,4	—	13,1	—	13,9	—	2,1	—	10,0	—	7,8	—	13,1	—	6,8	—
	—	—	3,4	—	10,5	—	4.7	—	4,6	—	5,7	—	20,3	—	3,6	—
	0,2	—	9,2	—	12,5	—	3,2	—	7,8	—	6,7	—	16,0	—	5,5	—

მრეწველური წარმოების სპეციალიზაცია ეკონომიკურ რაიონებში
მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურის მიხედვით (1975 წ.)

ეკონომიკური რაიონები	ელექტროენერგეტიკა	სათბობი	შავი მეტალურგია	ფერადი მეტალურგია	ქიმიური და ნავთობქიმიური	მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	ხე-ტყის და ხის-დამამუშავებელი	საშენ მასალათა მრეწველობა	მსუბუქი	კვების
აღმოსავლეთის	×							××		×
აღმოსავლეთ ცენტრალური (თბილისის)	×		××		××	×		××		××
დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის)	×		×			××				××
დასავლეთის	××					××			××	×
სამხრეთის	×	××					××	××		××
აფხაზეთის ასსრ	×	×								×
აჭარის ასსრ	××	×				××				×
სამხრეთ ოსეთის ა/ო	×			×		××				×

*—მრეწველობის ძირითადი ფონდების ხვედრი წილი აღემატება 15%.

**—მრეწველობის ძირითადი ფონდების ხვედრი წილი 9—15% ფარგლებშია.

[28] ცხრილი შედგენილია ეკ. მ. კ. ნ. არევაძის გაანგარიშებების საფუძველზე.

ეკონომიკური რაიონები	ელექტროენერგეტიკა		სათბობი		შავი მეტალურგია	
	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
აღმოსავლეთის	3,1	3,4	—	—	—	—
აღმოსავლეთ ცენტრალური (თბილისის)	48,5	36,4	10,6	16,6	58,9	58,9
დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის)	27,5	26,6	27,0	37,5	41,1	41,1
დასავლეთის	5,1	6,1	1,5	1,5	—	—
სამხრეთის	1,5	1,9	16,6	2,1	—	—
აფხაზეთის ასსრ	9,2	17,8	35,8	27,9	—	—
აჭარის ასსრ	4,4	6,5	19,2	15,0	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	0,7	0,9	—	—	—	—
სულ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი	53,8	42,6	16,6	18,7	58,9	58,9
სულ საქართველოს დასავლეთი ნაწილი	46,2	57,4	83,4	81,3	41,1	41,1

საერთოდ 1975 წ. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში იწარმოებოდა შავი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, საშენ მასალათა და მსუბუქი მრეწველობის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი და ფერადი მეტალურგიის მთელი პროდუქცია, ხოლო საქართველოს დასავლეთ ნაწილში — ელექტროენერგიის, სათბობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელ და კვების მრეწველობის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი.

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ტერიტორიული პროპორციები 1975 წ. ეკონომიკური რაიონების მიხედვით იყო შემდეგი მონაცემებით (%).

აღმოსავლეთის	4,7
აღმოსაელეთ ცენტრალური (თბილისის)	50,6
დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისის)	22,4
დასავლეთის	7,5
სამხრეთის	1,1
აფხაზეთის ასსრ	8,5
აჭარის ასსრ	4,4
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	0,8
სულ—საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი	57,2
სულ—საქართველოს დასავლეთი ნაწილი	42,8

ფონდების მიხედვით (%-ით)[29]

ცხრილი 9

ფერადი მეტალურგია		ქიმიური და ნავთობქიმიური		მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება		ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი		საშენ მასალათა მრეწველობა		მსუბუქი		კვების		მრეწველობის სხვა დარგები	
1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.	1970 წ.	1975 წ.
—	—	2,1	1,5	0,4	2,2	3,3	1,3	4,9	6,6	4,1	3,1	17,5	16,1	1,0	2,1
22,1	90,7	82,3	77,3	63,8	62,3	34,0	39,5	67,6	67,1	56,6	54,9	28,6	27,9	71,0	75,6
—	—	10,4	15,2	22,0	21,8	12,8	12,2	14,7	12,4	20,8	29,2	14.3	15,6	13,9	8,0
—	—	2,3	2,8	6,7	6,4	29,1	26,2	2,3	3,6	6,4	5,8	20,1	19,3	5,2	5,9
—	—	0,3	0,6	0,2	0,4	0,6	0,5	2,9	1,1	1,0	0,6	1,3	1,8	0,7	0,9
—	—	0,4	0,5	2,1	2,3	13,0	14,4	2,7	4,0	4,0	3,3	10,1	10,9	4,5	4,5
—	—	2,1	1,9	3,5	3,4	5,6	4,9	4,4	4,4	3,4	2,5	7,2	5,5	3,4	2,5
77,9	9,3	0,1	0,1	1,3	1,2	1,6	1,0	0,5	0,7	0,7	0,6	0,9	0,9	0,3	0,6
100	100	84,8	79,5	65,7	66,2	39,5	42,3	75,9	75,6	65,4	59,2	48,3	48,8	73,0	79,1
—	—	15,2	20,5	34,3	33,8	60,5	57,7	24,1	21,4	34,6	40,8	51,7	51,2	27,0	20,9

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მრეწველობის მთლიანი პროდუქციის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი იწარმოება საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. აქაც მხოლოდ 1970—1975 წწ-ში მოხდა გარკვეული ცვლილებები. მაგ., 1975 წ. 1970 წ. შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის და გაიზარდა საქართველოს დასავლეთი ნაწილის ხვედრი წონა ელექტროენერგიის, ქიმიური და ნავთობქიმიური, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა, ხოლო გაიზარდა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის ხვედრი წონა სათბობის, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების დარგობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები.

თანხების გადანაწილება სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებს შორის ხდება იმ დიდი ამოცანების შესაბამისად, რომელნიც დასმულია ამ დარგების განვითარების წინაშე.

[29] ციფრები გაიანგარიშა ეკ. მეცნ. კანდიდატმა ნ. არევაძემ.

სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და დაწესებულებების კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის დინამიკა საქართველოს სოფლის მეურნეობაში (რამდენჯერ)[30].

	1976 წ. 1940 წ. მიმართ	1976 წ. 1960 წ. მიმართ	1976 წ. 1965 წ. მიმართ	1976 წ. 1970 წ. მიმართ
მთლიანად სახალხო მეურნეობაში	13	3,17	2,03	1,36
მათ შორის:				
სოფლის მეურნეობაში	65	6,29	2,19	1,50

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდას სოფლის მეურნეობაში 40—50-იან წლებში თავისი სპეციფიკურობა ჰქონდა, რომელიც განპირობებული იყო როგორც ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებისა და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების აუცილებლობით, ისე ომის შემდგომ აღდგენით სამუშაოთა ჩატარებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდას 50-იან წლებში.

1950 წ. 1940 წ. შედარებით კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 5,25-ჯერ, 1960 წ. კი 10-ჯერ, ხოლო 1965 წ. 30-ჯერ. 50—60-იან წლებში სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების ამგვარი ზრდის შემდეგ განვითარებული სოციალიზმის პირობებში მისი შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებულია იმ ახალი ამოცანებით, რომელიც დასმულია ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს წინაშე. მაგ., 1965 წ. 1960 წ. შედარებით კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 2,88-ჯერ, 1970 წ. შესაბამისად — 4,2-ჯერ, 1975 წ. — 5,8-ჯერ, ხოლო 1976 წ. — 6,2-ჯერ.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, რამაც არსებითი ცვლილება შეიტანა კაპიტალურ დაბანდებათა დარგობრივ სტრუქტურაში. მნიშვნელოვნად შეიცვალა კაპიტალური დაბანდებების შეფარდებები სოფლის მეურნეობაში მათი წყაროების მიხედვითაც.

სახელმწიფო და კოლმეურნეობების ხვედრი წილის დინამიკა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების საერთო კაპიტალურ დაბანდებებში სოფლის მეურნეობაზე (საერთო დაბანდებები — 100%)[31]

	1929—1932 წწ.	1933—1937 წწ.	1946—1950 წწ.	1951—1955 წწ.	1556—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.	1921—1976 წწ.
სახელმწიფოს	54	41	32	47	41	63	73	74	73	63

[30] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ.47—48.

[31] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 80.

მათ შორის:										
საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე	53	40	33	46	42	65	75	75	74	64
კოლმეურნეობების	46	59	68	53	59	37	27	26	27	37
მათ შორის:										
საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე	47	60	67	54	58	35	25	25	26	36

მოტანილი შეფარდებები მოწმობენ იმას, რომ რეალური სოციალიზმისათვის დამახასიათებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებში საბჭოთა სახელმწიფოს წამყვანი და გადამწყვეტი როლი. თუ როგორი სტრუქტურა ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებებში საწარმოო დანიშნულების მიხედვით, წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი მონაცემები.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურა დანიშნულების მიხედვით (მთელი კაპიტალური დაბანდებები — 100%)[32]

	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.
საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე და ახალი ტექნიკის შეძენაზე	91,3	91,2	93,3	91,6
აქედან:				
მეცხოველეობისათვის საბგომების მშენებლობასა და მოწყობაზე	11,3	5,9	11,4	9,8
წყალთა სამეურნეო მშენებლობაზე	17,7	20,9	19,1	17,9
სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაზე	4,4	3,1	2,5	1,8
ხეხილის, ვენახისა და სხვა მრავალწლიან ნარგავების განვითარებაზე	26,1	25,5	18,3	24,2
საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე გამიზნული საერთო ჯამიდან დანახარჯები ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებების, გაწყობილობისა და ინვენტარის შეძენაზე, რომლებიც არ შედიან მშენებლობების ხარჯთაღრიცხვაში	11,1	12,1	14,2	13,5
საწარმოო დანიშნულების სხვა დანახარჯები	20,	23,7	27,8	24,4
არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე	8,7	8,8	6,7	8,4

სოფლისმეურნეობრივ წარმოებაზე სახელმწიფოს და კოლმეურნეობების საერთო კაპიტალური დაბანდებების პროპორციებში საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მიხედვით 1961—1976 წწ.-ში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. რაც შეეხება სა-

[32] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 83.

წარმოო დანიშნულების ობიექტებზე გამიზნულ კაპიტალური დაბანდებების მიმართულებას, აქ შესამჩნევად გაიზარდა დანახარჯების ხვედრი წონა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და წყალთა სამეურნეო მშენებლობაზე. საერთოდ კი, თითქმის ყველა ჩამოთვლილი მიმართულების მიხედვით მნიშვნელოვანი იყო კაპიტალური დაბანდებების აბსოლუტური მოცულობის ზრდა. მაგ., 1976 წ. 1965 წ. შედარებით სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების საერთო კაპიტალური დაბანდების წლიური მოცულობა გაიზარდა 2, 1-ჯერ, 1970 წ. შედარებით — 1, 5-ჯერ, 1975 წ. შედარებით კი 1, 1-ჯერ. მათ შორის საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა და ახალი ტექნიკის შეძენაზე, შესაბამისად — 2, 1-ჯერ, 1, 6-ჯერ და 1, 1-ჯერ, აქედან მეცხოველეობისათვის სადგომების მშენებლობასა და მოწყობილობაზე — 2-ჯერ, 2, 3-ჯერ და ერთჯერ, წყალთა სამეურნეო მშენებლობაზე — 2-ჯერ, 1, 2-ჯერ, ხოლო 1976 წ. 1975 წ. შედარებით შეადგინა 98, 6 %, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაზე 1976 წ. 1965 წ შედარებით შეადგინა 77, 7 %, 1970 წ. შედარებით 100 % და 1975 წ. შედარებით 77, 7 %. ხეხილის, ვენახისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე შესაბამისად გაიზარდა 1, 9-ჯერ, 1, 7-ჯერ და 1, 4-ჯერ, სოფლის მეურნეობისათვის ახალი ტექნიკის შეძენაზე 2, 5-ჯერ, 1, 8-ჯერ და 1975 წ. შედარებით შეადგინა — 94, 4 %, არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე — 2, 5-ჯერ, 1, 4-ჯერ და 1, 2-ჯერ.

როგორც ვხედავთ, გარდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაზე გამიზნული კაპიტალური დაბანდებებისა წლიური მოცულობა 1965—1976 წწ.-ში 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებებში 1971—1976 წწ-ში როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებების ზრდის ტემპები უფრო მაღალია. მაგ., თუ 1976 წ. 1970 წ. შედარებით სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების დაბანდებები სოფლის მეურნეობაში მთლიანად გაიზარდა საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტებზე — 1, 55-ჯერ, სახელმწიფოს კაპიტალური დაბანდებები გაიზარდა 1, 5-ჯერ, ხოლო კოლმეურნეობებისა 1, 66-ჯერ, კერძოდ საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე კი შესაბამისად 1, 56-ჯერ, 1, 50-ჯერ და 1, 78-ჯერ. ეს მეტყველებს იმას, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, მეტი საშუალებები აქვს კოლმეურნეობებს კაპიტალური დაბანდების ზრდისათვის, ე. ი. სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების ტემპების დაჩქარებისათვის.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების ზრდის შედეგად გაიზარდა ექსპლოატაციაში შეყვანილი ძირითადი ფონდების მოცულობაც, შეიცვალა აგრეთვე საწარმოო და არასაწარმოო ობიექტებზე დახარჯებში შეფარდებები სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაში შეყვანის შეფარდებები (სულ ექსპლუატაციაში შეყვანილი-100%)[33]

კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულება	1971 წ.		1975 წ.		1976 წ.	
	სახელმწიფო	კოლმეურნეობები	სახელმწიფო	კოლმეურნეობები	სახელმწიფო	კოლმეურნეობები
მთლიანად	73,7	26,3	76,7	23,3	72,3	27,7
საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე	74,7	25,3	77,1	22,9	72,2	27,8
არასაწარმოო დანიშნულების ობიექტებზე	61,1	38,9	70,0	30,0	73,1	26,9

როგორც ვნახეთ, სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების უდიდესი ნაწილი, როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო ობიექტების მშენებლობაზე, მოდის სახელმწიფოს ხარჯზე.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით 1965—1976 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო ძირითად ფონდებში მოხდა შემდეგი სტრუქტურული ძვრები:

ძირითადი ფონდების სტრუქტურის დინამიკა 1965—1976 წწ. (1978 წ. შესადარ ფასებში, ყველა ძირითადი ფონდი — 100%)[34]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
საწარმოო ძირითადი ფონდები	58.4	60.2	62,4	62,9
არასაწარმოო ძირითადი ფონდები	41,6	39.8	37,6	37,1

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების პროპორციებში 1965—1976 წწ-ში დინამიური ძვრები მოხდა.

შესამჩნევად გაიზარდა წარმოებრივი და შემცირდა არაწარმოებრივი დანიშნულების ძირითადი ფონდების ხვედრი წონა, საერთოდ, კვლავწარმოების უპირატესად ინტენსიური ზრდის პირობებში წარმოებრივი დანიშნულების ძირითადი ფონდები უფრო მეტად უნდა

[33] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 75

[34] ციფრები საქართველოს ცსს მასალებიდან.

იზრდებოდნენ არა მარტო მათი რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ცვლილებების ხარჯზე (შენობების და ნაგებობების უფრო სრულყოფილი, მსუბუქი კონსტრუქციები, ახალი, პროგრესული პარამეტრების მქონე დანადგარები, პრინციპულად ახალი თვისების მქონე მანქანები და მათი სისტემები და სხვ).

კვლავწარმოების ინტენსიური მხარის გაძლიერება მნიშვნელოვნად ამაღლებს არაწარმოებრივი დანიშნულების ძირითადი ფონდების ხვედრ წონას, რაც აუცილებელია მომსახურების სფეროს, სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება-სრულყოფისათვის.

სტრუქტურული ძვრები წარმოებრივ ძირითად ფონდებში ფრიად საგულისხმოა. მრეწველობაში კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერებასთან ერთად სოფლის მეურნეობისათვის და მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია კვლავწარმოების ექსტენსიური ფაქტორები. რასაკვირველია, დინამიკური ძვრები ძირითადი ფონდების სტრუქტურაში ჯერ კიდევ გაგრძელდება, მაგრამ თუ განვითარების უახლოესი ეტაპისათვის (1981—1990 წწ.) ეს წარიმართება როგორც წარმოებრივ და არაწარმოებრივ ძირითად ფონდებს შორის, ისე წარმოებრივ ძირითად ფონდებს შორის მატერიალური წარმოების სფეროს დარგების მიხედვით არსებული დისპროპორციების დაძლევისათვის. შემდგომ, უფრო შორეულ პერსპექტივაში (1995—2010 წლისათვის), ეს პროცესი, გამომდინარე საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერებიდან და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გადასვლიდან უპირატესად ინტენსიური კვლავწარმოების მაჩვენებლებზე, შესაძლებლობას შექმნის როგორც წარმოებრივი, ისე არაწარმოებრივი დანიშნულების ძირითადი ფონდების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის. ამის საწინდარია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება და მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმოებაში დროული დანერგვა.

ამჟამად კი, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის მნიშვნელოვანი თვისებრივი მხარეა კაპიტალური დაბანდებების დარგთაშორისი გადანაწილება, პირველ რიგში სოფლის მეურნეობრივი წარმოების უფრო სწრაფი ტემპით განვითარებისათვის და ამ მიზნისათვის გამოყოფილ საერთო კაპიტალურ დაბანდებებში საბჭოთა სახელმწიფოს ხვედრი წონის აბსოლუტური სიდიდე.

საქართველოს სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ზრდასთან ერთად შეიცვალა მათი ხვედრი

წონა როგორც შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელში, ისე ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკების მიმართაც.

ამიერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკათა ხვედრითი წილის დინამიკა სოფლის მეურნეობაში საკავშირო მთავრობის კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობაში (სსრკ — 100%)[35]

	1929—1932 წწ.	1933—1937 წწ.	1946—1950 წწ.	1951—1955 წწ.	1956—1960 წწ.	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1976 წ.	1918—1976 წწ.
საქართველოს სსრ	1,73	2,21	2,38	2,08	1,32	1,55	1,80	1,46	1,41	1,58
აზერბაიჯანის სსრ	1,81	1,87	2,07	2,63	1,51	1,38	1,61	1,52	1,65	1,59
სომხეთის სსრ	0,95	1,17	1,01	0,80	0,71	0,88	1,05	0,95	0,82	0,94

1956—1960 წწ. საქართველოში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონის მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ, შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში, 1961—1965 წლებიდან მათ ხვედრ წონას ამაღლების ტენდენცია დაეტყო.

კაპიტალური დაბანდებების ცვლილებები სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ორგანულად დაკავშირებულია და გამომხატველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოებრივ წარმოებაში განვითარებული სოციალიზმის ამ ეტაპზე.

ამრიგად, კაპიტალურ დაბანდებათა დინამიზმი, მათი მიმართულებათა ცვლილება საქართველოს ეკონომიკაში დამოკიდებულია იმ გლობალური სახალხომეურნეობრივი პრობლემების და, პირველ რიგში, რეგიონალურ მეცნიერულ-ტექნიკურ ამოცანათა გადაჭრაზე, რომელიც დასახულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობით გამომდინარე განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის მოთხოვნილებიდან.

[35] გაანგარიშებულია: Капитальное строительство в Грузинской ССР, გვ. 86—87.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ხარისხი და ეფექტიანობა

სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში, მისი ეფექტიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ისე კვლავწარმოების ყველა მხარის თვისებრივი მაჩვენებლების სრულყოფას. ხარისხი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიაა.

სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში როგორც პროდუქციის, ისე მუშაობის ხარისხის ამაღლების პრობლემა კომპლექსური პრობლემაა. იგი ერთმანეთთან აკავშირებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და მატერიალური წარმოების სხვა დარგს და ქვედარგს. ხარისხი განისაზღვრება როგორც წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური, ისე წარმოების კულტურის, აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დონით, თუ რამდენადაა სრულყოფილი წარმოების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და მართვა, როგორაა დაყენებული პროდუქციის გამოშვების კონტროლი და მისი წინასწარი გამოცდა.

უხარისხო საქონელი სიძნელეს აწყდება გასაღებაში, იწვევს ჩაწოლილ საქონელზე ფასების შემცირებას და არსებითად აფერხებს როგორც საწარმოს მუშაობას, ისე მთელ კვლავწარმოებით პროცესს, ამატომ პროდუქციის მყარი გასაღების სიმტკიცის ამაღლების, მასთან ერთად კვლავწარმოებითი ციკლის მზარდი ტემპის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მისი ნომენკლატურის (ასორტიმენტის) გაფართოება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე პირობებში პროდუქციის ხარისხის ამაღლება, საქმიანობის ყველა სფეროში ხარისხის მაჩვენებელთა სრულყოფა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანა გახდა როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფა-განმტკიცებისათვის.

პროდუქციისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, კერძოდ წარმოებულ პროდუქციაზე სახელმწიფოებრივი კონტროლის გაძლიერება განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედს მისცა ბევრის შემცველი დახასიათება როგორც ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს. აღნიშნული დახასიათება XXVI ყრილობის მიერ გავრცელებულია XI ხუთწლედზეც. ეს განპირობებულია საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების თავისებურებებით მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

ეფექტიანობა და ხარისხი სოციალისტური ეკონომიკის მუდმივ მოქმედი ფაქტორია, მაგრამ მწარმოებლური ძალების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ისინი ერთნაირი ძალით არ მოქმედებენ. სოციალიზმის ეკონომიკის განვითარებაში იყო პერიოდები, როდესაც, მიუხედავად ამ ფაქტორების მოქმედებისა, რაოდენობრივი ფაქტორი წამოწეული იყო წინა პლანზე. ეს განპირობებული იყო მწარმოებლურ ძალთა განვითარების შედარებით დაბალი დონით და წარმოების შედარებით მცირე მასშტაბებით.

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა წარმოების უდიდესმა მასშტაბებმა ხარისხობრივი მაჩვენებლები აამაღლეს უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებამდე. ხარისხობრივი მაჩვენებლები არა მარტო მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლად, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორადაც იქცნენ, რომლებიც ამაღლებენ როგორც ცალკეული საწარმოებისა და დარგების, ისე მთელი სახალხო მეურნეობის, მთლიანად მთელი სახელმწიფოს პრესტიჟს როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე.

ამასთან დაკავშირებით თანამედროვე პირობებში საქონლის, მთელი მეურნეობრივი საქმიანობის ხარისხის ამაღლება მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემა გახდა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხასიათს და საგარეო ეკონომიკურ თანამშრომლობას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მასშტაბები დღეს ისეთი დიდია, რომ გვიხდება ეშმარიტად ასტრონომიული ციფრებით ოპერირება. ამგვარ პირობებში საზოგადოებრივი წარმოების, მთელი მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ ფაქტორების სრულად გამოყენებით შესაძლებელია წარმოების ახლანდელ დონეზე, მისი ტექნიკურად შეიარაღების თანამედროვე პირობებში გაცილებით უკეთ იყოს დაკმაყოფილებული მოთხოვნილება როგორც შრომის (ლითონზე, სათბობზე, საშენ მასალაზე) საგხებზე, ისე სახალხო მოხმარების საქონელზე. „ახლა არა გვაქვს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე ვიდრე მთელი ჩვენი შესაძლებლობებისა და დოვლათის ყაირათიანი, უაღრესად რაციონალური გამოყენება"[1]. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების და მართვის, შრომის იარაღებისა და შრომის საგნების, საწარმოო და არასაწარმოო მოხმარების საგნების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებასთან.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემა კომპლექსურია. იგი აკავშირებს მატერიალური წარმოებისა და არამატერიალური სფეროს მრავალ დარგს, განსაზღვრავს როგორც მიღწეულ ტექნიკურ-ეკონომიკურ და წარმოების კულტურის, ისე სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დონეს, აგრეთვე ტექხოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ხარისხს.

ხარისხის გაუმჯობესება საშუალებას იძლევა მოიხსნას წარმოებიდან მოძველებული ტიპის ნაწარმი და შეიცვალოს უფრო სრულყოფილით. ეს ფრიად რთული ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად მოხმარებაში მყოფ პროდუქციის რაოდენობა დასახელების მიხედვით შეადგენს, როგორც ამას ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, თითქმის 10—12 მლნ[2]. ამიტომ თანამედროვე პირობებში ხარისხის დონის ამაღლება უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის განახლების კოეფიციენტთან. ეს ორი ეკონომიკური მაჩვენებელი მუდმივად უნდა იდგეს სამეურნეო მუშაკების ყურადღების ცენტრში. სახალხო მეურნეობაში სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს წარმოებული პროდუქციის სტანდარტიზაციის სრულყოფაც.

თანამედროვე პირობებში, როდესაც სოციალისტური წარმოების წინაშე ფრიად მკვეთრად დგას პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემა, როგორც კვლავწარმოების ინტენსიური ხასიათის გამაძლიერებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი, წარმოებულ პროდუქციაზე სტანდარტები უნდა გამომდინარეობდეს არა წარმოების შესაძლებლობებიდან, არამედ მოხმარებისა და საგარეო ბაზრების მოთხოვნებიდან.

ორიენტაცია წარმოების შესაძლებლობებზე კი არ აჩქარებს, პირიქით, ანელებს წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესს, იმ დროს

---

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი" 03 03. 1979, გ. 2.

[2] ჟურ. «Планозое хозяйство», № 1, 1977, გვ. 92.

როდესაც წარმოების ორიენტაცია ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც პასუხობს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს, უბიძგებს წარმოებას მნიშვნელოვნად აამაღლოს მისი ეფექტიანობა, აძლიერებს მის ინტენსიურ ხასიათს.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება ხელს უწყობს წარმოების სრულყოფის არსებით პროცესებს—იზრდება შრომის მწარმოებლურობა, ნაწარმი მზადდება უფრო ეკონომიური, საიმედო და ხანგამძლე. მცირდება ნედლეულისა და მასალების დანახარჯები, ფართოვდება ნაკეთობათა ნომენკლატურა და ასორტიმენტი. სრულყოფილი ხდება პროდუქციისა და წარმოების დარგობრივი სტრუქტურა. ყოველივე ეს დაკავშირებულია ხარისხის დონის მუდმივ ამაღლებასთან.

ხარისხის ამაღლება განპირობებულია იმით, რომ: 1. ნაწარმის ხარისხის ამაღლების, მისი საიმედოობის და ხანგამძლეობის პრობლემა გაცდა ცალკეულ საწარმოთა ფარგლებს და გახდა სახელმწიფოებრივი პრობლემა; 2. საწარმოო კავშირების, ცალკეულ საწარმოებსა და მრეწველობის დარგებს შორის კოოპერაციის განვითარების თანამედროვე პირობებში პროდუქციის ხარისხის ამაღლება მხოლოდ ცალკეულ საწარმოთა ან დარგების ძალებით შეუძლებელი გახდა; 3. მიუხედავად გარკვეული დარგობრივი თავისებურებებისა, პროდუქციის ხარისხის ამაღლების ორგანიზაციული სამუშაოების პრინციპული საფუძვლები და მთავარი პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ მეცნიერულ დამუშავებას, მრეწველობის ყველა დარგისათვის წარმოადგენენ საერთოს; 4. პროდუქციის ხარისხის ეკონომიკური პრობლემები მოითხოვენ ერთობლივ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას, კერძოდ: სანქციისა და სტიმულირების საკითხების, მათ კავშირს ფასებთან, წარმოების რენტაბელობასთან და სხვ.

აქვე აღსანიშნავია საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ხარისხის ამაღლების განსაკუთრებული სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა. ეს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში შრომის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. მანქანები და გაწყობილობა, ხელსაწყოები და სხვადასხვა ხასიათის იარაღი, შექმნილი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების გათვალისწინებით, შესაძლებლობას ქმნიან რაოდენობით უფრო მეტი. ხოლო ნაკლები შრომის დანახარჯებით წარმოებული იყოს მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი მრეწველური და სოფლის მეურნეობრივი პროდუქცია, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ტექნიკურ პირობებს და სტანდარტებს.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საყურადღებოა ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტის შეხედულება შრომის საშუალებების ცვეთის სისტემის შესახებ, რომელიც მისი ხარისხისა და გამოყენების

ეფექტიანობაზე მეტყველებს. მაგ., შრომითი საშუალებების ცვეთის სისტემა წარმოდგენილია ორი ჯგუფის მიხედვით:

I ჯგუფი — მატერიალური ცვეთა, რომელიც გამოიხატება შრომითი საშუალებების საგნობრივ ცვეთაში და მათი სამომხმარებლო ღირებულების თანდათანობით დაკარგვაში.

ეს ჯგუფი შედგება ცვეთის ორი ფორმისაგან:

1. მატერიალური ცვეთისაგან, რომელიც გამოწვეულია შრომის საშუალებების მოხმარებით.

2. მატერიალური ცვეთისაგან, რომელიც არ არის გამოწვეული შრომის საშუალებების მოხმარებით.

II ჯგუფი — ეკონომიკური ცვეთა, რომელიც ხასიათდება შრომის საშუალებების ღირებულების დაკარგვით. აქ ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიყოს:

1. პირველი სახის ეკონომიკური ცვეთა, რომელიც გამოიხატება შრომის საშუალებების მიერ ღირებულების ნაწილის დაკარგვით და მისი გადაცემით პროდუქციაზე, მისი გამოყენების შედეგად, წარმოების პროცესში ფუნქციონირებისა და რეგულარული წყვეტილობის დროს;

2. მეორე სახის ეკონომიკური ცვეთა, რომელიც გამოიხატება შრომის საშუალებების ღირებულების ნაწილის დაკარგვით მისი გამოუყენებლობისა და არარეგულარული წყვეტილობის გამო. ღირებულების ეს ნაწილი არ ემატება პროდუქტს და არ ადიდებს მის ღირებულებას, მაგრამ წმინდა დანაკარგებს წარმოადგენს;

3. მესამე სახის ეკონომიკური ცვეთა წარმოადგენს მორალურ ცვეთას, რომელიც გამოიხატება შრომის საშუალებების ღირებულების შემცირებით, ახალი კონსტრუქციითა და სიმძლავრით კი ძველთან ერთგვაროვანი, მაგრამ უფრო იაფი შრომის საშუალებების გამოყენების შედეგად;

4. მეოთხე სახის ეკონომიკური ცვეთა ესეც მორალური ცვეთაა, რომელიც გამოიხატება მანქანებისა და გაწყობილობის ღირებულების შემცირებით, ახალი უფრო მწარმოებლური მანქანებისა და გაწყობილობის დანერგვის შედეგად[3].

მოტანილი მოსაზრებანი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საშუალებას იძლევიან უფრო ღრმად წარმოვიდგინოთ ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხი. ცხადია ის, რომ შრომის იარაღის ხარისხზე რამდენადმე დამოკიდებულია მანქანა-დანადგარების ექსპლოატაცი-

---

[3] იხ. ჟურნ. «Экономические науки», № 1, 1977, გვ. 22—23.

აში ყოფნის ვადა და მისი გამოყენების ეფექტიანობა, მანქანა-დანადგარების განახლების ვადები და სხვა თვისებრივი მხარეები[4].

ამას განსაკუთრებული სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისათვის. მაგ., 1977 წ. სსრ კავშირის იმპორტი შეადგენდა 30. 097 მლნ მანეთს, ანუ წარმოებული ეროვნული შემოსავლის 7, 4 %[5]. როგორც მონაცემებიდან ჩანს, საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი, რომელნიც მოიცავენ ეროვნული შემოსავლის 93—94 %, დაკმაყოფილებული უნდა იქნეს შინაგანი (საკუთარი) წარმოების ხარჯზე. ეს მაჩვენებელია სსრ კავშირის მაღალი ეკონომიკური პოტენციალის, აგრეთვე იმისა, რომ მაღალია პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წარმოების წინაშე პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში.

როდესაც ხარისხის დონეზე ვლაპარაკობთ გამოვდივართ მისი შემდეგი კატეგორიებიდან: ა. უმაღლესი კატეგორიის, როდესაც პროდუქციას ენიჭება ხარისხის სახელმწიფო ნიშანი[6], და ბ. პირველი ხარისხი.

აქედან ხარისხის დონე შეიძლება განისაზღვროს უმაღლესი კატეგორიისა და პირველი ხარისხის პროდუქციის ხვედრი წონით წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში, მაგრამ საჭიროა მათ შორისაც იყოს შემოღებული გადასაყვანი კოეფიციენტი (პირველი ხარისხის უმაღლეს ხარისხის დონემდე ან პირიქით), დადგინდეს რა პროპორციებითაა წარმოდგენილი უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქცია მის საერთო მოცულობაში. როდესაც ვლაპარაკობთ

---

[4] მაგ., ამშ დამმუშავებელ მრეწველობაში მანქანა-გაწყობილობის მოქმედების ვადა (1971 წ. მიღებული წესების მიხედვით) უდრიდა საშუალოდ 10—11 წელს. 1942 წ. მიღებული წესების მიხედვით—19 წელს, ხოლო 1962 წ. წესების მიხედვით—13 წელს.

როგორც ეხედავთ, აღნიშნულ პერიოდში საამორტიზაციო ვადა შემცირდა თითქმის ორჯერ. არსებითად ყოველ ათწლეულში ხდება საამორტიზაციო ვადების შემცირება. კერძოდ, მანქანათმშენებლობაში 9-10 წელიწადში ერთხელ, ხოლო ავიარაკეტულ მრეწველობაში —6—7 წელიწადში (იხ. ჟურნ. «США, экономика, политика, идеология», № 8, 1976, გვ. 32—33).

[5] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1977 г., 403, 573.

[6] ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ენიჭება სსრკ სახსტანდარტის მიერ პროდუქციას, რომელიც ტექნიკური დონის მაჩვენებლების მიხედვით შეეფარდება შესაბამის საუკეთესო სამამულო და მსოფლიო მიღწევებს ანჰარბობს მათ, წარმოადგენს კონკურენტუნარიანს საგარეო ბაზარზე, აქვს ხარისხის მაღალი სტაბილური მაჩვენებლები, ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტების (რეკომენდაციების) მოთხოვნებს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას და უფრო სრულად აკმაყოფილებს ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს (Народное хозяйство СССР в 1977 г., გვ. 600).

ხარისხის დონეზე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე პროპორციები ძირითად და არაძირითად პროდუქციას შორის, რომელიც მზადდება საწარმოში, ანდა დარგში მთლიანად. ხარისხის დონის განმსაზღვრელი უნდა იქნეს ძირითადი პროდუქციის მაჩვენებლები.

ეს პროპორციები დგინდება როგორც პროდუქციის, ისე შესრულებულ სამუშაოთა სახეების მიხედვით.

რაც შეეხება ჯერჯერობით არსებულ მეორე კატეგორიის ხარისხის პროდუქციას, ის, როგორც წესი, თანდათანობით უნდა შეიცვალოს მაღალი ხარისხის პროდუქციით, ანდა განახლდეს.

ამ პროცესს წარმოებაში ფრიად მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლი ეხიჭება, რადგან წარმოადგენს თვისებრივი მხარის სრულყოფას, რომლის გარეშე შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე წარმოების პროცესის სრულყოფა.

ამიტომ ეკონომიკურად აუცილებელია არა მარტო ხარისხის დონის (მისი კოეფიციენტის) შესწავლა და განსაზღვრა, არამედ პროდუქციის განახლების კოეფიციენტების განსაზღვრაც, რომელიც შეიძლება ყოველწლიურად განხორციელდეს. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანი პირობაა წარმოებული პროდუქციის ძირითადი რაოდენობის ხარისხის ამაღლებისათვის. ამავე დროს ეტაპი იმისათვის, რომ შემდგომ ხარისხის დონის განსაზღვრისათვის გადავიდეთ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ იმ მოცულობის განსაზღვრაზე, რომელიც იქმნება უმაღლესი ხარისხით, ე. ი. რომელთაც მინიჭებული ექნებათ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მაშინ საჭირო აღარ იქნება ამგვარი ნიშნის არსებობა, ვინაიდან უმაღლესი ხარისხის პროდუქცია დაიკავებს აბსოლუტურად უდიდეს ნაწილს წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში. მაგ., თბილისის მრეწველობის პროდუქციის ხარისხის დარგობრივი სტრუქტურის შესახებ არსებული მონაცემების მიხედვით (1975 წ.) ქალაქის მრეწველური პროდუქციის საერთო სტრუქტურაში (რომელიც ექვემდებარება ატესტაციას) მანქანათმშენებლობის მრეწველობას ეკავა 33%, ამავე დროს უმაღლესი ხარისხის საერთო პროდუქციაში მას ეკავა 30%, პირველი ხარისხის პროდუქციის საერთო მოცულობაში — 29%, ხოლო მეორე ხარისხის პროდუქციის საერთო მოცულობაში — 70%, მსუბუქ მრეწველობას შესაბამისად — 1,9%, 2,0%, 2,3% და 9%. იმ დროს როდესაც აღნიშნული დარგები უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრი წონის მიხედვით წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში სანიმუშო უნდა იყვნენ.

რაც შეეხება მეორეხარისხოვან პროდუქციას, მისი ოდენობა თანამედროვე პირობებში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, ხოლო შემდგომ მთლიანად შეცვლილი (განახლებული).

გამომდინარე აქედან, ხარისხის დონე არა მარტო ცალკეული საწარმოების, არამედ დარგებისაც — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა, უნდა განისაზღვროს უმაღლესი (ხარისხის სახელმწიფო ნიშნით) და პირველი ხარისხის პროდუქციის, ხოლო მომსახურების საერთო მოცულობაში „ფრიადი" და „კარგი" მომსახურების შეფასების ხვედრიწონით.

ჩვენ ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეზე ვართ, როდესაც პროდუქციის ხარისხის ამაღლება ეროვნული შემოსავლის ზრდის, მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

სოციალისტური წარმოების მთავარი მიზნის — ხალხის კეთილდღეობის მუდმივი ზრდის, მათი მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა მხოლოდ წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი ზრდით კი არ გამოიხატება, არამედ უფრო ეფექტიანი, საიმედო და ხანგამძლე, მოხმარებას საუკეთესო თვისებებით აღჭურვილი ნაკეთობების წარმოებითაც. მხოლოდ ამ ორი მაჩვენებლის, ე. ი. რაოდენობრივი ზრდის და თვისობრივი მხარეების ამაღლების, ორგანული ერთიანობაა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მყარი გარანტია.

საიმედო და ხანგამძლე პროდუქციის გამოშვება სოციალისტური მეურნეობრივობის განხორციელების ძირითადი პრინციპის — საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე უმეტესი საწარმოო შედეგების მიღწევა უმცირესი დანახარჯებით — უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1970 წ. ნოემბრის დადგენილებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სტანდარტის როლის ამაღლების შესახებ, რომლის საფუძველზე 1971—1975 წწ-ში განხორციელებული იყო ყველა სტანდარტისა და ტექნიკური პირობების (დამტკიცებული 1966 წ.) გადასინჯვა-განახლება, მოძველებული მაჩვენებლების განახლების, სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის და ექსპორტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დროული ასახვის მიზნით[7].

---

[7] 1973 წ. ყველა სამრეწველო საწარმომ და სსრ კავშირის ყველა სამინისტრომ და უწყებამ, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ძირითადად დაამთავრეს გამოსაშვები პროდუქციის ატესტაცია ხარისხის სამი კატეგორიის მიხედვით. შემდგომ ამგვარი სამუშაო სისტემატურად ტარდება. მრეწველური პროდუქციის ატესტაციის ეკონომიკური ეფექტიანობა მიახლოებითი გაანგარიშებით ამჟამად შეადგენს 500 მლნ მანეთზე მეტს (იხ. Г. Л. Трахтенберг, Улучшение ассортимента и качества товаров—важное народнохозяйственная задача. Изд. «Знание», М., 1975, გვ. 35—37.)

აღნიშნულ დადგენილებაში მიზანშეწონილად ცნეს დამუშავებული და შეტანილი ყოფილიყო სახელმწიფოებრივი აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაში სტანდარტების დანერგვისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის სახელმწიფოებრივი ატესტაციის მონაცემები. პროდუქციის ხარისხის ამაღლება უნდა ისახავდეს განსაზღვრულ, ეკონომიკურად დასაბუთებულ მიზანს, ამის გარეშე შესაძლებელია მან დანაკარგები, წარმოების ზარალი, პროდუქციის გაძვირება გამოიწვიოს მოხმარებაში სათანადო სასარგებლო ეფექტის მიღწევის გარეშე, ე. ი. საჭიროა გათვალისწინებული იქნას განუწყვეტელი კავშირი ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის აწაღლებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხისა და მისი ეფექტიანობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს, რაც აისახება იმით, რომ სინამდვილე სხვადასხვა მოთხოვნას უყენებს პროდუქციის ხარისხს, თანამედროვე პირობებში, ამ პრობლემის კვლევისას, გამოიყოფა სამი ძირითადი მხარე: 1. საწარმოო — როდესაც ხარისხი გამოიხატება, როგორც თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც სტანდარტებისა და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციების მოთხოვნებს პასუხობენ; 2 სამომხმარებლო—როდესაც პროდუქციის ხარისხი განიხილება მომხმარებლის პოზიციიდან; 3. ეკონომიკური — როდესაც ითვალისწინებენ საწარმოო და სამომხმარებლო მხარეებს, რომელთა მიზანია ნაწარმის ხარისხის დონის ოპტიმიზაცია, ამასთან არეგულირებს მას (მაგალითად, ფასების დადგენით, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების ცვლილებების, შუშაკის მატერიალური სტიმულირების და სხვა ძაჩვენებლების გათვალისწინებით). ეკონომიკური მხარე საწარმოო და სამომხმარებლო მხარეების ერთიანობას წარმოადგენს.

ბუნებრივია, ეკონომიკური მეცნიერება დაინტერესებულია ეკონომიკური მხარით, იგი დაკავშირებულია წარმოებაში ეკონომიკური კანონზომიერების, პროდუქციის გამოყენების შესწავლასთან, ხარისხის მართვის ეკონომიკური მეთოდების შემუშავებასთან.

ხშირად პრაქტიკაში, როგორც ეს აღინიშნება ხოლმე ლიტერატურაში, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში მეღავნდება ტენდენცია, მისი ე. ი. ხარისხისათვის ბრძოლის დაყვანისა წუნის შესამცირებლად. მაგრამ პირდაპირი კავშირი წუნით დანაკარგებსა და წარმოებული პროდუქციის ხარისხს შორის არ არის.

შესაძლებელია, მაგალითად, წარმოებაში მცირე ხვედრი წონა ჰქონდეს წუნს, ამავე დროს უშვებდეს არახარისხოვან პროდუქციას, და, პირიქით, წუნის ხვედრი წონის ზრდასთან ერთად შესაძლებელია გამოშვებული იყოს მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ამიტომ არსებითად წუნის წინააღმდეგ ბრძოლა არა იმდენად პროდუქციის ხარისხის ამაღლების, რამდენადაც წარმოების დანახარჯების შემცირები-

სათვის და ვარგისი ნაკეთობების წარმოების ზრდისთვის ბრძოლას წარმოადგენს. ამავე დროს საწარმოებში წუნისაგან დანაკარგების შემცირება ნაწარმის ხარისხის ამაღლებისათვის მუშაობის ორგანიზაციის გადამწყვეტი პირობა არის.

მრეწველური პროდუქციის წარმოების დანახარჯებში ამჟამად საშუალოდ, მეცნიერ ეკონომისტების გაანგარიშებით, ცოცხალ შრომაზე მოდის ყველა დანახარჯის 15—17%. მაშასადამე, მუშამ, რომელმაც წუნი დაუშვა, არა მხოლოდ იმუშავა ცუდად, არამედ 5—6-ჯერ მეტი რაოდენობის საზოგადოებრივი შრომაც გაფლანგა, რომელიც განივთებული იყო როგორც შრომის იარაღებში, ისე შრომის საგნებში.

საბჭოთა პროფკავშირების XII ყრილობაზე პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის ნაკლოვანი მხარეების ანალიზისას აღნიშნული იყო, რომ მანქანათმშენებლობაში წლიური დანახარჯები წუნიდან შეადგენენ 120 მლნ მანეთს, ეს იმ დროს როდესაც პროდუქციის წუნთან დაკავშირებული ყველა დანაკარგი არ იყო აღრიცხული.

წარმოების ნორმალური პირობებიდან ყოველივე სახის გადახრა, სახელდობრ, არახარისხიანი მასალები და შესაბამისი ზომის ნაკეთობათა ცუდი მომარაგება, გაწყობილობის არასაკმარისი სიზუსტე, ტექნოლოგიური რეგლამენტის დარღვევა და სხვა იწვევენ პროდუქციის ხარისხის შემცირებას.

როგორც ვხედავთ, დანახარჯები გარკვეული ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფისათვის უცილობლივ ასახავენ წარმოების ტექნოლოგიური კულტურის დონეს, შემსრულებელთა კვალიფიკაციას, მათ დამოკიდებულებას შრომისადმი, ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციას, ე. ი. წარმოების მთელ ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

პროდუქციის წარმოებაზე საზოგადოებრივი დანახარჯების შემცირებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. მასზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის პროდუქციის ხარისხის ამაღლება და საწარმოებში მისი უზრუნველყოფა უმცირესი დანახარჯებით თანამედროვე პირობებში ყველაზე მოქმედი ფაქტორია.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება საშუალებას იძლევა მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ეს გამოიხატება კაპიტალური დაბანდებების, სატრანსპორტო დანახარჯების, მიმდინარე და სხვა შრომის საზოგადოებრივი დანახარჯების ეკონომიით.

ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში მანქანათმშენებლობაში ლითონის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენს 0, 76—0, 78, ხოლო ფოლადის ნაგლინისა — 0, 71—0, 73, ხე-ტყის სახერხ წარმოება-

ში გამოიყენება მერქნის მხოლოდ 60 %, ფირფიცრის წარმოებაში — 50 %. სადურგლო სამუშაოებში 50—60 %, რის შედეგად მერქნის ყოველწლიური დანაკარგები სსრ კავშირში შეადგენენ თითქმის 50 მლნ კუბურ მეტრს[8].

პროდუქციის ხარისხის ამაღლების, საიმედობის, ხანგამძლეობის ტექნიკური და ესთეტიკური დონის ეკონომიკური ეფექტიანობის გამოვლენა განსახილველ პრობლემებისადმი სამეცნიერო მიდგომის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს და დაგეგმვის, ამ დარგში ტექნიკურ-ეკონომიკურ დავალებათა ყველაზე მიზანშეწონილი, სწორი დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების ძირითად პირობას წარმოადგენს. მაღალი ხარისხის ნაკეთობათა წარმოების მოცულობის განსაზღვრისას, მათი დაგეგმვისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას და ამის განსახორციელებლად დასახულ ღონისძიებათა გატარებისას საჭირო გაანგარიშებების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ეკონომიის ორი ძირითადი წყარო:

ა. ხარისხის ამაღლების შედეგად სახალხო მეურნეობაში მიღებული საზოგადოებრივი შრომის ეკონომია, რომელიც ექვივალენტურია აღნიშნულ ნაწარმის შესაბამის რაოდენობრივ ზრდასთან, და ბ. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით კაპიტალური დაბანდებების დანაზოგები, რომელიც დაჭირდებოდათ ახალი საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებისათვის, იმავე ხარისხის პროდუქციის დამატებით გამოშვების უზრუნველსაყოფად. პროდუქციის ხარისხის

---

[8] ჟურნ. «Экономические науки», № 12, 1976, გვ. 52. იმ დროს როდესაც აშშ-ის მიმართ ჩვენს ქვეყანას უპირატესობა აქვს ფოლადის გამოდნობაში 21%-ით, ხოლო თუჯის—32% , იწარმოება დაახლოებით 20% უფრო ნაკლები სამრეწველო პროდუქცია. ამის მიზეზია პროდუქციის მაღალი ღირებულება. ამ მხრივ სსრ კავშირი ჯარბობს აშშ შესაბამისად 50 და 60%-ით. ეს განპირობებულია უფრო მეტად ტრადიციული დამძიმებული სანედლეულო მასალების და უფრო ნაკლებად მსუბუქი პროფილის ნაგლინის გამოშვებით. ასეთივე მდგომარეობაა საშენ მასალათა მრეწველობაში (ჟურნ. «США, экономика, политика, идеология», №5. 1978, გვ. 27).

აშშ-ში მანქანათმშენებლობაში ზრდის შეფარდებები 1975 წ. 1950 წ. შედარებით (რამდენჯერ):

წარმოების მოცულობა	3
(პირობითი წმინდა პროდუქციის ღირებულება)	3,16
ძირითადი კაპიტალი (მთლიანი ღირებულება)	2,35
დასაქმებულთა რიცხოვნობა	1,70
ფონდაღჭურვილობა	1,38
შრომის მწარმოებლურობა (პირობითი წმინდა პროდუქცია ერთ დასაქმებულზე წელიწადში)	1,86
პროდუქციის ფონდტევადობა	0,74

(იხ. ჟურნ. «Мировая Экономика и международные отношения» №2, 1977, გვ. 89.

დონე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, კერძოდ, მრეწველობაში ხასიათდება დარგის თავისებურებებით, მაგრამ, იმისათვის რომ სწორად განისაზღვროს ნაწარმის ოპტიმალური ხარისხი, აუცილებელია. შევინარჩუნოთ ხარისხის მაჩვენებელთა ყველაზე რაციონალური სისტემა, რომელიც მისაღები იქნება წარმოებული პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების, შერჩევისა და განსაზღვრის დროს. მაგ., ცნობილია, რომ მანქანათმშენებლობის პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნების განსაზღვრისას, როგორც წესი, განიხილავენ: ა. მანქანის წარმადობას, როგორც ძირითად პარამეტრს, ბ. ენერგოტევადობას, ე. ი. ენერგიის და მასალების დანახარჯებს თვით მანქანის მუშაობაზე, გ. მასალატევადობას — მანქანის წონა, შეფარდებული მის წარმადობასთან, დ. საიმედობას — როგორც ექსპლოატაციის გარკვეულ პირობებში შეუფერხებელ მუშაობის საშუალო ხანგრძლივობას, ე. ხანგამძლეობას, როგორც მანქანის ექსპლოატაციის ზღვრული ხანგრძლივობის ეკონომიკური მიზანშეწონილობა შემდგომ რემონტამდე, ვ. ესთეტიკურობას, ზ. დანახარჯებს ექსპლოატაციაზე და სხვ.

უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტ მაჩვენებლებს წარმოადგენენ მათი მნიშვნელობის მიხედვით მოტანილს: ა. ხვედრითი წარმადობა, ბ. საიმედობა, გ. საექსპლოატაციო ღირებულება. დ. ხანგამძლეობა. ყველა ეს მაჩვენებელი მართვადია, ე. ი. ისინი უნდა იგეგმებოდნენ. ამიტომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება ხარისხის გეგმაზომიერ მართვას.

შრომის ხარისხის რაოდენობრივი შეფასების ერთ-ერთ შესაძლებელ საშუალებას წარმოადგენს პროდუქციის უდეფექტო წარმოების სისტემა, იგი ითვალისწინებს მატერიალური წახალისების საშუალებათა ყოველმხრივ გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის პირველი წარდგენით ჩაბარების დონის ამაღლება. თვისებრივი მაჩვენებლების ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუშაკთა როგორც მატერიალურ, ისე მორალურ დაინტერესებას.

სოციალიზმის პირობებში მშრომელთა დაინტერესება თავისი შრომის შედეგებით გამოისახება ორი ფორმით — მატერიალურით და მორალურით. უკანასკნელის სრულყოფას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ეკონომიკასთან, რადგან მორალური სტიმულირება აღმოცენდება ეკონომიკური ურთიერთობებიდან. მათი სწორი გამოყენება კი წარმოადგენს სოციალიზმის დროს წარმოების მოცულობის, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვან რეზერვებს. ამავე დროს სოციალიზმის პირობებში მატერიალური

სტიმულები იქცევიან მორალურ ფაქტორებადაც, რადგან ისინი იძლევიან მუშაკთა შრომის შედეგების საზოგადოებრივ შეფასებას.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, განსაკუთრებით კომუნიზმისათვის ბრძოლაში მატერიალური და მორალური სტიმულირების შეხამება აუცილებელი პირობაა, ვინაიდან მხოლოდ მორალური დაინტერესება იმ პირობებში როდესაც შრომა ჯერ არ გამხდარა ადამიანის პირველ მოთხოვნილებად, არ არის საკმარისი შრომის შედეგების სტიმულირებისათვის.

მატერიალური და მორალური სტიმულირების პრობლემა წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული. ეს აიხსნება როგორც პრობლემის შედარებითი სიახლით, ისე მისი სირთულით, ვინაიდან დანახარჯები პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე და მათი ეკონომიკური ეფექტიანობა დანაწილებული არიან არა მარტო მათი წარმოშობის ადგილის მიხედვით, არამედ დროითაც.

ეჭვს გარეშეა, რომ ჯერ კიდევ სამოციანი წლების მეორე ნახევარში სამეურნეო პრაქტიკაში შემოღებული რეალიზებული პროდუქციის მაჩვენებელი უკვე თავისთავად ხელს უწყობდა წარმოებულ ნაკეთობათა ხარისხის ამაღლებას. ამ პირობებში სრულყოფილი პროდუქციის გამოშვება უზრუნველყოფდა მის მყარ გასაღებას და საწარმოს ნორმალურ მუშაობას. რეალიზაციის საშუალებით დასტურდებოდა არა მარტო რაოდენობრივი მოთხოვნილება, არამედ პროდუქციის ხარისხის შეფასებაც, შრომის ზომა და მისი ანაზღაურება. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა უჩვენებდა, რომ წარმოებული ნაკეთობები შეესაბამებიან გარკვეულ მოთხოვნებს და რომ მათ წარმოებაზე დანახარჯები აღიარებულია საზოგადოების მიერ.

ამასთან, სოციალისტურ წარმოებაში ფართოდ იყენებენ წახალისების სხვადასხვა სისტემას. კერძოდ, პრემიების გაცემას ხარისხზე, ითვალისწინებდნენ სხვადასხვა სახის თაოსნობის გამოვლინებას, კეთილსინდისიერებას, მუშაკთა ენერგიას და გულმოდგინებას, შრომით დამკვრელობას. ეს აუცილებელია, ვინაიდან მატერიალური სტიმულირების მოქმედი მეთოდები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობენ მაღალხარისხოვანი და საიმედო პროდუქციის შექმნის ამოცანებს[9].

---

[9] ამჟამად არსებობს ხარისხის ამაღლების მატერიალურად და მორალურად წამახალისებელი სხვადასხვა სისტემა. მოვიყვანთ მაგალითს.

პრემირება პროდუქციის უდეფექტო წარმოებისათვის

პროდუქციის პირველი წარმოდგენით ჩაბარების ხვედრი წონა (%-ით)	პრემიის მოცულობა %-ით სანარდო ხელფასთან პროდუქციის პირველი წარდგენით ჩაბარებისას		
	1—3 თვე	4—5 თვე	6 თვე და მეტი
80—89·9	10	12	15
90—95·9	16	18	21
96—100·0	23	26	30

უკანასკნელ წლებში როგორც კავშირში მთლიანად, ისე საქართველოში ბევრმა საწარმომ ფრიად სასარგებლო და ძვირფასი გამოცდილება შეიძინა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. აღსანიშნავია საინჟინრო-ტექნიკური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ხასიათის გამოცდილება.

წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცკ 1967 წ. დადგენილებამ, რომლის რეკომენდაციით ბრეწველობის ყველა დარგში და საწარმოში ფართოდ გავრცელდა ე. წ. პროდუქციის ხარისხის ამაღლების სარატოვული სისტემა. რომელიც ემყარება იმას, რომ ნებისმიერი ნაწარმის პროდუქციის ხარისხი დამოკიდებულია შრომის ხარისხზე. პროდუქციას არ შეიძლება ჰქონდეს მაღალი ხარისხი, თუ მისი შრომის ხარისხი დაბალია. ამრიგად, პროდუქციის ოპტიმალური ხარისხის უზრუნველყოფა, მისი მართვა შესაძლებელია მხოლოდ ყველა იმათი შრომის მართვით, ვინც მონაწილეობას ღებულობს ამ პროდუქციის შექმნაში. პროდუქციას არ შეიძლება ჰქონდეს მაღალი ხარისხი, თუ მისი დამზადების შრომის ხარისხი დაბალია. აქედან პროდუქციის ოპტიმალური ხარისხის უზრუნველყოფა, მისი მართვა შესაძლებელია მხოლოდ ყველა იმათი შრომის მართვით, ვინც ღებულობს მონაწილეობას მის შექმნაში.

ხარისხის მართვის უკვე ადრინდელ ეტაპზე წარმოიშვნენ და მოქმედებდნენ ხარისხის მართვის ფრიად ეფექტიანი კომპლექსური მეთოდები, რომლებიც მოიცავდნენ საზოგადოებრივი წარმოებისა და მართვის სხვადასხვა რგოლს.

შრომის ხარისხობრივ მხარის რაოდენობრივი მაჩვენებელია, როგორც ეს თავის დროზე შემოგვთავაზეს სარატოველებმა, წარმოებულ ნაკეთობათა პირველი წარდგენით ჩაბარებიკ დონე, ე. ი. მათი ხვედრი წონა წარმოებულ პროდუქციის საერთო რაოდენობაში.

მუშათა პრემირების სისტემა პირველად წარდგენილი პროდუქციის ჩაბარების ხვედრი წილის ამაღლებისათვის

იმ პროდუქციის ხვედრი წილი, რომელიც ჩაბარებულია პირველი წარდგენით მუშების მიერ გამომუშავებული პროდუქციის საერთო მოცულობაში (%-ით)	პრემიის ოდენობა %-ით სანარდო ხელფასთან, ხოლო მუშებისათვის ვინც დროებით ხელფასზეა—სატარიფო განაკვეთთან.
70,1— 80	10
80,1— 90	15
90,1— 96	18
96,1—100	23

(იხ. ჟურნ. „Социалистический труд", № 5, 1977, გვ. 21).

პროდუქციის ხარისხის ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა გამოიხატება მის უნივერსალიზმში. ცნობილია, რომ პროდუქციის ხარისხი იქმნება არა მარტო წარმოების პროცესში. ნებისმიერი ნაწარმის ტექნიკური დონე, მისი ხარისხის, სანდობიანობისა და ხანგამძლეობის საფუძვლები ისახება ამ ნაწარმის პროექტირების პროცესში, ხშირად კიდევ უფრო ადრე, წინასწარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში.

ამრიგად, პროდუქციის ხარისხი დამოკიდებულია სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ხარისხზეც. ამიტომ პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემა წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომელიც მოიცავს როგორც მზა ნაწარმის უშუალო მწარმოებლებს, ისე სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკთა შრომას, სადაც ისახება წარმოების შექმნის იდეა, ხდება მისი პროექტირება და კონსტრუირება.

ამასთან დაკავშირებით თანამედროვე პირობებში აღარაა საკმარისი პროდუქციის ხარისხის სარატოვული სისტემა, ახლა მოქმედებენ სხვა უფრო სრულყოფილი სისტემები და მეთოდები ხარისხის კომპლექსური მართვისა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების და მართვის სხვადასხვა რგოლს. ამჟამად, ე. წ. ლვოვის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა მიჩნეულია როგორც ფრიად ეფექტიანი.

პროდუქციის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც იწვევს ახალი და უახლესი დარგებისა და საწარმოების აღმოცენებას. თავის მხრივ ახალი დარგები პროგრესულ გავლენას ახდენენ ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე. ისინი აყენებენ ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს სხვა დარგებისადმი, პროდუქციის ხარისხისადმი, მისი ასორტიმენტისადმი და ა. შ. მათი განვითარების მაღალი ტემპები განსაზღვრავენ სხვა დარგების განვითარებისა და ზრდის ტემპებს, რადგან ეს უკანასკნელნი აწვდიან მათ ნედლეულს, მასალებს, ჩარხებს და სხვა გაწყობილობას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება არა მარტო მრეწველური და სოფლის მეურნეობრივი პროდუქციის ხარისხი, არამედ მაღლდება ყველა შრომის იარაღისა და შრომის საგნების ხარისხი, მეურნეობის ყველა რგოლის და მართვის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების შედეგად არა მარტო უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები, არამედ მიიღწევა დიდი ეკონომიკური ეფექტიც.

ხარისხს როგორც დიდი ეკონომიკური, ისე სოციალური მნიშვნელობა ენიჭება და მის მართვას კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა ჭირდება როგორც რეგიონალურ, ისე მთელი სახალხო მეურნეობრივი მასშტაბით. სწორედ ამ მიმართულებით ტარდება უკანასკნელ წლებში ღონისძიებები ხარისხის მართვის სრულყოფისათვის.

1978 წელს, როგორც გაზ. „პრავდაში" იყო აღნიშნული, 30 ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო აქტიურად ამუშავებდა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას. ხოლო სამი ათასზე მეტმა ქარხანამ, ფაბრიკამ და გაერთიანებებმა დაამთავრეს ამგვარი სისტემის დანერგვა წარმოებაში. ამ მხრივ საინტერესო გამოცდილება აქვთ ელექტროტექნიკურ, ელექტრონული მრეწველობის, ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და სხვა სამინისტროებს, აგრეთვე მოსკოვის, სარატოვის, იაროსლავის, ლვოვის, რიგის და ბევრი სხვა სამრეწველო ცენტრის საწარმოს და გაერთიანებას.

ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ინდუსტრიის მუშაობის მაჩვენებლებზე. 59 ათასზე მეტი ნაწარმი გამოდის ხარისხის სახელმწიფოებრივი ნიშნით, დაწყებული იყო 3,5 ათასზე მეტი ახალი სახის პროდუქციის გამოშვება.

ფართო გაქანება მიიღო მოძრაობამ პროდუქციის პირველი წარდგენით ჩაბარებისათვის, პროდუქციის ხარისხის შეფასების ბალურმა სისტემამ, მუშაობის შეფასებამ ხარისხის კოეფიციენტების მიხედვით და სხვა წამოწყებებმა.

საწარმოს მუშაობის მთავარი მაჩვენებელი ხდება უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრი წონის ზრდა, რომელიც საპატიო ხუთკუთხედით აღინიშნება. სულ უფრო მტკიცდება ამოცანა, რომ უფრო მეტი იქნეს გამოშვებული ისეთი პროდუქცია, რომელიც შესრულებულია მსოფლიო და სამამულო მიღწევების უმაღლეს დონეზე. სულ უფრო მეტად უნდა გაიზარდოს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრი წონა, რასაც ხელს შეუწყობს ხარისხის მართვის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც 1978 წელს დაამტკიცა სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტმა[10]. ეს სისტემა, როგორც ნათქვამია აღნიშნულ კომიტეტის დადგენილებაში, უზრუნველყოფს ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ღონისძიებათა ურთიერთკავშირს, რომელნიც იძლევიან საშუალებას პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელი სრულ-

---

[10] გაზ. «Правда» მოწინავე, 22. 12. 78.

ყოფილათვის პარტიის XXV და XXVI ყრილობების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროდუქციის ხარისხის სახელმწიფოებრივი მართვის ერთიანი სისტემის ძირითადი პრინციპების (მიღებულია 02. 11. 1978 წ.) მთავარ მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური საშუალებების ყოველმხრივი გამოყენება, რათა ეფექტურად იქნას გეგმაზომიერი უზრუნველყოფა ყველა სახის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივად მზარდი ტემპებისა.

ძირითადი მიზანი, როგორც ნათქვამია დადგენილებაში, მიიღწევა ისეთი მაღალი პროდუქციის ფართო ასორტიმენტის გამომუშავებით და მისი საწარმოო ათვისებით, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით პასუხობს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა თანამედროვე მოთხოვნებს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრი წონის ზრდით პროდუქციის საერთო მოცულობაში; მოძველებული პროდუქციის დროული მოხსნით წარმოებიდან ან მისი მოდერნიზაციით; პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა გეგმაზომიერი გაუმჯობესებით; მზა პროდუქციის ხარისხის დაცვით მისი მომხმარებლამდე დაყვანის პროცესში; მზა პროდუქციის მთლიანად გამოყენებით, მისი ხარისხის შენარჩუნებით ან აღდგენით მოხმარებისა და ექსპლოატაციის პროცესში.

როგორც აღნიშნული პრინციპებიდან ჩანს, ხარისხის სახელმწიფოებრივი მართვის ერთიან სისტემაში ორგანულად შედის სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგების, გაერთიანებების (საწარმოების) მართვის სისტემები, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და ვრცელდება მატერიალური წარმოების ყველა სფეროზე.

ხარისხის მართვის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის მართვას სახალხო მეურნეობის მართვის ყველა დონეზე. მართვა ხორციელდება როგორც დარგთაშორისო, დარგობრივი გაერთიანებებიდ (საწარმოების), ისე ტერიტორიალურ ჭრილში.

პროდუქციის ხარისხის სახელმწიფოებრივი მართვის ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს ხარისხის მართვას პროდუქციის ცხოვრებისეული ციკლის ყველა სტადიაზე დაწყებული მისი შექმნის იდეის ჩასახვიდან, გამოკვლევიდან და დაპროექტებიდან მის წარმოებამდე, მიმოქცევასა და რეალიზაციამდე, ექსპლუატაციისა ან მოხმარების ჩათვლით.

ხარისხის მართვის ერთიან სისტემაში ხდება რეალიზაცია მართვის შემდეგ ძირითადი სპეციალური ფუნქციებისა: მოთხოვნილების პრო-

გნოზირების, პროდუქციის ტექნიკური დონის და ხარისხის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების დაგეგმვის, პროდუქციის ხარისხზე მოთხოვნის დანორმვის, პროდუქციის ატესტაციის, ახალი პროდუქციის შექმნისა და მისი წარმოებაში ჩაშვების მომზადების, წარმოების ტექნოლოგიური მომზადების, მეტროლოგიური უზრუნველყოფის, სპეციალისტთა კადრების მომზადებისა და წვალების ორგანიზაციის, პროდუქციის დაგეგმილი ხარისხის დონის სტიმულირების უზრუნველყოფისათვის მისი წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, გასაღებისა და მოხმარების (ექსპლუატაციის) პერიოდებში, პროდუქციის ხარისხის ამაღლების სტიმულირების, პროდუქციის ხარისხისა და მისი გამოცდის საუწყებო და სახელმწიფოებრივი კონტროლის, სახელმწიფოებრივი ზედამხედველობისა, სტანდარტების და ტექნიკური პრინციპების დაცვისა და გაზომვის საშუალებათა მდგომარეობაზე: აგრეთვე პროდუქციის ხარისხის მართვის სამართლებრივი და საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა.

პროდუქციის ხარისხის სახელმწიფოებრივი მართვის ერთიანი სისტემის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საფუძველს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა[11].

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ყალიბდება ხარისხის მართვის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის მართვას როგორც მთელი სახელმწიფოს, ისე რეგიონის მიხედვით.

1978 წ. მუშავდებოდა და წარმოებაში ინერგებოდა პროდუქციის ხარისხის მართვის დარგობრივი სისტემები ლატვიის სსრ, ბელორუსიის სსრ, სომხეთის სსრ და ზოგიერთ სხვა რეგიონში. ამასთანავე მიმდინარეობდა მუშაობა ხარისხის მართვის რესპუბლიკური სისტემების შესაქმნელად.

მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, აგრეთვე მოსკოვის, ლვოვის, კოსტრომის ოლქებში ხორციელდებოდა პროდუქციის ხარისხის ამაღლების კომპლექსური გეგმები. გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ხარისხის დარგობრივი და ტერიტორიული მართვის შეთანაწყობისათვის. პროდუქციის ხარისხის ამაღლების მაჩვენებლები შეიტანება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში, სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლებში და სხვ.

---

[11] იხ. Постановление Государственного Комитета СССР по стандартам (Госстандарт), от 2 ноября 1978 г., № 45 (ჟურნ. «Стандарты и качество»).

პროდუქციის ხარისხის მართვის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საქართველოში[12]. აქ შეიქმნა პროდუქციის ხარისხის მართვის რესპუბლიკური და ქ. თბილისის სისტემები, რომლებიც ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს. განსაკუთრებით 70-იან წლებში გაიზარდა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრი წონა წარმოებული მრეწველური პროდუქციის საერთო რაოდენობაში.

უმაღლესი ხარისხის ნაწარმის ზრდის დინამიკა

(სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან ნაწარმთა რაოდენობა)[13]

	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.
საქართველოს სსრ	4	92	153	400*	620	1616*
სსრკ	1700	12000	20900	29100	38700	62400*

* წლის დასაწყისისათვის

სისტემატურად იზრდება მისი ხვედრი წონა შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებლებშიც. მაგ., 1970 წ. საქართველოს მრეწველობის ხვედრი წონა უმაღლესი ხარისხის ნაწარმის გამოშვების მხრივ შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელში შეადგენდა — 0. 23 %, 1975 წ. —0, 76 %, 1976 წ.—0, 73 %, 1977 წ. და 1978 წ.

---

[12] 1977 წ. 25—26 ნოემბერს თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხები (ინფორმაცია აღნიშნული კონფერენციის შესახებ იხ. გაზ. „კომუნისტი", 30. 11. 77, № 279).

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახსტანდარტის ხელმძღვანელობამ. კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები, რომლის მიხედვით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ხარისხის მართვის როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული სისტემების ჩამოყალიბებისათვის.

1980 წ. 3—4 ოქტომბერს რესპუბლიკაში ჩატარდა ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხებისაღმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა ხარისხისა და ეფექტიანობის შესახებ პირველი რესპუბლიკური კონფერენციის რეკომენდაციათა რეალიზაციის საკითხი და განსაზღვრა XI ხუთწლედისათვის ამ მიმართულებით საქმიანობის პროგრამა (იხ. გაზ. „კომუნისტი", 04. 10. 80 და 05, 10. 80).

[13] Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию... გვ. 34; газ. „Заря Востока" от 02,06.78; Народное хозяйство СССР в 1978 г.; Грузия в цифрах, 1978, გვ. 34.

ერთ პროცენტზე მეტი იყო, 1979 წ. დასაწყისისათვის კი 2,6 %[14]. რესპუბლიკაში აქტიურად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება პროდუქციის ხარისხის სრულყოფისათვის.

1977 წ. ჩატარებულმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც მიძღვნილი იყო წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლების საკითხებისადმი, მყარი საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წარმოების, ეფექტიანობის, მუშაობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებულ ერთიანი სისტემებისა და ღონისძიებების ფართოდ გატარებას როგორც დარგის, ისე ტერიტორიის მიხედვით.

როგორც აღნიშნული იყო კონფერენციაზე, ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა გაიშალა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებში, მსუბუქ, კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. ამის შედეგად ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა ქუთაისის ავტომობილს. გაერთიანება „ჩარხმშენებელს" მიერ გამოშვებულ ჩარხებს, ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათმშენებელი ქარხნის მიწსაწოვ მანქანას, ბათუმურ ტრანსფორმატორებსა და სხვ.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოში პროდუქციის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრი წონა. სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკურმა სამმართველომ პრაქტიკაში დანერგა პროდუქციის ხარისხსა და მის სტანდარტებთან არსებულ ტექნიკურ ნორმატივებთან შესაბამისობის უფრო მკაცრი შემოწმება საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვ. აღნიშნული იყო აგრეთვე ის, რომ საქართველოს მრეწველობის 250-ზე მეტ საწარმოში ფართოდ გაიშალა მუშაობა ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დანერგვისათვის. კერძოდ ეს სისტემები წარმატებით მოქმედებენ ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში, საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანაში".

1978 წ. ივლის-სექტემბერში ჩატარდა რესპუბლიკური კონკურსი-დათვალიერება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვაში სამუშაოთა საუკეთესო ორგანიზაციისათვის. კონკურსი-დათვალიერება გრძელდებოდა სამი თვე. საერთო ბრძოლა პროდუქციის საიმედოობისათვის და ხანგამძლეობისათვის ფართოდ გაიშალა მეათე ხუთწლედის დაწყებისთანავე, განსაკუთრებით კი, პარტიის XXV ყრილობის შემდგომ.

---

[14] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1978 г., გვ. 96; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию... გვ. 34; „Заря Востока", 02.06.78; Грузия в цифрах, 1978, გვ. 34.

პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ სამინისტროები და უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები. აქტიურად მიმდინარეობდა ეს პროცესი ქუთაისის ორჯონიკიძის სახ. საავტომობილო, თბილისის დიმიტროვის სახელობისა და რესპუბლიკის ზოგ სხვა მოწინავე ქარხანაში. პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ამ ობიექტებზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხარისხის მართვის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას სტანდარტიზაციის ბაზაზე. ორიენტაცია აღებული იყო იმაზე, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ღონისძიებებიდან საწარმოები და გაერთიანებები მასობრივად გადასულიყვნენ ხარისხის მართვის მყარ სისტემაზე. გატარებულმა ღონისძიებებმა გარკვეული ნაყოფიც გამოიღო.

აღნიშნული მიმართულებით არსებული ღონისძიებები ტარდება ქ. თბილისში.

ჯერ კიდევ ქ. თბილისის XXXV საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ მიიღო პროდუქციის ხარისხის ამაღლების ორწლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ტექნიკურ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ატესტაციაგაუვლელი ნაწარმისა და მეორე კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვება და დაიწყო პირველი და უმაღლესი კატეგორიების პროდუქციის მოცულობის განუხრელი ზრდა[15].

ნიშანდობლივია რომ მსუბუქი მრეწველობის პროდუქციასთან ერთად მნიშვნელოვნად, მაღლდებოდა საქართველოს მრეწველობის მიერ დამზადებული წარმოების საშუალებათა წარმოების ხარისხი. ეს მრეწველური წარმოების კულტურის ზრდის არსებითი ფაქტორია.

---

[15] ამაში გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის და სსრ კავშირის სახსტანდარტის მიერ ჩატარებულმა ერთობლივმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ (1977 წ.), რომელმაც განაზოგადა არსებული გამოცდილება ამ მიმართულებით და ხელი შეუწყო მოწინავე გამოცდილების გავრცელებას ქალაქის მრეწველურ საწარმოებში. 1979 წლისათვის ქალაქის 212 მრეწველური საწარმოდან 184-ში დამუშავებული იყო პროდუქციის ხარისხის და მისი ტექნიკური დონის ამაღლების კომპლექსური გეგმები.

114 საწარმო, რომლებიც იძლევიან ქალაქის მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის 80%-ზე მეტს, შეუდგა ხარისხის კომპლექსური სისტემის დანერგვას. აქედან მოწინავეთა შორის არიან გ. დიმიტროვის სახ. ქარხანა, სსრკ 50 წლის სახ. საწარმო გაერთიანება, 1 მაისის სახ. სამკერვალო ფაბრიკა და სხვა. კარგად მუშაობს კონიკის კომბინატის კოლექტივი, რომელიც უშვებს მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას, შამპანური კომბინატი, ქარხნები „მიკროძრავი", კალინინის სახ. საჩამომსხმელო გაწ-

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, რესპუბლიკა ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ხარისხის მაჩვენებელთა მიხედვით შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებს, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზით[16]. მაგ., სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“, თბილისის „საქსოფლმანქანის“, ქუთაისის ელექტრომექანიკური, ბათუმის საყოფაცხოვრებო ბანქანათმშენებელი ქარხნები, ცხინვალის „ელექტროვიბროქარხანა“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და მრავალი სხვა საწარმო, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს მრეწველობაში, ჯერ კიდევ 1977 წ., როგორც ეს აღნიშნული იყო რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, არც ერთ სახეობის ნაწარმს არ უშვებდნენ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით.

ჯერ კიდევ ბევრ უხარისხო, მოძველებულ ასორტიმენტის პროდუქციას აწარმოებდნენ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. ზოგიერთმა საწარმომ კი, მას შემდეგ რაც მის ზოგიერთ ნაკეთობას მიანიჭეს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, შეწყვიტა მათი წარმოება. ისიც ითქვა, რომ მრავალმა საწარმომ იმის გამო, რომ

ყობილობის, რომელნიც უშვებდნენ პროდუქციის 50—80% ხარისხის სახელმწიფო ნიშნით.

1979 წ. დასაწყისისათვის ქალაქის მრეწველობა უშვებდა 769 სახის პროდუქციას, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ეს შეადგენდა მთელი მრეწველური პროდუქციის 12,6%.

საქართველოსათვის ტრადიციული დარგების პროდუქციის მაღალ ხარისხთან ერთად (მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია) მაღალხარისხიან პროდუქციას აწარმოებენ ელექტროტექნიკური და ლითონდამუშავების საწარმოები, კერძოდ, ისეთ პროდუქციას როგორიცაა: ელექტროშემდუღებელი აპარატები, ელექტროსაიზოლაციო მასალები, მილმკრელი ჩარხები, სპეციალური ხელსაწყოები, ელექტროძრავები და სხვა. ამ პროდუქციას თუ მიუმატებთ ელმავლებს, ქუთაისის ავტომობილებს, გაერთიანება „ჩარხმშენებელის“ ჩარხებს, ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის მიწის სასრეტ მანქანას, ბათუმის ტრანსფორმატორებს, ნათელი წარმოდგენა გვექნება იმაზე თუ რა მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული რესპუბლიკაში მრეწველური პროდუქციის, საერთოდ, და კერძოდ წარმოების საშუალებათა წარმოების დარგებში პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის (იხ. «Заря Востока», 22. 02. 78, გვ. 2).

1980 წ. შესაბამისი სამინისტროების გადაწყვეტილებით სასურსათო პროდუქტებზე ხარისხის ნიშანი გაუქმდა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 26. 02. 81, გვ. 3).

[16] მეორე რესპუბლიკურ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხებს, აღნიშნული იყო, რომ ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უკვე გამოდიოდა 2250-ზე მეტი დასახელების პროდუქცია, რაც სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის 21,5% შეადგენდა, ფულადი გამოსახულებით კი 1,2 მლნ. მან. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო შეათე ხუთწლედის დამდეგს მე-13-იდან მეორე ადგილზე გადავიდა (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 04. 10. 80. გვ. 1).

ვერ უზრუნველყო დროული, ხელახალი ატესტაცია პროდუქციისა, დაკარგა ადრე მიღებული უფლება, რომელიც მათ ჰქონდათ მინიშნებული როგორც სახელმწიფო ხარისხის მქონე ნიშნიანი პროდუქციის საწარმო 49 ნაკეთობაზე. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საქმეები ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სოციალური უზრუნველყოფის, ავტოტრანსპორტის სამინისტროებისა და გაერთიანება „სოფლტექნიკის" საწარმოებში.

ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის მხრივ სოფლის მეურნეობაში. ეს ეხება სოფლის მეურნეობის ნარგავების დიდ სიმეჩხრეს, ნიადაგის დამუშავების, სასუქების შეტანის, კულტურების რგვის, თესვის სათანადო წესების დარღვევასა და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

სახელმწიფო სტანდარტის რესპუბლიკურ სამმართველოს მიერ 1977 წლის ცხრა თვის განმავლობაში შემოწმებულ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და საზომ საშუალებათა მდგომარეობის 426 შემთხვევიდან 338-ჯერ, ანუ 79,3 % შემთხვევაში გამოვლინდა სტანდარტების სხვადასხვაგვარი დარღვევის, მდარეხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, საზომი ტექნიკის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ფაქტები.

როგორც აღინიშნა კონფერენციაზე, სერიოზული ნაკლოვანება გამოვლინდა პროდუქციის შემმუშავებელ ორგანიზაციებში. მაგ., ტრიკოტაჟის ნაწარმის 28 მოდელიდან, რომელიც 1977 წელს შეიმუშავა მოდელების რესპუბლიკურმა სახლმა ქუთაისის ტრიკოტაჟფაბრიკისათვის, ვერც ერთს ვერ მიეკუთვნა უმაღლესი ხარისხის კატეგორია, არ იყო შესაბამის დონეზე მეტროლოგიური უზრუნველყოფაც. ბევრ საწარმოში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ იყო საზომი საშუალებები. შემოწმებულებიდან 40 %-ზე მეტ საწარმოში ამ მხრივ გამოვლინდა არსებითი ნაკლოვანებანი. ამის გამო სტანდარტების ორგანოებმა 120-ზე მეტ საწარმოს მიმართ გამოიყენა ეკონომიკური სანქციები.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა. ამისათვის იქმნება სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ტერიტორიული ცენტრები, რომლებიც სისტემატურ და მკაცრ კონტროლს გაუწევენ პროდუქციის ხარისხის ამაღლების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფას. როგორც ჩანს, ეს უნდა განხორციელდეს არა პროდუქციის წარმოების მხოლოდ ბოლო ეტაპზე, არამედ ტექნოლოგიური პროცესის ყველა სტადიაზე.

პროდუქციის ხარისხის მართვის ახალ თვისებრივ ეტაპს, რომელზედაც უკვე გადავიდნენ როგორც რესპუბლიკური, ისე თბილისის საშეურნეო ორგანოები, ხარისხის მართვის ტერიტორიული სისტემა წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის მართვის შემდგომ სრულყოფას, ერთიანი და დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა გატარებას, აადვილებს და განამტკიცებს კავშირს შესაბამისი საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური ორგანოების ერთობლივი ღონისძიებების გატარებისათვის პროდუქციის ხარისხის, წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის მიზნით.

როგორც საქართველოს მაგალითზე ჩანს, პროდუქციის ხარისხის მართვის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება ორგანულადაა დაკავშირებული ხარისხის მართვის რეგიონალურ სისტემებთან და, პირიქით. მხოლოდ ასეთი დიალექტიკური ერთიანობის შედეგადაა შესაძლებელი ერთიანი, სახალხომეურნეობრივი პოლიტიკის გატარება საზოგადოებრივი წარმოების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ეს კი თავის მხრივ მოიცავს მართვის ყველა ორგანოს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგს და ხარისხთან დაკავშირებულ ყველა ტექნიკურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ, სოციალურ, იდეოლოგიურ მხარეს.

ყოველივე ეს მყარი საწინდარია უახლოეს მომავალში მაღალხარისხიანი პროდუქციის აბსოლუტურად უდიდესი (შემდგომ კი მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციის) ნაწილის უზრუნველყოფისათვის გამოშვებულ პროდუქციის საერთო მოცულობაში.

ჩვენ ხარისხს ვიხილავთ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც მოქმედებს კვლავწარმოების ყველა სტადიაზე, წარმოების, გაცვლის, გასაწილებისა და მოხმარების პროცესში. იგი ორგანულ კავშირშია სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონთან, სოციალიზმის ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების მთელ სისტემასთან[17].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების იმ დონეზეა, როდესაც პროდუქციის ხარისხის ამაღლება ეროვნული შემოსავლის ზრდისა და მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. სოციალისტური წარმოების მიზნის—ხალხის მუდმივად მზარდ მოთხ-

---

[17] პროდუქციის ხარისხის სამართლებრივი მხარის განხილვა იხილე: „პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები", თ. ლილუაშვილი, თ. ნინიძე, თ. ცაგურია, თბ., „მეცნიერება", 1978.

ოვნილებათა დაკმაყოფილება შეიძლება არა მარტო შექმნილი პროდუქციის რაოდენობრივი ზრდით, არამედ უფრო ეფექტიანი, საიმედო და უკეთესი თვისებების მქონე ნაწარმით.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება გარკვეულ ეკონომიკურად დასაბუთებულ მიზნებსაც უნდა ისახავდეს, რადგან მას შეუძლია გამოიწვიოს დანაკარგები, წარმოების ზარალი, პროდუქციის გაძვირება მოხმარებაში საკმაო ეფექტიანობის მიუღწეველად, ამიტომ ყოველთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ხარისხის განუწყვეტელი კავშირი წარმოების ეფექტიანობის ზრდასთან.

პროდუქციის მაღალი ხარისხი ხელს უწყობს მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდას, კაპიტალურ დაბანდებათა, სატრანსპორტო და ყველა სხვა სახის საზოგადოებრივი დანახარჯების შემცირებას.

პროდუქციის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ხდება საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შემდგომი გაფართოება.

საერთოდ როგორც მატერიალური წარმოების, ისე არამატერიალური წარმოების სფეროში ხარისხის კატეგორიას იხილავენ საბოლოო შედეგების მიხედვით, იმის მიხედვით თუ როგორი პროდუქციაა წარმოებული, რამდენად აკმაყოფილებს იგი მომხმარებლის თანამედროვე მოთხოვნებს, როგორ მიაწოდებენ მას მომხმარებელს, როგორია მოსახლეობის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების ფორმები და დონე.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ პროდუქციის მაღალი ხარისხი მოსახლეობის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მომსახურების მაღალი კულტურა უდიდეს გავლენას ახდენს მშრომელთა განწყობაზე. უკანასკნელს კი ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში.

თავი მეცხრე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და შიდარესპუბლიკური სახალხომეურნეობრივი პროპორციების სრულყოფა

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ეკონომიკური ზრდის საერესპუბლიკათაშორისო და შიდარესპუბლიკური ოპტიმალური ტემპებისა და პროპორციების დადგენა როგორც დარგების, ისე ტერიტორიის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების არსებით ფაქტორს წარმოადგენს. ეს განპირობებულია შრომის სოციალისტური საზოგადოებრივი დანაწილებით, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრებით, არსებული მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო მიზანშეწონილი და ეკონომიური გამოყენებით.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში არსებითი ეკონომიკური ცვლილებები ხდება როგორც საერთოდ, ისე ცალკეული მსხვილი ეკონომიკური რეგიონების, მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. ეს ცვლილებები გამოხატულებას პოულობენ ისეთ საერთო ეკონომიკურ, სახალხომეურნეობრივ პროპორციებში, როგორიცაა შეფარდებები საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებს, წარმოების საშუალებათა წარმოებასა (ჯგუფი „ა") და მოხმარების საგნების წარმოებას (ჯგუფი „ბ") შორის, აგრეთვე წარმოების საშუალებათა წარმოება წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის და წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საგნების წარმოებისათვის მრეწველობაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, მატერიალურ წარმოების სფეროსა და არაწარმოებრივ სფეროს, დაგროვებასა და მოხმარებას, არსებულ შრომით რესურსებსა და მათზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას შორის, როგორც მთლიანად ისე დარგების მიხედვით, მოსახლეობის მზარდ შემოსავლებსა და საქონელბრუნვის ზრდას შორის და სხვ.

აღნიშნულ საერთო ეკონომიკურ პროპორციებთან ერთად, რომელნიც ვლინდებიან როგორც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, ისე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, არის ეკონომიკური პრო-

პორციები, რომელნიც მოქმედებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ცალკე და გამოხატავენ მათი ეკონომიკის სპეციფიკურობას[1].

ამასთან ზოგი ეკონომიკური პროპორცია გამოხატავს შეფარდებებს საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებელთა შორის. მაგ., შეფარდებებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებულ მრეწველობის პროდუქციისა საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა შორის, საკავშირო სპეციალიზაციის დარგებისა და რესპუბლიკური დანიშნულების დარგების პროდუქციის წარმოებას შორის. სხვა ეკონომიკური პროპორციები ასახავენ როგორც დარგობრივ, ისე ტერიტორიული ხასიათის შიდარესპუბლიკურ შეფარდებებს.

საერთოეკონომიკურ პროპორციებს მსხვილი ეკონომიკური რაიონის ფარგლებში აქვთ სარესპუბლიკათაშორისო ხასიათიც. ამის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკური პროპორციები, რომლებიც ყალიბდებიან ამიერკავკასიაში საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობებს შორის. მაგრამ, ყველა ზემოაღნიშნული ეკონომიკური პროპორცია, როგორც საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, სარესპუბლიკათაშორისო და შიდარესპუბლიკური ხასიათის, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში დიალექტიკურ ერთიანობაშია, ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, გამოხატავენ სსრ კავშირის ეკონომიკის ერთიანი კომპლექსის კანონზომიერებას.

ეს განპირობებულია სოციალისტური ერების ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყოველ ეტაპზე. სოციალისტური ერების ეკონომიკის განვითარება ხდება განსაზღვრულ ეკონომიკურ კანონზომიერებათა მოქმედების შესაბამისად, რომლებიც ასახავენ როგორც მის ეკონომიკური განვითარების დონეს, ისე მისი მეურნეობის სპეციფიკურობას. სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი განვითარების გარკვეულ სტადიაზე მთლიანად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგად ეკონომიკურ კანონზომიერებისაგან.

მაგრამ, სოციალისტური ერების მეურნეობების განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებანი, ასახავენ რა ამ მეურნეობების განვითარების ეკონომიკურ თავისებურებებს, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არ წარმოადგენენ მოწყვეტილს, ანდა წინააღმდეგობრივ კა-

---

[1] სახალხომეურნეობრივი პროპორციები განსაზღვრავენ სახალხომეურნეობრივ სტრუქტურას, ანუ საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სისტემას როგორც საერთოდ, ისე რეგიონების მიხედვით. სტრუქტურის სახეებია — საწარმოო, დარგობრივი, ტერიტორიული, კვლავწარმოებითი, სოციალური.

ნონზომიერებებს სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების საერთო კანონზომიერებების მიმართ. უფრო მეტიც, ისინი აღრმავებენ ამ კანონზომიერებათა მოქმედებას. სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე საშუალებას იძლევიან უფრო ღრმად შეეცნოთ სოციალისტური ერების ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი მოკავშირე რესპუბლიკების ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების მაქსიმალური ჩართვის მიზნით საერთო ეკონომიკურ ბრუნვაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისათვის. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა რეალური სოციალიზმის სტადიაზე. ამასთანავე ემსახურება შიდარესპუბლიკური სახალხო მეურნეობრივი პროპორციების შემდგომი სრულყოფის პროცესს, რომელზეც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საქართველოს ეკონომიკაში არსებითი თვისებრივი ძვრების შესახებ მოწმობენ, უპირველეს ყოვლისა, ის სერიოზული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები, რომელნიც მოხდა ძირითად სახალხომეურნეობრივ პროპორციებში. მაგალითად, 1966 წ. და 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მიხედვით შეფარდებები საზოგადოებრივი წარმოების ორ ქვედანაყოფს შორის ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით (%-ით)[2].

---

[2] გაანგარიშებულია შემდეგი წყაროების მიხედვით: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 43; სულავა ნ. „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისი ბალანსი", თბ., 1973, გვ. 121; საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატ. კრებ., თბ., 1971, გვ. 58; Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 г. გვ. 25. ციფრები დამრგვალებულია. აქ მიღებული მხოლოდ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მონაცემები, პირობითად საწარმოო დანიშნულებისათვის გამოყენებული პროდუქციის მიკუთვნებულია ისიც, რომელიც მიდის დაგროვებაზე, ხოლო არასაწარმოო დანიშნულებისა, რომელიც გაიტანება რესპუბლიკის გარეთ.

აღსანიშნავია, რომ იგივე ბალანსის მონაცემების მიხედვით 1972 წ. მატერიალური წარმოების დარგებში შექმნილი პროდუქციის 38,8% წარმოებული იყო მრეწველობაში და 30,6% განაწილდა თვით მრეწველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებლად, 5,5% მშენებლობაში, 1,4% სოფლის მეურნეობაში და 1,3% მატერიალური წარმოების სხვა დარგებში. სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენდა 58,9%, აქედან მრეწველობაში განაწილდა40,9%, თვით სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის გამოყენებული იყო9,8%, ხოლო მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებისათვის—0,2%.

სსრ კავშირის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფის ხვედრი წილი შეადგენდა:

1959 წ. —60,3%

1966 წ. —63,2%

1973 წ. — 63,6%

(იხ. ჟურნ. «Коммунист», № 3, 1977 წ. გვ. 39).

	1966 წ.	1972 წ.
საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფი	45,0	49,0
საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფი	55,0	51,0

1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების საფუძველზე შესაძლებლობა გვაქვს უფრო დიფერენცირებულად განვიხილოთ რიგი ეკონომიკური შეფარდებები, რომლებიც დამახასიათებელია საქართ-

მატერიალური წარმოების სფეროს დარგების წმინდა პროდუქტის, პროდუქტი თავისათვის და პროდუქტი საზოგადოებისათვის შეფარდებები 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მიხედვით (სულ წმინდა პროდუქტი—100%).

მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	წმინდა პროდუქტი(v+m) სულ მლნ მან.	პროდუქტი თავისათვის (v)		პროდუქტი საზოგადოებისათვის (m)	
		აბსოლუტური (მლნ. მან.)	%	აბსოლუტური (მლნ. მან.)	%
მრეწველობა	1773,4	1280,5	72,2	482,9	27,8
სოფლის დაბუის მეურნეობა	1349,6	1329,1	98,5	20,5	1,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	142,9	87,5	61,2	55,4	38.8
შშენებლობა	472,1	414,8	87.8	57,3	12.2
ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება	249,0	153,2	61,5	95,8	38,5
მატერიალურ-ტექნიკური შომარაგება და გასაღება	53,7	14,9	27,7	38,8	72,3
მატერიალური წარმოების სხვა დარგები	55,0	16,7	30,2	38,3	69,8
ს უ ლ	4094,9	3296,7	80,5	789,0	19,5

საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების შეფარდებები ტექნიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში სსრ კავშირში მიღებულ მატერიალური წარმოების განსაზღვრის კონცეფციის მიხედვით, მიმდინარე ფასებში (%-ით).

	აშშ			გფრ			იაპონია			ინგლისი			საფრანგეთი	
	1947	1958	1963	1950	1953	1960	1956	1960	1965	1948	1954	1968	1962	1969
I ქვედანაყოფი	58,7	61,3	61,2	58,5	62,9	58,7	57,0	72,2	67,1	56,9	56,8	57,3	57,5	51,6
II ქვედანაყოფი	41,3	38,7	38,8	41,5	37,1	41,3	43,0	27,8	32,9	43,1	43,2	42,7	42,5	48,4

(იხ, ჟურნ, „США, экономика, политика, идеология", № 12, 1973, с. 31).

ველოს ეკონომიკის განვითარებისათვის თანამედროვე პირობებში. ამგვარ პროპორციებს მიეკუთვნებიან შეფარდებები, რომელნიც დაკავშირებულია ისეთ მაჩვენებლებთან, როგორიცაა მატერიალური წარმოების სფეროს დარგების წმინდა პროდუქცია (v+m), პროდუქტი თავისთვის (v) და პროდუქტი საზოგადოებისათვის (m), პირადი, საზოგადოებრივი (არაწარმოებრივი) მოხმარება, მოხმარება და დაგროვება და სხვ.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მრეწველობაში, სოფლისა და ტყის მეურნეობაში, მშენებლობაზე წარმოებული, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შექმნილი წმინდა პროდუქციის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი არის პროდუქტი თავისთვის, ხოლო მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და გასაღებაში და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში პროდუქტი საზოგადოებისათვის.

ამგვარი პროპორციები გამოხატავენ აღნიშნული დარგების როგორც სპეციფიკურობას, ისე მათ ადგილს მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა შორის. ჩამოთვლილი დარგების უმეტესი ნაწილი, რომელთა წმინდა პროდუქციის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი წარმოადგენს პროდუქტს თავისთვის, პროდუქციის უშუალოდ მწარმოებელი დარგებია და მათი დანიშნულებაა, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის სხვადასხვა სახის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში წმინდა პროდუქციის შეფარდებები პროდუქტ თავისთვის (v) და პროდუქტ საზოგა-

შეფარდებები პირად და საზოგადოებრივ მოხმარებას შორის 1972 წ. დარგთაშორისო ბალანსის მიხედვით (სულ მოხმარება — 100%)

მატერიალური წარმოების სფეროს დარგების პროდუქცია	მოხმარება სულ (მლნ. მან.)	პირადი მოხმარება		საზოგადოებრივი მოხმარება	
		აბსოლუტური (მლნ. მან.)	%	აბსოლუტური (მლნ. მან.)	%
მრეწველობის	2730,1	2496,4	91,4	233,7	8,6
სოფლისა და ტყის მეურნეობის	607,4	599,4	98,6	8,0	1,4
მატერიალური წარმოების სხვა დარგების	44,1	42,3	95,9	1,8	4,1
ს უ ლ	3381,6	3138,1	92,7	243,5	7,3

დოებისათვის (m) შორის გავლენას ახდენენ პროპორციებზე პირად და საზოგადოებრივ მოხმარებას შორის (იხ. გვ. 329).

ეს მონაცემებიც მეტყველებენ, რომ მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ის ნაწილიდან, რომელიც განკუთვნილია მოხმარებისათვის, აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მოდის მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რაც შეეხება საზოგადოებრივ მოხმარებას მრეწველობის პროდუქცია ამ დანიშნულებისათვის (8,6%) განაწილებული იყო შემდეგნაირად: საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის — 0,9%, სამგზავრო ტრანსპორტისათვის — 1,6 %, კავშირგაბმულობისათვის (მომსახურების ნაწილი) — 0,3%, გახათლების, ჯანმრთელობის და კულტურისათვის — 4,3%, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურებისათვის — 0,9 %, მმართველობისა და საგზაო მეურნეობისათვის — 0,6%.

გარკვეული პროპორციებია დამახასიათებელი დაგროვებისათვისაც. ეს პროპორცია დგინდება ძირითად, წარმოებრივ და არაწარმოებრივ ფონდებსა და საბრუნავი ფონდების ნამეტს, მარაგებსა და რეზერვებს შორის.

შეფარდებები დაგროვების მაჩვენებელთა შორის 1972 წ. დარგობრივი ბალანსის მიხედვით (სულ დაგროვება — 100%)

მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	მთლიანად (მლნ. მან.)	ძირითადი წარმოებრივი და არაწარმოებრივი ფონდები		საბრუნავი ფონდების ნამატი მარაგი და რეზერვები	
		აბსოლ. (მლნ. მან.)	%	აბსოლ. (მლნ. მან.)	%
მრეწველობა	320,4	146,1	45,6	174,3	54,4
სოფლის და ტყის მეურნეობა	75,9	42,8	56,4	33,1	43,6
მშენებლობა	526,1	345,4	65,6	180,7	34,4
მატერიალური წარმოების სხვა დარგები	7,3	5,0	68,5	2,3	31,5
ს უ ლ	929,7	539,3	58,0	390,4	42,0

როგორც მონაცემებიდან ჩანს, დაგროვების მაჩვენებელთა პროპორციებში საერთოდ მაღალი ხვედრი წონა უკავია ძირითად წარმოებრივ და არაწარმოებრივ ,ფონდებს. ეს, განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მშენებლობისათვის, სოფლისა და ტყის მეურნეობისათვის და მატერიალური წარმოების სხვა დარგებისათვის, გარდა მრეწველობისა.

მრეწველობის პროდუქციის დაგროვებაში უფრო მაღალი ხვედრი წონა ეკავა საბრუნავ ფონდების ნამეტს, მარაგებსა და რეზერვებს. ამგვარი შეფარდება მრეწველობაში მოწმობს აღნიშნულ დარგში კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორების ზრდას. მშენებლობაში ძირითადი ფონდების ხვედრი წონის მაღალი დონე ასახავს როგორც კვლავწარმოების ექსტენსიურ პროცესს, ისე მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

მოხმარებასა და დაგროვებას შორის პროპორციები 1972 წ. დარგთაშორისო ბალანსის მიხედვით (სულ მოხმარება და დაგროვება — 100%)

მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	სულ (მლ. მან.)	მოხმარება		დაგროვება	
		აბსოლუტ. (მლ. მან.)	%	აბსოლუტ. (მლ. მან.)	%
მრეწველობა	3050,5	2730,1	89,4	320,4	10,6
სოფლისა და ტყის მეურნეობა	683,3	607,4	88,8	75,9	11,2
მატერიალური წარმოების სხვა დარგები	50,4	44,1	87,5	6,3	12,5
ს უ ლ	3784,2	3381,6	89,3	402,6	10,7

განვითარებული სოციალიზმისათვის მოხმარების მაღალი ხვედრი წონა მოხმარებისა და დაგროვების საერთო ჯამში დამახასიათებელი კანონზომიერებაა. ეს ჩანს როგორც საერთო, ისე მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მონაცემებიდან.

თუ როგორი დინამიკური ძვრები მოხდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შეფარდებებში საზოგადოებრივი წარმოების I დაII ქვედანაყოფებს შორის როგორც მთლიანად, ისე მატერიალური წარმოების დარგებს შორის, შეიძლება დავინახოთ 1966 წ. და 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებიდან.

საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების პროპორციები ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტის და დარგების მთლიანი პროდუქციის მიხედვით 1966 წ. და 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების საფუძველზე (ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და დარგების მთლიანი პროდუქცია — 100%).

მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფი		საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფი	
	1966 წ.	1972 წ.	1966 წ.	1972 წ.
მრეწველობა	45,8	44,3	54,2	55,7
მშენებლობა	49,3	65,8	50,7	34,2
სოფლის და ტყის მეურნეობა	59,7	63,3	40,3	36,7
სატვირთო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (წარმოების მომსახურე)	100	100	—	—
საქონელბრუნვის სფეროს დარგები	100	100	—	—
მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგები	27,6	48,1	72,4	51,9
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	50,9	48,4	49,1	51,6

მოტანილი მონაცემები აღნიშნავენ იმ მნიშვნელოვან ძვრებს, რომელიც მოხდა საქართველოს ეკონომიკაში 1966—1972 წლებში. როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში, მის ნატურალურ შედგენილობაში შესამჩნევად ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფის, ანუ მოხმარების საგნების წარმოების ხვედრი წონა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოხდა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მოხმარების საგნების მნიშვნელოვანი ზრდის ანგარიშში. რაც შეეხება მატერიალური წარმოების სფეროს ისეთ დარგებს, როგორიცაა მშენებლობა და სოფლისა და ტყის მეურნეობა, აქ მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის იმ ნაწილის ხვედრი წონა, რომელიც გამოყენებული იყო საწარმოო მოხმარებისათვის. ეს დამახასიათებელი იყო აგრეთვე მატერიალური წარმოების სფეროს სხვა დარგებისათვისაც.

ეს გვიჩვენებს იმას, რომ ინტენსიფიკაციის პროცესი საერთოდ და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში ჯერჯერობით შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში საკმაოდ მაღალი ხვედრი წონა უკავია რესპუბლიკის გარედან შემოტანილ პროდუქციას. მაგ., 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით რესპუბლიკის გარედან შემოტანილი მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა რესპუბლიკაში წარმოებული მრეწველური პროდუქციის საერთო მოცულობის 31,9% შეადგენდა, ხოლო რესპუბლიკის გარეთ გატანილი — 26,4 %.

როგორც ვხედავთ, მრეწველობის პროდუქციის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის და რესპუბლიკის გარედან შემოტანის ბალანსი უარყოფითია, ესეც მრეწველური წარმოების ინტენსიფიკაციის მაღალი დონის მაჩვენებელი არ არის.

თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების და პირველ რიგში მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა ეფექტიანობის შემდგომ ამაღლების მნიშვნელოვან პირობას კვლავწარმოების ინტენსიური ფაქტორების გაძლიერება წარმოადგენს.

აღნიშნულ პერიოდში კვლავწარმოების პროცესში შესამჩნევად გაიზარდა საბოლოო პროდუქტის ხვედრი წონა, რომელიც მოდის საწარმოო მოხმარებაზე, ე. ი. რომელიც ეკუთვნის საზოგადოებრივი წარმოების პირველ ქვედანაყოფს. ეს ჩანს იმ ცვლილებიდან, რომელსაც ადგილი აქვს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის განაწილებაში მათი საბოლოო დანიშნულების მიხედვით 1966 წ. და 1972 წ. დარგთაშორისი ბალანსების შესაბამისად (იხ. ცხრილი 10).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 1966—1972 წწ-ში შესამჩნევად გაიზარდა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრი წონა, რომელიც მოდის საწარმოო მოხმარებაზე მრეწველობაში. შემცირდა სოფლის მეურნეობის, ხოლო ერთ დონეზე დარჩა მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა არაწარმოებრივი მოხმარებისათვის. რამდენადმე გაიზარდა მრეწველობის, ხოლო შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრი წონა განკუთვნილი რესპუბლიკის გარეთ გასატანად.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის განაწილება მათი საბოლოო დანიშნულების მიხედვით (ხულ გამოყენებული პროდუქცია — 100%)[3]

ცხრილი 10

სახალხო მეურნეობის დარგები	მრეწველობის პროდუქცია		სოფლის მეურნეობის პროდუქცია	
	1966 წ.	1972 წ.	1966 წ.	1972 წ.
მატერიალური წარმოების დარგებში	38,5	38,8	52,5	58,9
აქედან:				
მრეწველობაში	29,5	30,6	41,7	48,9
მშენებლობაში	6,0	5,5	—	—
სოფლის მეურნეობაში	1,7	1,4	10,5	9,8
მატერიალური წარმოების დანარჩენ დარგებში	1,3	1,3	0,3	0,2
არაწარმოებრივ მოხმარებაზე	29,0	29,3	34,5	31,5
დაგროვებასა და სხვა დანახარჯებზე	7,3	5,5	6,9	4,1
გატანაზე	25,2	26,4	6,1	5,5

[3] Советская Грузия по Ленинскому пути, стат. сб. Тб., 1970, გვ. 25. Грузинская ССР в IX пятилетке, Тб., 1975 г., გვ. 41.

ამ პერიოდისათვის საერთოდ დამახასიათებელია მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრი წონის ზრდა, რომელიც გამოიყენება მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში. მაგ., 1966 წ. დაგროვებასა და სხვა დანახარჯებზე განკუთვნილ ნაწილს თუ პირობითად მივაკუთვნებთ საწარმოო მოხმარებას, მრეწველობის პროდუქციის 45,8%, ხოლო 1972 წ. — 44,3% გამოყენებული იყო საწარმოო და 54,2% (თუ პირობითად გატანაზე გამიზნულ პროდუქციას მივაკუთვნებთ არასაწარმოო მოხმარებას) არასაწარმოო დანიშნულებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქცია შესაბამისად 1966 წ. 59,4% და 40,6%, ხოლო 1972 წ. — 63,0% და 37,0%.

აღნიშნულმა პროცესმა გარკვეული გავლენა იქონია საზოგადოებრივ წარმოების მატერიალური დანახარჯების ზრდაზე. ამის შედეგად შეიცვალა თანაფარდობა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მატერიალურ დანახარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს (წმინდა პროდუქტს) შორის.

ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მატერიალურ დანახარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს შორის პროპორციების დინამიკა (ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი — 100%)[4]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
ეროვნული შემოსავალი	49,4	46,0	45,5
მატერიალური დანახარჯები	50,6	54,0	54,5

ამგვარი ცვლილებები ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში ეროვნულ შემოსავალსა და მატერიალურ დანახარჯებს შორის განვითარებულ სოციალიზმის ეტაპზე განპირობებულია ძირითადი წარმოებრივი ფონდების მასობრივი განახლების ინტენსიურობით, მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის ტემპებით, აგრეთვე არსებითი ცვლილებებით მრეწველობაში „ა" და „ბ" ჯგუფების მატერიალურ შედგენილობაში. მაგ., უკვე 60-იანი წლების დასაწყისში და მის შემდეგაც საქართველოში მასობრივად იწარმოება ისეთი პროდუქცია, რომელიც განსაზღვრავს წარმოების საშუალებათა (მაგისტრალური ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, ჩაის საკრეფი მანქანები, ლითონსაჭრელი ჩარხები, სხვადასხვა გაწყობილობა, ლითონის მილები, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები) და მოხმარების საგნების (მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების მაღალხარისხოვანი პროდუქცია) მაღალტექნიკურ ნივთობრივ შედგენილობას.

---

[4] გაანგარიშებულია: Грузинская ССР в IX пятилетке, გვ. 193—195.

ნაწარმთა ფართო ასორტიმენტი და მათი მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური კულტურა, დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

საქართველოს საზოგადოებრივ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, როგორც მწარმოებლური ძალების განვითარების დაჩქარების მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე არსებითი ცვლილებები შეიტანა ცოცხალი და განივთებული შრომის შეფარდებებში. ეს დამახასიათებელი თვისებაა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთლიანად საბჭოთა ეკონომიკისათვის[5], იმ განსხვავებით, რომ გამომდინარე საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკურობიდან საერთოდ წარმოების ორგანული შედგენილობა, პროპორციები განივთებულ და ცოცხალ შრომას შორის რესპუბლიკაში რამდენადმე უფრო დაბალია, ვიდრე სსრ კავშირში, რაც აგრეთვე კანონზომიერია და ასახავს საქართველოს სახალხო მეურნეობის, კერძოდ, რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებას.

ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს ისეთ სახალხომეურნეობრივ პროპორციებზე, როგორიცაა შეფარდებები რესპუბლიკის მრეწველობაში წარმოების საშუალებების წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის გამომდინარე სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების საერთო კანონზომიერებიდან, კერძოდ მოხმარების საშუალებათა წარმოებასთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის ობიექტური ეკონომიკური კანონიდან. **ჩამოყალიბებულია აღნიშნული კანონის მოქმედების რეგიონალური თავისებურებანი.** ეს თავისებურებანი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე მეღავნდებოდნენ სხვადასხვანაირად. მაგ., ომამდელ ეკონომიკის პირობებში საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის ყველა ძირითადი დარგი, სადაც მზადდებოდა როგორც წარმოების საშუალებები, ისე მოხმარების საგნები. მაგრამ მაინც თუ ავიღებთ დარგთა იმ

---

[5] მატერიალური წარმოების სფეროს ერთობლივი პროდუქტის ანალიზი მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში გვიჩვენებს, რომ ნედლეულის და მასალების (შუალედური პროდუქტის) ხვედრი წონა, ანუ წარმოების მასალატევადობა მცირდება. მაგ., აშშ-ში 1947—1970 წწ-ში იგი შემცირდა 49%-იდან 45%-მდე, იაპონიაში 1960 — 1965 წწ-ში 60%-იდან 57%-მდე, გფრ-ში 1953—1966 წწ.-ში 49%-იდან 46%-მდე, საფრანგეთში—1959—1965 წწ.-ში —48%-იდან 43%-მდე.

საზოგადოებრივ წარმოებაში მასალატევადობის შემცირების ყოველი ერთი პროცენტი წარმოადგენს უდიდეს აბსოლუტურ სიდიდეს. აშშ-ში 70-იან წლების დასაწყისში იგი იძლეოდა ყოველწლიურად ეკონომიას 8 მლრდ დოლარის ოდენობით (ჟურნ. «США. Экономика, политика, идеология, № 12, 1973, გვ. 22).

ჯგუფს. რომლებიც ძირითადად ამზადებენ წარმოების საშუალებებს, და იმ დარგთა ჯგუფს, რომლებიც აწარმოებენ ძირითადად მოხმარების საგნებს, ყურადღებას იქცევს „ა“ ჯგუფის განმსაზღვრელ დარგთა უფრო სწრაფი განვითარების ტენდენცია. ეს დამახასიათებელია განვითარებული სოციალიზმის ეტაპისათვისაც, მხოლოდ იმ თავისებურებით, რომ წარმოების საშუალებათა წარმოების და მოხმარების საგნების წარმოების განვითარების ტემპები შესამჩნევად დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

თუ 1958—1975 წწ-ში მათი განვითარების ტემპებში განსხვავება 28 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა „ა“ ჯგუფის სასარგებლოდ, 1960—1975 წწ-ში შეადგინა 15 პროცენტული პუნქტი. ხოლო 1965—1975 წწ-ში მოხმარების საგნების წარმოება რესპუბლიკაში მიმდინარეობდა უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე წარმოების საშუალებების წარმოება. განსხვავება მათ შორის შეადგენდა 6 პუნქტს „ბ“ ჯგუფის სასარგებლოდ.

წარმოების საშუალებების წარმოების და მოხმარების საგნების წარმოების განვითარების ტემპებმა განსაზღვრეს საქართველოს მრეწველობაში განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ეს მნიშვნელოვანი სახალხომეურნეობრივი პროპორციებიც.

შეფარდებები წარმოების საშუალებათა წარმოებას (ჯგუფი „ა“) და მოხმარების საგნების წარმოებას (ჯგუფი „ბ“) შორის საქართველოს მრეწველობაში (მრეწველობის მთლიანი პროდუქცია — 100%)[6]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა“)	57,0	58,0	63,0	63,0	64,0
მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ“)	43,0	42,0	37,0	37,0	36,0

მოტანილი მონაცემები ახასიათებენ იმ არსებით თვისებრივ ცვლილებებს, რომელიც მოხდა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე არა მარტო მრეწველობაში, არამედ რესპუბლიკის მთელ ეკონომიკაში[7]. სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში (განსაკუთრებით პირველ ხუთწლედში) ეკონომიკურ ჩამორჩენილობასთან დაკავშირებით, მთავარი ყურადღება ექცეოდა იმ დარგებისა და საწარმოების შექმნას, რომლებიც წარმოების საშუალებებს აწარმოებდნენ.

[6] გაანგარიშებულია საქართველოს სსრ ცსს მონაცემების მიხედვით. ციფრები დამრგვალებულია.

[7] „ა“ ჯგუფის ხვედრი წონა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში (მთლიანი პროდუქცია—100%)

	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.
სსრ კავშირი	68,8	72,5	74,1	73,4
აშშ	62,3	63,5	64,6	64,9

წარმოების საშუალებათა წარმოების შედარებით მაღალი დონე მრეწველობის მთლიან პროდუქციაში განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე განპირობებულია ეკონომიკის თავისებურებებით, მისი დამახასიათებელი ნიშნებით და, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით.

წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა")და მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ") ზრდის ტემპების შეფარდების მიხედვით განსაზღვრული ზომით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მრეწველური წარმოების სპეციფიკურობაზე მოკავშირე რესპუბლიკებში. მაგ., სსრ კავშირის მრეწველობაში მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით წარმოების საშუალებათა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის ობიექტური ეკონომიკური კანონის მოქმედების დროს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აღნიშნული კანონის მოქმედება განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე შემდეგი მონაცემებით ხასიათდება.

მრეწველობის პროდუქციის, წარმოების საშუალებათა წარმოებისა (ჯგუფი „ა") და მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ") ზრდის ტენდენციის დინამიკა 1965—1975 წწ. (1966წ. — 1)[8]

მოკავშირე რესპუბლიკები	1970 წ.			1975 წ.		
	მთელი მრეწველობა	ჯგუფი „ა"	ჯგუფი „ბ"	მთელი მრეწველობა	ჯგუფი „ა"	ჯგუფი „ბ"
სსრ კავშირი	1,5	1,51	1,50	2,15	2,20	2,05
საქართველოს სსრ	1,53	1,50	1,58	2,12	2,10	2,16
აზერბაიჯანის სსრ	1,37	1.33	1,49	2,06	1,98	2,25
სომხეთის სსრ	1,72	1,68	1,83	2.49	2,42	2,67
იაპონია	68,4	67,8	66,8	72,6		
გფრ	74,1	70,6	69,9	70,9		

(იხ. ჟურნ. «США», Экономика, политика и идеология. № 12, 1973, გვ. 33; Народное хозяйство СССР в 1970 г., с. 133).

[8] Народное хозяйство СССРв 1975 году, М., 1976, с. 200—202.

ღალი დონე განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებებში შრომის საგნების შედარებით მაღალი დონით, შეფარდებებით შრომის იარაღებსა და შრომის საგნებს შორის.

პროპორციები საქართველოს მრეწველობის მიერ წარმოებულ წარმოების საშუალებებში (ჯგუფი „ა") შრომის იარაღებსა და შრომის საგნებს შორის (წარმოების საშუალებები — 100%)[9]

	1959 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
შრომის იარაღები	15,1	18,4	22,6	18,8	20,3	18,5
შრომის საგნები	84,9	81,6	77,4	81,2	79,7	81,5

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების საშუალებების წარმოებაში შრომის იარაღების ხვედრი წონის ზრდის ტენდენცია იგრძნობა, შრომის საგნების ხვედრი წონა მნიშვნელოვნად ჭარბობს. ეს განპირობებულია რესპუბლიკის ეკონომიკის, კერძოდ მისი მრეწველობის სპეციფიკურობით, რესპუბლიკაში შექმნილი მრეწველობის ტრადიციული დარგების განვითარებით.

ეს სპეციფიკურობა გამოიხატება მრეწველობის, წარმოების საშუალებათა წარმოების და მოხმარების საგნების წარმოების დარგთა შორის, მრეწველობის „ა" ჯგუფისა და „ბ" ჯგუფის შიდადარგობრივ სტრუქტურაში, წარმოების საშუალებათა წარმოებაში და მოხმარების საგნების წარმოებაში მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრწონასა და სხვა მაჩვენებლებში (იხ. ცხრილი 11).

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, მრეწველობის დარგთა სტრუქტურაში 1960—1977 წწ-ში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ყურადღებას იქცევს ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, აგრეთვე ელექტროენერგეტიკისა და საშენ მასალათა მრეწველობის ხვედრი წონის ზრდის ტენდენცია. რაც შეეხება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მრეწველობას, იგი გარკვეული ზომით იზრდება, ხოლო სათბობის, ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონა მცირდება.

საქართველოს მრეწველობისათვის ელექტროენერგეტიკის, ქიმიური, ნავთობქიმიური და მანქანათმშენებლობის დარგების სწრაფი განვითარება წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გადიდების აუცილებელ პირობას. უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს საშენ მასალათა მრეწველობაც, ეს ამ დარგის სპეციფიკურობითაა განპირობებული, რადგან მან უნდა უზრუნველყოს მშენებლობა სათანადო საშენ მასალებით.

საერთოდ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკურობა, იგრეთვე სათანადო დარგთაშორისი პროპორციულობა ეკო-

[9] გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

მრეწველობის (ძირითადი დარგები), წარმოების საშუალებათა წარმოების („ა“ ჯგუფი) და მოხმარების საგნების წარმოების („ბ“ ჯგუფი) დარგთაშორისი სტრუქტურა (სულ — 100%)[10]

მრეწველობის დარგები	1960 წ.			1965 წ.			1970 წ.			1975 წ.			1977 წ.		
	მთლიანად	„ა“ ჯგუფი	„ბ“ ჯგუფი	მთლიანად	„ა“ ჯგუფი	„ბ“ ჯგუფი	მთლიანად	„ა“ ჯგუფი	„ბ“ ჯგუფი	მთლიანად	„ა“ ჯგუფი	„ბ“ ჯგუფი	მთლიანად	„ა“ ჯგუფი	„ბ“ ჯგუფი
1. ელექტროენერგეტიკა	1,8	3,1	—	2,2	3,2	0,2	2,3	3,1	0,8	2,2	2,8	1,0	2,7	3,4	1,3
2. სათბობი	4,2	7,3	0,01	2,5	4,2	0,01	2,9	4,4	0,3	2,6	3,7	0,4	3,9	5,0	0,4
3. შავი მეტალურგია	5,5	9,7	—	5,1	8,8	—	5,1	9,6	0,004	5,3	8,4	—	5,0	7,7	0,01
4. ფერადი მეტალურგია	0,02	0,4	—	0,04	0,07	—	1,8	0,3	—	0,3	0,3	—	0,4	0,6	0,02
5. ქიმიური და ნავთობქიმიური	2,5	3,6	0,9	2,9	5,0	—	4,3	5,8	1,8	0,1	6,2	2,3	4,2	5,0	2,0
6. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	11,4	18,4	2,1	14,5	22,6	2,8	18,6	18,2	3,1	14,4	20,3	4,5	9,0	18,5	3,6
7. ხის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	4,7	5,8	3,1	3,0	3,2	2,9	3,0	2,9	3,1	3,4	3,5	3,4	3,3	3,0	4,0
8. საშენ მასალათა	—	—	—	4,1	8,1	0,1	4,9	7,2	1,7	5,0	7,2	1,4	5,0	7,0	1,5
9. მსუბუქი	21,3	13,6	31,4	18,0	11,8	26,6	19,3	18,2	31,6	18,8	13,4	28,0	20,2	15,2	29,0
10. კვების	40,9	28,8	56,9	42,7	30,0	60,0	40,6	33,3	52,9	39,7	31,4	53,7	37,1	29,0	51,0

[10] საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

ნომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის ცვალებადია, ხოლო ეს ცვალებადობა უნდა მიმდინარეობდეს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზით, დარგთაშორისი პროპორციების ოპტიმალური ზომის დადგენით.

მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურისათვის წარმოების საშუალებების წარმოების („ა" ჯგუფი) და მოხმარების საგნების წარმოების („ბ" ჯგუფის) მიხედვით 1960—1977 წწ-ში დამახასიათებელი იყო: წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის („ა" ჯგუფი) ქიმიური და ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონის ზრდა, ხოლო სათბობის, ხე-ტყის, ხისდამმუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობის ხვედრი წონის შემცირება. მოხმარების საგნების წარმოების („ბ" ჯგუფის) დარგობრივ სტრუქტურაში ამაღლდა ელექტროენერგეტიკის, ქიმიური და ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობის ხვედრი წონა.

ცვლილებები წარმოების საშუალებათა წარმოებასა („ა" ჯგუფი) და მოხმარების საგნების წარმოებას („ბ" ჯგუფი) შორის შიგადარგობრივ სტრუქტურაში ჩანს ქვემოთ მოტანილ ცხრილიდან (იხ. ცხრილი 12).

მოტანილი მონაცემები ასახავენ რესპუბლიკის მრეწველური წარმოების მნიშვნელოვან სპეციფიკურობას. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მრეწველობის თითქმის ყველა დარგში იწარმოება მოხმარების საგნები. აღნიშნული ჯგუფის საგნების წარმოების ზრდის ტენდენცია განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ნათლად ჩანს ელექტროენერგეტიკაში, სათბობის, ქიმიური, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, ხის, ხისდამმუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის და საშენ მასალათა მრეწველობაში. მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, აღნიშნულ დარგებში, განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკაში, ქიმიურ, მანქანათმშენებელ და ლითონდამუშავების და საშენ მასალათა მრეწველობაში მოხმარების საგნების წარმოების ხვედრი წონა ჯერ კიდევ დაბალია, ვერ პასუხობს ტექნიკური პროგრესისა და მასთან დაკავშირებით, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს ამ პროდუქციაზე.

როგორც ჩანს, მომავალში გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც ამ დარგების პროდუქციის აბსოლუტური მოცულობის ზრდა, ისე „ა" და „ბ" ჯგუფებს შორის პროპორციების ცვლილება „ბ" ჯგუფის სასარგებლოდ. ამგვარი ცვლილებები როგორც განვითა-

ცხრილი 12

წარმოების საშუალებათა წარმოების („ა" ჯგუფი) და მოხმარების საგნების წარმოების („ბ" ჯგუფი) შეგადარგობრივი ხტრუქტურა (%-ით)[11]

მრეწველობის დარგები	1960 წ.		1965 წ.		1970 წ.		1975 წ.		1977 წ.	
	ჯგუფები		ჯგუფები		ჯგუფები		ჯგუფები		ჯგუფები	
	„ა"	„ბ"	„ა"	„ბ"	„ა"	„ბ"	„ა"	„ბ"	„ა"	„ბ"
დარგები, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ წარმოების საშუალებებს:										
ელექტროენერგეტიკა	100	—	84,5	15,5	87,0	13,0	82,6	17,4	82,4	17,6
საბობი	99,8	0,2	98,0	2,0	95,5	4,5	93,5	6,5	95,6	4,4
შავი მეტალურგია	100	—	100	—	99,9	0,1	100	—	99,9	0,1
ფერადი მეტალურგია	100	—	100	—	100	—	99,6	0,4	98,2	1,8
ქიმიური	83,4	16,6	99,9	0,1	84,7	15,3	81,2	18,8	81,3	18,7
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	92,1	7,9	91,6	8,4	90,8	9,2	88,3	11,7	90,1	9,9
ა) მანქანათმშენებლობა	95,3	4,7	94,3	5,7	94,2	5,8	92,1	7,9	93,7	6,3
ხის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	71,6	28,4	60,2	39,8	62,1	37,9	63,2	36,8	56,0	44,0
საშენ მასალათა	—	—	98,7	1,3	91,4	8,6	89,9	10,1	89,4	10,6
დარგები, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ მოხმარების საგნებს:										
მსუბუქი	36,6	63,4	37,7	62,3	39,8	60,2	50,0	50,0	48,1	51,9
კვების	40,3	59,7	42,3	57,7	46,6	53,4	50,7	49,3	49,7	50,3

რებული სოციალიზმის, ისე კომუნიზმის მატერიალური ტექნიკური ბაზის მშენებლობის გაფართოებული კვლავწარმოების კანონზომიერებაა.

რაც შეეხება მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც ძირითადად მოხმარების საგნებს ამზადებენ, აქაც უკანასკნელ ხანებში საყურადღებო ტენდენციებს აქვს ადგილი. მნიშვნელოვნად გაიზარდა „ა" ჯგუფის ხვედრი წონა მსუბუქ და კვების მრეწველობის პროდუქციაში. ამგვარმა ტენდენციებმა შესამჩნევი ცვლილებები შეიტანეს როგორც წარმოების საშუალებების, ისე მოხმარების საგნების წარმოებაში. მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონის შეფარდებებში.

მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრიწონის შეფარდებების დინამიკა წარმოების საშუალებათა წარმოებაში („ა" ჯგუფი)[12]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
მძიმე მრეწველობის დარგები	57,5	58,1	54,3	51,9	55,3
მსუბუქი და კვების მრეწველობა	42,5	41,9	45,7	48,1	44,7
მათ შორის:					
კვების მრეწველობა	28,8	30,0	33,5	32,4	29,3

[11] გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

[12] გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

შოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონის ამაღლების ტენდენცია წარმოების საშუალებათა წარმოებაში. რაც შეეხება მათ და მძიმე მრეწველობის დარგების ხვედრი წონის შეფარდებებს მოხმარების საგნების წარმოებაში, ისინი შემდეგი მონაცემებით ხასიათდებიან:

მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონის შეფარდებების დინამიკა მოხმარების საგნების წარმოებაში („ბ" ჯგუფი)[13]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
მძიმე მრეწველობის დარგები	11,6	13,4	15,5	17,7	19,2
მსუბუქი და კვების მრეწველობა	88,4	86,6	84,5	82,3	80,8
მათ შორის:					
კვების მრეწველობა	56,9	60,0	52,9	54,4	51,7

საქართველოს მრეწველობისათვის საერთოდ, კერძოდ წარმოების საშუალებათა წარმოების და მოხმარების საგნების წარმოებისათვის გახვითარებული სოციალიზმის ამ ეტაპზე დამახასიათებელია წარმოების საშუალებათა წარმოების საერთო მოცულობაში მძიმე მრეწველობის დარგების ხვედრი წონის შემცირების, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონის გადიდების ტენდენცია[14], ხოლო მოხმარების საგნების წარმოების საერთო მოცულობაში მძიმე მრეწველობის დარგების ხვედრი წონის ამაღლება და მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრი წონის შემცირება.

მრეწველობის იმ დარგების ხვედრი წონის ზრდის ტენდენცია წარმოების საშუალებათა წარმოებაში, რომლებიც ძირითადად მოხმარების საგნებს ამზადებენ, ანუ მსუბუქი და კვების მრეწველობისა, განპირობებულია იმით, რომ როგორც კვების, ისე მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგის პროდუქციის დიდი ნაწილი, მისი დანიშნულების სპეციფიკურობის გამო, წარმოების საშუალებათა წარმოებაში აღირიცხება. მაგ., კვების მრეწველობაში შექმნილი „ა" ჯგუფის

---

[13] გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

[14] 1972 წ. დარგთაშორის ბალანსის მიხედვით შეფარდებები საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაში „ა" და „ბ" ჯგუფებს შორის:

	„ა" ჯგუფი	„ბ" ჯგუფი
მრეწველობა	70,7	29,3
სოფლის მეურნეობა	68,5	31,5

მოხმარების საგნების წარმოების („ბ" ჯგუფი) სტრუქტურა სსრ კავშირში („ბ" ჯგუფის მთელი პროდუქცია = 100%)

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია	26,4	28,8	26,6
კვების მრეწველობის პროდუქცია	54,5	48,6	45,2
მძიმე მრეწველობის დარგთა პროდუქცია (გამოყენებული არაწარმოების მიზნებისათვის)	19,0	22,6	28,2

(Народное хозяйство СССР в 1975 году, с. 193—194).

პროდუქცია 84 % (1977 წ.) შეადგენს, ჩაის 34, 5%, ღვინის 42, 8%, თამბაქოს 6, 7%-ს. თვით ღვინის მრეწველობაში შექმნილი პროდუქციის — 79, 9%, ჩაის — 64, 8%, თამბაქოს — 47, 7% მიეკუთვნება წარმოების საშუალებათა წარმოებას, ხოლო დანარჩენი მოხმარების საგნების წარმოებას.

მსუბუქ მრეწველობაში შექმნილი „ა" ჯგუფის პროდუქციის 92, 8 % მოდის საფეიქრო მრეწველობაზე. აქედან 54, 4 % — ქსოვილებზე, მათ შორის ბამბეულის წარმოებაზე 12, 9%, შალის 26, 5 %, აბრეშუმის წარმოებაზე 15, 0 %. ხოლო თვით საფეიქრო მრეწველობაში შექმნილი მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალებათა წარმოებაზე მოდის 72, 2 %.

მნიშვნელოვან სახალხომეურნეობრივ პროპორციებს, რომელთაც როგორც საერთო საკავშირო, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ წარმოების I და II ქვეგანაყოფებისათვის, შრომის იარაღების წარმოება წარმოადგენს. ეს არსებითია იმითაც, რომ გვიჩვენებს თუ რამდენად აკმაყოფილებს რესპუბლიკური მრეწველობა ადგილობრივ მოთხოვნებს, როგორც წარმოების საშუალებებზე საერთოდ, ისე კერძოდ შრომის იარაღებზე სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის.

შრომის იარაღების წარმოების ხვედრი წონა საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფებისათვის (მთლიანად შრომის იარაღები — 100%)[15]

საზოგადოებრივი წარმოების ქვედანაყოფები	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
I ქვედანაყოფისათვის	95,7	95,2	96,0	94,9	95,2
II ქვედანაყოფისათვის	4,3	4,8	4,0	5,1	4,8
მათ შორის:					
ა. სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა	2,1	2,0	1,5	2,6	2,7
ბ. კომუნალური მანქანათმშენებლობა	—	—	0,19	0,25	0,007
გ. კვების მრეწველობისათვის ტექნოლოგიური გაწყობილობის წარმოება	2,2	2,8	2,3	2,3	2,1

მონაცემებიდან ჩანს, შრომის იარაღების უდიდესი ნაწილი მზადდება საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფისათვის, ე. ი. წარმოების საშუალებების წარმოებისათვის. რაც შეეხება შრომის იარა-

[15] გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

ღების წარმოებას II ქვედანაყოფისათვის, ე. ი. მოხმარების საგნების წარმოებისათვის მათი ხვედრი წონა დაბალია.

ჩვენი აზრით, შრომის იარაღების წარმოების ხვედრი წონა მოხმარების საგნების წარმოებისათვის უნდა ამაღლდეს. ამას მოითხოვს როგორც მოხმარების საგნების წარმოების ზრდის აუცილებლობა, ისე საზოგადოებრივი წარმოების საერთოდ, კერძოდ კი მრეწველობის, განსაკუთრებით მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება, აგრეთვე როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო ინფრასტრუქტურის სრულყოფის ინტერესები. ინფრასტრუქტურის უფრო სწრაფი განვითარება და მისი სრულყოფა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ინფრასტრუქტურის სრულყოფა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში სახალხომეურნეობრივი პროპორციების, წარმოებისა და მომსახურების დარგების სწორი შეთანაწყობის გამომხატველია[16]. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძირითადი წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალურ შეფარდებებს როგორც ცალკეულ დარგებსა და მატერიალური წარმოების სფეროში, ისე მთელს სახალხო მეურნეობაში.

აღნიშნული სახალხომეურნეობრივი პროპორციების თავისებურებანი ის არის, რომ ისინი მუდმივ სრულყოფის პროცესში იქნებიან როგორც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის. ისე კომუნისტური წარმოების წესის უმაღლესი ფაზის პირობებშიც.

საზოგადოებრივი წარმოების II ქვედანაყოფისათვის შრომის იარაღების წარმოების ხვედრი წონის ზრდა განპირობებულია იმითაც, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში გადამამუშავებელი დარგების პროდუქცია მნიშვნელოვნად ჭარბობს მომპოვებელი დარგების პროდუქციას. ამ დარგების ურთიერთ შეფარდებასაც დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება და მათ შორის პროპორციები საყურადღებო ეკონომიკური მაჩვენებელია.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მომპოვებელი მრეწველობის დარგთა პროდუქციას (სათბობი მრეწველობა—ნავთობის და ქვანახ-

---

[16] როგორც საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში აღინიშნება, ინფრასტრუქტურის ეკონომიკის საკითხები მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღების ცენტრშია. ამ საკითხზე ჟურნალში «Вопросы экономики» არაერთი სტატია გამოქვეყნდა. მაგ., სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურას მიაკუთვნებენ: ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვას და დამზადებას, რეალიზაციას და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას (იხ. ჟურნ. «Вопросы экономики», № 6, 1978, გვ. 44).

საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქციაში მომპოვებელ და გადამმუშავებელ დარგთა პროპორციების დინამიკა (მთელი მრეწველობა — 100%)[17]

	1966 წ.	1970 წ.	1975 წ.
მომპოვებელი მრეწველობა	5.3	5,6	4,9
გადამმუშავებელი მრეწველობა	94,7	94,4	95,1

შირის, ტორფისა და სხვ) ჯერჯერობით მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შედარებით მცირე ხვედრი წონა უკავია. მისი ხვედრი წონის ამაღლების რეალურ შესაძლებლობას ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდის პერსპექტივები წარმოადგენს. მათ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეცვალონ შეფარდებები მომპოვებელ და გადამმუშავებელ მრეწველობის დარგთა შორის.

ეს მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ისეთი სახალხო მეურნეობრივი შიდა რესპუბლიკური პროპორციებითაც, როგორიცაა შეფარდებები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის სახალხო მეურნეობის ამ ორი დარგის ერთობლივ პროდუქციაში.

საქართველოსათვის განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის პროპორციების სრულყოფა ხასიათდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონის ამაღლებით. 20—30-იანი წლების დასაწყისში (თითქმის პირველი ხუთწლედის დამლევამდე) სოფლის მეურნეობის ხვედრი წონა აღნიშნული დარგების მთლიან პროდუქციაში ნნიშვნელოვნად ჭარბობდა. მაგრამ შემდგომ, საზოგადოებრივი წარმოების მრეწველური ხასიათის გაძლიერებასთან, საქართველოს აგრარული რესპუბლიკიდან ინდუსტრიულ-აგრარულად გადაქცევასთან ერთად. განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა ჭარბობს. ეს კანონზომიერია, რადგან განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარებით, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობით. ამის შედეგად შესამჩნევად გაიზარდა მრეწველობის ხვედრი წონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში და ეროვნულ შემოსავალში, შეიცვალა მათი დარგობრივი სტრუქტურაც.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შიდარესპუბლიკური დარგობრივი პროპორციების დინამიკა თვალსაჩინოდ მეტყველებს საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული ხასიათის გაძლიერებაზე. ამის შედეგად სრულყოფილი ხდება წარმოებრივი ურთიერთობანიც. გაიზარდა რესპუბლიკის მუშათა კლასის როლიც როგორც ეკონომიკურ, ისე რეს-

[17] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году, с. 49.

პუბლიკის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინდუსტრიული ხასიათის გაძლიერების ტენდენცია ჩანს წარმოებული ეროვნული შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებებშიც.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა (ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი — 100)[18]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მრეწველობა	57,9	58,9	60,5	61,8
სოფლის მეურნეობა	21,0	20,7	19,1	18,6
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2,4	2,6	2,7	2,8
მშენებლობა	10,7	11,3	11,3	9,7
ვაჭრობა, დამზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა	8,0	6,5	6,4	7,1

როგორც მონაცემებიდან ჩანს, განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე უფრო ნათლად გამოიხატება ინდუსტრიული დარგების

საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა (ეროვნული შემოსავალი — 100%)[19]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მრეწველობა	41,5	42.2	40.6	42,0
სოფლის მეურნეობა	31.7	32,5	32,7	30,8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2,3	3,2	3,4	3,6
მშენებლობა	10,2	10,7	11,6	10,0
ვაჭრობა, დამზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვ.	14,3	11,4	11,7	13,6

ხვედრი წონის ამაღლება წარმოებულ ეროვნულ შემოსავალში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული შემოსავლის 42,0% (1975 წ.) იწარმოება მრეწველობაში.

განვლილ ათწლეულში (1965—1975 წწ.) მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოებული ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე. ამასთან, მისი ზრდა მიმდინარეობდა საშუალო-საკავშირო და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკათა მაჩვენებლების დონეზე. მაგ., თუ აღნიშნულ პერიოდში ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სსრ კავშირში გაიზარდა 1,73-ჯერ, საქართველოში იგი გაიზარდა 1,70-ჯერ, აზერბაიჯანში 1,67-ჯერ და სომხეთში—1,82-ჯერ, ხოლო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ხვედრი წონა საერთო-საკავშირო ეროვნულ შემოსავალში გამოიხატა შემდეგ დინამიკაში:

---

[18] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году, стат. ежегодн., Тб., 1977 с. 25.

[19] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году, с. 168.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში წარმოებული ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონის დინამიკა საშუალო-საკავშირო წარმოებაში (სსრკ—100%)[20]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
საქართველოს სსრ	1,3	1,3	1,3	1,3
აზერბაიჯანის სსრ	1,5	1,3	1,3	1,2
სომხეთის სსრ	0,6	0,7	0,8	0,9

როგორც საკავშირო, ისე შიდარესპუბლიკურ სახალხომეურნეობრივ მნიშვნელოვან პროპორციას წარმოადგენს გამოყენებული ეროვნული შემოსავლის განაწილება მოხმარებისა და დაგროვების ფონდებად. განვითარებულ სოციალიზმის პირობებში, მიღწეული ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის მოხმარებაზე.

მოხმარებისა და დაგროვების თანაფარდობის დინამიკა გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში (მთლიანად გამოყენებული ეროვნული შემოსავალი — 100%)[21]

	1961 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მოხმარება	78,6	73,6	76,0	77, 2
დაგროვება და სხვა დანახარჯები	21,4	26,4	24,0	22, 8

როგორც ვხედავთ, სოციალიზმის ეკონომიკური წყობა ძის განვითარებულ სტადიაზე უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის მაღალ მოხმარებას. გადაწყვეტილია, სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება ხორციელდება ადამიანის მატერიალური და სულიერ მოთხოვნილებათა დონის მუდმივი, დინამიკური ზრდა. ეს კონკრეტულ გამოხატულებას ღებულობს მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებრივ სფეროებს შორის შეფარდებების ცვლილებებში.

მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებრივ სფეროებში დასაქმებული მოსახლეობის შეფარდებების დინამიკა (ყველ დასაქმებულია სახალხო მეურნეობაში — 100%)[22]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მატერიალური წარმოების დარგებში	82,1	79,4	76,2	73,3
არაწარმოებრივ დარგებში	17,9	20,6	23,8	26,7

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის შეფარდებებში განვითარებული სოციალიზმის

---

[20] გაანგარიშებულია საქართველოს სსს მონაცემების მიხედვით. 1980 წ. საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონა შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში შეადგენდა 1,6% (იხ. Грузия в цифрах 1981, გვ. 29).

[21] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 г., გვ. 168—169.

[22] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году, с. 149—150.

ეტაპზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა არაწარმოებრივი დარგების ხვედრიდ წონა. აღნიშნულ პერიოდში აქ 2, 6-ჯერ გაიზარდა ძირითადი ფონდები, ამ სფეროსათვის დამახასიათებელი გახდა კაპიტალური დაბანდებების სტაბილური ხვედრი წონა.

კაპიტალურ დაბანდებათა შეფარდებების დინამიკა მატერიალური წარმოების სფეროსა და არაწარმოებრივ დარგთა შორის (სულ კაპიტალური დაბანდებები — 100%)[23]

	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მატერიალური წარმოების სფეროს დარგები	66.2	70,3	67,0	68,1
არაწარმოებრივი დარგები	33,8	29,7	33,0	31,9

როგორც ჩანს, საქართველოს სახალხო მეურნეობაში საერთო კაპიტალურ დაბანდებებში არაწარმოებრივ დანიშნულებებზე განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონა თხუთმეტი წლის მანძილზე იყო 30—34% (აღნიშნულ პერიოდში ამ სფეროში კაპიტალური დაბანდებების მოცულობა გაიზარდა 2, 6-ჯერ). შესაბამისად ჩამოყალიბდა მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებრივ დარგებს შორის ძირითადი ფონდების პროპორციები.

საწარმოო და არასაწარმოო ძირითადი ფონდების შეფარდებები (სულ ძირითადი ფონდები — 100%)

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1975 წ. გაიზარდა 1965 წ. მიმ.
საწარმოო ძირითადი ფონდები	58,4	60,2	62,4	1,91
არასაწარმოო ძირითადი ფონდები	41,6	39,8	37,6	1,68
სულ ძირითადი ფონდები	—	—	—	1,78

შიდარესპუბლიკური სახალხომეურნეობრივი პროპორციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მრეწველური პროდუქციის წარმოების შეფარდება დაქვემდებარების ფორმების მიხედვით.

აღნიშნული შეფარდებები ხსნიან არა მარტო რესპუბლიკის მწარმოებლური ძალების განვითარების მიღწეულ დონეს, არამედ ამასთან ერთად რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის საკავშირო სპეციალიზაციის არსსაც, გვიჩვენებენ რესპუბლიკის მრეწველობის როლს და ადგილს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი სახეების პროდუქციისა და უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა წარმოების ადგილს საერთო-საკავშირო მრეწველურ წარმოებაში.

საკავშირო-რესპუბლიკური სახალხომეურნეობრივი პროპორციები ყალიბდება საკავშირო სპეციალიზაციის და რესპუბლიკური და-

[23] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975, г..., გვ. 133—134.

ნიშნულების პროდუქციის მწარმოებელ დარგებს შორის. მაგ., საქართველოში საკავშირო სპეციალიზაციის პროდუქციას წარმოადგენს მაგისტრალური ელექტრომავლები, სატვირთო სპეციალიზებული მანქანები, ზოგიერთი სახის მანქანა-დანადგარები და ჩარხები, კონსერვების, ყურძნის სამარკო ღვინოების, ჩაის, ხოლო სოფლის მეურნეობაში — ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ხილის, თამბაქოს, ადრეული კარტოფილის წარმოება.

საკავშირო სპეციალიზაცია ორგანულადაა დაკავშირებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებასთან. ამაზე მეტყველებს როგორც საკავშირო-რესპუბლიკური მრეწველობის, ისე რესპუბლიკური მრეწველობის სტრუქტურა დაქვემდებარების ფორმების მიხედვით.

1977 წ. მონაცემების მიხედვით საქართველოს მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობიდან საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებზე მოდიოდა 90,3 %, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებზე — 9,7%.

საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების დაქვემდებარების მრეწველობის სტრუქტურა სამინისტროებისა და უწყებათა მიხედვით (1977 წ. სულ მრეწველობა — 100%)[24]

სამინისტროები:	
ხე-ტყის მრეწველობის	2,4
საშენ მასალათა მრეწველობის	2,7
მსუბუქი მრეწველობის	27,9
კვების მრეწველობის	50,4
ხორცისა და რძის მრეწველობის	6,7
დამზადების	5,6
მშენებლობის	2,8
სხვა სამინისტროები და უწყებები	1,5

როგორც ჩანდა, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებების მრეწველობის პროდუქციაში, რომელიც ძირითადად რესპუბლიკის მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს, გადამწყვეტი ადგილი უკავია კვების და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას (მათი საერთო მოცულობა შეადგენდა 78,3%), დანარჩენი კი (21,7%) მოდის ცხრა სამინისტროსა და უწყებაზე.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების მრეწველობაში გადამწყვეტი ადგილი უკავია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, რომლის ხვედრი წონა აღნიშნულ სამინისტროთა და უწყებათა მრეწველობის საერთო სტრუქტურაში შეად-

---

[24] გაანგარიშებულია საქართველოს ცსს მონაცემების მიხედვით.

გენდა 53,4%, ხოლო დანარჩენ 21 სამინისტროსა და უწყებას — 46.6%.

ამრიგად, აღნიშნული პროპორციები, საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში ასახავენ როგორც რესპუბლიკის მრეწველობის სპეციფიკურობას და მის ადგილს სოციალისტური შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, ისე მის კომპლექსურობას. ეს გამოიხატება წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების დარგების განვითარებით, რომელთა შორის უფრო მაღალი ჩვენდრი წონა ტრადიციული დარგების, კვების და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას უკავია.

მრეწველური პროდუქციის წარმოების პროპორციების დინამიკა მის საერთო მოცულობაში საწარმოთა დაქვემდებარების ფორმების მიხედვით (მთელი მრეწველობა — 100 %)[25]

	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1977 წ.
საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა	47	3	23	29	30	29
საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	53	97	77	71	70	71

რესპუბლიკის ეკონომიკის ძირითად სექტორში საწარმოთა დაქვემდებარების ამგვარი შეფარდებები, აგრეთვე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი სახეების პროდუქციის წარმოება სახალხო მეურნეობისათვის საერთოდ, და კერძოდ რესპუბლიკისათვის, ამასთანავე მატერიალური წარმოების სფეროს დარგებში წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლება, მნიშვნელოვან წილად სრულყოფენ როგორც წარმოებრივ, ისე საზოგადოებრივ და ეროვნულ ურთიერთობებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არასდროს არ ყოფილა ისეთი მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა საქართველოს მუშათა კლასსა, გლეხობასა და ინტელიგენციას შორის როგორიცაა დღეს, რაც დამახასიათებელია განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის.

ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შიდარესპუბლიკური რეგიონების და კერძოდ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრების ობიექტური ეკონომიკური პროცესი, რომელიც ასე აქტიურად მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თა-

[25] Народное хозяйство Грузинской ССР в 1975 году, с 51; საქართველოს ცსს გამოთვლითი ცენტრის მონაცემები (1977 წ. ნოემბრისათვის).

ნამედროვე ეტაპზე. ეს პროცესი ობიექტურად ასახავს სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების რეგიონალურ კანონზომიერებებს, საერთო-საკავშირო და რეგიონალურ სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა წარმოადგენს ისეთ ეკონომიკას, რომელიც მაღალ ინდუსტრიულ განვითარებას ეყრდნობა.

სოციალისტური მწარმოებლური ძალების ამგვარი განვითარების ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სსრ. რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ამაღლდა წარმოების კონცენტრაციის, შიდადარგობრივი დარგთაშორისი ცენტრალიზაციის დონე. ამჟამად საქართველოში, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, უფრო მთლიანად და რაციონალურად გამოიყენება ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები. წინგამსწრე ტემპებით ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: ელექტროტექნიკური, ჩარხმშენებელი, ინსტრუმენტული და ქიმიური, აგრეთვე ელექტროენერგეტიკა. აღმოცენდა მრეწველობის ახალი, პერსპექტიული დარგი — ნავთობის მოპოვება; მიმდინარეობს მრეწველური და სოფლისმეურნეობრივი წარმოების ტერიტორიული გაადგილების სრულყოფის ინტენსიური პროცესი მთიან და მთისწინა რაიონებში მოქმედი მსხვილი მრეწველური საწარმოების ფილიალების შექმნის და სოფლის მეურნეობრივი კულტურების უფრო რაციონალური შეთანაწყობის გზით; იზრდება კაპიტალური დაბანდებები, რომელნიც უზრუნველყოფენ სოციალისტურ გაფართოებულ კვლავწარმოებას.

მატერიალური წარმოების სფეროს, ისე როგორც არაწარმოებრივის მნიშვნელოვანმა განვითარებამ განაპირობა მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო განვითარება. უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების დამუშავება, მათი შედეგების წარმოებაში დანერგვა ამაღლებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობასა დახარისხს, შრომის მწარმოებლურობას, აჩქარებს ტექნიკურ პროგრესს ეკონომიკის ყველა სფეროში.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე

განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მათი განვითარების დონე წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე განპირობებულია იმ ძირითადი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებით, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობაში მოხდა მისი განვითარების ექვსი ათეული წლის მანძილზე.

საქართველოსათვის, ისე როგორც საერთოდ სსრ კავშირისათვის, დამახასიათებელია ეკონომიკის განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების შეცნობითა და გამოყენებით საზოგადოებრივი წარმოების წარმართვა, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება.

ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი წარმატებები, რომელსაც მიაღწია საქართველოს ეკონომიკამ. საქართველო, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკა, განვითარებულ სოციალისტურ რესპუბლიკას წარმოადგენს. მაღალი ეკონომიკური და სამეცნიერო პოტენციალით მისი ეკონომიკა, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკა, 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში რეალური სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის პირობებში ვითარდება.

გამომდინარე აქედან, მას, როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ახასიათებს თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მისი ეკონომიკის დონეს სსრ კავშირის ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ მონაცემები, რომელიც ახასიათებენ საქართველოს სახალხო მეურნეობას უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, განსაზღვრავენ მის ადგილს შრომის საკავშირო დანაწილებაში, ეკონომიკის განვითარების დონეს შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებით.

საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებელთა ხვედრი წონის დინამიკა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1965—1980 წწ. (სსრ კავშირი-100%)[1]

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
ტერიტორია	0,3	0,3	0,3	0,3
მოსახლეობა	2,0	1,9	1,9	1,9
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	1,22	1,3	1,21	1,4
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	1,7	1,5	1,54	1,7
მრეწველობის ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოება				
ელექტროენერგიის	1,2	1,2	1,1	1,1
ქვაანახშირის	0,5	0,4	0,3	—
თუჯის	1,2	0,9	0,8	—
ფოლადის	1,5	1,2	1,0	—
ნავლინის	1,6	1,4	1,25	—
მინერალური სასუქების	1,4	0,8	0,8	—
ქიმიური ბოჭკოს	0,2	1,4	1,56	—
ლითონსაჭრელი ჩარხების	2,5	1,7	1,7	1,7
მაგისტრალური ელმავლების	29,0	5,0	29,1	31,0
სატვირთო ავტომობილების	1,6	1,5	2,6	—
ცემენტის	1,9	1,5	1,4	1,3
ქაღალდის	1,0	0,8	0,6	—
სამშენებლო აგურის	0,9	0,9		
ბამბის ქსოვილების	0,8	0,8	0,8	—
აბრეშუმის ქსოვილების	2,2	3,1	2,8	2,7
შალის ქსოვილების	0,9	1,3	1,0	—
წინდების ნაწარმის	0,9	1,2		
ტყავის ფეხსაცმლის	2,8	2,2	1,9	—
ყარაქის	0,1	0,1	0,1	—
ზეთის	0,2	0,3	0,5	—
კონსერვების	2,0	2,2	2,3	3,1
ყურძნის ღვინის	3,2	2,1	—	7,1
სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოება (მთლიანი მოსავალი)				
მარცვლოვანი კულტურები	0,5	0,3	0,5	—
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	0,1	0,1	0,2	—
მზესუმზირა	0,3	0,2	0,2	—
კარტოფილი	0,2	0,3	0,3*	—
ბოსტნეული	1,5	1,3	1,9*	—
ხილი	4,3	—	—	
ყურძენი	10,3	14,4	10,4	—
ციტრუსები	99,1	99,0	99,1	—
ჩაის ფოთოლი ხარისხიანი (დამზადება)	94,5	94,8	95,0	95,0
ხორცი ყველა სახის	0,9	0,9	0,9	—
რძე	0,7	0,6	0,6	—
კვერცხი	1,0	1,0	0,9	—
მატყლი	1,3	1,1	1,17	—

---

* 1976 წ.

[1] გაანგარიშებულია: Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции, Тб., 1967, გვ. 27, 41—44, 259; Народное хо-

საერთოდ საქართველოს მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში 1965—1980 წწ-ში მერყეობდა 1,2—1,4% ფარგლებში. მრეწველობის ცალკეული სახეების (25 სახეობა) პროდუქციის წარმოება (1965—1975 წწ.) კი მერყეობდა 0,1%, კარაქის წარმოება 29,0%-მდე. ამასთან ზოგიერთი პროდუქციის ხვედრი წონა, რომლებიც მიეკუთვნებიან წარმოების საშუალებებს (13 სახეობის), მერყეობდა 0,2%-იდან (ქიმიური ბოჭკოები) 29-მდე (ელმავლები) 1965 წ., 0,4%-იდან (სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ქვანახშირი) 5%-მდე (ელმავლები) 1970 წ. (1970 წ. პროდუქციის 14 სახის მიხედვით) და 0,3%-იდან (ქვანახშირი) 29,0%-მდე (ელმავლები) 1975 წ.

1965 წ. წარმოების საშუალებათა 13 სახეობის პროდუქციიდან უფრო მაღალი ხვედრი წონა ჰქონდა ვიდრე მოსახლეობის ხვედრი წონას (2%) ორი სახის პროდუქციას — ლითონმჭრელ ჩარხებს (2,5%) და მაგისტრალურ ელმავლებს (29,0%), ხოლო დანარჩენების ხვედრი წონა არ აღემატებოდა 1,9% (ცემენტი), 1970 წ. 14 სახეობის პროდუქციიდან მოსახლეობაზე (1,9) უფრო მაღალი ხვედრი წონა ჰქონდა პროდუქციის მხოლოდ ერთ სახეს — ელმავლებს (5,0%), ხოლო დანარჩენი 13 სახეობის პროდუქციის იყო 1,79 (ლითონმჭრელი ჩარხები), უფრო დაბალი, 1975 წ. აგრეთვე 14 სახეობის პროდუქციიდან მოსახლეობის ხვედრ წონაზე უფრო მაღალი ხვედრი წონა ჰქონდა მხოლოდ ელმავლების წარმოებას, დანარჩენ 13 სახეობას კი (1,8% ლითონმჭრელი ჩარხები) უფრო დაბალი. მოხმარების საგნების წარმოების 11 სახის პროდუქციიდან 1965 წ. უფრო მაღალი ხვედრი წონა ჰქონდა ვიდრე მოსახლეობას, 4 სახის პროდუქციას აბრეშუმის ქსოვილებს (2,2%), ტყავის ფეხსაცმელს (2,8%), კონსერვებს (2,0% ე. ი. მოსახლეობის ხვედრი წილის დონეზე), ყურძნის ღვინოს (3,2%), ხოლო პროდუქციის დანარჩენი 7 სახე არ აღემატებოდა 0,9% (შალის ქსოვილები), 1970 წ. პროდუქციის 11 სახიდან 4 მოსახლეობის ხვედრ წილზე უფრო მაღალი დონე ჰქონდა — აბრეშუმის ქსოვილებს (3,1%), ტყავის ფეხსაცმელს (2,2%), კონსერვებს (2,2%), ყურძნის ღვინოს (2,1%), 1975 წ. კი უფრო მაღალი

зяйство СССР в 1965 г., გვ. 63, 589; Советская Грузия по ленинскому пути, стат. сб., 1970, გვ. 26, 35, 38, 131; 50 лет Советской Грузии, стат. сб., 1971, გვ. 58, 74—78, 241; Народное хозяйство СССР в 1970 г., გვ. 60, 70—534; Народное хозяйство Грузинской ССР к 50-летию СССР, стат. ежегод., Тб., 1972, გვ. 42, 229; Народное хозяйство СССР в 1971 г. გვ. 318, 325; Народное хозяйство СССР в 1977 г., 146, 206, 235. 236, 259; Народное хозяйство СССР в 1979 г., с. 259; Грузия в цифрах, 1981, გვ. 29.

ხვედრი წონა ქონდა აბრეშუმის ქსოვილებს (2,8 %), ტყავის ფეხსაცმელს (2,0 %), კონსერვებს (2,1 %) და ყურძნის ღვინოს (2,3 %).

მრეწველობის პროდუქციის წარმოების ხვედრი წონა რესპუბლიკის მოსახლეობის ხვედრ წონასთან შედარებით შესაბამის საკავშირო მონაცემებში (საკავშირო მონაცემები — 100%)

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
მოსახლეობა	2,0	1,9	1,9	1,9
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	1,22	1,3	1,21	1,4
პროდუქციის სახეები, რომელთა ხვედრი წილი მოსახლეობის ხვედრ წილზე მაღალია:				
ი. წარმოების საშუალებები				
მაგისტრალური ელმავლები	29,0	5,0	29,1	31,0
სატვირთო ავტომობილები	1,6	1,5	2,6	—
ლითონმჭრელი ჩარხები	2,5	1,7	1,7	1,7
ბ. მოხმარების საგნები				
აბრეშუმის ქსოვილები	2,2	3,1	2,8	2,7
ტყავის ფეხსაცმელი	2,8	2,2	1,9	—
კონსერვები	2,0	2,2	2,3	3,1
ყურძნის ღვინო	3,2	2,1	2,4	7,0

ამრიგად, მრეწველობის 25 სახეობის პროდუქციიდან 7 სახეობის პროდუქციის ხვედრი წონა აღემატებოდა მოსახლეობის ხვედრ წონას, ხოლო 18-ის უფრო დაბალი იყო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1965—1975 წწ-ში ნათლად გამოვლინდა ქიმიური ბოჭკოს წარმოების ზრდის ტენდენცია (0,2 %-იდან 1965 წ., 1,4 %-მდე 1970 წ., 1,6-მდე 1974 წ). გარკვეული სახით ეს ეხებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებას (0,4 % — 1970 წ. და 0,6% — 1974 წ), ხოლო შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა ქვანახშირის, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მინერალური სასუქების, ლითონმჭრელი ჩარხების, ქაღალდის, ცემენტის წარმოება. ამ მხრივ სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ელექტროენერგიის, სამშენებლო ჯურის წარმოება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტროენერგიის წარმოების მდგომარეობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად მისი საერთოდ შედარებით მცირე ხვედრიწონისა და ამ ხნის განმავლობაში მისი ხვედრი წონის გარკვეული სტაბილურობისა, მას შემცირების ტენდენციაც ახასიათებს. მოხმარების საგნების წარმოებაში დამახასიათებელი იყო ხვედრი წონის ამაღლების ტენდენცია შალის და აბრეშუმის ქსოვილების, წინდების ნაწარმის, ზეთის წარმოების, ხოლო შემცირებისა —

ყურძნის ღვინის, ტყავის ფეხსაცმლის წარმოების. უფრო სტაბილური მაჩვენებლები ჰქონდა კარაქის, შალის, ბამბის ქსოვილების წარმოებას. საერთოდ კი, წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრმა წონამ უფრო მეტად განსაზღვრა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხვედრი წონის ტენდენციები შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში.

ამგვარად, საქართველოს მრეწველობაში არის დარგები როგორც წარმოების საშუალებათა წარმოების, ისე მოხმარების საგნების წარმოებაში, რომელთაც საკმაოდ მაღალი ხვედრი წონა უკავიათ შრომის საკავშირო დანაწილებაში და რომლებიც მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვნად გაძოხატავენ რესპუბლიკის მრეწველურ კულტურას და მის ადგილს სსრ კავშირის მრეწველობაში.

საქართველოს მრეწველობის წარმოებრივ კულტურის ამაღლებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საწარმოო აპარატის შემდგომ სრულყოფას. ამისათვის კი საჭიროა როგორც მისი ხვედრი წონის ამაღლება შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში, ისე მისი თვისებრივი (ხარისხობრივი) მაჩვენებლების გაუმჯობესება.

საქართველოს მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონა შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებლებში (%-ით)[2].

1975 წ.	1976 წ.	1977 წ.	1979 წ.
1,10	1,08	1,06	1,21

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში ჯერ კიდევ დაბალია. ამის მიზეზს წარმოადგენს მათი განახლებისა და საერთოდ სრულყოფის შედარებით დაბალი ტემპები. შედარებით დაბალია ძირითადი ფონდების უკუგებაც. ამას მოწმობენ მონაცემები მრეწველობაში წარმოებული პროდუქციისა და ძირითადი წარმოებრივი ფონდების დარგობრივი სტრუქტურის შეფარდებები.

მრეწველობაში წარმოებული მთლიანი პროდუქციისა და მრეწველობის ძირითად წარმოებრივი ფონდების სტრუქტურათა შეფარდება (მთელი მრეწველობა-100%, 1976 წ.)[3]

	პროდუქცია		ძირითადი ფონდები	
	საქართველოს	სსრ	საქართველოს	სსრ
ელექტროენერგეტიკა	2,8	3,1	20,6	16,5
სათბობის მრეწველობა	3,2	6,0	4,7	12,8
შავი მეტალურგია	5,2	—	10,8	—

[2] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1977 г., с. 40; Промышленность Грузинской ССР, стат. сб., Тб., 1978, გვ. 74; Народное хозяйство СССР в 1979 г., გვ. 54; Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 27.

[3] Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летие Великого Октября, გვ 48; Народное хозяйство СССР в 1977 г., გვ. 125—135.

	პროდუქცია		ძირითადი ფონდები	
	საქართველოს სსრ	სსრკ	საქართველოს სსრ	სსრკ
ქიმიური და ნავთობქიმიური	4,5	6,8	8,2	9,4
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	12,9	25,1	12,9	22,0
ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის	3,2	4,6	3,3	4,7
საშენ მასალათა მრეწველობა	4,9	4,0	8,1	5,7
მსუბუქი	20,5	16,6	7,3	4,4
კვების	39,1	19,2	15,8	7,9

მონაცემებიდან ჩანს, რომ მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, სათბობი მრეწველობა, ქიმიური და ნავთობქიმიური, საშენ მასალათა მრეწველობა, მათ პროდუქციის ხვედრ წონასთან შედარებით როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირში საგრძნობლად ჭარბობს ძირითადი ფონდების ხვედრი წონა. რასაკვირველია, ამაზე გავლენას ახდენს დარგის სპეციფიკურობა. ჩამოთვლილი დარგებიდან მეტი წილი (ელექტროენერგეტიკა, სათბობის მრეწველობა, ქიმიური და ნავთობქიმიური) ფონდტევადი დარგებია და ეს განაპირობებს მათ მაღალ ხვედრ წონას მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ფონდუკუგების ამაღლება, ე. ი. არსებული ძირითადი ფონდების ეფექტიანი გამოყენება უფრო რაციონალურს გახდის წარმოებული პროდუქციის და მისთვის საჭირო ძირითადი ფონდების ხვედრ წონას მათ დარგობრივ სტრუქტურაში. ეს ჩანს კიდევ სსრ კავშირსა და საქართველოს შორის ზოგიერთი დარგის შეფარდებებში (ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, საშენ მასალათა მრეწველობა). ძირითადი ფონდების ეფექტიანობა განპირობებულია მათი საშუალებით წარმოებულ პროდუქციის სიდიდით[4].

ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მრეწველურ და სხვა სახის პროდუქციის წარმოების ტემპების ზრდას.

---

[4] ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრი წონების შეფარდება ყველა ძირითად ფონდში სსრ კავშირსა და აშშ შორის (%—ყველა ძირითადი ფონდის მიმართ ეროვნულ ვალუტებში)

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სსრკ	60	62	64
აშშ	50	52	50

მრეწველური პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპების დინამიკა (%-ით)[5]

	1961—1965 წწ.	1966—1970 წწ.	1971—1975 წწ.	1961—1975 წწ.
სსრკ	8,6	8,5	7,4	8,2
საქართველოს სსრ	7,1	8,9	6,7	7,6
აზერბაიჯანის სსრ	7,2	6,6	8,4	7,4
ნომხეთის სსრ	9,4	11,5	7,7	9,5

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1961—1975 წწ-ში საქართველოში მრეწველურ პროდუქციის წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპები როგორც მთლიანად 15 წლის განმავლობაში, ისე ხუთწლედების მიხედვით ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებს, მაგრამ შემდგომ, 1976—1978 წწ-ის მრეწველური პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებმა შეადგინა წინა წელთან შედარებით %-ით:

	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
საქართველოს სსრ	6,0	6,0	7,4
ს ს რ კ	4,8	5,7	4,8

როგორც ვხედავთ, 70-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს მრეწველობის განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად უსწრებდნენ შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს. ეს კი საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვანი საწინდარია.

საქართველოში წარმოებრივი ძირითადი ფონდების ხვედრი წონა ყველა ძირითად ფონდში შეადგენდა (%-ით)[6]:

1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.
58,4	60,2	62,4	62,9

სოფლის მეურნეობის ხაზით მიწათმოქმედების 9 ძირითად კულტურიდან ოთხი სახეობის (ხილი, ყურძენი, ციტრუსები, ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი) წარმოების ხვედრი წონა საკავშირო წარმოებაში მნიშვნელოვნად ჭარბობს მოსახლეობის ხვედრ წონას. ამასთანავე ყურძნის (ღვინის ჯიშები), ციტრუსებისა და ჩაის ფოთლის წარმოებაში რესპუბლიკას წამყვანი ადგილი უკავია სსრ კავშირში (11-იდან 95—99%-მდე). შედარებით დაბალია მეცხოველეობის ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოება: ხორცის (0,9%), რძის (0,6%), კვერცხის (0,9—1, 0%), მატყლის (1; 1—1,3%).

მიწათმოქმედებაში 1965—1975 წწ-ში შესამჩნევი იყო საშუალო-საკავშირო მონაცემებთან შედარებით მარცვლეული კულტურების წარმოების ხვედრი წონის შემცირება (0,5%-იდან 1965 წ.

[5] Социалистические страны и страны капитализма в 1975 году, გვ. 274.

[6] გაანგარიშებულია ცსს მონაცემების მიხედვით.

.0, 3%-მდე 1970 წ. და 0, 4% 1975 წ.), ხოლო სხვა კულტურათა წარმოებაში მდგომარეობა ან რამდენადმე უფრო სტაბილურობით ანდა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მაგ., უფრო სტაბილური იყო შაქრის ჭარხლის (0, 1%-იდან 0, 2%-მდე) წარმოება. ზრდის ტენდენციები ახასიათებდა კარტოფილის (0, 2, 0, 3 და 0, 4%), ბოსტნეულის (1, 5, 1, 3 და 1, 8%), ხილის (4, 3—6, 3%) და ყურძნის (10, 3 — 11, 5%) წარმოებას. მეცხოველეობაში შემცირდა მატყლის (1, 3— 1, 1%) ხვედრი წონა, ხოლო ამ დარგის პროდუქციის დანარჩენი სახეების წარმოება სტაბილური იყო.

საინტერესოა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განმაზოგადებელ მაჩვენებელთა ხვედრი წონის შეფარდება შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებთან (სსრკ-100%)[7].

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
რესპუბლიკის ტერიტორია	0,3	0,3	0,3	0,3
სათესი ფართობი (მთლიანი)	0,4	0,4	0,3	—
მათ შორის:				
მარცვლოვანი კულტურების	0,4	0,3	0,3	—
ტექნიკური კულტურების	0,3	0,3	0,3	—
აქედან:				
თამბაქოს	10,1	9,4	9,4	—
კარტოფილის და ბოსტნეულის და საბაღჩე კულტურების	0,5	0,6	0,6	—
საკვები კულტურების	0,3	0,4	0,4	—
მრავალწლიანი კულტურების ფართობები	—	7,2	7,2	—
აქედან:				
ხილ..ს	3,6	3,7	4,2	5,0
ვენახის (ყველა ასაკის)	9,9	10,8	10,5	11,1
ციტრუსების	99,0	98,9	98,9	—
ჩაის	88,1	87,0	86,5	85,6
პირუტყვის რაოდენობა				
მსხვილფეხა	1,6	1,5	1,4	—
მათ შორის:				
ძროხების	1,5	1,5	1,4	—
ღორების	1,0	1,0	1,0	—
ცხვრის და თხების	1,6	1,4	1,3	—
კოლმეურნეობების რაოდენობა	3,9	3,8	3,0	—
საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა	1,4	1,5	1,7	—
ტრაქტორების რაოდენობა (გადაყვანილი 15 ძალიანზე)	0,7	0,8	0,9	—
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	1,7	1,5	1,54	1,7

[7] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 309, 352, 355, 372, 380, 393—394; Грузия в цифрах, 1981, გვ. 29—30.

ეს მონაცემები საინტერესო სურათს იძლევიან საქართველოს სოფლის მეურნეობის ადგილზე, მის ხვედრ წონაზე შრომის საკავშირო დანაწილებაში.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ტერიტორიასთან შედარებით მაღალი ხვედრი წონა უკავია სათეს ფართობებს, განსაკუთრებით მრავალწლიან (ტექნიკურ) კულტურებს, რაც ერთი მხრივ მაჩვენებელია იმისა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ხასიათდება ინტენსიური კულტურების განვითარებით, აქედან თვით სოფლისმეურნეობრივ წარმოებასაც ინტენსიური ხასიათი აქვს; მეორე მხრივ, საქართველოს სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი უკავია მრავალწლიანი კულტურების განვითარების მხრივ საბჭოთა კავშირში.

აღსანიშნავია ზოგიერთი სოფლისმეურნეობრივი კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შედარებით დაბალი დონე, მაღალია კოლმეურნეობების რაოდენობის დონე საშუალო-საკავშირო მონაცემებში, შედარებით დაბალია სოფლის მეურნეობის წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა.

60-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 70-იან წლებში სოფლად მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა სახის სამეურნეობათაშორისო საწარმოები. მათი მუშაობის ეფექტიანობას არსებითი მნიშვნელობა აქვს სოფლისმეუნეობრივი წარმოების განვითარებისათვის. აქაც, როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რეზერვებია.

საქართველოს ხვედრი წონა სსრ კავშირის სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა ძირითად მაჩვენებლებში (1975 წ., სსრკ — 100%)[8]

	სამეურნეობათაშორისო საწარმოების ძირითად მაჩვენებლებში	საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ძირითად მაჩვენებლებში
საწესდებო ფონდი	2,6	0,47
ძირითადი ფონდები	2,4	0,43
მათ შორის:		
საწარმოო ძირითადი ფონდები	3,1	0,53
მუშაკთა საშუალო-წლიური რაოდენობა	3,8	0,97
აქედან:		
დაკავებულია სოფლის მეურნეობაში	6,3	1,34
წლიური მოგება	1,0	0,39
საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ საიჯარო სამუშაოთა მოცულობა საკუთარი ძალებით		0,78

[8] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., гз. 429—430.

მიუხედავად სამეურნეობათაშორისო საწარმოების მაღალი ხვედრი წონისა, ეფექტიანობა, როგორც ეს წლიური მოგების ხვედრი წონიდან ჩანს, დაბალია[9].

1965—1975 წლებში გარკვეული ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარებაში, რამაც განაპირობა მისი ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში. მაგ., ტრანსპორტის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში შეადგენდა (სსრ კავშირი — 100 %)[10].

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
რკინიგზების საექსპლუატაციო სიგრძე	1,1	1,0	1,02
საავტომობილო გზების სიგრძე (მ.გარი საფარით)	3,9	3.2	2,7
რკინიგზის ტვირთბრუნვა	0,5	0,4	0,4
საერთო მოხმარების საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	1,7	2,0	1,2

---

[9] 1975 წ. საქართველოს ხვედრი წონა სსრ კავშირის სამეურნეობათაშორისო საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საერთო რაოდენობაში მათი სახეების მიხედვით შეადგენდა (%-ით):

სამეურნეობათაშორისო საწარმოების, ორგანიზაციების და გაერთიანებების საერთო რაოდენობაში	2,7
მათში საპაიო მეურნეობების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა დ ორგანიზაციების) მიხედვით	2,8
მათ შორის:	
კოლმეურნეობების	2,8
საბჭოთა მეურნეობების	2,9
სამეურნეობათაშორისო საწარმოები, ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებიც ერთსახოვანი მოღვაწეობით ხასიათდებიან	2,2
აქედან:	
საპაიო მეურნეობები	2,3
მათ შორის:	
კოლმეურნეობები	2,4
სამეურნეობათაშორისო საწარმოები, ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომელნიც შერეულ მოღვაწეობით ხასიათდებიან	12,8
აქედან:	
საპაიო მეურნეობები	13,3
მათ შორის:	
კოლმეურნეობები	13,0
საბჭოთა მეურნეობები	16,9

(გაანგარიშებულია: Народное хозяйство в СССР 1975 г., 432—433)

[10] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 459.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მნიშვნელოვნად განვითარდა საავტომობილო გზები, გაიზარდა ამ სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა. ამავე დროს, ჯერ კიდევ შესამჩნევად ჩამორჩება როგორც ტვირთბრუნვის, ისე საექსპლოატაციო სიგრძის ხვედრი წონა რკინიგზის ტრანსპორტზე. ეს გვიჩვენებს იმას, რომ თანამედროვე პირობებში საავტომობილო ტრანსპორტის (განსაკუთრებით სატვირთო) ზრდის ტემპები და მისი ეკონომიკური მაჩვენებლები უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე რკინიგზის ტრანსპორტის.

კაპიტალური დაბანდებების მაჩვენებელთა ხვედრი წონა ხასიათდება გარკვეული სტაბილურობით. აქ არ შეიმჩნევა რაიმე განსაკუთრებული დინამიზმი. მაგ., კაპიტალურ დაბანდებათა ზოგიერთი მაჩვენებლის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში შეადგენდა (სსრ კავშირი — 100 %)[11].

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციების მიერ (კოლმეურნეობების გარეშე) ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა	1,3	1,2	1,2
სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და მოსახლეობის კაპიტალური დაბანდებები	1,4	1,3	1,15
მათ შორის:			
კოლმეურნეობების და მოსახლეობის კაპიტალური დაბანდებების გარეშე	1,3	1,3	1,14

მიუხედავად კაპიტალური დაბანდებების სისტემატური ზრდისა როგორც საერთოდ, ისე სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, მათი ხვედრი წონა შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში ჯერჯერობით დაბალია. შედარებით მაღალია შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების ხვედრი წონა. მაგ., მათი ხვედრი წონა შეადგენდა (სსრ კავშირი — 100 %)[12]:

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
მუშების და მოსამსახურეების რაოდენობა სახალხო მეურნეობაში	1,6	1,7	1,6
სახალხო მეურნეობაში დასაქმებული საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რაოდენობა	2,1	1,9	1,8

წლების განმავლობაში ერთ დონეზეა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩ-

---

[11] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 496. 514—515.

[12] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 531, 554; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию, გვ. 134.

ვენებლებში. რამდენადმე ამაზე ზემოქმედებას ახდენს სოფლის მეურნეობრივი პროდუქციის დამზადების დონე, რასაც ნათლად გვიჩვენებს საცალო საქონელბრუნვისა და სოფლის მეურნეობრივი პროდუქციის დამზადების ხვედრი წონის შეფარდებები (%-ით)[13].

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვა, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით	1,5	1,5	1,5
ოგივე მოსახლეობის ერთ სულზე	—	—	78,6
სახელმწიფო შესყიდვა:			
ა. მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტები:			
მარცვლოვანი კულტურები	0,2	0,1	0,4
შაქრის ჭარხალი	0,2	0,2	0,2
მზესუმზირა	0,3	0,2	0,3
კარტოფილი	0,6	0,6	0,7
ბოსტნეული	1,3	1,4	1,5
ბ. მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტები:			
პირუტყვი და ფრინველი	0,6	0,6	0,7
რძე	0,3	0,4	0,4
კვერცხი	0,9	0,9	0,9
მატყლი	1,4	1,2	1,1

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო საქონელბრუნვაში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრი წონა ჯერჯერობით დაბალია. მართალია, აქ მოტანილი საქონელბრუნვის ხვედრი წონა ეხება არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქციას, არამედ მრეწველობის პროდუქციასაც, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების დაბალი ხვედრი წონა განაპირობებს აღნიშნული პროდუქციის ხვედრ წონას საცალო საქონელბრუნვაში.

მოტანილი მონაცემების მიხედვით, რომლებიც მთლიანად ასახავენ საქართველოს ეკონომიკის ხვედრ წონას, შეიძლება შევადგინოთ შემაჯამებელი ცხრილი აღნიშნული მონაცემების პროპორციების საილუსტრაციოდ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში.

საქართველოს ხვედრი წონა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში (სსრ კავშირი — 100%)

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ
ტერიტორია	0.3	0,3	0,3	0,3
მოსახლეობა	2,0	1,9	1.9	1,9
მუშა-მოსამსახურეების საშუალო წლიური რაოდენობა სახალხო მეურნეობაში	1,6	1,7	1,69	1,66*
საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რაოდენობა სახალხო მეურნეობაში	2,1	1,9	1,78	—

[13] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1975 г., გვ. 325, 619; Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию..., გვ. 91—92.

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.
მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა	2,1	2,1	2,04	1,86*
მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა	1,69	1,72	1,70	—
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	1,22	1,3	1,27	1,4
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	1.7	1,5	1,54	1,7
ჯოლმეურნეთა რაოდენობა	2,27	2,26	2,24	—
საცალო საქონელბრუნვა	1,5	1,5	1,52	1,6
კაპიტალური დაბანდებები (სულ)	1.4	1,3	1,14	1,3
საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა	87,7	81,9	87,0	—
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	1,4	1,4	1,38	1,5
ეროვნული შემოსავალი	1.5	1,4	1,48	1,66*
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე	71,5	71,4	71,3	80,5*
ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე[14]	76.5	72,9	76,2	90,7

* 1979 წ.

ძირითადმა ტენდენციებმა, რომელნიც დამახასიათებელია საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონისათვის შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში, განაპირობეს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონის ტენდენციები შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლებს 70-იანი წლების დასაწყისში 60-იან წლებთან შედარებით (1965 წ.) არ ეტყობოდა მნიშვნელოვანი გადახრა ხვედრი წონის ამაღლებისაკენ (განსაკუთრებით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს) შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში.

ამგვარი ტენდენცია იმ პირობებში, როდესაც როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ხვედრ წონას არა აქვს მკვეთრი შემცირების ტენდენცია (სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრი წონა — 1965 წ. — 1, 6 %, 1970 წ. — 1, 7 %, 1974 წ. — 1, 6 %), მივყავართ ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირებაზე როგორიცაა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა, ანუ დგინდებოდა წარმოებულ ეროვნული შემოსავლის არასასურველი შეფარდებები მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ერთ სულზე

---

[14] სსრ კავშირის მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონა აშშ მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნულ შემოსავალში (დოლარებში) 1975 წ.

	ვალუტის ოფიციალური კურსის მიხედვით	ფასების თანაფარდობის მიხედვით
სსრ კავშირი	1975	2235
აშშ	3975	3975
სსრ კავშირი %-ით აშშ მიმართ	49,6	56,2

საქართველოსა და საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს შორის. ეს გავლენას ახდენდა ეკონომიკური განვითარების დონეზე, რომელიც განისაზღვრებოდა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობით. ეს ჩანდა სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებიდანაც. მაგ., თუ ავიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას ამ დარგის წარმოებაში ერთ დასაქმებულზე და შევადარებთ შესაბამის საშუალო--საკავშირო მონაცემებს, ვნახავთ, რომ ეროვნული შემოსავლის მთლიანი მოცულობის მიხედვით:

საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1970 წ. ერთ დასაქმებულ მუშაკზე მოდიოდა შესაბამისი საშუალო-საკავშირო მონაცემების 58,8%, 1975 წ. 57,0%, ხოლო 1977 წ. გაიზარდა 64,3%-მდე. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის სოფლისმეურნეობრივი წარმოებისათვის ამ წლებში დამახასიათებელი იყო ამ დარგის წარმოებაში დასაქმებულთა აბსოლუტური შემცირება (სსრკ სოფლის მეურნეობაში 1970 წ. დასაქმებული იყო 27 მლნ. კაცი, 1975 წ. — 26,6, ხოლო 1977 წ. — 26,5 მლნ კაცი), საქართველოში მათი რაოდენობა იზრდებოდა (1970 წ. დასაქმებული იყო 572,4 ათასი კაცი, 1975 წ. — 610.0 ათასი, ხოლო 1977 წ. — 620,1 ათასი კაცი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში დასაქმებულთა ხვედრი წონის შეფარდებები შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში (%-ით)[15]

	პროდუქციის ხვედრი წონა (საშუალო წლიური)	დასაქმებულთა ხვედრი წონა (საშუალო წლიური)
1966—1970 წწ.	1,25	—
1970 წ.		2,12
1971—1975 წწ.	1,30	—
1975 წ.		2,29
1976—1977 წწ. .	1,50	—
1977 წ.		2,34

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 70-იან წლებში შრომის მწარმოებლურობას სოფლად დაეტყო ზრდის ტენდენცია, რადგან წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობის ხვედრი წონა იზრდებოდა

სსრ კავშირი (მლრდ)	503	569
აშშ (მლრდ)	849	849
სსრ კავშირი %-ით აშშ მიმართ	59.2	67,0

(გაანგარიშებულია: Социалистические страны и страны капитализма в 1975 г., стат. сб., ЦСУ СССР, М., 1976, გვ. 78).

[15] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1977 г., გვ. 202, 206, 294; Труд в Грузинской ССР, стат. сб., გვ. 78—79.

უფრო სწრაფად, ვიდრე დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხვი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ შედარებით დაბალია. ამისათვის საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს სოფლისმეურნეობრივი შრომის ეფექტიანობა.

სსრ კავშირში 1970 წ. სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან მოდიოდა საშუალოდ 8,9 კაცი, საქართველოში 8,18, ანუ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლის 91,3%. 1975 წ. შესაბამისად 9.5 და 8,07 (84,9%), 1977 წ. კი 9,7 და 8,06 (83,1%). თუ სსრ კავშირისათვის აღნიშნული მაჩვენებელი იზრდებოდა, საქართველოში, მართალია, უმნიშვნელოდ, მაგრამ ეს მაჩვენებელი მცირდებოდა, ამასვე გვიჩვენებენ მონაცემები მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეებს შორის შეფარდებები.

მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შეფარდებები (სულ — 100%)[16]

	სსრ კავშირი		საქართველოს სსრ	
	მუშა-მოსამსახურეები	კოლმეურნეები	მუშა-მოსამსახურეები	კოლმეურნეები
1965 წ.	75,2	24,8	66,7	33,3
1970 წ.	79,4	20,6	73,0	27,0
1975 წ.	82,6	17,4	77,1	22,9
1977 წ.	83,9	16,1	79,3	20,7

ეს მონაცემები მოწმობენ იმას, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საერთოდ, და კერძოდ დასაქმებულ კოლმეურნეთა ხვედრი წონა როგორც სსრ კავშირში, ისე საქართველოში მაღალია, განსაკუთრებით საქართველოში. ეს, რასაკვირველია, გარკვეული ზომით გამოწვეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკურობით, კერძოდ ტექნიკური, მრავალწლიანი და შრომატევადი კულტურების მაღალი ხვედრი წონით.

ამასთანავე, 70-იანი წლების დასაწყისში იგრძნობოდა შრომის მწარმოებლურობის შედარებით დაბალი დონეც.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1965—1975 წწ. საქართველო ეკონომიკური განვითარების დონით ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა შესაბამის საშუალო-საკავშირო დონეს. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა მეათე ხუთწლედში (1976—1980 წწ.), რაც დამახასიათებელი იქნება მომდევნო ხუთწლედებისათვისაც. ამის საწინდარს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის, კერძოდ მრეწველობის განვითარების უფრო სწრაფი ტემპები.

---

[16] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1977 г., გვ. 294, 376—377; Труд в Грузинской ССР, გვ. 11, 13.

მეათე ხუთწლედში უზრუნველყოფილი იყო მრეწველური წარმოების მოცულობის ზრდის საშუალო წლიური ზრდის ტემპები 7,2%, რაც განპირობებული იყო იმით, რომ 1973—1975 წწ-ში მან 9,6% შეადგინა.

საქართველოს და სსრ კავშირის ეკონომიკური, კერძოდ სამრეწველო განვითარების ტემპები უკანასკნელი 20 წლის მანძილზე (1961—1980 წწ.) მნიშვნელოვანი იყო, ხოლო სსრ კავშირის და საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპების შეფარდება შემდეგნაირად გამოიხატებოდა (%-ით):

	სსრ კავშირი	საქართველოს სსრ
1961—1965 წ.	51,0	41.0
1966—1970 წ.	50.0	53.0
1971—1975 წ.	43,0	40,0
1976—1980 წ.	26,0	41,0

აბსოლუტურ სიდიდეებში მათი მოცულობა შეადგენდა (მლრდ მანეთი):

	სსრ კავშირი	საქართველოს სსრ
1960 წ.	157,4	1.65
1965 წ.	229,4	2,8
1970 წ.	374,3	4,7
1975 წ.	511,2	6,46
1980 წ.	727,9	9,1

როგორც ვხედავთ, 1961—1965 წწ-ში საქართველოს მრეწველობის განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად (10 პუნქტი) ჩამორჩებოდა სსრ კავშირის მრეწველობის ზრდის ტემპებს. ჩამორჩენას ნაკლები მასშტაბით (3 პუნქტით) ადგილი ჰქონდა 1971—1975 წწ-ში.

რასაკვირველია, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ამ პერიოდმა გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხვედრი წონის შემცირებაზე შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში. ეს ჩამორჩენა იმ პერიოდისათვის მეტი იქნებოდა, რომ 1973—1975 წწ-ში მიღებული არ ყოფილიყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გადამჭრელი ზომები საქართველოს ეკონომიკის, მისი მრეწველობის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

1976—1980 წწ-ში საქართველოს მრეწველობაში ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ (15 პუნქტით) სსრ კავშირის მრეწველობის ზრდის ტემპებს. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა რესპუბ-

ლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ხვედრი წონა შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელში. მან შეადგინა (%-ით)[17]:

1960 წ.	1,05
1965 წ.	1,22
1970 წ.	1,25
1975 წ.	1,26
1980 წ.	1,42

რესპუბლიკის მრეწველობის ამგვარმა ზრდამ გავლენა მოახდინა ეროვნული შემოსავლის ზრდაზე, მის ხვედრ წონაზე შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებში როგორც მთლიანად, ისე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები (%-ით)

	სსრ კავშირი	საქართველოს სსრ
1961—1965 წწ.	37	37
1966—1970 წწ.	45	44
1971—1975 წწ.	32	31
1976—1980 წწ.	26	33

ეროვნული შემოსავლის ზრდის ასეთი ტემპების შედეგად მისმა აბსოლუტურმა სიდიდემ და საქართველოს ხვედრითმა წონამ მასში შეადგინა (მლრდ მანეთობით):

	სსრ კავშირი	საქართველოს სსრ	საქართველოს სსრ % სსრ კავშირთან
1960 წ.	145.0	2.13	1,46
1965 წ.	193,5	2,88	1,48
1970 წ.	289,9	4,1	1,41
1975 წ.	362,8	5,37	1,48
1980 წ.	456,3	7,11	1,60

როგორც ვხედავთ, 1960—1980 წწ-ში საქართველოს ეროვნული შემოსავლის ხვედრითმა წონამ შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელში ზრდის ტენდენცია გვიჩვენა (1965 წ და 1975 წ.). ეს ნათლად გამოჩნდა მეათე ხუთწლედის დამლევს (1980 წ.), ხოლო მისი ზრდის ტემპები 1981—1985 წწ-ში კიდევ ამაღლდება. საწინდარს საერთოდ ეკონომიკური აღმავლობა და კერძოდ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდა წარმოადგენს. ამის კონკრე-

[17] ყველა მოტანილი მონაცემი გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1974 г., გვ. 169; Народное хозяйство СССР в 1975г., გვ. 191; Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году, გვ. 59; Народное хозяйство Грузинской ССР к 50-летию СССР, გვ. 54; Грузинская ССР в цифрах в 1975 году, გვ. 51; Народное хозяйство СССР 1979 г., გვ. 135; Народное хозяйство Грузинской ССР в 1978 г., გვ. 36; Грузия в цифрах, 1981 г., გვ. 9.

ტული გამოხატულებაა მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა ხვედრი წონის თანდათანობით შემცირება.

მატერიალური წარმოების სფეროში და არაწარმოებრივ დარგებში დასაქმებულთა შეფარდებები (სულ — 100%)[18]

	სსრ კავშირი		საქართველოს სსრ	
	მატერიალური წარმოების სფერო	არაწარმოებრივი დარგები	მატერიალური წარმოების სფერო	არაწარმოებრივი დარგები
1965 წ.	79,8	20,2	65,8	34,2
1970 წ.	77,1	22,9	75,9	24,1
1975 წ.	75,4	24,6	72,6	27,3
1977 წ.	74,9	25,1	71,9	28,1

როგორც ჩანს, საქართველოსა და სსრ კავშირში მატერიალურ სფეროში დასაქმებულთა ხვედრი წონა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობასთან შედარებით მცირდება, ხოლო არაწარმოებრივ დარგებში მაღლდება. ეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერებაა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი საქართველოში 70-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო აქტიურად მიმდინარეობს, ვიდრე საერთოდ კავშირში[19], რაც რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის, მისი მწარმოებლური ძალების ეფექტიანი გამოყენების შედეგია.

რაც შეეხება რესპუბლიკის ეკონომიკურ დონეს, რომელიც გამოიხატება ეროვნული შემოსავლის მოცულობაში, მოსახლეობის ერთ სულზე და მის ხვედრ წონაზე, შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

---

[18] გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1970 г. გვ. 533—534; Народное хозяйство СССР в 1975 году, გვ. 563; Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году, გვ. 25; 189; Грузинская ССР в цифрах в 1975 году, გვ. 25, 207; Народное хозяйство СССР в 1977, გვ. 376; Труд в Грузинской ССР, გვ. 11

[19] 1970 წ. საქართველოში შრომის მწარმოებლურობის დონე შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში შეადგენდა მრეწველობაში 77% (მოკავშირე რესპუბლიკათა შორის XII ადგილზე), კოლმეურნეობებში —61% (XIV ადგილზე), საბჭოთა მეურნეობებში 56% (XIII ადგილზე), იხ. «Вестник Ленинградского университета» № 5, экономика-философия-право, выпуск 1—1977, გვ. 18—19).

საქართველოში ეროვნული შემოსავლის წარმოების დონე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1970 წ. შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში შეადგენდა 72,8% (XI ადგილზე), ხოლო სახალხო მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე—75,7% (XIV ადგილზე) (იხ. «Плановое хозяйство», № 8, 1972, 109).

საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1974 წ. შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში შეადგენდა 82, 2% (VIV ადგილზე), ხოლო საზოგადოებრივი მოხმარების წლიური ფონდებიდან მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მოდიოდა საშუალო-საკავშირიოს მიმართ 80,5% (X ადგილზე) (იხ. „СССР и союзные республики, 1974 г.» М., 1975).

ეროვნული შემოსავალი გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე
(მანეთობით)

	სსრ კავშირი	საქართველოს სსრ	საქართველოს სსრ % სსრ კავშირთან
1960 წ.	694,3	526,7	75,9
1965 წ.	831,1	639,2	76,9
1970 წ.	1199,3	871,0	72,9
1975 წ.	1432,5	1095,2	76,7
1980 წ.	1724,1	1517	90,7

საქართველოს ეკონომიკურ დონეს შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის პირობებში ამაღლების ტენდენცია ახასიათებს[20]. ეს უფრო ნათლად გამოიხატა მეათე ხუთწლედში

რესპუბლიკის ეკონომიკაში არის რეზერვები, კერძოდ მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარებისათვის, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად აამაღლებს როგორც მის ეკონომიკურ პოტენციალს, ისე ეკონომიკურ დონეს შრომის საკავშირო დანაწილებაში.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ 1965—1975 წწ-ში მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას საქართველოში, სსრ კავშირში და ზოგ მოკავშირე რესპუბლიკაში შემცირების ტენდენცია ახასიათებდა. რასაკვირველია, ამან არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოახდინოს ეროვნული შემოსავლის წარმოების დონეზე, მის ხვედრ წონაზე საშუალო-საკავშირო მონაცემებში. მაგრამ ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებანი ის კი არაა, რომ ეროვნული შემოსავლის ხვედრი წონა გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე ამაღლდეს

[20] აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული გაანგარიშებების მიხედვით მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებს საქართველოში და სსრ კავშირში შემცირების ტენდენცია ახასიათებს, ამასთანავე ეს ტენდენციები თითქმის თანაბარია.

მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპების დინამიკა (%-ით)*

	1961 — 1965 წწ.	1966 — 1970 წწ.	1971— 1975 წწ.	1961— 1975 წწ.
სსრ კავშირი	1,50	1,00	0,95	1,15
საქართველოს სსრ	1,48	1,02	0,95	1,15
აზერბაიჯანის სსრ	3,26	2,46	1,80	2,52
სომხეთის სსრ	3,37	2,69	2,24	2,75

* Социалистические страны и страны капитализма, გვ 108.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპების შენელებით, არამედ ეს უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით[21].

---

[21] მოსახლეობის რაოდენობა საშუალოდ გაიზარდა (%-ით)

	სსრ კავშირში	საქართველოს სსრ
1959—66 წწ.	11,2	11,3
1966—70 წ.	4,1	4,0
1970—75 წწ.	4,8	5,0
1959—1975 წწ.	21,2	21,7

ხოლო მისი აბსოლუტური რაოდენობა წლის დასაწყისისათვის შეადგენდა (ათასობით:)

1959 წ.	208827	4044
1966 წ.	232243	4505
1970 წ.	241720	4686
1975 წ.	253261	4923
1980 წ. (1 ივლისისათვის)	265000	5071/1981 წ. დასაწყისისათვის/

თუ საშუალოდ სსრ კავშირის და საქართველოს მოსახლეობა ხუთწლედებში 1981—1985 და 1986—1990 წწ-ში გაიზრდება 4,5%, მაშინ მისი აბსოლუტური რაოდენობა იქნება (ათასობით):

	სსრკ	სსრ
1985 წ.	276568	5377
1990 წ.	288914	5619

(Народное хозяйство СССР в 1974 г., გვ. 9; Народное хозяйство СССР в 1979 г., გვ. 7; Грузия в цифрах, 1981 г., გვ. 8)

თავი მეთერთმეტე

ზოგიერთი შედეგისა (1972—1980 წწ.) და პერსპექტივების (1981—1985 წწ). შესახებ

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მისი ორგანული შერწყმა წარმოების პროცესთან განვითარებული სოციალიზმის და მის კომუნიზმში გადაზრდის მუდმივ მოქმედი ფაქტორია. ამ ფაქტორის საწარმოო და ეკონომიკური შედეგიანობა სისტემატურად მაღლდება საბჭოთა კავშირში. ამას ნათლად გვიჩვენებს 70-იან წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების სისტემატური დანერგვა წარმოებაში, ეკონომიკური დონის ამაღლების აქტიური პროცესი. 80-იან წლებში. ეს პროცესი განსაზღვრულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

აღნიშნული წლები, განსაკუთრებით თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცკ მიერ მიღებული დადგენილების (1972 წ. 22 თებერვალი) რეალიზაციის შედეგად, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური აღმავლობის პერიოდს წარმოადგენს. მკვეთრად შეიცვალა პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, მისი ეკონომიკური შედეგიანობის ამაღლებისათვის; საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში; რესპუბლიკამ დაძლია ეკონომიკური ჩამორჩენილობის ტენდენციები და გამოვიდა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის მოთხოვნათა მოწინავე მიჯნაზე. შეიქმნა კონკრეტული, გარანტირებული პირობები მისი უფრო სწრაფი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის 80-იან წლებში და უფრო შორეულ მომავალში.

ამის მაჩვენებელია ზოგიერთი ძირითადი მონაცემი, რომელიც ახასიათებს რესპუბლიკის ეკონომიკას 1972—1980 წწ-ში და მის განვითარებას 1981—1985 წწ-სა და 1990 წლამდე.

1980 წ. 1970 წ. შედარებით რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა თითქმის ორჯერ (95%-ით). აქედან წარ-

მოებიდ საშუალებათა წარმოება განვითარდა უფრო სწრაფად (99%), ვიდრე მოხმარების საგნების წარმოება (90%).

აღსანიშნავია, რომ 1975 წ. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 6482,8 მლნ მანეთამდე, ნაცვლად 4703,2 მლნ მანეთისა 1970 წ., ანუ 39%-ით, ხოლო 1980 წ. შედარებით 1972 წ. იგი გაიზარდა 85,8%-ით. მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა") 91,6%, მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ") — 76,0%.

1972—1980 წლებში მრეწველობის განვითარება უფრო ინტენსიურად წარიმართა. იგი ორგანულად იყო დაკავშირებული საწარმოო აპარატის განახლებასთან, ანუ მრეწველობის ტექნიკურად ხელახლა შეიარაღებასთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ძირითადი წარმოებრივი ფონდების მოცულობა ამ პერიოდში გაიზარდა 9632 მლნ მანეთიდან 16600 მლნ მანეთამდე, ანუ 72,3%-ით.

1975—1980 წწ-ში მრეწველობის საერთო ზრდასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (1980 წ. 1975 წ. შედარებით იგი 51%-ით გაიზარდა), მსუბუქი (43%) და კვების (44%) მრეწველობა. ამგვარი ზრდის შედეგად 1980 წ. 1970 წ. შედარებით საქართველოს მრეწველობა ყოველთვიურად 1,6-ჯერ მეტ ელექტროენერგიას აწარმოებდა, სატვირთო ავტომობილებს — 1,5-ჯერ, მანგანუმის მადანს — 1,7-ჯერ, კონსერვებს (პირობითი ქილა) — 1,9-ჯერ, ყურძნის ღვინოს — 1,3-ჯერ, პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაის 1,9-ჯერ[1].

საერთოდ მეათე ხუთწლედში (1976—1980 წწ.) ელექტროენერგიის წარმოებამ რესპუბლიკაში შეადგინა გასულ ათწლეულში (1965—1975 წწ.) წარმოებული ელექტროენერგიის 68%-ზე მეტი, რაც გვიჩვენებს ამ დარგის შესაძლებლობის საგრძნობ ამაღლებას. მაგრამ ელექტროენერგიის წარმოების ტემპები ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა მრეწველობის პროდუქციის როგორც საერთო, ისე ზოგიერთი მისი დარგის მიერ წარმოებულ პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპებს.

1972—1980 წწ-ში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ძვრები მოხდა მრეწველობის ძირითად დარგებში, რომლებმაც საგრძნობლად აამაღლეს მრეწველობის საწარმოო და ეკონომიკური

---

[1] გაანგარიშებულია: Промышленность Грузинской ССР, стат.-сб., Тб., 1978, გვ. 105.

1980 წ. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე იწარმოებოდა ელექტროენერგია 2890 კვტ საათი. ეს შეადგენს შესაბამის საკავშირო მონაცემების (1979 წ.) 61,5%-ს (ის. Народное хозяйство СССР в 1979 г., გვ. 36).

პოტენციალი 80-იან წლებში რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობისათვის.

აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა საქართველოს ეკონომიკის აგრარულ სექტორშიც, რომელიც წარიმართა მისი ინტენსიფიკაციის ამაღლების გზით. ამაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის გეზი, რომელიც აღებულია რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, მისი სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე ეტაპობრივი განხორციელებისათვის.

სათესი ფართობების საერთო რაოდენობის, მრავალწლიანი ნარგავების ფართობების შედარებით სტაბილური მდგომარეობის პირობებში, 1970—1980 წწ-ში ნაწილობრივ შეიცვალა მათი სტრუქტურა (შემცირდა მარცვლეულ კულტურათა ფართობები, გაიზარდა ტექნიკურ კულტურათა — კარტოფილისა და ბოსტნეულის, საკვების, ხოლო მრავალწლიან ნარგავებში გაიზარდა ვენახის, ციტრუსების ფართობები), საგრძნობლად ამაღლდა მოსავლიანობა (მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ციტრუსების, ყურძნის, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლის და სხვ.). გაიზარდა სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების და მეცხოველეობის) მთლიანი პროდუქციის მოცულობაც. მან 1976—1980 წწ-ში საშუალოდ წელიწადში შეადგინა 2008,0 მლნ. მანეთი და გადააჭარბა 1966—1970 წწ-ის საშუალო წლიურ მაჩვენებელს 1,6-ჯერ, ხოლო 1971—1975 წწ-ში შესაბამის მაჩვენებელს — 1,35-ჯერ. აქედან მიწათმოქმედების პროდუქცია გაიზარდა შესაბამისად — 1,76—1,46-ჯერ.

საგრძნობლად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებები. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ფონდების მოქმედებაში ჩართვის ტემპები რესპუბლიკაში (1976—1980 წწ.) მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ (30%) შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებს (15 %).

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1976—1980 წწ-ში ახალ საწარმოთა მშენებლობის და მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად მნიშვნელოვანი საწარმოო სიმძლავრეები იყო ჩართული მოქმედებაში მრეწველობის ისეთ დარგებში როგორიცაა: ელექტროენერგეტიკა, ნაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება (სამშენებლო ინდუსტრია), ნავთობგადამმუშავებელი და კვების მრეწველობა.

სულ მეათე ხუთწლედში ამოქმედდა და რეკონსტრუირებული იყო სამრეწველო, სოფლისმეურნეობრივი და სოციალური დანიშნულების 176 ძირითადი ობიექტი, აქედან საწარმოო დანიშნულების

იყო — 143, მათ შორის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სამრეწველო, სოფლისმეურნეობრივი და სოციალური დანიშნულების სახელმწიფო საწარმო (1976—1979 წწ—13)[2] 1976—1980 წწ. მოქმედებაში იქნა შეყვანილი და რეკონსტრუირებული.

ძირითადი ობიექტების მოქმედებაში ჩართვის დინამიკა

	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.	1980 წ.
სულ	22	22	42	41	47
მათ შორის:					
საწარმოო დანიშნულების	22	14	33	34	40
არასაწარმოო დანიშნულების		8	9	7	7

როგორც ჩანს, 1976—1980 წწ-ში საწარმოო დანიშნულების ობიექტებთან ერთად (განსაკუთრებით 1977—1980 წწ-ში) მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობასაც. ამგვარი ხასიათი ჰქონდა კულტურის, განათლების, ჯანმრთელობისა და სპორტის ახალი კერების მშენებლობას და აღდგენას, მომსახურების სფეროს ობიექტების (სასტუმროების, ტურისტული ბაზების) მშენებლობას, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას (კვლევითი ინსტიტუტების ობიექტების მშენებლობა) და სხვ.

საწარმოო დანიშნულების მშენებლობაში შედიოდნენ ისეთი ნაგებობები როგორიცაა: ზემოალაზნის სარწყავი სისტემა, ელექტრო გადამცემი ხაზები, პნევმოტრანსპორტი (შულავერი—თბილისი), თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის 5 სადგური, ნავთობგამტარი ხაზი გაჩიანი—ბათუმი, საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია, სხვადასხვა სახის მეცხოველეობის კომპლექსები და სხვ.

საერთოდ სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდები 1971—1979 წწ-ში თითქმის გაორკეცდა (81%-ით გაიზარდა), აქედან 1971—1975 წწ-ში ზრდის ტემპები შეადგენდნენ 32%, ხოლო 1976—1979 წწ-ში 37%. მხოლოდ რვა წლის (1972—1979 წწ.) განმავლობაში აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ძირითადი ფონდების საერთო მოცულობამ შეადგი-

---

[2] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 143, 158.

ნა 9744 მლნ მანეთი და უფრო მეტი იყო ვიდრე მერვე და მეცხრე ხუთწლედებში (1966—1976 წწ.) ერთად აღებული 1, 1-ჯერ[3].

აღსანიშნავია, რომ ძირითადი ფონდების მოქმედებაში ჩართვის საერთო მოცულობის დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა (%-ით)[4].

1970 წ.—49,7 (აქედან მრეწველობაზე მოდიოდა 31,4, სოფლის მეურნეობაზე 18)
1971 წ —52,6 (შესაბამისად—33,1 და 19,5)
1972 წ.—49,7 (32,0 და 17,7)
1973 წ.—48,8 (28,7 და 20,1)
1974 წ.—48,9 (29,4 და 19,5)
1975 წ.—50,2 (29,9 და 20,3)
1976 წ.—45,9 (27,5 და 18,4)
1977 წ.—48,5 (27,2 და 21,3)
1978 წ.—59,6 (44,7 და 14,9)
1979 წ.—58,6 (43,5 და 15,1)

აღნიშნულ წლებში კაპიტალური დაბანდებების ძირითადი ნაწილი მიმართული იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებით გამტკიცებაზე. ახალ მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა არსებული მრეწველური საწარმოების ბელახალი ტექნიკური შეიარაღება. ამის მაჩვენებელია კაპიტალური დაბანდებების ტექნოლოგიურ სტრუქტურაში გაწყობილობაზე მანქანა-დანადგარებსა და ინსტრუმენტებზე დანახარჯების ხვედრი წონის ზრდა.

თუ 1970 წ. ძირითადი ფონდების აღნიშნულ ელემენტებზე კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წონა საერთო დაბანდებებში შეადგენდა 25%, 1975—1979 წწ-ში მისი ხვედრი წონა ამაღლდა 29—32%-მდე[5]. ეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი ფაქტორია და გვიჩვენებს საწარმოო და ეკონომიკური პოტენციალის შესაძლებლობებს მომავალში.

ეკონომიკური აღმავლობა 1972—1980 წწ-ში განპირობებული იყო ეკონომიკური ზრდით როგორც საერთოდ, ისე მატერიალური წარმოების ძირითად დარგებში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

---

[3] გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 145—146.

[4] იქვე, გვ. 146—147.

[5] Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 162.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპების დინამიკა 1970—1979 წწ. (%-ით წინა წელთან)[6]

	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.
მრეწველობა	110,1	104,5	106,6	107,5	110,7	110,7	105,8	106,9	107,3	106,9
სოფლის მეურნეობა	122,1	91,6	99,2	110,8	108,8	106,0	101,0	114,5	102,1	108,9

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1972 წლისათვის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად დაეცა ეკონომიკური ზრდის ტემპები, მაგ., 1972 წ. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპები წინა წელთან შედარებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1970 წ. (9.5 პროცენტული პუნქტით), ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპები — 22,9 პროცენტული პუნქტით. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ ვითარებაში მკვეთრ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გარეშე შეუძლებელი იყო ეკონომიკის ამ ორ გადამწყვეტ სექტორში მომხდარიყო არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები. ამიტომ გეზი, რომელიც აღებული იყო რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოების მიერ სკკპ ცკ 1972 წ. (22 თებერვალი) დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის, წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გადამწყვეტ პირობას. ბოლოდ, აღნიშნული გეზის განხორციელების შედეგად შეიძლებოდა იმ ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა, რომელიც ახასიათებდა საქართველოს ეკონომიკას დაწყებული 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 70-იანი წლების დასაწყის პერიოდამდე.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპების შენელებას არ შეიძლება არ გამოეწვია წარმოებული ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების შენელება. მაგ., 1970 წ. წინა წელთან შედარებით წარმოებული ეროვნული შემოსავალი შეადგენდა 112, 8%, 1971 წ. — 101,7%, ხოლო 1972 წ. 101,9%. მხოლოდ 1973 წლიდან. ეს მაჩვენებელი მაღლდებოდა და 1973—1979 წწ-ში იყო 6,5—10,8%[7], ანუ ამ ხნის განმავლობაში ეროვნული შემოსავლის ზრდა ყოველ წლიურად 6,5% ნაკლებია არ ყოფილა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს ის, რომ ამ ხნის განმავლობაში წარმოებული ეროვნული შემოსავლის მატება მეტწილად ხდებოდა შრომის მწარმოებ-

[6] Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 25.

[7] იქვე.

ლურობის ზრდის და დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შეფარდებით შემცირების პირობებში. 1972—1979 წწ-ში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა მრეწველობაში გაიზარდა 1, 8—4, 4 %, ხოლო შრომის მწარმოებლურობა 0, 9—9%. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წლებში შრომის მწარმოებლურობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (0, 9%) ხასიათდებოდა 1972 წ., რაც შეეხება შემდგომ წლებს მისი ზრდა 3, 8% ნაკლები არ ყოფილა[8].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საყურადღებო მაჩვენებელს წარმოადგენს წარმოებულ ეროვნულ შემოსავალზე მატერიალური დანახარჯების შემცირება, საერთოდ წარმოებული ეროვნული შემოსავლის უფრო სწრაფი ზრდა, ერთობლივ საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით. ეს არსებული ეკონომიკური პოტენციალის უფრო ყაირათიანად გამოყენების აუცილებელი პირობაა. „ყოველთვის უნდა გვქონდეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, — ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე, პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილ უზარმაზარ პოტენციალს ყაირათიანად, სრულ უკუგებით ვიყენებდეთ.

საუკეთესო მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით ეროვნული შემოსავლის ერთეულზე ჩვენ მეტ ნედლეულსა და ენერგიას ვხარჯავთ. მაშასადამე, არის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გავზარდოთ საბოლოო პროდუქტის წარმოება უკვე არსებული რესურსების ხარჯზე[9]“.

წარმოებული ეროვნული შემოსავლისა და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპების შეფარდება საქართველოში 1972—1979 წწ. უფრო სრულყოფილი გახდა. ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

წარმოებული ეროვნული შემოსავლის და ერთობლივ-საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპების შეფარდების დინამიკა 1965—1979 წწ. (%-ით)[10]

	ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი			ეროვნული შემოსავალი		
1965 წ.	100	—		100	—	
1970 წ.	146	100		144	100	
1975 წ.	194	134	100	188	131	100
1979 წ.	225	175	131	253	176	135

[8] Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 25.

[9] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, 1981, გვ. 62.—63.

[10] Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 21—23.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1970 წ. 1965 წ. შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპები წინ უსწრებდნენ ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებს (განსხვავება იყო 2 პუნქტი). ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო 1971—1975 წლებისათვისაც. 1975 წ. 1970 წ. შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპები უფრო სწრაფი იყო და განსხვავება შეადგენდა 3 პუნქტს, ხოლო მეათე ხუთწლედში (1976—1979 წწ.) ნათლად გამომჟღავნდა ეროვნული შემოსავლის წინმსწრები ტემპები ერთობლივ საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპებთან შედარებით (განსხვავებამ შეადგინა 3 პუნქტი). აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო მეათე ხუთწლედის ყველა წლისათვის.

ამრიგად, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წინმსწრები ზრდა 1965—1979 წწ-ში (2 პუნქტით) გაპირობებული იყო მისი უფრო სწრაფი ზრდით 1966—1975 წწ-ში (6 პუნქტი), ხოლო მისი ტემპების დაახლოება, შემდგომ კი შენელება ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებთან როგორც 1979 წ. 1970 წ., ისე 1975 წ. მიმართ, გამოწვეული იყო ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებით, ეს გამოიხატა ეროვნული შემოსავლის სწრაფ ზრდაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპებთან შედარებით 1976—1979 წწ. ტენდენცია გამომჟღავნდა 1973—1975 წწ-ში, როდესაც წინა წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 1973 წ. 6,5%, 1974 წ. 10,8% და 1975 წ. 6,7%[11].

ამგვარმა დადებითმა ტენდენციებმა მყარი საფუძველი შექმნეს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობისათვის. ამის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება შესაბამის ძირითად საშუალო საკავშირო მაჩვენებლებში.

საქართველოს სსრ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა ხვედრი წონა შეფარდების დინამიკა შესაბამის საკავშირო მაჩვენებელში. 1970—1979 წწ. (გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე %-ით)

	1970 წ.	1972 წ.	1975 წ.	1979 წ.
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	71,4	67,2	71,8	80,5
ეროვნული შემოსავალი	72,9	70,4	76,7	90,7
მრეწველობის პროდუქცია	68,0	63,9	68,5	72,3*
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	84,6	82,8	94,3	102,1*
საცალო საქონელბრუნვა	77,0	78,4	79,1	82,6
სასურსათო საქონელი	67,0	68,2	68,6	72,6
არასასურსათო საქონელი	89,1	90,7	91,1	93,1

* 1978 წ.

[11] Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет, გვ. 25.

მონაცემები მოწმობენ, რომ 1972 წლის შემდგომ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვან შედეგებამდე მიგვიყვანა, ამაღლდა რესპუბლიკის საწარმოო, სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალი, რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, არსებითი თვისებრივი ცვლილებები მოხდა მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, შეიქმნა მყარი საწარმოო-ეკონომიკური, აგრეთვე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები, რათა 80-იან წლებში საბოლოოდ იქნეს დაძლეული ის ჩამორჩენა, რომელიც დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის დიდი ხნის განმავლობაში.

საქართველოს ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ახლა მატერიალური წარმოების სფეროს ნებისმიერ დარგში, მისი ტექნიკური აღჭურვილობის, საწარმოთა სიმძლავრეების, სხვა ეკონომიკური და საწარმოო საშუალებებისა და არსებულ საწარმოო პერსონალის მდგომარეობით ისეთ დონეზეა, რომელსაც შესწევს უნარი წარმატებით გადაწყვიტოს ის ამოცანები, რომელნიც დასმულია სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მიერ და ასახულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება როგორც 80-იან წლებში, ისე მეთერთმეტე ხუთწლედში (1981—1985 წწ.) წარიმართება საწარმოო ძალების გაადგილების შემდგომი სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცების, მასში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის როლის ამაღლების გზით. გაძლიერდება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების კომპლექსურობა, უფრო სრულყოფილად გამოიყენება არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსები, უკეთ გამოიყენება არსებული საწარმოო, სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალი. უფრო მეტი შეიქმნება ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები და სამრეწველო კვანძები. მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საგრძნობლად გაძლიერდება საწარმოო, სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირები, გარკვეულ ტერიტორიაზე დარგთაშორისი კოოპერაციაც.

გამომდინარე ეკონომიკის იმ ამოცანებისაგან, რომელიც დასახულია სკკპ XXVI ყრილობის მიერ, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლების ძირითადი მიმართულებები.

აღნიშნული მიმართულებების შესაბამისად საქართველოში მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა გაიზარდოს წარმოება[12].

მრეწველობის პროდუქციისა	30—33%
მათ შორის:	
ელექტროენერგიის	1,2 ჯერ
მანქანათმშენებლობის	1,6 „
ქიმიური მრეწველობის	1,5 „
მსუბუქი მრეწველობის	1,3 „
კვების მრეწველობის	1,3 „
აქედან:	
ხილბოსტნეულის კონსერვებისა	1,7
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა	22—24%

მრეწველობაში უპირატესად გაიზრდება ელექტროტექნიკური, ელექტრონული, რადიოტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის დარგები, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზრდება მრეწველური წარმოების ისეთი მაღალი კულტურის მაჩვენებელი პროდუქციის გამოშვება, როგორიცაა: ავტომატიზაციის ხელსაწყოები და საშუალებები (1, 45-ჯერ), გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები (1, 25-ჯერ), ნაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები (1,5-ჯერ), სინთეტური ფისი და პლასტიკური მასა (1, 9—2, 1-ჯერ), ქსოვილების ტიპის უქსოვი მასალები (2, 3-ჯერ), აგრეთვე ნავთობი, გაზი, შავი ლითონის ნაგლინი, მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკო, ლითონმჭრელი ჩარხები (1, 2-ჯერ), ავტომობილები, ქაღალდი და სხვ., რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ მრეწველობის, საერთოდ ეკონომიკის საწარმოო-ტექნიკურ კულტურის დონეს. გარდა ამისა აშენდება ისეთი მაღალტექნიკური პროდუქციის მწარმოებელი ქარხანა, როგორიცაა ბაგირგზებისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოება.

ყინვალის ჰიდროკვანძის აგების მშენებლობის დამთავრებით, ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელებით და ნამახვანის ჰიდროელექტროკვანძის მშენებლობის დაწყებით მყარი საფუძველი ეყრება ელექტროენერგიის წარმოების არსებით ზრდას. საერთოდ საბაზისო ელექტროსიმძლავრეების შექმნას რესპუბლიკაში უაღრესად გადამწყვეტი როლი ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესისათვის.

რესპუბლიკის კლიმატური პირობების შესაბამისად, აგრეთვე გამომდინარე საკავშირო შრომის დანაწილებისა და ეკონომიკის სპე-

---

[12] სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, 1981, გვ 105—106.

ციალიზაციის არსიდან მნიშვნელოვნად გადიდდება კვების მრეწველობის სიმძლავრეები, ამოქმედდება ჩაის ფოთლის, ყურძნის გადამამუშავებელი და მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმოები.

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზრდება წარმოების საშუალებათა, ანუ „ა" ჯგუფის (29—33%) და მოხმარების საგნების, ანუ „ბ" ჯგუფის პროდუქციის (32—34%) წარმოება.

როგორც ვხედავთ, მეთერთმეტე ხუთწლედში ეს უკანასკნელი ჯგუფი უფრო სწრაფად განვითარდება. ამ ჯგუფის პროდუქციის წარმოების ზრდა კი უშუალოდაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდასთან, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის შედარებით სწრაფ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად ამაღლდება მისი სპეციალიზაცია მევენახეობის, მეჩაიეობის, სუბტროპიკული მეხილეობის ხაზით. ამასთან დაკავშირებით ხუთწლედში გადიდდება წარმოება[13]

მარცვლეულის (საშუალო წლიური წარმოება)	740 ათას ტონამდე
ხარისხოვანი ჩაის ფოთლის	466 „ „
ყურძნის	1—1,1 მლნ ტონამდე
ხორცის (ნაკლავი წონა)	160 ათასი ტონა
რძის	710 „

გარდა ამისა, განხორციელდება საშუალებები კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად და ასათვისებლად (35 ათას ჰექტარ ფართობზე), მიწების სარწყავად (60 ათას ჰექტარ ფართობზე).

დიდი მუშაობა ჩატარდება ბუნების დასაცავად, კერძოდ, გაძლიერდება ნაპირსამაგრი სამუშაოები შავი ზღვის სანაპიროზე, დამთავრდება კავკასიის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობა, გაგრძელდება მარაბდა—ახალქალაქის რკინიგზის გაყვანის სამუშაოები. ამ ორივე გზას საქართველოსათვის დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. განვითარდება საკურორტო ზონები, გაფართოვდება ტურისტული ბაზები და სხვ.

საქართველოს ეკონომიკის ასეთი ზრდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მეცნიერული დონის ამაღლებასთან ერთად გამოიწვევს მწარმოებელთა კვალიფიკაციის, მათი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. ეს აუცილებელია წარმოების უპირატესად ექსტენსიური ფაქტორებიდან უპირატესად ინტენსიურ ფაქტორებზე გადასვლისათვის. ამასთანავე, ვინაიდან 80-იან წლებში, კერძოდ მეთერთმეტე ხუთწლედში არ იქნება შრომითი რესურსების სიჭარბე, წარმოების

---

[13] სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, გვ. 105—106.

ინტენსიური მხარე წამოწეულია წინა პლანზე. წარმოების ინტენსიფიკაცია საერთოდაა დამახასიათებელი განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკისათვის. ამასთან დაკავშირებით 1981—1985 წწ-ში შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში გაიზრდება 20—22%-ით, ხოლო კოლძეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში (საშუალო წლიური დონე 1976—1980 წწ. შედარებით) 35—38%-ით. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ანგარიშში უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული შემოსავლის ნამატის ზრდა 92%-ით, მრეწველობის პროდუქციის დაახლოებით 73%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა კი მთლიანად. გაიზრდება კაპიტალური დაბანდებები (38—40%) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (34, 9%), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა (1, 4-ჯერ) და სხვ.

ეკონომიკის ამგვარი რაოდენობრივი ზრდა და თვისებრივი ცვლილებები, საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს როგორც საზოგადოებრივი წარმოების, ისე მატერიალური წარმოებისა და არამატერიალური სფეროების, კერძოდ მატერიალური სფეროს ძირითადი დარგების სტრუქტურის პროგრესულ ცვლილებებს.

XXVI ყრილობაზე გამოთქმული დებულება იმის შესახებ, რომ „დღეს, როცა ხუთიათი წლით წინ ვიხედებით, არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ სწორედ ამ წლებში ჩაეყრება საძირკველი და შეიქმნება სახალხო-სამეურნეო სტრუქტურა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ოცდამეერთე საუკუნეში შევა. ეს სტრუქტურა უნდა ასახავდეს ახალი საზოგადოების ძირითად ნიშნებსა და იდეალებს, იყოს პროგრესის ავანგარდში, განასახიერებდეს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, შემოქმედებითი აზრისა და შემოქმედებითი შრომის ურღვევ კავშირს“[14].

ეს სიტყვები მთლიანად შეეხება საქართველოსაც.

ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ ოცწლეულში საქართველოს საზოგადოებრივ წარმოებაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება. ეს ცვლილებები განპირობებული იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის რეგიონალურ თავისებურებებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უფრო

---

[14] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 67—68.

მაღალი დონით. სტრუქტურული ცვლილებები შეეხება როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებას.

საზოგადოებრივ წარმოებაში ეს კონკრეტულ გამოხატულებას ჰპოვებს შეფარდებებში მატერიალურ წარმოებასა და არამატერიალურ სფეროს შორის. არსებითი სტრუქტურული ცვლილებები მოხდება თვით ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მატერიალურ დანახარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს შორის, ეროვნულ შემოსავალში პროდუქტი თავისთვისა და პროდუქტი საზოგადოებისათვის შორის. კიდევ უფრო ამაღლდება რესპუბლიკის ეკონომიკური დონე, მისი ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელობა შესაბამის საერთოსაკავშირო მაჩვენებელში.

ეკონომიკის სტრუქტურის, მისი პროპორციულობის სრულყოფის ამსახველი ფაქტორია რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის სიჭარბის განმტკიცება მის მოხმარებაზე. ამასთანავე გარკვეული ჩამორჩენილობის გამო ეკონომიკაში, რომელიც 70-იან წლებში მთლიანად დაძლეული არ იყო, და რესპუბლიკის ეკონომიკის ძირითადი საწარმოო ფონდების უზრუნველყოფის ამაღლების, საერთოდ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების აუცილებლობიდან გამომდინარე, ეროვნული შემოსავლის გამოყენების სტრუქტურაში უფრო მეტად გაიზრდება დაგროვების ფონდი, ვიდრე მოხმარების ფონდი. ეს 80- იანი წლების საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებურებაა.

მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მრეწველობაში ეს ცვლილებები წარიმართება უფრო პროგრესული და საბაზისო დარგების — ელექტროენერგეტიკის, ნავთობის, მანქანათმშენებლობის, კერძოდ ჩარხმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკის, გამოთვლითი ტექნიკის წარმოების, ქიმიური მრეწველობის და სხვა დარგთა უპირატესი განვითარებით.

სოფლის მეურნეობის სტრუქტურული ცვლილებები გაპირობებული იქნება შეფარდებებით მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, საკავშირო სპეციალიზაციისა და რესპუბლიკური მოთხოვნილების პროდუქციის წარმოებაში. გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები მოხდება ტრანსპორტის სახეებში როგორც ტვირთგადაზიდვის, ისე მგზავრების მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

არსებითი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურაში, მნიშვნელოვნად შეიცვლება თანაფარდობა შრომითი რესურსების დასაქმებაში, მატერიალური წარმოების სფეროსა და არაწარმოებრივ სფეროს შორის. ეს

არსებით ცვლილებებს გამოიწვევს კვალიფიციური კადრების მომზადების სტრუქტურაშიც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფაში, მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას (1981 წ. ივნისი) „საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების მიხედვით დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამრეწველო (ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სამოქალაქო დანიშნულების და სხვ.) ობიექტების ასაშენებლად. დამატებით (XI ხუთწლედის გეგმით განსაზღვრულზე მეტი) გამოიყოფა 450—500 მლნ. მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. დაჩქარებული ტემპით უნდა მოხდეს ათობით მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. აღნიშნული მოცულობის კაპიტალური დაბანდებების ათვისების შედეგად უფრო სრულყოფილი გახდება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა, ამაღლდება მისი ინდუსტრიული განვითარების დონე[15].

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის სრულყოფა უშუალოდ გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომელნიც დასახულია სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებზე.

საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურულ ცვლილებებში ნებისმიერ დონეზე განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთიან საშეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკის გატარებას. ეს უშუალოდაა დაკავშირებული წარმოების კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, თვისებრივად ახალი მანქანა-მექანიზმებისა და ტექნოლოგიური პროცესების წარმოებაში დანერგვასთან. „დღის წესრიგში დგას ისეთი ამოცანებიც, ითქვა სკკპ ცკ-ის ივნისის (1983 წ.) პლენუმზე, როგორიც არის წინასწარ გათვალისწინებული თვისებების მქონე მასალების მიღება. ბიოტექნოლოგიის განვითარება, მრეწველობაში უნარჩენო და ენერ-

---

[15] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 19. 06. 81 წ. გვ. 2, 3, 4.

გოდამზოგველი ტექნოლოგიების ფართო გამოყენება. ყოველივე ამას ნამდვილი რევოლუცია მოჰყვება ჩვენს სახალხო მეურნეობაში"[16].

სტრუქტურული ცვლილებები მოხდება საზოგადოებრივი წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში საწარმოო გაერთიანებიდან (საწარმოდან) დამთავრებული მოკავშირე რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის უმაღლეს რგოლამდე.

სტრუქტურულმა ცვლილებებმა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში არ შეიძლება არ გამოიწვიოს თვისებრივი ცვლილებები კლასობრივ სტრუქტურაში. „თუ შევაფასებთ უკანასკნელ ათწლეულში ჩვენი საზოგადოების განვითარების გამოცდილებას, ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება უმთავრესად და ძირითადად მომწიფებული სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში მოხდება.

ამ პროცესის წამყვან ძალად, მის, როგორც მარქსმა თქვა, „სოციალურ გონებად და სოციალურ გულად" კვლავინდებურად რჩება თანამედროვე მუშათა კლასი. მისი რევოლუციური იდეოლოგია და მორალი, კოლექტივისტური ფსიქოლოგია, მისი ინტერესები და იდეალები ახლა საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის კუთვნილება ხდება"[17].

ამრიგად, არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები იქნება დამახასიათებელი როგორც სსრ კავშირის, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისათვის XX საუკუნის დამლევსა და XXI საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე.

საქართველოს ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები 1981—1985 წწ-ში გაპირობებულია ეკონომიკური ზრდის ტემპებით როგორც შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით, ისე რესპუბლიკის შიგნით სხვადასხვა დარგებს შორის. ხოლო ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალი ტემპები 80-იან წლებში გარანტირებულია იმ დიდი თვისებრივი ძვრებით, რომლებიც მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ წარმოებაში 70-იან წლებში. „ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, — ამბობდა ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, — რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარი შეიძლება მივიჩნიოთ რესპუბ-

---

[16] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983 წლის, 14—25 ივნისი, 1983, გვ. 12.

[17] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 82.

ლიკაში, იმ დადებითი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პროცესების საბოლოო და შეუქცევად დამკვიდრებაზე გადასვლის ხანად, რომლებიც დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ"[18].

როგორც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, 70-იანი წლები უკვე ისტორიაა, მაგრამ ისინი ეკუთვნიან თანამედროვეობასაც და მომავალსაც, რადგან სწორედ ამ წლებმა ჩაუყარეს მტკიცე საძირკველი, საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით, რესპუბლიკის ინდუსტრიული და საერთო-ეკონომიკური განვითარების გარკვეული ჩამორჩენის გადალახვას და შექმნეს 80-იან წლებში მისი საბოლოოდ დაძლევის საიმედო წანამძღვრები. 80-იან წლებში როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს ეკონომიკაში არსებითი თვისებრივი ძვრები მოხდება. ეს გაპირობებულია საზოგადოებრივ წარმოებაში ძირითადად ინტენსიურ ფაქტორებზე გადასვლით, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით.

70-იანი წლებისათვის დამახასიათებელი წარმოების საშუალებების წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების ტემპების დაახლოების ტენდენცია გაგრძელდება 80-იან წლებშიც. მის ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს კი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი მოთხოვნილების შემდგომი ამაღლება წარმოადგენს. ამის კონკრეტული გამოხატულებაა როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების, კერძოდ სასურსათო პროგრამის განხორციელება, რომელიც დასახულია სკკპ XXVI ყრილობის მიერ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლის პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის დარგობრივი სტრუქტურის პროგრესული ცვლილებები, რაც დამახასიათებელია მომწიფებული სოციალიზმისათვის, უპირველეს ყოვლისა, გაპირობებულია მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ოპტიმალური შეფარდებებით მათ მთლიან პროდუქციაში, მათი განვითარების ხასიათით ამ სტადიაზე. ეს სოციალურ-ეკონომიკურ გამოხატულებას პოულობს მრეწველობის განვითარებაში სამრეწველო გაერთიანებების, სამრეწველო კვანძების და ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების, მეთაურ საწარმოთა ფილიალების შექმნით

---

[18] ე. ა. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს, თბ., 1981, გვ. 4.

სოფლად, სადაც არსებობს შედარებით თავისუფალი შრომითი რესურსები. ამის შედეგად ხდება სოფლის მოსახლეობის ნაწილის მიზიდვა მრეწველურ წარმოებაში, აგრეთვე მცირე რეგიონების საწარმოო და სოციალური სტრუქტურის ცვლილებებს.

ყოველივე ეს აამაღლებს არა მარტო რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს, არამედ მის საწარმოო კულტურას, ხელს შეუწყობს როგორც ცალკეულ რესპუბლიკური რეგიონების, ისე მთლიანად რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და სულიერი პირობების გამოთანაბრებას.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება 80-იან წლებში გაძლიერდება აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის გაღრმავებით. ამის შედეგად წარმოიქმნებიან მომწიფებული სოციალიზმის და მისი კომუნიზმში გადაზრდის წარმოებრივ ურთიერთობათა ახალი დამახასიათებელი ნიშნები. ისინი გამოვლინდებიან სოციალისტური საკუთრების ორი — სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმის ერთიანი კომუნისტური საკუთრების ფორმაში თანდათანობით გადაზრდით. სოფლის მეურნეობრივი შრომის ინდუსტრიული შრომის სახესხვაობაში გადაქცევის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო და სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სხვა საწარმოთა კოლექტივების ეკონომიკური და სოციალური ინტერესების შერწყმის, მართვის დემოკრატიზაციის პროცესში.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე სწორედ ეს პროცესი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში სხვა პროცესებთან ერთად ხელს შეუწყობს ცვლილებებს კლასობრივ სტრუქტურაში, მისი ერთგვაროვნობის გაძლიერებას, საბჭოთა საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სოციალისტური ერის მწარმოებლური ძალების განვითარების მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორს, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან განვითარებული სოციალიზმის პირობებში, წარმოადგენს წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავლის არსებითი ზრდა როგორც მთლიანად, ისე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავლის ზრდა როგორც მთლიანად, ისე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ასახავს მნიშვნელოვან სახალხომეურნეობრივ პროპორციას, რომელიც გამოხატავს რესპუბლიკის სოციალურ პროგრესს, სახელდობრ,

შეფარდებებს ეროვნულ შემოსავალსა და მოსახლეობის ზრდას შორის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში როგორც სსრ კავშირისათვის, ისე საქართველოსათვის დამახასიათებელია ეროვნული შემოსავლის უფრო სწრაფი ზრდა მოსახლეობის ზრდასთან შედარებით. მაგრამ ეს პროცესიც, როგორც სხვა სახალხომეურნეობრივი პროპორციები, დინამიკურია. იგი გაპირობებულია ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობის კვლავწარმოების კანონზომიერებებით. ამასთანავე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების აღნიშნულ სტადიაზე ხდება მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, წარმოებულ და მოხმარებულ ეროვნული შემოსავლის გამოთანაბრება და, როგორც ჩანს, ეს პროცესი 80-იან წლებში უფრო გაძლიერდება წარმოებული ეროვნული შემოსავლის ტემპების უფრო სწრაფი ზრდის მიმართულებით. ეს იმას გვიჩვენებს, რომ მომავალში არა მარტო ამაღლდება მწარმოებლური ძალების განვითარების დონე, არამედ რესპუბლიკა თანდათანობით, უფრო მეტად ამაღლდება სოციალური განვითარების საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში.

შიდარესპუბლიკური რეგიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროს წარმოების კულტურის, მოკავშირე რესპუბლიკებში საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა, მთელი მოსახლეობის განათლების, კულტურულ-ტექნიკური და საკვალიფიკაციო დონის ამაღლება, მათში სოციალური ინფრასტრუქტურის გამოთანაბრება, ე. ი. „სოციალურ სხვაობათა გათანაბრება, ასე ვთქვათ, ტერიტორიული თვალსაზრისით"[19], აგრეთვე სხვა ფაქტორების მოქმედება, რომლებიც ასახავენ საზოგადოების კლასობრივი ერთგვაროვნობის გაძლიერებას, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების კანონზომიერება გახდა.

აღნიშნულ და სხვა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური ზრდის, კერძოდ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების უფრო სწრაფი ზრდა 1981—1985 წწ-ში შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. მაგ., საქართველოს მრეწველობის წინმსწრები კოეფიციენტი შეადგენს 1,15—1,18, ხო-

---

[19] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 83.

ლო სოფლის მეურნეობის 1,83—1,71, მაგრამ აქაც გარკვეული კანონზომიერებაა, რაზეც ქვემოთ მოტანილი მონაცემები მიგვანიშნებენ.

მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველური პროდუქციის ზრდის ტემპების დინამიკა 1971—1985 წწ. (%-ით)[20]

მოკავშირე რესპუბლიკები	IX ხუთწლედი (1971—1975 წწ.)	X ხუთწლეული (1976—1980 წწ.)	XI ხუთწლედი (1981—1985 წწ.)
სსრკ	47	35—39	26—28
რსფსრ	47	35—39	24—27
უსსრ	43	30—34	20—23
ბსსრ	58	39—43	26—29
უზ. სსრ	51	35—39	28—31
ყაზ. სსრ	59	39—43	22—25
საქ- სსრ	44	37—41	30—33
აზ. სსრ	46	37—41	29—32
ლიტ. სსრ	49	32—36	21—24
მსსრ	62	45—49	30—33
ლატ. სსრ	40	26—30	15—18
ყირგ. სსრ	55	33—37	21—24
ტაჯ. სსრ	38	38—42	24—27
სომხ. სსრ	64	43—47	29—32
თურქ. სსრ	64	30—34	21—24
ესტ. სსრ	38	22—26	14—17

მოტანილ ცხრილში ორი ტენდენცია მეღავნდება. ერთს ახასიათებს (15 წლის მანძილზე) მრეწველური პროდუქციის მოცულობის ტემპების შემცირება როგორც სსრ კავშირში მთლიანად, ისე თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ხოლო მეორეს აღნიშნული ტემპების შესამჩნევი დაახლოება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. მაგ., თუ IX ხუთწლედში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მაქსიმალური და მინიმალური ტემპების განსხვავება შეადგენდა 26 პუნქტს, X ხუთწლედში მან შეადგინა — 23, XI ხუთწლედში კი იქნება 16 პუნქტი. თუ მრეწველურ პროდუქციის მოცულობის ზრდის საშუალო საკავშირო მონაცემებთან შედარებით 1971—1975 წწ-ში განსხვავება მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით წინსწრებაში შეადგენდა 17 პუნქტს, ხოლო ჩამორჩენაში 9 პუნქტს, 1976—1980 წწ-ში მან შეადგინა შესაბამისად 10 და 13, 1981—1985 წწ. კი შეადგენს 4—11 პროცენტულ პუნქტს.

მრეწველურ პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპების შენელება კანონზომიერი პროცესია. იგი განპირობებულია მწარმოებლური ძალების დონის ამაღლებით, ქვეყნის როგორც მთლიანად, ისე ცალკე

[20] იხ. Материалы XXV съезда КПСС, с. 175, 294—234; Материалы XXVI съезда КПСС, с. 147, 186—195; Государственный план развития народного хозяйства СССР на 1971—1975 гг., М., 1972, с. 95, 251.

რესპუბლიკების მიხედვით ეკონომიკური პოტენციალის ზრდით. ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ერთი პროცენტის მნიშვნელობის აბსოლუტური ზრდის მიხედვით. მაგ., მრეწველური პროდუქციის მოცულობის ერთი პროცენტის აბსოლუტური სიდიდე გამოხატული მლნ მანეთებში შეადგენდა:

	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1985 წ. (გეგმა)
სსრ კავშირი	2,294	3,743	5,112	7,170	9,177
საქართველოს სსრ	28,6	47,0	67,6	90,4	120,2

20 წლის (1965—1985 წწ.) განმავლობაში მრეწველური პროდუქციის მთლიანი მოცულობის ერთი პროცენტის აბსოლუტური სიდიდე გაიზარდა სსრ კავშირში 4-ჯერ, ხოლო საქართველოში 4, 2-ჯერ ამიტომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეკონომიკური პოტენციალი ხასიათდება არა პროცენტული მაჩვენებლის სიდიდით, არამედ ყოველივე პროცენტის წონადობით. ამასთან ერთად, მიუხედავად მრეწველური პროდუქციის საერთო რაოდენობაში ერთი პროცენტის აბსოლუტური სიდიდის მნიშვნელოვანი ზრდისა, 1981—1985 წლებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებაში მრეწველობის განვითარების ტემპები საქართველოში გათვალისწინებულია უფრო სწრაფი ვიდრე შესაბამისი საშუალო საკავშირო მონაცემი. ეს გაპირობებულია 80-იან წლებში ძირითადი ეკონომიკური მონაცემების მიხედვით შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებში რესპუბლიკის ჩამორჩენილობის ტენდენციის საბოლოოდ დაძლევის აუცილებლობით.

საქართველოს ეკონომიკის, კერძოდ მრეწველობის განვითარების წინმსწრები ტემპების განხორციელებასთან ერთად 80-იან წლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საერთოდ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოყენებული რეზერვების გამონახვას.

რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ამგვარ არსებით რეზერვს წარმოადგენს მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირება როგორც მთლიანად საზოგადოებრივ წარმოებაში, ისე მატერიალური წარმოების ცალკეულ დარგებში. მით უმეტეს, რომ მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, 70-იანი წლების მეორე ნახევარში მათი საერთო მოცულობა, როგორც წარმოებულ ეროვნული შემოსავლის, ისე მრეწველობის პროდუქციის ერთეულზე ჯერ კიდევ საგრძნობლად მაღალია. მაგ., ერთი მანეთის წარმოებულ ეროვნულ შემოსავალზე მატერიალური დანახარჯები სსრ კავშირში გაიზარდა 1, 17 მანეთიდან 1965 წ. 1, 39 მანეთამდე — 1979 წ. მთლიანად კი

წარმოებულ ეროვნულ შემოსავალზე დანახარჯები უფრო მეტი იყო 1965 წ. დონესთან შედარებით 79 მლრდ. მანეთით. საქართველოში აღნიშნული დანახარჯები შესაბამისად შეადგენდნენ 1,03 მანეთს და 1,19 მანეთს (1978 წ.), ანუ მეტი იყო 752 მლნ. მანეთით.

მრეწველობაში მატერიალური დანახარჯები წმინდა პროდუქციის ერთ მანეთზე სსრ კავშირში შეადგენდნენ 1965 წ. 1,66 მანეთს, 1978 წ. 1,92 მანეთს, ანუ მეტი იყო ვიდრე ეს იქნებოდა 1965 წ. დანახარჯების მიხედვით 56 მლრდ. მანეთით, ხოლო საქართველოში შესაბამისად 1,82 მანეთს და 2,11 მანეთს, ანუ მეტი იყო 546 მლნ. მანეთით.

რესპუბლიკაში ეს დანახარჯები მცირდებოდა და შეადგენდნენ წარმოებული ეროვნული შემოსავლის ერთი მანეთის მიმართ 1975 წ. 1,22 მანეთს, 1976 წ. 1,16, 1978 წ. — 1,19 და 1979 წ. — 1,07 მანეთს, ხოლო მრეწველობის წმინდა პროდუქციის ერთ მანეთზე 1975 წ. — 2,26 მანეთს, 1976 წ. — 2,16, 1978 წ. 2,01 მანეთს. ეს მაჩვენებლები მოწმობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ტენდენციებზე რესპუბლიკაში და იმას, რომ აქ არსებობს რეალური შესაძლებლობები როგორც მრეწველობის, ისე მთელი ეკონომიკის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის 80-იან წლებში.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მატერიალური დანახარჯების შემცირების ფაქტორებს რესპუბლიკაში წარმოადგენენ თანამიმდევრული და შედარებით მცირე ვადებში უფრო მწარმოებლური მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, მათი გაიაფება, პროდუქციის მასალატევადობის, ნედლეულისა და სხვა მასალების დანაკარგების, ელექტროენერგიის, სათბობის დანახარჯების შემცირება; შრომის მწარმოებლურობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და ამ საფუძველზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

საქართველოში შექმნილია ეკონომიკური პირობები, რათა უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული არსებული რეზერვები, უფრო სრულყოფილად იმოქმედოს სოციალისტურმა მეურნეობრივმა მექანიზმმა. თუ ამას მივუმატებთ მშრომელთა შეგნებულობის, გამოცდილებისა და ენთუზიაზმის ზრდას, ეჭვს გარეშეა, 80-იანი წლები მნიშვნელოვანი პერიოდი გახდება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური აღმავლობისათვის.

საქართველოს მრეწველობის საბაზისო დარგების—ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განვითარება მნიშვნელოვნად აამაღლებს წარმოების საშუალებათა წარმოების, კერძოდ, შრომის იარაღების წარმოების

ხვედრ წონას მრეწველობის მთლიან პროდუქციაში. ამის შედეგად არსებითი დადებითი თვისებრივი ცვლილებები მოხდება მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში. ეს კიდევ უფრო აამაღლებს რესპუბლიკის საწარმოო კულტურას, მის საწარმოო-ტექნიკურ პოტენციალს.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში 1981—1985 წლების და 1990 წლის პერიოდისათვის განხილულია სოფლის მეურნეობის განვითარება ორგანულ კავშირში სხვა, მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი წარმოების დარგებთან, კერძოდ, მრეწველობის იმ დარგებთან, რომლებიც გადაამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს, ტრანსპორტთან, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაზიდვას, ამ პროდუქციის შენახვისა და მის მომხმარებლამდე დაყვანის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან.

აღნიშნულ აგრარულ სამრეწველო კომპლექსთან უშუალოდაა დაკავშირებული მრეწველობის იმ დარგების განვითარება, რომელნიც უზრუნველყოფენ სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ მანქანებსა და სხვა იარაღებს, ქიმიურ სასუქებს, მიკრობიოლოგიური მრეწველობის პროდუქციას და სხვ. ამგვარი აგრარული სამრეწველო კომპლექსების განვითარება წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგს, რომელიც ასე სწრაფი ტემპებით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ აღნიშნული პროცესის შედეგად 1981—1985 წწ-ში გათვალისწინებულია სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდოს 12—14%-ით. უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება მოკავშირე რესპუბლიკებში: უზბეკეთის სსრ-ში (17—19%), აზერბაიჯანის სსრ-ში (15—17%), მოლდავეთის სსრ-ში (20—22%), ყირგიზეთის სსრ-ში (21—24%), თურქმენეთის სსრ-ში (14—16%).

საქართველოში ამ პერიოდში (XI ხუთწლედში) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 22—24%-ით.

საქართველოში, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, სოფლის მეურნეობის წარმოების ტემპების ამგვარი მაჩვენებელი გაპირობებულია სოფლისმეურნეობრივი წარმოების თავისებურებებით და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კულტურების შემდგომი განვითარების აუცილებლობით. საქართველოს სსრ შემდგომშიც განაგრძობს სპეციალიზაციას მევენახეობის, მეჩაიეობის, სუბტროპიკული და სხვა კულტურის წარმოების განვითარების მიმართულებით, რესპუბლიკაში მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის განვითარებას.

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ეტაპობრივი პროცესი. ამ მიმართულებით ფართოდ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დადებითი შედეგები მოგვცეს. მოხდა არსებითი თვისებრივი ძვრები, მიმდინარეობს ცვლილებები სოფლის მეურნეობის მართვის ფორმებსა და შინაარსში, სრულყოფილი ხდება მეურნეობრიობის სოციალისტური მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც მთლიანად რესპუბლიკის, ისე საზოგადოებრივი მეურნეობის რაიონულ რგოლს. აღმოცენდებიან წარმოებრივ ურთიერთობათა ახალი ფორმები. „როგორც ხაზგასმით აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, ეს საბჭოთა მეურნეობად კოლმეურნეობათა მექანიკური გარდაქმნის გზით როდი მოხდება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არის სხვა გზებიც — ამაში ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილებითაც დავრწმუნდით, — მაგალითად, ა გ რ ო ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ინ ტ ე გ რ ა ც ი ა, ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თ ა შ ო რ ი ს ო და კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ებ ებ ის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა“[21].

ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მართვის სრულყოფის საკითხებს. სწორედ მართვისა და დაგეგმვის მექანიზმის, მეურნეობრივი მეთოდების, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის ჩამორჩენილობის გამო განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკის მოთხოვნებიდან მთლიანად არ იქნა გადაწყვეტილი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის ამოცანები გასულ ხუთწლედში. ამიტომ მეურნეობრივობის სოციალისტური მექანიზმის სრულყოფის საკითხები შემდგომშიც იქნებიან სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. ეს საკითხები მოიცავენ დაგეგმვის შემდგომ სრულყოფას პირველი რიგის ამოცანების სწორად განსაზღვრის გზით; სახალხომეურნეობრივი შედეგიანობის მიღწევისათვის უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების გამონახვას; კომპლექსური პროგრამების როგორც სახელმწიფოებრივი

---

21 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის შესაბამისად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმზე 1983 წლის 8 ივლისს, გაზ. „კომუნისტი“, 12.07.83, გვ. 1.

პერსპექტიულ გეგმების ორგანულად შემადგენელი ნაწილის ფართოდ გამოყენებას; სახალხო მეურნეობის ურთიერთდაკავშირებულ დარგთა განვითარების დაგეგმვისადმი კომპლექსურ მიდგომას; მომჭირნეობის რეჟიმისა და მეურნეობრივი ანგარიშის გაძლიერებას; გამომდინარე მართვის ლენინური პრინციპებიდან მეურნეობის მართვის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას; მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას; მეურნეობის მართვაში მშრომელთა თაოსნობისა და შემოქმედებითი შრომის განვითარებას და სხვა საკითხებს.

სოციალისტური მეურნეობრობის მექანიზმის საერთო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას და მის ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს, გაანგარიშებულს 20 წლისათვის.

ამგვარი პროგრამის შედგენა და მისი მუდმივი სრულყოფა შემდგომი პერიოდებისათვის დავალებული აქვს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მეცნიერებისა და ტექნიკის და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტებს. ასეთი რეგიონალური პროგრამები მუშავდება მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვითაც. სწორედ ამგვარი პროგრამა უზრუნველყოფს სკკპ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტას. იგი კომპლექსური პროგრამა გახდა, ხუთწლიანი გეგმების დასაყრდენი, რომლის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები 1981—1985 წწ. და 1990 წლის პერიოდამდე.

საქართველოს კომპარტიის ცკ პლენუმმა (1982 წ. მაისი), განიხილა რა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ~~აღნიშნა, რომ~~ რესპუბლიკის მაღალი სამეცნიერო პოტენციალი ჯერ კიდევ მთლიანად არაა გამოყენებული, არასაკმარისია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპები. ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შეტუშავებას და მის განხორციელებას რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით და გამომდინარე მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწეული დონიდან, ალბათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსს და თავისებურებას, მის ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს საქართველოში განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს სა-

ზოგადოებრივი წარმოების ელექტროფიკაციის ტემპების დაჩქარება, ელექტროენერგიის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში (როგორც შრომის იარაღის) გამოყენების ზრდა; წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონის შემდგომი ამაღლება, განსაკუთრებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში; რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის არსებითი გაძლიერება; საზოგადოებრივი წარმოების საერთოდ და მისი ცალკეული დარგების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა და მის საფუძველზე მოღვაწეობის ყველა სფეროში ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება; საზოგადოებრივი წარმოების უპირატესად ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანა; სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის მიერ მიღებული სასურსათო პროგრამის განხორციელება; რესპუბლიკის ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა.

ასეთი კომპლექსური მიზნობრივი მიდგომა საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონალური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განხორციელებისადმი და მის საფუძველზე ცალკეული მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების დამუშავება არსებით თეორიულ და პრაქტიკულ წვლილს წარმოადგენს ეკონომიკურ მეცნიერებაში.

სოციალიზმის პირობებში ეკონომიკური განვითარების გეგმები ყოველთვის იყვნენ მეცნიერულად დასაბუთებული, აგრეთვე კომპლექსურიც, მიზნობრივიც, პროგრამულიც. ამის დადასტურებას წარმოადგენს რუსეთის ელექტროფიკაციის საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმა (ГОЭЛРО), შედგენილი 1920 წელს და გამიზნული 15 წლისათვის. დებულება იმის შესახებ, რომ სოციალისტური სახელმწიფოს სახალხომეურნეობრივი გეგმა პარტიის მეორე პროგრამას წარმოადგენს, ძალაშია დღესაც იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე პირობებში, მომწიფებული სოციალიზმის სტადიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები ასახავენ ეკონომიკის ახალ თვისებრივ მაჩვენებლებს, კერძოდ წარმოების უდიდეს მასშტაბებს, რთულ საწარმოო, ეკონომიკურ კავშირებს, ეკონომიკური პრობლემების სიღრმისეულ კომპლექსურ გადაწყვეტას, ეკონომიკის განვითარების დაბალანსირებისა და პროპორციულობის აუცილებლობას.

ამ მაჩვენებელთა ერთიანობა და ურთიერთკავშირი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას მთელი ქვეყნის, კერძოდ ძოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერულად დამუშავებული კომპლექსური პროგრამის საუძველზე.

სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადმა მიმართულებებმა 1981—1985 წლებში და 1990 წლამდე პერიოდისათვის დიდი ამოცანები დასახეს ეკონომიკური მეცნიერების წინაშე.

ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში და სოციალისტური მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურში გადაზრდის დაჩქარების უზრუნველსაყოფად. ამიტომ ძირითად მიმართულებებში მითითებული ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემის, ეკონომიკაში მომხდარი იმ სიღრმისეული ცვლილებების მეცნიერული ანალიზი, მის საფუძველზე ეკონომიკის მართვის ყველაზე რაციონალური ფორმებისა და მეთოდების გამონახვა, საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადოება, ეკონომიკის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა გამოყენება სახალხო მეურნეობის, საერთო საზოგადოებრივ ინტერესებისათვის, ეკონომიკური მეცნიერების საარსებო ამოცანაა.

ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА В ГРУЗИНСКОЙ ССР

РЕЗЮМЕ

В монографии дан обширный анализ экономических проблем научно-технического прогресса в Грузинской ССР на стадии развитого социализма. Показана экономическая сущность развитого социализма и региональные особенности его построения в условиях республики. На основе анализа цифровых данных, характеризующих экономические процессы, происходящие в Грузии, в динамике (в основном за 1960 — 1980 гг.) раскрыты особенности научно-технического прогресса в республике и его экономическая эффективность.

Экономика Грузинской ССР, как и других союзных республик, развивается в условиях развитого социализма. Поэтому на данной стадии развития в экономике Грузии как в целом, так и по отдельным внутриреспубликанским регионам характерными стали существенные количественные и качественные изменения, неуклонный рост экономического и научно-технического потенциала. Залогом этому является дальнейшее ускорение темпов научно-технического прогресса, повышение его эффективности, органическое единство экономики развитого социализма и научно-технического прогресса как в СССР в целом, так и в каждой союзной республике в отдельности.

В Грузинской ССР на стадии развитого социализма повысился такой обобщающий показатель научно-технического прогресса, как органическое строение производства (C:V, 1977 г. составило I:0,49 против I:0,54 в 1972 г.). Изменилось и соотношение между материальными затратами (C) и национальным доходом (V+m) в совокупном общественном продукте (C+V+m), что также в определенной степени свидетельствует о росте органического строения. Процесс индустриализации производства стал характерным для всех отраслей сферы материального производства.

В целях ускорения научно-технического прогресса, в частности развития науки и техники, в республике расширилась сеть научных, проектно-конструкторских организаций, изменилась их структура, ведущее место заняли научно-исследовательские учреждения, в частности научные учреждения Академии наук Грузинской ССР. Последние представляют основное научно-исследовательское ядро республики. Заметные изменения произошли в территориальном размещении научных

и проектно-конструкторских организаций. Они функционируют в таких крупных экономических регионах республики, как Абхазская АССР, Аджарская АССР, Юго-Осетинская автономная область, города Кутаиси, Рустави, Гори, Поти и др. Всего за пределами Тбилиси размещено более трех десятков подобных научных учреждений.

В Грузии развиваются все основные (программные) направления технического прогресса — электрификация всех отраслей материального производства, комплексная механизация и автоматизация решающих отраслей материального производства и химизация, внедрение достижений химии во все отрасли народного хозяйства. На стадии развитого социализма рост производства электроэнергии опережает как рост совокупного общественного продукта, так и промышленной продукции. Так, в 1975 г. по сравнению с 1960 г. совокупный общественный продукт возрос в 2,76 раза, объем промышленной продукции — в 2,99 раза, а производство электроэнергии в 3,13 раза. Однако, коэффициент опережения роста производства электроэнергии по сравнению с ростом совокупного общественного продукта и промышленного производства имел тенденцию к понижению. Изменилась и структура потребления электроэнергии как отраслевая, так и по характеру использования (как двигательная сила и как орудие труда, т. е. для технологического применения).

В республике на довольно прочную индустриальную базу стало развитие химической и нефтехимической промышленности. Важное значение придается проблемам механизации, комплексной механизации и автоматизации производства.

Единая политика научно-технического прогресса, проводимая в СССР, не только не ограничивает, но создает реальные условия для развития науки в национальных республиках, в целях наиболее рационального и целеустремленного использования имеющихся в каждой республике научных кадров, природных и трудовых ресурсов. Вместе с этим достижения общенароднохозяйственного значения в области науки и техники, отдельных научных направлений в союзных республиках представляют общенародное богатство СССР и используются в интересах благосостояния всех народов страны. Поэтому в условиях социалистического (коммунистического) способа производства одной из существенных особенностей научно-технического прогресса является его органическое слияние с единой технической политикой Советского государства на всей территории страны. Это обусловлено необходимостью и возможностью широкого использования достижений научно-технического прогресса в интересах повышения экономического и научно-технического потенциала СССР в целом, и каждой союзной республики в отдельности.

В процессе развития производительных сил происходит **органическое слияние науки с производством**, перерастание технического прогресса в научно-технический прогресс, превращение науки в непосредственную производительную силу общества. Понятие научно-технического прогресса шире, чем понятие технического прогресса. Технический прогресс, занимающий более длительный период времени, на определенной ступени, в связи с происшедшими качественными изменениями в развитии производительных сил вообще, и в частности в развитии науки, перерастает в новое качественное состояние, в научно-технический прогресс. Никогда наука не была так органически связана с производством, с практикой как на стадии развитого социализма. Именно этот процесс обусловливает небывалый ранее рост экономического и научно-технического потенциала СССР и каждой союзной республики. Соединение науки с производством находит конкретное выражение во внедрении в производство передовой технологии, в повышении уровня механизации и автоматизации производства, в освоении новых видов продукции, во внедрении вычислительной техники, в модернизации действующего оборудования и других мероприятиях, вносящих существенные качественные сдвиги в процесс производства и повышающих его техническую, экономическую и социальную эффективность. Данные, приведенные в труде, характеризующие эти изменения свидетельствуют о том, что на стадии развитого социализма процесс внедрения мероприятий по новой технике в общественное производство республики как в целом, так и в его отдельные отрасли — в промышленность, сельское хозяйство, строительство и др. — идет довольно активно и постоянно нарастает. Структура же внедряемых мероприятий обуславливается как задачами, стоящими перед экономикой в целом и ее отраслями в отдельности на разных этапах развития, так и достигнутым уровнем развития их производительных сил. В превращении науки в непосредственную производительную силу общества особая роль принадлежит общественным (гуманитарным) наукам — философии, истории, политической экономии, психологии и др. Среди мировоззренческих наук как непосредственную производительную силу, по нашему мнению, следует выделить экономическую науку. Экономическая наука на всех этапах социалистического строительства, в частности на стадии развитого социализма, всей своей деятельностью показала и доказала, что она органически связана с народным хозяйством, с практическими задачами становления и развития экономики СССР в целом и в отдельности каждой союзной республики, со строительством материально-технической базы социализма и коммунизма. В ней наиболее ярко проявилось органическое единство между теоретическими фундаментальными и прик-

ладными исследованиями. В труде довольно подробно анализируется научно-технический потенциал Грузии и его экономическая эффективность. Основу научного потенциала каждой нации прежде всего представляет уровень образования населения, численность и качественный состав научных кадров. Социализм заметно выравнял образовательный уровень населения союзных республик, что, при общем повышении образовательного уровня населения СССР, не могло не оказать существенного влияния на повышение научного потециала страны в целом и каждой союзной республики в отдельности. На стадии развитого социализма, это находит выражение в тенденции повышения доли научных работников в общей численности населения, в совершенствовании качественной структуры (соотношение докторов, кандидатов наук, профессоров, доцентов и научных работников, не имеющих научной степени и звания) научных кадров.

Грузинская ССР занимает (1975 г.) довольно высокий удельный вес как в общей численности научных работников ССР (2,0%), так и среди докторов (3,7%) и кандидатов наук (2,3%). Однако за определенный период (1960 — 1975 гг.) наметилась тенденция снижения удельного веса республики по указанным показателям. Вместе с этим следует отметить: ускорение научно-технического прогресса, что является характерной особенностью развитого социализма, требует рост научно-технических кадров и дальнейшее совершенствование их структуры соответственно задачам, поставленным в Основных направлениях экономического и социального развития СССР и союзных республик в 1981 — 1985 годах и на период до 1990 года. Исходя из этого важное значение придается подготовке молодых научных кадров через аспирантуру. Органически составной частью научного потенциала является и наличие современной технически оснащенной материально-технической базы науки. Научный потенциал республики определяется единством имеющихся научных кадров по их количественному и качественному составу, возможным резервом для постоянного воспроизводства их в соответствии с требованием ускорения темпов научно-технического прогресса и современной материально-технической базой науки.

В повышении научного и научно-технического потенциала большое значение придается развитию социалистического соревнования в сфере науки и движению изобретателей и рационализаторов. Важную особенность социалистического соревнования на стадии развитого социализма представляет широкое вовлечение в него и активное участие в нем инженерно-технических и научных работников. Эта особенность обусловлена ролью научно-техни-

ческого прогресса в повышении эффективности общественного производства, в ускорении строительства материально-технической базы коммунизма, в развитии социалистических (коммунистических) производительных сил и производственных отношений.

Особенность же социалистического соревнования в сфере науки обусловлена особенностями труда, деятельности в этой сфере. Опыт показывает целесообразность развития социалистического соревнования как внутри научных институтов — между отдельными работниками, научными подразделениями (отделами, секторами, проблемными группами, лабораториями и др.), так и между однопрофильными и разнопрофильными институтами, в целях общего подъема научного уровня, научного потенциала всей системы (Академии наук республики, отраслевых научных учреждений) и республики в целом.

На стадии развитого социализма на более высоком качественном уровне развивается движение изобретателей и рационализаторов. Это обусловлено как повышением квалификационного, профессионального уровня участников данного движения, так и современным, более высоким уровнем технической оснащенности производства. Только за 17 лет (1960 — 1976 гг.) число изобретателей и рационализаторов возросло в 2,3— раза, а число внедренных в производство изобретений и рационализаторских предложений — в 2,1 раза. Годовой же экономический эффект от внедренных изобретений и рационализаторских предложений возрос соответственно с 11 млн. рублей до 52,8 млн. рублей или в 4,8 раза. Движение изобретателей и рационализаторов охватило все отрасли сферы материального производства республики и играет важную роль в повышении ее экономического и научно-технического потенциала.

На стадии развитого социализма особо важную роль в ускорении темпов научно-технического прогресса играет аграрно-промышленная интеграция. Формы агропромышленной интеграции разнообразны. Они обусловлены как формами социалистической собственности, характером производства, так и перспективами их развития в процессе перерастания социалистических производительных сил и производственных отношений в коммунистические.

На стадии развитого социализма возникли реальные возможности для последовательного перевода сельскохозяйственного производства на индустриальную основу. Необходимым условием для этого является специализация и концентрация его производства. В Грузии в этом отношении имеются специфические особенности, выраженные в том, что сельское хозяйство республики многоотраслевое (чаеводство, виноградарство, садоводство, высокосортное табаководство, шелководство, субтропические и другие технические культуры), при этом многие отрасли имеют не только республиканское, но и

всесоюзное значение, обусловлены общесоюзным разделением труда и подчиняются общесоюзной специализации сельскохозяйственного производства. Вместе с этим Грузия должна стать и республикой высокоразвитого животноводства. В республике разработаны и осуществляются мероприятия по поэтапному проведению специализации и концентрации производства исходя из общих принципов, разработанных ЦК КПСС и Советским правительством по специализации и концентрации сельскохозяйственного производства на основе межхозяйственной кооперации и агропромышленной интеграции. Проведенные во второй половине 70-х годов эксперименты по совершенствованию управления сельскохозяйственным производством в ряде районов республики дали положительные результаты и в настоящее время распространяются, как сложившийся опыт, в остальных районах. Возникают и развиваются новые формы и методы управления сельскохозяйственным производством, усиливается связь последнего с другими отраслями народного хозяйства и прежде всего с перерабатывающими отраслями промышленности, совершенствуется отраслевая структура сельскохозяйственного производства.

Важнейшим материальным фактором научно-технического прогресса является фондообеспеченность экономики Фондообеспеченность, обуславливается темпами воспроизводства основных производственных фондов. За десятилетие (1965 — 1975 гг.) в отраслях материального производства Грузии основные производственные фонды возросли в 1,9 раза или почти удвоились. При общей закономерности роста основных производственных фондов в СССР в целом и каждой союзной республике в отдельности, уровень фондообеспеченности республики по сравнению с соответствующим среднесоюзным показателем в 1975 г. составлял 65%, т. е. еще весьма отставал. Заметно изменилась структура основных фондов народного хозяйства республики. Доля основных производственных фондов возросла с 56,4% в 1965 г. до 62,5% в 1975 г., соответственно снизилась доля основных непроизводственных фондов. Несмотря на значительное возрастание как фондообеспеченности экономики республики, так и фондовооруженности труда проблема более рационального использования имеющихся основных производственных фондов остается весьма актуальной. Заметно должны снизиться все материальные затраты, в том числе и затраты на основные производственные фонды, на единицу производимого национального дохода. Осуществление этого, на основе ускорения научно-технического прогресса, является одним из необходимых условий повышения экономической эффективности общественного производства республики.

Этому в значительной степени должно способствовать и направление капитальных вложений.

Научно-технический прогресс вносит существенные изменения в направление капитальных вложений. Эти изменения значительно ускоряют темпы воспроизводства, повышают эффективность капитальных вложений, приводят к положительным сдвигам в структуре общественного производства, улучшают конечные народнохозяйственные показатели.

Для развитого социализма характерны высокие темпы капитальных вложений, изменение их технологической структуры. В последней заметно повысилась доля затрат на активную часть производственных фондов — машины и оборудование.

Основными, определяющими направление капитальных вложений в республике как в целом, так и производственного назначения, являются капитальные вложения государственных и кооперативных предприятий и учреждений. Заметные сдвиги происходят в территориальной структуре капитальных вложений. Здесь в общих капитальных вложениях республики повышается удельный вес автономных образований и других отдельных внутриреспубликанских регионов. Изменения произошли и в отраслевой структуре капитальных вложений, существенно повысился в них удельный вес сельского хозяйства. При этом в общем объеме капитальных вложений в сельское хозяйство абсолютно преобладающее место занимают государственные вложения, т. е. заметно изменилась и социальная структура капитальных вложений.

Научно-технический прогресс существенные изменения вносит в повышение эффективности производства и качества продукции, всей производственной и трудовой деятельности.

Проблема повышения качества продукции, качества работы во всех звеньях народного хозяйства является комплексной проблемой. Она объединяет, связывает многие отрасли народного хозяйства, в частности промышленность, сельское хозяйство, строительство и другие отрасли и подотрасли сфер материального и нематериального производства, определяется как технико-экономическим, так и уровнем культуры производства, а также уровнем научно-исследовательских и проектно-конструкторских работ. Тем, насколько совершенна технология и организация производства, как организован контроль за выпуском продукции и ее предварительное испытание.

В современных условиях совершенствование показателей повышения качества продукции, вообще уровня деятельности во всех сферах общественного производства стала важной общегосударственной задачей как для развития всего народного хозяйства, так и для улучшения и укрепления внешних экономических связей. Повышение качества работы во всех

звеньях народного хозяйства, и в частности производимой продукции, усиление государственного контроля за ним стало объективной необходимостью экономики развитого социализма.

В целях совершенствования управления качеством продукции, деятельности во всех сферах народного хозяйства республики существенные меры проводятся в Грузии. Здесь созданы и органически связаны между собой республиканская и городская (г. Тбилиси) системы управления качеством. Повышается доля продукции высшей категории качества в общем объеме производства и в общей численности наименований изделий. Характерным является то, что наряду с ростом качества товаров народного потребления заметно повышается и качество производимых средств производства. Это свидетельствует об общем повышении производственной культуры промышленности республики. Наряду с этим еще имеются существенные недостатки в повсеместном внедрении стройной и строгой системы управления качеством во всех отраслях сферы материального производства и особенно в сельскохозяйственном производстве. Требуется усиление системы государственного надзора и контроля за качеством. На примере Грузии видно, что сложившаяся общегосударственная система управления качеством органически связана с региональными системами управления качеством. Именно в результате подобного диалектического единства в управлении качеством возможно проведение единой народнохозяйственной политики по повышению эффективности и качества всего общественного производства страны.

Огромное влияние на повышение эффективности и качества, на создание общегосударственной системы управления качеством с ее разветвленными региональными системами оказывает научно-технический прогресс. Именно на основе научно-технического прогресса на стадии развитого социализма могла возникнуть данная система управления.

Существенным фактором научно-технического прогресса является дальнейшее совершенствование народнохозяйственных пропорций вообще и в частности внутриреспубликанских народнохозяйственных пропорций. В условиях развитого социализма установление оптимальных межреспубликанских и внутриреспубликанских темпов и пропорций как в отраслевом, так и в территориальном разрезе представляет существенный фактор экономического и социального развития союзной республики. Это обусловлено общесоюзным разделением труда, выравниванием уровней экономического развития союзных республик, наиболее рациональным использованием имеющихся материальных и трудовых ресурсов, интересами единого народнохозяйственного комплекса СССР и каждой союзной республики, которые сами представляют региональные народнохозяйственные комплексы и находятся в органической связи с единым комплексом.

Наряду с общеэкономическими пропорциями, проявляющимися в народном хозяйстве СССР и в народном хозяйстве союзной республики, имеются экономические пропорции, действующие в каждой союзной республике в отдельности и выражающие специфику экономики данной республики. При этом отдельные экономические пропорции выражают соотношения между союзными и республиканскими показателями. Например, соотношение между объемом производства промышленной продукции предприятиями союзного и республиканского подчинения в общем объеме промышленной продукции, производимой на территории республики, между объемом продукции отраслей общесоюзной специализации и отраслей республиканского назначения и др.

Вместе с этим все экономические пропорции союзного, союзно-республиканского, межреспубликанского и внутриреспубликанского характера в условиях развитого социализма органически связаны между собой и выражают закономерности единого народнохозяйственного комплекса СССР.

Совершенствование внутриреспубликанских пропорций заметно повысило уровень концентрации, внутри и межотраслевой централизации производства. Более рационально и экономно используются материальные финансовые и трудовые ресурсы. Все это привело к повышению уровня экономического развития Грузии.

Уровень экономического развития Грузии обусловлен теми основными качественными и количественными изменениями, которые произошли в народном хозяйстве республики за годы Советской власти в процессе строительства экономики социализма.

На стадии развитого социализма динамика удельного веса Грузинской ССР в соответствующих основных экономических показателях СССР характеризуется следующими данными (в %):

	1965 г.	1970 г.	1975 г.	1980 г.
Территория	0.3	0.3	0,3	0,3
Население	2.0	1.9	1,9	1.9
Валовая продукция промышленности	1,2	1,3	1,3	1,4
Валовая продукция сельского хоз-ва	1,7	1,5	1,5	1,7
Валовой общественный продукт	1,4	1,4	1,4	1,5
а) то же на душу населения	71,5	71,4	71,3	80,5
Произведенный национальный доход	1.5	1,4	1,5	1,7*
а) то же на душу населения	76,5	72,9	76,2	90,7

* 1979 г. Округлено

В 70-х годах, особенно после известного постановления ЦК КПСС по Тбилисскому горкому партии (февраль 1972 г.), наметились весьма положительные тенденции в повышении уровня основных экономических показателей в соответствующих общесоюзных данных.

Научно-технический прогресс, его органическое слияние с производственным процессом является постоянно действующим фактором перерастания экономики социализма в экономику коммунизма. Его производственная, как и экономическая эффективность постоянно будет повышаться, повышаться будет экономический и научный уровень СССР в целом и каждой союзной республики в отдельности. Гарантией этого являются достижение в области экономики и науки в 70-х годах и перспективы экономического и социального развития СССР и союзных республик в 1981—1985 гг. и на период до 1990 года.

Исходя из задач, поставленных XXVI съездом КПСС и определенных в Основных направлениях экономического и социального развития в Грузинской ССР, в XI пятилетке возрастет: объем промышленного производства — на 30—33%,

в том числе:

электроэнергии	в 1,2 раза
машиностроения	в 1,6
химической промышленности	в 1,5
легкой промышленности	в 1,3 „
пищевой промышленности	в 1,3 „
среднегодовой объем сельскохозяйственной продукции	на 22—24%

Произойдут существенные прогрессивные сдвиги в структуре общественного производства в целом и в отдельных отраслях. Заметно изменятся соотношения между сферой материального производства и непроизводственной сферой.

Научно-технический прогресс в значительной степени будет содействовать качественным сдвигам в управлении общественным производством на всех уровнях. В значительной мере изменятся формы и методы управления, исходя из достигнутого уровня развития производительных сил социалистического общества на его зрелой стадии.

Экономическое и социальное развитие Грузии в 1981—1985 гг. и на период до 1990 года ставит весьма ответственные задачи перед научными учреждениями республики вообще и в частности перед экономической наукой. В одиннадцатой пятилетке Академия наук Грузии, Госкомитет по науке и технике, другие наши научные организации Госплан республики, —говорил товарищ Э. А. Шеварднадзе на III пленуме ЦК Ком-

---

Достигнутый уровень экономического развития в значительной степени был обусловлен теми положительными сдвигами в экономическом и социальном развитии, которые произошли в республике за 1972—1980 гг.

партии Грузии (18. 06. 81), — должны занять передний край, передовую линию борьбы за преодоление отставания республики от среднесоюзного уровня, внести свой еще более весомый вклад в достижение высоких темпов ее научно-технического и социально-экономического прогресса. Мы ждем конкретной помощи ученых в совершенствовании управления народным хозяйством, повышении производительности труда, улучшении качества продукции, снижении ее себестоимости, в решении топливно-энергетической проблемы и т. д. Не отработана у нас по существу и система управления самой наукой, научно-техническим прогрессом»[15].

В мае 1982 г. состоялся Пленум ЦК КП Грузии, рассмотревший вопрос о задачах партийной организации республики по концентрации усилий на дальнейшем развитии науки и ускорении научно-технического прогресса в народном хозяйстве Грузии. Пленум, характеризуя положение в республике в области науки и научно-технического прогресса, наряду с достигнутыми существенными успехами указал на еще неполное использование имеющегося высокого научного потенциала и недостаточность темпов ускорения научно-технического прогресса. Пленум определил основные направления научно-технического прогресса в народном хозяйстве республики в XI пятилетке.

Исходя из достигнутого уровня развития науки и научно-технического прогресса, сущностью и особенностями НТП и его экономических и социальных последствий в Грузинской ССР на данном этапе развития являются: ускорение темпов электрификации общественного производства, значительное повышение доли потребления электроэнергии в технологических процессах производства (в качестве орудий труда); повышение уровня специализации и концентрации производства во всех отраслях сферы материального производства, особенно в промышленности и сельском хозяйстве; существенное повышение экономического и научно-технического потенциала республики; совершенствование структуры общественного производства в целом и его отдельных отраслей и на этой основе повышение эффективности и качества во всех сферах деятельности; перевод общественного производства на преимущественно интенсивные факторы развития; осуществление региональной комплексной программы научно-технического прогресса и Продовольственной программы, принятой майским (1982 г.) Пленумом ЦК КПСС; совершенствование управления экономикой, народным хозяйством республики.

---

[15] Доклад кандидата в члены Политбюро ЦК КПСС, первого секретаря ЦК Компартии Грузии товарища Э. А. Шеварднадзе на III пленуме Центрального Комитета Компартии Грузии. Газ. «Заря Востока», 19.06.81 с. 3.

შინაარსი

თავი პირველი

განვითარებული სოციალიზმი — ეკონომიკური სიმწიფის კანონზომიერი საფეხური .3

თავი მეორე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა . .42

თავი მესამე

წარმოებასთან მეცნიერების ორგანული შეერთების საკითხისათვის .106

თავი მეოთხე

საქართველოს მეცნიერული პოტენციალის შესახებ .128

თავი მეხუთე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ზოგიერთი საკითხი .207

თავი მეექვსე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის ფონდუზრუნველყოფა . 246

თავი მეშვიდე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულება 266

თავი მერვე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ხარისხი და ეფექტიანობა . . . 300

თავი მეცხრე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და შიდარესპუბლიკური სახალხომეურნეობრივი პროპორციების სრულყოფა 325

თავი მეათე

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე . 352

თავი მეთერთმეტე

ზოგიერთი შედეგისა (1972—1980 წწ.) და პერსპექტივების (1981—1985 წწ.) შესახებ 372

Резюме 398

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 1951

რედაქტორები: ა. ნუცუბიძე, თ. ჩიკვაიძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორები: ლ. მაისურაძე, ელ. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 11.10.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.8.1983;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 25.8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,5;

უე 00887; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 3395;

ფასი 2 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

АВТАНДИЛ ЛЕВАНОВИЧ ГУНИЯ

ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА В ГРУЗИНСКОЙ ССР

(на грузинском языке)